


କାର୍ତ୍ତିବ୍ୟାଳ ବିମିରାତନ ପ୍ରେସ୍‌ର୍ଧାନ୍ତି



ଶ

୧୯୫୦


2007

© გამომცემლობა-ბავშვი

© ზაქარია გაჩიტაძე - ქართველ წმიდათა ცხოვრებანი

ISBN 978-99940-27-28-6

საქართველო, თბილისი - 2007 წელი



ეძღვნება უწმიდესისა და უნეტარესის
სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის
ილია II-ის
აღსაყდრების ოცდაათ წლისთავს

ნინასიტყვა

„ქრისტე ღმერთი ჯვარს ეცვა ქვეყნისათვის და ჩვენც ჯვარს ვეცვით ქრისტესათვის. ამ პატარა საქართველოს გადაუღელეთ მკერდი და ამ მეურდზედ, როგორც კლდეზედ, დაუდგით ქრისტიანობას საყდარი, ქვად ჩვენი ძვლები ვიხმარეთ და კირად ჩვენი სისხლი და ბჭეთა ჯოჯოხეთისათა ვერ შემუსრეს იგი“, — ნერს წმიდა ილია მართალი (ჭავჭავაძე).

ქართული მინა გაპოხილია ეკლესიისა და მამულის კეთილდღეობისათვის შენირულ შვილთა სისხლით. ასიათასი მონამე წარდგა ერთ დღეს უფლის წინაშე 1227 წელს ჯალალედინის შემოსევისას. ერთ ღამეში ამონყვიტეს უსჯულოებმა ექვსიათასი ბერ-მონაზონი დავითგარეჯის უდაბნოში. მონასტრების შემოგარენი სავსეა წმიდათა ნაწილებით.

ქრისტესთვის ჯვარცმულ საქართველოს შვილთა სახელები და ღვანლი ცათა შინა უკლებლივ არის აღნერილი, ქვეყანასა ზედა კი დედა-ეკლესიამ მხოლოდ იმათი სახელები შემოგვინახა, რომლებიც თვითონ უფალმა გამოგვიჩნა მისაბაძად და მეოხად. ჩვენი ვალია ვიცნობდეთ მათ, ვიცოდეთ მათი ცხოვრებისა და ღვანლის შესახებ და შესაბამის პატივსაც მივაგებდეთ მათ ხსენებას.

ჯერ კიდევ მეათე საუკუნეში წუხდა წმიდა გიორგი მერჩულე, რომ უამთა სიმრავლემ დავიწყების სილრმეს მისცა „ყოვლად-სახსენებელთა მათ განსაკვირვებელთა ნეტართა კაცთა საქმენი კეთილნი და ცხორება უბინოვ“.

სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ლეონიდე (ოქროპირიძე) (+1921) მწყემსმთავრული კადნიერებით ინანიებდა ქართველთა „დანაშაულს, პირშაობას, გარენრობასა და დაუდევრობას“ ზეციური საქართველოს წინაშე: „ნუ მოგვიძულებთ სრულიად თქვენს ესოდენ უძღებ, უმაღლურ და უღირს სულიერ შვილებს, შეგვავედრეთ მამობრივი გულსმოდგინებით თქვენს სასოს — ყოვლადნმიდა ღმრთისმშობელს, რათა გაგვიღვივოს გულში თქვენებრ მძლავრი ალი ქრისტეს სარწმუნოების სიყვარულისა“, — ითხოვდა კათოლიკოსი ჩვენი დიდი წინაპრებისაგან.

კათოლიკოს-პატრიარქი ილია მეორე ჩვენი ქვეყნის არსებობის მიზეზს ქრისტიანული სარწმუნოების სიმტკიცისა და თაობათა

ერთობაში ხედავს: „როცა ვუყურებთ ჩვენს წარსულს, გაოცებაში მოვდივართ... ამდენ წინააღმდეგობაში ვით შეინარჩუნა ქართველმა ხალხმა თავისი ენა, ქრისტიანული სარწმუნოება და კულტურა... ჩვენი დღემდე არსებობის და სულიერი სიმტკიცის ძალა მდგომარეობს იმაში, რომ ჩვენ შეურყევლად ვიდექით და ვდგავართ ქრისტიანულ ნიადაგზე... ქართველი კაცი დაუსრულებელი ომების დროსაც ახერხებდა ტაძრებისა და მონასტრების შენებას, ჭედდა თავის უბადლო კულტურას... ჩვენ უნდა ვიყოთ გამგრძელებელი იმ დიდი საქმისა, რასაც შეენირნენ ისინი“.


ჩვენი პირადი „გარეწრობისა და დაუდევრობის“ გამოსასწორებლად და წინაპართა დიადი საქმის გაგრძელების სურვილით, ერთად შევერიბეთ ჩვენთვის ხელმისაწვდომი ცნობები ქართველ წმიდათა შესახებ, მოვიძიეთ და დავაწერინეთ მათი წმიდა ხატები.

წიგნი, საეკლესიო კალენდრის ცვლილებებისა და ახალ წმიდათა კანონიზაციის შესაბამისად, ყოველთვის მოითხოვს განახლებას. ასევე აუცილებელია წიგნის შევსება წმიდათა შესახებ ახალი ცნობებითა და სხვადასხვა მეცნიერული აღმოჩენებით. ჩვენ მადლიერებით მივიღებთ ყველა შენიშვნასა და წინადადებას, რომელიც ქართველ წმიდათა ცხოვრების უკეთ წარმოჩინებაში დაგვეხმარება.

**დეკანოზი
ზაქარია მაჩიტაძე**

იანვარი

- 2 (15) — მონამე გიორგი გურჯი — ივერიელი (+1770);
3 (16) — ლირსი იოვანე ჭყონდიდელი (XI);
— წმიდა ექვთიმე ლმრთისკაცი (თაყაიშვილი) +1953;
- 4 (17) — ლირსინი მამანი: ევაგრე და ელია დიაკონი (VI);
8 (21) — მონამე აბო ტფილელი (+786);
14 (27) — მოციქულთასწორი ნინო,
ქართველთა განმანათლებელი (IV);
15 (28) — წმიდა სალომე უჯარმელი და
პეროჟავრა სივნიელი (IV);
18 (31) — ლირსი ეფრემ მცირე, ფილოსოფოსი (+1101);
— ლირსი ალექსი (შუშანია) (+1923);
19 (1.02) — ლირსი ანტონ მარტყოფელი (VI);
20 (2.02) — ლირსი ექვთიმე ალმსარებელი
(კერესელიძე) (+1944);
25 (7.02) — ლირსი გაბრიელი (ქიქოძე) — იმერეთის
ეპისკოპოსი (+1891);
26 (8.02) — წმიდა დავით ალმაშენებელი,
მეფე ყოვლისა საქართველოხსა (+1125);
28 (10.02) — ლირსი სტეფანე ხირსელი (VI) (იხ. 7 (20) მაისს);
— წმიდა თამარი, მეფე ყოვლისა
საქართველოხსა (+1213);
29 (11.02) — მონამე აშოტ მეფე კურაპალატი (+829);



მოწამე გიორგი გურჯი დაიბადა საქართველოში 1700 წლის ახლო ხანებში. იმ პერიოდში საქართველოში მუსულმანები ბატონობდნენ და ტყვეების მოტაცება და უცხოეთში გაყიდვა გახშირებული, ყოფითი მოვლენა იყო. ტყვეებით ვაჭრობის ცენტრები იყო ზღვისპირა ქალაქები და ახალციხე. ქვეყნის საერო და სასულიერო ხელისუფალნი ყოველნაირად ებრძოდნენ ამ საშინელ მოვლენას. საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქისა და მღდელმთავრების მიერ ანათემას იყო გადაცემული ყველა, ვინც ამ უკეთურ საქმეში ღებულობდა მონაწილეობას.

მეჩვიდმეტე-მეთვრამეტე საუკუნეებში ირანის და ოსმალეთის ხელქვეითი ქართული სამთავროების მიერ შაჰისა და სულთანისათვის გასაგზავნი ხარკი ტყვეებსაც გულისხმობდა. საქართველოს მეფეები და მთავრები ცდილობდნენ სხვაგან შეეძინათ ტყვეები და ისინი გაეგზავნათ ხარკად, მაგრამ მაინც ბევრი ქართველი ახალგაზრდა აღმოჩნდა უცხო, მუსულმანურ გარემოში, რომელთა მეტმა ნაწილმა ვერ შესძლო ქრისტიანობის შენარჩუნება.

გიორგი ბავშვობაში მოიტაცეს, საქართველოდან გაიყვანეს და ვიღაც თურქს მიჰყიდეს. მუსულმანმა ბატონმა ახალგაზრდა მონათავისთან წაიყვანა კუნძულ ლესბოსზე, მუსულმანობა მიაღებინა და სახელად სალი დაარქვა.

გიორგი წყნარი, პატიოსანი კაცი იყო. მას ყველა პატივს სცემდა. მუშაობდა ერთ-ერთ დუქანში და ძეველმანებით ვაჭრობდა. გიორგი მარტოხელა ცხოვრებას ეწეოდა — იგი არ დაოჯახებულა.

გიორგის კარგად ახსოვდა მისი წარმოშობა და შინაგანად სულ წულდა ქრისტიანობის დატევების გამო. სამოცდაათი წლის ასაკში მასში გაიღვიძა ქრისტიანულმა სინდისმა და გადაწყვიტა ჭეშმარიტ რნმენაზე დაბრუნება, მივიდა თურქ მსაჯულთან და განუცხადა: „დავიბადე ქრისტიანთა ოჯახში, ობოლი ბიჭი ბატონმა მაიძულა გავმხდარიყავი მუსულმანი. ახლა ვაცხადებ, რომ მსურს მოკვედე, როგორც ქრისტიანი“. მსაჯული და ყველა მასთან მყოფნი იცნობდნენ

სალის, როგორც კარგ, პატიოსან ადამიანს და ურჩიეს კარგად დაფიქრებულიყო. გიორგიმ უშიშრად აღიარა ქრისტე და განაცხადა, რომ სურდა მოწამეობრივი აღსასრულით დაემტეცებინა მისი აღმსარებლობა და ქრისტეს სიყვარული.

გიორგიმ უშიშრად დაინყო ყველას წინაშე ქრისტიანობის ქადაგება, მას ზოგი დასცინოდა, ზოგი შეურაცხყოფდა, ზოგიც კი მუსულმანური წესის მიხედვით მის სიკვდილით დასჯას ითხოვდა. ბოლოს, გიორგი შეიპყრეს და მოსაფიქრებლად ერთ სახლში ჩაკეტეს, სადაც ლანძღავდნენ და ემუქრებოდნენ. მეორე დღეს, გიორგი მიიყვანეს სასამართლოში. სამი დღე გრძელდებოდა დაკითხვა და წამება, გიორგი კი პირიქით უფრო ძლიერ-დებოდა რწმენაში. მუსულმანმა მსაჯულებმა, ბოლოს, გადაწყვიტეს ჩამოეხჩოთ გიორგი.

განაჩენის აღსრულებამდე გიორგი ისევ უმოწყალოდ აწამეს, კისერში მარყუჟი წაუჭირეს და აძალებდნენ წარმოეთქვა სიტყვა „სალავატი“, რაც მუსულმანობის აღიარებას ნიშნავდა. ცემითა და დამცირებით შემოატარეს გიორგის მთელი ბაზარი, სადაც შეკრებილი ბრბო ყოველნაირად შეურაცხყოფდა და ამცირებდა მუსულმანობის უარმყოფელსა და ქრისტეს მსასოებელ მოხუცს.

ბოლოს, გიორგი მიიყვანეს ჩამოსახრჩობ ადგილზე, რომელსაც „პარმაკეაპუ“ ერქვა. გიორგის ჯერ დანით დაუწყეს ჩხვლეტა და აიძულებდნენ თითო გაეშალა ალაპის ერთადერთ ღმერთად აღიარების სიმბოლოდ. მაგრამ მას ორივე მტევანი მაგრად ჰქონდა მოკუმული. შემდეგ, სახრჩობელაზე ჩამოკიდეს და ისევ ჩამოხსნეს, იქნებ ასე მაინც შეშინებოდა. ბოლოს, როცა დარწმუნდნენ, რომ თავის აზრს იგი არაფრით შეიცვლიდა, ჩამოახრჩეს.

ასე დაიმკვიდრა გიორგი ქართველის სულმა სასუფეველი და დაიდგა მოწამეობრივი გვირგვინი 1770 წელს.





ღირსი იოვანე ჭყონდიდელი დაიბადა მეთე საუკუნის პირველ ნახევარში. მის შესახებ ცნობები გეხვდება გიორგი ხუცეს-მონაზონის თხზულებაში: „ცხორებად გიორგი მთაწმიდელისა“.

როგორც ჩანს, წმიდა იოვანე დანინაურებულ ქართველ თავადიშვილთა გვარიდან იყო. იოვანე მისი დროის ერთერთი უგანათლებულესი ღმრთისმეტყველი და უდიდესი პატრიოტი იყო.

1050 წელს, წმიდა იოვანე, ჯერ კიდევ ერისკაცობაში თავის ძმასთან, პეტრიკთან ერთად თან ახლდა საქართველოს მეფე ბაგრატ მეექვეს (+1072) და დედოფალ მარიამს კონსტანტინეპოლში, ბიზანტიის იმპერატორ კონსტანტინე მონო-

მაქოსის კარზე. აქ ისინი შეხვდნენ ათონიდან ჩამოსულ გიორგი მთაწმიდელს და დიდი შესანირავი გაატანეს ათონზე, რისთვისაც იოვანეს და მის ძმას ივერობლში აღაპი დაუწესეს.

იოვანე 1054 წელს, ჯერ კიდევ ერისკაცი, აქტიურად მონაწილეობდა საერო და სასულიერო ცხოვრებაში. 1059 წელს წმიდა იოვანემ მეფე ბაგრატ IV-ის დავალებით საქართველოში ჩამოიყვანა გიორგი მთაწმიდელი, რომლის ინიციატივითაც იოვანეს ჭყონდიდელ ეპისკოპოსად დაასხეს ხელი.

იოვანე ჭყონდიდელი 1061-65 წლიდან მთავარეპისკოპოსის ხარისხით განაგებს იმ დროისათვის უკვე საკმაოდ დაწინაურებულ ჭყონდიდის კათედრას. იგი აქტიურად ამოუდგა მხარში გიორგი მთაწმიდელს, საქართველოში იმ დროისათვის საკმაოდ დარღვეული საეკლესიო საქმეების გამართვა-მოწესრიგებაში.

1065 წელს წმიდა იოვანე, მის ძმასთან და ბედიელ მთავარეპისკოპოსის იოვანესთან ერთად თან



ახლდა საქართველოს მეფის ასულ მართას კონსტანტინეპოლში. ამის შემდეგ, 1066-67 წლებში, იოვანე ჭყონდიდელი კიდევ მიდის კონსტანტინეპოლში ბიზანტიის იმპერატორთან, როგორც ბაგრატ მეფის წარმომადგენელი და საქართველოს ეკლესიის გამორჩეული მღდელმთავარი. ამ ელჩობის დროს იოვანე ჭყონდიდელს გიორგი ხუცესმონაზონისთვის უთხოვია დაეწერა გიორგი მთანმიდელის ცხოვრება. გიორგი ხუცესმონაზონი წმიდა იოვანეს, მისი თხზულების ერთ-ერთ შემკვეთად ასახელებს: „ღმრთისმოყვარისაცა მის მიერ მთავარეპისკოპოსისა იოვანეს ვიტყვი ჭყონდიდელსა, ძმასა ნეტარისა პეტრე პატრიკისასა... დიდად იძულებულ იქნა უღირსებად ჩუენი... რათა ყოველი სახე აღსრულებისა და გასლვისა წმიდისა ამის მამისა ჩუენისაა უნაკლოდ მიუთხრა“.

1085 წლიდან იოვანე ჭყონდიდელი, საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის უწმიდესი დიმიტრის (1080-1090) თანაშემწეა — იგი სვინგელოზის პატივითაა დაჯილდოებული.

გიორგი მთანმიდელის მიერ შედგენილი სვინაქსარის გვიანდელ მინანერის მიხედვით, დაახლოებით 1110 წლის 3 იანვარს „გარდაიცვალა სულკურთხეული მთავარეპისკოპოსი იოვანე ჭყონდიდელი“.



მარტვილი
ჭყონდიდელი მღდელმთავრების საკათედრო ტაძარი



წმიდა ექვთიმე ღმრთისკაცი დაიბადა გურიის სოფელ ლიხაურში 1863 (ან 1862) წლის 5 ივნისს სიმონ თაყაიშვილისა და გიტული ნაკაშიძის ოჯახში. ექვთიმეს მშობლები ადრე გარდაეცვალა.

ექვთიმეს ადრევე გამოუვლენია სწავლისადმი დიდი მისწრაფება. სამაზრო სასწავლებლის დამთავრების შემდეგ იგი ქუთაისის კლასიკურ გიმნაზიაში ჩაირიცხა. გიმნაზია ექვთიმემ 1883 წელს დაასრულა ვერცხლის მედლით.

1883 წელს ექვთიმე თაყაიშვილი პეტერბურგის უნივერსიტეტის ისტორიულ-ფილოლოგიურ ფაკულტეტზე ჩაირიცხა, 1887 წელს დაასრულა სწავლა და მეცნიერებათა კანდიდატის ხარისხით დაბრუნდა ტფილისში.

1895 წელს ექვთიმემ ცოლად შეირთო ტფილისელი იურისტის, ივანე პოლტორაცკის ასული, ნინო.

ექვთიმე თაყაიშვილი აქტიურ მეცნიერულ, პედაგოგიურ და საზოგადოებრივ მოღვაწეობას ეწეოდა. ღმრთისა და ერის სიყვარული წარმართავდა ექვთიმეს ყოველ მოქმედებას. თავისი მეცნიერული მუშაობის უმთავრეს მიზნად ექვთიმეს მიაჩნდა მასალების შეკრება საქართველოს ისტორია-არქეოლოგისათვის. მეცნიერების რა დარგში არ უმუშავია წმიდანს — ისტორია, არქეოლოგია, ეთნოგრაფია, ნუმიზმატიკა, ფილოლოგია, ფოლკლორისტიკა, ლინგვისტიკა, ხელოვნების ისტორია...და ყველგან ჩვენი ერის ისტორიის ანარეკლს, ჩვენს ნაკვალევს ეძებდა. 1889 წელს ექვთიმე თაყაიშვილმა დაარსა „საქართველოს საეგზარქოსო მუზეუმი”, რომელშიც თავს უყრიდნენ ძველ საეკლესიო წიგნებს, ხელნაწერებსა და სხვადასხვა ნივთებს. მუშაობდნენ საქართველოს ეკლესიის ისტორიის შედეგენაზე.

1907 წელს ექვთიმემ დაარსა „საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოება”. ამ საზოგადოების მიერ მოწყობილი ექსპედიციებიდან განსაკუთრებით აღსანიშნავია მოგზაურობა „სამუსულ-მანო საქართველოში”. ექვთიმე თანამემამულებს უღვიძებდა ეროვნულ გრძნობებს. ზოგიერთ სოფელში მცხოვრებ მაჰმადიან ქართველებს ქართული ენა დავიწყებოდათ, მაგრამ შეგნება, რომ მათი წინაპრები ქრისტიანები იყვნენ, თითქმის ყველას ჰქონდა.



ნინდა ექვთიმე თაყაიშვილი

„საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოებამ“ რამდენიმე წელიწადში მნიშვნელოვან მასალას მოუყარა თავი. მათ შორის იყო სხვადასხვა „საარქეოლოგიო და საეთნოგრაფიო ნივთები“, „ნაქსოვნაკერები“ ხელნაწერები... ცალკე კოლექციის შეადგენდა ეკლესია-მონასტრების კედლებიდან გადმოღებული ფრესკები (ფაქსიმიდე).

ექვთიმე თაყაიშვილს საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალისათვის მებრძოლთა რიგებშიც ვხედავთ. ექვთიმემ მნიშვნელოვანი როლი შეასრულა ტფილის უნივერსიტეტის დაარსებაში 1918 წელს.

1921 წლის 25 თებერვალს, საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების გამო, საფრანგეთში ევაკუირებულმა მენშევიკურმა მთავრობამ გაიტანა საბანკო ვალუტა, ისტორიისა და კულტურის სამუზეუმო განხეულობა და ხელნაწერები. საქართველოს სიწმიდეებსა და საგანძურს მცველად გაჰყვა ექვთიმე თაყაიშვილი, მეუღლით. „ძალაუნებურად მომიხდა ემიგრანტობა, რათა არ მოვმორებოდი ჩვენი ერის სასიქადულო კულტურულ საგანძურს, დამეცვა იგი ყოველგვარი საფრთხისაგან,“ – წერდა წმიდანი. საფრთხეკი ბევრი იყო: ბრიტანეთის და ნიუ-იორკის მუზეუმებს ექსპონატების შესყიდვა სურდათ, გრაფ ოხოლენსკის ქვრივს, სალომე დადიანს, სასამართლოში აღუძრავს საქმე – საქართველოს ეროვნული განძის საგრძნობი ნაწილის ერთადერთ კანონიერ მემკვიდრედ ასაღებდა თავს, ფაშისტებსაც გაუჩინებენ ექვთიმეს ბინა, ბოლოს კი თავად საფრანგეთის მთავრობას განცხადებია განძიებრენზია.

1935 წელს საქართველოს ყოფილმა მთავრობამ უარი განაცხადა განხეულის მეურვეობაზე და მისი დაცვა მთლიანად ექვთიმე თაყაიშვილს დააკისრა.

ექვთიმე უკიდურეს გაჭირვებაში იმყოფებოდა. 1931 წელს გარდაეცვალა მეუღლე. მარტო დარჩენილი ექვთიმე შიმშილის და ავადმყოფობისგან ბევრ-



ჯერ დაღუპვის პირამდეც მისულა, მაგრამ ლმრთისა და ერისაგან დაკისრებული მოვალეობისთვის არ უღალატია.

1945 წელს, მეორე მსოფლიო ომში საბჭოთა კავშირის გამარჯვების შედეგად, ხელსაყრელი პირობები შეიქმნა განძის საქართველოში დასაბრუნებლად. საფრანგეთისა და საბჭოთა კავშირის მთავრობის მოლაპარაკების შემდეგ, საქართველოს მთელი საგანძურო ამერიკულ თვითმფრინავზე დაიტვირთა და მცველების თანხლებით გადმოიგზავნა საქართველოში.

თბილისში თვითმფრინავი 11 აპრილს დაეშვა. ექვთიმემ ქართულ მიწაზე ფეხი რომ ჩამოდგა, ზეცას შეხედა, მერე მარჯვენა ხელით აიღო მიწა და ეამბორა მას. პატივით მიიღეს ერისთვის დამაშვრალი მოღვაწე, აღა-დგინეს თბილისის უნივერსიტეტში პროფესორად, აირჩიეს აკადემიის წევრად, განახლდა უცხოეთში განაწამები მისი გული. ექვთიმემ მოიკრიბა უკანასკნელი ძალები და კვლავ ჩაერთო საზოგადოებრივ ცხოვრებაში.



ნმიდა ექვთიმე თაყაიშვილი
სიცოცხლის უკანასენელ ნლებში

შინაპატიმრობა ჰქონდა და ბევრი ამის გამო მასთან მისვლას ვერ ბედავდა. თანამშრომლებსაც აუკრძალეს ექვთიმეს მონახულება და მასთან კავშირი.

1953 წლის 21 თებერვალს წმიდა ექვთიმემ სული უფალს შეჰვედრა. 24 თებერვალს მცირერიცხოვანმა პროცესიამ მიაცილა წმიდანი ვაკის სასაფლაომდე.

1963 წლის 10 თებერვალს, ექვთიმე თაყაიშვილის დაბადების ასი წლისთავთან დაკავშირებით, მისი ნეშტი დიდუბის პანთეონში გადაასვენეს ისე, რომ კუბოც არ აღმოჩნდა გამოსაცვლელი. ექვთიმეს ტანსაცმელი და ფეხსაცმელიც დაცული ყოფილა. 1987 წლის 22 თებერვალს ლევილიდან თბილისში ჩამოასვენეს და მეუღლის გვერდით დაასაფლავეს ნინო პოლტორაცყაია—თაყაიშვილის ნეშტიც.



ღირსი ევაგრე იყო ციხედიდის
მთავარი და ფარსმან ქართლის
მეფის სპასპეტი. ერთხელ ევაგრე
სანადიროდ წავიდა სარკინეთის
მთაზე, სადაც ღირსი შიო მღვი-
მელი მოღვაწეობდა. ნადირო-
ბისას მხლებლები დაიფანტნენ.
მარტო დარჩენილმა ევაგრემ
დაინახა უცხო ფრინველი, რომე-
ლმაც ნისკარტით რაღაც მიიტანა
გამოქვაბულში. ევაგრემ დაიმახ-
სოვრა ის ადგილი, სადაც ფრინ-
ველი მიფრინდა, მეორე დღეს
მოიძია და იხილა გამოქვაბულში
დაყუდებული ბერ-მონაზონი. გა-
ოცებულმა ევაგრემ ვინაობა
გამოჰკითხა განდეგილს. ღირსმა
შიომ უთხრა: „კაცი ვარ უცხო და
ქრისტეს მოსავი, და ვარ ქუაბსა
ამას შინა მცირესა, რათა დაყუ-
დებით ალვასრულნე დღენი ცხორებისა ჩემისანი და ესრეთ
უშფოთველად სათნო ვეყო ღმერთსა“. საოცარი სახილველით
გაკვირვებულმა ევაგრემ ღირს შიოს უთხრა: „ცხოველ არს უფალი,
არა დაგიტეო შენ და არცა წარვიდე სახედ ჩემდა“. შიომ ევაგრეს
ურჩია, გადაეფიქრებინა გადაწყვეტილება, რადგან ფუფუნებაში
აღზრდილი, მეუდაბნოეობის სიმძიმეს ვერ იტვირთებდა. მაგრამ ევა-
გრემ მტკიცედ მიუგო: „დაღაცათუ დღესვე იყოს სიკუდილი ჩემი შენ
თანა, არა დაგიტეო“.

შიომ კვერთხი მისცა ევაგრეს და უბრძანა: „კუერთხი ესე ჩემი ჩაყავ
მტკუარსა, ხოლო იგი გზას გცემს და განვედ ჭმელად, და წარვედ სახედ
შენდა და ყოველივე საცხოვრებელი შენი განაგე და წარმოვედ და,
ვითარცა მოიწიო მტკუარსა ზედა, კუალად ჩაყავ კუერთხი ჩემი და
უკუეთუ გზა გცეს, მოვედ ჩემდა და უკუეთუ არა გზა გცეს, წარვედ
შინა, რამეთუ არა სთნავს ღმერთსა საქმე ეგე, რომელსა ჰლამი“. ევა-
გრემ მიიღო შიოს კვერთხი და მდინარეს შეახო. მტკუარი გაიპო და
მშვიდობით გავიდა მდინარის მეორე ნაპირზე.

ევაგრემ თავისი ქონება გლახაკებს დაურიგა, სახლეულს



გამოემშვიდობა და მამა შიოსთან დაბრუნდა. მტკვართან კვლავ აღსრულდა სასწაული: მდინარე ორად გაიპო და ანგელოზებრივი ცხოვრების გზაზე შემდგარი მოღვაწე გაატარა.

ღირსმა შიო მლვიმელ-მა ღმერთის მიერ მინიშნებულ ადგილას ეკლესია ააგო. მალე ღირსი მამების ღვანწლი გაცხადდა და სარკინეთის მთას მრავალ-მა ქრისტიანმა მიაშურა. ფარსმან მეფემ თავად მოინახულა ღირსი შიოს უდაბნო. მეფეს უნდოდა, ევაგრე ისევ საერო სამ-სახურში დაებრუნებინა, მაგრამ ევაგრემ მეფეს მონაზვნური სიმშვიდით მოახსენა: „ჰო, მეფეო, რად მაწუხებ დაბადებულსა ღმრთისასა, რათა შევირაცხო მსგავსად ძალლთა, კუალად მიქცეულთა ნათხევარსავე”.

ფარსმანმა ღირსი შიოს გამოქვაბული მოინახულა და როცა საკვირველი მადლით განათებული შიოს სახე იხილა, სამეფო გვირგვინი მოიხადა და საკვირველი ბერის წინაშე დაიჩოქა.

შიომ აკურთხა ფარსმან მეფე და თავისი ხელით დაადგა თავზე გვირგვინი. ფარსმანმა ოთხი დაბა, ოცდაათი ლიტრა ოქრო, ოქროს ბარძიმ-ფეშუმი და მონასტრისთვის საჭირო სხვა-დასხვა ნივთები შესწირა უდაბ-ნოს. შესანირავთა შორის იყო მეფე ვახტანგ გორგასლის მიერ შემკობილი სახარებაც.



მღვმესა შინა, რომელი შევმზადე საყოფელად და საფლავად ჩემდა”. ძმებმა სთხოვეს შიოს თავად დაედგინა მათთვის წინამძღვარი. შიომ



ლირსი ევაგრე გამოარჩია და საძმომაც ერთხმად მიიღო წმიდა შიოს კურთხევა. მშვიდსა და მდაბალ ევაგრეს ეძნელებოდა ძმათა წინამძლვრობა: „ვერ შემძლებელ ვარ ჯერისაებრ სრულ ქმნად მსახურებასა ძმათასა, ვინაცა ნუ მაიძულებ მე ხელ ყოფად საქმესა ამას, უზეშთაესსა ძალისა ჩემისასა, რამეთუ კაცი უმეცარი ვარ და უძლური ტვირთვად ესე ოდენთა მონაზონთა ჯეროვანსა მეურნეობასა”, — შეევედრა შიოს ევაგრე. შიომ დაამშვიდა ევაგრე: „უკუეთუ მორჩილ გუექმნა, ფრიადი სასყიდელი მიიღო ღმრთისაგან და ნეტარება მორჩილთა დაიმკვდრო დიდებასა მას უხილავსა”. ევაგრემ მორჩილებით მიიღო მოძღვრის კურთხევა. იგი, ღმრთის შენევნით და მამა შიოს ლოცვით, სიცოცხლის ბოლომდე ბრძნულად განაგებდა მონასტერს.

წმიდა ელია დიაკონი იყო იოვანე ზედაზნელის უახლოესი მონაცე და მასთან ერთად მოღვაწეობდა ზედაზნის მთაზე. ზედაზენი ტყიანი და უწყლო ადგილი იყო, მრავალი განსაცდელების დათმენა და წინააღმდეგობების გადალახვა მოუხდათ წმიდა მამებს. მკაცრ მარხვასა და განუწყვეტლივ ლოცვასთან ერთად მათ მძიმე ფიზიკური შრომაც უწევდათ. ელია დიაკონს ყოველდღე ამოჰქონდა არაგვიდან წყალი. ერთ დღეს ჭურჭელი გაუტყდა და ძალიან დამწუხრდა. იოვანეს ლოცვით, ღმერთმა, მათ საცხოვრისთან ახლოს, წყარო აღმოაცენა. „დღესა ერთსა ნეტარი ელია დიაკონი მივიდა წყაროსა მას ღმრთივმოცემულსა მოღებად წყლისა და მუნ დგა წყაროსა მის თანა



დათვი... და შეეშინდა ფრიად ნეტარსა ელიას და გარეიქცა და უთხრა დიდსა იოვანეს“. იოვანეს ლოცვით დათვი მოშინაურდა და ნეტარი ელიას თანამსახურად იქცა. მამების სიწმილემ მხეცთა ბუნებაც კი შესცვალა. გადმოცემით, ამის შემდეგ, ზედაზნის ტყეში მცხოვრები დათვები აღარ ვნებენ შინაურ პირუტყვს და არც არავინ ნადირობს დათვებზე ზედაზნის ტყეში.

ზედაზნის მთაზე მცხოვრები მამების სიწმიდემ და მათ მიერ აღსრულებულმა სასწაულებმა უამრავი ადამიანი მიიზიდა მონასტერში. წმიდა ელია დიაკონი სიცოცხლის ბოლომდე ზედაზნის მონასტერში ცხოვრობდა და მშვიდობით აღესრულა სულიერი მოძღვრის, წმიდა იოვანე ზედაზნელის გარდაცვალების შემდეგ.



მონამე აბო ტფილელი დაიბადა არაბეთში 750 წლის ახლო ხანებში. აბოს მშობლები დახელოვნებულნი იყვნენ ნელსაცხებელთა დამზადებაში და აბოც ამ ხელობას დაეუფლა — „იყო ხელოვან კეთილად შემზავებელი სუნელთა მათ საცხებელთა და სწავლულ იყო მწიგნობრობათა სარკინოზთათა“.

არაბებს დაპყრობილი ჰქონდათ საქართველო და ყოველ ონეს ხმარობდნენ ქართველთა დასათრგუნად. ბევრი გადადრიკეს კიდეც ჭეშმარიტებისაგან მძლავრებითა და ცბიერებით. შიშისაგან განლეული ქვეყანა ირყეოდა, „ვითარცა ლერნამი ქართაგან ძლიერთა“. სამლდელოება და

ერის საუკეთესო შვილები ეძებდნენ გამოსავალს. 766 წელს კახეთის აჯანყება მტერმა სისხლში ჩაახშო, დამარცხდა აჯანყებული ქართლიც. აჯანყების ხელმძღვანელობა ქართლის ერისმთავარს ნერსეს დაბრალდა. არაბთა ამირამ, მუმნი აბდილამ, ის ბალდადში იხმო. სამი წელი გაატარა ნერსემ არაბთა ტყვეობაში. მან იქ გაიცნო ჩვიდმეტი წლის მენელსაცხებლე აბო, რომელიც განთავისუფლების შემდეგ თან წამოჰყვა ერისმთავარს — „წარმოვიდა აქა ნერსეს თანამგზავრ ქრისტეს სიყუარულისათვს“.

აბო გაკვირვებული იყო ქართველთა ზნეობით; იგი სწავლობდა ქართულ ენას, დადიოდა ეკლესიაში, ესაუბრებოდა სამლდელოებას. ის მთელი სულით ცდილობდა ქრისტიანობის მიღებას, მაგრამ „ვერ განაცხადებდა თავსა თვესა სრულად ქრისტიანედ, ხოლო ფარულად იმარხავნ და ილოცავნ ქრისტეს მიმართ და ეძიებდა ადგილსა კრძალულსა სადამცა ნათელ-იღო ქრისტეს მიერ“.


არაბთა ამირა ძალიან განარისხა ნერსე ერისმთავის ქართულმა პოლიტიკამ, ნერსე იძულებული გახდა გაქცეულიყო ქვეყნიდან. მან ქართლის რჩეულ ერისმთავებთან ერთად მოახერხა დარიალის ხეობით ხაზარეთში გადასვლა.

ნერსე ერისმთავის თანმხლებ დიდებულებს შორის იყო წმიდა აბოც. ხაზარეთში ყოფნისას „ვითარცა იხილა ნეტარმან აბო, რამეთუ

განშორებულ არს შიშისაგან და მძლავრებისა სარკინოზთასა, ისწრაფა მან მიახლებად ქრისტესა და ნათელ იღო სახელითა მამისათა და ძისათა და სულისა წმიდისათა ხელითად პატიოსანთა მღდელთათა“.

ხაზარეთიდან, აბო, ნერსესთან ერთად გადავიდა აფხაზეთში, სადაც უშიშრად შეიძლებოდა ქრისტიანობის აღიარება და ნეტარი აბოც მაღლობდა ღმერთს ყველაფრისათვის.

შემდგომმა მოვლენებმა ნერსეს საშუალება მისცა და ისევ ქართლში დაბრუნდა. აფხაზთა მთავარმა სთხოვა აბოს, დარჩენილიყო აფხაზეთში: „მეშინის მე შენთვის, ნუუკუე კუალად



განგდრიკონ შენ სარწმუნოებისაგან ქრისტესისა ნებსით, გინა უნებლიერ და ესოდენი შენი წარწყმიდო”, — უთხრა მან აბოს. „განმიტევე მე, რათა ეუწყოს განცხადებულად ქრისტიანობად ჩემი ქრისტეს მოძულეთა მათ”, — უპასუხა ნეტარმა. სამი წელი მოღვაწეობდა აბო ტფილისში. ძველმა თანამემამულებმა დაასმინეს იგი და სატუსალოში ჩაგდეს, მაგრამ სტეფანოზ ერისთავის თხოვნით მალე გაათავისუფლეს.

ტფილისში ახალი ამირა დასვეს. ქრისტიანებმა გაიგეს, რომ ამირა შეპყრობას უპირებდა აბოს და ურჩიეს, დამალულიყო. აბომ კი, გახარებულმა, ასე უპასუხა: „მე არა ხოლო ტანჯვად განმზადებულ ვარ ქრისტესთვის, არამედ სიკუდიდცა.”

ამირას მსახურებმა შეიპყრეს ნეტარი აბო და მსაჯულს წარუდგინეს. ამირამ, აბოს სარკინოზთა სჯულზე დაბრუნება შესთავაზა, მაგრამ წმიდანი მტკიცედ იდგა ქრისტიანობაზე. განრისხებული მსაჯულის ბრძანებით, აბოს ხელ-ფეხზე ბორკილი დაადეს და საპყრობილები ჩასვეს. ქრისტესთვის დათმენილმა ჭირმა კიდევ უფრო მეტი სიყვარულით აღავსო ნეტარი, აბომ სთხოვა ქრისტიანებს, გაეყიდათ მისი სამოსელი, ეყიდათ სანთელ-საკმეველი და ქალაქის ეკლესიებისათვის შეეწირათ.

წამების დღეს აბომ იცხო ნელსაცხებელი, მიიღო ზიარება და განემზადა საწამებლად. „ნუ სტირთ ჩემ ზედა, არამედ გიხაროდენ, რამეთუ მე უფლისა ჩემისა მივალ, ლოცვით წარმგზავნეთ და

მშვიდობამან უფლისამან დაგიცვენინ თქუენ”, — ამხნევებდა აბო მისი მოსალოდნელი სიკვდილით დამწუხრებულ ქრისტიანებს.

სასიკვდილო განაჩენის მოსმენის შემდეგ აბომ მშვიდად დაიწყო გულზე ხელები და მოუდრიკა ქედი მახვილს. ჯალათებმა სამჯერ მსუბუქად დაჰკრეს მახვილი იმ იმედით, რომ სიკვდილის შიშით წმი-დანი უარყოფდა ქრისტეს, მაგრამ აბო ბოლო წუთებშიც მხნედ იდგა.

უსჯულოებმა თავი მოჰკვეთეს აბოს, სხეული შესამოსელთან და მისივე სისხლით გაუღენთილ მინასთან ერთად ტომარაში ჩადეს, ქალაქიდან გაიტანეს და მტკვრის პირას დაწვეს. „ხოლო ძუალთა მათ წმიდისათა, რომელთა ვერდარაუძლეს დაწუად, შთაკრიბნეს ტყავსა ცხოვარისასა და შეკრეს მტკიცედ და მოიხუნეს და შთაყარნეს დიდსა მას მდინარესა... და იქმნა წყალი იგი მდინარისად მის წმიდათა მათ ძუალთა სამოსელ გარეშეხუევითა მით და სიღრმე იგი წყალთად საფ-ლავ წმიდისა მის მარტვრისა, რათა არავინ უდებად მიეახლოს მას“. ლამით, წმიდა აბოს წამების ადგილს და მდინარე მტკვარს, რომელმაც მისი წმიდა ნაწილები შეიწყნარა, ზეციური ნათელი დაადგა.



წმიდა აბო ტფილელის სახელობის ტაძარი
თბილისის მეტეხის ხიდთან

მოციქულთასწორი ნინო,
ძართველთა განეანათლებელი (IV)
14 (27) იანვარი



წმიდა ნინო დაიბადა კაპადოკიის ქალაქ კოლასტრეში 310 წლის ახლო ხანებში. ნინო სახელგანთქმული მშობლების რომის მხედართმთავრის ზაბილონის და იერუსალიმის პატრიარქის, იუბენალის დის, სოსანას, ერთადერთი ასული იყო. როდესაც ნინოს თორმეტი წელი შეუსრულდა, მშობლებმა ყველაფერი გაყიდეს და იერუსალიმში გადასახლდნენ.

ზაბილონმა მონაზენად აღკვეცა გადაწყვიტა, გამოემშვიდობა ოჯახს და იორდანის უდაბნოს მიაშურა სამოღვაწეოდ. ქრის წავლის შემდეგ სოსანა პატრიარქმა იუბენალმა დიაკონისად აკურთხა, ნინო კი აღსაზრდელად მისცა მოხუც ქალს, სარა ნიაფორს. აღმზრდელი ნინოს უამბობდა იესუ ქრისტეს მინიერი ცხოვრებისა და წამების

ამბავს. უამბო ცხოველმყოფელი ჯვარის შესახებ, რომელიც იერუსალიმში იყო დამარხული და რომლის ადგილსამყოფელიც იმ დროისათვის არავინ იცოდა. უამბო იესუ ქრისტეს კვართის შესახებ, რომელიც „ხუდა წილითა მით ჩრდილოელთა მცხეთელთა მოქალაქეთა“.

იერუსალიმში ჩასული ელენე დედოფლის მსახური ქალისგან შეიტყო წმიდა ნინომ, რომ დედოფლალს „აქუს დიდი წადიერება ქრისტეს სჯულისა და წათლობისათვის“ და გადაწყვიტა დედოფლალთან წასულიყო რომში და შემდგომ ქართლშიც განემტკიცებინა ქრისტეს სარწმუნოება.

პატრიარქმა იუბენალმა აღსავლის კარებთან დააყენა დისწული ნინო, ხელი დაადო თავზე და უფალს შეჰვდალადა: „უფალო, ღმერთო მარადისობისათვის, შეგავედრებ ობოლსა შვილსა დისა ჩემისასა და წარვავლინებ მას ქადაგებად ღმრთაებისა შენისა, რათა ახაროს აღდგომა შენი და სადაც სასურველი იყოს შენთვის მიმოსვლა და ქადაგება მისი, ექმენ, ქრისტე ღმერთო, მას მეგზურად, ნავთსადგურად, მოძღვრად და ენის შემამეცნებელად ისე, ვითარცა იქმოდი ამას ნინამორბედთა, მოშიშთა სახელისა შენისათა მიმართ“.

რომში ჩასული ნინო შეხვდა მეფის ნათესავს რიფსიმეს და მის დედამძუძე (გამზრდელ) გაიანეს, რომლებიც ქრისტეს სჯულზე მოაქცია. იმ დროს რომის იმპერატორი იყო ქრისტიანთა სასტიკი მდევნელი დიოკლეტიანე (284-305), რომელსაც გადაწყვეტილი ჰქონდა ცოლად შეერთო რიფსიმე.

წმიდა ნინო, რიფსიმე, გაიანე და მათთან ერთად ორმოცდაათი ქალწული სომხეთში გაიქცნენ. დიოკლეტიანემ მალემსრბოლები აფრინა ლტოლვილთა მოსაძიებლად, შემდეგ თრდატ სომეხთა მეფეს გაუგზავნა ეპისტოლე და უბრძანა: „მოიძიე იგი და რა იპოვნო, მხლებელნი მისნი სიკვდილით მოაკვდინე, ხოლო თვით ის, სახელად რიფსიმე, მე გამომიგზავნე. და თუ შენ გთნდეს, შენთვის დაიგულე, რამეთუ არავინ იპოვება სხვა მსგავსი იონთა ქვეყანაში“.

თრდატ მეფემ იპოვა ქალწულები, მოიხიბლა რიფსიმეს სილამაზით და თვითონ განიზრახა მისი ცოლად შერთვა. რიფსიმე არ დაემორჩილა მეფის სურვილს, რისთვისაც თრდატმა ანამა იგი დედამძუძე გაიანესა და სხვა ორმოცდაათ ქალწულთან ერთად. წმიდა ნინო ვარდის ბურქებში დაიმალა. უფალი სხვა ღვანლისთვის ამზადებდა მისი სიყვარულით ანთებულ ქალწულს.

ნინო მცხეთისაკენ გამოემართა. ივნისის თვე იყო, როცა იგი ფარვანის ტბას მიადგა. „ხოლო მოხედნა რა მუნით და იხილა მთანი ჩრდილოსანი: რამეთუ დღეთა მათ ზაფხულისათა იყვნეს სავსენი თოვლით და ჰაერითა სასტიკითა“. ნინომ მეთევზურთაგან ითხოვა საზრდელი და გაიცნო მწყემსები, რომლებიც არმაზისა და ზადენის კერპებს „აღუთქუმიდეს“ შესანირავს.

„რომლისა სოფლისანი ხარ“? ჰეითხა მათ ნინომ, მწყემსებმა ახლო სოფლები დაუსახელეს „დილისა ქალაქისა მცხეთისანი, სადა ღმერთები ღმერთობენ და მეფენი მეფობენ... ერთმა მათგანმა „ესრეთ-ოდენ აუწყა, რომელ მდინარე გასდის ტბასა ამას მცხეთის მისვლად“. ნინომ მდინარის სათავესთან „დაიდო ლოდი სასთუმალად დაწვა და დაიძინა“. ჩვენებაში წმიდანმა იხილა კაცი, რომელმაც მას წიგნი მიაწოდა „და ჰრქეუა: „მიართუ ესე მცხეთის მეფეს მას წარმართთასა“. შეშინებულმა ნინომ უარი შეჰკადრა, მაგრამ დარწმუნდა რა რომ „ზეცით იყო ჩვენებით იგი, და ალიხილა ზეცად და ხვალისაგან ითხოვა შეწევნად მისი“.

ნინო „მიუდგა გზათა ძნელთა და ფიცხელთა, ნახნა ჭირნი დიდნი გზათაგან და შიში დიდი მხეცთაგან და ურბისამდე მოაღწია „სადა-იგი იხილა ერი უცხოთა თესლთა ღმერთთა მსახური; რამეთუ ცეცხლსა, ქვათა, და ძელთა ღმერთად თაყუანის-ცემდეს“. ნინო იქ მცხოვრებ ებრაელებთან დარჩა მთელი თვე. შემდეგ თან გაჰყვა მცხეთაში სავაჭროდ და „ზორვად წინაშე არმაზ ღმრთისა მათისა“ წასულ ხალხს.

მცხეთაში ნინომ იხილა კერპებს შევედრებული ხალხი და მოგვთა სიმრავლე „და ტიროდა ნინო წარწყმედასა მას ზედა მათსა“. მეფე და ყოველი ერი შიშით ძრნოდა კერპთა ნინაშე. შენუხდა ქალწული: „უფალო, მოხედენ წყალობით ამათ ზედა ნათესავთა, რათა ყოველმან ერმან მხოლოსა ღმერთსა თაყვანის გცენ იქსუს მიერ ძისა შენისა“, — შეპლა-ლადა მან ღმერთს. დაპბერა საშინელმა ქარმა, წამოვიდა სეტყვა და შეიმუსრა კერპები. შეშინებული ხალხი სხვადასხვა მხარეს გაიფანტა.

მცხეთაში ნინო სამეფო ბალის მომვლელის სახლში დაემკვიდრა. ბალის მცველის უშვილო ოჯახს ნინოს ლო-ცვით ღმერთმა შვილი მიჰმად-ლა. გახარებულმა ცოლ-ქმარ-მა აღიარეს ქრისტე და დაე-მონაფნენ ნინოს. ქალაქის ზღუდის გარეთ, სადაც დღეს მცხეთის სამთავროს დედათა მონასტერია, ნინომ იპოვა მაყვლოვანის დიდი ბუჩქი, „შექმნა ჯუარი ნასხლევისა და აღმართა ქოჩისა მას ქუეშე, და მარადის ილოცავნ დღე და ღამე დაუცხრომელად და მსახურობდნეს ცოლ-ქმარი იგი და იყვნენ დაკვირვებულ ღუანლთა მისთა, მარხვასა და ლოცვასა, და მღვიძარებასა“. ნინო ხშირად დადიოდა ებრაელთა უბანში „რათამცა ცნა საქმე კუართისა მის“. იქ მან გაიცნო ებრაელი ქალწული — სიდონია და მისი ძმა — ებრაელთა მღდელი აბიათარი.

აბიათარმა, სიდონიამ და კიდევ რამოდენიმე ებრაელმა, ნინოს ქადაგებით ირწმუნეს, რომ იქსუ ქრისტე არის ჭეშმარიტი მესია და განკაცებული ღმერთი, მაგრამ რაკი ქალაქში ქრისტიანი მღდელი არ იყო, ნათლობის საიდუმლო არ შეუსრულებით.

ურიებმა აბიათარის ქვით ჩაქლოვა განიზრახეს, მაგრამ მეფე მირი-ანმა დაიცვა აბიათარი. ნინო კვლავინდებურად „ილოცვიდა დაუ-ცხრომელად საყუდელსა მას თვისისა მაყუალთა მათ ქუეშე. და დაკვირვებულ იყვნენ წარმართნი იგი ლოცვასა მისსა და მღვიძარებასა“. სამი წლის განმავლობაში ნინომ მრავალი მონაფე გაიჩინა. ურიები და მოგვები ვერ ბედავდნენ ქრისტიანთა დევნას, რადგან მირიან მეფე უთანაგრძნობდა მათ. „ხოლო ნანა დედოფალი გულფიცხელ იყო უმეტეს და შეურაცხჲყოფდა ქადაგებასა მას“.





ნინოს ჯვარი

ნანა დედოფალი სასიკვდილოდ დას-ნეულდა. სასოწარკვეთილი დედოფლის მსახურნი ნინოსთან მივიღნენ, აუნეს ყოველივე და სასახლეში გაყოლა სთხოვეს. „არა ბრძანებულ არს ჩემდა, რათა განვიდე, სადა შვება ჩვენი არა არს, არამედ დედოფალი მოვედინ საყ-ოფელსა ამას ჩემსა და ჭეშმარიტად განიკურნოს ძალითა ქრისტესითა“, — უპასუხა ნინომ. დედოფალი ნანა და-მორჩილდა მოციქულთასწორის ბრძა-ნებას და თვითონ ეახლა ნინოს. წმიდა ნინომ ილოცა, ჯვარი გადასახა და განკურნა დედოფალი. ამის შემდეგ ნანამ ალიარა ქრისტე. უამრავი სას-ნაულებრივი კურნებები აღესრუ-ლებოდა ნინოს ლოცვით. მცხეთაში იმდენად გამრავლდნენ ნინოს მოწა-ფეები, რომ მოგვები და ურიები ყოველ-ნაირად ცდილობდნენ მეფის ნინაშე სახელი გაეტეხათ ქრისტეს მიმდევ-რებისთვის.

ერთხელ მეფე მირიანი სანადიროდ წავიდა, მას გადაწყვეტილი ჰქონდა,

მცხეთაში დაბრუნებისთანავე ამოენყვიტა ქრისტეს მოსავნი, მათ შორის თავად ნანა დედოფალიც, თუ ის არ დატოვებდა ქრისტეს სჯულს. ნადირობისას მოულოდნელად მზე დაბნელდა. მარტო დარჩენილი მირიან მეფე დიდხანს ამაოდ უხმობდა შემწედ კერპებს. როცა იმედი გადაუწყდა, ქრისტეს შეევედრა: „ლმერთო ნინოსაო, განმინათლე ღამე ესე და მაჩვენე საყოფელი ჩემი და აღვიარო სახელი შენი, აღვმართო ძელი ჯუარისა და თაყვანის-ვსცე მას, აღვაშენო სახლი სალოცველად ჩემდა და ვიყო მორჩილ ნინოსა სჯულსა ზედა ჰრომთასა“. მაშინვე გამობრნყინდა მზე. გახარებულმა მირიანმა მად-ლობა შესწირა ქვეყნიერების შემოქმედს. მცხეთაში დაბრუნებულმა მეფემ ინახულა წმიდა ნინო და აუნყა განზრახვა — მიეღო ქრისტიანო-ბა და მთელი ერიც მოენათლა.

ნინოს რჩევით მირიან მეფემ ბიზანტიის იმპერატორ კონსტანტინე დიდთან გაგზავნა მოციქულები, ნინომ წერილიც გაატანა ელენე დედოფალთან და „ითხოვნეს მოსწრაფებით მღდელი ნათლისღე-ბისათვის... ხოლო წმიდა ნინო და მოწაფენი მისნი ქადაგებდეს ერსა მას

ზედა დღე და ღამე დაუც ხრომელად, და უჩუენებდეს გზასა ჭეშმარიტსა სასუფე-ვლისასა". მღდლების ჩამოს-ვლამდე მირიან მეფემ ნინოს ჰკითხა თუ სად ჯობდა „აღშე-ნებად სახლსა ღმრთისასა" ნინომ თავმდაბლად უპასუხა: „სადაცა მეფეთა გონება მტკი-ცე არს". მირიან მეფემ ეკლესი-ის აშენება გადაწყვიტა და ბრძანა მის ბაღში მდებარე საუკეთესო ნაძვის ხეები მოე-ჭრა მშენებლობისათვის.

ბალის ერთ-ერთი უმშე-ნიერესი ნაძვის ხისგან მეფის ბრძანებით ეკლესიის შვიდი სვეტი შეამზადეს. მათ შორის ყველაზე დიდი „რომელი საკ-ვირველ იყო ხილვითა. საშუელ ეკლესიისა შესაგდემელად გან-მზადებული, ვერ შეუძლეს აღმართებად მისა". ხალხი გაკვირვებული იყო ამ სასწაულით, დამწუხრდა მირიან მეფეც, „ხოლო წმიდა ნინო... სანატრელი იგი გოდებდა სეუტსა მას ზედა და ადინებდა ცრემლთა მისთა". იმ ღამეს წმიდა ნინოსთან მყოფმა დედებმა, ჩვენებით იხილეს რომ დაინგრა არმაზისა და ზადენის მთები, რომელმაც შეაგუბა მტკვარი და ქალაქი დატბორა. შეშინებულ დედებს ნინომ აუხსნა ჩვენება: — „ხოლო ესე რომელ, რეცა მთანი დაი-რღვეს, სამართლად გეუჩუენების, რამეთუ ურნმუნოებისა მთანი დაირ-ღვეს ქართლს შინა". ნინო გულმურ-ვალედ ლოცულობდა „რათა არა დაე-ბრკოლოს საქმე ესე, რომელსა წარ-მართებულ არს მეფე".



მცხეთა. მაყვლოვანის მცირე ეკლესია



დილით, როდესაც ყველას ეძინა, ხელაპყრობით მლოცველ წმიდა ნინოს „ზედა მოადგა ჭაბუკი ერთი ყოვლად ნათლითა შემკობილი, შე-

ბრადღნილ ცეცხლითა ზენრითა და ჰრქუა რამე სამნი სიტყვანი... და ჭაბუკმან მან შეჰყო ხელი სუეტსა მას და აღმართა და წარილო სიმაღლესა შინა, სუეტი ცეცხლისებრ ბრნებინუალებით გარდამოვიდა და დაადგრა მეფის ბალში მოჭრილ ნაძვის ხის ძირს. მეფე-დედოფალი და მთელი ერი შეიკრიბა ამ სასწაულის სახილველად „და იქმნეს სასწაული დიდნი მას დღეთა შინა“.

საბერძნეთში ჩასული ქართველები სიხარულით შეიწყნარა იმპერატორმა კონსტანტინე დიდმა და თან იოვანე ეპისკოპისი გამოაყოლა ორი მღდელითა და სამი დიაკონით. მცხეთაში ჩამოსულ ბერძენ სამღდელოებას მიეგება მეფე-დედოფალი და მთელი ერი. მეფე მირიანის მიმრქუმელად თვითონ ნინო დადგა — „ნათელ იღო მეფემან ხელსა ქუეშე წმიდისა ნინოსა, და შემდგომად დედოფალმან შვილთა მათთა

ხელსა ქუეშე მათ მღდელთა და დიაკონთა. და შემდგომად ამისა აკურთხეს მდინარე, მტკუარი და ეპისკოპოსმან შემზადა ადგილი ერთი... და მუნ ნათელს-სცემდა წარჩინებულსა თვთოსა და ეწოდა ადგილსა მას მთავართა სანათლო. ხოლო ქუემოთ მისსა, მდინარისავე პირს, ორგან, ორნი იგი მღდელი და დიაკონი ნათელს-სცემდეს ერსა“.

ანდრია მოციქულის დაფუძნებული საქართველოს ეკლესია, ალორძინდა და სახელმწიფოებრივი სტატუსი მოიპოვა წმიდა ნინოს ღვანლით. ამიტომაც, საქართველოს სამოციქულო ეკლესია წმიდა ნინოს

მოციქულთასწორს უწოდებს. ნინოს მოღვაწეობასთანაა დაკავშირებული მტკურისა და არაგვის შესართავს ზემოთ, ჯვარის მონასტრის ადგილას, თხოს მთაზე და უჯარმაში სასწაულთმოქმედი ჯვრების აღმართვა.

წმიდა ნინო და ეპისკოპოსი იოვანე მხნედ ქადაგებდნენ სარწმუნოებას მთელს ქართველურ ტომებში. ერთ-ერთი ასეთი მოგზაურობის დროს კახეთში, დაბა ბოდინში (ახლანდელი ბოდბე), წმიდა ნინო დასწეულდა. მეფე-დედოფალი და ეპისკოპოსი იოვანე ევედრებოდენ ნინოს მცხეთაში სამეფო სასახლეში დაბრუნებულიყო, მაგრამ ნინომ არ ინება. „მაშინ წარვიდა თვთ მეფე და სიმრავლე ერისა, და შეკრპა მის



ზედა სიმრავლე ერთა ძლიერთა, რამეთუ ხედვიდა ყოველი ერი პირსა ნინოსსა, ვითარცა პირსსა ზეცისა ანგელოზისასა, და მოსწყუედდიან ფესუსა სამოსლისა მისისასა, მიიღებდეს და ემთუხუეოდის სარწმუნოებით". იოვანე ეპისკოპოსმა აზიარა წმიდა ნინო და „შევეძრა სული თვისი მეუფესა ცათასა ქართლად მოსლვისაგან მისით მეთოთხმეტესა წელსა, ქრისტეს ამაღლებითგან სამას ოცდა-თურამეტსა წელსა და ანდერძისაებრ „დამარხეს ძლევით მოსილი გუამი მისი... დაბასა ბოდისასა“.



ბოდბის მონასტერი

ნმიდა სალომე უჯარმელი ღა
კეროზავრა სივნიელი (IV)
15 (28) იანვარი



წმიდა სალომე უჯარმელი სომეხთა
მეფის თრდატის ასული იყო.

ბიზანტიის იმპერატორმა კონსტანტინე დიდმა სპარსელებზე გამარჯვების შემდეგ პოლიტიკური მოსაზრებით „დაამოყურნა თრდატ და მირიან, და ამზახნა ურთიერთას, რამეთუ მისცა თრდატ ასული თვისი, რომელსა ერქუა სალომე, ძესა მირიანისასა ცოლად, რომელსა ერქვა რევ“.

მირიან მეფემ რევს და სალომეს „მისცა საუფლისნულოდ კახეთი და კუხეთი, და დასუა იგი უჯარმას... და ცხონდებოდნენ ისინი უჯარმას. მას უამსა მოსრულ იყო წმიდა და ნეტარი დედა და ემბაზი ჩუენი ნინო“, რომლის მოღვა-

წეობით მირიან მეფემ და მთელმა ქართლმა მიიღო ქრისტიანობა. წმიდა სალომემ სიხარულით შეიწყნარა ქრისტეს სჯული და ყოველმხრივ ცდილობდა შეწეოდა წმიდა ნინოს სამოციქულო მოღვაწეობაში. ზეგარდამო გამოცხადებითა და წმიდა ნინოს კურთხევით მცხეთის სასწაულმოქმედი სამი ჯვარიდან ერთი მიეცა „სალომეს მხევალსა ქრისტესა“ რათა „აღმართოს უჯარმას ქალაქსა“.

სალომემ შეიტყო, რომ ბოლდებში მყოფი წმიდა ნინო დასხეულდა და სასწრაფოდ წავიდა მის სანახავად, თან მეფე მირიანსა და დედოფალ ნანას აცნობა ამის შესახებ.

სალომე სხვა დედოფლებთან ერთად გვერდიდან არ შორდებოდა ნინოს, სარწმუნოებით „ემთხუეოდა ფესუსა სამოსლისა მისისასა“, ცხარედ ტიროდა „განშორებისათვის მოძლურისა მათისა და მოღუანებისა“.

დედოფლებს შორის იყო ქართლის ერისმთავრის მეუღლე წმიდა პეროჟავრა სივნიელი. მათ ოხოვეს წმიდა ნინოს, მოეთხოვო მისი ცხოვრების შესახებ, „და იწყო სიტყუად წმიდა ნინო, ხოლო იგინი წერდეს“. ამ წერილშია დაც-



ული სულიერი სახე ამ ორი წმიდა დედოფლისა რომელთაც ასე მიმართა წმიდა ნინომ: „ასულნო სარწმუნოებისანი, მახლობელნო დედოფალნო ჩემნო. გხედავ თქუენ, ვითარცა პირველთა მათ დედათა, ყოველთა სარწმუნოებასა ზედა ქრისტესსა... რათა უწყოდიან შვილთაცა თქუენთა სარწმუნოებად თქუენი, და შენყნარებად ჩემი, და სასწაულნი ღმრთისანი, რომელ გიხილვიან“.

სალომე უჯარმელმა და პეროუავრა სივნიელმა ჩაიწერეს პირველად წმიდა ნინოს ცხოვრება და მხნედ გააგრძელეს მოციქულთასწორის



მიერ კურთხეული წმიდა საქე — იბერიის ერთიან სახელმწიფოში, ერთი წმიდა კათოლიკე და სამოციქულო ეკლესიის აღორძინება-განმტკიცება.

სალომე უჯარმელმა წერილობითი ალთქმა მისცა და ერთგულების ფიცი დაუდო მეფე მირიანის მემკვიდრე ბაქარს — „ვიდრემდის იყოს ნათესავი ბაქარისი, რომელსაც ეძლოს პყრობად მეფობისა, მისი იყოს მეფობა, და არაოდეს ძებნონ მეფობა ნათესავთა რევისათა“.

წმიდა დედოფლები — სალომე უჯარმელი და პეროუავრა სივნიელი მშვიდობით აღესრულენ მეოთხე საუკუნის მეორე ნახევარში.



უჯარმის ციხე-სიმაგრე



ღირსი ეფრემ მცირე დაიბადა 1025 წლის ახლო ხანებში.

1027 წელს საქართველოს მეფის ბაგრატ IV-ის ტახტზე ასვლისას, საბერძნეთში საცხოვრებლად წავიდნენ ტაოელი აზნაურები. მათი სამშობლოდან აყრის მიზეზი იყო საქართველოსა და ბიზანტიის შორის ჩამოვარდნილი შუღლი „ზემო ქვეყანათა”, ანუ ტაოკლარჯეთის მინების გამო და ის შინააშლილობა, რაც ამ პოლიტიკურ დაძაბულობას მოჰყვა. აზნაურთა შორის იყვნენ „ვაჩე კარიჭის ძე და ბანელი ეპისკოპოზი იოვანე”. მკვლევრები მიიჩნევენ, რომ ეფრემ მცირე იყო ვაჩე კარიჭის ძის შვილი.

ეფრემმა კონსტანტინოპოლიში მიიღო ბერძნული განათლება და ზედმინევნით შეისწავლა ბერძნული ენა, შემდგომ კი ანტიოქიის მახლობლად მდებარე შავ მთას მიაშურა სამოღვაწეოდ. იმ დროს იქ სამოცამდე ქართველი ბერ-მონაზონი ცხოვრობდა და დიდი ლიტერატურული მოღვაწეობა იყო გაჩაღებული.

შავ მთაზე მისული ეფრემი თავდაპირველად იქაურ ქართველ მოღვაწეებს დაემონაფა. თავის „მოსახსენებელში” ღირსი ეფრემი ამბობს, რომ საბა თუხარელმა „ქრისტეს მიმსგავსებულითა სახი-ერებითა მიტკრთა ჟამსა სიუცბისა და სიჭაბუკისა ჩემისასა და სხუათავე ქველისმოქმედებათა თანა ესეცა აჩუენა ჩემზედა, რომელ ბერძულისაცა წიგნთა კითხვისა სწავლად იღუანა ჩემთვს ადგილსა შინა ჯეროვნად მომზავებულსა, რომელ არს მონასტერი წმიდისა სკმეონ საკურველთმოქმედისაც”.

ეფრემ მცირემ საბა თუხარელისაგან შეისწავლა საეკლესიო წიგნების კითხვის წესი. საკმაოდ დავალებულად მიიჩნევს თავს ეფრემი იოვანე ფარაკნელისაგანაც. ერთ ანდერძში ეფრემი გვაუწყებს: „ვიდრედა იგი ჯერეთ ჩუენ თანა იყო ნეტარი იგი და ყოვლად რჩეული მოღუაწეთა შორის ბერი იოვანე ფარაკნელი, მან... განკვეთილობის წიმნების გამოყენება მასწავლა”. ეფრემ მცირის ანდერძ-მინანერები მადლიერებით იხსენიებს შავ მთაზე მოღვაწე ქართველ მამებს: ანტონ

ტბელს, ეფრემ ოშკელს, არსენ იყალთოელს, სტეფანე ჭულეველს, იოვანე ფარაკნელს, მღდელ გაბრიელს და სხვებს.

განუზომელია ეფრემ მცირის ლვანლი ქართული სასულიერო და ფილოსოფიური მწერლობის წინაშე, მან ორმოცდაათამდე ბიზანტიელი ავტორის ასოციაციაზე მეტი თხზულება თარგმნა ბერძნულიდან ქართულად. ეფრემის შრომები ეხება საეკლესიო მწერლობის თითქმის ყველა დარგს. ეფრემმა შექმნა საკუთარი თეორია მთარგმნელობისა, რომელიც საფუძვლად დაედო შემდეგი დროის ქართულ მწერლობას. ამ თეორიას სამი არსებითი ნიშანი ახასიათებს: 1. თხზულება უნდა ითარგმნებოდეს აუცილებლად თავდაპირველი დედნიდან, იმ ენიდან, რომელზედაც იგი შეიქმნა; 2. შესრულებული თარგმანი ზედმინევნით ზუსტი უნდა იყოს, მაგრამ სიზუსტემ არ უნდა შელახოს იმ ენის ბუნება, რომელზედაც ძეგლი ითარგმნება; 3. თარგმანზე დართული უნდა იყოს სპეციალური კომენტარები, რომლებშიც განხილული იქნება თხზულებასთან დაკავშირებული ისტორიულ-გრამატიკულ-ტექსტოლოგიური საკითხები.

დედნის აზრის შესაგნებლად და გასაადვილებლად ეფრემ მცირემ შეიძულავა პუნქტუაციის ხმარების საკუთარი წესიც. როგორც თავად წერს, იგი წერტილს იყენებდა „მცირედ სასუენად, ორწერტილს განსაკუეთელად სიტყვისა და სამწერტილს დიდად სასუენად და ექუს წერტილს სრულიად დასაბოლოებლად და ახლად დასაწყებლად სიტყვისა.“



ეფრემს უთარგმნია დიონისე არეოპაგელის სახელით ცნობილი ხუთი თხზულება, ბასილი დიდის და ეფრემ ასურის „ასკეტიკონი“, ეპისტოლეთა და ფსალმუნთა კომენტარები, იოვანე დამასკელის „წყარო ცოდნისა“ და უამრავი სხვა. ეფრემ მცირის ორიგინალურ ნაშრომთაგან გამოირჩევა „უნებად მიზეზსა ქართველთა მოქცევისასა, თუ რომელთა წიგნთა შინა მოიხსენების“. მეთერთმეტე საუკუნის მეორე ნახევარში ანტიოქიისა და შავი მთის ბერძენი ბერ-მონაზვნები საქართველოს ეკლესიის დამოუკიდებლობას არ ცნობდნენ. სხვა მიზეზთა შორის ასახელებდნენ იმას, რომ თითქოს საქართველოში ქრისტიანობა არც ერთ მოციქულს არ უქადა-

გია. საჭირო გახდა საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის უფლების დაცვა-დადასტურება.

იქაურმა ქართველმა მოღვაწეებმა ეფრემ მცირეს დაავალეს ამ საქმის მოგვარება. ეფრემმა საგანგებოდ შეისწავლა ბერძნული წყაროები, „მცირედი სიტყუანი, ვითარცა თესლის მკრებელმან, მიმოგანთესულნი წმიდათა წერილთაგან“ ერთად შეკრიბა და საფუძვლიანად დაასაბუთა საქართველოს ეკლესიის სამოციქულო წარმოშობა და მისი ისტორიული ავტოკეფალური მართვა-გამგეობა.

ბერძნული წყაროებით ასაბუთებს ეფრემი ქართველთა შორის წმიდა ნინოს ქადაგების ფაქტს, კათოლიკოსთა ხელდასხმისა და მირონის კურთხევის ნებართვის მოპოვების თარიღს.

ეფრემ მცირე უდიდეს შეფასებას აძლევდა წმიდა ეფთვიმე მთაწმიდელის თარგმანებს და აღნიშნავდა, რომ ეფთვიმეს „მადლითა სულისა წმიდისათა წელ-ენიფებოდა შემატებაზცა და დაკლებაზცა“. ეფთვიმე ეკლესიის უდიდესი მამების ღრმა საღმრთისმეტყველო მოძღვრებას, მაგარი ღვინის მსგავსად, წყლით აზავებდა და „სიჩჩოებასა ჩუენისა ნათესავისასა სძითა ზრდიდა და მხლითა... ხოლო ან მის მიერ აღზრდილი ერი მისითვე მადლითა მტკიცისა საზრდელისა მოქენე იქმნა“.

ეფრემ მცირე ხშირად შენდობას ითხოვდა იმის გამო, რომ მას „პირველდამაშურალთა თარგმანთა გამოძიება“ და რედაქტირება უზდებოდა ქართული ტექსტების ბერძნულთან დაახლოების გამო.

შავ მთაზე ეფრემ მცირესთან დაეუფლა წმიდა არსენ იყალთოელი თარგმანების ხელოვნებას, რომელიც შემდგომში საფუძვლად დაედო გელათის მონასტრის საღმრთისმეტყველო-ლიტერატურულ სკოლას.

ეფრემ მცირეს არასოდეს დაუტოვებია შავი მთა. 1091 წლის ახლო ხანებში ის კასტანას მონასტრის წინამძღვრად აირჩიეს.

ღირსი ეფრემ მცირე გარდაიცვალა 1101 წლის ახლო ხანებში. რუის-ურბნისის საეკლესიო კრების (1103 წ.) აქტები ეფრემს მიცვა-ლებულთა შორის იხსენიებს.



ჭარი და, ამასთან, ფრიად განსწავლული კაცი, მცოდნე მრავალი აღმოსავლური ენისა, დიდად ღმრთისმოსავი.

ბიძასთან ყოფნის უამს ალექსი შეეჩინა ვაჭრებს და ძალიან მოეწონა ეს ხელობა, მაგრამ ღმრთის განგებამ სხვა გზა უჩივენა. ალექსიმ ბიძას გამოართვა იოვანე ნათლისმცემლის პატარა ხატი, თავის ოთახში განმარტოვდა და დაეწყო დიდი შინაგანი ბრძოლა — ცალკე საერო ცხოვრება იზიდავდა თავისი ახალგაზრდული სიამოვნებით, ოჯახისა და ტოლ-სწორებისადმი სიყვარულით, ცალკე კი უხილავი ძალა მოუწოდებდა წმიდა მონაზვნური ცხოვრებისაკენ. ასეთ ბრძოლაში გავიდა რამდენიმე საათი. ბოლოს ალექსიმ იკითხა: „რა ვუყო მამის ანდერძს, მან ხომ ოჯახი ჩამაბარა, რა ვუყო ჩემს ვალდებულებას?“ უხილავმა მოძღვარმა კითხვითვე უპასუხა: „ეხლა რომ მოკვდე, ვინ გაარიგებს შენს საქმეს?“ ალექსიმ მიუგო: „ღმერთი“ კვლავ გაისმა ხმა: „მაშინ შენც მოკვდი ღმრთისათვის საწუთროისაგან და ღმერთს მიანდევი ყოველივე შენი საქმე და იგი გაარიგებს.“ ამის შემდეგ ალექსი საოცრად გამოიცვალა — თითქმის გამუდმებით, თვეობით იჯდა თავის ოთახში, კითხულობდა საღმრთო წიგნებს და მკაცრად მარხულობდა. ალექსის ამგვარმა ყოფამ ბიძამისს კონსტანტინოპოლზე გული აუცრუა და მალე ყველანი საქართველოში დაბრუნდნენ.

ალექსიმ ოჯახს განუცხადა, რომ მონაზვნად აღკვეცის აღთქმა ჰქონდა დადებული და კურთხევა მათგან. დედამ მადლობა შესწირა

ღირსი ალექსი მღდელმოწაზონი (შუშანია) დაიბადა 1852 წლის 23 სექტემბერს სენაკის მაზრის სოფელ ნოქალაქევში, ღრმად მორწმუნე ქრისტიანების ოჯახში. შეიდი წლის ასაკში ალექსის სკოლაში შეიცვანეს, მაგრამ მალე მძიმედ დაავადდა, სწავლა ვეღარ გააგრძელა და მამამ ოზურგეთში წაიყვანა, სადაც თავად ვაჭრობდა.

ალექსის 1868 წელს გარდაეცვალა მამა. სიკვდილის წინ მამამ ალექსის ანდერძად დაუბარა, ეზრუნა ოჯახისათვის. ამავე წელს ალექსი იერუსალიმში გაემგზავრა. შემდეგ კი კონსტანტინოპოლში ჩავიდა ბიძასთან, ისლამ შუშანიასთან, რომელიც იყო დიდვა-

ღმერთს და დალოცა შვილი. ალექსი თეკლათის დედათა მონასტერში ავიდა და მონაზვნური მოღვაწეობის გზას შეუდგა. იმ დროს ალექსი რცი წლის იყო. დადიოდა სოფლებში, უვლიდა ჭლექით, ქოლერით და სხვა მძიმე ავადმყოფობებით დასწეულებულებს, მარხავდა უპატრონო მიცვალებულებს.

განვლო რამდენიმე წელმა. ერთხანს ალექსი სალოსურ მოღვაწეობასაც ეწეოდა. იგი ძლიერი მქადაგებელი იყო. ალექსის ცხოვრება და მოღვაწეობა კეთილი მაგალითი იყო მრავალთათვის. მისი ქადაგების გავლენით მონაზვნად აღიკვეცნენ დედამისი ელენე, უმცროსი და სალომე და ძმა ბესარიონი. (შუათანა და, სოფიო, ალექსიზე ადრე აღიკვეცა მონაზვნად თეკლათის დედათა მონასტერში). ალექსი ათონის მთაზე გაემგზავრა იქაური ბერ-მონაზვნური ცხოვრების გასაცნობად. შემდგომ მოილოცა კიევის მღვიმეთა მონასტერი, საქართველოში დაბრუნდა და კვლავ განაგრძო თავისი ჩვეული მოღვაწეობა.

1885 წლის ახლო ხანებში ალექსი გელათის მონასტერში გადავიდა, სადაც მრავალი საღმოთ წიგნი შეისწავლა და ვადანერა. 1886 წელს ალექსი ხელთდასხმულ იქნა დიაკვნად, ხოლო 1888 წელს მღდლად.

1890 წელს ალექსი ავადმყოფობის გამო თეკლათის მონასტერში დაემკვიდრა თავის მონაზონ დედასთან და დეპთან ერთად. 1981 წელს მან სენაკის მშენებლობა დაიწყო მენჯში, მთავარანგელოზთა გორაზე. ღმრთისინიერ ადამიანთა დახმარებით წელ-წელა გამოიკვეთა ძველი, სანახევროდ დანგრუული მთავარანგელოზთა ტაძარი. შემოიკიბა მონაფეები და შეუდგა ამ სავანეში მოღვაწეობას. მამა ალექსის ჯანმრთელობაც ისე გაუმჯობესდა, რომ წირვა-ლოცვის შესრულება შეეძლო. შემონირულ თანხას იგი სამ ნაწილად ჰყოფდა: ერთ ნაწილს პირადი საჭიროებისათვის, მეორეს – ეკლესიისა და სტუმართათვის, მესამეს კი – დავრდომილთა და გლახაკთათვის.

1898 წლიდან ალექსიმ დაყუდებული ცხოვრება დაიწყო. სენაკში მას ჰქონდა კაცის სიმაღლის ხის ჯვარი, რომელსაც ლოცვის დროს ზურგით იპყრობდა, რადგანაც, როგორც თვითონ ამბობდა, ჯვარის



ლირსი ალექსი შუშანია დედასთან და დეპთან ერთად

ასე პყრობა გოლგოთაზე ამავალ ქრისტეს აგონებდა. მნახველთა მისაღებად მხოლოდ შაბათ-კვირას გამოდიოდა. მიუხედავად მკაცრი, ასკეტური ცხოვრება-მოღვაწეობისა, მამა ალექსი მაინც ახლოს იყო ხალხთან. წერდა ლექსებს, წერილობით ამხნევებდა მრევლს და ამხელ-და იმ დროს გავრცელებულ ათე-ისტურ ცრუ მსოფლმხედველობას.

ხანგრძლივი მოღვაწეობით დამა-შვრალი მამა ალექსი შუშანია 1923 წლის 18 იანვარს გარდაიცვალა.

ქრისტესმოძულე მთავრობის მი-ერ სავანის მოსალოდნელი დარბევის შიშით დებმა, ფასტომ და აკეფსიმამ, ალექსი თეკლათის დედათა მონ-ასტერში დაკრძალეს, თვითონ კი მთავარანგელოზების მონასტერში დარჩნენ. გარდაცვალებიდან ორმო-ცი დღის განმავლობაში ალექსი ყოველდღე ეცხადებოდა სქიმმონა-ზონ ფავსტოს.



1960 წლის 8 იანვარს ბათუმ-შემოქმედელი და ჭყონდიდელი მიტრო-პოლიტის, ეფრემ სიდამონიძის (შემდგომ კათოლიკოს-პატრიარქი) კურთხევით ღირსი ალექსის უხრწენელი გვამი თეკლათის დედათა

მონასტრიდან გადაას-ვენეს და დაკრძალეს მენ-ჯის მთავარანგელოზთა ეკლესიის აღმოსავლე-თის კედლის მახლო-ბლად.

2001 წელს წმიდა ალე-ქსი ბერის საფლავზე პა-ტარა ეკლესია ააგეს.



ღირსი ალექსი შუშანია და მისი ძმა ბესარიონი



ღირსი ექვთიმე აღმსარებელი (ერის-
კაცობაში ევსტათე კერესელიძე) დაიბადა
1865 წელს რაჭაში, სოფელ სადმელში,
სოლომონ და მართა კერესელიძეების
ოჯახში.

სადმელის სამრევლო სასწავლებლის
დასრულების შემდგომ რაჭაში არსებული
მძიმე ეკონომიკური პირობების გამო
თხუთმეტი წლის ესტატე ჯერ ქუთაისში
ცხოვრობდა, შემდეგ კი ტფილისში გადავი-
და, სადაც ერთ-ერთი სასტუმროს მზა-
რეულის თანაშემწედ დაიწყო მუშაობა. ევს-
ტატემ იქ გაიცნო ილია ჭავჭავაძის მოუ-
რავი, მაქსიმე შარაძე. მათ სხვა მორწმუნე
ახალგაზრდებთან ერთად ტფილისში და-
აარსეს უფასო „საღმრთო წიგნთ-საკით-
ხავი“, რომლის მიზანი მოსახლეობაში მარ-

თლმადიდებელი სარწმუნოების განმტკიცება და ძველი ქართული
საეკლესიო გალობის შესწავლა და გავრცელება იყო. „საღმრთო
წიგნთ-საკითხავს“ ხელმძღვანელობას უწევდნა მღდელმთავარი ალე-
ქსანდრე ოქროპირიძე. ძველ ქართულ საეკლესიო გალობას სწავ-
ლობდნენ ცნობილი მგალობლის, თავად მელქისედეკ ნაკაშიძისაგან,
რომელიც ათონის მთის ქართველთა სავანეში იყო განსწავლული.

1890 წლიდან მაქსიმე შარაძემ და ესტატე კერესელიძემ ილია
მართლის დახმარებით შეიძინეს სტამბა, რომლის საშუალებითაც
ინტენსიურად შეუდგნენ საღმრთო წიგნების ბეჭდვასა და გავრცელე-
ბას. მაქსიმეს და ესტატეს მიმოწერა ჰქონდათ ათონის მთაზე
ქართველთა სავანის ბერ-მონაზვნებთან და მათგან მონასტრის
წიგნთსაცავიდან გადმოწერილ წმიდანთა ცხოვრებასა და ქადაგებებს
ღებულობდნენ, ბეჭდავდნენ და უფასოდ ავრცელებდნენ. ოცდახუთი
წლის განმავლობაში დასტამბეს ოთხიათასამდე სასულიერო
შინაარსის სხვადასხვა გამოცემა.

1891 წელს მაქსიმესა და ესტატეს ცნობილმა მუსიკოსმა ფილიმონ
ქორიძემ ევროპული სანოტო დამწერლობა შეასწავლა. ესტატეს
განსაკუთრებული ნიჭი და ლამაზი კალიგრაფია აღმოაჩნდა და ამიტ-
ომ ფილიმონ ქორიძემ ევსტატეს დაავალა საგალობელთა სანოტო
ხელნაწერების გადათეთრება.

რუსეთის მიერ საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის ძალადობით გაუქმებას სავალალო შედეგები მოჰყვა — გაიძარცვა და განადგურდა საქართველოს უძველესი ეკლესიის ფასდაუდებელი საუნჯის უდიდესი ნაწილი. ქართული საეკლესიო გალობაც გარდაუვალი საფრთხის წინაშე დადგა. ძველი საგალობო დამწერლობის მცოდნენი დღითიდლე მცირდებოდნენ და მრავალ-საუკუნოვანი მუსიკალური საგანძური სამუდამოდ იყარგებოდა. მეუფე გაბ-რიელის (ქიქოძე) თაოსნობით 1884 წელს ქუთაისში დაარსებულმა ქართული გა-ლობის აღმდეგნმა კომიტეტმა შეკრიბა ძველი ქართული გალობის მცოდნე სასულიერო პირები და ერისკაცნი. ფილ-იმონ ქორიძემ ათასობით საგალობელი გადაიტანა ნოტებზე, რომელიც საკუ-თარი ხარჯებით დაბეჭდეს ესტატე კერესელიძემ და მაქსიმე შარაძემ.

1907 წელს, ილია მართლის აღსას-რულიდან ექვსი თვის თავზე გარდაიც-ვალა მაქსიმე შარაძე. მთელი ოცდათი

წლის ნაშრომი, ათეულობით ხელნაწერი, ევსტატეს პასუხის-მგებლობაში დარჩა. ესტატეს უძვირფასესი ხელნაწერების ნაწილი ჩამოართვეს. საბედნიეროდ, სანოტო კრებულები საქართველოს საის-ტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების წიგნთსაცავში მოხვდა, რომლის ხელმძღვანელი იმხანად წმიდა ექვთიმე ლმრთისკაცი (თაყაიშვილი) იყო.

ესტატე კერესელიძემ მალე უურნალ „შინაური საქმეების“ რედაქ-ტორის მღდელმონამე სვიმონ მჭედლიძის დახმარებით სტამბა და ხელნაწერები ქუთაისში გადაიტანა. ქუთაისში ესტატემ კვლავ სცადა სანოტო კრებულების დაბეჭდვა, მაგრამ უბინაობის გამო გაიძარცვა ყუთები, სადაც დაბეჭდილი ფურცლები ინახებოდა და დამწუხრებულ-მა მხოლოდ რამდენიმე მათგანს მიაგნო ქუთაისის ბაზარში ხორცის შესახვევ ქაღალდებში.

ესტატე კერესელიძემ საბოლოოდ აირჩია მონაზვნობის გზა. იმ დროს ევსტატეს მოძლვარი იყო ლირსი ალექსი შუშანია. 1912 წლიდან იმერეთის ეპისკოპოს გიორგის (ალადაშვილი) კურთხევით ესტატე კერესელიძე მორჩილად განწესდა გელათის მონასტერში, ხოლო ამავე წლის 23 დეკემბერს ევსტატე მონაზვნად აღიკვეცა და ლირსი ეფთვიმი მთაწმიდელის პატივსაცემად უწოდეს ექვთიმე.



ლირსი ექვთიმე კერესელიძე
ახალგაზრდობისას

1913 წლის მაისში ექვთიმეს დიაკონად დაასხეს ხელნი. ამ დროიდან დაიწყო მამა ექვთიმეს ყველაზე დაძაბული მოღვაწეობა, მან გადაწყვიტა, ზედმინევნით მოეწესრიგებინა ფილიმონ ქორიძის ნოტებზე გადატანილი საგალობლები და ტიპიკონის მიხედვით გაეწყო. ამისათვის მრავლად შეიძინა სანოტო ფურცლები და შეუდგა ხელნაწერი ნოტების მოწესრიგებასა და გადათეთრებას.

1917 წელს ექვთიმე იმერეთის ეპისკოპოს გიორგის მიერ ხელთდასხმული იქნა მღდლად. დამოუკიდებელი საქართველოს სახელმწიფო პიმნი, მისი ავტორის — კოტე ფოცხვერაშვილის თხოვნით, 1918 წელს მამა ექვთიმემ დასტამბა.

1921 წელს კომუნისტური ხელისუფლების მოსვლისთანავე ექვთიმე დააპატიმრეს, როგორც ახალი წყობისათვის არასაიმედო პიროვნება. საბეჭნიეროდ, ბრალდების არქონის გამო რამდენიმე თვეში იგი გაათავისუფლეს. ეს იყო უმძიმესი პერიოდი დევნისა და შევიწროებისა; გელათის ბერ-მონაზვნები ყოველდღე ელოდნენ დარბევას. ექვთიმე ამ წლებშიც აგრძელებდა საგალობელთა კრებულებზე მუშაობას. — „მე ამაში ვპოულობ დიდ სიმდიდრეს, ეს ოქრო-ვერცხლზე და თვალ-მარგალიტზე ზე უძვირფასესი საუკუნო საუნჯეა!.. მე წარმოდგენილი მაქვს ჩემი თავი, როგორც ოქროსმჭედელი და თვალ-მარგალიტის დამლაგებელი! მე ხანდახან ვაკვირვებაში მოვდივარ: ვინ მოუმვაჩემამდე ეს ძვირფასი სიმდიდრე, რომ მე ულირსი ამაში ხელს ურევ!“ — წერდა ექვთიმე.



არქიმანდრიტი ექვთიმე კერესელიძე

1923 წელს მთავრობის მიერ გელათის მონასტერი გაუქმებულად გამოცხადდა. მონასტრის წინამძღვარს, არქიმანდრიტ ნესტორ ყუბანეიშვილს რამდენიმე დღის ვადა მისცეს, რათა ბერ-მონაზვნებს დაეტოვებინათ მონასტერი. მამა ექვთიმემ საგალობელთა ორმოცამდე კრებული ქუთაისში საიმედო ოჯახში გადამალა.

1924 წელს კომკავშირლებმა დაანგრიეს ქუთაისის დავით აღმაშენებლის სახელობის საკათედრო ტაძარი. იმავე წელს დახვრიტეს ქუთათელ-გაენათელი მიტროპოლიტი ნაზარი ერთგულ სასულიერო პირებთან ერთად.

მამა ექვთიმე იძულებული გახდა დაეტოვებინა ქუთაისი და ხელნაწერები ტფილისში, შედარებით უსაფრთხო ადგილას გადაეტანა. იმ პერიოდიდან მღდელმონაზონი ექვთიმე განწესებულ იქნა სვეტიცხოვლის ტაძარში, სადაც საგულდაგულოდ გადამალა სასწაულებრივად გადარჩენილი ხელნაწერები.

1925 წელს, როდესაც საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი წმიდა ამბროსი (ხელაია) მეტეხის ციხეში იყო დატყვევებული, ხოლო საქართველოს ეკლესიის უკლებლივ ყველა მსახური საშინელ დევნას



განიცდიდა, მამა ექვთიმე კვლავაც აგრძელებდა საეკლესიო გალობის იშვიათი ნიმუშების გადარჩენას. სვეტიცხოვლის ტაძრის წიგნთ-საცავში მან მიაკვლია ძლისპირთა უძველეს ნევმირებულ კრებულს და ეს საგალობლებიც ხუთხაზიან სანოტო სისტემაზე გადაიტანა.

1929 წლიდან ექვთიმე ზედაზნის მონასტერში განაწესეს. მან ახლა იქ აიტანა ქართული გალობის ხელნაწერები და დიდ რეინის ყუთებში საიმედოდ დაცული მინაში დაფლა.

ტფილისის „მეტეხის“ მუზეუმის ერთ-ერთმა თანამშრომელმა პეტანიის ბერებთან — იოანე მაისურაძესა და გიორგი მხეიძესთან საუბრისას მწუხარება გამოთქვა ფილიმონ ქორიძის მიერ ჩანსტერილი ძველი ქართული საგალობლების დაკარგვის გამო და როდესაც მათგან შეიტყო, ხსენებული ხელნაწერები ზედაზნის მონასტერში იღუმენ ექვთიმესთან ინახებაო, იმავე დღეს ზედაზნის მონასტრისკენ გაეშურა. შეიქმნა კომისია, რომელმაც ამ ხელნაწერების განსაკუთრებული ფასეულობა და დიდი ისტორიული მნიშვნელობა დაადასტურა. მამა ექვთიმემ 1935 წლის ნოემბერში სახელმწიფო მუზეუმს გადასცა ოცდათოთხმეტი სანოტო კრებული, რომელიც ხუთიათას ხუთასოცდათორმეტი საგალობლისა და რამდენიმე სასულიერო შინაარსის ხელნაწერისაგან შედგებოდა. ყველა ეს საგალობელი ამჟამად დაცულია კორნელი კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტში.

1944 წლის ზამთარში ზედაზნის მონასტერში მარტო მცხოვრები მამა ექვთიმეს სანახავად ასულ სამთავროს მონასტრის დედებს წმიდანი სასიკვდილოდ დასწულებული დახვდათ, მამა ექვთიმემ დალოცა დედები და მშვიდობით შეჰვედრა სული უფალს. დაკრძალეს ზედაზნის მონასტრის ეზოში, საკურთხეველთან.

ღՈՐՍՈ ՀԱՅՐՈԵԼՈ (ԺՈՒՐԴԵ) —
ՈԹԵՐԵԴՈՒ ԵԱՍՏԱՐԱՄՆԵՐ (+1891)
25 (7.02) ԻՆՎԱՐՈ



Յմուգա հածրոյել յակոսկոպոս (յրուսակա-
ցոնքի շահասոմբ յիշոմը) դակաձա 1825
նլու 15 նոյեմբերս ռժուրցետու մաթրու
սոցոյել ծախչի, մլացել մայսոմբ յիշոմնու
ոջաենու. 1840-45 նլյապնու շահասոմբ սբա-
զլուածա քոյուլուսու, Շեմացեց ուսկուուս դա
ծոլուս Կեդրուրուրցիս սասուլուրու սաս-
նազլուեծունու.

շահասոմբ 1849 նյուլս դամտաւրա
Կեդրուրուրցիս սասուլուրու ակացեմու մա-
ցուսկրու եարուսենու, ամազե նյուլս դառչա-
ծա դա դաձրունճա սայարտուցունու; 1849
նյուլս շահասոմբ դանոնինու քոյուլուսու
սասուլուրու սբմոնարուս ոնսպեյքուրագ,
1854 նյուլս եցլուգասեմուլ ոյնա դօա-
կանագ, Շեմացեց կո մլացլագ.

1856 նյուլս, ռուգատորմեցու նլու ասա-
կու մամա շահասոմբ տացւ դաակիցա-
շնուրցենա, շարժացուցալա մեշուլլու դա
եցու Շվոլու. ամ գրացեցուս Շեմացեց
մլացելու շահասոմբ յացիարյուս ուսուգուրու մոնաչունագ
ալուցուցա դացուտ-շարուցու մոնասքուրցի դա սաხելագ սնուցես
հածրոյելու.

1858 նյուլս մլացելունաչունու հածրոյելու մոնասքրու նոնամծլաւրագ
շամենցուս, օմազե նյուլս այսրուտես շորու յակոսկոպոսագ, եռլու 1860
նլու 2 ուղուսու օմերետու յակարյուսի հագացուցանու դա շահելագ սնուցես
հածրոյելու.

1869 նյուլս մեշուլլու հածրոյելու յանմցեծլունա մաշունու մաշունու այսանուտու,
եռլու 1873 նյուլս սամեցրու յակարյուս. մրցունու յանատլունա մոնունու
հածրոյելու եմուրագ մոցիայրունճա յակարյուս յարցլունու, եալետան
ուրուագ մեշունու դու մնունելունա անոյշենու, սոցունու սոցունու
հագացունու դա մունցրաց սամենցուս, մաշրամ պարունակու մեցունու
մրցունու յաշունու անունու հածրոյել յակոսկոպոսու ուրունենա, մուսու
ուրուագ մաշունու.

յանսանու դա ներունու յամեցրու յամեցրու յամեցրու յամեցրու յամեցրու
հածրոյել յակոսկոպոսու տացունու յամեցրու յամեցրու յամեցրու յամեցրու

ნეთთან შენაცვლებას. ამ წესს იგი თვითონაც მკაცრად იცავდა: ჭრიდა შემას, თოხნიდა, პირუტყვს საზრდოს უზიდავდა, ახალი ტაძრების მშენებლობის დროს ხშირად თვითონ იყო არქიტექტორი, სოფელ-სოფელ ეძებდა კარგ ოსტატებს, ზრუნავდა წესრიგზე, თუ სადმე ეკლესიაში უსუფთაობას ნახავდა, მოიტანდა ცოცხს და თავისი ხელით დახვეტდა. ეპისკოპოსი გაბრიელი მხოლოდ პირადი ღირსებებით შემკულ ხალხს აკურთხებდა ეკლესიის მსახურებად და არ უწევდა ანგარიშს არც თავადს, არც მთავარს და არც გუბერნატორს. მეუფე გაბრიელი ადამიანებს ენდობოდა, რადგან მათში, უპირველეს ყოვლისა, ღმრთის ხატებას ხედავდა.

ეპისკოპოსი გაბრიელი იყო თავისი სამწყსოს ქვრივთა და ობოლთათვის ლუკმის მიმწოდებელი. ერთ ზამთარს, როცა ქუთაისის ღარიბები დიდ გაჭირვებაში და განსაცდელში ჩავარდნენ, მღვდელმთავარმა თავისი ფეხით დაიარა გაჭირვებულთა ქოხმახები და აღმოუჩინა მათ შემწეობა, რამდენადაც შეეძლო.

მეუფე გაბრიელი ღრმად თანაუგრძნობდა მდაბალ ხალხში სწავლა-განათლების გავრცელებას, მრავალ მოსწავლეს უწვდიდა დახმარების ხელს, საკუთარ სახლში ინახავდა და სწავლის ქირასაც უზდიდა. ყმანვილებთან სადილობდა და საუბრობდა, რომ მათში გაეღვიძებინა კეთილშობილური აზრები, მათ ნორჩ გულებში დაენერგა სიყვარული. გაბრიელ ეპისკოპოსის დევიზი იყო: „მე არა მეკუთვნის რა, ყველაფერი ღმრთისაა“.

მეუფე გაბრიელის თანამედროვენი ერთხმად აღნიშნავენ, რომ საოცარი სახილველი იყო ლოცვად დამდგარი ეპისკოპოსი. წირვა-ლოცვა ძლიერი სასოებით იცოდა. მიუხედავად ამისა, გაბრიელ ეპისკოპოსის მიმართ ხშირი იყო გესლიანი წერილები, ეჭვები, უსაფუძვლო ცილისწამებანი. მას აბრალებდნენ უსამართლობას, უზნეობას, კარიერისტობას, საეკლესიო ნივთებით ვაჭრობას, მაგრამ თვით მტრებიც იხსენიებენ მას, როგორც „უნიჭიერეს და ყოვლად შესანიშნავ მოძღვართმოძღვარს“, ადარებდნენ „ეკლესიის თვით პირველ წმიდა მოძღვრებს“, უწოდებდნენ „საკვირველ პედაგოგს“, „არაჩვეულებრივ სიტყვის მეუფეს“, სიმართლის მასწავლებელს“.

სვანეთში მოგზაურობის დროს ერთი ავაზაკი თავს დაესხა მეუფეს და გაძარცვა მოუნდომა. გაბრიელმა ჯვარი გადასახა ყაჩალს და




ეპისკოპოსი გაბრიელ ქიქოძე

უთხრა: „შვილო, მე საწყალი ბერი ვარ, გაბრიელ ეპისკოპოსი, ფული სადა მაქვს“. ეს სახელი ავაზაქსაც გაეგონა და შეკრთა. მეუფე არ მოეშვა, თან წაიყვანა, გაზარდა და სკოლაში მასწავლებლად განამწესა.

მეუფე გაბრიელი ერთ-ერთი მხურვალე დამცველი იყო ქართული ენისა, რომელიც მეცხრამეტე საუკუნეში, საუბედუროდ, გადაგვარების მომაკვდინებელი საფრთხის წინაშე აღმოჩნდა. გაბრიელი გაბედულად ებრძოდა ყველას, ვინც ეჭვებეშ აყენებდა მშობლიური ენის არსებობის აუცილებლობის საკითხს. მეუფე გაბრიელი თვლიდა, რომ „ხალხის ინდივიდუალობის უმთავრესი ელემენტი“ სწორედ ენაა. მშობლიურ ენას მოკლებული ყოველი ხალხი მოკლებულია ყოველგვარ ინდივიდუალურ ნიშან-თვისებას და „უსარგებლოა თავისთვისაც და სხვისთვისაც“. ეროვნული საკითხების შესახებ უთანხმოება ჰქონდა მეუფე გაბრიელს ეგზარქოს ევსევისთანაც. დროდადრო გაბრიელზე საიდუმლო მეთვალყურეობაც ყოფილა დაწესებული, რადგანაც ის მთავრობისათვის არასაიმედო კაცად იყო მიჩნეული.

1885 წელს მოკლეს გაბრიელ ეპისკოპოსის მდივანი, ცნობილი პუბლიცისტი ესტატე მჭედლიძე (ბოსლეველი). მეუფემაც მიიღო მუქარის წერილები. მან საქართველოდან წასვლაც კი დააპირა. — „ჩემი სულის სიმდაბლე იყო, რომ შევშინდი, მაგრამ მთლად ჩემი თავისთვისაც არ შევშინებულვარ. მე ერთი ხნიერი კაცი ვარ. დიდი ხნის სიცოცხლე მაინც არა მაქვს, მაგრამ რომ მართლა მოვეკალით, რა ჩირქი დაედებოდა მთელ ხალხს, რომელმაც თავისი მოძღვარი ასე სასტიკად გაიმეტაო“ — წერდა მეუფე.

სიცოცხლის ბოლოს მეუფე გაბრიელს მძიმე სულიერი ბრძოლები დაეწყო, ხშირად ტანჯავდნენ საშინელი მოჩვენებანი. კაცთა მოდგმის მტერმა უკანასკნელი ბრძოლა გამართა, რათა ფიზიკურად დასუსტებული მღდელმთავარი სულიერად ეძლია. გარდაცვალების წინა დღეს მეუფე შემდეგ სიტყვებს იმეორებდა: „ღმერთი, მოწყალე მექმენ მე ცოდვილსა“, ხოლო სულის ამოსვლის წინ ამბობდა: „მომიხსენე მე, უფალო, ოდეს მოხვიდე სუფევითა შენითა“.





ღირსი გაბრიელ ეპისკოპოსი სამღდელო კრებულთან.

1896 წლის 25 იანვარს მღვდელმთავარი გაბრიელი გარდაიცვალა. უჩვეულოდ დიდი ზამთარი ყოფილა იმ წელს ქუთაისში. მიცვა-ლებულის გელათში წასვენება და დაკრძალვა ვერ მოხერხდა უამინდობის გამო. ამიტომ გადაწყვიტეს, დაეცადათ გაზაფხულამდე, ვიდრე თოვლი არ გადნებოდა და გზები არ გაიხსნებოდა. მანამდე კი მეუფე გაბრიელის ცხედარი ქუთაისის საკრებულო ტაძარში დაასვენეს.

ორმოცდაექვსი დღე ეთხოვებოდა გაბრიელ ეპისკოპოსს სრულიად საქართველო და მთელი ამ დროის მანძილზე მეუფის უხრნელი გვამი კეთილსურნელებას გამოსცემდა. მეუფე გაბრიელის პირადი ქონება, საკუთარი ანდერძისამებრ, მთლიანად ქვრივობლებსა და ღარიბებს დაურიგდა.

გამოქვეყნდა გაბრიელ ეპისკოპოსის გამოსათხოვარი სიტყვა. მეუფე უკანასკნელ შენდობას ითხოვდა ყველას მიუტევებდა შეცოდებებს.



ეპისკოპოსი გაბრიელ ქიქოძე

ნეიდა დავით აღმაშენებელი
ხევი ყოვლისა საქართველოსა (+1125)
26 (8.02) იანვარი



ნეიდა მეფე დავით აღმაშენებელი დაიბადა 1073 წლის 24 იანვარს. იმ დროს საქართველო ფიზიკური და სულიერი კატასტროფის ნინაშე იდგა. თურქ-სელჩუკების სულთანმა მელიქ-შაჰმა დაიპყრო სამშვილდე, შეიპყრო მისი მმართველი იოვანე ლიპარიტის ძე, აილო და დაარბია ქუთაისი, არტანუჯი, კლარჯეთის უდაბნო. ქართველებმა მთებსა და ტყეებს შეაფარეს თავი. დაცარიელებული ქვეყანა უსჯულოებმა დაიპყრეს, ააოხრეს ეკლესია-მონასტრები, ამოხოცეს მოსახლეობა. ქრისტესმოყვარე ერი უსჯულოებამ და ცოდვამ მოიცვა... „ყოველმან ასაკმან და ყოველმან პატივმან ყოვლითურთ შესცოდეს ღმერთსა და მიიქცეს გზათაგან წრფელთა ყოვლისა მიმართ უკეთურებისა“. ალდგომის დღეს „მოხედნა უფალმან რისხვითა და შეძრა ქვეყანა საფუძვლითურთ“. საშინელმა მინისძვრამ ყველაფერი დაანგრია.

ასეთი გაჭირვებისა და უბედურების უამს „იწყო აღმოცისკრებად მზე-მან ყოველთა მეფობათამან, დიდმან სახელითა და უდიდესმან საქმითა, სახელ-მოდგამმან დავით, ღმრთისა მამისაგან და თვთ სამეოცდამეთსხრამეტემან შეილმან ამის დავითისმან, დავით“.

1089 წელს დავითის მამამ, მეფე გიორგიმ თავის თექვსმეტი წლის „მარტოშობილ ძეს... დაადგა გვრგნი მეფობისა“. „თვთ მამამან ზეცათამან პოვა დავით, მონა თვისი და საცხებელი მისი წმიდა სცხო მას... უზეშთაეს ყო იგი უფროს ყოველთა მეფეთა ქუეყანისათა“.

დავით მეფემ დიდი თურქობის დროს გახიზნული ქართველების დაბრუნება დაიწყო ნამოსახლარებზე და შეუდგა ერის შეკრებას.

დავით მეფემ მოიწვია საეკლესიო კრება „ღმრთისმოყუარეთა მონაზონთა, დაყუდებულთა და მეუდაბნოეთა სანახებთა ქართლისათა, მახლობელად ორთა საეპისკოპოსოთა — რუისა და ურბნისისა“. კრებამ აღადგინა და გააძლიერა ეკლესიის ავტორიტეტი,

აღკვეთა თავგასულ ფეოდალთა და ულირს სასულიერო პირთა თავნებობა. კრებამ კიდევ ერთხელ დაამტკიცა მართლმადიდებლური სარწმუნოების სასიცოცხლო მნიშვნელობა. „არა გეცრუვნეთ შენ, სიწმიდით მშობელო ჩუენო კათოლიკე ეკლესიაო, არცა განგცეთ შენ, სიქადულო ჩუენო მართლმადიდებლობაო, რომლისა არცა განმცემელ ქმნილ ვართ, ვინახდგან შემეცნებასა შენსა ლირს ქმნილ ვართ, მონამე არს ჭეშმარიტება“, — ნერია ამ კრების ძეგლისწერაში.

დავით მეფე ზრუნავდა საქართველოს ფარგლებს გარეთ არსებული ქართული მონასტრების აღორძინებისათვის და კავშირი ჰქონდა იქ მოღვაწე მამებთან. დავითის დროს სინას მთის მწვერვალზე აიგო ქართული ეკლესია, დავითის მზრუნველი ხელი დაეტყო იერუსალიმისა და იმ დროს მთელს მსოფლიოში გაბნეულ ქართულ მონასტრებს.

დავით მეფე აქტიურად შეუდგა საქართველოს გაერთიანებას და უპირველესად კახეთ-ჰერეთს მიმართა. ღმრთის წყალობას მინდობილი ქართველთა ლაშქარი ერწუხთან უშიშრად შეება თურქთა უზარმაზარ მხედრობას. რიგითი ჯარისკაცივით იბრძოდა მეფეც, გრიგალივით დაჰქროდა. სამი ცხენი მოუკლეს ამ ბრძოლაში, მეოთხეზე ამხედრებულმა დაასრულა ბრძოლა საკვირველი გამარჯვებით. თურქთა სულთანმა მუჰამედმა ასიათასიანი ლაშქარი დაძრა საქართველოსკენ. თრიალეთთან შეება მტერს ქართველთა მცირერიცხოვანი მხედრობა და „შეწევნითა ღმრთისათა იძლია ბანაკი თურქთა“. თავზარდაცემული მომხდურები ისე გაიქცნენ, რომ კარვების მოხსნა და საქონლის გარეკვაც ვერ მოასწრეს.

დავითის მოძღვარმა, გიორგი ჭყონდიდელმა რუსთავიც წაართვა დამპყრობლებს. 1115 წელს მტკვრის ხეობა მთლიანად შეუერთდა საქართველოს. ერთი წლის შემდეგ კი კარნიფორსა და ბასიანს შორის დაბანაკებული თურქებიც განდევნეს.


„ძლევანი საკვირველნი“ გრძელდებოდა, დავით მეფე ახალ-ახალი დიდებით იმოსებოდა. მეფეს გვერდით ედგა ლირსეული შვილი დემეტრე (ლირსი დამიანე ხს. 23 მაისს).



დავით ალმაშენებელი კარგად ხედავდა, რომ მცირერიცხოვან ქართულ მხედრობას საქართველოს ქალაქებისა და ციხეების უსაფრთხოების დაცვა და იმავდროულად მუდმივმოქმედ არმიაში ყოფნა გაუჭირდებოდა. საჭირო იყო მუდმივი ლაშქრის შექმნა. ბრძენმა მეფემ განიზრახა, ყივჩალთაგან შეექმნა ასეთი არმია. დავითი კარგად იცნობდა ამ ხალხს, იცოდა მათი ომის ხელოვნების და მხეობის ამბავი. დავითის მეუღლე, გურანდუხტ დედოფალი, ყივჩალთა მთავრის, ათრაქა შარალანის შვილიშვილი იყო.

ყივჩალთა მშვიდობიანი გზის უზრუნველსაყოფად მეფე დავითი და გიორგი ჭყონდიდელი ოსეთს წავიდნენ. ოსეთში გარდაიცვალა გიორგი ჭყონდიდელი, „ალმზრდელი პატრონისა და თანაგამკაფელი ყოველთა გზათა, საქმეთა და ღუანლთა მისთა“. დამწუხრებულმა მეფემ ორმოცდღიანი გლოვა გამოაცხადა მთელ სამეფოში.

დავით მეფემ ყივჩალთაგან შექმნა ორმოციათასიანი არმია. ამას ხუთიათასი ქართველიც მიემატა და მის განმგებლობაში მუდმივად იყო ორმოცდახუთიათასიანი ლაშქარი. საქართველოში და მის მახლობლად მცხოვრები თურქების ნავარდობას ბოლო მოუღო. „ესევითართა ჭირთაგან შეინრებულნი თურქმანნი“ სულთან მაჰმუდს ეახლნენ ბალდადში. გლოვისა და გაჭირვების ნიშნად შავად შეიღებნენ და ასე აუწყეს ამიერკავკასიაში მიმდინარე ამბები. სულთანმა არაბთა მეფე დურბეიზს უხმო, მისცა თავისი ძე, მალიქი, ექვსასიათასიანი არმია შეკრიბა და საქართველოსაკენ დაძრა.



1121 წლის აგვისტოს, დიდგორის ბრძოლის დაწყების წინ, მეფე დავითმა სიტყვით მიმართა ლაშქარს: „ეჲა, მეომარნო ქრისტესნო! თუ

ღმრთის სჯულის დასაცავად თავდადებით ვიძრძოლებთ, არამცუ ეშმაკის ურიცხვ მიმდევართა, არამედ თვით ეშმაკებსაც ადვილად დავამარცხებთ, და ერთ რამეს გირჩევთ, რაც ჩვენი პატიოსნებისა და სარგებლობისათვის კარგი იქნება: ესაა, რომ ჩვენ ყველამ ხელთა ცისადმი აპყრობით ძლიერ ღმერთს აღთქმა მიცემთ, რომ მისი სიყვარულისათვის ამ ბრძოლის ველზე უმაღ მოვკვდებით, ვიდრე გავიქცევით და რომ არ შეგვეძლოს გაქცევა, რომც მოვინდომოთ, ამ ხეობის შესავალი, რომლით შევსულვართ, ხეთა ხშირ ხერგებით შევკრათ და მტკიცე გულით მტრებს, როცა მოგვიახლოვდებიან ჩვენზე იერიშის მოსატანად, სასტიკად შევუტიოთ "... პირველსავე ბრძოლაში მტერმა დიდი ზარალი ნახა. „წელი მაღლისა შეენეოდა და ძალი ზეგარდმო ფარვიდა მას და ნმიდა მონამე გიორგი განცხადებულად და ყოველთა სახილველად ნინაუძლოდა მას და მკლავითა თვისითა მოსრვიდა ზედამონევნულთა უსჯულოთა მათ წარმართთა“.

1122 წელს დავით აღმაშენებელმა ტფილისი გაანთავისუფლა და ოთხასწლიანი ტყვეობის შემდეგ დედაქალაქი სამშობლოს დაუბრუნა. 1123 წელს დავითმა დმანისიც შემოირთა და ამით საქართველოს გაერთიანება საბოლოოდ განასრულა. დავით მეფე 1106 წელს დაიწყო გელათის მონასტრის მშენებლობა. „მოიგონა აღშენება მონასტრისა და დაამტკიცა ადგილსა ყოვლად შუენიერსა და ყოვლითურთ უნაკლოსა, რომელსა შინა ვითარცა მეორე ცად გარდაართხა ტაძარი ყოვლადწმიდისა და უფროსად კურთხეულისა დედისა ღმრთისა“.... შემოკრიბნა კაცნი პატიოსანნი ცხოვრებითა და შემკული ყოვლითა სათნოებითა, არა თვისთა ოდენ სამეფოთა შინა პოვნილნი, არამედ ქუეყანისა კიდეთათ, სადაცა ესმა ვიეთმე სიწმიდე, სიკეთე, სისრულე, სულიერთა და წორ-ციელთა სათნოებითა აღსავსეობა, იძინა და კეთილად გამოიძია, მოიყვანნა და დაამკვდრნა მას შინა“. გელათის მონასტერი იქცა „ყოვლისა აღმოსავლეთისა მეორე იერუსალემად, სასწავლოდ ყოვლისა კეთილისად, მოძღვრად სწავლულებისად, სხუად ათინად“.



გელათის მონასტერი

მეფე დავითს წიგნები ომშიც თან დაჰქონდა, ჯორებით და აქლემებით დაატარებდა ბიბლიოთეკას. როცა კითხვით გადაიღლებოდა, სხვას აკითხებდა. დავით მეფის ცხოვრების აღმნერი ამბობს: „ნინადაიდვა ოდესმე წიგნი სამოციქულო წარკითხვად და რაუამს დაასრულის, ნიშანი დასუის ბოლოს წიგნისასა. ხოლო მოქცევასა წელიწადისასა მით ნიშნითა აღვთუალეთ: ოცდაოთხჯერ წარეკითხა“. მეფე დავითი სწორუპოვარი ჰიმნოგრაფიც იყო. მისი „გალობანი სინანულისანი“ თავისი ღრმა სულიერებით უტოლდებოდა ეკლესიის უდიდესი ჰიმნოგრაფების ნაწარმოებებს — „უამი რად წვლილთა და ხმელთა აღმოფშვნვათავ წარმოდგეს, ზარი მეფობისა და წარხდეს და დიდებად დაშრტეს, შუებანი უქმ იქმნენ, ყუავილოვნებად დაჭნეს, სხუამან მიიღოს სკიპტრად, სხვასა შეუდგენ სპანი, მაშინ შემინყალე, მსაჯულო ჩემო!“ — ითხოვდა მეფე დავითი.

დავით მეფემ სიცოცხლეშივე დასვა სამეფო ტახტზე დემეტრე და „დაულოცა ცხოვრება წარმართებული და განგრძობა დღეთა ბედნიერებით“.

1122 წელს ორმოცდაცამეტი წლის ასაკში აღესრულა მეფე დავით აღმაშენებელი — „სახელგანთქმულ, ვითარცა წებროთ გმირთა შორის; ახოვან, ვითარცა ისო წინამბრძოლთა შორის; მოშურნე, ვითარცა ფინეზ მღდელთა შორის; მხნე, ვითარცა სამფსონ მსაჯულთა შორის; ბრძენ, ვითარცა სოლომონ მეფეთა შორის; მშვიდ, ვითარცა დავით ცხებულთა შორის; მხურვალე, ვითარცა პეტრე მონაფეთა შორის; კაცომოყვარე, ვითარცა ჩემი იქსუ ღმერთთა შორის; ბუნებით ღმერთი მადლით ღმერთქმნულთა შორის; საყვარელ, ვითარცა იოვანე მეგობართა შორის; მკვირცხლ, ვითარცა პავლე მოციქულთა შორის; სახის დასაბამ უცომელისა ქრისტიანობისა, ვითარცა დიდი კონსტანტინე თვითმშეყრობელთა შორის; სიმტკიცე კეთილად მსახურებისა, ვითარცა თევდოსი სკიპტრისმშეყრობელთა შორის“.

წმიდა დავით აღმაშენებელი დაკრძალეს გელათის მონასტრის შესასვლელში. საფლავის ქვაზე ამოკვეთილია კეთილმსახური მეფის უკანასკნელი სურვილი: „ესე არს განსასუენებელი ჩემი უკუნითი უკუნისამდე, ესე მთნავს: აქა დავემკვიდრო მე“.



გელათის ძველი კარიბჭე.
დავით აღმაშენებლის საფლავის ქვა



ხატი დაწერილია სრულიად საქართველოს
კათოლიკოს-პატრიარქი ილია II-ის მიერ

დაამტკიცეთ მართალი, ხოლო განვითარებაში მოსვლა თამარმა საღმრთო საქმით აღნიშნა: მოიწვია საეკლესიო კრება, რომელზეც შეკრებილ სამღდელოებას მან მდაბლად მიმართა: „გამოიძიეთ ყოველი კეთილად და ზედა, რამეთუ შარავანდი ესე მეფობისა არს და არა ღმრთის მბრძოლობისა. ნუ თუალახუამთ მთავართა სიმდიდრისათვს, ნუცა გლახაეთა უდებ-ჰყოფთ სიმცირისათვს, თქუენ სიტყვთა, ხოლო მე საქმით, თქუენ სწავლით, ხოლო მე განსწავლით, თქუენ წურთით, ხოლო მე განწურთით, ზოგად ჭელი მივსცეთ დაცვად სჯულთა საღმრთოთა შეუგინებელად, რათა არა ზოგად ვიზღვვნეთ: თქუენ, ვითარცა მღდელნი, ხოლო მე ვითარცა მეფე; თქუენ ვითარცა მწენი, ხოლო მე ვითარცა ებგური“.

მეფის თანადგომით გამხნევებულმა საეკლესიო კრებამ ულირსი ეპისკოპოსები გადააყენა, მათ ნაცვლად „საღმრთონი კაცნი დაადგინა“ და „სხუანი საეკლესიაონი წესი გამართნეს უდებთა მიერ დაწილნი“. მეფე მეფის თანადგომით გამხნევებულმა საეკლესიო კრებამ ულირსი ეპისკოპოსები გადააყენა, მათ ნაცვლად „საღმრთონი კაცნი დაადგინა“ და „სხუანი საეკლესიაონი წესი გამართნეს უდებთა მიერ დაწილნი“.

მეფე მეფის თანადგომით გამხნევებულმა უფლუ-არსლანმა, რომელიც ამირსპა-სალარბას მიელტვოდა, ისანში კარვის დადგმა მოითხოვა, სადაც, მისი გეგმით, ყველა საშინაო და საგარეო საქმე უნდა განხილულიყო და მეფისთვის ეცნობებინა შედეგი. ისნის კარავს განზრახული ჰქონდა ხელში აელო მეფის ძირითადი უფლებები. თამარის ბრძანებით

წმიდა მეფე თამარი დაიბადა 1166 წელს, საქართველოს მეფის, გიორგისა და ბურდუხან დედოფლის ოჯახში. გიორგი მეფემ თავისავე სიცოცხლეში თამარი მეფედ გამოაცხადა. დიდებულებმა ფიცი დადეს და მუხლი მოიყარეს თორმეტი წლის მონარქის წინაშე, რომელსაც განგებით ებოდა მძიმე ჯვარი ერის წინამძღოლობისა.

1184 წელს მეფე გიორგი გარდაიცვალა და საქართველოს ერთადერთ მპრძანებლად იქცა თვრამეტი წლის თამარი. ქვეყანამ სიყვარულით მიიღო „მზე მზეთა და ნათელი ნათელთა“.

ხელისუფლებაში მოსვლა თამარმა საღმრთო საქმით აღნიშნა: მოიწვია საეკლესიო კრება, რომელზეც შეკრებილ სამღდელოებას მან მდაბლად მიმართა: „გამოიძიეთ ყოველი კეთილად და

განვითარეთ გულარძნილი. იწყეთ ჩემ

ზედა, რამეთუ შარავანდი ესე მეფობისა არს და არა ღმრთის

მბრძოლობისა. ნუ თუალახუამთ მთავართა სიმდიდრისათვს, ნუცა

გლახაეთა უდებ-ჰყოფთ სიმცირისათვს, თქუენ სიტყვთა, ხოლო მე

საქმით, თქუენ სწავლით, ხოლო მე განსწავლით, თქუენ წურთით,

ხოლო მე განწურთით, ზოგად ჭელი მივსცეთ დაცვად სჯულთა

საღმრთოთა შეუგინებელად, რათა არა ზოგად ვიზღვვნეთ: თქუენ,

ვითარცა მღდელნი, ხოლო მე ვითარცა მეფე; თქუენ ვითარცა მწენი,

ხოლო მე ვითარცა ებგური“.

მეფის თანადგომით გამხნევებულმა საეკლესიო კრებამ ულირსი ეპისკოპოსები გადააყენა, მათ ნაცვლად „საღმრთონი კაცნი დაადგინა“ და „სხუანი საეკლესიაონი წესი გამართნეს უდებთა მიერ დაწილნი“. მეფე მეფის თანადგომით გამხნევებულმა უფლუ-არსლანმა, რომელიც ამირსპა-სალარბას მიელტვოდა, ისანში კარვის დადგმა მოითხოვა, სადაც, მისი გეგმით, ყველა საშინაო და საგარეო საქმე უნდა განხილულიყო და მეფისთვის ეცნობებინა შედეგი. ისნის კარავს განზრახული ჰქონდა ხელში აელო მეფის ძირითადი უფლებები. თამარის ბრძანებით

ყუთლუ-არსლანი შეიპყრეს, მაგრამ მისმა თანამოაზრებმა იარაღით ხელში მოითხოვეს წინამდობლის განთავისუფლება. ქვეყანა ძმათა შორის ომის საშიშროების წინაშე აღმოჩნდა. მეფემ შეთქმულთა ბანაკში გაგზავნა ორი წარჩინებული მანდილოსანი — ხუამაქი ცოქალი და კრავაზ ჯაყელი. დედათა მოციქულობამ ისე იმოქმედა მეამბოხებზე, რომ „მოჰყვეს ბრძანებასა პატრონისასა და წინაშე მოსრულთა დავრდომით თაყუანის-ცეს, აღიღეს ფიცი პატრონისაგან და მისცეს მათ პირი ერთგულობისა და ნებისმყოფლობისა მათისა“.

სამღდელოებამ და დიდებულებმა თამარს მოსთხოვეს, დაქორწინებულიყო და სასიძოდ შეარჩიეს რუსი უფლისნული, სუზდალის მთავრის, ანდრია ბოგოლიუბსკის ძე — გიორგი. თამარმა წინააღმდეგობის განევა სცადა: „ვითარ ლირს არს შეტყუებული ესე ქმნად? არა ვიცით კაცისა ამისა უცხოსა ქცევა და საქმე, არცა მქედრობისა, არცა ბუნებისა, და არცა ქცევისა. მაცალეთ, ვიდრემდის განიცადოთ ყოველთა სიკეთე, გინა სიდრუუ მისი“.

დიდვაჭარმა ზაქარ ზორობაბელმა საქართველოში ჩამოიყვანა გიორგი რუსი — „მოყმე სახე-კეკლუცი, სრული ანაგებითა და მჭურეტაგან საჩენი გუარისმვილად“. საუბედუროდ, გიორგიმ მალე გამოამჟღავნა „სკვითურნი, ვითარ ნალებთა ბუნებითნი და სიმთვრალეთა შინა საძაგელთა უწესობად იწყო მრავალთა“. ორწელინადნახევარს ითმენდა თამარი ქმრის უმსგავსო საქციელს, ბოლოს უხმო კათოლიკოსს, ეპისკოპოსებსა და დიდებულებს და ბრძანა: „დალათუ სალმრთოსა სჯულისა მიერ სწავლულ ვარ მე „არა განშორებად პირველსა საწოლსა“, არამედ რომელმან არა დაიცვას საწოლი თვისი წმიდად, არა ჯერ არს მის თანა დათმენა, რამეთუ შემაგინებელი არს ტაძრისა ღმრთისა და მე არა მიძლავს აჩრდილისა მრუდისა ხისასა განმართვად და უბრალოდ განვიყრი მტუერსაცა, რომელი აღმეკრა მე შენ მიერ“. გიორგი რუსს ურიცხვი განძი უბოძეს და კონსტანტინოპოლს გაისტუმრეს.

თამარ მეფეს მეორედ ქორწინება აღარ უნდოდა, მაგრამ დარბაზის ერი „წინააღუდგებოდეს, უშვილოებასა მოაწსენებდეს, სახლისა მისისა უნაყოფოებასა დრტვინვიდეს“. თამარმა მამიდის, რუსუდანის რჩევით ჯვარი დაიწერა ოვსთა მეფის ძეზე, მეფე გიორგი I-ის შთამომავალ დავით სოსლანზე.

1193 წელს თამარს და დავითს შეეძინათ ვაჟი, „ყოვლითურთ მსგავსი პაპისა და დაარქუეს სახელი გიორგი“ და მეტსახელად უნდეს ლაშა (ნათელი, ქვეყნის მანათობელი).

1195 წელს თურქებმა მუსლიმთა დიდი კოალიციური ლაშქრობა მოაწყვეს საქართველოს წინააღმდეგ. თამარმა სასწრაფოდ ბრძანა ქუდზე კაცის შეყრა, თანაც ანტონ ჭყონდიდელს დაავალა: „ისწრაფეთ

დაწერად და მიმოდადევით ბრძანება, რათა მსწრაფლ შემოკრბეს მხედრობა და კუალად მოემცენით ყოველთა ეკლესიათა და მონასტერთა, რათა დაუცადებელნი ღამისთვანი და ლიტანიობანი აღესრულებოდიან ყოველსა ადგილსა და წარგზავნეთ ფრიადი საფასე და საქმარი გლახაკთათვს, რათა მოიცალონ ლოცვად და მოწყალე ყონ ლმერთი, ნუ სადა თქუან წარმართთა: სადა არს ლმერთი იგი მათი". მეფემ დალოცა ლაშქარი, „წარუძღუანა ძელი ცხოვრებისა და თანა წარატანა ანტონი ჭყონდიდელი". თვითონ კი „შიშულითა ფერწითა მიინია ტაძარსა ღმრთისმშობელისასა მეტებთა და წინაშე ხატსა მას წმიდასა მდებარე არა დასცხრებოდა ცრემლითა ვედრებად".

ბრძოლა ციხე-ქალაქ შამქორთან ქართველთა გამარჯვებით დამთავრდა. წმიდა შალვა ახალციხელმა (ხს. 17 ივნისს) სეფე დროშა მოსტაცა აგარიანებს. შემდგომ თამარმა ეს დროშა ძვირფას თვლებთან ერთად ხახულის ღმრთისმშობელს შესწირა.

საქართველოს გაძლიერებამ შიშის ზარი დასცა თურქებს. სულთანმა რუქნადინმა თავის უზარმაზარ სამფლობელოში „არა დაუტევა თვითიერ დედაკაცისა სოფელთა შინა მათთა, არამედ ყოველნი აამჟედრნა“ და საქართველოსკენ გამოემართა.

რუქნადინმა ჯარი ბასიანის ახლომახლო დაბანაკა, თამარს კი მოციქული გამოუგზავნა და ჯარის სიმრავლით გათავხედებულმა, სჯულის გამოცვლის საფასურად ცოლობა შესთავაზა, ხოლო თუ თამარი ქრისტიანად დარჩებოდა, მაშინ სულთანი მას ხარჯად დასმით დაემუქრა. რუქნადინის გამოგზავნილ ელჩებს თამარის წერილი გაატანეს სულთანთან. „...შენ ოქროსა შეკრებულთა სიმრავლისა მევირეთა მინდობილ ხარ უმეცარი მსჯავრსა ღმრთისასა. ხოლო მე არცა სიმდიდრეთა, არცა სპათა ჩემთა სიმრავლესა, არცა რას სხეულა კაცობრივსა საქმესა მინდობილ ვარ, არამედ ძალსა ღმრთისა ყოვლისა მპყრობელისასა და შეწევნასა ქრისტეს ჯუარისასა, რომელსა შენ ჰემობ... იყავნ ნება ღმრთისა და ნუ შენი! სამართალი მისი და ნუ შენი!“ — წერდა თამარი სულთანს.

თამარ მეფემ ვარძიის ღმრთისმშობელს შეავედრა მხედრობა, შემდეგ ფეხშიშველი წარუძღვა წინ, დალოცა და „ეგრეთ წარემართნეს მინდობილნი ღმრთისანი და თამარის ცრემლთანი“. ბასიანთან ქართველებმა სასტიკად დაამარცხეს მტერი. ამგვარმა გამარჯვებებმა თამარ მეფე კიდევ უფრო მეტად ღმრთისმოსავი გახადა. დღისით იგი, სამეფო ბრწყინვალებით მოსილი, ბრძნულად განაგებდა საქვეყნო საქმეებს, ღამე კი მუხლმოდრეკილი ლოცულობდა.

ერთხელ, ლოცვით და ხელსაქმით დალლილ თამარს ჩასთვლიმა და ჩვენება იხილა: სასახლეში შევიდა, თვალ-მარგალიტით შემკული ოქროს ტახტი ნახა, იფიქრა: „მეფე ვარ მპყრობელი და ჩემი არს უზე-

ნაესი და უპატიოსნესი ესე საჯდომი", — და გაემართა, რათა დამჯდარიყო. უცებ ნათლით მოსილმა კაცმა შეაჩერა და უთხრა: „შენი არა არს საჯდომი ისი, რამეთუ ვერ შემძლებელ ხარ დაპყრობად მისა". გაოცებულმა თამარმა იკითხა: „ვინ უპატიოსნეს არს ჩემსა, რომელმან დაიპყრას უპატიოსნესი საჯდომი?" მან უპასუხა: „საყდარი ისი შენისა მოჯალაბისა არს, ამისთვის რომელ ათორმეტთა მღდელთა მისთა წელთა შესთული ჰმოსიეს, რაფამს ნარდგენ შესაძრნუნებელსა და საშინელსა ტრაპეზისა შენირვად უსისხლოსა და პატიოსნისა მსხუ-ერპლისა. ამისთვის იგი უზეშთაეს შენისა არს, დალაცათუ შენ მეფე ხარ, კმა არს შენდა დიდება ესე, დალათუ საყოფელი შენი აქვე არს". თამარმა საკუთარი ხელით შეკერა და მოქარგა თორმეტი სამღდელო შესამოსელი.

გელათში წირვის წინ თამარი ლალის თვლებს იმაგრებდა სამეფო შესამოსელზე, მას მოახსენეს, რომ მონასტრის კარებთან მდგომი ერთი ქალი წყალობას ითხოვდა მეფისაგან. თამარმა დაასრულა შემოსვა და, როცა გავიდა, მათხოვარი ვეღარ იპოვა. შეცბუნებულმა მეფემ საკუთარ თავს უსაყვედურა, რომ ამ ღატაკი დედაკაცის სახით უარი უთხრა თვით უფალ იესუს, მოიხსნა ღალის თვლები და ომრთისმშობლის ხატს შესწირა.

თამარის დროს აშენდა ციხე-ქალაქი ვარძია, რომლის მონასტერშიც დიდმარხვას ატარებდა მეფე. იმ დროს აშენდა მრავალი ეკლესია-მონასტრები, ხიდები და ციხესიმაგრები. თამარმა უხვად შეამკო ქართული სავანეები პალესტინაში, კვიპროსზე, სინას მთაზე, შავ მთაზე, საბერძნეთში, ათონის მთაზე, პეტრინონში, მაკედონიაში, თრაკიაში, რუმინეთში, ისავრიაში, კონსტანტინოპოლში. თამარ მეფემ სასტიკად აკრძალა სიკვდილით დასჯა და სხეულის დასახიჩრება.

გამუდმებულმა მარხვამ, ფეხშიშველა ლიტანიობამ და მონასტრის ქვის სარეცელზე წოლამ ჯანმრთელობა შეურყია სათაყვანებელ მეფეს. დიდხანს მალავდა თამარ მეფე ავადმყოფობას და, როცა ტკივილი გაუსაძლისი გახდა, მხოლოდ „მაშინდა განაცხადა".

ლოცვად დადგა სრულიად საქართველო, ცრემლით გამოსთხოვდა უფალს მზის დარი გვირგვინოსნის განკურნებას. სიკვდილ-სიცოცხლის ზღვარზე მდგარმა მეფემ დარბაზის ერი იხმო და მიმართა: „ძმანო ჩემნო და შვილნო ... ან მეცა წარვალ მამათა ჩუენთა



თანა გზასა ჩემგან უცხოსა, ბრძანებითა საშინელითა და განცოფითა საკურველითა. გევედრები ყოველთა, რათა მარადის კეთილსა შინა იყვნეთ მაქსენებელ ჩემდა. აპა, ესერა მკდრად სახლისა ჩემისა დაგიტევებ, რომელი მომცნა ღმერთმან შვილნი ჩემნი, გიორგი და რუსუდან. ეგენი მიიხურით ჩემ წილ და მაგათ აღმოგივსონ დაკლებული ჩემი“. გადაისახა პირჯვარი და უკანასკნელი ლოცვა აღმოთქვა: „ქრისტე, ღმერთო ჩემო მხოლოდ, დაუსრულებელო მეუფეო ცათა და ქუეყანისაო, შენ შეგვედრებ სამეფოსა ამას, რომელი შენ მიერ მერწმუნა და ერსა ამას, პატიოსნითა სისხლითა შენითა მოსყიდულთა და შვილთა ამათ ჩემთა, რომელი შენ მომცენ, და მერმე სულსა ჩემსა“.

თამარ მეფე გარდაიცვალა 1213 წლის 27 იანვარს ორმოცდაშვიდი წლის ასაკში. „და წარიყვანეს სამკდრებელსა მათსა გელათს და დამარხეს სამარხოსა პატიოსანსა. და დაუტევა სამეფო ძესა თვისსა ლაშას.“

იერუსალიმის ჯვარის ქართველთა მონასტრის სვინაქსარის 27 იანვარის ჩანაწერი გვაუწყებს: „ქ. ამასვე დღესა განცვალა აქად ესე მეფობად ცხორებად და სუფევად საუკუნოდ, ნეტარებით მომხსენებელმან თამარ დედოფალ-მან, რომლისა ხსენებად კურთხევად საუკუნომცა არს“.



თამარ მეფის
გულსაჟიდი ჯვარი.



ვარძია



წმიდა მეფე აშოტ დიდი კურაპალატი ქართლის ერისმთავარის ადარნასეს ძე იყო. 786 წელს ადარნასეს გარდაცვალების შემდეგ აშოტი ქართლის ერისმთავარი გახდა.

აშოტმა ისარგებლა არაბთა დაუძლურებით და ტფილისიდან განდევნა აგარიანი. „ტფილისს არავინ დარჩა სარკინოზთაგანი, თვინიერ ალი შუაბის ძისა“, ქართლის შემომტკიცების შემდეგ ბარდავიც ქართლს შეუერთა აშოტმა და სამი წლის მანძილზე აშოტის „სახლად იყო ტფილისი და ბარდავი“.

813 წლის ახლო ხანებში ხალიფას ტახტზე ახალი მბრძანებელი ხალიფა მამუნი ავიდა, „განძლიერდა ხელმწიფე-

ბა აგარიანთა და იწყეს ძიება აშოტისა და ვერ უძლო წინააღმდეგომად მათდა აშოტ და ივლტოდა მათგან“. ტფილისი კვლავ არაბებმა ჩაიგდეს ხელში. აშოტმა გადაწყვიტა, საბერძნეთში გახიზნულიყო იჯახთან და მცირერიცხოვან სპასთან ერთად.

ჯავახეთს მიწევნული აშოტი და მისი მხლებლები ფარავნის ტბასთან შეჩერდნენ დასასვენებლად. მგზავრობისაგან დალლილებს მოულოდნელად სარკინოზთა ლაშქარი დაესხათ თავს. მცირერიცხოვანი მხედრობა სასიკვდილოდ იყო განწირული, მაგრამ „შეენია ღმერთი აშოტ კურაპალატსა და კნინსა ლაშქარსა მისსა, მოსცა ძლევა მას ზედა და მოსრნეს სიმრავლენი ურიცხუნი“. აშოტმა ამ გამარჯვებაში ღმრთის ნიშანი განსჭვრიტა, საბერძნეთში წასვლა გადაიფიქრა და შავშეთ-კლარჯეთში დარჩენა გადაწყვიტა.

შავშეთ-კლარჯეთი და დასავლეთ მესხეთის სხვა თემები იმ დროს მთლიანად განადგურებული და მიტოვებული იყო. უსჯულოთაგან დარბეული ხალხის გაჭირვებას ქოლერის ეპიდემიაც დაემატა და „მცირედლა დაშთეს კაცნი ადგილ-ადგილ“. უბედურებისაგან ქანცგანწყვეტილმა მოსახლეობამ სიხარულით მიიღო აშოტ კურაპალატი. მეფე შეუდგა დანგრეული ქვეყნის აღდგინებას, „რომელნიმე სოფელნი მის ქვეყანას მოიყიდნა საფასოთი, ზოგნი ოქერნი აღაშენნა და განამრავლა სოფლები აშოტ კურაპალატმან ქვეყანათა მათ შინა“.

აშოტ კურაპალატმა აღადგინა ვახტანგ გორგასლის მიერ აშენებუ-

ლი არტანუჯის ციხე, რომელიც მურვან-ყრუს მიერ იყო აოხრებული, მის მახლობლად ქალაქი გააშენა და კლარჯელ ბაგრატიონთა საბრძანებლად გამოაცხადა იგი, ააგო პეტრე და პავლე მოციქულების სახელობის ეკლესია. „მრავალგზის მოსცა ღმერთმან აშოტ კურაპალატსა ძლევა და დიდი დიდება ბრძოლასა შინა“.

ტაო-კლარჯეთი ახალ სიცოცხლეს იძენდა. საქართველოს პოლიტიკურ ცენტრად ქცეული მხარე სულიერადაც მტკიცდებოდა და ძლიერდებოდა. ღირსი გრიგოლ ხანძთელის და მისი თანამოსაგრეების ძალისხმევით უდაბნო დაბა-სოფლებად იქცა, აშენდა ეკლესია-მონასტრები, ჩამოყალიბდა სამონასტრო ლიტერატურული სკოლები.

აშოტ მეფემ დიდი პატივით ისტუმრა სასახლეში გრიგოლ ხანძთელი, „ზეცისა კაცი და ქუეყანისა ანგელოზი“. ღირსმა გრიგოლმა აკურთხა ხელმწიფე: „არა მოაკლდეს მთავრობა შვილთა შენთა და ნათესავთა მათთა ქუეყანათა ამათ უკუნისამდე უამთა, არამედ იყვნენ იგინი მტკიცედ უფროს კლდეთა მყართა და მთათა საუკუნეთა და დიდებულ იყვნენ უკუნისამდე“.

აშოტ კურაპალატმა გრიგოლ ხანძთელს „შესწირა ადგილნი კეთილნი და შატბერდისა ადგილი აგარაკად ხანძთისა“. აშოტის შვილებმაც — ადარნერსემ, ბაგრატმა და გუარამმაც, დიდალი საფასე გაიდეს კლარჯეთის უდაბნოთა ასალორძინებლად.

ბრძოლებში შეუდრეკელი აშოტი უსიტყვოდ ემორჩილებოდა ეკლესიის მსახურებს. აშოტ მეფეს „გარდარეული სიყუარულით“ შეუყვარდა ერთი ქალი და დედოფლისთვის ალდგენილ არტანუჯის სასახლეში მიიყვანა. ღირსმა გრიგოლმა შეიტყო „საქმე იგი სულისა განმხრწელი“, „შენუხდა ფრიად“, ეახლა მეფეს და ამხილა მისი ულირსი საქციელი. შეცბუნებულმა აშოტმა ალუთქვა განტევება ქალისა, მაგრამ სიტყვა ვერ შეასრულა, „რამეთუ დაემონა გულისთქუმასა“.

გრიგოლ ხანძთელმა მეფე აშოტ კურაპალატის დაუკითხავად დედაკაცი სასახლიდან წაიყვანა და მერეს დედათა მონასტერში წინამძღვარ წმიდა თებრონიას მიჰვარა. აშოტი მონასტერში მივიდა და დედა თებრონიას ქალის გაშვება სთხოვა, რაზეც დედა თებრონიამ მკაცრი უარი უთხრა. ხორციელად ძლიერმა ხელმწიფემ თავი დადრიკა „სულით ძლიერი“ მონაზონის



წინაშე და ოხვრით წამოსცდა: „ნეტარ მას კაცსა, ვინ არღარა ცოცხალ არს“. ღმრთისმოშიშ მეფე აშოტს, „მამხილებელად აქუნდა თვისი გონებაზ“ და, როცა ცოდვა განეშორა, „სიხარულით წარვიდა, რამეთუ გულითა წმიდითა აქუნდა ნეტართა მათ პატივი, ვითარცა სულისა მისია საუკუნოდ გვრგვნოსან-მყოფელთაც“.

მეფე აშოტი მთელი ქვეყნის განთავისუფლებისა და გაერთიანებისათვის ემზადებოდა, მაგრამ „მოვიდა ხალილ იაზიდის ძე არაბი და დაიპყრა სომხითი, ქართლი და ჰერეთი“. აშოტ მეფემ მალემ-სრბოლნი გაგზავნა ლაშქრის შესაკრებად, მაგრამ, სანამ ჯარი შეიკრიბებოდა, „დაესხნენ სარკინოზნი უცნაურად და აოტეს იგი“. ხელმწიფემ ნიგალის ხევს შეაფარა თავი და „იწყო ძებნად ერისა, რათამცა ვითა განიმრავლა ლაშქარი თვისი“. საუბედუროდ, წვეულთა შორის მოღალატენიც აღმოჩნდნენ.


არაბებმა მოღალატეების დახმარებით შეიძყრეს ტაძარში მყოფი მეფე აშოტი და „დაკლეს იგი, ვითარცა ცხოვარი აღსავალსა საკურთხევლისასა და სისხლი იგი მისი დათხეული დღესაცა საჩინოდ სახილველ არს“, — წერს სუმბატ დავითის ძე თავის წიგნში „ცხოვრება და უწყება ბაგრატონიანთა“.

ქართველებმა მტერს არ შეარჩინეს საყვარელი ხელმწიფის სიკვდილი. დოლისყანას მყოფებმა გაიგეს, რომ „მოიკლა მათი უფალი აშოტი“, დაედევნენ მკვლელებს, ჭოროხის მიდამოებში დაეწივნენ და ისე ამოწყვიტეს, რომ ამბის წამლებიც არ დარჩინილა.

წმიდა აშოტ დიდის ნეშტი დაკრძალეს მის მიერ აშენებულ ჰეტრე და პავლე მოციქულთა ეკლესიაში.

საქართველოს მმართველი პირველი ბაგრატიონი არის ქართლის ერისმთავარი გუარამი (გურგენი). იგი ვახტანგ გორგასლის შვილი-შვილი იყო ქალიშვილის მხრიდან, ხოლო აშოტი არის პირველი ბაგრატოვანი მეფე, „კეთილად მორნმუნე, რომლისა გამო დაემტკიცა ქართველთა ზედა მთავრობაზ მისი და შვილთა მისთავ“.

წყაროების ანალიზიდან ირკვევა, რომ აშოტს მეფის ტიტული მიუღია 809-813 წლებში, ხოლო კურაპალატისა კლარჯეთში გადასახლების შემდეგ, 818 წლის ახლო ხანებში.



აშოტ კურაპალატი.
მაზის მონასტრის ბარელიეფი IX ს.

თებერვალი

- 4 (17) — ლირსი ევაგრე, ციხედიდის მთავარყოფილი (VI)
(ცხ. იხ. 4(17) მაისი);
- 6 (19) — ლირსი არსენ იყალთოელი (+1127);
- 7 (20) — წმიდა მეფე სოლომონ მეორე,
სამშობლოსათვის თავდადებული (+1815);
- 10 (23) — ლირსი იოვანე ჭიმჭიმელი, ფილოსოფოსი (XIII);
- 12 (25) — ივერიის ღმრთისმშობლის ხატის დღესასწაული;
— ლირსნი: პროხორე ქართველი, იერუსალიმის
ჯვარის მონასტრის განმაახლებელი (XI);
ლირსმონამე ლუკა (აბაშიძე), იერუსალიმელი,
მუხაის-ძე, (+1274); ლირსმონამე ნიკოლოზი
(დვალი) (+1314) და სხვანი მონამენი და ლირსნი
მამანი ქართველნი, იერუსალიმის ქართველთა
მონასტრებში ცხოვრებულნი (IV-XVIII ს-ს.).
- 14 (27) — ლირსი ილარიონ ქართველი (ყანჩაველი) —
ახალი (+1864);
- 17 (1.03) — მღდელმონამე თეოდორე აჭარელი (XVIII-XIX);
- 18 (2.03) — ლირსი ნიკოლოზი, ყოვლისა საქართველოსა
კათოლიკოს-პატრიარქი (+1591);
- 22 (6.03) — მონამენი: ცხრანი ყრმანი კოლაელი (VI);



ღირსი არსენ იყალთოელი ერთ-ერთი უდიდესი ქართველი საეკლესიო მოღვაწე, მთარგმნელი, ენციკლოპედისტი, ჰიმნოგრაფი და ფილოსოფოსი დაიბადა 1050 წლის ახლო სანებში.

დავით რექტორი (+1824) წერს: „ესე არსენ იყო გვარად ვაჩინაძე, იბადის ძე, კაცი ბრძენი და მეცნიერი და ელინურისა ენისა ზედმინევნილი. აქუნდა შკოლა იყალთოს მონასტერსა და იყო მოძღვარი სამეცნიერო დავით აღმაშენებელისა მეფისა“.

ღირსი არსენ იყალთოელის ცხოვრება დაწვრილებით არ შემონახულა, არსენმა საფუძვლიანი და ღრმა განათლება კონსტანტინე მონომახის

მიერ დაარსებულ მანგანის აკადემიაში მიიღო, სადაც თარგმნა თავისი ერთ-ერთი მნიშვნელოვანი თხზულება, გიორგი ჰამარტოლის „ხრონიგრაფი“, რომელიც ცხრა წიგნისაგან შედგება და მოგვითხრობს ისტორიას ადამიდან იმპერატორ თეოდოსი დიდის (379-395) მეფობამდე. მანგანის მონასტერში დაინყო თარგმნა არსენმა დოგმატურ-პოლემიკური ხასიათის კრებულისა, რომელსაც ქართულ მნერლობაში „დოგმატიკონი“ ეწოდება და შემდგომ შიომღვიმის მონასტერში განასრულა. დოგმატიკონი შემდგომში თანდათან შეივსო სხვადასხვა სასულიერო პირთა მიერ ნათარგმნი თხზულებებით. როგორც თვითონ არსენი ამბობს ეს წიგნი „ნამდვილი წინამდღვარი არს წმიდისა კათოლიკე და სამოციქულო ეკლესიისად და თუალი, რომლითა ხედავს, და პირი, რომლითა ზრახავს, და სასმენელი რომლითა ესმინ ღმერთშემოსილთა მამათა უცოთმელნი მოძღვრებანი, და საყნოსელი, რომლითა იყნოსს სულნელებასა ღმრთივსულიერთა წერილთა ყუავილისასა, და მარჯვენე მკლავი, რომლითა ესრვის და სდევნის სამწვალებლოთა მეცთა, და მარჯუენე მკლავი, რომლითა ესრვის და სდევნის სამწვალებლო ხწეცთა გესლიანთა სიბორიტესათა“.

არსენ იყალთოელი მანგანის მონასტრიდან ანტიოქიაში წავიდა შავ მთაზე და იქ დაინყო მოღვაწეობა ღირსი ეფრემ მცირის ხელმძღვანელობით. ეფრემის გარდაცვალების შემდეგ არსენი ისევ

მანგანის მონასტერში დაბრუნდა და გააგრძელა მთარგმნელობითი მოღვაწეობა.

1114 წელს არსენი, მეფე დავით აღმაშენებლის მოწვევით, საქართველოში ჩამოვიდა და შიომღვიმის მონასტერში დაემკვიდრა, შემდეგ კი გელათის აკადემიაში გადავიდა. გელათში ყოფნისას თარგმნა არსენმა „დიდი სჯულის კანონი“. გელათის მონასტრის ერთ-ერთ ნუსხის გადამწერი გრიგოლ ჩახრუხახსე ამბობს: „გულმოდ-გინებითა გადავწერე თვისითა წელითა ქრისტიანეთა წინამდლუარი, დიდი ესე სჯულის კანონი, საუკუნოდ მოწენებულისა და ჩუენ ქართველთათვს ფრიად ჭირთა თავსმდებელისა არსენი იყალთოელის თარგმნილი“. შემდეგ არსენმა კახეთში იყალთოს მონასტერთან დაარასა უმაღლესი სკოლა-აკადემია. არსენი ესწრებოდა დავით აღმაშენებლის თაოსნობით მოწვეულ რუის-ურბნისის საეკლესიო კრებას. დავით მეფის ისტორიკოსი ნერს, რომ დავით მეფემ მოუწოდა „არსენ იყალთოელსა, თარგმანსა და მეცნიერსა ბერძნენთა და ქართველთა ენისასა და განმანათლებელსა ყოველთა ეკლესიათასა“.

არსენ იყალთოელი შეესწრო დავით აღმაშენებლის გარდაცვალებას. „ხელმწიფის კარის გარიგებით“ ცნობილია, რომ არსენმა დაწერა კეთილმსახური დავით მეფის ეპიტაფია.

მეფე დავით აღმაშენებლის მოძლუარი სამეცნიერო და მთელ ქრისტიანულ სამყაროში ღმრთისმეტყველებითა და სიწმიდით ცნობილი არსენი, თარგმანების თუ ორიგინალური თხზულებების ანდერძ-მინანერებში თავს „უღირსს და მდაბალ მონაზონად და უუნდოეს ყოველთა დაბადებელად“ მოიხსენიებს და შენდობას ითხოვს თუ რაიმე ნებსითი ან უნებლიერ შეცდომა იპოვებოდა მის ნაშრომში.

„ღმრთისმეტყველი, ფილოსოფოსი, ფიზიკოსი, ანატომოსი, ალიღორიულთა შეთხზვათა შინა ქებული, უცხო და მაღალი მესტიხე და საეკლესიო ტიპიკონთა მეტყუელი“ არსენ იყალთოელი გარდაიცვალა დაახლოებით 1127 წელს. დაკრძალულია იყალთოში, მონასტრის დამაარსებლის, წმიდა ზენონის გვერდით.



იყალთოს აკადემიის ნანგრევები

ნეიდა მეფე სოლომონ მეორე
სამეფო დედოფლისათვის თავდადებული (+1815)
7 (20) თებერვალი



ნეიდა მეფე სოლომონ მეორე (გამეფებამდე დავით არჩილის-ძე ბაგრატიონი) დაიბადა 1772 წლის 2 (20) თებერვალს. მამამისი იმერეთის მეფის სოლომონ პირველის ძმა იყო. დადა — ელენე კი ქართლ-კახეთის ერეკლეს ასული.

დავითი ძირითადად დედულეთში იზრდებოდა. ბიბლიური დავითის მსგავსად უფალმა ისიც ბავშვობაში გამოარჩია და მემკვიდრის გარეშე დარჩენილმა მეფე სოლომონ პირველმა, ღმრთის განგებით სიცოცხლეშივე უანდერძა მას სამეფო ტახტი.

დავითი იზრდებოდა როგორც მომავალი მეფე, სარწმუნოებისა და სამშობლოსათვის თავგანწირვის

მაძიებელი და ქვეყნის თავისუფლებისათვის მებრძოლი.

თორმეტი წლის იყო დავითი, როდესაც იმერეთის მეფე სოლომონი გარდაიცვალა. მეფის ანდერძის სანინაალმდეგოდ იმერეთის გავლენიანმა ფეოდალებმა მცირენლოვანი დავით არჩილის ძის ნაცვლად ტახტზე დავით გიორგის ძე აიყვანეს. გარდაცვლილი მეფის ანდერძის უგულებელყოფამ მღელვარება გამოიწვია ხალხში. უკამაყოფილო თავადები ცდილობდნენ სოლომონ პირველის ანდერძისამებრ იმერეთის სამეფო ტახტზე დავით არჩილის ძე დაესვათ, მათ მხარს უჭერდა ქართლ-კახეთის მეფე ერეკლე და ოდიშის მთავარი გრიგოლ დადიანი.

ძმათა ომის თავიდან აცილებისა და ქვეყნის ერთ სამეფოდ გაერთიანებისათვის მებრძოლ მამულიშვილთა ერთი ჯვეუფი წმიდა მლდელმთავრების ეფთვიმე გენათელისა და დოსითეოზ ქუთათელის მეთაურობით, 1789 წელს ტფილისში ენვია მეფე ერეკლეს და თხოვეს: „შეიერთოს თავისდა სამეფოდ იმერეთი, ვითარცა იყო ერთ მთავრობისა დროთა... თვით მთავართა გურიისასა და ოდიშისას სურთ და სწყურიათ ესე“. სამწუხაროდ ეს სასიკეთო მცდელობა უშედეგოდ დამთავრდა.

1790 წელს იმერეთის სამეფო ტახტზე ავიდა დავით არჩილის ძე, რომელსაც ბიძამისის — იმერეთის მეფის სოლომონის პატივსაცემად

სოლომონი ენოდა. სოლომონ მეორემ აქტიურად დაიწყო ქვეყნის გაერთიანებისთვის ბრძოლა, მან ცოლად შეირთო ოდიშის მთავრის კაცია დადიანის ასული, მარიამი. იმერეთის სამეფოში შედიოდა გურიის სამთავრო და ქართლ-კახეთის სამეფოსთან სისხლით ნათესაობა აკავშირებდა.

სოლომონ მეფემ გააძლიერა ეკლესია და დააწინაურა ლირსეული ადამიანები. მეფე საკუთარი მამულებით აჯილდოვებდა ქვეყნის ერთგულ თავადებს, დაუმტკიცა იერუსალიმის ჯვარის ქართველთა მონასტერს მამულები და გადასახადები, განუახლა გუჯარი ბიჭვინთის ეკლესიას.

ქართლ-კახეთის სამეფოს რუსეთთან შეერთების შემდეგ, რუსეთის მთავრობა ყოველნაირად ცდილობდა იმერეთის სამეფოს მიერთებასაც. გამჭრიახი და შორს-მჭვრეტელი სოლომონი კარგად ხედავდა, რომ ქვეყნის განთავისუფლებისა და გაერთიანების იდეა ნელ-ნელა იმსხვრეოდა ისტორიულ სინამდვილესთან შეჯახებით.

რუსეთსა და ოსმალეთს შორის სოლომონის პოლიტიკური ლავირებები ნარუმატებლად დამთავრდა. რუსეთის იმპერატორ ალექსანდრე პირველის ბრძანებით, 1810 წლის 20 თებერვალს სოლომონი ტახტიდან ჩამოაგდეს და იმერეთში რუსეთის მმართველობა გამოცხადდა.

სოლომონი მოტყუებით შეიძყრეს და ტვილისში ჩაიყვანეს, მაგრამ მოახერხა გაქცევა, ახალციხეს შეაფარა თავი და იქედან ხელმძღვანელობდა განმათავისუფლებელ მოძრაობას. ამავე წელს სოლომონმა მოახერხა იმერეთში გადასვლა და აჯანყების მოწყობა, რომელიც რუსეთის მთავრობამ სისხლში ჩაახშო. სოლომონმა კვლავ ახალციხეს შეაფარა თავი და ოსმალეთში გადავიდა.

სოლომონი შვიდი წელი ცხოვრობდა ქალაქ აზმურში, შემდეგ კი ტრაპიზონში გადავიდა, სადაც პატივით მიიღო იქაურმა ფაშამ — ნარმოშობით ქართველმა თავადმა.

შემორჩენილია მეფე სოლომონ მეორის მიერ ტრაპიზონის ბერძნული ეკლესიისადმი შენირული ოქროთი მოჭედილი ბერძნული სახარება ნარწერით: „შეინირე წმიდა გიორგი



მეფე სოლომონ მეორის მეულე, დედოფალი - მარიამ დადიანი



მეფე სოლომონ მეორე

აქა მდებარე სრულად იმერთა მეფე ძე ქართლისა მეორე სოლომონის მიერ წმიდა ესე სახარება”, მეორე გვერდზე მოხსენიებულია მეფის მოძღვარი იესე ყანჩაველი — (წმიდა ილარიონ ქართველი).

ემიგრაციაში ყოფნის დროს, სოლომონ მეორე, დაუცხრომლად იბრძოდა ქვეყნის განთავისუფლებისთვის.


სამშობლოდან განდევნილი და უცხოობაში მყოფი მეფე სოლომონი, გარდაიცვალა ტრაპიზონში 1815 წლის 7(20) თებერვალს. დაკრძალეს ბერძენთა ეკლესიის გალავანში.

სოლომონ მეფის საფლავს ხშირად აკითხავდნენ ტრაპიზონში მყოფი ქართველები და დიდ პატივს მიაგებდნენ მის ხსოვნას.

1990 წელს ტრაპიზონიდან წმიდა სოლომონის ნეშთი საქართველოში გადმოასვენეს და პატივით დაკრძალეს გელათის მონასტერში.



1910 წლის ახლო წლები. ტრაპიზონი.
მეფე სოლომონ II-ის საფლავთან შეერტილი ქართველები



ღირსი იოვანე ჭიმჭიმელი იყო მე-
თორმეტე-მეცამეტე საუკუნეების მიჯ-
ნის დიდი საეკლესიო მოღვაწე, მთარ-
გმნელი და ფილოსოფოსი. მის შესახებ
მეტად მნირი ცნობები მოგვეპოვება.
ცნობილია, რომ მეფე დემეტრე თავდა-
დებულის „დიდებითა, სიმწინთა და გუა-
რითა ცხოვრებასა აღმოაჩენს იოვანე
ფილოსოფოსისა ჭიმჭიმელისა შესხმა-
მითხრობა“.

იოვანეს განათლება პეტრიწონის
სალიტერატურო სკოლაში მიუღია. იქ
უთარგმნია რამდენიმე ეგზეგეტიკური
ხასიათის თხზულება: 1) „თარგმანებაზ
ეკლესიასტისად“ მიტროფანე სმირნე-
ლისა; 2) „თარგმანებაზ ეკლესიასტისად“ ოლიმპიოდორე ალექსან-
დრიელისა; 3) „თარგმანებაზ მარკოზის სახარებისად“ თეოფილაქტე
ბულგარელისა; 4) მისივე „თარგმანებაზ ლუკას სახარებისად“.

ღირსი იოვანე ჭიმჭიმელის თხზულებებს დიდი მნიშვნელობა ჰქონ-
და ქართული სასულიერო მწერლობისათვის.

ღირსი იოვანეს ფრესკა გამოსახული ყოფილა იერუსალიმის
ქართველთა ჯვარის მონასტერში. მეთვრამეტე საუკუნის ცნობილი
საეკლესიო მოღვაწე, მიტრო-
პოლიტი ტიმოთე (გაბაშვილი) აღ-
ნერს იერუსალიმის ჯვარის მონას-
ტრის ფრესკებს და შარვანდე-
დითა და გვირგვინით გამოხატულ
წმიდა მამათა და მონამეთა შორის
ღირს იოვანე ჭიმჭიმელსაც ასახ-
ელებს.

მოსე ჯანაშვილის ცნობით იო-
ვანე ჭიმჭიმელს „კახეთში, ქალაქ
გრემში ჰქონდა სკოლა და ასწავებ-
და მოწაფეთა: ფილოსოფიასა,
ღმრთისმეტყველებასა, ელინურსა
ენასა, ასურულსა, არაბულსა და
სხვა“.



12 (25) თებერვალი



ივერიის ყოვლადნმიდა ღმრთისმშობლის ხატი გადმოცემის თანახმად ლუკა მახარებლის მიერ არის დაწერილი. ხატის ზომა სიგრძეში ასოცდაჩვიდმეტი, სიგანეში კი ოთხმოცდაათი სანტიმეტრია. ხატს სახეზე დღემდე ამჩნევია სისხლიანი ჭრილობა. მთლიანად მოჭედილია ოქროცურვილი ვერცხლით და შემკულია სხვადასხვა მეფეთა, დიდებულთა და მადლიერ თაყვანისმცემელთა შენირული ძვირფასი ქვებითა და სამკაულებით.

მეცხრე საუკუნეში ბიზანტიის იმპერიაში ხატმბრძოლობის საშინელი ერესი მდვინვარებდა. ხატმბრძოლი იმპერატორ თეოფილეს ბრძანებით, იმპერიის ყველა სოფელსა და ქალაქში მხედრები ეძებდნენ გადამალულ ხატებს და ანადგურებდნენ.

ნიკეის მახლობლად ცხოვრობდა ერთი ქვრივი ქალი, რომელიც ფარულად ინახავდა ყოვლადნმიდა ღმრთისმშობლის ხატს. იმპერატორის გაგზავნილმა მხედრებმა იპოვეს ხატი და ერთ-ერთმა მათგანმა „მახვილი დასცა პირსა ხატისა“. ხატის ნაიარევიდან სისხლმა იფეთქა და შეშინებული მხედრები იქაურობას გაეცალნენ. ქვრივი დედაკაცი მთელი ლამე ლოცულობდა ღმრთისმშობლის ხატის წინ, დილით კი, ხატი ზღვასთან მიაბრძანა და წყალში ჩაუშვა. სასწაულთმოქმედი ხატი ზღვის ტალღებზე აღმართული დასავლეთისკენ გაემართა.

მეათე საუკუნის შუა წლებში, ათონის მონასტრის ბერ-მონაზვნებმა ზღვაზე ნათლის სვეტი იხილეს. ეს ხილვა რამდენიმე დღე გაგრძელდა. წმიდა მთის მამები შეიკრიბნენ და თქვეს: „რამე იყოს მნიერარე ესე წყალთა შინა?“ ზღვის ნაპირზე ჩავიდნენ და ნახეს, რომ ნათლის სვეტი ღმრთისმშობლის ხატს ადგა, მაგრამ როცა მიახლოება გადაწყვიტეს, ხატი ზღვის ნაპირს გაშორდა.

ათონის მთის მამებს ყოვლადნმიდა ღმრთისმშობელი გამოეცხადათ და აუწყა, რომ მხოლოდ გაბრიელ ქართველი იყო ღირსი ხატის ზღვიდან გამოყვანებისა. ღმრთისმშობელი გაბრიელსაც გამოეცხადა და უთხრა: „შემოდი ზღვაში, ტალღებზე რწმენით გაიარე და ყველა იხილავს ჩემს სიყვარულს და წყალობას თქვენი სავანისადმი“.

ათონის ბერ-მონაზვნებმა ქართველთა მონასტერს მიაკითხეს, მოძებნეს გაბრიელი და გალობით და საკმევლის კმევით ზღვის ნაპირთან ჩავიდნენ. გაბრიელი ზღვაში შევიდა, ისე გაიარა ტალღებზე, როგორც ხმელეთზე, და წმიდა ხატი ნაპირზე გამოაბრძანა. ეს მოხდა ბრწყინვალე შვიდეულის სამშაბათს.

ზღვიდან გამოსვენებული ხატი ნაპირზე დააბრძანეს და სამადლობელი პარაკლისი გადაიხადეს. იმ ადგილას ცივმა და საამო წყარომ ამოხეთქა. ამის შემდეგ ხატი ეკლესიაში შეაბრძანეს და საკურთხეველში დაასვენეს. მეორე დილით, კანდელის დასანთებად მისულ მონაზონს ხატი ადგილზე არ დახვდა — იგი მონასტრის კარიბჭის კედელზე აღმოაჩინეს, ჩამოაბრძანეს და ისევ საკურთხეველში შეასვენეს. ასე განმეორდა რამდენჯერმე. ბოლოს, ყოვლადწმიდა ქალწული ისევ გამოეცხადა გაბრიელს და უთხრა: „გამოუცხადე ძმათა, რათა ამიერიდან უმეტეს არღა განმხდიდნენ მე, რამეთუ მე მწებავს არა იგი, რათა მიცავდეთ თქვენ, არამედ რათა თვით მე გფარვიდეთ თქვენ, არა მხოლოდ ამა ცხოვრებასა შინა, არამედ მომავალსაცა და ვიდრემდე იხილვებოდეს სავანესა ამას შინა ხატი, არა მოგაკლდეს თქვენ მადლი და წყალობა ძისა ჩემისა“. ბერ-მონაზვნები გამოუთქმელი სისარულით აღივსნენ, იქვე ააგეს პატარა ტაძარი და საკვირველთმოქმედი ხატი შიგ დაასვენეს.

პორტაიტისას, ანუ ივერიის ღმრთისმშობლის სასწაულთმოქმედი ხატის მადლით მრავალი სასწაული აღესრულება.



ათონის ივერთა მონასტერი

ღირსი პროხორე ქართველი (X);
 ღირსონამე ლუკა (აბაშიძე), მუხაბე-ძე, (+1272);
 ღირსონამე ნიკოლოზი (დვალი) (+1314)
 და სხვანი მონახენი და ღირსი მამანი ქართველი,
 ისაუსალიმის ქართველთა მონასტრებში ცხოვრებული
 (IV-XVIII საუკუნეები)
 12 (25) თებერვალი

იერუსალიმის ჯვარის ქართველთა სავანე მსოფლიო ქრისტიანთა
 ერთ-ერთი უდიდესი სიწმიდეა. გადმოცემით, ამ ადგილას, ბიბლიური
 აბრაამის კურთხევით მის ძმისწულ ლოთს სამი ხე – სარო, ფიჭვი და
 ნაძვი დაურგავს. შემდეგ ეს ნე-
 რგები სასწაულებრივად შეერ-
 თებულან და ერთი დიდი ხე
 აღმოცენებულა. იერუსალიმის
 ტაძრის შენებისას, ისრაელის
 მეფის, სოლომონის ბრძანებით,
 ეს ხე მოუჭრიათ, მაგრამ მშე-
 ნებლობისათვის აღარ გამოუყე-
 ნებიათ. გადმოცემით თანახმად,
 სწორედ ამ ხისგან გაკეთდა ჯვა-
 რი, რომელზეც გააკრეს მაცხო-
 ვარი ჩვენი იესუ ქრისტე.

ბიზანტიის იმპერატორმა, კო-
 ნსტანტინე დიდმა, ეს მიწა უბოძა
 ქართლის მეფე მირიანს. მესუთე
 საუკუნეში ვახტანგ გორგასალმა
 იქ მონასტერი ააშენა და მრავლად ჩაასახლა ქართველები მონასტრის
 დაცვისა და სამსახურისათვის.

მღდელმოწამე გრიგოლ ფერაძემ ევროპის არქივებსა და წიგნსა-
 ცავებში დაცულ პილიგრიმთა ცნობებზე დაყრდნობით გამოავლინა
 უძველესი ცნობები იერუსალიმში ქართველთა მოღვაწეობის შესახებ.
 შეისწავლა ქართველთა სტატუსი წმიდა მიწაზე და წარმოაჩინა ის
 პატივი და პრივილეგიები, რომლებითაც ჩვენი წინაპრები სარგე-
 ბლობდნენ იქ თურქების გაბატონებამდე — 1517 წლამდე. ირკვევა,
 რომ ქართველთა მდგომარეობა უაღრესად ძლიერი იყო აღდგომის
 ეკლესიაში. აქ ქრისტეს საფლავის სამლოცველოს გასაღები მე-
 თოთხმეტე საუკუნის ოცდაათ-ორმოციან წლებში ქართველების ხელთ
 იყო. ქართველები სხვადასხვა დროს ფლობდნენ გოლგოთას, საქა-
 რთველოს ეკლესიის განმგებლობაში იყო ღმრთისმშობლის სამ-



ლოცველო, იგივე ქრისტეს დილეგი, მარიამ მაგდალინელის, ჯვარის აღმოჩენის, წმიდა ელენეს სამლოცველოები.

იერუსალიმი მერვე-მეცხრე საუკუნემდე მუსულმანთა მფლობელობაში იყო, რომლის დროსაც განადგურდა იერუსალიმის სინმინდები და მათ შორის სასტიკად გაიძარცვა ქართველთა სავანეც.

1099 წელს იერუსალიმი აიღეს ჯვაროსნებმა და 1187 წლამდე იერუსალიმი ჯვაროსნების ხელშია. იმავე წელს მუსულმანებმა კვლავ დაიპყრეს იერუსალიმი და კიდევ ერთხელ სასტიკად მოოხრდა იქაური ეკლესია-მონასტრები. ამ დროს დაიკარგა უძველესი ქართული სვინაქსარები და ხელნაწერები, რომელთაც თან გაჰყვა მეოთხემთორმეტე საუკუნის „საალაპე წიგნები“ და „სულთა მატიანეები“. მიუხედავად ამისა ქართველებმა მაინც მოახერხეს პოზიციების შენარჩუნება.



1250-1516 წლებში, ქართველ მამლუქთა ბატონობის დროს მრავალი წყალობა მიიღეს. ქართველები ამხედრებულნი, იარაღასხმულნი და გაშლილი დროშებით შედიოდნენ იერუსალიმში და სხვა ქრისტიანებისაგან განსხვავებით არ იხდიდნენ გადასახადებს. „საქართველო, ერთადერთი ქრისტიანული პოლიტიკური ძალა აღმოსავლეთში ჯვაროსანთა შემდეგ, საკუთარი

სისხლის ფასად იცავდა წმიდა მიწის მონასტრებსა და ეკლესიებს, იგი არავითარ ხარჯებს არ ერიდებოდა, რათა წმიდა ადგილები მოვლილი ჰქონდნდა. როდესაც საქართველო ომებმა დაასუსტა, სხვა ქრისტიანულმა ერებმა ამ ვითარებით ისარგებლეს და ის თავიანთ გასამდიდრებლად გამოიყენეს... რაინდული ზნითა და სტუმართმოყვარებით გამორჩეული ქართველები... სრულებით არ ამჟღავნებდნენ თავიანთ ტანჯვას — იქცეოდნენ ისე, როგორც შეეფერებოდა ჭეშმარიტ შვილებს ძლიერი და კულტურული ერისა, რომლის რელიგია და საეკლესიო ცოდნა უკიდურესად მყარი და უცვლელი იყო“ — წერს წმიდა გრიგოლ ფერაძე.

იერუსალიმის ქართველთა მონასტერში მოღვაწე წმიდა მამებიდან, მხოლოდ რამოდენიმეს სახელია შემორჩენილი და სამწუხაროდ მათვის არ არის მიკუთვნებული ცალკე მოსახსენიებელი დღეები.

როგორც ცნობილია, მეოთხე-მეექვსე საუკუნეში აქ მოღვაწეობდნენ: იოანე ლაზი, პეტრე იბერი, (მისი ხსენება ამოღებულია მეთვრამეტე საუკუნის დასაწყისიდან) ლირსი ნინუს ქართველი ეპისკოპოსი და ლირსი კინდ ქართველი ეპისკოპოსი. (პავლე ინგოროვას ვარაუდით ისინი მეხუთე-მეექვსე საუკუნის მოღვაწეები არიან) კინდ ქართველს იმდასაფის უდაბნოს სანახებში დაუარსებია წეტარი კინდის მონასტრად ცნობილი სავანე. იერუსალიმის ქართველთა მონასტრებში მოღვაწეობდნენ: იოვანე, სტეფანე და ესაია ქართველები, მღდელმონამე მაკარი ქართველი, მოსე ქართველი, ეფთვიმი გრძელის ძე, მიქელ ჭულაის ძე, ივანე რეხვაის ძე, კათალიკოსი მაქსიმე მაჭუტაძე, დანიელ აბაიშვილი, ელისე ტფილელი, მანგლელი ეპისკოპოსი თეოდორე რევიშვილი, რომელსაც შემდგომ საბანმინდის ეპისკოპოსის ტიტული მიუღია, და ბევრი სხვა ლირსი და



ღმერთშემოსილი მამები, რომელთა სახელები და ღვაწლი მხოლოდ ღმრთისთვისაა ცნობილი. იერუსალიმის ჯვარის ქართველთა მონასტერში მოღვაწეობდა გენიოსი ქართველი პოეტი შოთა რუსთაველი.

იერუსალიმში არსებობდა ქართველ დედათა მონასტრებიც. ერთ-ერთი კაპათას სახელით ცნობილი დედათა მონასტერი, მეთერთმეტე საუკუნის მეორე წახევარში, დაუარსებია მეფე ბაგრატ მეხუთის მეუღლე ბორენა დედოფალს.

ცნობილია, რომ „შემდგომად დავითის (აღმაშენებელის) სიკვდილისა და მისი შვილების გამეფებისა მეუღლემან მისმან... თმები მოიკვეცა, სარწმუნოებისა სამოსელი ინება და

იერუსალიმს წავიდა“ და კაპათას დედათა მონასტერში მოღვაწეობდა. იერუსალიმის ჯვარის ქართველთა სავანეზე განსაკუთრებით ზრუნავდნენ ქართველი მეფეები. მონასტერი რამოდენიმეჯერ საფუძვლიანად იქნა განახლებული მეფეების ბაგრატ კურაპალატის, დავით აღმაშენებელის, თამარის და გიორგი ბრწყინვალის მიერ.

12 (25) თებერვალს საქართველოს ეკლესია ამ დღეს მონამეობრივად აღსრულებულ პროხორე ქართველთან ერთად იხსენიებს წმიდა ლუკა იერუსალიმელს, ნიკოლოზ დვალს და იერუსალიმის ქართველთა მონასტრებში მოღვაწე ყოველ ლირს და ღმერთშემოსილ მამებს.

ლირსი პროხორე ქართველი (ერობაში გიორგი), ჯვარის ქართველთა მონასტრის ერთ-ერთი აღმაშენებელი, დაიბადა შავშეთში 985-990 წლებში. გიორგი ბავშვობიდანვე კლარჯეთის მხარის წყაროსთავის მონასტერში მიუყვანიათ აღსაზრდელად და იქ მიუღია მას მონაზვნური ცხოვრების გამოცდილება.

ღრმა სულიერებით, სიწმიდითა და განათლებით გამორჩეული ჭაბუკი, გიორგი, მონაზვნად აღკვეცეს და სახელად პროხორე უწოდეს. მონოზონი პროხორე ხელთდასხმულ იქნა იეროდიაკვნად, და მალევე აკურთხეს მღდლად.

დაახლოებით 1010-1015 წლებში მღდელმონაზონი პროხორე იერუსალიმში გაემგზავრა და იქაური სიწმიდების მოლოცვის შემდეგ პალესტინაში დამკვიდრდა საბაზმიდას ლავრაში, რომელიც იმ დროისათვის ქართული მწიგნობრობის მნიშვნელოვან კერას წარმოადგენდა და სადაც ძველი დროიდან არსებობდა ქართული კოლონია.

1020 წელს პროხორე ათონზე გაემგზავრა და წმიდა ეფთვიმე მთაწმიდელს დაემონაფა. იქ მოღვაწეობდა პროხორე 1025 წლამდე, შემდეგ კი ეფთვიმეს კურთხევით იერუსალიმში დაპრუნდა და „იწყო შენება მახლობლად იერუსალიმისა სავანისა, რომელსა უწოდიან ჯუარისა მონასტერი“.

მონასტრის აღსადგენად ამბა პროხორეს დიდალი საფასე მისცა საქართველოს მეფემ ბაგრატ IV კურაპალატმა. წმინდა პროხორე „მაშინ ოდენ ჯუარსა მონასტერსა აშენებდა გიორგი მთაწმინდელმა მოინახულა და „საფასითა ფრიად შეენია.“ პროხორემ ლირს გიორგი მთაწმინდელს სთხოვა: „რათა პირველი ნაყოფი წმიდათა წიგნთა მისთავ ცხოველ-მყოფელსა ჯუარსა მიანიჭოს“.

ლირსმა პროხორემ, დაახლოებით, 1038 წელს დაამთავრა ჯვარის ქართველთა სავანის მთავარი ტაძარი და ყოველმხრივ შეამკო მონასტერი. მან თავის გარშემო ოთხმოცი ბერ-მონაზონი შემოიკრიბა, რომელთაც განუჩინა წესი და კანონი, მსგავსი საბაზმიდის ლავრისა.

წმიდა პროხორეს ხანგრძლივი მოღვაწეობის შემდეგ შრომისა და სიბერისგან სხეული მოუუძლურდა, მონაფეთაგან ერთი, სახელად გიორგი, მონასტრის მამასახლისად დაადგინა, თვითონ კი ორი მონაფის თანხლებით უდაბნოში გავიდა და მცირედი ხნის შემდეგ, ყოველი სათნოებით შემკულმა, სული უფალს შეავედრა.

წმიდა პროხორე გარდაიცვალა 1066 წელს, დაახლოებით 76-81 წლის ასაკში.

მღდელმონამე ლუკა იერუსალიმელი დაიბადა 1045 წლის ახლო ხანებში. ადრეულ სიჭაბუკეში წმიდანს მამა გარდაეცვალა, დედა კი მონაზვნად აღიკვეცა და იერუსალიმს დაემკვიდრა სამოღვაწეოდ.

დაახლოებით 1065 წელს ლუკა იერუსალიმში გაემგზავრა წმიდა

ადგილების მოსალოცად და დედის სანახავად. იერუსალიმში ჩასულმა ლუკამ დედის მსგავსად გადაწყვიტა უფლისთვის შეენირა თავი.

ლუკა, იერუსალიმის ჯვარის ქართველთა მონასტერში დამკვიდრდა მორჩილად. სულიერებით გამორჩეული მოღვაწე მაღევე აღკვეცეს. ლუკა კარგად ფლობდა არაბულ ენას და საყოველთაო პატივისცემით სარგებლობდა.

მონასტრის საძმოს თხოვნით ლუკას მღდელმონაზონად დაასხეს ხელი, რამაც კიდევ უფრო წარმოაჩინა ლუკას „ორკერძოვე სიბრძნე“ და დაახლოებით 1070 წელს ძმების თხოვნით მან მონასტრის წინამძღვრობაც იტვირთა. წეტარი ლუკა კეთილად განაგებდა მონასტერს სამი წლის განმავლობაში.

კაცთა წარწყმედის მოსურნე ეშმაკი შურით აღენთო ღმრთის სათნო მამის მიმართ და მის წინააღმდეგ ბოროტებით აღსავსე სპარსელი, სულთნის კარზე გავლენიანი შეს წიდარი აამხედრა. მან სულთან ფერდუხხტისგან ჯვარის მონასტერი გამოითხოვა. მონასტრის ხელში ჩაგდების შემდეგ ბოროტი სპარსელი „ვითარცა მხეცი, მიუდგა ძმათა ჩუენთა ქართველთა“ და „არარათ შეარჩინა“. მან დაატყვევა მონასტრის რამდენიმე ქართველი მოღვაწე და თვით წინამძღვრის წმიდა ლუკას შეპყრობაც განიზრახა.

ლირსი ლუკა გააფრთხილეს: „შეს წიდარი გემუქრება, ამიტომ გაიქცი და დაიმალეო“. ლუკა თვითონ მივიდა შეს წიდართან და უთხრა: „რათა განუტევოს მამანი და მისგან ითხოვოს, რაცა უნებს“. ბოროტებით ალვსილმა სპარსელმა ქრისტიანობის დათმობა და მაჰმადიანობის მიღება მოსთხოვა, სამაგიეროდ ამირობა და „ტაძრის თავადობა“ აღუთქვა წეტარს. ლუკამ რა თქმა უნდა მტკიცედ აღიარა სარმანუნოება, და უარი თქვა ყველა სხვა შემოთავაზებაზეც. უარით განაწყენებულმა და გულისწყრომით ალვსილმა სულთანმა ბრძანა, თავი მოეკვეთათ ქრისტეს ერთგული მსახურისათვის.

სასჯელის ალსრულების შემდეგ ლუკას მოკვეთილმა თავმა პირი აღმოსავლეთისკენ ქნა, გაიღიმა და მადლობა შესწირა უფალს. შეს წიდარის ბრძანებით, წმიდანის პატიოსანი გვამი ცეცხლში დაწვეს.

მღდელმონამე ნიკოლოზ დვალი დაიბადა 1265 წლის ახლო ხანებში. ღმრთისმოშიშმა დედ-მამამ იგი შობიდანვე უფალს შესწირეს. თორმეტი წლის ყრმა ნიკოლოზი კლარჯეთის უდაბნოში წაიყვანეს და იქ აღიზარდა ღმერთშემოსილი მამების მეთვალყურეობით.

სრულწლოვანებას მიღწეული ნიკოლოზი მონაზვნად აღიკვეცა. შემდეგ იერუსალიმში წავიდა წმიდა ადგილთა თაყვანსაცემად და იქ ქართველთა ჯვარის მონასტერში დაემკვიდრა. მოციქულებრივი შურით ანთებულ მამას ნიკოლოზს ქრისტესთვის მონამეობრივად აღსრულების სურვილი გაუჩნდა და მუსულმანებთან დაიწყო ქრის-

ტიანობის ქადაგება. უსჯულოებმა მაცხოვრის აღიარებისთვის ნიკოლოზი შეიძყრეს, მაგრამ ქრისტიანებმა საპყრობილიდან გამოიხსნეს აღმსარებელი. წინამძღვრის ბრძანებით ნიკოლოზი კვიპროსზე წავიდა ქართველთა მონასტერში. იგი მონამეობრივ აღსასრულს ევედრებოდა უფალს.

ნიკოლოზს იოვანე ნათლისმცემლი გამოეცხადა და უბრძანა დამასკოში წასულიყო. დამასკოში ჩასულმა ნიკოლოზმა უსჯულოთა წინაშე აღიარა ქრისტე და ამხილა მათი უგუნურება. განრისხებულმა ულმრთოებმა შეიძყრეს აღმსარებელი, სასტიკად გვემეს და დილეგში ჩააგდეს. ქრისტიანებმა ძლივს მოახერხეს მისი გამოხსნა ტყვეობიდან. ახლად განთავისუფლებული ნიკოლოზი კვლავ მივიდა უსჯულოთა შესაკრებელში, კვლავ ჰგმო მათი უგუნურება, რისთვისაც სასტიკად აწამეს და საპყრობილები ჩააგდეს. ნიკოლოზი, იოვანე ნათლისმცემლის სასწაულებრივი გამოცხადებით განიკურნა წყლულთაგან, ორი თვის შემდეგ კი კვლავ გაანთავისუფლეს.

ქალაქის ამირამ შემთხვევით ნახა იერუსალიმში გასამგზავრებლად მომზადებული ნიკოლოზი, შეიძყრო და ამირათ-ამირას, დენგიზს გაუგზავნა. დენგიზმა სიცოცხლის სანაცვლოდ მაჰმადიანობის მიღება შესთავაზა წმიდანს. ნიკოლოზმა კი კვლავ გაძედულად აღიარა ქრისტე. ამირათამირამ მისი მოკვდინება ბრძანა. სანატრელი მონამე აღმოსავლეთით მიბრუნდა, სიხარულით მოუდრიკა მახვილს ქედი და თქვა: „დიდება შენდა, ქრისტე ღმერთო, რომელმან ლირს მყავ შენთვს სიკვდილსა“. მახვილმა თავი წარკვეთა ნიკოლოზს. მოჭრილმა თავმა შვიდგზის ადიდა ღმერთი და ხმა-ჰყუ: „დიდება შენდა, ქრისტე ღმერთო!“ ამ სასწაულის მხილველმა სპარსელებმა წმიდა ნიკოლოზის გვამი დაწვეს. მისი წამების ადგილს სამი დღე ნათლის სვეტი ადგა.

როდესაც ნიკოლოზ დვალის მოძღვარმა ეს ამბავი შეიტყო, ღმერთს შეევედრა, გამოეცხადებინა მისთვის, შეირაცხა თუ არა ნიკოლოზი მონამეთა შორის. ერთ დღეს, წიგნის კითხვისას, მან სასწაულებრივი გამოცხადებით იხილა ნათლითა და სურნელებით სავსე მთა და ბრწყინვალედ შემკობილი გუნდი მონამეთა, რომელთა შორის გამორჩეულმა დიდმონამე გიორგიმ წმიდა ნიკოლოზი იხმო: „ნიკოლოზ გამოვედ და იხილე ბერი ესე, შენი მოძღვარი, რამეთუ მრავალნი ცრემლნი დასთხინა შენთვს“. ნიკოლოზმა დაამშვიდა მოძღვარი: „აჲა, მიხილე მეცა და ჩემი ადგილიცა და ამიერითგან ნუღარა მწუხარე ხარ ჩემთვის“.

წმიდა ნიკოლოზ დვალი ენამა 1314 წლის 19 ოქტომბერს, სამშაბათს.



ღირსი ილარიონი (ერობაში – იესე ყანჩაველი) დაიბადა 1776 წელს იმერეთის სოფელ ლოსიათხევში, ხასული და მარიამ ყანჩაველების ოჯახში. ექვსი წლის იესე, ბიძამ, განდეგილად მოღვაწე იეროდიაკონმა სტეფანემ, თავისთან ნაიყვანა.

მამა სტეფანეს გარდაცვალების შემდეგ, იესე ტაბაკინის მონასტერში გადავიდა, შემდეგ კი ტფილისში წავიდა სასულიერო სასწავლებელში. გზად კურთხევისათვის ნიქოზის ეპისკოპოსთან შეიარა. ამ უკანასკნელმა კი, იესეს მადლიანი ლოცვით დამტკბარმა, ურჩია: „შვილო ჩემო, შენ სასწავლებელში ისეთს ვერაფერს გასწავლიან, რაც უდაბნოში ვისწავლია. ასე რომ, დაბრუნდი შენს სახლში. უფალი ღმერთი, რომელმაც ლოცვა გასწავლა, აგრეთვე შენი ბერის

ლოცვები, ისეთ მდგომარეობაში მოგიყვანენ, როცა ღმრთის ეკლესიისა და შენი ერისთვის სასარგებლო იქნები.“ შინ დაბრუნებული იესე, მამამ ქუთაისში მეფე სოლომონ მეორის კარზე მიაბარა ალსაზრდელად. იესემ სიყრმიდანვე შეითვისა განდეგილი მეუდაბნოისა და სამეფო კარის წეს-ჩვეულებები. მის ასკეტიზმში კარგად ჩანდა არისტოკრატული მანერები, არისტოკრატიზმში კი მონაზვნური თავმდაბლობა და უბრალოება.

იესემ ცოლად შეირთო თავადის ასული მარიამი. მალე იესე მღდლად აკურთხეს და მეფის კარის ეკლესიის პრესვიტერად დაადგინეს. მამა იესე იყო იმერეთის მეფის სოლომინისა და მთელი სამეფო ოჯახის სულიერი მოძღვარი.

1801 წელს ქართლ-კახეთის სამეფო რუსეთის იმპერიას შეუერთდა, რუსეთის მთავრობამ იმერეთის მეფესთან დაინუყო მიმონერა მისი სამეფოს რუსეთთან შეერთების თაობაზე. ქვეყნის პოლიტიკური მდგომარეობის დაძაბვის ფონზე, მეფე სოლომონი იძულებული გახდა დაეტოვებინა სამეფო და თურქეთში გახიზნულიყო. პროტოპრესვიტერმა იესე ყანჩაველმა არც ამ განსაცდელში მიატოვა მეფე –

მცირე ხანში ისიც არზრუმში წავიდა და ქრისტიანული თავდადებით იტანდა მეფე სოლომონ მეორის ყველა ჭირსა და განსაცდელს.

1814 წელს მეფე სოლომონი თურქეთში აღესრულა. მამა იქემ მეფის შესაფერი პატივით გააპატიოსნა და დაკრძალა წმიდა სოლომონი ტრაპიზონის ბერძნული ეკლესიის ეზოში.

მამა იქემ შეძლო, მეფე სოლომონის ამალაში მყოფი ქართველი დიდებულებისთვის რუსეთის იმპერატორისაგან წყალბა გამოეთხოვა და ყველას დაუბრუნდა ადრინდელი წოდებები და მამულები. თავად იქე მშობლიურ კუთხეში აპირებდა დაყუდებულ ცხოვრებას, მაგრამ სოლომონის ქვრივმა, დედოფალმა მარიამმა, თხოვა მოსკოვში



ჩასულიყო მასთან და სულიერი წინამძღვრობა გაეწია იქ მყოფი ქართველებისთვის.

რუსეთის იმპერატორის კარზე არსებულმა ფუფუნებამ და განცხრომამ ძალიან დაამძიმა მამა იქეს ღმრთისმოყვარე სული. მან აბრეშუმის სამოსელი გლახაკის ძმნებით შეიცვალა და 1819 წელს ათონის მთას მიაშურა.

ათონელ ბერ-მონაზვნებს, იქე მოსალოცად ჩასულ ღარიბ ქართველად გაეცნო. მან ჯერ ივერიონი მოილოცა, შემდეგ კი დიონისეს მონასტერში გადავიდა.

1821 წელს იქე აღივეცა და ილარიონი ენოდა. მამა ილარიონი სიყვარულით ასრულებდა მძიმე

მორჩილების საქმეებს. მას მხოლოდ ის ანუხებდა, რომ ბერძნულის უცოდინარობის გამო ღმრთის სიტყვის სმენას მოკლებული იყო და იღუმენისგან ითხოვა ქართული წიგნების გამოსათხოვად ივერონში წასულიყო. ივერიის ღმრთისმშობლის ხატის წინ ლოცვისას მამა ილარიონი დაინახა ბერძენმა არქიმანდრიტმა, რომელმაც იგი მოსკოვში გაიცნო, ხელზე ეამბორა და ყველას გააგებინა, რომ მონაზონი ილარიონი აღივეცამდე იმერეთის მეფის მოძღვარი იყო და უდიდესი ავტორიტეტით სარგებლობდა რუსეთის იმპერატორის კარზეც.

მამა ილარიონი დიონისეს მონასტრის ახლოს, უდაბნოში გადასახლდა. იმ ხანებში თურქები დაუნდობლად ულეტდნენ აჯანყებულ ბერძნებს. 1822 წელს აბდულ რობუტ-ფაშა მრავალრიცხოვანი

ლაშქრით ათონის საზღვართან დაბანაკდა და ბრძანა, ყველა მონასტრის წინამძღვარი ხლებოდა. დიონისეს მონასტრის წინამძღვრის ნაცვლად ფაშას წინაშე მამა ილარიონი წარდგა სხვა ორ ბერთან ერთად. როცა ფაშამ შეიტყო, რომ ილარიონი ქართველი იყო, გაიხარა, აღმოჩნდა, რომ თვითონაც ქართველი ყოფილა. იგი ბავშვობაში თურქებს მოეტაცათ აფხაზეთიდან და გაემაპმადიანებინათ. ფაშამ ილარიონს მოუწოდა, დაეტოვებინა ათონი, სანაცვლოდ კი საცხოვრებლად საკუთარი სასახლე შესთავაზა თესალონიკში. მამა ილარიონმა მტკიცე უარით უპასუხა და ამხილა ქრისტეს უარმყოფელი. ფაშამ მაინც გაანთავისუფლა ილარიონი და კვლავ ათონზე გაგზავნა.

ათონზე დაბრუნებული მამა ილარიონი წუხდა, რომ ღმრთისმგმობელი ფაშა განაგრძობდა ქრისტიანთა წამებასა და ხოცვა-ულეტას. მან წინამძღვრისაგან კურთხევა გამოითხოვა და ხელახლა ეახლა ფაშას. მამა ილარიონმა მკაცრად ამხილა ფაშა: „შენ ქრისტიანის მშობლების შვილი ხარ და ასე სასტიკად, ჭეშმარიტად მხეცურად იმიტომ იქცევი, რომ ჩაახშო ქრისტესაგან განდგომით გამოწვეული სინდისის ქენჯნა“. ფაშამ სიცილით უპასუხა: „პირიქით, მე იმდენად მოხარული ვარ სასაცილო ქრისტიანული რწმენის თავიდან მოშორებით, რომ როცა ჩემთან მოვიდა ის, ვინც მშობლებს მომტაცა და თურქებს მიმყიდა, ბაქშიში (ჯილდო) ვუბოძე. თქვენი რწმენა ჭეშმარიტი და ღმრთის სათნო რომ იყოს, ღმერთი მტრების ხელში არ ჩაგაგდებდათ. და ისინი არ დაგჩაგრავდნენ ყველგან და ყოველთვის“. წმიდანმა მიუკო: „ფაშა, შენ ყველაფერი მცდარად გესმის. განა მამა არ მოიმარჯვებს წერპლას ცელქი შვილის დასასჯელად? მაგრამ ამას იმიტომ კი არ სჩადის, რომ გულიდან ამოიგდოს შვილი, არამედ გამოსასწორებლად. როცა მას გამოსწორებულს დაინახავს, გადატეხავს წერპლას და ცეცხლს მისცემს“. თქვენც ჩენი ცოდვების გამო მოგიმვათ ჩვენზე ღმერთმა, თქვენ წარმოადგენთ კვერთს ღმრთის ხელში, მაგრამ როცა გამოსწორებულს გვიხილავს, ამ უსარგებლო ნივთს ცეცხლში მოისვრისო... ილარიონი ოთხი დღის განმავლობაში ყოველ დღე მიდიოდა ფაშას სასახლეში და მხედ



ქადაგებდა ქრისტიანობას, როგორც ერთადერთ ჭეშმარიტ რჯულს და გადამრჩენელ მოძღვრებას. ფაშამ სიცილით იკითხა: „როგორ ფიქრობ, სად წავალთ ჩვენ?“ მამა ილარიონმა ირგვლივ შემოკრებილი სხვადასხვა აღმსარებლობის მქონე უამრავი ადამიანის წინაშე გაძელულად განაცხადა, მხოლოდ მართლმადიდებლური ქრისტიანული ეკლესიის წიაღში შობილი ჭეშმარიტი მორწმუნენი გადარჩებიან. მაშინ ყველა ირგვლივ მყოფმა ერთად შესძახა: „სიკვდილი მაგას!“ და ფაშაც იძულებული გახდა, ილარიონის სიკვდილით დასჯის ბრძანება გაეცა. მამა ილარიონი სიხარულით გაჰყვა ბრძოს დასჯის ადგილისკენ, მაგრამ ორმა, წარმოშობით ქართველმა, კარისკაცმა ფაშასგან კვლავ მისი გათავისუფლების ნებართვა გამოითხოვა, თავი მოვეჭრება, თანამემამულე რომ მოვკლათო.

ილარიონს ათონზე დაბრუნება უბრძანეს, მაგრამ მან მოყვასის სიყვარულის გამო ტუსალთა მსახურების ღვანლი იტვირთა: ექვსი თვის მანძილზე თავგანწირვით

ემსახურებოდა თესალონიკის ციხეში გამომწყვდეულ პატიმრებს. მამა ილარიონმა ბევრი პყრობილი გადაარჩინა აშკარა სიკვდილს, ბოლოს კი, ღმრთის ჩაგონებით, დატოვა თესალონიკი და ათონის გზას დაადგა.

მთაზე დაბრუნებული მამა ილარიონი სამი წელი ცხოვრობდა გამოქვაბულებში, შემდეგ კი, უფრო მძიმე ღვანლი იტვირთა – წმიდა პავლეს მონასტრის გოდოლში დაეყუდა.

იქ მისი ცხოვრების წესი ასეთი იყო: პარასკევობით არაფერს ჭამდა, სხვა დღეებში წვრილყელიან ხაპში ჩაყრილი დანამცეცებული ორცხობილიდან იმდენს იღებდა, რამდენიც ერთ პეშვს ამოყვებოდა და ამას სჯერდებოდა. წყალსაც ცოტას სვამდა – ერთ ჭიქას დღეში. ხშირად დემონები საზარელი სახით ეცხადებოდნენ წმიდანს.

ერთხელ მომლოცველთა ჯგუფმა გამოქვაბულში დაყუდებული ილარიონის წახვა მოინადინა. მათ ცოცხალი კიბის გაკეთება გადაწყვიტეს. ერთმანეთზე შედგნენ, რომ როგორმე სარკმელს მისწვდომონენ. ილარიონმა დატოვა სენაკი და ტყეში მიიმალა. ძლიერმა ასკეტურმა მოღვაწეობამ ფიზიკურად ისე დაასუსტა ილარიონი, რომ იძულებული გახდა, დაყუდების ღვანლზე ხელი აელო. ქართველი ბერის, ბენედიქტეს ზედამხედველობით წმიდანი თანდათან მომჯობინდა.



ივერონის მონასტერში ილარიონმა შეადგინა წიგნსაცავის კატალოგი, შემდეგ წიგნებიდან და ხელნაწერებიდან ამონაწერები გააკეთა, რაც თორმეტ ტომად მოამზადა სათაურით „ყვავილნარი“. ეს კრებული გადაეცა ზოგრაფის იღუმენს, რომელიც რუსეთში მიემგზავრებოდა. მან გამოსცა თორმეტივე ტომი ქართულ ენაზე, შემდგენლის მიუთითებდად.

სიცოცხლის შინურულს მძიმედ დასწეულებული ილარიონი ხშირად ამბობდა: „დიდება უფალს! მსურდა მონამეობა, მაგრამ ღმერთმა არ მაღირსა, ახლა კი ავადყოფობა მომივლინა. ეს მონამეობის ჭოლია, თუ მოთმინებით და ღმრთის ნების ერთგულებით გადაიტან“. სიკვდილის წინ მამა ილარიონს თავისი მონაფისთვის, მამა საბასთვის უთხოვია, მისი ნეშტი მალულად დაეკრძალა.

მამა ილარიონი გარდაიცვალა რუსიკის სავანეში წმიდა გიორგის სახელობის სენაკში 1864 წლის 12 თებერვალს. მამა საბამ აღასრულა ილარიონის ანდერძი და ჩუმად დაასაფლავა, მაგრამ რამდენიმე წელიწადში იძულებული გახდა საიდუმლო გაეცხადებინა.

1867 წელს, ამაღლების წინა ღამისთვის ლოცვისას ბერ-მონაზენებმა ამოასვენეს მამა ილარიონის წმიდა ნანილები, რომლებიც საოცარ კეთილსურნელებას გამოსცემდა.

მღვდელმონიაჲ თეოდორე აჭარელი
მუსლიმაცოფილი (დაახ. 1822)
17 (1.03) თებერვალი



მღვდელმონიაჲ თეოდორე ეკუთვნის საქართველოს ერთ-ერთი ულამაზესი კუთხის, აჭარის, იმ მრავალათასიან მონაშეთა დასს, რომელიც ქრისტიანობისათვის ეწამნენ ოსმალთაგან.

წმიდა თეოდორე დაიბადა 1770 წლის ახლო ხანებში. ეს ის პერიოდია, როდესაც ოსმალებმა უკვე თითქმის დაასრულეს საქართველოს ამ კუთხის ძალად გამუსულმანების პროცესი, თითქმის მთლიანად ამოხოცეს მოსახლეობის ის ნაწილი, რომელთაც უარი თქვეს მაჰმადიანობის მიღებაზე და დაინყეს იმ ოჯახების გადასახლება, რომლებიც მიუხედავად მუსულმანური სარწმუნოების გარევნული აღიარებისა, მაინც საეჭვოდ ითვლებოდნენ.

უდიდესი გაჭირვების გამო აჭარის მოსახლეობის გარკვეულმა ნაწილმა თვითონ დატოვა მშობლიური კუთხე და გადარჩენის მიზნით უცხოობაში არჩია ცხოვრება. ერთ-ერთ ასეთ ოჯახში დაიბადა წმიდა თეოდორეც.

წმიდა თეოდორეს ცხოვრებიდან არ ჩანს, თუ რა მიზეზით აღმოჩნდა მათი ოჯახი ტრაპეზენტში, ან მათმა რამდენმა თაობამ იცხოვრა სამშობლოს გარეთ. თეოდორე თვალნათლივ ხედავდა ძალად გამუსულმანებული ქართველი მოსახლეობის გარეგნული მუსულმანური ტრადიციების იძულებით მორჩილებასა და მათ ფარულ ქრისტიანულ ცხოვრების წესს. სიკედილის შიშით ხალხი ვერ ბედავდა ქრისტიანობის აღიარებას, თუმცა ქრისტიანული წეს-ჩვეულებებით ზრდიდნენ შვილებს და მაქსიმალურად ერიდებოდნენ ტრადიციულ მუსულმან ოჯახებთან დამოყვრებასა და ურთიერთობას.

თეოდორე როდესაც წამოიზარდა, უარყო მუსულმანობა და ფარულად მოინათლა. მუსულმანური კანონით სარწმუნოების შეცვლა სიკედილით ისჯება და თეოდორეს არავინ აპატიებდა ჭეშმარიტ რჯულზე დაბრუნებას.

თეოდორემ თავი შეაფარა ქალაქ სმირნაში (იზმირი) არსებულ ერთ-ერთ ქართულ მონასტერს და მონაზვნად აღიკვეცა. თეოდორე უშიშრად ქადაგებდა ქრისტიანობას და ბევრი გამუსლუმანებული

ქართველი დააბრუნა დედა-ეკლესიის წიაღში, მათ შორის იყო თეოდორეს ძმის შვილიც.

მოციქულთა და მონამეთა ლვანლს შემდგარი მონაზონი თეოდორე მორჩილად აღასრულებდა სამონასტრო საქმეებს. თეოდორე-



ნინამძვრის კურთხევით აქტიურად მონაწილეობდა მონასტრის ცხოვრებაში, მალე მას ხელი დაასხეს მღდლად და მონასტრის პროილუმენად აირჩიეს.

1822 წელს მღდელმონაზონი თეოდორე ათო-


ნის ქართველთა მონასტერში გაემგზავრა. როგორც ცნობილია იმ დროისათვის ოსმალეთი ცდილობდა სისხლში ჩაეხშო ბერძენთა ეროვნულ-განმანთავისუფლებელი გამოსვლები. ოსმალთა ჯარებით იყო გარშემორტყმული ათონის მთაც და სასტიკად ავინწროებდნენ იქ მოღვაწე ბერ-მონაზვნებს.

ოსმალებმა შეიძყრეს ათონს მიმავალი მღდელმონაზონი თეოდორე და როდესაც გაიგეს, რომ თეოდორე ადრე მუსულმანი ყოფილა მკაცრად მოთხოვეს მას ქრისტეს უარყოფა და ალაპის აღიარება. თეოდორემ მხნედ იქადაგა ქრისტიანობა და უშიშრად ამხილა მუსულმანთა სიცრუე და სისასტიკე. ოსმალებმა სასტიკად აწამეს მუსულმანობის უარყოფელი და ქრისტეს მაღიდებელი მღდელმონაზონი თეოდორე, რომელიც ბოლომდე მადლობდა ქრისტე ღმერთს ყველაფრისათვის. როდესაც ვერაფერს გახდნენ, ოსმალებმა მოკლეს წმიდა თეოდორე და სხეული ზღვაში გადააგდეს.



ურონოპოლისი. ათონის მთის ნავსადგური

ღირსი ნიკოლოზი, ყოვლისა საქართველოისა
პატოლიკოს-პატრიარქი (+1591)
18 (2.03) თებერვალი



ღირსი ნიკოლოზი ყოვლისა საქართველოისა კათოლიკოს-პატრიარქი დაიბადა 1515 ახლო ხანებში. წმიდა ნიკოლოზის მძობლები იყვნენ კახეთის მეფე ლეონ ბაგრატიონი და დედოფლალი თინათინი.

ნიკოლოზისთვის სათანადო ცოდნა-განათლების მისაღებად თინათინ დედოფლალმა მცხეთის საკათალიკოსო ტაძრიდან კახეთში წაიყვანა სვეტიცხოვლის ცნობილი ქადაგი გედეონ მაღალაძე, რომლის მიერ განისაზღვრა ნიკოლოზი „კითხვასა ღმრთივ სულიერსა წიგნთასა და გალობასა ანგელოზებრივსა“ და აღნევნულ იქნა „თავსა სრულებისასა ვიდრე რიტორობად და ღრამატიკოსობად“.

ვახუშტი ბატონიშვილის ცნობით „ქორონიკონსა სობ (1584 წელს) მიიცვალა ბარათაშვილი, კათოლიკოზი ნიკოლოზ და ბრძანებითა ღმრთისათა კათალიკოზ იქმნა ძე კახთა მეფისა ლეონისა თუესა თებერვალსა კმ (28) დღესა შაბათსა“.

1588 წლით დათარიღებულ საბუთში კათოლიკოს-პატრიარქი ნიკოლოზი თავს შემდეგნაირად მოიხსენიებს: „ე. ჩუენ, ქრისტეს ღმრთისა მიერ კურთხეულმან, ყოვლისა საქართველოს მამათმთავარმან ქართლისა კათალიკოს-პატრიარქმან ხელმწიფის ლეონის ძემან პატრონმან ნიკოლაოზ“.

წმიდა კათოლიკოს-პატრიარქი ნიკოლოზი თავდადებულად იღწვოდა ეკლესიის სინმინდის დაცვისათვის და ზრუნველი საკათალიკოსო საყდრის ყრმა-მამულების გამრავლებასა და გაფართოებაზე. ამ მხრივ მას გვერდით ედგნენ, როგორც ქართლის, ასევე კახეთის მეფეები.

პატრიარქმა ნიკოლოზმა, კახთა მეფეს ალექსანდრეს დააბრუნებინა სვეტიცხოვლის კუთვნილი სოფლები — ვეძისხევი, ფაშაანი, ხევთუბანი და გორგაანი, რომლებიც მეფე ალექსანდრემ ორი წლით ჩამოართვა სვეტიცხოველს და სხვებს უბოძა — „გავსინჯეთ და თვესივე მამული მკვდრი საქონებელი თქვენვე დაგიდევით და მოგაქსენეთ სუეტსა ცხოველსა და... ბატონსა კათალიკოზს.“, ოდნავი მობოლიშებით წერდა მეფე ალექსანდრე, პატრიარქ ნიკოლოზს.

საეკლესიო და სახელმწიფო ბრივ საქმეებთან ერთად ნიკოლოზი უდიდეს ყურადღებას იჩენდა თითოეული ადამიანისადმი. საოცარი მადლიერებით ეპყრობა ნიკოლოზ კათოლიკოსი მის აღმზრდელს გედუონ მაღალაძეს — მიუხედავად იმისა, რომ ლეონ მეფემ უხვად დააჯილდოვა გედეონი შვილის კეთილად აღზრდისათვის, ნიკოლოზმა კიდევ უბოძა მას ყრმა-მამულები: „ოდეს ლირსმყო უფალმან დადგინდებად კათოლიკე ეკლესიისა პატრიარქად მას უამსა გიბოძე... და დიდისა მისთვის მსახურებისა და აღზრდისა ჩემისათვის მცირედი ესე უკუმოგიზლვე“.

ნმიდა ნიკოლოზ კათოლიკოს-პატრიარქს მოიხსენიებენ, როგორც „იოვანე ოქროპირისა და ბასილის მსგავსსა და მათებრ სარწმუნებულსა ბატონს კათალიკოზს“. მან აღადგინა და გამართა ძველი ქართული ხელნაწერი წიგნი „რჯულის კანონი“.



ჩატოლიკოზ ხელნაწერი

კათოლიკოს-პატრიარქ
ნიკოლოზ მეოთხის ავტოგრაფი



ნმიდა ნიკოლოზს მინერ-მონერა ჰქონდა რუსეთის პატრიარქ იობთან და მას საჩუქრად გაუგზავნა ბედაური ცხენი. ნიკოლოზ კათოლიკოსმა მეტების ღმრთისმშობლის ტაძარს შესწირა 1049 წელს დაწერილი, მშვენიერი ყდით შემკული, ტყავზე ხელნაწერი სახარება.

ნიკოლოზ კათოლიკოს-პატრიარქის შემდეგ საქართველოს

ეკლესიის საჭეომპურობელი გახდა დორეთეოზ III, რომელიც საგანგებოდ აღნიშნავს ნმიდა ნიკოლოზ კათოლიკოსის მამის, კახთა მეფის ლეონისა და მის შვილთა წყალობასა და შენევნას: „კახთ მეფის ლეონის წყალობითა და მის შვილთა ბევრი მოვიდა ჩემზედა. საუკუნომცა არს წსენება და კურთხევა მათი“.

მიტროპოლიტ ტიმოთეს (გაბაშვილი) მიხედვით ათონის ივერთა მონასტერის სატრაპეზოში გამოსახული იყო ნმიდა ნიკოლოზ კათოლიკოს-პატრიარქის ფრესკა. მეუფე ტიმოთე აღწერს აშოთან მუხრანბატონის მიერ აშენებულ სატრაპეზოს და უმატებს: „იქ მიცვალებულა კათალიკოზი ნიკოლოზ, მგონი ეს ბატონიშვილი იყოს“.

მონაშენი: ცხრანი ყრმანი ქოლაელი
შტკვრის სამავასთან ქვით ჩაქოლილი (VI)

22 (6.03) თებერვალი



ნარე მტკვარი, რომელსაც იქ მცხოვრები ქართველი მოსახლეობა კურას ეძახის.

ქრისტიანთა და წარმართთა ბავშვები მთელი დღეების განმავლობაში ერთად თამაშობდნენ. სალამოობით, როცა სოფლის ეკლესიაში მწუხრის ზარებს დარეკავდნენ, ქრისტიანი ბავშვები თამაშს თავს ანებებდნენ და ტაძარში მიღიოდნენ სალოცავად.

ეკლესიაში ვერ შედიოდნენ წარმართი მშობლების ბავშვები. „თქუენ შვილნი ხართ მეერპეთანი და არა ჯერ-არს შემოსლვად თქუენი სახლსა ღმრთისასა“ ეუბნებოდნენ ეკლესიასთან მისულ ყრმებს. ქრისტიანები წარმართ ყრმებს ეუბნებოდნენ: „უკუეთუ გნებავს შემოსლვად ჩუენ თანა ეკლესიად, გრწმენინ უფალი ჩუენი იესუ ქრისტე და ნათელ-ილეთ სახელისა მიმართ მისისა და ეზიარენით საიდუმლოთა მისთა და შეგუერთენით ქრისტეანეთა“.

ერთ დღეს ყრმებმა გადაწყვიტეს და სიხარულით აღუთქვეს ქრისტიანებს, რომ მონათლებოდნენ. კოლაელი ქრისტიანები სოფლის მღდელთან მივიდნენ და აუნყეს ყრმათა სურვილი. მღდელი არ

შონამენი ცხრანი ყრმანი კოლაელი ქრისტეს აღსარების-თვის ქვებით ჩაქოლეს საკუთარ-მა მშობლებმა და ნათესავებმა. კოლაელი ყრმანი მეექვეს საუკუნეში ცხოვრობდნენ ისტორიულ ზემო ქართლში, მდინარე მტკვრის სათავესთან. სოფელში გვერდი-გვერდ ცხოვრობდნენ ქრისტიანები და წარმართები. უმეტესობა კერპთაყვანისმცემელი იყო.

ცნობილი მეცნიერი პავლე ინგოროვა თვლის რომ კოლაელი, კოლხი და კლარჯი ერთი და იგივე ტერმინია და ერთი და იმავე სატომო სახელის დიალექტურ სახესხვაობას წარმოადგენს. ამ გეოგრაფიულ სატომო სახელს უკავშირდება ასევე მდინარე მტკვარი, რომელსაც იქ მცხოვრები ქართველი მოსახლეობა კურას ეძახის.

ქრისტიანთა და წარმართთა ბავშვები მთელი დღეების განმავლობაში ერთად თამაშობდნენ. სალამოობით, როცა სოფლის ეკლესიაში მწუხრის ზარებს დარეკავდნენ, ქრისტიანი ბავშვები თამაშს თავს ანებებდნენ და ტაძარში მიღიოდნენ სალოცავად.

ეკლესიაში ვერ შედიოდნენ წარმართი მშობლების ბავშვები. „თქუენ შვილნი ხართ მეერპეთანი და არა ჯერ-არს შემოსლვად თქუენი სახლსა ღმრთისასა“ ეუბნებოდნენ ეკლესიასთან მისულ ყრმებს. ქრისტიანები წარმართ ყრმებს ეუბნებოდნენ: „უკუეთუ გნებავს შემოსლვად ჩუენ თანა ეკლესიად, გრწმენინ უფალი ჩუენი იესუ ქრისტე და ნათელ-ილეთ სახელისა მიმართ მისისა და ეზიარენით საიდუმლოთა მისთა და შეგუერთენით ქრისტეანეთა“.

ერთ დღეს ყრმებმა გადაწყვიტეს და სიხარულით აღუთქვეს ქრისტიანებს, რომ მონათლებოდნენ. კოლაელი ქრისტიანები სოფლის მღდელთან მივიდნენ და აუნყეს ყრმათა სურვილი. მღდელი არ

შეუშინდა წარმართთაგან მოსალოდნელ რისხვას და ზამთრის სუსტიან ღამეს ბავშვები მდინარეზე წაიყვანა მოსანათლავად. ხუცესმა გაყინულ მდინარეში ჩაიყვანა ბავშვები და ნათელსცა მათ. ნათლობის დროს მოხდა სასწაული: წყალი გათბა და ყრმებმა ნათლის ანგელოზები იხილეს. ანგელოზთაგან განმტკიცებულმა ბავშვებმა აღარ ისურვეს წარმართ მშობლებთან დაბრუნება და ქრისტიანებთან დარჩნენ ეკლესიაში.

მშობლებმა გაიგეს შვილების ნათლისლების ამბავი, ძალით გამოიყვანეს ისინი ეკლესიიდან და ცემა-ტყეპითა და ლანძღვა-გინებით წაიყვანეს სახლში. ბავშვებმა საოცარი სიმტკიცით აიტანეს ყოველგვარი შეურაცხყოფა და ტანჯვა-წამება, შვიდი დღე-ლამე მშიერ-მწყურვალნი მუდამ ერთსა და იმავეს იმეორებდნენ: „ჩუენ ქრისტიანენი ვართ და არა ჯერ-არს, ვითარმცა ვჭამეთ და ვსუთ წაგები კერპთა“. ვერც მოაფერებამ და ვერც სხვა სიკეთეთა აღთქმამ ვერ მოხიბლა ქრისტეშემოსილი ყრმები. „ჩუენ ქრისტიანენი ვართ და არარად გვემს თქვენგან, არამედ განგვტევენით და წარვიდეთ ქრისტეანეთა თანა“, — ითხოვდნენ ისინი.

შვილების სიმტკიცით განრისხებული მშობლები მთავართან მივიდნენ და ყოველივე აუწყეს. მთავარმა მათ უთხრა: „შვილნი თქუენნი არიან, ჰელმნიფებად გაქუს, უყავთ, რამცა გნებავს“. წარმართებმა მთავრისგან ბავშვების ქვით ჩაქოლვის ნებართვა ითხოვეს, მდინარის სათავესთან, იქ, სადაც ყრმებმა ნათელ-იღეს, დიდი ორმო ამოთხარეს და ბავშვები შიგ ჩაყარეს. „ჩუენ ქრისტეანენი ვართ და მისთვისცა მოვსწყდებით და მოვკუდებით, რომლისა მიმართ ნათელ-ვიღეთ“, — ეს იყო ყრმათა უკანასკნელი სიტყვები. უსჯულო მშობლებმა პირველებმა აიღეს ქვები, შემდეგ თავმოყრილმა ხალხმაც მიჰპაძა მათ და მალე ორმო ქვებით ამოავსეს.



წარმართებმა შეიპყრეს სოფლის ხუცესი, სასტიკად სცემეს, გაძარცვეს და ნაძარცვი თვითონ დაინაწილეს. ტანჯვა-წამებით სიკვდილის პირას მისული ხუცესი მალევე გარდაიცვალა.

გ ა რ ტ ი

- 3 (16) — ლირსი იოვანე მეოთხე, ყოვლისა საქართველოსა
კათოლიკოს-პატრიარქი, ოქროპირად
ნოდებული (+1001);
- 5 (18) — ლირსი დოსითეოზ ქუთათელი (წერეთელი) (+1820);
- 10 (23) — ლირსი იოვანე ხახულელი,
ოქროპირად ნოდებული (X-XI);
- 12 (25) — წმიდა მეფე დემეტრე თავდადებული (+1289);
— საქართველოს სამოციქულო ეკლესიის
ავტოკეფალიის აღდგენის დღე (1917);
- 16 (29) — ლირსი ამბროსი ალმსარებელი — სრულიად
საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი (+1927);
— ლირსნი: პიმენ სალოსი და ანტონი მესხი (XIII);
- 17 (30) — მღდელმოწამე გაბრიელ მცირე,
მწიგნობართუხუცესი (+1802);
- 28 (10.04) — ლირსი იოვანე მანგლელი (+1751);

ღირსე იოვანე მეოთხე, ყოვლისა საქართველოს
კატოლიკოს-აათისარი, (ოძოვაირად წოდებული) (+1001)
3 (16) მარტი



ღირსე იოვანე კათოლიკოს-პატრიარქი 980-1001 წლებში განავებდა საქართველოს სამოციქულო ეკლესიას.

ტაო-კლარჯეთში, პარხლის მონასტრის წარწერაში მოხსენიებულია მონასტრის აღმშენებელი მეფე დავით კურაპალატი და „ქართლისა და ყოვლისა აღმოსავლეთისა პატრიარქი იოვანე“.

პროფესორ ვალერი სილოგავას გამოკვლევით საქართველოს ეკლესიის საჭეთმცყრობელებიდან პატრიარქის ტიტული პირველად წმიდა იოვანე მეოთხეს მიენიჭა. „აქამდე მიღებული იყო, რომ საქართველოს ეკლესიის საჭეთმცყრობელებმა პატრიარქის ტიტული მეთერთმეტე საუკუნიდან მიიღეს და პირველი ასეთი იყო მელქისედეკი (1010-1033). შელქისედეკის მიერ პატრიარქის ტიტულის მიღებას მისი ბიზანტიაში ხშირი მოგზაურობით, კონსტანტინეპოლის საიმპერატორო კარზე ახლობლობით ხსნიან... ქვეყნის საეკლესიო საჭეთმცყრობელისათვის პატრიარქის უმაღლესი ტიტულის მოპოვებას და მინიჭებას უფრო სერიოზული და მნიშვნელოვანი საფუძველი ჰქონდა და ქვეყნის საერთო პოლიტიკური განვითარებით იყო განპირობებული. ბიზანტიის იმპერიისაგან პოლიტიკურად დამოუკიდებელ ქვეყანას ეკლესიური დამოუკიდებლობაც სჭირდებოდა, რაც მისი ეკლესიის საჭეთმცყრობელისათვის პატრიარქის ტიტულის მინიჭებაში უნდა გამოხატულიყო. ამისათვის ყველა წინაპირობა არსებობდა — ორმოცზე მეტი საეპისკოპოსო კათედრა და მონასტერი, ქართლისა და აფხაზეთის საკათალიკოსოები და მეხუთე საუკუნიდან წმინდა მირონის ხარშვის უფლება.

ასეთ ვითარებაში დავით კურაპალატის დროს მისი დროის საქართველოს ეკლესიის საჭეთმცყრობელს, ქართლის კათალიკოს იოვანეს მიენიჭა პატრიარქის ტიტული და იგია ამ ტიტულის პირველი მატარებელი საქართველოს ეკლესიის ისტორიაში და ამას დოკუმენტურად ადასტურებს პარხლის ეკლესიის შესანიშნავი წარწერა მეათე საუკუნის ბოლო ოცნლებულისა.


არ არის გამორიცხული, რომ 980 წელს ქართლის კათოლიკოსად

ნაკურთხმა იოვანეშ იმთავითვე მიიღო პატრიარქის ტიტული, რასაც იმ დროისათვის ქვეყანაში არსებული პოლიტიკური კითხებით განაპირობებდა... 1260 წლის ახლო დროის საბუთით დამონმებულია, მაგრამ, როგორც ჩანს ადრინდელი ტრადიციის ამსახველია კათოლიკოს ნიკოლოზ მესამის (1250-1282) ხელრთვაში ნარმდგენილი რეალობა, როდესაც იგი წერს: „ქრისტეს მიერ შემდგომად ხუთთა პატრიარქთა და უპირველეს მათსა ზეგარდამო მოსულთა უბინოთა დედისა მისისა ხელითა შეთელილისა კუართისა საუფლოსა მიერ სუეტის-ცხოველის მექეუსე პატრიარქი და ქრისტეს მიერ ყოვლისა საქართველოს კათოლიკოზი ნიკოლაოზ ვამტკიცებ და წავნერ“. მაშასადამე, დოკუმენტურად მტკიცდება, რომ უკვე მეორმეტე საუკუნეში და, ალბათ, ამაზე ადრეც, საქართველოს ეკლესიის მეთაური მსოფლიოს ხუთი პატრიარქის შემდეგ მეექვსე ადგილზე აყენებდა პატრიარქის ტიტულით თავის თავს, მაგრამ ამისთვის მას რთული გზა უნდა გაევლო, რომელიც სათავეს მეათე საუკუნეში იღებდა“ — წერს მკვლევარი.

საქართველოს ეკლესიის მეთაურთაგან პატრიარქის ტიტულის პირველი მფლობელი წმიდა იოვანე ბიბლიური პატრიარქალური ოჯახების მსგავსად მშობელთა მრავალნლიანი ლოცვისა და მარხვის შემდეგ მოევლინა ქვეყანას. კათოლიკოს-პატრიარქ ბასილის (1065–1080) თხზულებაში: „თხრობა სასწაულთათვის წმიდისა და ლმერთშემოსილისა მამისა შიოსა“ მოთხრობილია რომ იოვანეს მშობლებს დიდხანს არ ჰყავდა შვილი და შიო მღვიმელს ევედრებოდნენ მეოხებას. შვილის შეძენის შემდეგ მშობლებმა იოვანე აღსაზრდელად შიომღვიმის მონასტერში მიაბარეს, სწორედ მონასტერში შეიძინა იოვანემ ის სიწმიდე და სიბრძნე, „რომელი ყოვლითურთ იქნა სწორ იოვანე ოქროპირისა, რომლისა სათნოებანი და საქმენი უკეთუ ვინმეს უნდენ ცნობად მიიღედ ხელად მისთვის აღნერილი წიგნი“.



კათოლიკოს-პატრიარქ იოვანე მეოთხე მშვიდობით აღესრულა 1001 წელს. იოვანე მეოთხის შემდეგ საქართველოს ეკლესიის საჭეთმცყრობელად აირჩიეს სვიმეონი, რომლის ტიტულის შესახებ წერილობითი წყაროები არ შემონახულა. სვიმეონის შემდგომ საქართველოს ეკლესიას მეთაურობდა წმიდა მელქისედეკი, რომელის მემკვიდრე გახდა, მისივე აღზრდილი იოვანე მეხუთე, რომელსაც ასევე იოვანე ოქროპირ-კათოლიკოსი უნდა ქართველმა ხალხმა.



აურებული ოჯახი ისტორიულად მნიშვნელოვან ფუნქციას ასრულებდა ქვეყნის მთლიანობისა და სიმტკიცისათვის.

დავითმა მონოზვნური ცხოვრება აირჩია და მონასტერში დაემკვიდრა სამოღვანეოდ. დავითი მალევე აღკვეცეს და სახელად დოსითეოზი უწოდეს. სინმიდითა და სიბრძნით გამორჩეული წმიდა დოსითეოზი 1781 წელს იქნა დადგენილი მღდელმთავრად ქუთაისის სამიტროპოლიტო კათედრაზე. სამეუფო მადლმა კიდევ უფრო გააპრინინა ეკლესიისა და ერისათვის თავდადებული მოღვაწე, იგი დაუცხორმელად ზრუნავდა სამწყსოს სულიერ განათლებაზე და ყოველნაირად ცდილობდა განემტკიცებინა ხალხში სარწმუნოებრივ-სახულმწიფოებრივი აზროვნება.

მეუფე დოსითეოზი დიდ ყურადღებას აქცევდა საკათალიკოსო და საეპარქიო მეურნეობებს. ძალიან დაახლოებული იყო იმერეთის სამეფო კართან და აქტიურად უჭერდა მხარს ცენტრალური ხელისუფლების გაძლიერებას. ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკური პროცესები და შიდა ურთიერთდაპირისპირებები აიძულებდა წმიდა დოსითეოსს აქტიური მონაწილეობა მიეღო საერო საკითხების გადაწყვეტაში.

1883 წელს გიორგიევსკის ტრაქტატის საფუძველზე, ქართლ-კახეთის სამეფო შევიდა რუსეთის მფარველობაში, რუსეთის მთავრობა უხეშად ცდილობდა შეერთებინა საქართველოს დანარჩენი სამთავროები. დოსითეოზ ქუთათელისა და ეფთვიმე გაენათელის

შონანილებით 1789 წელს იმერეთის დელეგაცია უნვია ქართლ-კახეთის მეფე ერეკლეს და სთხოვეს თავის ძალაუფლების ქვეშ გაერთიანებინა ქართლ-კახეთისა და იმერეთის სამეფოები, რაც სამწუხარ-ოდ ვერ განხორციელდა.



1795 წლიდან დოსითეონსი დასა-ვლეთ საქართველოს საკათალიკოსოს გამგებლად იხსენიება, ამა წლის 26 აპრილს მეფე ერეკლეს მეუღლე დედო-ფალი დარეჯანი, მეუფე დოსი-თეოზისადმი მიწერილ წერილში მას კათოლიკოსად იხსენიებს: „დოსითე-ოზს, მათ უწმინდესობას, სრულიად იმერთა და ოდიშ-აფხაზთა კათოლი-კოზ...“, არსებობს 1789 წელს მეფე სოლომონის დადასტურებული დოკუ-მენტი, სადაც უწყებულია, რომ „ქუთა-თელ მიტროპოლიტს დოსითეოზს

კათოლიკოზობა უბოძეთ“. მაგრამ დოსითეოზი კათოლიკოზად არ იყო ნაკურთხი და იგი თავის თავს, მხოლოდ საკათოლიკოსოს გამგებლად იხსენიებს.

რუსეთის დამპყრობლური პოლიტიკით გატანჯული ხალხი ხმა-მაღლა გამოხატავდა უკანასკნელებას, 1819 წელს იმერეთში აჯანყე-ბამ იფეთქა, რუსეთის მთავრობა სასტიკად გაუსწორდა აჯანყე-ბულებს. შეიპყრეს აჯანყების ყველა სავარაუდო თავკაცი და იღე-ოლოგი. 1820 წლის 4 მარტს რუსეთის მთავრობის საგანგებო ბრძანებით, ისე რომ ამ ამბავს კიდევ ახალი მღელვარება არ მოჰყ-ოლოდა შეიპყრეს დოსითეოზ ქუთათელი და ეფთვიმე გაენათელი. ორივე მღდელმთავარს ტომრები ჩამოაცვეს თავზე, შეუკრეს ხელ-ფეხი და მათრახების ცემით წაიყვანეს, ასევე სასტიკად გაუსწორდნენ სხვა შეპყრობილ აჯანყებულებს, ზოგი მათგანი ჩამოახრჩვეს და ზოგიც რუსეთში გადაასახლეს სამუდამოდ.

ნატანჯი და ნაცემი მღდელმთავრები დაბა სურამში შეაჩერეს, სადაც ერთ დედაკაცს მათთვის ნყალი მოუწოდებია დასალევად. წმიდა ეფთვიმეს კბილები სრულიად ჩამოცვენილი ჰქონია ცემისგან და სისხლი უღებია პირიდან. სამოცდათერთმეტი წლის სასტიკად ნაცემი წმიდა დოსითეოზი 5 მარტს გზაში გარდაიცვალა, დაკრძა-ლულია ანანურში, ტაძრის შიგნით.

ღՈՐԾՈ ՈՒՅԱՆԵ ԵԱԵՍԼԵԼՈ ԾԵՐԾԱՌՈՒԴ ԵՐԱՋՔՆԵԼՈ (X-XI)

10 (23) մարգո



ღործո ույանե եաեսլելո գաօձագա 980 նլու աելու խանքի մուղու հանս ույանե յարտզել գուցարուանտա նրութան ույու դա սագուշվլուանո ցանատլեթա կյոնճա մուլեպուլո ծավանանանա.

Ֆմութա ույանե մոնաթանագ ալուց պատճառ մուղանագ ույու բնութան սայուլեսու մուղանե ույանե ցրժելու ս-ը. Տոնմութա դա ցանատլեթա ցամորհի սուլ ույանե մալեց դասեց ելնու մլադլագ դա մոնասքրու նոնամթան ցանամնես.

յարտլու յատուլու յուրտեցու դա մեց ծագրագ լլ-ու տեռնու ույանե յուսուկու սագ ույնա ցամորհի սուլու ու դրուսատցու սայման դանոնա սուրեծուլ սասուլու սայուսուկու յատեգրան.

դասելու յուրտեցու 1019 նելս ույանե մաս յուլու յատեգրա տացու դանենա դա արսեն նոնոնմոն դելտան յրտագ ատոնու մտաս մուշու սամուղան յու. չեր յուց սայարտաց յուլու յուրտ-յրտ ելնանց ընդերմու նոտեցամու: „լուցա պատ նուգարու ծերուսա ույանե ցրժելու սուսա դա սուլու յուլուսա մուսուսա ույանե ոյրու պուրուստցու, րոմելնու յուրու դամուրես մրոմասա դա նուրասա ամուս նմութուսա նոցնուսա“.

ատոնու մտան յուրտեցու ույանե յրտաց յուլու յատեգրա մեարմու նմութա յուտանու ատոնելս դա յուլու յու մեցու դրուս յունու յուլու յուրտ մուղանե, մտարց մելու դա յալու յուրա յու ույու.

ույանե, րոցոր մէյերմէ գույզ յուլու մէյա գույզ յուլու, „ոյրու պուրու“ յունու յու. յուրց մտան յուլու յունու յուրտ մուղանե, մտարց մելու դա ույանե եասուլու յատոննու յալսու յուլու յուլու.



წმიდა შეფე დემეტრე თავდადებული დაიბადა 1259 წელს. მისი მშობლები იყვნენ მეფე დავით-ულუ და დედოფალი გვანცა.


დაახლოებით 1262 წელს მონღოლების ნინაალმდევ მონყობილი აჯანყების გამო მონღოლებმა გვანცა დედოფალი და მისი მცირენლოვანი შვილი დემეტრე შეიპყრეს. ჰულაგუ ყაინმა დედოფალი სიკვდილით დასაჯა. შემდევ დემეტრე იზრდებოდა ტარსაიჭ ორბელიანის სახლში.

1270 წელს გარდაიცვალა დემეტრეს მამა, დავით-ულუ. თორმეტი წლის ყრმა დემეტრე ქართველმა დიდებულებმა აბალა ყაენს მიჰვარეს ურდოში და სთხოვეს, საქართველოს მეფედ დაემტკიცებინა. ყაენმა მეფობის დასტური უბოძა დემეტრეს, სამაგიეროდ, თავისი უფლებების განსამტკიცებლად „ნარმოატანა თანა სადუნი, რომელსაც უბოძა მეფემან დემეტრე ათაბაგობა“. სადუნ მანკაბერდელი ყაენის ნების აღმასრულებელი, ტფილისში გაზრდილი გასომხებული ქურთი იყო.

ჩამობრძანდა საქართველოში დემეტრე და მცხეთის სვეტიცხოვლის ტაძარში „აღასრულეს წესი ქურთხევისა კათალიკოზმან და ეპისკოპოზთა და ყოველთა მთავართა საქართველოსათა ერეთით, კახეთით, სომხითით, ქართლით და ჯავახეთით და ტაოთ, რომელნი შეკრებულ იყუნეს“.

მეფე დემეტრე გონივრულად და გულმოწყალებით განაგებდა ქვეყანას. „აქუნდა ჩუეულება, აღიღის საფასე და აღდგის ღამე, და მოვლის ქალაქი, და მოიხილნის გლახაკნი და დავრდომილნი და ობოლნი, და თვისითა წელითა მისცემდის, და ყოველთა უწყოდიან მოწყალება მეფისა და ამისთვის გლახაკნი ღამით ფოლორცთა შინა ვიდოდიან, რათა შეემთხვენ მეფესა“.

თხუთმეტი წლის დემეტრე მეფეს, პოლიტიკური მოსაზრებით, ცოლად შერთეს ტრაპიზო-



ნის კუისრის ასული. დემეტრე მეფემ ააშენა და განაახლა ეკლესია-მონასტრები, გაამაგრა რამდენიმე სტრატეგიული მნიშვნელობის მქონე ციხე-სიმაგრე. „ააგო პალატსა შინა მონასტრი ისანთა, საყოფელად მეტებთა ღმრთისმშობელისა და შეამკო განგებითა დიდითა და შესნირნა სოფელნი და ზვარნი და განუჩინნა მონაზონთა საზრდელი და განაგო კეთილითა”.

მეფე დემეტრე იძულებული იყო თავისი ლაშქრით მონაწილეობა შეიღო ყაუნის თითქმის ყველა დაპყრობით ბრძოლებში, რომლებსაც ათასობით ქართველი ვაჟუაცის სიცოცხლე შეეწირა. ამდენი ლაშქრობებისაგან ქვეყანა გაღატაკდა, გავერანდა. ქვეყნის ინტერესებმა კვლავ მსხვერპლი მოითხოვა მეფისაგან, ამჟამად მონღოლთა ნოინის ასული სოლლარი შეირთო დემეტრემ ცოლად.

სხვათა ომში სისხლისაგან დაცლილი საქართველო ახალი განსაც-დელის ნინაშე აღმოჩნდა: დაინყო შინაბრძოლები. ქართველები ისე დაეცნენ, რომ ეკლესიებსაც კი სტაცებდნენ მინებს და სოფლებს. დე-მეტრეც ახალი საცდურის ნინაშე აღმოჩნდა: გულისთქმას ვეღარ გა-უძლო და ცოლად მოიყვანა ბექა ჯაყელის ასული ნათელა.

უფალმა სასჯელი მოუვლინა „საზეპურო ერს“ — ვნების ოთხშა-ბათს, ხუთშაბათს და პარასკევს მინა იძრა „სამხილებელად უსჯულო-ებათა ჩუენთათვს“. შაბათს კი საფუძვლით ურთ შეარყია და შეაძრნუნა ქვეყანა: დაანგრია ეკლესია-მონასტრები, მინა გაიპო და იქიდან შა-ვმა კუპრისმაგვარმა წყალმა ამოხეთქა, გლოვამ და ჭირილმა მოიცვა საქართველო.

ერის დაცემით შეძრნუნებულმა კათოლიკოს-პატრიარქმა ნიკოლოზმა ვერ შეძლო აზვირთებული უზნეობის შეჩერება და მოთოვეა. მრავალჯერ ამხილა და დამოძღვრა მან მეფე, და რაკი ვერ არწმუნა, დაუტევა პატრიარქობა, „ნარვიდა მამულად თვსად“ და უბრალო მონაზვნური მოღვანეობით შეჰვედრა სული უფალს.

დემეტრე მეფის სამხილებლად ათონის მთიდან ჩამოვიდა ღირსი ბასილი მონაზონი, ევფემიოს კათოლიკოსის ბიძა, „საღმრთოთა ნესითა აღსავსე და ნინასნარცნობის მადლითა გაბრნყინვებული“, ღმრთის-მშობლის გამოცხადებით მოინია ნინაშე დემეტრე მეფისა, ამხილა იგი უნესო ქორნინებისათვის და უთხრა: „უკეთუ დაუტევენ უნესონი ქორნინებანი, მე თავს-მდებ გექმნე, რათა კეთილად ნარგემართოს მეფობა შენი“. მე-



ფემ და მთავრებმა უგულებელყოფს ბასილის ნათქვაში. მაშინ ბასილი მონაზონმა დემუტრეს მომავალი უწინასწარმეტყველა: „პოროტად და უპატიოდ მოიკლა მძღლავრთა მიერ და ოქერ იქმნე სამეფოსაგან შენისა და შეილნი შენი მიმოდაიბინინეს და სხვამან დაიპყრას მეფობა შენი და იავარ-ჰყონ სიმდიდრე შენი. და აპა ესერა, შენ და მთავართო გეტყვ და ვესავ ყოვლადნმიდასა ღმრთისმშობელსა, რომელ სრულ იქმნეს და აღსრულოს სიტყუა ჩემი, უკუეთუ ეგო უნესოებასა მაგას. მე აპა ესერა ნარვალ”. მეფეს ამხელდა აგრეთვე ლექთა განმანათლებელი ღირსი პიმენ სალოსი და მისი თანამოსაგრე ანტონი მუსხი.

აბალა ყაენის გარდაცვალების შემდეგ ყაენის ტახტისთვის სამკვდრო-სასიცოცხლოდ ებრძოდნენ ერთმანეთს აბალას ძმა, აპმალი და შეილი, არღუნი. დემეტრე მეფე იძულებული იყო, მონაწილეობა მიეღო პოლიტიკურ დაპირისპირებებში. არღუნის ნინააღმდეგ მოწყობილი ერთ-ერთი შეთქმულების მეთაურობა დაბრალდა არღუნის პირველ ვეზირს, ბულას, რომელიც მზახლად ეკუთვნოდა დემეტრეს. ყაენმა შეიძყრო და თავი მოჰკვეთა ბულას, იგივე დღე ენია მის ნათესავ-მომხრეებსაც. ყაენის კარზე დაიბარეს მეფე დემეტრეც.

მეფე დემეტრემ მოინვია კათოლიკოსი, ეპისკოპოსი, მონასტრებისა და გარეჯის უდაბნოს მამები, შეერიბა დარბაზის ერი და განუცხადა: „ღმერთმან ყოვლისა მპყრობელმან და უფალმან ჩუენმან იესუ ქრისტემან და ყოვლად წმიდამან ღმრთისმშობელმან, რომლისა ნანილადცა ვართ, და ჯუარმან პატიოსანმან, რომელი მოგუენიჭა ჩუენ მეფეთა, დამიცვა და მიმანია ასაკად სისრულისა და მომმადლა მეფობა, სკიპტრა და პორფირი მეფობისა და თანადგომითა თქუენითა წარვმართე მეფობა და აქამომდე მშვდობით ჰგიეს სამეფო ჩემი. ან განრისხებულ არს ყაენი... და ან მე მიწოდს ნინაშე მისსა. ვგონებ ბოროტის ყოფასა ჩემთვს, თუ არა წარვიდე მთიულეთს, სიმაგრეთა შინა და დავიცვა თავი ჩემი! და აპა ყოველი სამეფო ჩემი ნინაშე მათსა ძეს, იხილეთ რავდენი სული ქრისტიანე სიკუდილსა მიეცემის და ტყუე იქმნების და ეკლესიანი შეიგინებიან და მონწრდებიან, კაცნი და ჯუარნი დაიმუსრვიან... რა სარგებელ არს ცხოვრება ჩემი, უკეთუ ჩემთვს მრავალი სული მოკუდეს და მე თვთ მძიმე ცოდვითა განვიდე სოფლისა ამისგან. ან მნებავს, რათა წარვიდე ყაენის ნინაშე და იყოს ნება ღმრთისა: უკეთუ მე მომქლან, ვგონებ, რომე ქუეყანა უვნებელად დარჩეს”.

დარბაზი გაკვირვებული მისჩერებოდა სიცოცხლით სავსე, „შესახედავად ტურფა, თმითა და წუერითა მწყაზარ და შუენიერ” მეფეს, რომელიც ერის გადასარჩენად აშკარა სიკუდილზე მიდიოდა. ყველამ ერთხმად სთხოვა მეფეს, შეეფარებინა თავი მთიულეთისთვის, მაგრამ მეფემ მშვიდად ბრძანა: „მეწყალვის უბრალო ერი, ვითარცა ცხოვარნი კლვად უღონო არიან და არა-სადა აქუნ ნუგეშინისცემა. მე დავსდებ

სულსა ჩემთა ერისათვეს ჩემისა და არა დავიშლი ურდოს ნასვლას".

"არა არს საქმე, მეფეო, განწირვა სულისა შენისა, რამეთუ მრავალ-თა მეფეთა მიურიდნია, და დაუცავს თავი თვისი. ან თუ შენ დასდებ სულსა შენსა ერისათვეს, ჩუენ ყოველნი, ეპისკოპოსნი, ვიტკრთავთ ცოდვათა შენია, არამედ ნინაშე ღმრთისა ვნამებთ, რათა მონამეთა თანა შერაცხილ იქმნე, ვითარცა უფალი სახარებასა შინა ბრძანებს: „უფროს ამისსა სიყუარული არა არს, რათა დადვას კაცმან სული თვისი მოყუსისათვეს". და უკეთუ ერთისა მოყუსისათვის სულის დადება კე-თილ არს, რავდენ ურიცხუთა სულითა ცხოვნება ეგოდენ სარგებელ არს", — ბრძანა აბრაჟამ კათოლიკოსმა.

მეფე განემზადა ურდოში ნასასვლელად, თან იახლა აბრაჟამ კათო-ლიკოსი, მღდელი მოსე, შეილი დავითი და რჩეული ერისთავები. ყაე-ნის გამოგზავნილი სიუქოლ ნოინი შემოხვდა დემეტრეს, ხელები გაუკ-რა და ყაენს მიჰვარა, ვითარცა ერთი უპატიოთაგანი.

ვერანაირი დანაშაული ვერ აღმოუჩინეს ქართველთა მეფეს. და-ფიქრდა ყაენი. იცოდა, „უკეთუ ბოროტი უყოს მეფესა, არღარავინ არს ლირსი მეფობისა", არც დაუსჯელობა ივარგებდა, რადგან დემეტრე „მიდგომი და მზრახავი იყო ბუღასი". მაშინ ნინ ნარსდგა ხუტლუ-ბუ-ლა მანკაბერდელი, ძე სადუნისა, მონლოლთა მოენე და დამსმენი და ყაენს უთხრა: „ნუ იურვი მაგას, რამეთუ მე მოვიყვანო შვილი აფხაზთა მეფისა დავითისი (ნარინის), სახელით ვახტანგი, და მას მიუბოძე მე-ფობა, რომელ ორივე სამეფო ბრძანებასა შენსა მორჩილებდეს".

დემეტრეს ხელები შეუკრეს, არგნებით სცემეს და საპყრობილები ჩააგდეს. ქართველმა დიდებულებმა მოახერხეს დილეგმი მყოფი მე-ფის მონახულება და გაქცევა შესთავაზეს. ქვეშევრდომებს მეფემ მშვიდად მიუგო: „პირველვე უწყოდე სიკუდილი ჩემი, გარნა დავდევ თავი ჩემი და სული ჩემი ერისათვეს ჩემისა. ხოლო ან თუ ნარვიდე, უბ-რალო ერი მოისრას, რა სარგებელ არს, უკეთუ ყოველი სოფელი შევი-ძინო და სული ნარვინყმიდო".

1289 წლის 12 მარტს მოვაკანში, მდინარე მტკვრის პირას, მეფე დემეტრე სიკუდილით დასაჯეს. მოულოდნელად სასწაულმა შეძრა ყო-ველი. მზე დაბნელდა და საშინელი სიბნელე ჩამოწვა. ამ სასწაულმა ისე შეაშინა უსჯულოები, რომ ვეღარ გაბედეს დემეტრეს შვილის, უფ-ლისწული დავითის მოკვლა.

პატრიარქმა აბრაამმა და მღდელმა მოსემ ფარულად გამოიხსნეს წმიდა დემეტრეს ცხედარი და ტფილისელი მეთევზეების დახმარებით საქართველოში ჩამოასვენეს.

წმიდა მონამე დემეტრე დამარხეს სვეტიცხოველში, „სამარხოსა მა-მათა მათთასა".



საეკლესიო გადმოცემით სულთ-
მოფენობის შემდგომ ყოვლადნმიდა
ლმრთისმშობელს ქართლის მოქცევა
ხვდა წილად, მაგრამ მაცხოვარი გამო-
ეცხადა და უბრძანა: „პო, დედაო ჩე-
მო, არა უგულებელვყო ერი იგი საზე-
პურო უფროს ყოველთა წათესავთა,
მეოხებითა შენითა მათვას. ხოლო შენ
წარავლინე პირველნოდებული ანდრია
ნაწილსა მას შენდა ხვედრებულსა და
თანა წარატანე ხატი შენი, ვითარცა
პირსა შენსა დადებითა გამოისახოს და
შენ წილ ხატი იგი შენი მკვდრობდეს
მცულეად მათდა უკუნისამდე უამთა“.
ლმრთის განგებულებით და ლმრთისმ-
შობლის კურთხევით საქართველოში
საქადაგებლად წამოვიდა ანდრია პირ-
ველნოდებული.

ანდრია მოციქულმა იქადაგა დიდაჭარაში, დაადგინა ეპისკო-
პოსები, მღდლები და დიაკვნები. შემდგომ გადმოიარა მთა, რომელ-
საც რეინის ჯვარი ენოდა, განვლო ოძრხის ხევი და მოაღწია სამცხის
საზღვარს. ანდრიამ მესხეთშიც დაადგინა ეპისკოპოსი. ქადაგებით
მოიარა მთელი ის მხარე და შემდეგ იერუსალიმში დაბრუნდა.

ქართლის მეფე ადერკიმ, ქართველები კვლავ წარმართობაზე მიაქ-
ცია და შერისხა კლარჯეთის ერისთავი, რომელმაც მშვიდობით განუ-
ტევა ანდრია მოციქული.

მეორე წელს მოციქული ანდრია პირველნოდებული კვლავ დაბრუნ-
და ქართლში. ამჟამად მას მოციქულები მატათა და სვიმონ კანანელი
ახლდნენ თან. მატათამ საქადაგებლად სვანეთს მიაშურა, ანდრია და
სვიმეონი ოსეთში წავიდნენ, შემდგომ კი აფხაზეთში გადავიდნენ. სვი-
მონ კანანელი დარჩა ცხუმში, ხოლო ანდრია ჯიქეთს წავიდა.

ასე ჩაეყარა მოციქულთა მიერ საფუძველი საქართველოს ეკლე-
სიას, მაგრამ წარმართთა შიშით ქართველებმა თანდათან დაივინყეს
ჯვარცმული მაცხოვარი იესუს ქრისტე.

საქართველოში ქრისტიანობის სახელმწიფო რელიგიად გამოც-
ხადებამდე საეკლესიო იერარქია უკვე არსებობდა: პირველ მსოფ-

ლიო საუკლესიო კრებას ესნრებოდა ბიჭვინთის ეპისკოპოსი.

მეოთხე საუკუნის დასაწყისში, როცა რომში ქრისტიანობა სახელმწიფო რელიგიად გამოცხადდა, მოციქულთასწორ მირიან და ნანას შეფობის ჟამს, საქართველოში ღმრთის სიტყვის საქადაგებლად ჩამოვიდა ნმიდა ნინო. შემდეგ, მირიან მეფის თხოვნით, კონსტანტინე დიდმა გამოგზავნა იოვანე ეპისკოპოსი ორი მღდელითა და სამი დიაკონით, რომელთაც ნათელსცეს ქართველებს.

325 წელს ნიკეის პირველი მსოფლიო საეკლესიო კრებაზე იოვანე ანტიოქიის პატრიარქად იქნა არჩეული. ამ ფაქტმა განაპირობა, რომ შესოფლიო საეკლესიო კრებამ საქართველოს ეკლესიაც ანტიოქიის საპატრიარქოს მიათვალა.

შეფე ვახტანგ გორგასლის თაოსწობით 472 წელს ქართლის კათოლიკოსად დადგინდა ნმიდა პეტრე და „აქათგან ინყეს კათოლიკოსთა მთავრობად“, წერს „მოქცევად ქართლისად“-ს ავტორი. ვახტანგ გორგასლის დროიდან ქართლის ეკლესიას გააჩნდა საკუთარი საეკლესიო კრება, რომელიც უფლებამოსილი იყო თავისი შინაგანი საქმეები, ეპისკოპოსთა ხელდასმა — გადაყენება, თვითვე განევო.

მერვე საუკუნეში იმპერატორ კონსტანტინე კოპრონიმისა და ანტიოქიის პატრიარქის თეოფილაქტეს (745-751) დროს ანტიოქიაში ქართლიდან ჩავიდნენ ქართველი ღმრთისმსახურები და პატრიარქს იძერის ეკლესიის გასაჭირი მოახსენეს: სარკინოზთა შიმით ქართლსა და ანტიოქიას შორის მიმოსვლა შეწყვეტილი იყო, ამიტომ ანტიოქიის პატრიარქის, ანასტასიის დროიდან ქართლის კათოლიკოსის კურთხევა აღარ ხდებოდა. ანტიოქიის ეკლესიის ადგილობრივმა კრებამ გადაწყვიტა, ქართლის ეკლესიისთვის მიეცა კათოლიკოსთა ხელდასხმის უფლება.

მეთერთმეტე საუკუნეში ათონის მთაზე მომხდარი დაპირისპირების შემდეგ სვიმონნმიდელმა მამებმა ანტიოქიის პატრიარქ თევდოსისთან შეიტანეს საჩივარი, ივერთა მონასტერში მოღვაწე ქართველი მამების შესახებ: „არა უწყით, რაღ არს სარწმუნოებად მათი“. გიორგი მთაწმინდელმა არა მარტო დაამტკიცა საქართველოს ეკლესიის სამოციქულო პატივი, არამედ აჩვენა მისი უპირატესობა ანტიოქიის ეკლესიასთან შედარებით: „ერთი ღმერთი გვცნობიეს, არღარა უარგვყოფის და არცა ოდეს წვალებისა მიმართ მიდრეკილ არს ნათესავი ჩვენი... შუენის ესრეთ, რათა წოდებული იგი მწოდებელსა მას დაემორჩილოს, რამეთუ პეტრესი ჯერ-არს, რათა დაემორჩილოს მწოდებელსა თვისსა და ძმასა ანდრეას და რათა თქუენ ჩუენ დაგუემორჩილნეთ“ (ანტიოქიის ეკლესია ნმიდა პეტრე მოციქულის დაარსებულია).

1801 წელს რუსეთის იმპერატორმა ალექსანდრემ ხელი მოაწერა

მანიურესტს, რომლის მიხედვითაც საქართველოს მრავალსაუკუნოვანმა სახელმწიფოებრიობაშ არსებობა შეწყვიტა და ქვეყანა ორი გუბერნიის სახით შეუერთდა რუსეთის იმპერიას.

1811 წლის 10 ივნისს იმპერატორი ალექსანდრე, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქს, ანტონ მეორეს ნერდა: „საქართველოს სამეფოს რუსეთის სახელმწიფოსთან შემოერთების შემდეგ საქართველოს ეკლესიაც უნდა გაერთიანებულიყო უნმიდესისა და უმართებულესის სინოდის გამგეობაში. ახალ მართვა=გამგეობასთან მოუთავსებელი იქნებოდა საქართველოში კათოლიკოსის ყოფნა... გითხოვთ თქვენ საქართველოს ეკლესიის საქმეების განმეობლობისაგან, უნმიდესის სინოდის წევრობისა და კათოლიკოსის სახელის შენარჩუნებით“... გაუქმდა საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალია და ანტონ მეორე რუსეთში გადაასახლეს.

საქართველოს ეკლესიას რუსეთის სინოდი ხელმძღვანელობდა ეგზარქოსის მეშვეობით. 1811-1817 წლებში ამ მოვალეობას ასრულებდა ვარლამ ერისთავი. მის შემდეგ ყველა ეგზარქოსი რუსი იყო. ქართული ენისა და ტრადიციების, ქართველ წმიდანთა და დღესასწაულთა არცოდნაშ გადაულახავი ბარიერი წარმოქმნა ქართველ მართლმადიდებელთა და ეკლესიის იერაქტთა შორის. გაიძარცვა მტერთა შემოსევებს გადარჩენილ ქართული ოქრომჭედლობისა და ტიხორული მინანქრის უიშვიათესი ნიმუშები და რუსეთში იქნა გატანილი. ოფიციალურად დაწვეს და გაანადგურეს უძველესი ქართული ხელნაწერები, შეათეთრეს სვეტიცხოვლის, ალავარდის, ერთანმიდას უნიკალური ფრესკები. აკრძალეს მრავალხმიანი ქართული გალობა და ქართულ ენაზე წირვა ლოცვის შესრულება. ოცდაოთხი ეპარქია, რომლის მღდელმთავრები სამწყსოსთან ერთად იტანდნენ ყოველგვარ გაჭირვებასა და სიმძიმეს, საეგზარქოსომ ხუთ ეპარქიამდე შეამცირა. საქართველოს ეკლესიამ დაკარგა თითქმის ყველაფერი, რასაც საუკუნეების მანძილზე რუდუნებით აშენებდა და აგროვებდა.

ეგზარხოსმა პავლე ლებედევმა სიონის ამბონიდან დაწყევლა ქართველი ერი. ცნობილმა საზოგადო და პოლიტიკურმა მოღვაწემ წმიდა დიმიტრი ყიფიანმა საჯაროდ ამხილა ეგზარქოსი და მოთხოვა დაეტოვებინა საქართველო, რადგანაც მას უფლება არ ჰქონდა,



კათოლიკოს-პატრიარქი
ანტონ მეორე

დარჩენილიყო იმ ურის სულიერ მამად, რომელიც ანათემაზე გადასცა. ამ მხილების გამო მხცოვანი მამულიშვილი სტავროპოლში გადაასახლეს და კერაგულად მოკლეს.

მეოცე საუკუნის დასაწყისში საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის მესვეურებმა ქართველ სამღდელოებასთან ერთად დაიწყეს ზრუნვა საქართველოს ეკლესის ავტოკეფალიის აღდგენისათვის. რუსეთის მთავრობამ დანიშნა სხდომა, სადაც ქართველებმა დაასაბუთეს, რომ საქართველოს ეკლესის ავტოკეფალიის გაუქმება ეწინააღმდეგებოდა მსოფლიო ეკლესის კრებების კანონებს.

1917 წლის 12 (25) მარტს ქართველმა ერმა მცხეთაში მოწვეულ საგანგებო საეკლესიო კრებაზე აღადგინა ეკლესის ავტოკეფალია. იმავე წლის სექტემბერში საქართველოს ეკლესიამ ასექვსნლიანი იძულებითი შუალედის შემდეგ კვლავ აირჩია კათოლიკოს-პატრიარქი. ეს პატივი და ჯვარი წილად ხვდა ავტოკეფალიისათვის დაუცხომელ მებრძოლს, წმიდა კირიონს (საძაგლიშვილი).

საქართველოს ეკლესის ავტოკეფალია მსოფლიოს ყველა მართლმადიდებელმა ეკლესიამ აღიარა, მაგრამ არ არსებობდა ამ აღიარების წერილობითი დასტური, რომლის უქონლობის გამოც ჩვენს წინაპრებს ხშირად უხდებოდათ ბრძოლა საქართველოს ეკლესის დამოუკიდებლობის დასამტკიცებლად.



1917 წლის საეკლესიო კრების მონაწილეები

ღმრთის შენევნითა და სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, ილია მეორის დაუღალავი მოღვაწეობით, შსოფლიოს საპატრიარქომ 1990 ნელს ოფიციალურად ცნო და აღიარა საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალურობა. ამავე ნლის 4 მარტს, მართლმადიდებლობის დღესასწაულის დღეს, კონსტანტინოპლის მთავარეპისკოპოსმა და მსოფლიო პატრიარქმა ყოვლადუნიტისმა დიმიტრიოსმა საზეიმო ვითარებაში გადასცა სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქს ილია მეორეს, საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის ცნობისა და მტკიცების და საქართველოს უნიდესი ეკლესიის მეთაურის საპატრიარქო ტიტულის ცნობისა და ბოძების სიგელები. ეს იყო უდიდესი გამარჯვება და სიხარული.

ეს იყო საქართველოს ეკლესიის დამოუკიდებლობის საზეიმო და საბოლოო აღიარება.



1990 ნლის 4 მარტი. საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის ცნობისა და მტკიცების სიგელის გადაცემა. მსოფლიო პატრიარქი უნიდესი დიმიტრიოსი და სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია

ღირსი ამბროსი ალმსარებელი (ზელაია)
სოულის სახაროველოს კათოლიკოს-პატრიარქი (+1927);
16 (29) მარტი



ღირსი ამბროსი ალმსარებელი (ერი-სკაცობაში ბესარიონ ხელაია) დაიბადა მარტივილში 1861 წლის 7 სექტემბერს. ბესა-რიონის მამა ზოსიმე მღდელი იყო და ბესა-რიონიც ბავშვობიდანვე ეზიარა ღმრთის-მსახურების სიტკებოებას.

ბესარიონმა პირველდაწყებით განა-თლება სამეგრელოს სასულიერო სასწავ-ლებელში მიიღო, შემდეგ კი სწავლობდა ტფილისის სასულიერო სემინარიაში, რო-მელიც დაამთავრა 1885 წელს. შემდგომ ბესარიონი დაოჯახდა და სოხუმის ეპარ-ქიაში დაიწყო მოღვაწეობა, სინმიდითა და განათლებით გამორჩეული ბესარიონი მაღე დიაკვნად აკურთხა სოხუმის ეპისკო-პოსმა.

დიაკონ ბესარიონს მაღევე, 1887 წელს მღდლად დაასხეს ხელი. მამა ბესარიონი რვა წელი მოძღვრობდა სოხუმში, სკო-ლებში ასწავლიდა ქართულ ენას, ხელმძღვანელობდა სხვადასხვა საქველმოქმედო საზოგადოებებს; 1896 წელს გარდაეცვალა მეუღლე და მარტომ იტვირთა შვილების აღზრდა. 1897 წელს ბესარიონმა სწავლა დაიწყო ყაზანის სასულიერო აკადემიაში. ბესარიონი იყო ნიჭიერი, პატიოსანი, კეთილი, სათნო და ერთგული ადამიანი. ყაზანში მყოფი, თვალ-ყურს ადევნებდა საქართველოს ლიტერატურულ-კულ-ტურულ ცხოვრებას, ქართველთა ბრძოლას ეროვნული თვითგამორ-კვევისათვის; მომზადებული ჰქონდა რამდენიმე ისტორიული თუ სხვა ხასიათის ნარკვევი. მისმა საკანდიდატო დისერტაციამ „ქრისტი-ანობის ბრძოლა ისლამთან საქართველოში“ ისეთი ყურადღება დაიმ-სახურა, რომ პროფესორს უთხოვია, შეევსო ზოგიერთი თავი და ნარედგინა მაგისტრის ხარისხის მოსაპოვებლად. მამა ბესარიონი 1900 წლის 11 თებერვალს მონაზვნად აღიკვეცა და უწოდეს სახელად ამბროსი.

1902 წელს მამა ამბროსი სამშობლოში დაბრუნდა. იგი დაუდალავად იბრძოდა საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენისათვის, რის გამოც 1903 წელს, იგი რუსეთში გადაასახლეს. სამშობლოში

კვლავ დაბრუნების შემდეგ მღდელ-მონაზონი ბესარიონი ჭელიშის მონასტრის ნინამძღვრად დადგინეს.

ჭელიშის მონასტერი თავის დროზე მთელი რაჭის საღმრთო სწავლა-განათლების კერა იყო, მაგრამ გავიდა უამი და მონასტერს შემოაკლდა მონაფეხები, შემდეგ კი თანდათან გაუდაბურდა. მაგრა ამბროსიმ მონასტერში დაიწყო სემინარიელების მომზადება. ისნავლებოდა გალობა, საღმრთო წერილის კითხვა. მამა ამბროსიმ ბევრი იღვანა მდესლაც უმდიდრესი ჭელიშური ხელნაწერების მოსაძიებლად და აღსადგენად. ერთხელ ეკლესის ეზოში არგნით გამოსული ნინამძღვრის ყურადღება მიიპყრო ყრუ ხმაშ, რომელიც მიწის სიღრმიდან ამოდიოდა, გაათხრევინა ის ადგილი და უძველესი სახარება აღმოაჩინა. შემდგომ მუშაობდა ტფილისში, სინოდალური კანტორის წევრად, მოკლე ხანში კი ტფილისის ფერისცვალების მონასტრის ნინამძღვარი გახდა.



არქიმანდრიტი ამბროსი წელაბა

1908 წელს მამა ამბროსი ეგზარქოს ნიკონის მევლელობაში მონაწილეობის ცრუბრალდებით რუსეთში გადაასახლეს. ამბროსის მღდელმსახურება აუკრძალეს და გაგზავნეს რიაზანის სამების მონასტერში, სადაც ერთ წელზე მეტი სასტიკი რეჟიმის ქვეშ გაატარა. რუსეთის წმიდა სინოდი უგულებელსყოფდა არქიმანდრიტის ყოველთხოვნას სამშობლოში დაბრუნების შესახებ. ბოლოს, 1917 წელს, წმიდა ამბროსი დაბრუნდა საქართველოში და კვლავ საქართველოს სამოციქულო ეკლესის ავტოკეფალიის აღდგენისათვის ბრძოლის ერთ-ერთი აქტიური მონაწილე გახდა.

1917 წლის 15 ოქტომბერს არქიმანდრიტი ამბროსი ხელთდასხმული იქნა ჭყონდიდის ეპისკოპოსად. მალევე ეპისკოპოსი ამბროსი ცხუმაფხაზეთის მიტროპოლიტად იქნა დადგენილი.

1921 წლის 1-5 სექტემბერს გელათში შედგა საეკლესიო კრება, რომელზეც ცხუმაფხაზეთის მიტროპოლიტი ამბროსი საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქად აირჩიეს. ამავე წლის 25 თებერვალს საქართველოს კვლავ დაედგა მძიმე მონობის უღელი. საბჭოთა ხელისუფლება ცეცხლითა და მახვილით მოედო ეკლესიებს, დაანგრია და გააუქმა 1200 ტაძარი, დაატუსალა და დახვრიტა მრავალი სასულიერო მოღვაწე.

ერთს სულიერმა მამამ, 1922 წლის 7 თებერვალს, გენუის კონფერენციის ნარმომადგენლებს გაუგზავნა მემორანდუმი, რომლის

თოშოეული სიტყვა სამშობლოს სიყვარულითა და ჭირისუფლობით
არის განმსჭვალული, შასში ნინასწარმეტყველურად არის დანახული
ქრისტიანული სათხოების გარეშე დარჩე-
ნილი ერისა და სახელმწიფოს ბედი, მისი
უზუგაშო მომავალი.

გენუის კონფერენციაზე მემორანდუ-
მის გავზავნა უპრეცედენტო შემთხვევა
იყო. მალე წმიდა ამბროსი დაპატიმრეს.
სასამართლო პროცესზე პატრიარქთან
ერთად საკათოლიკოსო საბჭოს ნევრე-
ბიც განისჯებოდნენ.

სამსჯავროზე წმიდა ამბროსიმ თამა-
მად ამხილა მთავრობა ბოროტებაში.
ერთ-ერთ დაკითხვაზე პატრიარქმა ამ-
ბროსიმ თქვა: „სარწმუნოება არის ხალხ-
ის სულიერი მოთხოვნილება. დევნულობა
ამ მოთხოვნილებას უფრო აძლიერებს. ის
ღრმავდება, იუმშება და გუბდება და ამ-
ოხეთქავს გაძლიერებული ძალით. ასე
იყო ყველგან, ასე იქნება ჩვენშიც, საქართველო არ იქნება გამონ-
აკლისი საზოგადო კანონებიდან“.

სასამართლო პროცესის ბოლოს, მსჯავრდებულის საბოლოო
სიტყვაში წმიდა ამბროსიმ ჯალათებს უთხრა: „სული ჩემი ეკუთვნის
ღმერთს, გული — საქართველოს, გვამს კი, რაც გნებავთ, ის უყავით“.
სასამართლომ კათოლიკოს-პატრიარქ ამბროსი ხელაიას შვიდი წლით,
ცხრა თვითა და ოცდარვა დღით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა.



სრულიად საქართველოს
კათოლიკოს-პატრიარქი ამბროსი

1924 წლის ბოლოს გამო-
ცემული ამინისტრით პატ-
რიარქ ამბროსი ხელაიას და
საკათოლიკოსო საბჭოს დაპ-
ატიმრებულ ნევრებს სას-
ჯელი მოუხსნეს, მაგრამ
უკვე ხანში შესული და ჯან-
გატეხილი ერის მამა სამი
წლის შემდეგ, 1927 წელს
გარდაიცვალა.

წმიდა პატრიარქი ამ-
ბროსი დაკრძალულია სიონ-
ის საპატრიარქო ტაძარში.



ღირსები: პიმენ სალოსი და ანტონი მცხეთი არიან მუცამეტე საუკუნის საქართველოს გამორჩეული მოღვაწენი. პიმენი დაიბადა 1260 წლის ახლო ხანებში. იგი ნარმოშობით კახეთის თავადთა გვარიდან იყო.

პიმენი სიჭაბუკეშივე აღევეცილა მონაზვნად დავით გარეჯის ლავრაში.

სინმიღლითა და განათლებით გამორჩეულ მონაზონს უხვად ჰქონდა მომადლებული ღმრთისაგან „ხედვითი და ღმრთისმეტყველებითი სიბრძნე“. პიმენმა მონაზვნური მოღვაწეობის ურთულესი ფორმა აირჩია „და იქმნა იგი ქრისტისათვის სალოს“. პიმენი „იყო მამხილებელ უსამართლობასა და უწესოებასა ზედა მეფეთა და მთავართა არა თუ

სიტყვით, არამედ წერილებითაცა“. იგი მოციქულებრივ მოღვაწეობას ეწეოდა და იყო ქრისტიანობის მხურვალე მქადაგებელი მთიან კავკასიაში. მან „ნათესავი ლექთა ნარმართობისაგან მოაქცია, რომელი ჰგიან სარწმუნობასა ქრისტესა“. ღირს პიმენს ლექთა განმანათლებელს უწოდებენ.

ღირსი ანტონი მესხი პიმენ სალოსის თანამედროვე იყო. იგი სიჭაბუკეშივე აღევეცილა მონაზვნად და დავით გარეჯის მონასტერში მოღვაწეობდა. ღრმად განათლებული „მოღვაწე და მმართველობით სრული“ მონაზონი ანტონი, პიმენ სალოსთან ერთად მოციქულებრივ მოღვაწეობას ეწეოდა. საღმრთო მადლით გაბრწყინებულმა მამებმა ერზე ზრუნვა მეფის მხილებით დაიწყეს. „ქართლის ცხოვრება“-ში წერია, რომ ისინი ამხელდნენ „მეფესა და ყოველსა ერსა, გარნა არარა ისმინეს“. წმიდა ანტონი უდიდესი სიყვარულით სარგებლობდა ხალხში მას „სახელ-სდვეს ქართველთა მზედ“.





მღდელმონამე გაბრიელ მცირე დაიბადა დაახლოებით 1745-1755 წლებში. „ესე ნეტარი გაბრიელი იყო მცხოვრები ტფილისით მოქალაქე-თაგანი და ხელოვნებითა მკერავი, რომელმან დაუტევა ღმრთისა სიყვა-რულისათვის სახლი, დედა და ძმანი და მეგობარნი თვისნი და ყოველი მონაგები და წარვიდა მონასტერსა და აღიკვეცა და იქმნა მონაზონ“.

ღირსი გაბრიელი დაახლოებით 1772-1773 წლებში აღიკვეცა მონ-აზვნად გარეჯას მრავალმთის ნათ-ლისმცემლის მონასტერში და იქ მოღვაწეობდა მონამეობრივ აღსას-რულამდე. „ისწავლნა საღმრთონი

წერილი შენევნითა და ნიჭითა სულისა წმიდისახთა და ფრიად ლუანლსა და მარხვასა შინა, რომელსაცა სათნოებანი არცლა თუ რიცხვითა შესაძლებელ არ აღნერად“. ცნობილია, რომ მან „იმარხვა ლრმეოცი დღე, რათა პჰოვოს ხატი ღმრთაებისა წმიდისა ანტონის მარ-ტყოფის მონასტრისა“.

გაბრიელ მცირემ თავისი მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა ქართული საუკლესიო მნერლობის ისტორიაში. მას, როგორც საუ-კეთესო კალიგრაფს, მრავალი ხელნაწერი აქვს გადაწერილი, შედ-გენილი აქვს სხვადასხვა წმიდა მამათა გამონათქვამების ქრებული: „გვირგვინი“, „სამოთხის ყვავილი“, „სამასეული“, „ოქროს წყარო“, „კლიტე“, „სუფევა“, „მანანა“... შექმნა ორიგინალური სასულიერო თხზულებებიც, მათ შორის: 1) მღდელმთავრისა ლიტურლიისა განმარ-ტებად სახისმეტყუებებითი, ვითარმედ ყოველსავე მღდელმოქმე-დებასა მისსა საიდუმლოებით ძალი უპყრიეს; 2) მეექვსე მსოფლიო კრების სჯულის კანონისათვის; 3) სულიერნი თხრობანი სულთა ღმრთისმოყუარეთანი; 4) ცხოვრება და მოღვაწეობა ღირსისა მამისა ჩვენისა სქემოსან ონისიფორესი; 5) მოკლე მოთხრობა პორფი-რისათვის. მისი ძირითადი შრომები გაერთიანებულია კრებულში „ჯვართშემოსილი“.

მიუკლებელ მოღვაწეობაში, მარხვასა და ლოცვაში მყოფი ღირსი გაბრიელ მცირე მამა ძმებისადმი საოცარი სიყვარულითა და

მსახურებით გამოიჩინდა, ყველას ეხმარებოდა, უვლიდა, ამხნევებ-და. ერთხელ, დიდმარხვის დღეებში, ნათლისმცემლის უდაბნოში ტფილისელი მთავარდიაკონი ჩავიდა. ცოტა ხანში დიაკონს ოჯახი მოენატრა, მონასტერში ვეღარ გაჩერდა და სახლში დაბრუნება გადაწყვიტა. გაბრიელი თან გაჰყვა დიაკონს „ხოლო ნარსრულნი მუნიტ, მივიდენ მრავალნყაროსა ხევსა შინა და მუნ დახვდნენ ლეკთა მხედრობანი; ხოლო ესე წმიდაზ მამად მათ მიერ მოიკლა და შეირაცხა იგი რიცხვსა წმიდათა მღდელ-მონამე-თასა... ხოლო გუამი ნეტარისა მამისა მის მოილეს ძმათა მის მონასტერი-სათა და დაფლეს მუნვე მონასტერსა შინა, რომლისაცა სუფევს ქრისტეს ღმრთისა თანა და მეოს არს სულთა ჩუენთათვის“.



გაბრიელ გარეჯელის ზენოდება — „მცირე“, აღებულია მისი ერთ-ერთი წერილიდან რუსთველ-ნინონმიდელი მიტროპოლიტ სტეფანე-სადმი, სადაც ის თავის თავს გაბრიელ მცირედ მოიხსენიებს.



დავით გარეჯის მონასტერი



დირსი იოვანე მანგლელი (ერობაში იოსებ სააკაძე) დაიბადა 1668 წელს. იგი ბავშვობიდანვე გარეჯის უდაბნოში ულიზარდა მონაზონებითა წესითა და მრავალი წელი დაპყო ქვაბსა შინა ბერთუბნისასა, რომელ სენაკი მისი ანცა იხილვების ცრემლითა მისითა მორნული".

წმიდა იოვანე იყო „ფრიად ლმობიერ გულითა და დიდად მოწყალე გლახაკთა და ჭირვეულთა მიმართ“. ძმებისაგან სათნოებით გამორჩეული იოვანე მაღე მღდლად აკურთხეს, მის მონაფებს შორის იყო ერთი ლეკი, რომელმაც 1716-17 წლებში სოფელ ჭალაში მონაწილეობდა თავად ამილახვრის მამულის დარბევაში, მან იხილა სასწაული, თუ როგორ განგმი-

რა სამთავისის ტაძრის გუმბათის ჯვარისგან გამოსულმა ნათელმა ტყის მწვერვალზე განლაგებული ლეკთა ბანდა. სასწაულის მხილველი ლეკი, წმიდა იოვანესთან მივიდა, მოინანია დანაშაული, ნათელ-იღო და მონაზეზად აღიკვეცა. (მან დაწერა წიგნი „მანანა“, რომელშიც ხოტბას ასხამს და განადიდებს მართლმადიდებელ ეკლესიას).

მღდელმონაზონი იოვანე მღდელმთავრად გამოარჩიეს და მანგლი-სის კათედრაზე დაადგინეს ეპისკოპოსად. ოსმალებისაგან მანგლი-სის კათედრის დანგრევის შემდეგ იოვანე ხირსის მონასტერში გადავიდა სამოღვანეოდ და ქადაგებდა მთიულეთში და კახეთში.

1724 წელს წმიდა იოვანე დარუბანდში წავიდა, ხის ეკლესია ააგო და დალესტანში ქადაგება დაიწყო. მას თან ახლდა თერთმეტი სასულიერო პირი. წმიდა ცხოვრებითა და სასწაულებით მეუფე იოვანემ მაღე მიიპყრო ლეკების ყურადღება. არც მთავრობას დარჩენია შეუმჩნევლად მისი მოციქულებრივი საქმიანობა.

მეუფე ვახტანგ მეუქვესესა და რუსეთის იმპერატორ პეტრეს მიწერ-მონერა პეტრებით ერთმანეთთან კასპიისპირეთის საქმეებზე. ორივე მეუფე დიდ მნიშვნელობას აძლევდა მეუფე იოვანეს მოციქულებრივ ღვანლს და მდიდარი შენირულობანი გაუგზავნეს იქ მოღვანე მამებს. მეუფების მატერიალური დახმარებით ააშენა იოვანემ ღმრთის-მშობლის შობის და დიდმონამე ეკატერინეს სახელობის ტაძრები.

1737 წელს მეუფე იოვანემ თავისი მონაცემები დაღუსტანში დატოვა, თვითონ კი ასტრახანში გადავიდა. აյ მან აჯო იოვანე ლმრთის-მეტყველის სახელობის ეკლესია, რომელიც 1746 წელს რუსეთის უნივერსიტეტის მონასტრად გადააკეთა და არქიმანი დროისად იოვანეს მონაცემები ბერი გერმანე დანიშნა.

ასტრახანში იოვანემ შეიტყო, რომ ყიზლარში მცხოვრებ ქართველებს ეკლესია არ ჰქონდათ, ოსეთშიც უჭირდათ ქრისტიანებს და ყიზლარს მიაშურა; იქ ქართველების დახმარებით ეკლესია ააგო და გახსნა სკოლა მქადაგებელთა მოსამზადებლად.

„დღესა ერთსა სწირავდა იგი ნეტარი მდგომარე წმიდისა ტრაპეზისა და ჰელობდენ წმიდაო ლმერთოსა. ჰშუნოდა მღუდელსა, რათამცა ჯვარი მიერთმია ამბორისყოფით მღუდელმთავრისა. გარნა მას მღუდელსა ჯერეთ არ განესრულებინა ლოცვა იგი სამნმიდარსობიდა და თვით მღუდელმთავარმან მიჰყო ხელი თვისი ალებად ჯვრისა. მაშინ ყოველთა მღუდელთა იხილეს, რომელ თვით ალსდგა პატიოსანი ჯვარი იგი წმიდით ტრაპეზით და ამაღლდა ერთსა მტკაცელსა ოდენ და მიეგება ხელსა წმიდისა მის მღუდელმთავრისასა. და მან აკურთხა მით ერი იგი მორნმუნე.“

იოვანე მანგლელი ყიზლარში აღესრულა 1751 წლის 28 მარტს ოთხმოცდახუთი წლის ასაკში. იოვანეს ანდერძად ჰქონდა დაბარებული დაეკრძალათ იოვანე ნათლისმცემლის უდაბნოში, სადაც მან სიყმანვილის პირველი წლები გაატარა, მაგრამ საქართველომდე გზის სიძნელისა და ნათლისცემის უდაბნოს დაცარიელების გამო მისი თხოვნა ვერ შეასრულეს და იქვე, ყიზლარში ჯვართამაღლების მონასტერში დაკრძალეს.

იოვანე მანგლელი რუსეთის იმპერატრიცა ელისაბედს გამოცხადებია და უთქვამს მისთვის, რომ სამშობლოში გადაესვენებინათ. 1752 წელს, თეიმურაზ მეფის და იოვანეს ძმის, თავად ნიკოლოზ სააკაძის მიერ, მღდელმთავარ იოვანეს მირონმდინარე ნეშტი საქართველოში ჩამოასვენეს, „დედა ეკლესიასა შინა სიონს დაასვენეს, მრავლითა ლამპრებითა და ლიტანიობითა პატივსცეს; და მრავალთა დიდებულთა მიიღეს სასოებით ბარტყულისა და ანაფორისა მისისა ნაკვეთი და გუერდივ ლმრთისმშობლის სალხინებელისა აღუშენეს ლუსკუმა კეთილი“.



კართლ-კახეთის ბოლო მეფეს, გიორგის, დიდი სასოება ჰქონდა წმიდა იოვანე მანგლელისადმი. უფლისნულობაში მან „საღმრთოს სურვილით განადებინა მიტროპოლიტსა მის ეკლესიისასა ლუსკუმა იგი იდუმალ... და ოდეს ახადეს ლარნაკი იგი აღმოხდა ყოვლადყეთილი სუნი სუნ-ნელებისა... რომელ მსგავსად ოფლისა ცუარ-ცუარი მირონი ასხდა ნანილთა მისთა წმიდათა“. მეფე გიორგიმ მეორედ მისი სასიკვდილოდ განნირული ქალი-შეილის განკურნებისათვის გაახსნევინა წმიდა იოვანეს ლუსკუმა და „ლოცვითა მის წმიდისა მღუდელმთავრისათა სრულიად განთავისუფლდა ასული იგი მეფისა“. ამ უდიდესი სასწაულის აღსრულების შემდეგ მეფე გიორგის წმიდა იოვანე მანგლელის ვერცხლით მოჭე-დილი ხატი გაუკეთებია ნარნერით: „განკურნებისათვის შვილისა ჩემისა... შემოგნირე, წმინდა იოვანე მან-გლელო სულთა ჩვენთა მეოზი ხატი სახისა შენისა, ნელსა 1799, თვესა აპრილსა 8-სა“.

ამის შემდეგ წყალმანკით დაავადებულმა გიორგი მეფემ უკვე მესამედ სთხოვა ანტონ კათო-ლიკოზს, წმიდა იოვანე მან-გლელის საფლავის გახსნა და სასოებით ემთხვია წმიდა ნანილებს.

არსებობდა წმიდა იოვანე მან-გლელის ნანილებით შემკული მაცხოვრის მცირე ხატი, რომელ-საც გულზე ატარებდა საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ანტონ მეორე.

იოვანე მანგლელის საფლავთან უამრავი კურნებები აღესრულება და ხალხი სასოებით ემთხვევა წმიდა მღვდელმთავრის საფლავის ქვას.



მეფე გიორგი



აპრილი

- 1(14) — ლირსნის იოვანე შავთული და ევლოგი
ნინასნარმეტყველი — სალოსი (XIII);
- 2(15) — ლირსი გოორგი მაწყვერელი (IX);
- 10(23) — ქვაბთახევის მონასტერში
ნამებულნი მამანი და დედანი
— უამსა თემურ-ლენგისასა (+1386);
- 14(26) — ნმიდა დიმიტრი ყიფიანი (+1887)
- 15(28) — მუსუკაველნი მონამენი: სუქია
და მოყვასნი მისნი (II);
- 17(30) — ლირსი ეფრემ დიდი, მაწყვერელი (IX);
- 18(1.05) — ლირსი ბასილი რატიშვილი (XIII);
- 21(4.05) — ლირსი ეფოვიმე გაენათელი (შერვაშიძე) (+1822)
- 29(12.05) — ნმიდანი ლაზი მონამენი — სარნმუნოებისა და
საქართველოსთვის დუდიკვათსა და პაპათას
მოწყვეტილი (XVII-XVIII);

ღირსი: იოვანე შავთელი და
ევლოგი წინასეარმატყველი — საღოსი (XIII)
1(14) აპრილი



ღირსი: იოვანე შავთელი და ევლოგი წინასეარმეტყველი არიან მეთო-რმეტე-მეცამეტე საუკუნის საქართველოს ცნობილი საეკლესიო მოღვაწეები. ვარაუდობენ, რომ იოვანეს ზენოდება შავთელი, არის შავშეთელის (სოფელი შავშეთი) შემოკლებული ფორმა.

იოვანეს, რომლის სახელი უცნობია, ახალგაზრდობაში მიუღია უმაღლესი განათლება გელათის მონასტერთან არსებულ აკადემიაში, სადაც შეუსნავლია წმიდა მამათა თხზულებები და ღმრთისმეტყველება, ანტიკური და არაბული ისტორია, ფილოსოფია და ლიტერატურა. ღრმად განსნავლული იოვანე თამარ მეფის მდივანი იყო. იგი ერთ-ერთი უახლოესი მრჩეველი იყო წმიდა მეფისა და დიდი ავტო-

რიტეტით სარგებლობდა სამეფო კარზე. შემდეგ კი „იქმნა მონაზონ და უწოდეს სახელი იოვანე“.

ღირსი იოვანე ვარძიის მონასტერში მოღვაწეობდა და აქტიურად მონანილეობდა საეკლესიო და სახელმწიფო ბრივ საქმიანობაში. იოვანე მისი დროის გამოჩენილი ქართველი საეკლესიო მწერალი, ფილოსოფოსი და რიტორი იყო.

როდესაც ქართველთა ლაშქარი დავით სოსლანის წინამდლოლობით ბასიანისკენ გაეშურა იკონის სულთნის, რუქნადინის წინააღმდევ საბრძოლველად, მეფე თამარს ოძრხეში „ეახლნენ იოვანე შავთელი, კაცი ფილოსოფოსი და რიტორი, ლექსთა გამომთქმელი და მოღვაწებათა შინა განთქმული, და ევლოგი სალოსად წოდებული და წინასნარ-მცნობლობისა ღირს-ქმნილი. ამათ თანა იყვის მეფე თამარ დღისი და ლამე ლოცვითა ფსალმუნებითა, ღამისთვითა დაუძინებელად, და ყოველთა ღამეთა ლიტანიობდა და არა დაცხრებოდა“.


ოძრხეში წირვის დროს ერთი სასწაული აღსრულდა — ღმრთისგან წინასნარ-მცნობელობის მადლით დაჯილდოებული ევლოგი სალოსმა „ინყო ლაღადებად სულელის მსგავსად, და ინყო აღმართ ხედვად. და ვითარ ხედვიდა ევლოგი, წმა ყო ევლოგი ჭმუნივს სახედ და სამ-გზის

დაუცა. და მეყსეულად აღხლტნა და აღიტყუელნა წელნი: „აპა დიდება ღმერთსა! ქრისტე ძლიერ არს. ხელნო უკლოვისნო, სპარსთაგან არა გეშინით, განუტევეთ, რათა ვიდოდის მშვიდობით. წყალობა ღმრთისა სახლსა ზედა თამარისსა მოიჩია“.

ყველა მიხვდა, რომ ეკლოგიშ საღმრთო გამოცხადება მიიღო. ღირსმა იოვანემ მეფეს უთხრა: „უნყოდე, მეფეო, რომელ ჩვენება იხილა სულელსაგონებელმან, გართა ჩვენებასა კეთილსა ვჰვონებ!“. ეკლოგი სალოსმა იოვანეს განუცხადა საიდუმლო — ღმრთის შენევნით, ქართველებმა ბასიანში დაამარცხეს მტერი და ბრწყინვალე გამარჯვება მოიპოვეს. ნმიდა ეკლოგი, რომელიც ქრისტესთვის მოგონილ სისულელეში მაღავდა თავის სულიერ ღვანლს, ამჯერად გაექცა კაცთაგან განდიდებას — „მყის წარვიდა პირისაგან მათისა და დაიმალა“.

ნმიდა იოვანე შავთელმა ბასიანის ბრძოლაში გამარჯვების სამადლობლად დაწერა „გალობანი ვარძიის ღმრთის-მშობელისანი“. მასვე ეკუთვნის ცნობილი ოდა „აბდულმესიანი“ (მესიის მონა).

ღირსი იოვანე შავთელი მშვიდობით აღესრულა ღრმა მოხუცებულობაში.





ღიორსი გიორგი მანუკერელი არის მერვე-მეცხრე საუკუნეების საქართველოს ეკლესიის ერთ-ერთი უდიდესი მოღვაწე. გიორგი ნარმოშობით სამცხიდან იყო. ბასილი ზარზმელის თქმით, გიორგი „აღმოსცენდა წევისაგან შუარტყლისა, მშობელთაგან ნარჩინებულთა და ღმრთისმოშიშთა; ხოლო აღიზარდა იგი განთქმულსა მას უდაბნოსა ოპიზას“.

ღიორსმა გიორგი ანუქრის ეპისკოპოსად აკურთხეს სამცხის დიდი ფეოდალის, გიორგი ჩორჩანელის გარდაცვალების მეოთხე წელს, როდესაც ჩორჩანელთა გვარში და მთელ სამცხეში დიდი მღელვარება და ძმათაკვლა იყო გაჩაღებული მისი მემკვიდრეობის გამო. ამ განუკითხაობის უამს ღიორსმა გიორგი მანუკერელმა „ხელთიდვა განგებად სამცხისა“ და „დააწყნარა ყოველი საბრძანებელი თვისი, ვითარცა წეს იყო და დაიპყრა ყოველი მამული და ეკლესიანი პირველთა მათ მეშფოთეთანი“.

გიორგი მანუკერელს, როგორც ცნობილ მწერალს და საეკლესიო მოღვაწეს კარგად იცნობდა მისი თანამედროვე საქართველო, თუმცი მის ლიტერატურულ მემკვიდრეობას ჩვენამდე არ მოულნევია. ძირითადი ცნობები გიორგი მანუკერელის შესახებ შემოგვინახა გიორგი მერჩულისა და ბასილი ზარზმელის თხზულებებმა.

გიორგი მერჩულე გრიგოლ ზანძთელის ცხოვრებაში წერს: „ვჰგონებდ ცხოვრებისა ამის დანერად ბრძენთაგან და სრულთა მამათა, რომელნიცა იყვნეს უამთა ჩუენთა“, და მათ შორის ასახელებს ღიორგი მანუკერელს.

ბასილი ზარზმელი აღნიშნავს, რომ სერაპონ ზარზმელის ცხოვრება უშუალოდ გიორგი მანუკერელის მონათხრობის მიხედვით დაინერა — „ყოველი ესე სასწაული და საქმენი, რომელი იგი პირველ ეპისკოპოსობისა და უკუანასკნელ ეხილვნეს, მომითხონეს პირმან მან უტყუელმან, გიორგის ვიტყვ მანუკერელს“.

ღიორსი გიორგი მანუკერელი მშვიდობით მიიცვალა მეათუ საუკუნის პირველ მეოთხედში.



ქვაბთახევის მონასტრის წარეპული მაჟანი და დედანი
— შამსა თავურ-ლეგისასა (+1386)
10(23) აპრილი



ქვაბთახევის მაჟანა ცხობილი მონასტრი დაარსდა მეთორმეტე-მეცამეტე საუკუნეებში და მაღლევი იქცა სულიერებისა და სინმიდის ერთ-ერთ ცენტრიად. მონასტრის ცხოვ-რებაში უმნიშვნელოვანესი მოვლენაა 1386 წელს სამარყანდელი თემურ-ლენგის შემოსევის დროს დატრიალებული ტრაგედია.

უსჯულოდა ლაშქრმა, „რომელსა ვერ იტევდნენ მთანი და ველი და ყოველნივე არენი და სანახნი საქარ-თველოსნი“, იავარ-ჰყო და პირისაგან შინისა აღგავა მრავალი ეკლესია-მო-ნასტრი. მრავალჯერ მიიღო ქართლშია „ვნებად მისგან მახვილისა მიერ ტყვე-ობისა და ცეცხლისა და შენობითთა საფუძველთა აღმოყრისა“.

თემურ-ლენგმა აიღო ტფილისი,

ტყვედ აიყვანა ბაგრატ მეფე, დედოფალი ანა და მათი შვილი დავითი. თემურ ლენგმა სხვა დიდებულებთან ერთად მეფე-დედოფალიც შირვანს წაიყვანა. იგი ყოველნაირად აიძულებდა ბაგრატ მეფეს ქრისტიანობის დატევებას, სამაგიეროდ კი მეფობის ტიტულის შენარჩუნებასა და სხვა ტყვეებთან ერთად განთავისუფლებას პირდებოდა.

კარგა ხანი ვერ მოდრიკეს ბაგრატი, მაგრამ ბოლოს „ულონოქმნილი ყოვლისაგან კაცობრივისა შენევნისა... სარწმუნოებისაგან სათა-ნადოხესა მოაკლდა“. ბაგრატმა მოჩვენებით მიიღო მუსულმანობა, სანაცვლოდ კი თემურ-ლენგისგან ქართლში მეფის პატივის შენარჩუნებით დაბრუნების წებართვა მიიღო. თემურ-ლენგმა ბაგრატ მეფეს თან გამოაყოლა თორმეტათასიანი ლაშქარი, რომელიც მისი ბრძანებით ბაგრატ მეფეს საქართველოს გამაპმადიანებაში უნდა დახმარებოდა.

ბაგრატმა მოახერხა და თავის ძეს, გიორგის, აუნია განზრახვა — ქართველები ფარულად უნდა დასხმოდნენ მტერს, გამოეხსნათ ტყვე-ბი და შემდეგ ერთიანი ძალით ებრძოლათ მომხდურთა ნინაალმდევ-


ბატონიშვილმა გიორგიმ ბრწყინვალედ აღასრულა მამის განზრახვა და თემურ-ლენგის მხედრობა „აღსწყვდა... მახვლთა ერთისაც ბარბაროსთავანისცა განურინებელად“.

ცნობამ ლამქრის განადგურების შესახებ განარისხა თემურ-ლენგი დნ, „ჩუენ ზედა განმსედრებად აღძრული“, ნამოემართა ქვეყნის ასახორებლად. მტრებმა მოახრეს ტფილისი, ქართლის ქალაქები და სოფლები დაწეს, ეკლესიები დაარღვიეს და „ესრეთ მარბიელობით“ ჩააღწიეს ქვაბთახევის მშვენიერ მონასტრამდე.

ქვაბთახევში მტერს დაუხვდა „გარემო მახლობელთა მონასტერთაგანნი მონაზონნი, მრავალნი მამანი და დედანი, აზნაურთაგანნი და მღდელნი და დიაკონნი და თვით მონასტრისა მის ძმანი“. გარდა სასულიერო პირებისა, „ერისკაცთა მათ სიმრავლე სოფელთაგან მახლობელთა იყო არა მცირე“.

ბარბაროსებმა მონასტრის კარები შეამტკრიეს „განიტაცეს ჭურჭელნი და გამოიღეს სიმდიდრენი მონასტრისა საუჯეთა არა მცირედი, რამეთუ ფრიად მდიდარი იყო მონასტერი ივი“. მოხუცებულნი და უძლურნი, რომელთა ტყვედ ნასხმაც შეუძლებელი იყო, მახვილით მოწყვიტეს. „ჰეკაფდეს უწყალოდ ვენახსა მას სიტყვერსა ანუ ხილნარსა მტილისა ღუთისასა“, უფლის ღირს მონათა ცხედრები ფრინველთა საჭმელად და „მწეცთა ქუეყანისათა“ საჯიჯგნად დატოვეს. როცა ბარბაროსებმა კვლისა და ტყვეთა შეკვრისაგან მოიცალეს, სამღდელოთა და მოწესეთა დაცინვა დაიწყეს — ეჟვნები შეაბეს მათ, თვითონ კი, ეშმაკისგან გაგიუბებულებმა, „ინყეს ხლდომად და როკვად“. „ვაი ჩუენდა, მონაზონთა,“ — ქვითინით და ვაებით გოდებდნენ მონამეები.

ბარბაროსებმა ყველა იქ მყოფს მიმართეს: ან უარყავით ქრისტე, ან შეკრულებს შეგყრით ეკლესიაში, შეშას შემოგინყობთ და დაგნევავთო. ტყვეებმა მხნედ უპასუხეს: „ჩუენ უკუე მიცემულთა ხელთა მიმართ თქუენთა ცოდვათათვის ჩვენთა, რომელნი ვქმნენით და განვარისხეთ შემოქმედი ჩვენი და ღმერთი და არა თუ სიმართლისათვის თქუენთა კუსავთ, ვითარმედ განგვნმიღნეს პატიჟითა ამით დროებითითა და განგვისვენნეს უნელინდოებითსა შინა საუკუნოსა... ვერა რამემან განმაშორნეს



სიყუარულსა მას ქრისტესსა, ჭირმან, ანუ ინწობამან, დევნამ, ანუ სიყმილმან, შიშლებამან, ანუ ურვამან, ანუ მახვილმან". მოწამეები ერთმანეთს ამხნევებდნენ და გალობდნენ ფსალმუნის სიტყვებს — „შენთვს შოვსწყდებით ჩუენ მარადღე და შევირაცხუნით ჩუენ, ვითარცა ცხოვარნი კულადნი".

ეკლესიაში დასანვაკად შეყრილი შარტვილები ლოცვით შევიდნენ ტაძარში — „შევიდე სახლსა შენსა, თაყუანის-უსცე ტაძარსა ნმიდასა შენსა შიშითა შენითა, უფალო, მიძელუ მე სიმართლითა შენითა, მტერთა ჩემთათვს ნარმართე შენ ნინაშე გზავ ჩემი".

როდესაც უღმრთოებმა ცეცხლის დანთება დაიწყეს მათ დასანვავად, მოწამეებმა კვლავ მხნედ აღიარეს სარწმუნოება: „აღანთენით წორცინი, ბოროტმსახურნო, რათა ცეცხლითა საღმრთოთა მთებარენი სულნი უბრნებინვალეს მზისა განბრნებიდეს სასუფეველსა შინა ზეციერსა მამისასა, ნუ იცადებთ შენირვასა ჩუენსა, რათა სახილველ ვიქმნეთ სოფლისა და ანგელოსთა და კაცთა, დაღაცათუ ჯერეთ სურკლსა ჩუენსა მხოლოდ უფალი ჰედავს და სიმართლისათვს ჩუენისა ნუგეშინის გვცემს".

მტარვალებმა დიდი ცეცხლი აღავზნეს. ალი მაღლა ადიოდა, ხშირი ნაკვერცხლები ცვიოდა, „ქუხილსა სახმილისასა მთანიცა ხმას სცემდეს", ნეტარი მოწამეები კი კვლავ ფსალმუნს გალობდნენ: „აკურთხევდით ცეცხლი და სიცხე უფალსა, უგალობდით და ზესთა ამაღლებდით მას უკუნისამდე, აკურთხევდით მლუდელნი უფალსა, აკურთხევდით მონანი უფალსა, უგალობდით და ზესთა ამაღლებდით მას უკუნისამდე".

ეკლესიის იატაკზე მოწამეთა დამწვარი სხეულების კვალი აღიბეჭდა „და ვიღრე დღე-ინდელად დღემდე იხილვების შინაგან იატაკსა ზედა ნმიდისა ეკლესიისასა და დამწვარნი სახენი მათნი დღვე-საცვე ზედან სხენან".



ქვათახევის მოწასტერი



ნეიდა დიმიტრი ყიფიანი დაიბადა 1814 წლის 14(26) აპრილს გორის მაზრის სოფელ მერეთში ივანე ყიფიანისა და ბარბარე ფურცელაძის ოჯახში. დიმიტრი ტფილისში აღზარდეს ნათესავებმა, მარიამ ყიფიანმა და ნიკიფორე ფიოდოროვმა.

1830 წელს დიმიტრი ყიფიანმა ტფილისში კეთილშობილთა სასწავლებელი დაამთავრა და იქვე დაინიშნა მასწავლებლად.

ჭაბუკი დიმიტრი მონაწილეობდა 1820-1830-იანი წლების კულტურულ-საგანმანათლებლო პროცესში, რომელიც მიზნად ისახავდა ქართული კულტურის გამოცოცხლებასა და აღორძინებას.

დიმიტრი ყიფიანს სწორედ კულტურულ-საგანმანათლებლო ცხოვრების აღორძინება მიაჩნდა ქართველი ზალხის ეროვნული თვითშეგნების გამთლიანებისა და განმტკიცების საფუძვლად.

დიმიტრი ყიფიანი აქტიურ მონაწილეობას ღებულობდა 1832 წლის შეთქმულებაში. დოკუმენტებიდან ირკვევა, რომ იგი დაახლოებული ყოფილა შეთქმულების ორგანიზატორთა ჯგუფთან. შეთქმულებაში მონაწილეობის გამო დიმიტრი ვოლოგდაში გადაასახლეს და გუბერნატორის კანცელარიაში გაამწესეს.

1837 წელს დიმიტრი საქართველოში დაბრუნდა და სახელმწიფო სამსახურში ჩადგა. იმ დროს საქართველო რუსეთის იმპერიის ნაწილი იყო და ქვეყანაში ეროვნულ იდეებს დიდი გასაქანი არ ჰქონდა. დიმიტრიმ შეძლო მისი მაღალი თანამდებობები გამოეყენებინა ქვეყნის გადლიურებისა და ეკლესიის აღორძინებისათვის. იგი სხვა ქართველ მამულიშვილებთან ერთად აქტიურად იბრძოდა საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენისა და ქვეყანაში მართლმადიდებლური შეოფლმხედველობის განმტკიცებისათვის.

1845 წელს დიმიტრი ყიფიანი ნინო ჭილაშვილზე დაქორნინდა. ნინო, ნმიდა სოლომონ მეფის მეუღლის, მარიამის მზრუნველობით იზრდე-

ბოდა პეტერბურგში. შათ უქვესი შვილი შეემზადა, რომელთაგან სამი მცირენლოვანი გარდაუცვალათ. დიმიტრი ყიფიანს ჟარჩა სამი შვილი: ნიკოლოზი, კონსტანტინე და ელენა.

ნმიდა დიმიტრი ყიფიანის თანადგომით და უშუალო მონაწილეობით იქნა დაარსებული: საჯარო ბიბლიოთეკა, პროფესიული ქართული თეატრი, ეროვნული უურნალისტიკა, ტეილისის სათავადაზნაურო-საადგილმამულო-ბანკი, „ქართველთა შორის ნერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება“ და მრავალი სხვა. გარდა ამისა, სტვადასხვა დროს, დიმიტრი ყიფიანი იყო ტფილისისა და ქუთაისის გუბერნიების თავადაზნაურობის ნინამძღოლი და ტფილისის ქალაქისთავი.

დიმიტრი ყიფიანის შუამდგომლობით დაარსდა პირველი ქართული უურნალი „ცისკარი.“ მანვე განსაზღვრა უურნალის თემატიკა, რომელიც ყველა კატეგორიისა და სოციალური ფენის მკითხველს ითვალისწინებდა. დიმიტრი ყიფიანს არ გამორჩენია მხედველობიდან სამშობლოს გარეთ მცხოვრებ ქართველთა ინტერესებიც. დიმიტრი ყიფიანის სამეცნიერო-ისტორიულ ნაშრომებში დამუშავებულია საქართველოს ისტორიის არაერთი საკუთხო საკითხი: ქართველთა ეთნოგეზისი, სახელმწიფო-ბრიობისა და რელიგიის ისტორია, ისტორიული გეოგრაფიის ცალკეული საკითხები, ქართული დამწერლობის ნარმობა-განვითარება და სხვა.


ეროვნულ საკითხში დიმიტრი ყიფიანისთვის ამოსავალი იყო დებულება, რომლის მიხედვითაც მხოლოდ ის ერი შეიძლება დაადგეს პროგრესის გზას, რომელიც აზროვნებს და მეტყველებს მშობლიურ ენაზე. მას შემდეგ, რაც სასწავლო დაწესებულებებში ქართული ენის დევნა-შევინროების ტენდენცია გამოიკვეთა, დიმიტრი ყიფიანი კავკასიის ხელისუფლებას ამჟარა ოპოზიციაში ჩაუდგა და არსებული სასწავლო-საგანმანათლებლო პოლიტიკის მნვავე და შეურიგებელი კრიტიკა დაიწყო: „მერე რა ენისას ამბობენ კაცობრიობის მგმობელი, უნდა გაჰქრესო? იმ ენისას, რომელსაც ლაპარაკობდნენ ვახტანგ გორ-



გასლანი, დავით ალმაშენებელი, თამარ მნათობი; რომელზედაც ქრისტიანობას გვიქადა გებდნენ მოციქულთა თანასწორი და ათნამეტნი სირიელნი მამანი; რომელზედაც კენერლობდნენ პოეტი, როგორც შოთა რუსთაველი, ფილოსოფოსნი, როგორც პეტრინი, სჯულისმდებელნი, როგორც ვახტანგ მეფე; რომელსაც აქვს ანბანი უმარტივესი და უბუნებითესი ყოველთა ანბანთაგან...” - ნერდა დიმიტრი.

1886 წელს ტფილისის სემინარიის რექტორის ჩუდეცეის მკელელობისათვის, საქართველოს ეგზარქოსმა პავლე ლებედევმა, ქართველი ერი ამბოხნიდან დასწყევლა. როდესაც დიმიტრი ყიფიანმა ეს ამბავი შეიტყო ეგზარქოსს ხამურიდან დეპეშა გაუგზავნა, სადაც მოკრძალებით, მაგრამ შეუვალი პირდაპირობით ნერდა: „...თუ ეს ყველაფერი მართალია, თქვენი ღირსების გადარჩენა შეიძლება მხოლოდ იმით, რომ შერცხვენილი დაუყოვნებლივ განიდევნოს შეჩვენებული ქვეყნიდან...” პრაქტიკულად ყიფიანმა ეგზარქოსს საქართველოს დატოვება მოსთხოვა.

ამის გამო დიმიტრი თანამდებობიდან გადააყენეს და სტავროპოლიში გადაასახლეს. გადასახლებაში ყოფნა დიმიტრი ყიფიანს დიდხანს არ მოუნია. 1887 წლის 24 ოქტომბერს იგი ვერავულად მოკლეს. ლამით მის თოახში ჯალათი შეიპარა, თავში ურო ჩაარტყა და მოჰკელა. „ის ტვინი, რომელიც საქართველოზე ჰავიქრობდა, თავზე გადაანთხოეს... იმ ვულზე, რომელიც სამშობლოსათვის სძგერდა, ცივი ხელები დააკრეფინეს,“ — ნერდა აკაკი ნერეთელი.



ნერდა დიმიტრი ყიფიანი

ნოვიდანი მესეჲკაველი მონაშენი
ურია და მოყვასი მისი (II)
15(28) აპრილი



ნოვიდანი მონაშენი სუქია და მოყვასი მისი ალბანეთის მთავრის კარზე დაახლოებული ქართველი დიდებულები იყვნენ.

ალბანეთის მთავრის ასული სამუხრეები, ცოლად გაპეყვა სომებთა მეფე არტაქსარის. მაშინდელი ჩევეულების თანახმად დედოფალს თან გაპეყვნენ ალბანეთში მცხოვრები დიდებულები, რომელთაც უნდა წარეღინაოთ დედოფალი და გარეულებრივ ყოფილიყვნენ მასთან. სათენაა დედოფლის თანმხედ დიდებულებს ხელმძღვანელობდა სათენაებს ახლო ნათესავი და ალბანეთის მეფის კარზე დაახლოებული დიდებული სუქია.

სუქია და მისი თანმხედები დიდებულები სომხეთის მაშინდელ დედაქალაქ თრტაშატში დაემჯვიდონენ. იმ დროს იქ მოღვაწეობდა თადეოზ მოციქულის მონაფე ხუცესი ქრისოსი. დიდებულები დაემონაფენ ხუცეს და გადაწყვიტეს, უფლის სამსახურისთვის გადაედოთ თავი.

ქრისოსმა ახალმოქცეულები მესოპოტამიაში წაიყვანა და ეკურატის ნეალში მონათლა. ნათლისღებისას მათ იხილეს ბორცვზე მდგარი იქსუ ქრისტე. ახალნათელლებულმა ქრისტიანებმა შაცხოვრის გამოცხადების ადგილას ჯვარი აღმართეს და მას ჯვარი ხარებისა უწოდეს.

ხუცეს ქრისოსთან არტაქსარ მეფემ მეომრები გაგზავნა და დედოფლის თანმხედები დიდებულების უკან დაბრუნება მოთხოვა. ქრისოსმა უპასუხა: „ნებისაებრ თვისისა აღირჩიონ მათ სარგებელი თვისი“. სუქიამ და მისთა მყოფმა დიდებულებმა აღარ ინებეს უკან დაბრუნება და უარი შეუთვალეს არტაქსარ მეფეს. განრისხებულმა ბარბაროსებმა ქრისოსი და ოთხი მონაფე მახვილით მოკლეს, სუქიასთვის კი ხელი არ უხლიათ, რადგან შეეშინდათ დედოფლისა, რომელსაც წმიდანი ნათესავად ეკუთვნოდა.

სუქიამ და მისმა თანამოძმეულმა დაფლეს სიმართლისათვის ვნებული, თვითონ კი „დაადგრეს სამხოლოსა მათსა ანგელოსებრივითა ცხოვრებითა“. ქრისოსის მონაშეობრივი აღსასრულის შემდეგ სამშოს სულიერი მოძღვარი წმიდა სუქია გახდა. მაღლე ისინი გადავიდნენ სუკა-

კეთის მთაზე, რომელიც სოფელ ბალდევანდის ახლოს მდებარეობდა. ყოფილი დიდებულები მეტად ასკეტურად ცხოვრობდნენ. მათი საჭ-მელ-სასმელი იყო წყაროს წყალი და მთის ბალახი. გამუდმებით ღია ცის ქვეშ ცხოვრებამ მოღვაწეთა კანი გამომწვარ თიხას დაამსგავსა.

ალბანეთის ახალმა მთავარმა დატიანოსმა შეიტყო, რომ მისმა ქვე-შევრდომმა დიდებულებმა ნათელიღეს და განმარტობით ცხოვრობდნენ. მან თავის კარისკაც ბარლაპას უბრძანა, მხედრებით წასულიყო სუკაკეთს და პატივით დაეპრუნებინა სუქია და მისი თანმხლები, და-უმორჩილებლობის შემთხვევაში კი მოეწყვიტა ისინი.

ბარლაპამ სუკაკეთის ტყეში მოიძია სუქია და მეფის ბრძანება გა-დასცა. პასუხად სუქიამ მიუგო: „ჩვენ სახელისათვის უფლისა ჩუენისა იესუ ქრისტესისა, რომელ არს შემოქმედი და უფალი ყოველთა მყოფ-თა, ნებსით მკუდარ ვიქმნენით და დავიწყებულ ხორციელად და რად სადამე სახმარ მკვდართა პატივი მთავრობითი, რომელიცა ქრისტეს ჩვენისაგან მისთანა უკვდავსა და უბერებელსა, წარუდგინებელსა და სამარადისოსა მოველით დიდებასა ანგელოსთა თანა წმიდათა“.

განრისხებულმა ბარლაპამ ბრძანა, შეეკრათ მოღვაწეები და ცეცხ-ლი შემოენთოთ ირგვლივ. ცეცხლმოდებული მონამენი ბარლაპას ბრძანებით მახვილებით აკუნეს, მათი დანახშირებული ნაწილები კი მიმოაბნიერს. (ეს ამბავი მოხდა 100-120 წლებს შორის).

უღმრთო მთავარმა წმიდანთა ნაწილების დაფლვა აკრძალა. ღმრთის განგებულებამ ორასი წლის განმავლობაში დაუმარხავი წმი-და ნაწილები უხრწნელად დაიცვა.

მეოთხე საუკუნეში ქრისტიანებმა შეაგროვეს მონამეთა ნაწილები, ლუს-კუმაში ჩაასვენეს და დაფლეს (წმიდანთა სახელები: ლუკიანე, პოლიოპტე, კოდრატე, იქდიოქე, სვიქირონე, მე-ნასე, ფოკა, სვირჯი, დომენტი, ანდრი-ანე, ზოსიმე, ბიქტორი, თალალე, იორ-დანე, ანასტასი, თევდოტი, იაკობი და თევდოსი კლდეზე აღმოჩნდა ამოკაწ-რული).

სომეხთა განმანათლებელმა მღდელ-მონამე გრიგოლმა, სუქიასა და მისი თანამოღვაწეების წამების ადგილზე მონასტერი დააარსა. შემდგომ ამ ადგი-ლას მაკურნებელმა წყალმა ამოხეთქა.





ღირსი ეფრემ ღილი მანცვერელი დაიბადა 815 წლის ახლო ხანებში, ქართლის დიდებული აზნაურის ოჯახში. აფხაზეთს მიმავალმა გრიგოლ ხანძთელმა ქართლში „ნებითა ღმრთისათა ძიებასა მას ძმათასა პოვა ეფრემ ყრმად, ჭაბუკი ღირსი და ღირსებასა შინა იხილვა მამაკაცებასა სრულსა მიწევნული სიწმიდითა და სიწმიდესა შინა აწყურისა ეპისკოპოსი სასწაულთმოქმედი“. უკან დაპრუნებულმა გრიგოლმა, ეფრემი ხანძთას წაიყვანა ყრმა არსენთან ერთად და აღსაზრდელად თავის თანამოღვანეებს, ქრისტეფორესა და თეოდორეს ჩააბარა.

ხანძთის სავანეში ყრმების გამოჩენამ საძმოს უკამაყოფილება გამოიწვია, რადგან ეს მონასტრის წესდებით აკრძალული იყო. ბერმონაზვნებმა ღირს გრიგოლს მიმართეს: „საქმენი შენი განუკითხველ არიან ყოველნი თვინიერ ამისა, რომელ ყრმანი ესე მოიყვანენ და წესსა შენგან დამტკიცებულსა შენ ზევე გამოეხუების მომავალთა უამთა საკდემელად ჩვენდა. დაღაცათუ უშიშ არს გული ჩუენი უამისა ამისათვის, არამედ გარეშე წესისა არს საქმე ესე და ან ესე არს სიტყვა ჩვენი, წმიდაო ღმრთისაო“. გრიგოლმა ძმებს უთხრა: „ქრისტემან ღმერთმან წმიდისა ანგელოზისა პირითა მაუწყა ამათი საქმე ყოველი, რამეთუ ვითარცა ეფრემ ასური და არსენი ჰრომაელი, კაცთაგან განშორებულნი და ღმრთისა მიახლებულნი, ესრეთ იყვნენ ღირსნი ესე ყრმანი აღზრდილ უბინოდ ხანძთას უამამდე პატივისა მათისა“. ეფრემი სიყრმეშივე აღიკვეცა მონაზვნად. იგი ჯერ დიაკვნად, შემდეგ კი მღდლად აკურთხეს და ხანძთიდან ნეძვის მონასტერში გადავიდა სამოლუანეოდ.

845 წლის ახლო ხანებში ღირსი ეფრემი აწყურის ეპისკოპოსად იქნა დადგენილი.

მეუფე ეფრემი მოიაზრებოდა,



როგორც საქართველოს მომავალი კათოლიკოსი, მაგრამ ეფრემთან ერთად აღზრდილი არსენის მამის მცდელობით, საეკლესიო კრების დაუკითხავად, სამცხის გავლენიან ერისკაცთა დახმარებითა და რამოდენიმე ეპისკოპოსის თანადგომით, არსენი კათოლიკოსად დაადგინეს. ეს იყო საეკლესიო კანონების უხეში დარღვევა, რამაც სამართლიანი გულისწყრომა გამოიწვია ერში. ამ საკითხზე დიდი საეკლესიო კრება შედგა ჯავახეთში.

ეფრემი იყო წინამძღვალი ეპისკოპოსთა და სამღდელოთა იმ დასისა, რომელიც კათოლიკოსის ტახტზე უკანონოდ აღსაყდრებული არსენის გადაყენებას მოითხოვდა. კრების მონაწილენი მისგან ელოდნენ ჭეშმარიტი მსჯავრის დადებას, ამიტომაც კრებაზე პირველი სიტყვა მას მისცეს: „ბრძანე პასუხი, რა ჯერ არს“. ლირსმა ეფრემმა მორჩილად თქვა: „სადა მამად გრიგოლ იყოს, მე მუნ არა ვიკადრებ სიტყუად“. გრიგოლ ხანძთელმა ეკლესიის მამებს და კრების ორგანიზატორს, გუარამ მამფალს აუხსნა, რომ არსენი ღმრთის ნებით გახდა საქართველოს კათოლიკოსი, „არამედ მირეან მამამან მისმან აუგიან ყო უუამოდ შესწრაფებითა, ვითარცა ადამ ჭამა ხილი იგი, რომელ არღა მნიშვე იყო“.

ეფრემ მაწყვერელი იყო საქართველოსთვის „მრავლისა კეთილის“ მომპოვებელი, მან უდიდესი ღვანლი დასდო საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის საბოლოოდ განმტკიცების საქმეს. ლირსმა ეფრემმა „მიპრონისა კურთხევად ქართლს განაწესა იერუსალიმისა პატრიარქისა განწესებითა და წამებითა სიხარულითა“, მანამდე კი საქართველოს ეკლესიის საჭეომპყრობლები მირონს ანტიოქიის ეკლესიიდან იღებდნენ.

წმიდა ეფრემი ორმოცი წელი განაგებდა აწყურის კათედრას. მას ღმრთისგან მიმადლებული ჰქონდა განჭვრეტის, სასწაულთა ქმნისა და კურნების ნიჭი.

წმიდა ეფრემ დიდი მაწყვერელი მშვიდობით მიიცვალა 885 წლის ახლო ხანებში.





ღირსი ბასილი რატიშვილი დაიბადა 1235 წლის ახლო ხანებში, იგი დიდგვაროვანთა ოჯახიდან იყო და ბავშვობიდანვე მიიღო საფუძვლიანი განათლება. შემდეგ ბასილი მონაზვნად აღიკვეცა და ათონის მთაზე წავიდა სამოღვაწეოდ.

ბასილი ღრმად განათლებული პიროვნება ყოფილა, მაგრამ სამწუხაროდ მის მთარგმნელობით და ორიგინალურ შემოქმედებას ჩვენამდე არ მოუღწევია.

დემეტრე თავდადებულის მეფობის დროს საქართველო საყოველთაო განუკითხაობამ მოიცვა. მეფე იძულებული იყო, მონღოლთა სურვილები აესრულებინა და ქართველთა ლაშქრით ურჯულოთა მხარდამხარ ებრძოლა. ქვეყანა გაღატაკდა და

დაიწყო შინაომები. ქართველები ისე დაეცნენ, რომ მტრებსაც კი აღემატებოდნენ უზნეობით და გაუტანლობით.

თხუთმეტი წლის მეფე დემეტრე პოლიტიკური მოსაზრებით ტრაპიზონის სამეფო ტახტის მფლობელის, კომნენტის ასულზე დააქორწინეს. შემდეგ, ქვეყნის ინტერესებიდან გამომდინარე, მონღოლთა ნოინის ასული სოლდარი შერთეს, მესამე ცოლად კი თავად მოიყვანა ბექა ჯაყელის ასული ნათელა. ასე რომ, ყოველგვარი სულიერი სათნოებით შემკული მეფე, სამი ცოლის პატრონი შეიქნა.

უამთააღმნერილის ცნობით „მათ უამთა მოიწია მთაწმიდით ბასილი მონაზონი, ბიძა ევფემიოს კათალიკოსისა, საღმრთოეთა წესითა აღსავსე და წინასწარცნობისა მადლითა გაბრძყინებული: მოიწია წინაშე დიმიტრი მეფისა, გამოცხადებითა ყოვლადწმიდისა ღმრთის-მშობელისათა, და ვითარცა მოციქული ძლიერად ამხილებდა და წინააღმდეგობდა მეფესა უნესოსა მისთვის ქორწინებისა, და ასწავებდა სიწმიდესა, და მოახსენებდა ტაძარ-ღმრთის ყოფასა ჩვენსა, და სხეულთა განუხრწნელობისათა... მოპოებისა ლოცვასა, მარხვასა, გლახაკო მოწყალებასა, და ლმობიერებასა და უხუებასა“. ბასილი მოუწოდებდა მეფეს დაეტოვებინა „უნესონი ქორწინებანი“ და ღმრთის წინაშე ჰპირდებოდა: „მე თავ-მდებ გექმნე, რათა კეთილადნარგემართოს მეფობად შენი“.

მონაზონი ბასილი „მთავართაცა ამხილებდა უნესობათა, და უმრა-


ვლესთა დაფარულნი გულისსიტყუანი მიუთხონის. ესევითარითა სათნოებითა გაბრწყინვებულ იყო სანატრელი იგი“, მაგრამ „ვერარა არწმუნა მეფეს“.

შემდეგ ბასილი „კუალად წარმოუდგა მეფესა და მთავართა მისთა“ და კადნიერად აუწყა: „მე... ყოვლადნმიდა ღმრთისმშობელისა მიერ წარმოვლინებულ ვარ... და მოვლინებულ ვარ სწავლად შენდა... და უკეთუ შეურაცხყო სიტყუანი ჩემნი: „ბოროტად და უპატიოდ მოკულა მძღავრთა მიერ და ოქერ იქმნე სამეფოსაგან შენისა და შვილნი შენნი მიმოდაიბნინენ და სხუამან დაიპყრას მეფობა შენი და იავარ-ყონ სიმდიდრე შენი. და აპა, ესერა შენ და მთავართა გეტყვ და ვესავ ყოვლადნმიდასა ღმრთისმშობელსა, რომელ სრულ იქ-მნეს და აღესრულოს სიტყუად ჩემი. უკეთუ ეგო უწესობასა მაგას. მე აპა ეს-ერა წარვალ“. გაოგნებულმა მეფემ მდუმარედ მოისმინა წმიდა მამის სიტყვები.

მალე გაცხადდა ბასილი მთაწმი-დელის წინასწარმეტყველება. მონღო-ლთა სამეფო კარზე ატეხილი ინტრიგე-ბის გამო დემეტრე მეფე ურდოში დაიბარეს, „ბოროტად და უპატიოდ“ მოკულეს და „სხუამან დაიპყრა“ სამეფო — იმერეთიდან დავით ნარინის ძე მოიხმეს და მას ჩააბარეს დემეტრეს ტახტი, „შვილნი მისნი მიმოდაიბნინენ“ — ტრაპიზონის მეფის ასულმა შვილებით — ვახტანგით, (შემდგომ წმიდა ვახტანგ მესამე) ლაშათი და მანოველით მთიულეთს შეაფარა თავი, სოლლარმა თავის სახლობას წაიყვანა შვილები: ბაადური, იადგარი და ჯიგდა-ხათუნი, უმცროსი შვილი გიორგი (მეფე გიორგი ბრწყინვალე) ნათელასთან ერთად ბაბუამ, ბექა ჯაყელმა შეიკედლა.

წმიდა ბასილი ათონის მთაზე აღესრულა მშვიდობით 1295 წლის ახლო ხანებში.





ღირსი ეფთვიმე გაენათელი (შერვაშიძე) დაიბადა 1746 წელს. მამამისი ქრისტეფორე შერვაშიძე გურიის მთავარი იყო. ეფთვიმეს წინაპრები დაახლოებული იყვნენ იმერეთის სამეფო კარზე და ყოველთვის საქართველოს გაერთიანებისა და დამოუკიდებლობისთვის იბრძოდნენ.

ეფთვიმე თორმეტი წლამდე გურიაში იზრდებოდა, შემდეგ კი იმერეთის მეფემ სოლომონ პირველმა და დასავლეთ საქართველოს კათოლიკოსმა იოსებმა, იმერეთში წაიყვანეს. ეფთვიმე ოცი წლის განმავლობაში სულ თან ახლდა მეფესა და კათოლიკოსს და მათი ყველა ბრძანება და

წესები სრულიად იცოდა. ბრძყინვალე საერო კარიერას ეფვთიმემ სასულიერო მოღვაწეობა არჩია და მონაზვნად აღიკვეცა. ეფთვიმე მაღევე აკურთხეს მღდლად. 1778 წლის ახლო ხანებში კი მღდელმთავრად დასხეს ხელი და ამ დროიდან 1820 წლამდე, გაენათის კათედრას განაგებდა მიტროპოლიტის ხარისხით.

ეფთვიმეს მოღვაწეობის დროს საქართველოს წინაშე მწვავედ იდგა ქვეყნის ყოფნა-არყოფნის და პოლიტიკური ორიენტაციის საკითხი. წმიდა ეფთვიმეს მთელი სულიერი და ფიზიკური ძალები დედა ეკლესიის სიწმინდისა და ქვეყნის გასაძლიერებლად იყო მიმართული.

1787 წელს, ეფთვიმემ საფუძვლიანად განახლა წმიდა ნიკოლოზის ეკლესია გელათის კომპლექსში, იგი აქტიურად მონაწილეობდა საეკლესიო და სახელმწიფო ბრივი საკითხების გადაწყვეტაში.

ქართლ-კახეთის სამეფოს რუსეთის იმპერიის მფარველობაში შესვლის შემდეგ (1783 წელს), იმერეთის სამეფოსა და რუსეთს შორის ურთიერთობები თანდათან დაიძაბა. 1790 წელს ეფთვიმე ტფილისში ჩავიდა იმერეთის წარმომადგენლებთან ერთად და ცდილობდა მეფე ერეკლე საქართველოს გაერთიანების აუცილებლობაში დაერწმუნებინა, მაგრამ სამნუხაროდ მცდელობა უშედეგოდ დამთავრდა.

1801 წელს ქართლ-კახეთში მეფობისა და საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის გაუქმების შემდეგ, რუსეთის მთავრობამ 1810 წელს იმერეთის სამეფო ტახტიც გააუქმა და იმერეთის მეფე სოლომონ მეორე მთებში გაიხიზნა. წმიდა ეფთვიმეს შუამავლობითა და დიდი ავტორიტეტით მოხერხდა სოლომონ მეორისა და რუსეთის გენერლის

სვიმონოვიჩის პირისპირ შეხვედრა ფერსათში, რომელმაც არსებითად ვერაფერი სასიკეთო შედეგი ვერ გამოიღო.

რუსეთის იმპერიის სასტიკი პოლიტიკის შედეგად ხალხის მასობრივმა უკმაყოფილობამ მთელი საქართველო მოიცვა. 1819 წელს აჯანყდა იმერეთიც, რომელშიც აქტიურად მონაწილოებდა სამღლდელოებაც. რუსეთის მთავრობის ბრძანებით 1820 წელს 4 მარტს სალამოს, გელათის მონასტერში მიტროპოლიტი ეფთვიმე შეიპყრეს, ამავე დროს შეიპყრეს ქუთათელი მიტროპოლიტი დოსითეოზი. ორივე მღლდელმთავარს წინასწარ შედგენილი გეგმის მიხედვით ტომრები ჩამოაცვეს თავზე და მშიერ-მწყურვალი მათრახების ცემით წაიყვანეს. სურამში ერთ-ერთ დედაკაცს წყალი მიუტანია მღლდელმთავრებისთვის დასალევად. სიცხითა და ცემით გატანჯულ, წმიდა ეფთვიმე პირის გაღების დროს სისხლი აღებინა, ცემისგან მას მთლიანად დასცვენოდა კბილები.

ეფთვიმე ქალაქ ნოვგოროდში წაიყვანეს. რუსეთის იმპერატორ ალექსანდრემ მღლდელმთავრისთვის შესაფერისი პატივით მიიღო წმიდანი. ეფთვიმემ იმპერატორს ახალი ნერონი უწოდა და უშიშრად ამხილა საქართველოს ეკლესიისა და ერისათვის თავისუფლების წართმევასა და სამშობლოს დამცველთა წამებისათვის. წმიდა ეფთვიმე სვირის მონასტერში გაგზავნეს ოლოვენცკის გუბერნიაში.


წმიდა ეფთვიმეს ახლო ურთიერთობა ჰქონდა რუსეთში მოღვაწე ქართველ ბატონიშვილებთან, ახერხებდა წერილობითი ურთიერთობა ჰქონდა მის მოძღვართან, ცნობილ სასულიერო მოღვაწესთან, მღლდელმონოზონ იონა ხელაშვილთან.

1822 წლის 21 აპრილს, სალამოს 9 საათზე წმიდა ეფთვიმი გარდაიცვალა. 23 აპრილს მის დაკრძალვას უამრავი ხალხი დაესწრო. წესის აგების დროს მეუფე ეფთვიმე წამოინია „დასწერა ჯვარი ვითარცა ცოცხალმან და კუალად მიწვა კუბოსავე და მიიძინა, დაეცათ შიში დიდი მუნ მყოფთა ყოველთავე და აქებდეს ღმერთსა“. ეფთვიმე დასაფლავეს სვირის მონასტერში სამების ტაძრის საკურთხეველში.

2004 წლის 1 აპრილს წმიდა ეფთვიმეს ნეშტი საქართველოში გადმოასვენეს და დაკრძალეს გელათის მონასტერში.



**დუდიკვათსა და პაპათას მოწყვეტილი
ლაზი მონაშენი (XVII-XVIII)
29(12.05) აპრილი**



ლაზეთი კოლხური წიალის განუყოფელი ნაწილია. იგი საქართველოს სახელმწიფო ბრიობის განმსაზღვრელი ერთ-ერთი მთავარი ძარღვი და ჩვენი კულტურის უძველესი კერაა. ანდრია მოციქულმა ქართველი ერის მოქცევა სწორედ აქედან დაიწყო.

1453 წლიდან ბიზანტიის და ტრაპიზონის იმპერიის დაცემის შემდეგ, ოსმალები მთელი სამი საუკუნის მანძილზე ცდილობდნენ აღმოეფხვრათ ლაზებში ქრისტიანობა და ეროვნული ცნობიერება. თავის მხრივ რომმაც გააძლიერა ამ მხარეში მისიონერების მოღვაწეობა. ამ ორ ცეცხლს შუა მომწყვდეული ლაზები მტკიცედ იცავდნენ მართლმადიდებლობას, მაგრამ დროთა განმავლობაში

ზოგმა კათოლიკებსა და მონფილიგებსა და „შეაფარეს“ თავი, რომელთა აბსოლუტურმა უმრავლესობამ შემდგომში მთლიანად დაკარგა ეროვნული ცნობიერება. ძალად გამუსლუმანებულმა ქართველებმა კი შეინარჩუნეს ენა, ეროვნულ-კულტურული ტრადიციების ნაწილი და ხსოვნა მათი წინაპრების ქრისტიანობის შესახებ.

ცნობილი მეცნიერის, პავლე ინგოროვას მიხედვით, საქართველოსა და ბიზანტიის იმპერიის პოლიტიკური საზღვრების ხშირი ცვალებადობის შემდეგ „1204 წელს, საქართველომ დაიბრუნა ბიზანტიისაგან ტრაპიზონის სამეფო... და სოჭიროპოლის ოლქი, რიზეს ოლქთან ერთად საქართველოს ეკლესიას დაუკავშირდა, აქ შეიქმნა ერთი საეკლესიო ერთეული (სამიტროპოლიტო), რომლის ცენტრი არის ოფი (სოჭიროპელი, იგივე სატრაპელა). ამ საეკლესიო ერთეულის ერარქი მოიხსენიება შემდეგი ტიტულებით: 1. „ლაზის მიტროპოლიტი 2. ოფის (სატრაპელას) მიტროპოლიტი.“

უფრო გვიან ხანაში, მეთექვსმეტე საუკუნეში, როდესაც თურქებმა დაიპყრეს ჭანეთი, ოფისა და რიზეს მხარე და ჭანეთში დაიწყო მუსულ-

მანობის გავრცელება, ლაზის კათედრა გადმოუტანიათ გურიაში და თვით იმ პუნქტისათვის, სადაც მოეწყო დროებითი რეზიდენცია ლაზის მიტროპოლიტისა, უნოდებიათ ლაზეთიდან ჩამოტანილი სახელი — სატრაპელა. 1617 წელს გურიაში იყო რომის მისიონერი ლუი გრან ჟიე, რომელმაც ინახულა ამ ახალ რეზიდენციაში — გურიის სატრაპელაში — ლაზიდან გამოხიზნული ერარქი, რომელსაც იგი ლაზის მთავარეპისკოპოსისა და მიტროპოლიტის სახელით მოიხსენიებს.

დასავლეთ საქართველოს კათოლიკოსის მაქსიმეს წერილში, რომელიც მიწერილია რუსეთის მეფის ალექსი მიხეილის ძისადმი (1646 წლის 1 იანვრის თარიღით) მოთხოვილია რომ მან, აფხაზთა კათოლიკოსმა, ჩამოიყვანა ლაზიდან მონაზონი გერმანე და აკურთხა იგი ლაზის მიტროპოლიტად.


აღსანიშნავია, რომ ყველა დოკუმენტში, რომელიც ეხება ლაზეთის მიტროპოლიტს, ყოველთვის საგანგებოდ აღნიშნულია, რომ ლაზია, ეს არის საქართველო „საქართველოს ძველი ქვეყანა“.

მტერმა ვერ მოახერხა ბოლომდე აღმოეფხვრა ლაზებში ქრისტიანობა და ეროვნული ცნობიერება. 1600-1602 წლებში ლაზებმა აჯანყება მოაწყვეს თურქების წინააღმდეგ. მთაზე დაბანაკებული სამასი ლაზი მეომარი თურქებმა შეიპყრეს და ქრისტიანობის უარყოფის სანაცვლოდ თავისუფლება და სხვადასხვა მიწიერი პატივი აღუთქვეს. ლაზებმა უდიდესი სარწმუნოებრივი სიმტკიცე გამოიჩინეს. სამასივე მეომარს მოჰკვეთეს თავები და მდინარეში გადაყარეს, რის შემდეგ ამ ადგილს დუდუკვეთა (თავისკვეთა) უწოდეს. დუდუკვეთა უწოდა ლაზებმა მონამეთა სისხლით შეღებილ მდინარესაც.

თურქებმა დაარბიეს პაპათას (სამღლელოთა) მთაზე მდებარე მამათა მონასტერი, შეიპყრეს იქ მოღვაწე სასულიერო პირები და მრავალფერი ტანჯვისა და წამების შემდეგ თავები მოჰკვეთეს. ამ მთას დღემდე პაპათას მთას უწოდებენ ლაზები.

მაისი

- 1 (14) — წმიდა თამარი — მეფე ყოვლისა
საქართველოსა (+1213), (ცხ. იხ. 27 იანვარს);
— ღირსი ზოსიმე კუმურდოელი (XVI);
- 3 (16) — ღირსი მამაკ კათოლიკოსი (+744);
— ღირსნი მამანი: მიქაელ და არსენ
ულუმბოელნი (IX);
- 7 (20) — ღირსნი ასურელნი მამანი: იოვანე ზედაზნელი
და მისი ათორმეტნი მოწაფენი (VI);
- 9 (22) — ღირსი შიო მღვიმელი და ევაგრე
ციხედიდელი (VI);
- 11 (24) — ნეტარი ქრისტესია, ქრისტეფორედ
წოდებული (+1771);
- 13 (26) — ღირსი ეფთვიმე ათონელი, მთარგმნელი (+1028);
— წმიდა მოწამენი ათონის ივერთა მონასტერში
ლათინთაგან მოწყვეტილნი (XIII);
- 15(28) — ღირსი პიროს ბრეთელი (VI), (ცხ. იხ. 7(20) მაისი);
- 18 (31) — მოწამენი: დავითი და ტირიჭანი (+693); და
დედაჲ მათი თაგინე;
- 19 (1.06) — მოციქულთასწორი ნინო (+335) (საქართველოში
შემოსვლა 323 წელი), (ცხ. 14 იანვარს);
- 20 (2.06) — ღირსნი: ზაბილონი და სოსანა,
მოციქულთასწორ ნინოს მშობლები (IV);
- 23 (5.06) — ღირსი დამიანე, მეფეყოფილი დემეტრე (+1157);
- 27 (9.06) — ღირსი მიქელ პარეხელი (VIII-IX);
— ღირსი ბასილი, ძე მეფე ბაგრატ III-ისა (XI);



წმიდა ზოსიმე კუმურდოელის სახელთანაა დაკავშირებული ხელნაწერთა კრებული, რომელიც შეიცავს ლოცვებს, პომილებსა და სხვადასხვა საკითხავებს. ხელნაწერს თან ერთვის მეუფე ზოსიმეს ორი ანდერძი.

ეპარქიაში სამღდელმთავრო, საგანმანათლებლო, და აღმშენებლობითი მოღვაწეობის გარდა აღსანიშნავია ზოსიმეს უდიდესი ღვაწლი იერუსალიმის წმიდა მიწაზე. როგორც ცნობილია, მეთხუთმეტე-მეთექვსმეტე საუკუნეების მიჯნაზე განსაკუთრებულად იყო გამწვავებული ბრძოლა გოლგოთის გარშემო, ისტორია მოვითხოვს თუ რა დიდი ჯაფა გადახდათ ქართველებს იერუსალიმის წმიდა მიწაზე მოპოვებული უფლებების დასაცავად. სწორედ ამ დროს ჩასულა იერუსალიმში ზოსიმე კუმურდოელი და თავისი წვლილი შეუტანია კათოლიკებისაგან გოლგოთის გამოხსნის საქმეში, რის გამოც ზოსიმე კუმურდოელის სახელზე ორი კანდელი დაუკიდიათ გოლგოთასა და ქართველთა ჯვარის მონასტერში.



კუმურდოს საკათედრო ტაძარი X ს.



წმიდა მამა კათოლიკოსი ქართლის ეკლესიას განაგებდა 731-744 წლებში.

მამა კათოლიკოსი მოხსენიებულია ზედაზნელ მამათა სიაში. „ზედაძენს დაჯდა მამა კათოლიკოსის კათალიკოსად დაჯდა ათოთხმეტი წელ“.

როგორც ჩანს, ზედაზნის მონასტრის წინამძღვარი გამორჩეული სულიერებისათვის საქართველოს კათოლიკოსად აურჩევიათ, კათოლიკოს პეტრე მეორის გარდაცვალების შემდეგ.

არაბთა ბატონობის მიუხედავად, წმიდა მამა კათოლიკოსისა და წმიდა მეფე არჩილის ბრძნული და ურთიერთშეთანხმებული მოქმედებებით, ქვეყანაში მაინც მიმდინარეობდა ეკლესია-

მონასტრებისა და ციხე-სიმაგრეების მშენებლობა.

წმიდა მამა კათოლიკოსი თოთხმეტი წელი განაგებდა საქართველოს სამოციქულო ეკლესიას.

წმიდა მამა მშვიდობით აღესრულა 744 წელს. ამავე წელს აღესრულა მონამეობრივად არჩილ მეფეც. წმიდა მამას შემდეგ ქართლის კათოლიკოსის ტახტზე არჩეულ იქნა იოვანე მესამე, რომელიც წმიდა ეფრემ მცირის მიხედვით კათოლიკოსად აკურთხა ანტიოქიის პატრიარქმა თეოფილაქტემ და ანტიოქიის ეკლესიის სინოდის გადაწყვეტილებით მისცა პროტრეპტიკონი, რომლის მიხედვით ქართველებს უფლება მიეცათ „რათა თკთ მათისა საზღვრისა ეპისკოპოსთაგან ჭელნი დაესხმოდიან უამად-უამადსა კათოლიკოსსა ქართლისასა, რამცა საღმრთომან მადლმან უჩუენოს მათ“.

მამა კათოლიკოსის, როგორც წმიდანის სახელი შეტანილია იოვანე ზოსიმეს (დაახ. +987) კალენდარში, „კრება თთუეთა წელი-წდისათა“.





ღირსენი მამანი მიქაელ და არსენ ქართველნი — ულუმბოლელნი არიან მეცხრე საუკუნის ქართველი მოღვაწები, სამწუხაროდ მათ შესახებ ბიოგრაფიული ცნობები არ შემონახულა.

იერუსალიმის ჯვარის ქართველთა მონასტრის აღაპები იხსენიებს „წმიდათა მამათა ჩუენთა მიქაელ და არსენს, რომელთა აღაშენეს ულუმბოა“.

მეცნიერები ვარაუდობენ, რომ მიქაელი და არსენი არიან გრიგოლ ხანძთელის მოწაფეები. ისინი 810 წლის ახლო ხანებში ხანძთიდან ჯერ პალესტინაში წასულან, შემდეგ კი მცირე აზიაში გადასულან და ულუმბოს (ოლიმპოს) მთაზე დაუწყისათ მოღვაწეობა.

მიქაელისა და არსენის ხელმძღვანელობით ულუმბოს მთაზე რამდენიმე ქართველი ბერ-მონაზონიც მოღვაწეობდა.

მიქაელისა და არსენის მიერ ულუმბოს მთაზე დაარსებულ ქართულ სამონასტრო კერაზე დააფუძნა შემდგომ წმიდა ილარიონ ქართველმა, მცირე აზიის ერთ-ერთი მძლავრი სასულიერო და მნიგნობრული ტრადიციების მქონე ქართული მონასტრი. 864-869 წლებში ულუმბოს მთაზე მისულ ილარიონს სამი ქართველი ბერ-მონაზონი დახვედრია, უეჭველია, არსენისა და მიქაელის მოწაფეთაგანნი.

ულუმბოს ქართველთა მონასტერში მოღვაწეობდნენ: იოვანე და ეფთვიმე ათონელები, მიქაელ ზეკეპე ბერთველი, საბა კუტი (X ს.), ისააკი (XI ს.) და სხვა ცნობილი ქართველი მნიგნობრები და გადამწერები.

მეთერთმეტე საუკუნის შემდეგ ულუმბოზე ქართველ ბერ-მონაზონთა მოღვაწეობის შესახებ ცნობებს ჩვენამდე არ მოუღწევიათ. ეპისკოპოსი ტიმოთე (გაბაშვილი), რომელმაც 1757 წელს იმოგზაურა მცირე აზიაში და ულუმბოს მთაც მოილოცა, არაფერს სწერს იქ მოღვაწე ქართველების შესახებ.

ღირსი მამები მიქაელ და არსენ ულუმბოელები მშვიდობით აღესრულნენ ულუმბოს მონასტერში 860 წლის ახლო ხანებში.

ღირსეი ასურელი მამანი: იოვანე ზედაზნელი
და მისი ათორებელი მონაფედი (VI)
7 (20) მაისი



ღირსეი მამანი: იოვანე ზედაზნელი, აბიბოს ნეკრესელი, ანტონ მარტყოფელი, დავით გარეჯელი, ზენონ იყალთოელი, თათა (თადეოზ) სტეფანწმიდელი, ისე წილკნელი, იოსებ ალავერდელი, ეზდრიოს (ისიდორე) სამთავნელი, მიქაელ ულუმბოელი, პიროს ბრეთელი, სტეფანე ხირსელი და შიო მღვიმელი ასურელი მოღვაწები იყვნენ, ისინი 540 წლის ახლო ხანებში შემოვიდნენ საქართველოში, ქართლის კათალიკოს ევლავის (533-544) და ფარსმან მეფის (542-557) დროს.

ღირსი იოვანე ზედაზნელი წარმოშობით იყო შუამდინარეთიდან „ნათესავით ასური“. სასულიერო განათლება მან ანტიოქიაში მიიღო. ჯერ კიდევ სრულიად ახალგაზრდა იოვანე მონაზვნად აღიკვეცა და უდაბნოში წავიდა სამოღვაწეოდ. მისი სიმდაბლე, მარხვა და მღვიძარება სათნოეყო უფალს და თავის ერთგულ მსახურს მიჰმადლა სენთა კურნებისა და ეშმაკთა განსხმის ნიჭი. იოვანეს ირგვლივ თანდათან შეიკრიბა მონაფეები. მონაზონთა საძმოს სანახავად და მათგან კურთხევის მისაღებად უამრავი ხალხი მიდიოდა, ამიტომ წმიდა იოვანემ რამოდენიმე მონაფე წაიყვანა. ააშენა სენაკები და დაიწყო მოღვაწეობა. „ხოლო მუნ ბრძანება მიიღო ანგელოზისა მიერ, რათა ათორმეტით მონაფითურთ თვისით წარმოვიდეს ქართლად“.

იოვანემ ზეგარდამო ბრძანება თავის მონაფეებს გამოუცხადა.

ხანგრძლივი მარხვისა და ლოცვის შემდეგ ღმრთის მინიშნებით მოწაფეთაგან თორმეტი გამოარჩია: შიო, დავითი, ანტონი, ისე, იოსები, თათა (თადეოზ), სტეფანე, ეზდრიოს (ისიდორე), მიქაელი, პიროსი, ზენონი და აბიბოსი. უდაბნოში დარჩენილებს თავის ნაცვლად მოძღვრად ბერი ექვთიმე დაუტოვა, თვითონ კი ძმებთან ერთად საქართველოში წამოვიდა.

საქართველოს მეფეს და კათოლიკოსს ანგელოზისგან ეუწყათ შუამდინარეთს აღმობრნებულ ვარსკვლავთა მოსვლა. მცხეთას მოახლოებულ ასურელ მამებს წინ მიეგებნენ მეფე ფარსმანი და კათოლიკოსი ევლავი კრებულითურთ.

ევლავიოს კათოლიკოსის კურთხევით წმიდა იოვანე მოწაფეებთან ერთად ზედაზნის მთაზე დასახლდა, სადაც ადრე ზადენის კერპი იდგა. მოღვაწეები უბადრუკ სენაკებში ცხოვრობდნენ, დროს გამუდმებულ ლოცვაში ატარებდნენ და მხოლოდ მცხარეულით იკვებებოდნენ. ხალხმა გაიგო იოვანეს სასწაულები, ბევრს აღეძრა მოწაზვნური ცხოვრების სურვილი და ზედაზენს დაემკვიდრა სამოლვანეოდ.

ერთ ღამეს იოვანეს ღმრთისმშობელი გამოეცხადა და უბრძანა, თავისი მოწაფეები სხვადასხვა მხარეს გაეგზავნა საქადაგებლად. იოვანემ შეკრიბა მოწაფეები და უთხრა: „სარგებლისათვს ამის ქუეყანისა წარმოგუავლინნა უფალმან ღმერთმან ჩუენმან იესუ ქრისტემან, რამეთუ ახალ ნერგ არიან კაცნი ესე ამის სოფლისანი, ამისათვსცა ჯერ არს, რათა წარხვდეთ კაცად-კაცადი და განამტკიცებდეთ ძმათა, რომელთა აღუარებიეს ქრისტე, უფალი ჩუენი“.

იოვანე, ზედაზენზე დარჩა, დაიტოვა ელია დიაკონი და ჩვეულ მოღვაწეობას შეუდგა. მოძღვარმა და მოწაფემ მრავალი წინააღმდეგობა და განსაცდელი დაითმინეს. ზედაზენი უწყლო ადგილი იყო. ელია დიაკონი ყოველდღე შორი მანძილიდან ეზიდებოდა წყალს.

მოწაფის ფიცხელი შრომის შემხედვარე წმიდა იოანემ უფალს წყაროს აღმოცენება სთხოვა. სახიერმა უფალმა ისმინა ვედრება და მთის მწვერვალზე მაკურნებელი წყარო აღმოცენდა, მაგრამ წყაროს დათვი შეეჩინა და საშიში გახდა წყალთან მისვლა. იოვანემ ლოცვით შესთხოვა ღმერთს დახმარება და მოხდა სასწაული — დათვი მოთვინიერდა.



ლირსი იოვანეს ლოცვით, დიდი ხნის დავრდომილი სწეული და ეშმაკისაგან დამუნჯებული ადამიანი განიკურნა.

ხანგრძლივი მოღვაწეობის შემდეგ იოვანეს უფლისაგან გამოეცხადა ალსასრულის მოახლოება. იხმო თავისი მონაფეები, აკურთხა და ანდერძად დაუბარა, დაესაფლავებინათ იმ მღვიმეში, სადაც მოღვაწეობდა. ამის შემდეგ იოვანემ მიიღო წმიდა ზიარება და უფალმა თავისთან უხმო ლირს მამას: „მე ვარ ღმერთი აპრაპამისი, მამისა შენისაა... ან მოვედ ჩემდა, რადთა განგისუენო შრომათა შენთათვე“.

ლირსი იოვანე ზედაზნელი „განმანათლებელი ქართლისა და განმწენდელი სჯულისა, მაშენებელი ეკლესიათა, რომელმან ქმნა სასწაულები და ნიშები მრავალ“, გარდაიცვალა 557-60 წლებში.

იოვანე ზედაზნელის განმორებით დამწუხრებული მისი მონაფეები „დაალტობდეს იატაკსა ცრემლითა მიერ წმიდითა“. მათ უპატიოდ



ზედაზნის მონასტერი

მიიჩნიეს ის ადგილი, სადაც იოვანემ ითხოვა დასაფლავება, და ზედაზნის ძირას მდებარე მონასტერში წაასვენეს მოძღვარი.

მოულოდნელად მინა იძრა და არ დაწყნარებულა მანამ, სანამ არ გაიხსენეს წმიდა იოვანეს ანდერძი და არ გულისხმა-ჰყვეს, რომ ეს მიწისძვრა ზეციური ნიშანი იყო.

წმიდა იოვანე ზედაზნელის მონაფეები მოძღვრის საფლავთან მივიღნენ, პატივით აღმოყვანეს წმიდა ნანილები და ანდერძისამებრ დაასაფლავეს. წმიდა ნანილთა აღმოყვანების უამს მრავალი სწეული და ეშმაკეული განიკურნა.

მეათე საუკუნეში, ქართლის კათოლიკოს კლიმენტის (908-923) დროს, მღვიმის სამხრეთით იოვანე ნათლისმცემლის სახელობის ეკლესია ააგეს. წმიდა იოვანე ზედაზნელის საფლავი არის ტაძრის სამკვეთლოსთან.

მღდელმონამე აპიბოსი ევლავი კათოლიკოსმა ნეკრესის ეპისკოპოსად აკურთხა. იმ დროს აღმოსავლეთ საქართველოში სპარსელი მოგვები თავისუფლად ავრცელებდნენ თავიანთ ცრუ სწავლებას და მძღავრობით მრავალნი გადაიბირეს ჭეშმარიტებისაგან. ერთხელ

ცეცხლთაყვანისმცემელთა მზაკვრობის სამხილებლად წმიდა

მღდელმთავარმა აპიბოსმა წყალი დაასხა სამსხვერპლოზე დანთებულ

ცეცხლს და ჩააქრო. განრი-
სხებულმა სპარსელებმა მეუფე
აპიბოსი შეიპყრეს და სასტიკად
გვემეს, შემდეგ სპარსეთის
მთავარს მარზაპანს შეატყობინეს
„საქმე ესე“, რომელმაც „ბრძანა
მსწრაფლ მისი შეკვრა და
მიყუანება მისი წინაშე მისსა“.

მარზაპანთან მიმავალ გზაზე
აპიბოსს გადასცეს სვიმეონ
მესვეტის მიერ გამოგზავნილი
წერილი და კვერთხი. სანამებე-
ლად განმზადებულმა აპიბოსმა
ძალიან გაიხარა და კიდევ უფრო
განმტკიცდა მონამეობისათვის.
შიო მღვიმელმაც მოიკითხა აპი-
ბოსი და მაცლუნებელი საკერპოს

ცეცხლის ჩაქრობის შემდეგ ბოროტის მიერ აღგზნებული უხილავი
ცეცხლის დაშრეტაც უსურვა. „მრავლითა ჭირითა გვნევს შესვლად
სასუფეველსა დმრთისასა... ნუ შეძრნუნდები“ გაამხნევა შიომ აპიბოსი.
მარზაპანთან წარდგომილმა აპიბოსმა მხნედ იქადაგა ქრისტიანობა და
ამხილა ცეცხლთაყვანისმცემელთა სიბეცე, „ღმერთი არ მომიკლავს,
ხოლო ცეცხლი დავ-
შრიტე, არა არს იგი
ღმერთი“, ცეცხლი
ღმერთის მიერ შექ-
მნილი სტიქიაა, მშვი-
დად ბრძანა წმიდანმა.

მარზაპანმა გაპრა-
ზებით მიმართა მეუ-
ფე აპიბოსს: „მე გვი-
ხავ, რადსათვს მოჰკალ
ღმერთი ჩვენი და შენ
გნებავს, რადთამცა
შენისა დმრთისა წარ-
გვიყვანე“. აპიბოსმა
კვლავ მხნედ ამხილა



წერესის მონასტერი

ცეცხლთაყვანისმცემლობა: „მიკურს თქვენი ესე სიცოფე“ როგორ შეიძლება ღმერთი უწოდოთ იმას, რომელიც ასე უბრალოდ შეიძლება წყალმა ჩააქროს. განრისებული მირზაპანის ბრძანებით აბიბოსი ჯერ სასტიკად აწამეს, ბოლოს კი ქვებით ჩაქოლეს□

წმიდა აბიბოსის გვამი ლია ცის ქვეშ დააგდეს მხეცთა საჯიჯგნად, მაგრამ მონამის გვამს არ შეხებია არც მხეცი და არც ფრინველი. ლამით რებში მცხოვრებმა ქრისტიანებმა დიდი პატივით დაასაფლავეს მღდელმონამის ცხედარი სამთავისის მონასტერში.

მოგვიანებით აბიბოსის უხრნელი ნაწილები სამთავისიდან მცხეთის სამთავროს მონასტერში გადასვენეს და წმიდა ტრაპეზის ქვეშ დაფლეს.

წმიდა ანტონ მარტყოფელი ედესაში მოღვაწეობდა, სადაც იესუ ქრისტეს ის ხელთუქმნელი ხატი იყო დაცული, რომელიც თვითონ იესუ ქრისტემ გაუგზავნა ედესის მეფე ავგაროზს. ხატი ქალაქის კარიბჭის თავზე აღმართა მეფემ და იგი ქალაქის მფარველ სიწმიდედ იქცა. ავგაროზის შვილიშვილმა, რომელმაც უარყო ქრისტე, გადაწყვიტა გაენადგურებინა ხატი. ედესის ეპისკოპოსმა იმავე გალავანში გადამალა ხატი, ნინ ანთებული კანდელი დაუდო და ამოაშენა.

540 წლის ახლო ხანებში, როდესაც სპარსელებმა ქალაქის ასალებად გალავნის დანგრევა გადაწყვიტეს, ღმრთისმშობელმა ედესის ეპისკოპოსს აუწყა ადგილი „რომელსამე ბჭესა ზედა არს ხატი იგი ხელთუქმნელი და დაფარული“ და ეპისკოპოსმაც იპოვა ხატი. ხანგრძლივი დროის მიუხედავად მის ნინ კანდელი კვლავ ენთო, ხატის სახე კი მასზე დაფარულ კეცის პირზე გადასულიყო სასწაულებრივად.

წმიდა ანტონმა კეცისპირზე გამოსახული ხატი, რომელიც იესუ ქრისტეს მიერ ავგაროზისადმი გაგზავნილი ხელთუქმნელი ხატის „სწორებით პატივიცემოდა“ წამოაპრძანა საქართველოში.

იოვანე ზედაზნელის კურთხევით, ანტონმა, რომელსაც „ეპყრა ხელსა შინა თვესსა წმიდა ხატი უფლისა, რომელიც აქუნდა მას მარადის“, ქადაგებით მოიარა ზედაზნის ახლომახლო ადგილები, შემდეგ კი „წარვიდა საქადაგოდ კახეთს“. ის ჯერ იყალთოში ჩავიდა ზენონთან, შემდეგ იოსებთან დაჰყო რამოდენიმე ხანი ალა-



ვერდში, ბოლოს კი „დაემკვიდრა წევსა შინა ლიპოტანისასა“. ანტონმა ქადაგებით მოიარა „ყოველი სანახები მის ადგილისანი“ მოწაფეებიც გაიჩინა, რომლებიც ანტონთან ერთად „დაემკვიდრებოდნენ მას ღელესა შინა“.

უკაცრიელ ადგილას დამკვიდრებულ მოღვაწესთან ყოველ საღამოს მიდიოდნენ ირმები და თავიანთი რძით კვებავდნენ. ერთ საღამოს ირმები ადრე მივიდნენ დაფეთებულნი. უკან დაჭრილი ნუკრი მისდევდათ. მალე ირმებს უკან მონადირე მიჰყვა, რომელიც მახლობელი დაბის მამასახლისი აღმოჩნდა.

გაოგნებულმა მონადირემ დაინახა მხცოვანი მონაზონი, რომელსაც გულზე ხატი ეკიდა და ისე იდგა ირმების ჯოგში. მამასახლისის ბრძანებით ანტონი შეიპყრეს და როგორც „გრძნეული“ მჭედელთან ნაიყვანეს ხელის მოსაჭრელად. მჭედელმა შანთი გაახურა, მაგრამ, როგორც კი აღმართა წმიდა მამის ხელის მოსაჭრელად, „დავარდა ქუე და წელნი, ვითარცა შეშანი შეექმნენს“. მომხდარით გაოგნებულ მჭედელს ენა ჩაუვარდა, ანტონმა კი მას ჯვარი გადასახა და განკურნა. მამასახლისი მიხვდა, რომ მის წინაშე ღმრთის მადლით შემოსილი კაცი იდგა, თაყვანი სცა და შეევედრა: „რად გნებავს სთქუ და ყოველი მიგცე“. ანტონმა ქვამარილის ნატეხი ითხოვა. ღირს მამას მაშინვე მარილის ორი ლოდი მიართვეს. მან მხოლოდ მცირეოდენი ჩამოტეხა და კვლავ თავის სადგომს მიაშურა, ქვამარილი კი სენაკის ახლოს დადო ირმებისათვის.

წმიდა ანტონის სანახავად და მისგან კურთხევის მისაღებად უამრავმა ხალხმა დაიწყო სიარული, ზოგმა კი მონაზნური ცხოვრება აირჩია და მასთან დარჩა სამოღვაწეოდ.



მარტყოფის მონასტერი

მამა ანტონ მარტყოფელმა მონასტერი ააშენა ძმებისათვის, თვითონ კი „დაუტევა მონასტერი თვისი, მოვლო ქვემო კახეთი ქადაგებით და დაემკვიდრა უვალსა მთასა ზედა ახეტას“. აქაც მომრავლდა ხალხი მის გარშემო. ანტონს კი განმარტოებით სურდა მოღვაწეობა და საბოლოოდ დაემკვიდრა „მთასა აკრიანისასა“, რომელსაც ამჟამად მარტყოფი ეწოდება — წმიდა ანტონის მარტომყოფელობითი მოღვაწეობის პატივსაცემად.

წმიდა ანტონმა აკრიანში მაღალი სვეტი ააგო, სვეტზე დაეყუდა და იქ მოღვაწეობდა თხუთმეტი წლის განმავლობაში.

ღირს ანტონს უფლისაგან წინასწარ ეუწყა ამქვეყნიდან განსვლის დღე, მოუწოდა მონაფეებს, აკურთხა ისინი, გამოემშვიდობა და ლოცვისთვის განმარტოვდა. რამდენიმე ხანში მონაფეებმა ნახეს მაცხოვრის ხელთუქმნელი ხატის წინ მუხლმოყრილად აღსრულებული წმიდა ანტონი.

„ღირსთა შორის გვრგვი და წმიდათა შორის თუალი პატიოსანი“, ანტონ მარტყოფელი დაკრძალეს მის მიერ დაარსებულ მონასტერში, ღმრთისმშობლის ხატის წინ.

წმიდა დავით გარეჯელი სიჭაბუკეშივე აღეკვეცა მონაზვნად და „სიყრმითგანვე აიღო ჯუარი უფლის მხართა ზედა“. საქართველოში ჩამოსვლის შემდეგ, დავითი, ტფილისში დაემკვიდრა ქალაქის განაპირას აღმართულ მთაზე.

დაყუდებულმა მონაზონმა დავითმა თავისი საკვირველი ქადაგებითა და წმიდა ცხოვრებით მრავალი ადამიანი მიიზიდა და ბევრი ცეცხლთაყვანის-მცემელი მოაქცია ქრისტიანობაზე.

განრისხებულმა მოგვებმა ფეხმძიმე მეძავი დედაკაცი მოისყიდეს და მამა დავითს მასთან მრუშობა დასწამეს. წმიდანმა კვერთხი შეახო დედაკაცის მუცელს და წარმოთქვა: „შენ, ჩვილო, გიბრძანებ სახელითა უფლისა ჩუენისა იესუ ქრისტესითა, რათა გვაუწყო ჩვენ, ვარ თუ არა მე მამა შენი“. ჩვილმა დედის მუცლიდან ყველას გასაგონად უპასუხა და ნამდვილი მამაც დაასახელა. განრისხებულმა ხალხმა დედაკაცი ქვებით ჩაქოლა. შეძრნუნებულმა დავითმა, რომელმაც გამძვინვარებული ბრძო ვერ შეაჩერა, მდინარე მტკვარზე გაფინა მოსასხამი,



თავის მონაფესთან, ლუკიანესთან ერთად ზედ შედგა და, მიუხედავად ტფილისელების მხურვალე ვედრებისა, ქალაქი დატოვა.

მამა დავითი და ლუკიანე გარეჯის უდაბნოში დასახლდნენ. მოსაგრეებს უფალმა სასწაულებრივი საზრდელი გაუჩინა. მათთან ყოველდღე, გარდა ოთხშაბათისა და პარასკევისა, ირმები მოდიოდნენ, ლუკიანე წველიდა, მამა დავითი ჯვარს გადასახავდა და რძე ყველად იქცეოდა.



დავით გარეჯის მონასტერი

გარეჯელ მამათა სასწაულები მთელმა ქვეყანამ გაიგო და მალე იქ „დაემკვიდრნეს სიმრავლენი მამაკაცთანი, უდაბნოებითსა ცხოვრებასა შემატკებობელნი“. ნინონმიდიდან ლირს დავითთან მიერთა სათნოებით შემძული განდეგილი მონაზონი დოდო (ხს. ამაღლების შემდგომ ოთხშაბათს), რომელმაც დავითის კურთხევით კლდის რქაზე ააშენა მონასტერი.

ბევრი განსაცდელების დათმენა მოუხდა დავითს გარეჯის უდაბნოში. ერთმა უკეთურმა კაცმა მისი მოკვლა განიზრახა და რაჟამს მახვილი იშიშვლა „რათა სცეს ქედსა წმიდისასა“ მკლავი „ვითარცა შეშა ხმელი“ ჰაერში გაუშეშდა. გულმოწყალე დავითმა ხელი შეახო მის გაშეშებულ მარჯვენას და „მეყსა შინა განკურნა იგი“. განკურნებულმა კაცმა სახლში მყოფი „წელითა და ფერწით კოჭლი“ ვაჟიშვილის დახმარებაც

თხოვა დავითს. წმიდა დავითმა ანუგეშა მონანული: „წარვედ სახიდ შენდა და ვითარ გრწმენა, გეყოს შენ სიტყვსაებრ შენისა“. სახლში მისულ კაცს შვილი განკურნებული დაუხვდა. გახარებულმა ირწმუნა ჭეშმარიტი ღმერთი და მთელი ოჯახით მოინათლა.


რამდენიმე ხნის შემდეგ ღირსი დავითი იერუსალიმის მოსალოცად წავიდა. იერუსალიმს მიახლოებულმა ვერ იყადრა ქალაქში შესვლა, კარიბჭესთან დიდხანს და მხურვალედ ილოცა, შემდეგ იმ ადგილიდან აიღო სამი ქვა და ევლოლიად წამოიღო.

იმ ღამეს, იერუსალიმის პატრიარქს ელიას, ანგელოზი გამოეცხადა და აუწყა, რომ საქართველოდან მოსულ მამა დავითს, იერუსალიმის მთელი მადლი მიჰქონდა.

პატრიარქის გაგზავნილმა კაცებმა ორი ქვა უკანვე გამოართვეს ღირს მამას, მესამე კი მამა დავითმა საქართველოში ჩამოიტანა.

ხანგრძლივი და ღმრთივსათნო ცხოვრების შემდეგ მშვიდობით ალსრულებული მამა დავითი, გარეჯის სავანეში დაკრძალეს.

წმიდა ისე წილკნელი თავიდანვე იოვანესთან მოღვაწეობდა, და ყველას განაკვირვებდა მისი სიწმიდითა და სასწაულებით. წმიდა ისე „მრავლითა იძულებითა აკურთხა ქართლის კათალიკოსმან, მღდელმთავრად საყდარსა წმიდისა ღმრთისმშობელისასა სოფელსა წილკანსა“. მეუფე ისემ „ფრიადი ურწმუნონი სწავლითა მოაქცივნა, მოძღურება და ქადაგება განფინა სამწყსოსა თვისსა“.



წილკნის შემოგარენში წყალი არ იყო, რის გამოც მოსახლეობა დიდად წუხდა. ერთ დღეს წმიდა ისე მდინარე ქსნის ნაპირას ჩავიდა, ჯვარი გადასახა მდინარეს, შემდეგ კვერთხი შეახო და თქვა: „სახელითა უფლისათა გიბრძანებ, ჩემ მიერ ქსინვით ვიდოდე და შემომიდეგ, ვიდრეცა ვიდოდე“. მდინარემ კალაპოტი შეიცვალა და ღირსი ისეს კვერთხს მოიყვანა მდინარე. ამ სასწაულმა მრავალი ხალხი მოაქცია ქრისტეს სჯულზე.

შეუდგა. ღირსმა მამამ წილკნის საყდრამდე და შემომიდეგ, ვიდრეცა ვიდოდე“.



ნილუანი

განსაკუთრებული ღვაწლი მიუძღვის წმიდა ისეს ქართლის მთიანი მხარის გაქრისტიანებაში, სადაც წმიდა ნინოსაც ძალიან გაუჭირდა ქრისტეს სჯულის დანერგვა. წმიდა ისეს „ეშმაკთა მწყვლელს, ლახვართ მსობარეს“ უწოდებდნენ.

წმიდა ისემ უფლისაგან ნინასწარ შეიტყო ხორცთაგან განსვლის დღე, ეზიარა და ლოცვით შეჰვედრა უფალს სული. წმიდა ისე დაკრძალეს ნილვნის ღმრთისმშობლის ტაძარში.


წმიდა იოსებ ალავერდელი „წმიდა ესე და სამგზის სანატრელი მამა ჩუენი მოიწია კახეთად“ იმ ადგილას, რომელსაც დღეს ალავერდი ეწოდება და იქ დაიწყო მოლვანეობა. აბბა იოსები განუშორებლად ატარებდა იესუ ქრისტეს ცხოველმყოფელი ჯვარის ნაწილს.

ერთხელ, სრულიად მარტო მყოფი იოსები შეხვდა იმ მხარეში სანადიროდ მყოფ დიდებულს, რომელსაც ღმრთის სიტყვა უქადაგა. მამა იოსების მადლიანი სწავლებით გახარებულმა დიდებულმა დიდალი შესანირავი გაიღო უდა-



ბნოში მონასტრის დასაარსებლად და საფუძველი დაუდო ალავერდის სავანეს. დროთა განმავლობაში მეუდაბნოეთა რიცხვი გაიზარდა და დიდი კრებული შეადგინა.

აბბა იოსებმა „დაუცხრომელითა სწავლითა თვეთა მრავალნი მოაქცივნა, ვიდრემდის ურნმუნოება სრულიად წარიდევნა და ღმრთისმსახურება ესრეთ პატიოსნად აღაორძინა“, შემდეგ მის ირგვლივ შეკრებილ ბერ-მონაზვნებსა და მონაფეებს წინამძღვარი დაუდგინა და მალევე აღესრულა. მონაფეებმა წმიდა იოსები დაასაფლავეს მის მიერ აშენებულ ალავერდის ტაძარში.



ალავერდის მონასტერი

ლირსი შიო მღვიმელი წარმოშობით ანტიოქიიდან იყო. მისმა მშობლებმა, ღმრთისმოსავმა დიდებულებმა, მშვენიერი განათლება მისცეს ერთადერთ შვილს. თავმდაბალ, კეთილსა და ღმრთისმოყვარე შიოს განსაკუთრებით უყვარდა საღმრთო წერილის კითხვა.

ოცი წლის შიომ გაიგო დიდი მოღვაწის, იოვანეს ამბავი, რომელიც თავის მონაფეებთან ერთად უდაბნოში ცხოვრობდა და მშობლებისგან ფარულად წავიდა მის სანახავად. იოანემ, რომელიც წინასწარჭვრეტის მადლით იყო დაჯილდოებული, სიხარულით მიიღო შიო და მონაფეებს უთხრა: „იყოს ჭაბუკი ესე შვილი ღმრთისა და მამა მრავალთა მონაზონთა, რამეთუ ღმერთსა გამოურჩევის“, შიოს კი იმ პირობით აღუთქვა მონაფეთა შორის ჩარიცხვა თუ იგი მშობლებისაგან ნებართას აიღებდა.

გავიდა ხანი. შიოს მშობლები მონასტერში წავიდნენ სამოღვაწეოდ.

შიომ გაყიდა საცხოვრებელი, გაათავისუფლა ყველა მონა და იოანესთან წავიდა. ღირსმა იოვანემ სიხარულით მიიღო შიო და მონაზვნად აღკვეცა.

საქართველოში ჩამოსულმა შიომ მცხეთის მახლობლად, სარკინეთის კლდეებში იპოვა მღვიმე და იქ დაიწყო მოღვაწეობა. მრავალი ნაკლულევანება და განსაცდელი გადაიტანა იქ მამა შიომ, მაგრამ ყველაფერი დაითმინა და ყველანაირ საცდურს სძლია. ღირს მამას ფრინველი უზიდავდა საზრდელს.

ერთხელ, მთელი ლამის მხურვალე ლოცვის შემდეგ, განთიადისას, მთელ ხევს საკვირველი ნათელი მოეფინა და შიოს ყოვლადნმიდა ღმრთისმშობელი გამოეცხადა იოვანე ნათლისმცემელთან ერთად. შემდგომ ამისა ღირსი შიო მეტი გულმოდგინებით მოღვაწეობდა იმ უკაცრიელ ხევში მარტოდმარტო. ერთხელ სარკინეთის მთებში სანალიროდ წავიდა ფარსმან მეფის სპასპეტი, ციხედიდის მთავარი ევაგრე, აქ მან ღირსი შიო გაიცნო და მასთან დარჩა სამოღვაწეოდ.

გამოჩენილი სპასპეტის უდაბნოში წასვლა მალე მთელმა ქართლმა გაიგო. შიოსთან და ევაგრესთან მრავალი მღლოცველი მიდიოდა. ბევრმა მათგანმა ღირს ევაგრეს მიბაძა და უდაბნოში დაიწყო მოღვაწეობა. ერთხელ შიო ლოცვად დადგა და ღმერთს შეევედრა, გამოეცხადებინა მისთვის ეკლესიის ასაშენებელი ადგილი. წმიდანმა საცეცხლურის ნაცვლად ხელის გულით აკმია საკმეველი. შემდეგ საკმევლის კვალს გაჰყვა და იქ, სადაც კვამლმა პირდაპირ ცისკენ აიწია, თავისი კვერთხით ეკლესიის ადგილი დასახა.

ფარსმან მეფე ევაგრეს სანახავად თვითონ წაბრძანდა შიოს უდაბნოში. მეფემ ისეთი საკვირველი მადლი იხილა შიოს სახეზე, რომ გვირგვინი მოიხადა და მის წინაშე დაიჩოქა. მამა შიომ აკურთხა მეფე ფარსმანი, წამოაყენა და თავისი ხელით დაადგა თავზე სამეფო გვირგვინი. მეფის მხლებლებმაც თავები სცეს მამა შიოს და მისგან კურთხევა მიიღეს. მათ შორის იყო ერთი დიდებული, რომელსაც მამა შიოსაგან კურთხევის მიღების შემდეგ ისრისაგან დაზიანებული თვალი მაშინვე აღეხილა.

ფარსმან მეფემ ღირს მამას ჰკითხა, თუ რა სჭირდებოდა უდაბნოსთვის. შიომ უპასუხა: „უფალო მეფე, გულნი მეფეთანი ხელთა შინა ღმრთისათა არიან, ვითარცა რა ჯერ გიჩნს, ჰყავ“. მეფემ




უდაბნოში ეკლესიის ასაშენებელად დიდძალი საფასე, ოთხი დაბა, ბარძიმ-ფეშუმი, ოქროს ჯვარი და მშვენივრად შემკობილი მეფე ვახტანგ გორგასლისეული სახარება შესწირა.

როცა ეკლესიის მშენებლობა დაასრულეს, ფარსმან მეფე უდაბნოში კათოლიკოსსა და ეპისკოპოსებთან ერთად ჩაბრძანდა. მოვიდა თვით იოვანე ზედაზნელიც და ახლად აგებული ტაძარი აკურთხეს. შემდგომ ამისა მეუდაბნოებმათა რიცხვმა ორიათას მიაღწია. შიოს სინმიდეს არა მხოლოდ ადამიანები სცემდნენ პატივს, არამედ მის წინაშე თვით ყველაზე საშიში მხეცებიც კი თვინიერდებოდნენ. შიო მღვიმელის ლოცვით მოშინაურდა მგელი, რომელიც შემდგომ ერთგულად იცავდა მონასტრის სახედრებს.

შიო მღვიმელმა გადაწყვიტა სრულ განმარტოებაში გაეტარებინა ცხოვრება. მან შეკრიბა მოწაფეები და წინამდლვრად დაუნიშნა ლირსი ევაგრე.

ლირსი შიო მის მიერვე გათხრილ მღვიმეში ჩავიდა და იქ მოღვაწეობდა თხუთმეტი წლის განმავლობაში. შიოს წინასწარ ეუწყა ღმრთისგან სიკვდილის მოახლოება, მიიღო წმიდა ზიარება და მშვიდად ჩააბარა უფალს სული სიტყვებით: „ჰოი, უფალო! ხელთა შენთა შევვედრებ სულსა ჩემსა“.

სპარსელების ერთ-ერთი შემოსევის დროს შაჰ-აბასის მხედრებმა შიო მღვიმელის წმიდა ძვლები ირანში წაიღეს. იმ წელს სპარსეთში საშინელი ჭირი გაჩნდა და უამრავი ადამიანი იმსხვერპლა. შეშინებულმა სპარსელებმა წმიდა ნაწილები კვლავ მონასტერში დააბრუნეს.




შიო მღვიმის მონასტერი

ნმიდა ესდროს (ისიდორე)
 სამთავნელი ჰერაპოლისში მაცხოვრის ხელთუქმნელი ხატის (კერამიონის) წინაშე მსახური მესაკმევლის შვილი იყო. იოვანე ზედაზნელის კურთხევით იგი დიდხანს ქადაგებდა ქართლში. შემდეგ რეხულას აღმოსავლეთით „მოახლოდ სოფლის ჭალისა“ დააარსა მაცხოვრის ხელთუქმნელი ხატის სახელობის სამთავისის მონასტერი, რომელიც თავისი მშვენიერებით „აქამომდე განაკვრებს“ მნახველს.

ღირსი ისიდორე სამთავნელი მშვიდობით აღესრულა, დასაფლავებულია მის მიერ დაარსებულ სამთავისის მონასტერში.

ნმიდა თადეოზ სტეფან-
ნმიდელი თავდაპირველად მცხე-
თაში მოღვაწეობდა. მან ზედაზნის მთის ძირას ააშენა მონასტერი. ნმიდა თადეოზს, თათესაც უწოდებდნენ, გვხვდება მისი სახელის განსხვავებული ფორმაცი — თათაზ.

იოვანე ზედაზნელის გარდაცვალების შემდეგ, მამა თადეოზმა მონასტერი ელია დიაკონს ჩააბარა, „თვთ აღილო ნმიდა ჯვარი და სახარება და



სამთავისი



ურბნისი

მოვლო ქადაგებითა მთისა სანახებნი, სადაცა აღაშენა მრავალნი ეკლესიანი.“ მათ შორის განსაკუთრებით გამოირჩევა სტეფანე პირველმონამის სახელობის ტაძარი ურბნისში.

დიდი ხნის მოლვანეობის შემდეგ თადეოზი დაეყუდა წლევის მთის მღვიმეში კასპთან. მალე წმიდანის ირგვლივ კვლავ შეიკრიბნენ მონაზვნობის მსურველი მოლვანები და იქაურობა განდეგილთა სენაკებით აღისა. წმიდა თადეოზმა მთის თხემზე „აღაშენა ეკლესია სახელსა ზედა წმიდა სტეფანესი.“


წმიდა თადეოზმა სიცოცხლის ბოლომდე „არა დაუტევა ქუაბი თვისი“ და იქვე აღესრულა მშვიდობით. თადეოზის მონაფეებმა წმიდანის გვამი დაკრძალეს მის მიერ აშენებულ მონასტერში.

უფალმა სიკვდილის შემდგომაც „ადიდა მოლვანე თვისი“ — თადეოზის საფლავთან უამრავი სასწაულები და კურნებები აღესრულებოდა, ხოლო „წმიდა ძვალნი მისნი წლითი-წლად აღმოვიდოდნენ საფლავითგან ეკლესიას ამას შინა, ვითარცა წმიდისა შიოსნი“.


წმიდა სტეფანე ხირსელი ქადაგებდა კახეთში. მან თავისი მოლვანეობის ადგილად შეარჩია ცივგომბორის ქედის მცირე ფერდი, რომელიც იმ დროს უსიერი ტყით იყო დაფარული, აქ მან მისი ზეციერი მფარველის, სტეფანე პირველმონამის სახელობის მცირე ეკლესია აღაშენა.

ზოგი მკვლევარის აზრით ხირსა წარმოდგება სიტყვა ლირ-სისაგან, ზოგიც კი მის მცირეაზიელ წარმოშობას მიუთითებს და ვარაუდობს რომ ამ ადგილს შეიძლება თვით წმიდა სტეფანემ უწოდა სახელი ხირსა, სამარიაში მდებარე ხირსის მიხედვით, რომელიც ძალიან ახლოს იყო სირიასთან.

წმიდა სტეფანე ხირსელი მშვიდობით აღესრულა. „წმიდა გვამი მისი, სავსე სასწაულითა“ დაკრძალულია ხირსაში, სტეფანე პირველმონამის სახელობის ტაძრის სამკვეთლოსთან.



ხირსა



წმიდა ზენონ იყალთოელი ქადაგებდა კახეთის მთიანეთში. იყალთოში წმიდა ზენონმა მონასტერი დააარსა, სადაც მრავალი ბერ-მონაზონი მოღვაწეობდა მისი ხელმძღვანელობით.

წმიდა ზენონი მშვიდობით აღესრულა, მასაც წინასწარ ეუწყა გარდაცვალების დღე და ლოცვით შეჰვედრა სული ღმერთს.

ზენონ იყალთოელის „მრავალ-მოღუაწე გუამი“ დაკრძალულია იყალთოს მაცხოვრის ხელთუ-ქმნელი ხატის სახელობის ტა-ძარში.

იყალთო

წმიდა პიროს ბრეთელი მოღვაწეობდა ზემო ქართლში. პიროსმა ამ „ღვთაებრივმან ხატმან სინანულისამან“, მდინარე ჯვარისწყლის მარცხენა სანაპიროზე, ბრეთში დააარსა მონასტერი.

ხანგრძლივი მოღვაწეობის შემდეგ პიროს ბრეთელმა მშვიდობით შეჰვედრა სული უფალს. პიროსის მონაფეებმა მისი გვამი ბრეთში, მის მიერ დაარსებულ მონასტერში დაკრძალეს.



ბრეთა

წმიდა მიქაელ ულუმბორელი „დაუძინებელი მუშაკი და დიდებული მოღვაწე ყანისა ქრისტესისა“ ქადაგებდა ზემო ქართლსა და ოსეთში. ულუმბოს მთის ახლოს მან დაარსა დიდი სავანე, სადაც სიცოცხლის ბოლომდე მოღვაწეობდა.


წმიდა მიქაელ ულუმბორელი მშვიდობით აღესრულა. მისი სასწაულთმოქმედი წმიდა ნაწილები დაკრძალულია ბრეთის მონასტერში.

წმიდა მამების ეს „კრებული უმანკოთა“, „ვითარცა ქვეყნის ანგელოზნი, ნათელნი სოფლისანი, ჭურნი სავსენი ნელ-საცხებელითა“ არიან საქართველოს ეკლესიის გამორჩეული მოღვაწენი. მათ „შეამკეს ეკლესია ჩვენი“ და საფუძველი ჩაუყარეს საქართველოში ბერ-მონაზოვნურ ცხოვრებას.



ულუმბო

ნეტარი ქრისტესია,
ქრისტეფორედ
წმიდაგული (+1771)
11 (24) მაისი



ნეტარი ქრისტესია, ქრისტეფორედ
წმიდაგული, წარმოშობით დასავლეთ
საქართველოდან, სამეგრელოდან იყო.
ქრისტესიას სიყრმიდანვე მონაზვნო-
ბის სურვილი ჰქონდა, მაგრამ ბატონის
იძულებით ცოლი მოიყვანა და ვაჟი-
შვილი შეეძინა. რამდენიმე ხნის შემ-
დეგ ქრისტესიას ცოლ-შვილი დაე-
ხოცა. ბატონს მეორეჯერ უნდოდა
მისი დაქორწინება, მოძღვარმა კი ურ-
ჩია, დაეტოვებინა მაცდური წუთი-
სოფელი და გარეჯის უდაბნოს შეჰ-
კედლებოდა.

სულიერი მოძღვრის სიტყვებით
ფრთაშესხმული ქრისტესია გარეჯში,
იოვანე ნათლისმცემლის უდაბნოში

წავიდა სამოღვაწეოდ. წმიდა ქრისტესიამ მრავალი წელი გაატარა
მორჩილებაში — წყალსა და ფიჩეს ეზიდებოდა მონასტერში. ქრისტესია მოხუცებული იყო, როცა მონაზვნად აღიკვეცა. მას
უწოდეს ქრისტეფორე.

იოვანე ნათლისმცემლის უდაბნოდან შვიდი კილომეტრის დაშორე-
ბით ნეტარ ქრისტეფორეს პატარა ქოხი ჰქონდა. იქვე იდგა ჭური,
რომელსაც ქრისტეფორე ყოველდღე ავსებდა წყლით. ზღურბლზე
ჩარექა იყო ჩამოკიდებული და მოგზაურნი ქრისტესია ბერის ჭურთან
იკლავდნენ წყურვილს. ნეტარ მამას პატარა ბოსტანიც ჰქონდა
გაშენებული მგზავრებისათვის.

ზოგიერთებს ქრისტეფორესათვის შესაწირავიც მიჰქონდა, რომ-
ლებსაც ნეტარი ქრისტეფორე მოწყალებად არიგებდა. მოყვასზე
თავდადებულ მსახურებასთან ერთად ქრისტეფორე განსაკუთრებით
ზრუნავდა მიცვალებულთა სულების მოსახსენიებლად. შემოწირული
თაფლით და ხორბლით იგი ყოველ შაბათს ამზადებდა კოლიოს მიცვა-
ლებულთათვის და ოლცულობდა მათი სულების საცხოვნებლად.

ქრისტეფორე ყოველნაირად ცდილობდა მშვიდობიან თანაცხვ-
რებაში დახმარებოდა მონასტრის ძმებს და სოფელში მცხოვრებ
ერისკაცებს. როგორც კი გაიგებდა სადმე ჩხუბის ან სიძულვილის
ამბავს, წავიდოდა მოშულლებთან და ტკბილი სიტყვებით შერი-

გებისკენ მოუწოდებდა: „შვილნო, უკეთუ არა ისმენთ ჩემსა, რომელიცა თქვენის მიზეზით მოვედი აქა, წარვალ მწუხარებით სავსე და განიხარებს ეშმაკი იგი, რომელსა არა ნებავს მშვიდობა კაცთა და მოაწევს უაღრესსა განსაცდელსა თქვენ ზედა და ვითარცა მოველ მშიერ, მშიერივე წარვალ თქვენგან“. მადლმოსილი ბერ-მონაზონის სიტყვები გულს უთბობდა მოჩხუბრებს და შერიგებას უადვილებდა.

ერთხელ, მამა ქრისტეფორე, მწუხრის ლოცვის შემდეგ მონასტრიდან სოფელში წავიდა რაღაც საქმეზე და გზაზე შემოაღამდა. ბნელი ლამე იყო, სიარული შეუძლებელი გახდა. წმიდა ქრისტესია გაჩერდა და ილოცა. მოუღლოდნელად მას გამოუჩნდა მანათობელი სფერო, რომელმაც გზა გაუნათა. შეშინებულმა ბერმა ნაპიჯი ვერ გადადგა, ლოცვით შეევედრა უფალს, განსაცდელი აერიდებინა მისთვის, შემდეგ პირჯვარი გადაისახა და გზას გაუყვა. ნათება წინ მიუძლოდა. ასე იარა მთელი ლამე, სანამ არ მიაღწია სოფელ სართიფალას.

ქრისტეფორეს სენაკი ვინწრო და უბადრუკი იყო, „მცირე, ვითარცა საფლავი, რომელსა შინა აქუნდა საწოლად ტახტი ერთისა ფიცრისა და საგებელად ტყავი ცხოვარისა, ერთი იგიცა ძველი, რომელი ვიდრე წელამდის კმა-ეყოფოდა, ოდეს დაწვებოდა და თავსა ქვეშე სასთუმალად ედვა ქვა დიდი და მას ზედა ნაგლეჯი ტყავისა ეფარა, რათა არავინ იხილოს“. თუ ვინმე ტანსაცმელს შესწირავდა, მონაზონი ქრისტესია მაშინვე გლახაკებს აძლევდა ყველაფერს, „თავის თავისათვის არარას ზრუნვიდა, საწუთოსათვის და ამაოსა, არამედ ყოველსავე იუნჯებდა მერმისსა მის საუკუნოისათვის“.

1771 წელს, ოთხმოცს გადაცილებული წმიდა ქრისტეფორე მშვიდობით აღესრულა თავის სენაკში. დაასაფლავეს ეკლესიის წინ, მამათა სასაფლაოზე.





ღირსი ეფთვიმე ათონელი დაიბადა 955 წელს. ეფთვიმეს მამა იყო საქართველოს მეფის, დავით კურაპალატის მხედართმთავარი, რომელიც ტაო-კლარჯეთში ოთხთა ეკლესიის ლავრაში მონაზვნად აღიკვეცა იოვანეს სახელით. მამა იოვანეს ცოლშეილი მოსავლელად სიმამრმა აბუჰარბმა და ცოლისძმებმა წაიყვანეს.

მამა იოვანე საქართველოდან ულუმბოს მთაზე წავიდა და ერთ მონასტერში ჯორთა მომვლელად დადგა. იმ დროს ბერძენთა იმპერატორმა საქართველოსა და საბერძნეთის სადაო ქართული ტერიტორიები — ზემო ქვეყნები დაუბრუნა დავით კურაპალატს, სამაგიეროდ კი, ერთგულების დასამტკიცებლად მძევლები მოსთხოვა.

მძევალთა შორის აღმოჩნდა იოვანეს მცირენლოვანი შვილი, ეფთვიმე.

ულუმბოს მთაზე მყოფმა იოვანემ გვიან გაიგო შვილის კონსტანტინოპოლში ყოფნის ამბავი, ეახლა ბერძენთა იმპერატორს და შვილი გამოსთხოვა, სიმამრს კი წყენით უთხრა: „რად არს ესე? ნუუკუ შვილ არა გესხნესა თქუენ? გარნა ესე ცხად არს, რომელ მათ სწყალობდით, ვითარცა თვითა შვილთა და ძე ჩემი, ვითარცა ობოლი, მძევლად გასწირეთ, გარნა უფალმან შეგინდვენ თქუენ“. იოანემ ეფთვიმე ულუმბოს მთაზე წაიყვანა.

ეფთვიმეს ქართული ენა სრულიად პქონდა დავინცებული და იოვანე ერთდროულად ასწავლიდა ეფთვიმეს ღმერთისა და სამშობლოს სიყვარულს. მალე მთელ ულუმბოს მონასტრებისა და მის შემოგარენისთვის ცნობილი გახდა ღირსი იოვანეს სახელი, მას „პატივსა უყოფდეს ბერძენი და ქართველი“. იოვანემ „კუალად უცხოებასავე მიჰმართა“ — თავის შვილთან ეფთვიმესთან და რამდენიმე მონაფესთან ერთად ათონის მთაზე წავიდა და ღირსი ათანასე ათონელის ლავრაში დაემკვიდრა.

მონასტერში ყმანვილი ეფთვიმე მძიმედ დაავადდა. იოვანემ ერთერთი მონაზონი გაგზავნა მღდელთან მომაკვდავი ეფთვიმეს საზიარებლად, თვითონ კი ეკლესიაში წავიდა და ყოვლადწმიდა ღმრთისმშობლის ხატის წინ დაემხო ლოცვად.


ეკლესიიდან სენაკში შებრუნებულ იოვანეს სასიკვდილო სარე-

ცელზე მწოლარე ყრმა ეფთვიმე სრულიად ჯანმრთელი დახვდა. ეფთვიმემ მამას მოუთხრო, რომ მასთან გამოცხადდა დიდებული დედოფალი და ქართულად ჰკითხა: „რად არს, რად გელმის, ეფთვმე?“ — „მოკვუდები, დედოფალო“, — უთქვამს ეფთვიმეს. მაშინ დედოფალს ხელი მოუხვევია მისთვის და უნუგეშებია: „არარა არს ვნება შენ თანა, ალდეგ, ნუ გეშინინ და ქართულად წსნილად უბნობდი“. ამ სასწაულებრივი განკურნების შემდეგ ეფთვიმეს ქართული „აღმოუდიოდა პირითგან, ვითარცა წყარო უნმიდეს ყოველ ქართველთასა“. იოვანემ შვილს აუხსნა, რასაც ნიშნავდა ეს ჩვენება: „შვილო ჩემო, ქართლისა ქუეყანად დიდად ნაკლულევან არს წიგნთაგან და მრავალნი წიგნი აკლან და ვხედავ, რომელ ღმერთსა მოუმადლებია შენდა. ან იღუანე, რათა განამრავლო სასყიდელი შენი ღმრთისაგან“.

წმიდა ეფთვიმე სიხარულით შეუდგა მამის ბრძანების შესრულებას და მალე ყველა გააკვირვა თავისი ღვანლით. ეფთვიმეს ცხოვრების აღმნერელი, გიორგი მთანმინდელი ორმოცდათზე მეტ თარგმანს ჩამოთვლის და დასძენს: „ესე ყოველი და ამათსა ფრიად უმრავლესნი წიგნი თარგმნა ღმერთშემოსილმან მამამან ჩუენმან და ესრეთ აღაორძინა მისდა რწმუნებული იგი ტალანტი“.

იოვანე მთანმიდელის გარდაცვალების შემდეგ ათონის ივერთა მონასტრის წინამძღვრად ეფთვიმე აირჩიეს. წინამძღვრობამ ეფთვიმეს უკვე სხვა საქმეებიც გამოუჩინა, ამიტომ მას წიგნებზე მუშაობა ძირითადად ღამით, სანთლის შუქზე უხდებოდა. იგი მოსვენების უფლებას არ აძლევდა ისედაც მკაცრი მარხვით დაუძლურებულ სხეულს.

ერთხელ მამა ეფთვიმეს სთხოვეს, როგორმე მოერჯულებინა ერთი ებრაელი, რომელიც ქრისტიანებს დასცინოდა. მამა ეფთვიმე გაესაუბრა ურიას და მშვიდად აუხსნა იესუ ქრისტეს ღმერთკაცობის შესახებ. ებრაელმა კვლავ ქრისტიანული სარწმუნოების გმობა დაინყო. მამა ეფთვიმემ შერისხა იგი და ღმრთისმგმობელი ურია დამუნჯდა. შემდეგ მამა ეფთვიმემ ილოცა, ჯვარი გადასახა დამუნჯებულ ებრაელს და კვლავ მეტყველება დაუბრუნა. სასწაულით



შეძრულმა ებრაელმა ირწმუნა ქრისტე და ნათელილო.

ფერისცვალების დღესასწაულზე, ათონის მთაზე სალოცავად ასულმა ხალხმა საკუთარი თვალით იხილა ცეცხლის ალში გახვეული მამა ეფთვიმე. ხალხი მუხლებზე დაემხო მის წინაშე, ეფთვიმემ კი დაამშვიდა ისინი: „ნუ გეშინინ, ძმანო, რამეთუ მოხედვად საღმრთო იქმნა და ქრისტემან თვისი დღესასწაული ადიდა“.

მამა ეფთვიმემ თავის მონასტერში მკაცრი და სამართლიანი წესი დაადგინა, რომლის აღსრულებაც ყველასთვის სავალდებულო იყო. წმიდათა მოშურნე ბელიარმა ვერ აიტანა მამა ეფთვიმესა და მისი მონასტრის ძმების ასეთი მოღვაწეობა და რაოდენ საოცარია, რომ ბოროტმა, წმიდა მთაზეც კი იპოვა მისი ნების შემსრულებელი და ორჯერ მკვლელი მიუგზავნა წმიდა ეფთვიმეს, მაგრამ ღმრთის განგებამ დაიცვა ეფვთიმეს სიცოცხლე და ორივეჯერ სასწაულებრივად გადაურჩა სიკვდილს.

წმიდა ეფთვიმე თოთხმეტი წელი ხელმძღვანელობდა ათონის ქართველთა მონასტერს, შემდეგ კი, რადგანაც სამწერლო საქმიანობისათვის დიდი დრო სჭირდებოდა, მამის, ლირსი იოანეს ანდერძისამებრ, წინამძღვრობა მამა გიორგი მაშენებელს (ხს. 28 ივლისს) გადააბარა, ხოლო თვითონ სენაკში ჩაიკეტა, რათა მთლიანად თარგმანებისათვის მიეყო ხელი.

წმინდა ეფთვიმე უდიდესი ავტორიტეტით სარგებლობდა როგორც ქართველთა, ისევე ბერძენთა შორის, „სიტყვა მისი ესრეთ შეიწყნა-რიან ვითარცა ქრისტესი“. საბერძნეთის იმპერატორ კონსტანტინესაც „დიდი სარწმუნოებაზ და სიყუარული ჰქონდა მისა მიმართ ლირსებისა მისისათვეს“. ასეთი ავტორიტეტის მიუხედავად ეფთვიმე უდიდეს თავმდაბლობასა და შრომისმოყვარეობას იჩენდა, თვითონ მონაწილეობდა ბალ-ვენახის დამუშავებაში. ეფთვიმე არაფერ საქმეს არ წყვეტყდა ერთპიროვნულად, ძმებს დაეთათბირებოდა და ყოველთვის ითვალისწინებდა მათ აზრს.

ეფთვიმეს კვიპროსის მთავარეპისკოპოსობა შესთავაზეს, რაზეც მან თავმდაბლად თქვა უარი და მონასტრის საძმოს სიყვარული და თანადგომა გამოხატა.

1028 წელს საბერძნეთის იმპერატორმა ეფთვიმე ათონელი კონსტანტინეპოლში მიიწვია, ათონის მთაზე მიმდინარე მოვლენების შესახებ სასაუბროდ. ღმრთის განგებით ეფთვიმეს განეცხადა, რომ მონასტერში ცოცხალი ველარ დაბრუნდებოდა. მან შეკრიბა ძმები, ტრაპეზი განუმზადა და სთხოვა, ელოცათ მისთვის. შემდეგ ეფთვიმე თავის მეგობართან, თეოფანე ხუცესთან წავიდა, რომელთანაც სიყრმიდან იყო შეზრდილი და დიდი სიყვარული ჰქონდა. დამშვიდობებისას თეოფანე ხუცესი მოეხვია წმიდა ეფთვიმეს და

ცრემლით უთხრა: „ვადმე უბადრუკსა, რამეთუ არღარა ოდეს გიხილო
შენ ხორციელად, ჰოი, წმიდაო მამაო!“ ლირსმა ეფთვიმემ დაუდას-
ტურა წინასწართქმული.

ეფთვიმე დიდი პატივით მიიღო იმპერატორმა. შემდეგ მამა
ეფთვიმემ მხატვართან მიბარებული ხატის სანახავად წასვლა გადა-
წყიოთა. მოწაფემ ახლად ნაყიდი ჯორი შეუკაზმა
მამა ეფთვიმეს.

გზაზე ეფთვიმეს შა-
ვით შემოსილი გლახაკი
გადაუდგა და მოწყალე-
ბა სთხოვა. ეფთვიმემ
ჯიბისკენ წაიღო ხელი
გლახაკის დასახმარებ-
ლად. ჩამოძონძილი გლა-
ხაკის დანახვაზე ჯორი,
რომელიც ავზნიანი აღ-
მოჩნდა, შეშინდა, გაიქცა
და წმიდა ეფთვიმე ძირს
ჩამოაგდო.



სიყრმითგანვე მრავალ განსაცდელსა და ხიფათს სასწაულებრივად
გადარჩენილი „ანგელოზთა მობაძავი“ წმიდა ეფთვიმე გარდაიცვალა
— „წარვიდა წინაშე ღმრთისა ნათელსა მას მიუაჩრდილებელსა,
ყოველთა თანა წმიდათა, რომელნი საუკუნითგან სათხო ეყვნეს
ღმერთსა“.

წმიდა ეფთვიმე დაკრძალეს ათონის მთაზე „სამარხოსა ლუსკუმასა
ტაძარსა შინა წმიდისა იოვანე ნათლისმცემლისასა“.

მონახენი მაარი — ათონის ივერთა
მონასტერში ლათინოაგან მოცყვეფილი (XIII)

13 (26) მაისი



ქართველი ბერ-მონაზონები ათონის მთაზე მეათე საუკუნის ორმოცდა-ათიანი წლებიდან იწყებენ დასახლებას და სულ მაღვი იქ ყალიბდება ივერონად წოდებული ერთ-ერთი უდიდესი მონასტერი.

ათონის მთას ხშირად თავს ესხმო-დნენ და არბევდნენ გარეშე მჭრები, მეთორმეტე საუკუნეში კი იგი ჯვარო-სანთა სათარეშო ასპარეზად იქცა.


პაპისტმა მხედრებმა 1259-1306 წლე-ბში რამდენჯერმე მოაოხრეს იქაურობა. მართლმადიდებლური მრნამსის ერ-თგულებისათვის მხეცურად ამონყვი-ტეს ზოგრაფის, ვათოპედის, პროტატის და სხვა სავანეთა ბერ-მონაზვნები... მათ რისხვას ვერც ივერთა მონასტერი

გადაურჩა. იმ დროს ათონის ქართველთა მონასტერში ერთად მოღვაწეობდნენ ქართველი და ბერძენი მამები და საქართველოდან ივერონში მრავლად მიდიოდა ქართველ ბერმონაზონთა ახალი თაობა.

მხედრებმა ივერონელ ბერ-მონაზვნებს ლათინური სარწმუნოების მიღება და პაპის უზენაესობის აღიარება მოსთხოვეს, მამებმა კი საპა-სუხოდ უშიშრად ამხილეს პაპისტთა ცომილება და მომხდურები ერესის ქადაგებისთვის ანათემას გადასცეს.

ათონური პატერიკი გვაუწყებს, პაპისტებმა ივერონელი მამები ძალით გამოყარეს სავანიდან, მათგან უხუცესნი, ორასამდე მონაზონ-ნი, მონასტრის გემზე აიყვანეს და ზღვაში ჩაძირეს. უფრო ახალგაზრდა და ჯან-ლონით სავსე მონაზვნები კი, რომელთა უმეტესობაც ქართველი იყო, სამონასტრო ქონებასთან ერთად იტალიაში გაზიარებს და იუდეველებს მიჰყიდეს მონებად.

ეს ამბავი ივერთა ლავრაში, ერთი ცნობით, 1259 წელს მომხდარა, სხვა წყაროების მოწმობით კი — სავარაუდოდ, 1276-1280 წლებში.



მონაშენი: დავითი და ფირიფანი და ბერები მათი თაგინე სამხრეთ საქართველოში, ბასიანში ცხოვრობდნენ. თაგინეს მეუღლე იყო ვარდან ერისთავი. ვარდანი და თაგინე ქართველ მეფეთა ნათესავნი იყვნენ, და შესაბამისად დიდად პატივდებული და მდიდარნი.

ვარდან ერისთავი დავითისა და ტირიჭანის სირყმეში გარდაიცვალა. მისი მამული მიიტაცა თაგინეს წარმართმა ძმამ, თევდოსიმ, თუმცა გულში შიშიც ჰქონდა, ყრმები გაიზრდებიან და მიტაცებულს უკან წამარ-

თმევენო. თევდოსიმ ცბიერებით მიმართა თაგინეს: „დაუტევეთ შჯული ეგე ჯუარცმულისაა და იპყარით შჯული ჩემი შენ და შვილთა შენთა და იყვნენ ყრმანი ეგე შვილად ჩემდა და მე გავზარდნე იგინი შუებითა და სიხარულითა დიდითა“. თაგინე მტკიცედ ალუდგა წინ ძმის ბოროტ განზრახვას: „სამკვიდრებელი ესე შვილთა ჩემთაა და ყოველი მონაგები მამისა მათისაა კმა ეყავნ შენდა, ხოლო საფასე იგი გამოუპარველი და სამკვდრებელი მიუღებელი მამისა მიერ ზეცათადა და ღმრთისაა ვერ შემიძლოთ“.

თევდოსიმ დედის დაუკითხავად იხმო დისწულები და უთხრა: „თქუენ ან შვილნი ჩემნი ხართ, დლეს მე ვითარცა მამაჲ თქუენი და ან ჩემიცა თქუენი არს. ესე ხოლო ყავთ ჩემდა მომართ და რომელი გრქუა თქუენ, ისმინოთ ჩემი, ვითარცა შვილთა მორჩილთა საყუარელთა. შჯული ეგე, რომელი ეპყრა მამასა თქუენსა, განუტევეთ და მე უკეთესი შჯული მოგცე თქუენ“. წმიდა ყრმებმა მცირეოდენი დუმილის შემდეგ მტკიცედ მიუგეს ბიძას: „ჩუენდა კმა-არს შჯული იგი, რომელი ეპყრა მამასა ჩუენსა და ვჰგიეთ მას, ვიდრე სული ესე იყოს-ლა ხორცთა შინა ჩუენთა. ხოლო სიყუარულისათვს და მოთმინებისა ღმრთისა სხუად თვინიერ შჯულისა დატევებისა, განმზადებულ ვართ, ვითარცა მამისა ჩუენისა“.

თევდოსი იმდენად განარისხა დავითისა და ტირიჭანის სიმტკიცემ,

რომ გადაწყვიტა ფარულად მოეკლა დისშვილები. თაგინემ კარგად იცოდა მისი ძმის ფიცხი ხასიათი, იგრძნო მოსალოდნელი უბედურება და შვილებთან ერთად ტაოში გადავიდა საცხოვრებლად ნათესავთან.

თევდოსის მრისხანება და სიძულვილი უღრღნიდა გულს. მან მსტოვრებისაგან გაიგო, რომ ძმები მაღალ მთაზე აძოვებდნენ ცხვარს, ნამოიყვანა მეომრები და ტყეში ჩაუსაფრდა დავითსა და ტირიჭანს.

მთის ფერდობზე მოთამაშე ძმებმა ხმაური გაიგონეს, შემდგომ შეიარაღებულ მეომრებში, დავითმა ბიძა იცნო და სიხარულით გაექანა მისკენ. უკეთურმა თევდოსიმ ამბორისყოფის ნილ მახვილი უგმირა დისწულს და „პოვა მან მსწრაფლ გზაზ ზეცისაჲ და მოიგო გვირგვინი იგი მოწამებისა“. დავითის ხელიდან გავარდნილი კომბალი განედლდა და ხედ იქცა. ორასი წლის შემდეგ მლოცველებმა ის ხე წმიდა ნაწილებად დაინანილეს.

სოფელ დივრისკენ გაქცეულ ტირიჭანს მეომრები დაედევნენ, სოფელთან ახლოს უღმრთოდ მოკლეს და უკან გაბრუნდნენ. მეომრების უეცარი გამოჩენის გამო საბრძოლველად გამზადებული დივრელები გააოცა მეომრების უკან დაბრუნებამ. დივრელები მივიდნენ იმ ადგილას, საიდანაც მეომრები უკუიქცნენ და ნახეს სისხლისაგან დაცლილი ტირიჭანი.

თევდოსი, რომელიც ტყეში ელოდა ტირიჭანის მოსაკლავად გაგზავნილ მეომრებს უეცრად დაბრმავდა. სოფლელებმა ტყეში იპოვეს მახვილით მოკლული დავითი და იქვე მყოფი დაბრმავებული თევდოსი.

თაგინე ერთდროულად გოდებდა შვილების სიკვდილსა და ძმის საშინელ საქციელს: „რად მიმიხუენ ნათელნი თუალთა ჩემთანი? არა კმა-იყოა გლოვად ჩემდა სიქურივე ესე ჩემი? არა კმა გეყოა სამკვიდრებელი შვილთა ჩემთა და ყოფად ჩემი წყუდიადსა ამას ქუეყანისასა? ვერ კმა-გეყოა სამკვიდრებელი ქმრისა ჩემისად? რად დამიბნელე მზე ჩემი უამსა ოდენ პირველსა დღლისასა? ვიდრემდის არა დასცხერი დევნად ჩემდა? არღარა მოიხსენეა საშოء იგი მშობელისა შენისა და ჩემისად და ძუძუნი იგი, რომელთა გამოგუზარდნეს შენ და მე? რად დამიგვსენ სანთელნი ესე ჩემნი, ჰოი, უშჯულოო?“ — მოთქვამდა იგი.

ღმერთის მიერ სასჯელად მოვლინებულმა სიბრმავემ და თაგინეს



მწუხარებამ სულიერი თვალები აუხილა ბოროტისაგან გონდაბნელებულ თევდოსის და ცრემლებით თხოვა თაგინეს პატიება: „შენ ნათელი გამოგიბრნებული ნათლისა მისგან ნარუვალისა და ჭეშმარიტისა მისგან დაუსრულებელისა ნათლისა... ევედრე შენ წმიდათა მოწამეთა, რათა ყონ ჩემთვს წყალობად, რათა არა ღირსი ესე ვიქმნე ღირს ბეჭედსა მას ქრისტეს მოწყალისა ღმრთისასა, რომელი იგი მოვიდა ცოდვილთათვის. მოწამეს მე ჭეშმარიტი ღმერთი“.

თაგინემ ქრისტიანული დიდსულოვნებით შეუნდო ძმას: „იყავნ ღმერთი მიმტევებელ შენდა და ნუ შეგირაცხოს შენ უფალმან მოწყალემან სიკუდილი შვილთა ჩემთად და დისწულთა შენთად, ვითარცა იგი ოდესმე პავლეს დისწული მისი სტეფანე პირველდიაკონი და პირველმოწამე“, შემდეგ უფალს შეევედრა, კურნება მიენიჭებინა თევდოსისათვის, აიღო წმიდა დავითის სისხლით გაჟღენთილი მიწა, თვალებზე სცხო ძმას და მხედველობა დაუბრუნა.

კაცთმოყვარე ღმერთმა ჯერ-იჩინა ყველასათვის ეუწყებინა ძმათა სიწმიდე და მოწამეობა — ღამით მათ ცხედრებს ნათელი დაადგა.

თევდოსიმ ირნმუნა უფალი იესუ ქრისტე, მოინათლა და შემდგომ ეკლესია აღაშენა წმიდა დავითის სახელზე. მოწამე ტირიჭანის ნაწილები კი, დივრის მთავარმა წაასვენა.

ნეტარი თაგინე სოფელ ტაძარანში წავიდა და იქ მოღვაწეობდა სიცოცხლის ბოლომდე.

წმიდა დავითმა და ტირიჭანმა 693 წელს მიიღეს მოწამებრივი ალსასრული, თაგინე კი მშვიდობით აღესრულა მეათე საუკუნის დასაწყისში.

მიქაელ მოდრეკილის კანონში მოიხსენიებიან „დავით და ტირიჭან დედითურთ“. საგალობელი დავითისა და ტირიჭანისა მოთავსებული ყოფილა მიქაელ მოდრეკილის კრებულში, რომელსაც სამწხაროდ ჩვენამდე არ მოუღწევია.



ღირსნი: ზაბილონი და სოსანა,
მოციქულთასწორი ნინოს მშობლები (IV)
20 (2.06) მაისი



ღირსნი: ზაბილონი და სოსანა იყვნენ
მოციქულთასწორ ნინოს მშობლები. ზაბი-
ლონი დაიბადა 280 წლის ახლო ხანებში,
კაბადოკის ქალაქ კოლსტრაში. 305 წლის
შემდგომ ხანებში, ზაბილონი „კაცი იგი
მთავართა შესაბამი და მონა ღმრთისა“
რომში წავიდა „წინაშე მეფისა მსახურებად
და ნიჭისა მიღებად მისგან“.

ზაბილონმა მეფის არმიაში დაიწყო სამ-
სახური, იმ დროს რომი ბრძოლებს ანარ-
მოებდა ბრანჯთა (ფრანგთა) ტომებთან.
ბრძოლაში განსაკუთრებული სიმამაცე
გამოიჩინა ზაბილონმა და „მისცა უფალმან
ძალი ზაბილონს, ჭაბუკსა მის კაბადუკიელ-
სა, უძლეველი, და ქმნა წინააღმდეგომა, მტერთა მიმართ უზომოთა, და
აოგნა ბრანჯნი, და შეიპყრა მეფე ბრანჯთა და ყოველნი იგი მთავანი
მათნი, და მიიყვანა იგი წინაშე მეფისა. ხოლო მეფემან განაწესა
სიკუდილი მათი“ შეშინებულმა ტყვეებმა ტირილით ითხოვეს ქრის-
ტიანობის მიღება: „მოგვეც პირველად სჯული თქვენი და შეგვყვანენ
ტაძარსა ღმრთისა თქუენისასა“. ზაბილონმა მეფეს და პატრიარქს
აუყავა ტყვეების უკანასკნელი სურვილი. ტყვეებს „მოსცეს ნათელი
წელსა ქუეშე ზაბილონისასა. და შეიყვანეს ტაძარსა შინა ღმრთისასა და
აზიარნესს წმიდათა საიდუმლოთა“.

„სამკვდროდ შეკაზმული“ ახალნათელლებული ტყვეები, მეფემ
ზაბილონს უბოძა. ზაბილონმა კი ყველა მათგანს თავისუფლება
მიანიჭა. განთავისუფლებულმა ტყვეებმა ზაბილონს თხოვეს „რათა
წარყვეს ქუეყანასა მათსა და მისცეს სჯული ქრისტესი, ნათლისღება
წყლითა ყოველსა ერსა მათსა“. ზაბილონმა პატრიარქს თხოვა
მღდელთა წაყვანა და მეფისაგანაც გამოითხოვა ნებართვა.

ბრანჯთა მეფისა და მთავრების უვნებლად სამშობლოში დაბრუ-
ნებით გახარებულმა ხალხმა სიხარულით შეიწყნარეს წმიდა ზა-
ბილონი. ათმა საერისთაომ ქრისტიანობის მიღების სურვილი გამო-
თქვა. „და დასდებდა ზაბილონ წელსა თვესა ყოველსა მას ერსა“. ათი
დღე დაჰყო ზაბილონმა ბრანჯთა ქვეყანაში „დაუტევნა მღდელნი და
განაწესსა ყოველი წესი ქრისტიანისა“.

ზაბილონი დიდალი საგანძურით დაბრუნდა რომში, სადაც მას

პრეცინვალე საერო კარიერა ელოდებოდა, მაგრამ ზაბილონმა მთელი მისი საგანძური იერუსალიმში წაიღო „ადგილთა ღმრთისათა“ სამსხვერპლოდ. იერუსალიმში მან მთელი ქონება გლახაკებს დაურიგა. იქ ზაბულონი შეხვდა იერუსალიმის პატრიარქს იობენალს. იობენალი წარმოშობით ზაბილონის ქალაქიდან იყო, რომელიც დაობლების შემდეგ მის დასთან სოსანასთან ერთად იერუსალიმში ცხოვრობდა, „და ფრიად დაიმეგობრნეს ურთიერთას ზაბილონ და პატრიარქი იგი“. პატრიარქ იობენალის მსახურმა ქალმა, სარა ნიფორმა პატრიარქს ურჩია: „ესე ზაბილონ, მამა და ემბაზი ბრანჯთა, კაცი სრული ღმრთისმოშიშობითა და სიბრძნითა არს ყოვლადვე: მიეც უკუე და შენი სოსანა ცოლად მისდა“, იობენალს მოენონა სარას განზრახვა და „მისცა სოსანა ცოლად ზაბილონს“. ბედნიერი ცოლ-ქმარი სამშობლოში, კაბადუკის ქალაქ კოლასტრაში წავიდნენ საცხოვრებლად, სადაც მათ შეეძინათ ერთადერთი ასული ნინო — „მოძვარი ქართლისა“.

როდესაც ნინო თორმეტი წლის გახდა, ზაბილონმა და სოსანამ ყველაფერი გაყიდეს, იერუსალიმში წავიდნენ და მთელი მონაგები გლახაკებს დაურიგეს. ზაბილონმა პატრიარქისაგან კურთხევა მიიღო განდეგილ ცხოვრებაზე, გამოემშვიდობა მეუღლეს „და შეიტკბო მკერდსა თვისა ასული თვისი წმიდა ესე ნინო, და დაყარნა, ვითარცა წყარონი, ცრემლნი თუალთაგან პირსა მისსა და ჰრეზუა: „შენ მხოლო ასულო ჩემო ესერა დაგიტეობ იბლად ჩემგან და მიგათუალავ შენ მამასა ზეცათასა და ყოველთა მზრდელსა ღმერთსა, რამეთუ იგი არს მამა ობოლთა და მსაჯული ქურივთა. ხოლო შენ მარიამ მაგდანელისა შური აღიღე ქრისტეს სიყუარულისათვს და დათა მათ ლაზარესთა და უკუეთუ შენ ეგრეთ შეიყვარო იგი, ვითარცა მათ შეიყვარეს, მან ეგრეთვე მოგცეს შენ ყოველივე, რაცა ითხოვო მისგან“. ხოლო ესე რა თქვა, დაუტევა ამბორს-ყოფასაუკუნო და წარვიდა წიაღ იორდანესა კაცთა მათ თანა ველურთა, სადა იგი ყოფა მისი უნყის ღმერთმან, ყოვლისა მეცნიერად დამბადებელმან. სოსანა — „დედა იგი წმიდა ნინოსი მისცა პატრიარქმან მსახურად გლახაკთა დედათა და უძლურთა“.

მეთერთმეტე საუკუნის უცნობი ქართველი ჰიმნოგრაფი წერს: „ზაბილონ მამამან მისმან ფრანგნი უკუე მოაქცივნა მახვილითა, ხოლო ნეტარმან ნინო მოაქცივნა ქართველნი, ჯვარითა ცხოველითა“.





შემწყნარებელი და შეცოდებულთა სამართლიანად მწვრთნელი.“

დემეტრე აქტიურად ედგა მამას მხარში და მისი კურთხევით დამოუკიდებელ ბრძოლებსაც ანარმოებდა ქვეყნის განსათავისუფლებლად. 1117 წელს დავით აღმაშენებელმა „ნარგზავნა ძე თვისი დემეტრე შირვანს სპითა ძლიერითა ლაშქრად. ხოლომან ქმნნა ომნი საკვირველნი, რომლითა განაკვრვნა მხილველნი და მსმენელნი“, აიღო ქალაძმორის ციხე და ურიცხვი ტყვითა და ალაფით დაბრუნდა.

დავით აღმაშენებელმა 1125 წელს თვითონ დასვა სამეფო ტახტზე დემეტრე, „და დაადგა თავსა მშუენიერსა გვრგვნი ქვათაგან პატიოსანთა... და შეარტყა წელთა ძლიერთა მახვლი... და შემოსა პორფირი მკლავთა ლომებრთა და ტანსა ახოვანსა და დაულოცა ცხორებად ნარმართებული და განგრძნობა დღეთა ბედნიერობით“.

დემეტრე მხნედ შეუდგა საქართველოს საზღვრების დაცვას, თანაც ცდილობდა, გაეფართოებინა სამეფო. დემეტრეს მეფობის დროს ალორძინდა ჰერეთი, სომხითი, ტაშირი, ჯავახეთი, არტაანი და ტაო, რომელნიც მას შემდეგ, რაც დავით აღმაშენებელმა ტფილისი აიღო და ჰერეთ-კახეთი შემოიერთა, თითქმის უკაცრიელი იყო.

1138-1139 წლებში დემეტრე მეფემ ქალაქ განძის (განჯა) წინააღმდეგ გაილაშქრა და იქიდან ძლევამოსილი დაბრუნდა საქართველოში. დემეტრემ განჯიდან კარები წამოიღო, რომელიც დღემდე გელათის მონასტერში ინახება და ზედ ამ ამბის დამამტკიცებელი ძლიერ დაზიანებული ქართული ნარნერა აქვს. დემეტრემ დაასრულა დავით აღმაშენებლის მიერ დაწყებული გელათის ტაძარი.

მეფე დემეტრეს სამი შვილი ჰყავდა: დავითი, გიორგი და რუსუდანი. ურჩმა ფეოდალებმა მოახერხეს დავითის გადაბირება და 1150 წელს იმის შიშით, რომ დემეტრეს გიორგი არ დაესვა სამეფო ტახტზე, შეთქმულება მოაწყვეს მეფის ნინააღმდეგ. დემეტრემ შეიპყრო შეთქმულების მოთავეები და სასტიკად დასაჯა.

1155 წელს დავითმა კვლავ მოაწყო შეთქმულება. შვილის საქციელით გულგატეხილმა მეფე დემეტრე, მონაზვნად აღიკვეცა დამიანეს სახელით და გარეჯის უდაბნოში დაეყუდა. სამეფო ტახტზე კი დავითი ავიდა, რომელმაც მხოლოდ ექვს თვეს იმეფა და გარდაიცვალა.

სამეფოს ინტერესების დასაცავად დემეტრე კვლავ ავიდა სამეფო ტახტზე და თანამმართველად გიორგი გამოაცხადა.

ლირსი დამიანე შესანიშნავი ჰიმნოგრაფი იყო. ჩევნამდე მოღწეული იამბიკოებიდან განსაკუთრებით ცნობილია ღმრთისმშობლის საგალობელი: „შენ ხარ ვენახი“.


ანტონ კათოლიკოსის თქმით, დემეტრე იყო „გამომთქმელი სტიხთა მაღალ შაირთა, რომელიც დღესაც ჩანან აღწერილად“. იოანე

ბატონიშვილი კი წერს, რომ „ის იყო მშვენიერი რიტორი, პიტიკოსი და შემთხვეველი უცხოთ შაირთა, რომელმანც მრავალი სწავლანი გამოთქვა“.

ლირსი დამიანე გარდაიცვალა 1157 წელს ბელტის ციხე-სიმაგრეში. დასაფლავებულია გელათის მონასტერში.

დემეტრეს ფრესკა დავით გარეჯის მონასტრის კედელზე ყოფილა გამოსატული ჯერ კიდევ მეცხრამეტე საუკუნემდე. მაცხვარიშის (ლატალი) ეკლესიის მხატვრობაშ შემოგვინახა დემეტრეს მეფედ კურთხევის ფრესკა.

ზოგიერთი წყარო ლირს დამიანეს, მეფეყოფილ დემეტრეს, დანიილად იხსენიებს.



დემეტრეს მეფედ კურთხევა.
მაცხვარიშის ეკლესიის ფრესკა



ღირსი მიქელ პარეხელი წარმოშობით შავ-შელი იყო, სოფელ ნორგიალიდან. იგი მიძნა-ძორის მონასტერში აღიკვეცა მონაზვნად და იქ დაიწყო მოღვაწეობა.


ღირსმა მიქელმა გაიგო ხანძთაში მოღვაწე ბერ-მონაზონთა შესახებ, იქ ჩავიდა, პარეხის მონასტერში დაემკვიდრა და კაცთაგან მიუ-ვალ, კლდოვან ადგილას მცირე ეკვდერი და ძმათა საცხოვრისი ააშენა. მიქელს მრავალი მოწაფე ჰყავდა, „სრულნი და ბრწყინვალენი სათნოებითა“. უფალს სათნოეულ ნეტარი მიქელის მოღვაწეობა და მიჰმადლა მას ნიჭი „სასწაულთა და ნიშთა ქმედებისა“. ღირსი მიქელ პარეხელის კურთხევით დაარსდა ზარ-ზმის მონასტერი.

ღირსი მიქელი ხშირად გადიოდა მონას-ტრის ახლომდებარე კლდის ქიმზე და იქ ლო-ცულობდა მყუდროებაში. ერთხელ ლოცვის დროს მიქელი კლდიდან გადმოვარდა, მაგრამ ღმრთის განგებით ცოცხალი გადარჩა. მიქელმა მოწაფე გაგზავნა ღირს გრიგოლ ხანძთელთან და აუწყა მისი განსაც-დელი. ღირსმა გრიგოლმა ინახულა მიქელი, ნუგემი-სცა, ორი ჯვარი აღმართა მისი სენაკის მარჯვნივ და მარცხნივ და უთხრა: „ორთა ამათ ჯუართა ქრისტესთა შუა უმიშად იყავ შენევნითა წმიდისა სამებისადთა და ძალითა პატიოსნისა ჯუარისადთა. ხოლო უკუეთუ წარპელო, კუა-ლად განიცადო უძრესად პირველისა“.

ღირსი მიქელი აღესრულა ღრმა მო-სუცებულობაში, დაასაფლავეს მის მი-ერ დაარსებულ სავანეში. მიქელ პარე-ხელის ცხოვრება და სწავლებანი მისი გარდაცვალების შემდეგ დაუწერიათ, მაგრამ სამწუხაროდ ამ თხზულებას ჩვენამდე არ მოუღწევია.

ცნობები მიქელ პარეხელის შესახებ შემონახულია გრიგოლ ხანძთელისა და სერაპიონ ზარზმელის ცხოვრებაში, სადაც ღირსი მიქელი მოხსენიებულია როგორც „დიდი მეუდაბნოე“.





ღირსი პასილი დაიბადა მეათე საუკუნის ბოლოს, იგი იყო გაერთიანებული საქართველოს „დიდი მეფის“ ბაგრატ მესამის ძე.

ბასილმა ბაგრატიონთა სამეფო გვარის შესაბამისად უმაღლესი საერო და სასულიერო განათლება მიიღო. შემდეგ კი ხახულის მონასტერში წავიდა სამოღვანეოდ და მონაზვნად აღიკვეცა.

ღირსი ბასილი ხელმძღვანელობდა ხახულის მონასტერში ფართოდ გაშლილ ლიტერატურულ და საგანმანათლებლო საქმიანობას.

იოვანე ბატონიშვილი „კალმასობა“-ში ასე ახასიათებს მას: „ბასილი ბაგრატიონი იყო საფილოსოფოსთა და ღმრთისმეტყველებასა შინა ზედმიწევნილი, მთარგმნელი სხვათა ენათაგან კეთილი და რიტორმითხრობელი და მაღალ ფრასასა ზედა დამთხველი, მონოზონებითა სრული და განმანათლებელი ეკლესიათა, რომელსა უწოდეს ქართველთა ეკლესიათა სამკაულად“.

ხახულის მონასტერში აღსაზრდელად მიყვანილი ათი წლის გიორგი მთაწმინდელი, კურთხევის მისაღებად მიჰვარეს ხახულის მაშინდელ წინამძღვარს, ღირს მაკარის და იქაურ მოღვაწეებს: ღმერთშემოსილ ანგონის და „დიდსა მას ბასილის, ბაგრატ მესამის ძესა, რომელი-იგი მას ჟამსა შინა იყო მოძღუარი და განმანათლებელი ქუეყანისა ჩუენისაა...“


შემდგომ ღირსი ბასილი ათონის სავანეში გადასულა და აქ დაუწერია „გალობანი წმიდისა მამისა ეფთვესნი“.

ღირსი ბასილი ქართველი, მეფე ბაგრატის-ძე, მშვიდობით აღესრულა მეთერთმეტე საუკუნის პირველ ნახევარში.

0360სი

- 1 (14) — გარეჯელნი ღირსმონამენი: მღდელმონაზონი
შიო ახალი, დავით მწირი, გაბრიელი, პავლე და
გაბრიელი (+1696-1700);
- 8 (21) — ღირსმონამე თევდორე მღდელი (+1609);
- 9 (22) — ღირსი იოვანე შავთელი (XIII);
(იხ. 1(14) აპრილს).
- 12 (25) — ღირსი ისიდორე სამთავნელი (VI), (იხ. 7(20) მაისი);
— ღირსი იოვანე - თორნიკე მთაწმიდელი,
სვინგელოზი (X);
- 13 (26) — ღირსმონამე ანთიმ ივერიელი (+1716);
- 16 (29) — ღირსმონამე ქაიხოსრო ქართველი
(ჩოლოყაშვილი) (+1612);
- 17 (30) — მონამე შალვა ახალციხელი (+1227);
- 18 (1.07) — ღირსი მიქაელ ულუმბოელი (VI), (იხ. 7(20) მაისი);
- 21 (4.07) — მონამენი საქართველოს მეფენი:
არჩილი (+644) და ლუარსაბი (+1622);
- 27 (10.07) — ღირსი გიორგი მთაწმიდელი (+1065);
— ღირსმონამე ლუკა იერუსალიმელი (მუხაის ძე,
აბაშიძე) (+1273) (იხ. 12(25) თებერვალს).
— ღირსმონამე კირიონი – სრულიად საქართველოს
კათოლიკოს-პატრიარქი (+1918);
- 30 (13.07) — წმიდა დინარ დედოფალი (X);

გარეჯელნი ღირსმონამენი:
მღველმონაზონი შიო ახალი, დავით მცირი,
გაპრიელი, კავლე და გაპრიელი (+1700)
1 (14) ივნისი



თბილისის ერთ-ერთი უბანი) იყო. მისი მშობლები, პაპუნა და თამარი, იმ მხარეში სიმდიდრით იყვნენ ცნობილნი. მათ რვა შვილი — ხუთი ვაჟი და სამი ქალიშვილი ჰყავდათ.

ღირსმა შიომ შეირთო მეუღლე და ვაჟიშვილიც შეეძინა, მაგრამ მოულოდნელად მეუღლე გარდაცვალა და მარტომ იტენდა შვილის აღზრდა. მეუღლის გარდაცვალებით გამოწვეულ მწუხარებას თან დაერთო მეორე უბედურება — შიოს ძმებს ჩხუბი მოუვიდათ, უშვერი სიტყვებით გალანძლეს ერთმანეთი, შემდეგ კი უფროსმა დანით მოკლა უმცროსი. როცა ეს ამბავი ნეტარმა შიომ გაიგო, მწუხარებით აღვსილმა, გადაწყვიტა, გასცლოდა მაცდურ წუთისოფელს, რომლის სიყვარულმა შეიძლება ძმას ძმა მოაკვლევინოს. — „აღარა მნებავს ყოფა სოფელსა ამას შინა“, — გაანდო მან მოძღვარს გულისნადები. მოძღვარმა მონასტერში წასვლა და მონაზვნად აღკვეცა ურჩია შიოს.

გარეჯის წინამძღვარი არქიმანდრიტი ონოფრე მაჭუტაძე, კარგად იცნობდა ნეტარ შიოს, რომელიც დაქვრივების შემდეგ ხშირად მოუწოდებდა მონაზვნური ცხოვრებისკენ მიდრეკილ შიოს: „მოდი, ძმაო შიო, მონასტერსა ჩემსა და აქ აღვასრულნეთ უამნი ჩვენნიო“.

ონოფრემ სიხარულით მიიღო ერში პატიოსნებით ცნობილი შიო,

წმიდანი გარეჯელნი მონა-
მენი: შიო ახალი, დავით მცი-
რი, გაპრიელი, პავლე და გა-
პრიელი მონამეობრივად აღეს-
რულენ 1696-1700 წელს, გარე-
ჯის მონასტერზე ლეკების თავ-
დასხმის დროს.

გარეჯის მონასტრის წინამ-
ძღვარი, არქიმანდრიტი ონო-
ფრე მაჭუტაძე სოფელში იყო
წასული რაღაც საქმეზე, მონას-
ტრის ძმებზე მზრუნველობა კი
ყველასგან პატივდებულ მღდე-
ლმონაზონ შიოს ჰქონდა ჩაბა-
რებული.

ღირსი შიო ახალი ქართლის
სოფელ ვეძისიდან (ამჟამად

— „აღარა მნებავს ყოფა სოფელსა ამას შინა“), — გაანდო მან მოძღვარს გულისნადები.


ცალკე სენაკი მიუჩინა და მორჩილების წესიც დაუდგინა. ნეტარი შიოს დაულალავმა მოღვაწეობამ, სიმდაბლემ და ძმათა სიყვარულმა, შესაბამისი ნაყოფი გამოიღო, მასთან ბევრი მიდიოდა რჩევისათვის.

მეთვრამეტე-მეცხრამეტე საუკუნეებში, გარეჯის უდაბნოს ხშირად ესხმოდა თავს ლეკთა მოთარეშე ბანდები, იტაცებდნენ მონასტრის ქონებას, ტყვედ მიჰყავდათ ბერ-მონაზვნები და შემდეგ დიდ გამოსასყიდს ითხოვდნენ მათი განთავისუფლებისათვის.

მიუხედავად მუდმივი საშიშროებისა ერთ საღამოს მონასტრის მცველებს ალაყაფის კარი დაუკეტავი დარჩათ. შუალამით ლეკების მოთარეშე ბანდა ჩუმად შეიპარა მონასტერში „და მოკლეს ძმა შიო მღუდელმონაზონი, დავითი მწირი, გაბრიელი და პავლე“.

ხმაურზე ზოგმა მოასწრო გაქცევა და დაიმალა, უსჯულოებმა გაქცეული ბერ-მონაზვნების ძებნაც დაიწყეს, „შეიპყრეს და მახვლითა აღსასრული მიითვალა“ მონასტრის აღმოსავლეთ ლელეში დამალულმა, მონაზონმა გაბრიელმა. შემდეგ ლეკებმა მონასტერი გაძარცვეს, დაამტვრიეს და ცეცხლს მისცეს საეკლესიო ნივთები, სამღდელო შესამოსელთაგან ზოგი წაიღეს, ზოგიც იქვე ჭაში ჩაყარეს, ნაჯახით დაჩეხეს წმიდა ხატები.

მონასტერში დაბრუნებული წინამძღვარი არქიმანდრიტი ონოფრე „ტიროდა მწარედ შიოსა და ძმათა ზედა, აღიხუნა და შემურნა და შემოსნა... და დამარხნა სამარხოსა კერძო წმიდისა დავითისა საფლავისასა... და აღასრულებენ ძმანი წლითი წლად ხსენებასა მათსა და ადიდებენ სამებასა წმიდასა“.





ღირსმონამე თევდორე მღდელი (კველთელი) წარმოშობით ქართლიდან იყო. სამწუხაროდ მის შესახებ ბიოგრაფიულ ცნობებს ჩვენამდე არ მოუღწევია. ვიცით მხოლოდ, რომ თევდორე მანგლისის ახლოს სოფელ კველთაში მსახურობდა მღდლად.

იმ დროს ირანი და ოსმალეთი ერთმანეთს სამკვდრო-სასიცოცხლოდ ეპრძოდნენ ქალაქ ბაღდადის გამო. 1609 წლის დასაწყისში ოსმალეთმა იძალა სპარსეთზე, წაართვა ბაღდადი, შემდგომ მითიცა სამცხე-საათაბაგო და იმავე წლის ივნისში შემოესია ქართლს.

იმ დროს საქართველოში მეფობდა წმიდა ლუარსაბი. მეფე მცირე ამალით ცხირეთის ციხეში, თავის საზაფხულო რეზიდენციაში იმყოფებოდა. ოსმალებმა, რომლებმაც მეფის სამყოფელი იცოდნენ, გადაწყვიტეს, უმოკლესი გზით შეჭრილიყვნენ შიდა ქართლში, ცხირეთის ციხეს თავს დასხმოდნენ, შეეპყროთ მეფე ლუარსაბი და მთელი საქართველო დაემორჩილებინათ.

ოსმალებმა სწრაფად გადმოლახეს თრიალეთი, ქართლში შემოსავლელი გზების მცველი ქართველები ამოხოცეს და მოულოდნელად მოადგნენ მანგლის. მანგლისის ღმრთისმშობლის ეკლესია დარბევას სასწაულებრივად გადაურჩა — „ესევითარმა ღრუბელმა ზრქელმა და ნისლმა დაფარა იგი, ვიდრელა პირისპირ მისა ჩავლეს ესოდენმა სიმრავლემან მეომართამან და ეკლესია იგი სოფლითურთ ვერ იხილეს“.


მეფე ლუარსაბმა არაფერი იცოდა თავდასხმის შესახებ, მტერს კი ცხირეთამდე სულ ხუთიოდე საათის სავალი რჩებოდა. მანგლისიდან მეფის საზაფხულო რეზიდენციამდე რამდენიმე გზა მიდიოდა. ოსმალებს ვერ გადაეწყვიტათ, რომელი გზით დასხმოდნენ თავს მეფეს. მანგლისის ახლოს, სოფელ კველთაში, თათრებმა შეიძყრეს მღდელი, „სახელად თევდორე, პატიოსანი და მოშიში ღმრთისა და ერთგული მეფისა თვისისა“. მღდელმა თევდორემ სხვებთან ერთად ტყეში გაქცევა ვერ მოასწრო, რადგან ეკლესის განძეულობა გადამალა მტრის ხელყოფისგან.

მამა თევდორეს ოსმალებმა მეგზურობის გაწევა უბრძანეს, მათი ვარაუდით, თევდორე სიცოცხლის შენარჩუნების სანაცვლოდ მტერს მეფის ადგილ-სამყოფელამდე მიიყვანდა. უარის შემთხვევაში თევდორეს წამებით სიკვდილი ელოდა. „ხოლო მან, ნეტარმან ხუცესმან, აღირჩია სიკვდილი, ვიდრე განცემა მეფისა და განირვა საქართველოდასა“. „და მღდელმან გულში ესე თქვა: ჩემის ორის დღის სიცოცხლისათვის ამას რატომ ვიქ, ან მოუძღვე და მეფე მოვაკვლევინო და ქართლიც ააოხრონ, მე რაღა მეშველებაო ან ჩემს სულსაო“.

მამა თევდორემ მტრის ლაშქარი გზას ააცდინა და ცხირეთს დააშორა. დასავლეთით მიმავალი ოსმალთა ჯარი ფიქრობდა, საცაა ჩრდილოეთით გაუჟვევთ და მეფეს მოულოდნელად დავადგებითო თავს.

ტყე-ღრეში დიდი ხნის სიარულის შემდეგ, როცა „გზასა ძნელთა და იწროთა და კლდოვანთა და სხვათა მათსა ცხენნი მრავალნი და კაცნი შთაცვივნეს კლდეთა და კაპანთა და მოსწყდეს“, ოსმალები მიხვდნენ, რომ მოტყუვდნენ. „იხილეს რა თავნი თვსნი ესრე მოცთომილნი და შეინრებულნი, კაცთა მათ სახელოვანთა შეიძყრეს ხუცესი იგი და თავი წარკვეთეს“.

თევდორე მღვდლის თავდადებამ ნაყოფი გამოიღო. მეფე ლუარსაბმა ციხეში გამაგრება მოასწრო, შემდეგ კი ქართველთა ლაშქარმა მოთარეშეებს მუსრი გაავლო.





ღირსი იოვანე-თორნიკე მთაწმიდებელი (ერისკაცობაში თორნიკე ერისთავი) იყო ქართლის მხედართმთავარი. სახელოვანი და ბრძოლებში წარმატებული რაინდი გამორჩეულად უყვარდა მეფე დავით კურაპალატს, მაგრამ ღმრთისთვის სათნომყოფელმა უმჯობესი გამოირჩია — მონაზვნობის ლვანლი იტვირთა და ულუმბოს მთას მიმართა წმიდა იოვანეს მოსაძებნად.

ულუმბოს მონასტერში თორნიკეს აუწყეს, რომ ღირსი იოვანე ათონის მთაზე წავიდა მის მცირებლოვან შვილთან და რამოდენიმე მონაფესთან ერთად.

თორნიკე ათონის მთაზე ეხლა იოვანე მთაწმინდელს და მისი ხელმძღვანელობით დაიწყო მოღვაწეობა.

თორნიკემ რამოდენიმე ხანში „კურთხევა მონაზვნებისა ჭელთაგან იოვანესთა მიიღო“. თორნიკეს მონაზვნობაში იოვანე უწოდეს.

თორნიკეს აღვევეცის შემდეგ იმდენმა ქართველმა მოიყარა თავი ათანასეს ლავრაში, რომ იოვანემ, ათანასე ათონელის კურთხევით, ქართველთათვის ცალკე ააშენა ეკლესია იოვანე მახარებლის სახელზე. ქართველებმა სენაკებიც ააგეს და „მუნ იმყოფებოდეს მრავალუამ ვითარცა ანგელოსნი ღმრთისანი“.

979 წელს საბერძნეთის მცირებლოვან მეფეებს, ბასილის და კონსტანტინეს აუმხედრდა სარდალი ბარდა სკლიაროსი. დედოფალმა თეოფანიამ გადაწყვიტა საქართველოს მეფის დავით კურაპალატისათვის ეთხოვა დახმარება და მოციქულთა პირით შეუთვალა ათონზე მოღვაწე ქართველ მამებს: „უღმრთო სკლიაროსი გაგდეგა და ჭმელით კერძო ყოველი დაიპყრა. ან ვევედრებით სიწმიდესა თქუენსა, რათა თვინიერ ყოვლისა მიზეზისა იოვანე-თორნიკ მოვიდეს მეფობისა ჩუენისა“.

თორნიკეს არ უნდოდა საერო საქმეებში მონაწილეობა — „მიჯმნიეს ერთგზის და არღარა უკუნ ვიქცე“, განაცხადა მან მამების წინაშე, მაგრამ ათანასემ და იოვანე მთაწმიდელმა აკურთხეს იოვანე-თორნიკე, წასულიყო დედოფალთან და მოესმინა მისი თხოვნა.

საიმპერატორო კარზე მისულმა იოვანე-თორნიკემ ისარგებლა შემ-

თხვევით და „მრავალფერთა საქმეთათვს ამხილა დედოფალი“. თეოფანიამ სიმდაბლით შეიწყნარა მხილება და უთხრა: „ნმიდაო მამაო, რაღცა მიბრძანოს მამობამან თქუენმან, თქუენსა ბრძანებასა არა გარდავჭდე, ოდენ, ღმერთმან დაგარწმუნოს, შრომაზ თავს-იღევ და რომლითაცა სახითა გნებავს, წარვედ კურაპალატის წინაშე და ყოველი ჭირი ჩუენი აუწყე და ვესავ ღმერთსა, რომელ იოტოთ იგი უღმრთოს სკლიაროსი და ჩუენ ჭირისაგან განგუარინნეთ“.

იოვანე-თორნიკე საქართველოში წამოვიდა. მეფემ დიდად გაიხარა ყოფილი მხედართმთავრის ნახვით, შეჰკრიბა ლაშქარი ბერძენთა დასახმარებლად და სარდლად იოვანე-თორნიკე დანიშნა. წმიდა მამა დიდ უარზე იდგა, მაგრამ ბოლოს დასთანხმდა და ქართველთა მხედრიონს ჩაუდგა სათავეში.

ღმრთის შეწევნითა და იოვანე-თორნიკეს სარდლობით ქართველთა თორმეტათასიანმა ლაშქარმა სასტიკად დაამარცხა ბარდა სკლიაროსი და საბერძნეთიდან განდევნა. ათონზე დაბრუნებულ იოვანეს „მამანი სიხარულით მიეგებნეს და ამბორი უყვეს და ჰმადლობდეს ღმერთსა, რომელმან კვალად მოაქცია მშვიდობით“.

სკლიაროსზე გამარჯვებისათვის საჩუქრად მიღებული დიდაბი სიმდიდრე, იოვანე-თორნიკემ მთლიანად ივერთა მონასტერს გადასცა და სულ მალე ქართველებმა მთაწმინდაზე ყოვლადწმიდა ღმრთისმშობლისა და იოვანე ნათლისმცემლის სახელობის ორი ეკლესია ააგეს.

იოვანე-თორნიკემ — „განთქმულმან და საჩინომან კაცმან ყოველივე ნებად თვისი მოიკუეთა“, სრულებით მიენდო მოძღვარს და ესევითარი მჯურვალებად აჩუენა, რომელ, უკუეთუმცა შესაძლებელ იყო, თვნიერ მისისა ბრძანებისა, არცამცა სიტყუად ერთი აღმოთქუა, არამედ ყოველსავე მამაზ იოვანე განაგებნ და მისცემნ, ვითარცა ენების და სადაცა ჯერ იყვის“.

იოვანე-თორნიკეს მონასტრის ძმები ხშირად აამბობინებდნენ მისი ერისკაცობის „საქმეთა საგმიროთა“. იოვანე მთაწმიდელმა ურჩია იოვანე-თორნიკეს: „ან დააცადე სოფლიოთა მაგათ საქმეთა უბნობად



და ამიერითგან სხუასა ნუ ვის ეუბნები, გარნა გაბრიელს ხოლო ხუცესსა". გაბრიელ ხუცესის პირიდან კი არანაირი ამსოფლიური სიტყვა არ ამოდიოდა. იოვანე თორნიკ-ყოფილმა მდაბლად ითხოვა პატიება მოძღვრისაგან: „რად დაიდუმე აქამომდე და არა მამხილე, წმიდაო და ღმერთშემოსილო მამაო?" იოვანე მთაწმიდელმა უთხრა: „უფალმან შეგინდვენ, გარნა ან ხოლო ეკრძალენ!". არავის გაუგონია ამის შემდეგ იოვანე-თორნიკეს საუბარი.

იოვანე-თორნიკე ხშირად ეუბნებოდა მამა იოვანეს: „მამაო, თკო იცი, რომელ დიდად ცოდვილი ვარ და სიკუდილი ჩემი მოახლებულ არს და უნებელი სიწმიდისა თქუენისაა არა ვარ, არამედ ნებაა ჩემი და თავი ჩემი შემდგომად ღმრთისა შენდა მომიცემია; ვითარცა გნებავს, აცხოვნე სული ჩემი".

ბრძოლის ველზე დაუმარცხებელი სარდალი და უხილავ მტერზე გამარჯვებული იოვანე-თორნიკე მშვიდობით აღესრულა 985 წელს.





ღՈՂՍԹԵՐՆԱՅԻ ԱՆԴԻԺ ՈՅԵՐՈՅԵԼՈ (յերօսկա-
լութեան անդրու) ձափագա սամցեցի 1650
նոյն աելու խանցիքի. անդրուս ոչախու սակ-
մառա ձաթելոյեծուլո ոյս յարտլուս սամցու
յարծու.

Մրաշալմերուզո նոյնու քաջուղագոյեծուլո
ժածույքու անդրու տան աելու արհուլ մեցու
րուսետի դա գուգագ ձայեմարա յարտուլո
սբամենու համուպալուցեամու.

Ռուսետուգան սայարտաւելուն նամուսուլո
անդրու զիամու զավասուցումա մտուղեմա մե-
ուպուրու դա սբամենուլու մոնատա ծածարծու
ցայցանց ցասապուգագ. գիպուրուգուգան անդրու
ցամուսպուգա ոյրուսալումու Պատրուարյու
ցուսուտեումա.

Ոյրուսալումու սապագրուարյունու պոյնու
զերուուգու անդրուամ տացուսու ցանատլուցուս սրուլպուցուսատացուս ցամուցունա.
անդրու տացուսու ցրուսատացուս յրտ-յրտու ուցանատլուցուն աճամինու
ոյս, ցլունուգ մրաշալ ուցեա յենաս: ծերժնուլու, րումունուլու, սլավուրու,
արածուլու, տուրէյուլու... ցատուուցնունուցուն ոյս տեղուղագունու,
լուգուրագուրասա դա ծոնցենումը պուլուցուն. անդրու ցնունուլու ոյս,
րուգուրու շեսանունեացու մեսագրարու, յալուցրագու, ձաելուցենուցուն եցու
մժորուց դա նոյնու մոյսանուց. սամշունու ունուցուն մոմուրուցուն
անդրու ոյրուսալումու ալուց-
զեպա մոնաչունագ դա մաս սաեց-
լագ անտոմու ունուց.

Եմուգա անտոմու ձաթելուցուտ
1690 նելս զլաեցուս մեցուս,
յոնստիւնտինու ծրունկուունուս
մոնզեցուտ զլաեցուն նազուգա դա
սատացուն հայուցա սասբամեն
սայմես.

Ծեփցուումա սայմունունամ
մտելս կը յանունու արնաելու
ցայանեա քը ուցա դա ումալլու
ցունց մուալնու. անտոմու ոյս
րուգուրմագուրու սալուգրա-



ტურო რუმინული ენისა, ბრწყინვალე მწერალი და მქადაგებელი.

1694 წელს მამა ანთიმი დანიშნეს სნაგოვოს მონასტრის წინამდღვრად, სადაც მან საფუძველი ჩაუყარა ახალ სტამბას.

ანთიმ ივერიელმა საგანგებოდ დაამზადა ქართული შრიფტი და ტფილისში გამოაგზავნა მეფე ვახტანგ მეექვსესთან, თან მისი აღზრდილი და სასტამბო საქმის კარგი მცოდნე იპოდიაკონი მიხაილ სტეფანეს ძე იშტვანოვიჩიც გამოაყოლა.

1705 წელს ანთიმს, „რჩეულს ვლახეთის რჩეულ წინამდღვართა შორის“, ხელი დაასხეს რიმნიკის ეპისკოპოსად, ხოლო 1708 წელს უნგრო-ვლახეთის მიტროპოლიტად.

ანთიმოზის მიტროპოლიტად დადგინება მთელი ქვეყნისთვის უდიდესი ბეჭნიერება იყო. ამ ფაქტთან დაკავშირებით ერთ-ერთი მონასტრის წინამდღვარი წერდა: „მოვიდა დიდი ადამიანი ვლახეთის მინაზე, მოიტანა სინათლე ღმრთაებრივმა ანთიმმა, უნგრო-ვლახეთის იერარქმა, შვილმან ბრძენ ივერთა მოდგმისა. ღმერთმა იგი დააჯილდოვა სიბრძნის უშრეტი წყაროთი, რათა მას მოემოქმედებინა კეთილი საქმენი და თავისი სტამბით მოეტანა სარგებლობა ხალხის-თვის ამქვეყნად“.

მეუფე ანთიმის უშუალო ხელმძღვანელობით ვლახეთში ოცზე მეტი ეკლესია-მონასტერი დაარსდა, რომელთაგანაც განსაკუთრებით აღსანიშნავია „ყოველთა წმიდათა“ მონასტერი ქალაქ ბუქარესტში. ტაძრის მთავარი შესასვლელის მუხის კარი და ქვაზე ამოტვიფრული ქართული ორნამენტები თვით ანთიმ ივერიელმა შეასრულა.

მეუფე ანთიმმა დაუცხრომელი ბრძოლა დაიწყო უცხოელ დამპყრობელთაგან ვლახი ხალხის გასათავისუფლებლად. პირველსავე დღეს სამწყსოს წინაშე წარმდგარმა მეუფე ანთიმმა თქვა: „მართლმა-დიდებლობა თქვენ შეინარჩუნეთ წმიდად და შეუბლალავად, მიუხედავად იმისა, რომ გარშემორტყმულნი, შებოჭილნი ხართ უცხო ხალხთა ძალმომრეობით და განიცდით აურაცხელ გასაჭირსა და უბედურებას, რაც ყოველთვის გამომდინარეობს იმათგან, ვინც თვითნებურად ბატონობს ამ მინა-წყალზე... თუმცა მე ვიყავი ულირსი და უმცროსი სხვათა შორის, ვითარცა დავითი იყო უმცროსი თავის ძმებს შორის, ღმერთმა არ შეხედა ჩემს სიღარიბეს და უცხოელობას... დაე, თქვენთან ერთად მე თავს გადამხდეს ყოველგვარი გასაჭირი, რასაც გვარგუნებს ჩვენ დრო და უამი“.

1714 წელს თურქებმა სიკვდილით დასაჯეს ვლახეთის მთავარი კონსტანტინე ბრინოკვიანუ, ხოლო 1716 წელს, უკანასკნელი ვლახი მთავარი სტეფანე კანტაკუზენე და სამეფო ტახტზე აიყვანეს ნიკოლო მავროკორდატი, რომლის მთელი საქმიანობა მიმართული იყო თურქეთის ინტერესების დასაცავად ვლახეთში.

ანთიმ ივერიელმა თავის გარშე[“]
შო შემოიკრიბა ვლაბ ბოიართა
ჯგუფი, რომლის მიზანი იყო გაე-
თავისუფლებინა ვლახეთი რო-
გორც თურქთა, ასევე ფანარი-
ოტთა ბატონობისაგან. კონკრე-
ტული ღონისძიებებიც დაისახა,
მაგრამ ნიკოლო მავროკორდატიმ
მეუფე ანთიმს უბრძანა, ნებაყო-
ფლობით უარი ეთქვა მიტროპო-
ლიტობაზე. ანთიმმა კატეგორი-
ული უარი შეუთვალა. მავროკო-
რდატიმ კონსტანტინოპოლის პა-
ტრიიარქ იერემიას მიმართა. ეპი-
სკოპოსთა კრებამ, რომელსაც არც
ერთი რუმინელი სასულიერო პირი
არ ესწრებოდა, „შეთქმული და რევოლუციისკენ ნამქეზებელი
მეამბოხე“ ანთიმი განკვეთა ეკლესიდან და ყოველივე სამღდელო
პატივისაგან „ლირსებაახდილად“ გამოაცხადა.

ნიკოლო მავროკორდატისათვის საკმარისი არ აღმოჩნდა ანთიმ
ივერიელის უნგრო-ვლახეთის მიტროპოლიტობიდან გადაყენება, მან
მიაღწია იმას, რომ ანთიმი საბოლოოდ გააძვევეს სინას მთაზე, წმიდა
ეკატერინეს მონასტერში.

რუმინელი ხალხის ერთგული და მოსიყვარულე მიტროპოლიტი
შუალამისას გაიყვანეს ქალაქიდან, რადგან მოსახლეობის მღელ-
ვარების შეეშინდათ, მაგრამ სინას მთამდე ანთიმ ივერიელს არ
მიუღწევია. გალიპოლის მახლობლად, ადრიანოპოლზე გამავალი
მდინარის, დუღჩიას ნაპირზე თურქმა ჯარისკაცებმა ასო-ასო აკუნეს
ანთიმ ივერიელი და მისი წმიდა ნანილები მდინარეში გადაყარეს.

ასე მონამეობრივად და ქრისტეს სამწყსოსადმი დიდი სიყვარულით
აღესრულა ქართველი წმიდანი ანთიმ ივერიელი, რომელმაც მთელი
თავისი ცოდნა, ნიჭი და ენერგია ვლახი ხალხის სულიერი გაძლი-
ერებისა და ეროვნული კულტურის აღორძინების საქმეს მოახმარა.



მეუფე ანთიმ ივერიელის გერბი



ღირსმონამე ქაიხოსრო ქართველ თავადიშვილ ჩოლოყაშვილთა გვარიდან იყო. ქაიხოსრო იერუსალიმის ჯვარის ქართველთა მონასტერში მოღვაწეობდა და იქ აღესრულა მონამეობრივად.

ცნობილია, რომ ქართველებმა მეჩინდმეტე საუკუნეში უკანასკნელად განაახლეს იერუსალიმის ქართველთა ჯვარის მონასტერი.

ბიოგრაფიული ცნობები წმიდა ქაიხოსროს შესახებ არ შემონახულა. მეთვრამეტე საუკუნის ცნობილი საეკლესიო მოღვაწე მიტროპოლიტი ტიმოთე (გაბაშვილი) აღნერს იერუსალიმის სინმიდეებს, ჯვარის ქართველთა მონასტრის აღაპებს და ფრესკებს და აღნიშნავს: „...და კვალად იერუსალიმით მივედით მონასტრად ქართველთასა ჯვარს და განვიცადეთ, კედელთა ზედა წმიდანი მამანი და მონამენი საქართველოსანი ეხატნეს შარავანდითა და გვირგვინითა. ესენი...“ ჩამოთვლილია წმიდანები და, მათ შორის „წმიდა მონამე ქაიხოსრო ქართველი, რომელიც აწამა ყევნმან შაჰ-აბაზ წმიდათა ხატთათვის, ქორონიკონსა ფ“ (1612 წელს).

მეჩინდმეტე საუკუნის ცნობილი ქართველი სასულიერო მოღვაწის, იერუსალიმის ჯვარის ქართველთა სავანის წინამძღვრის არქიმანდრიტ ნიკიფორე ჩოლოყაშვილის კურთხევით, 1643 წელს ქართველთა ჯვარის მონასტერში დაუხატავთ ფრესკა ახალი ქართველი მონამის ქაიხოსროსი.

1845 წელს ნიკო ჩუბინიშვილის მიერ ჯვარის ქართველთა მონასტრის აღნერისას, ქართველ მოღვაწეთა ფრესკები იმდენად დაზიანებული ყოფილა, რომ მკვლევარმა ვერ შეძლო მათი გარჩევა და აღნიშნავს: „ჩრდილოეთის მხარეს კედელზედ, ბიბლიოთეკის შესავალს ზეიდამ, არიან დახატულნი მრავალი სახენი... მაგრამ ტენისაგან მრავალი ადგილი დამლილა და ჩამოცვენულა, სახენი და მათ ზედან ნაწერნი შებლალულან, ხოლო ჩანს ნერილი ქართულის ასოებითა და ძნელად გამოსაცნობია... გარნა ჩვენ ვერ გავიგეთ“.



მოწამე შალვა ახალციხელი სამხრეთ საქართველოს დიდგვაროვან ფეოდალთა შტოს ეკუთვნოდა.

ახალციხელების გვარი მეთორმეტე-მეცამეტე საუკუნეში გამოეყვნენ თორელთა შტოს. შალვა ახალციხელი და მისი ძმა ივანე განსაკუთრებული პატივით სარგებლობდნენ მეფე თამარის კარზე. შალვა ახალციხელი თამარ მეფემ ჯერ მეჭურჭლეთუხუცესად დანიშნა, შემდეგ კი მანდატუხუცესობა უბოძა.

1195 წლის 1 ივნისს შამქორთა (დღევანდელი აზერბაიჯანის ტერიტორია) გამართულ ბრძოლაში ქართველებმა სასტიკად დაამარცხეს მუსულმანთა კოალიციური ლაშქარი და დიდძალი განძი ჩაიგდეს ხელში. შალვა ახალციხელმა ბაღდადის ხალიფას მიერ მუსულმანთათვის გაგზავნილი საბრძოლო დროშა წამოილო და მეფე თამარს მიართვა. თამარმა დროშა გელათში ხახულის ღმრთისმშობელს შესწირა სხვა უამრავ ნადავლთან ერთად.

შამქორის ბრძოლაში გამარჯვების შემდეგ საქართველო წამყვანი პოლიტიკური ძალა გახდა წინა აზიაში. 1203 წელს თურქ-სელჯუკთა სულთანმა რუქნადინმა ოთხასიათასიანი ჯარით საქართველოზე გამოილაშქრა. ბასიანში (დღევანდელი თურქეთის ტერიტორია) დაბანაკებულ მტერს თავს დაესხნენ ქართველები და ბრნყინვალე გამარჯვება მოიპოვეს. ამ ბრძოლაში განსაკუთრებული სიმამაცე გამოიჩინა შალვა და ივანე ახალციხელების რაზმი.

მეფე თამარის გარდაცვალების შემდეგ 1225 წელს, ხვარაზმელთა შაჰმა ჯალალედინმა მონღლოლთა წინააღმდეგ ბრძოლის მიზნით გადაწყვიტა დაემორჩილებინა მთელი ახლო აღმოსავლეთის ქვეყნები და საქართველოზე გამოილაშქრა ორასიათასიანი რაზმით. ქართველთა ლაშქრის მთავარსარდლად რუსუდან მეფემ ათაბაგი ივანე მხარგრძელი დანიშნა.

ივანე ათაბაგმა ქართველთა მოწინავე ლაშქრის მეთაურობა შალვა და ივანე ახალციხელებს დაავალა, თვითონ კი ძირითად ნაწილთან ერთად დარჩა გადამწყვეტი იერიშის მისატანად.

უშიშრად შეება თორ-ჯავახელების მცირერიცხოვანი ლაშქარი

ურიცხვ მტერს, „უმეტეს ახალციხელნი შალვა და ივანე ახოვან იყვნეს და წყობათა შინა სახელოვანი, არღარა რიდეს სიმრავლესა სულტანისა სპათასა, ვითარ მქოცნი ზედა მიეტევნეს, და იქმნეს ძლიერი რმნი... და ძლიერად ბრძოდეს შალვა და ივანე, ახოვანთა და ძლიერთა სვრიდეს, და განგრძელდა ომი სასტიკი.“ თავგანწირვით იბრძოდნენ ყველანი და ელოდნენ მაშველ ჯარს, მაგრამ „არა ინება შველა ივანე

ათაბაგმან, რომელსა შურითა იტყვიან ამას ყოფად და არა თუ შიშითა. ჰოი შური, ყოველთა ბოროტთა დასაბამი... ორთავე ძმათა ახალციხელთა დაეჭოცეს ცხენი, და ქვეითნი მხნედ იბრძოდნენ. და მოისრნეს ორგნითა ურიცხვნი“, ბოლოს კი „წრმალნიცა ახალციხელთანი განტყდეს ჩაბალახსა ზედა ილტვოდეს ქართველნი“.

ოთხიათასი ქართველი დაიღუპა ამ უთანასწორო ბრძოლაში, მთებს შესიზნული ივანე ახალციხელი კლდიდან მოსხლეტილმა ლოდმა მოკლა, ხოლო შალვა ტყვედ ჩაიგდეს და ჯალალედინს მიჰვარეს.

ჯალალედინმა პატივით მიიღო საქვეყნოდ განთქმული ქართველი მანდატურთუხუცესი, ქალაქებიც კი უბოძა სამმართველოდ და უფრო „დიდ ნიჭაც“ დაპეირდა რჯულის გამოცვლის სანაცვლოდ. მაგრამ ვერ გატეხეს ქრისტეს მხნე აღმსარებელი — „ჭეშმარიტისა ღმრთისა უარყოფაა შეუძლებელ არს ჩემგან. დააცხრუე ჩემდა აღთქმანი ეგე არად საწმარნი ჩემნი, რამეთუ სურვილმან საღმრთომან განმანესა მე მქედრად ქრისტესა“, — მტკიცედ განაცხადა შალვამ მისი მრნამსი.

ჯალალედინი დიდხანს ცდილობდა უსჯულოებისკენ მიედრიკა ზნესრული რაინდი და, როცა ვერას გახდა, მისი წამებით მოკვდინება ბრძანა. წამების უამს შალვა სიხარულით ამბობდა: „იხარებდ, ჰოი, შალვა, რამეთუ სამოსელსა თანა ხორცთასა ძუელსა კაცსა აღიძარც და ხრწნადთაგან სიმარჯუეთა განთავისუფლდები... დავითმინოთ, შალვა, სიკვდილი ქრისტესთვის, რომელიც „ერთგზის წინაუძს ყოველსა კაცსა“.


მრავალფერი ტანჯვის შემდეგ ცოცხალ-მკვდარი შალვა საპყრო-



ბილეში ჩააგდეს, სადაც 1227 წლის 17(30) ივნისს „აღასრულა ჰესრბად შარტკლებითი და ესრეთ ქრისტემან ღმერთმან, განმაძლიერებელმან მისმან, მისცუალა თვეთანა დიდი იგი გოდოლი კეთილმსახურებისა, მწედარი თვისი, გვირგვინოსანი გვრგვნითა სიმართლისათა“.

რამოდენიმე წლის შემდეგ შალვა ახალციხელის შვილი ფარადავლა, რომელიც მამის მსგავსად „კაცი მხნე და წყობათა შინა სახელოვანი იყო“, ასევე მოკლულ იქნა რემის სულთან ყაისადის ბრძანებით.

შალვა ახალციხელის მოწამეობრივმა აღსასრულმა გამოხმაურება ჰპოვა ხალხურ პოეზიასა და სიმღერებში. ცნობილი ხალხური სიმღერა „შავლეგო“ შალვა ახალციხელის სადიდებლად დაიწერა და მას ერთნაირი შემართებით მღერიან ლხინში, ჭირში და ბრძოლაში.



მონაგენი მეფენი:
არჩილი (+744) და ლუარსაპი (+1622)
21 (4.07) ივნისი



კასპი, ურბნისი და სხვა დასახლებული პუნქტები. იმ დროს ქართლის ერისმთავარი გარდაცვლილია და დაკრძალულია ეგრისში, ციხე-გოჯში. ხოლო ეგრისს არჩილის ძმა მირი მართავს.

არჩილი იძულებული გახდა ქართლიდან გადახვეწილიყო და ეგრისში, ძმასთან შეეფარებინა თავი. მურვან ყრუ თავისი ლაშქრით შეესია არგვეთსა და ეგრისს. მირი და არჩილი აფხაზეთში გაიხიზნენ, ანაკოფის ციხეში გამაგრდნენ და ყოვლადნმიდა ღმრთისმშობელს ევედრებოდნენ შემწეობას. უფალმა ისმინა მართალთა ლოცვა: ერთ ლამეს არჩილს ღმრთისმშობელი გამოეცხადა და უბრძანა: „აღდეგ და ებრძოლე უსჯულოთა მათ, რამეთუ ანგელოზი უფლისა წინა წარგიძლუეს თქუენ და თქუენ წილ უფალი ბრძოდის“.

მირი და არჩილი მცირედი მხედრობით „მინდობითა ღმრთისათა და შენევნითა ყოვლადნმიდისა ღმრთისმშობლისათა“ დაესხნენ თავს მტერს. შეტაკება ქართველთა გამარჯვებით დამთავრდა. გაქცეულ უსჯულოებს ღმერთმა სასტიკი ქარი და ძლიერი წვიმა მოუვლინა, მდინარეები ადიდდა და აგარიანთა მხედრობა წალეკა. ცოცხლად გადარჩენილმა მომხდურებმა კონსტანტინოპოლს მიაშურეს, მაგრამ ზეგარდმო მონევნულმა რისხვამ ისინი ზღვაში ჩაახრჩო.

მირმა და არჩილმა უსჯულოთაგან იავარქმნილი ქვეყნის აღორძინება დაიწყეს. ქართველთა გამარჯვებით გახარებულმა ბიზანტიის

მონამე არჩილ მეფე დაიბადა 700 წლის ახლო ხანებში. მამამისი — სტეფანოზი ქართლის ერისმთავარი იყო. 720 წელს სტეფანოზმა მისი სამეფოს მართვა თავის ორ შვილს მი(ჰ)რს და არჩილს ჩააბარა.

გადმოცემით, არჩილ მეფემ მემკვიდრეობით მიღებული ქონება დაფლა იმ ადგილას, სადაც დღეს გორის ციხეა აშენებული. იმ დროს საქართველოს პოლიტიკურ და ეკონომიკურ განვითარებას, არაბთა მუდმივი შემოსევები აფერხებდა. არაბმა მურვან-ყრუმ „ყოველივე შენებული და სიმაგრენი საქართველოსნი“ შემუსრა და სისხლით მორწყო ქვეყანა. განადგურდა მცხეთა,

კეისარმა ლეონმა მირსა და არჩილს სამეფო გვირგვინები და სკიპტრა გამოუგზავნა. სწორედ ამიტომაა, რომ ისტორია სტეფანეს ქართლის მთავრად, ხოლო მის შვილებს მირსა და არჩილს მეფეებად მოიხსენიებს.

ბრძოლაში დაჭრილმა მეფე მირმა, სიკვდილის წინ, სამეფო თავის ძმას, არჩილს გადააბარა, დარჩენილი შვიდი ასულის მფარველობა სთხოვა და დაუბარა მცხეთაში დაესაფლავებინათ.

მეფე არჩილმა შეასრულა მირის ანდერძი, მცხეთის ზემო ეკლესიაში დაკრძალა ძმა. დაობლებული შვიდი ასულიდან ექვსი ქართველ დიდებულებს მისცა შესაფერისი მზითვით, მეშვიდე, გურანდუხტი კი, ბიზანტიის კეისარს მიათხოვა.

თორმეტი წელიწადი იჯდა არჩილი ქუთაისში და ყოველნაირად ცდილობდა საქართველოს გაერთიანებას, შემდეგ ქართლში გადავიდა და არაბთაგან აოხრებული ამ ულამაზესი კუთხის აღმშენებლობას შეუდგა, შემოიერთა კახეთი, მთიანეთი, ეგრისი, აფხაზეთი და სამცხე-ჯავახეთი. არჩილმა ცოლად შეირთო გურამ კურაპალატის ასული, რომლისგანაც ორი ძე და ოთხი ასული შეეძინა. არჩილმა ააშენა ციხესიმაგრე გურიისა და საბერძნეთის საზღვარზე, ააშენა კასრი და ლუკაუსტის ხევში ციხესიმაგრე, ააგო ეკლესია-მონასტრები. არაბების ბატონობა, ფაქტიურად, ტფილისა და მცხეთის შემოგარენს ვერ სცილდებოდა.

მურვან-ყრუსაგან დარბეული ქვეყანა ჯერ კიდევ გონს არ იყო მოსული, როცა არაბთა მარბიელმა ლაშქარმა ჭიჭუმ-ასიმის მეთაურობით კვლავ ააოხრა ქართლი და გეზი კახეთისაკენ აიღო. წინააღმდეგობის განევას აზრი არ ჰქონდა, არჩილ მეფემ გადაწყვიტა „სულისა თვისისა დადებად საქსრად ქრისტიანეთათვს“. „უმჯობეს არს სიკუდილი ჩემი, ვიდრელა კუალად განწყუნად ეკლესიათა ქრისტესთა და ოხრებად ქვეყანისა ამის“, ბრძანა მეფემ და ჭიჭუმ-ასიმს ეახლა მშვიდობის სათხოვნელად.

ჭიჭუმ-ასიმმა მეფე არჩილი პატივით მოიკითხა, „აქო სიკეთე და სისრულე ჰასაკისა მისისა და მშვენიერება პირისა მისისა“. რამდენიმე დღე დიდებულად ისტუმრა, შემდეგ სჯულის დატევება და სარკინოზთა სარწმუნოების მიღება მოსთხოვა, სანაცვლოდ კი, „აღუთქუმიდა ნიჭთა დიდ-დიდთა“. არჩილმა მშვიდად მიუგო მტარ-



ვაღს: „მე რომ შენ დაგიჯერო, უნდა მოვკვდე სიკვდილით, რომლის შედეგადაც უნდა ვიტანჯო... ღმერთმან ჩვენმან და მაცხოვარმან ჩვენმან ჩვენი სსინისათვის თავი დადო, ამიტომაც მე არ მეშინია სიკვდილის. თუ მომკლავ, მეც ისევე აღვსდგები სიკვდილის შემდეგ, როგორც ღმერთი ჩვენი და კვლავ ვაღიდებ მას“. განრისხებულმა ჭიჭუმმა ბრძანა „შეპყრობად მისი და წარგზავნა იგი საპყრობილედ მრავლითა ჭირითა და იწროებითა, რამეთუ პგონებდა იგი, ნუუკუ შიშითა სატანჯველთავთა მოდრიკოს შეურყეველი გონებად მისი“, სასიკვდილოდ კი მაინც ვერ გაიმეტა ახოვანი და მშვენიერი მეფე.

მეფე არჩილი საპყრობილეში გულმოდგინედ ევედრებოდა უფალს, მიენიჭებინა მისთვის სატანჯველთა დათმენის ძალა. ჭიჭუმ-ასიმს ეახლა ერთი გარდაბნელი გამაჰმადიანებული სომეხი მთავარი და მოახსენა: არ იცი, დიდებულო მთავარო, ვინ არის ეს არჩილი? ეს არის ნათესავი ვახტანგ მეფისა, რომელიც იყო შვილიშვილი მირიან მეფისა; ის თან ახლდა მამას, როცა იგი ქართლის სამეფო საგანძურს მალავდა და ისიც იცის, თუ სად დაფლა განძი ბერძენთა მეფე ჰერაკლემ.

ჭიჭუმ-ასიმმა იხმო მეფე არჩილი და უთხრა, პირველად შენი სიკეთისა და მშვენიერებისათვის გაფასებდი, ახლა კი გავიგე, რომ ხარ შვილი დიდთა მეფეთა, ამიტომ განგადიდებ ჩემს წინაშე. შენი სამეფო და საგანძურიცა მამათა შენთანი შენი იყოს, ოღონდ მიჩვენე ბერძენთა მეფის საგანძური, რომელიც სპარსეთიდან წაიღო და საქართველოში დაფლა. შემდეგ სჯულიც შეიცვალე და ქართლის მეფობასაც მოგცემო. პასუხად არჩილმა უთხრა: „იცოდე, მძლავრო, არ დავუტევებ ჩემს უფალს, არ უარვყოფ ქრისტეს სახელს, არც სანუთო ცხოვრებაზე გავცვლი მარადიულს, არც უამიერ მეფობას, უუამო თანაყოფაზე ქრისტესთან. საგანძურზე კი არაფერი ვიცი, რადგან პატარა ვიყავი, როცა ჰერაკლე მეფემ გაიარა ჩვენს ქვეყანაზე, მამაჩემმა და ჩემმა ძმამ, მურვან-ყრუს შემოსევისას ჩვენი განძი ამოიღეს და ბერძენთა ციხეში დაფლეს“.

ასიმმა ჰკითხა: „შენ იქ იყავი, როცა სარკინოზები დამარცხდნენ აფხაზეთში?“ არჩილმა უშიშრად უპასუხა: „ღმერთმან ცხოველმან, რომელი არს შემოქმედი ცათა და ქუეყანისაა, რომელი-იგი მოვიდა ზეცით ქუეყანად წანისათვე კაცთასა და სიკუდილითა თვისითა მოკლა მკვლელი ჩუენი და ჩუენ მოგუანიჭა უკუდავებაა, მან უკუ ძლიერმან და ყოვლისა შემძლებელმან დასცნა და შემუსრნა იგინი“. ამ სიტყვებმა გულისწყრომით აღავსო უსჯულო ჭიჭუმი, „ვინათგან არა გნებავს ცხორებად თავისა შენისაა და უმჯობესი შენი და მოკუდავისა მიმართ დაგიც სასოებაა, ჯერ არს, რათა შენცა მოკუდე ბოროტად“, ბრძანა განრისხებულმა უსჯულომ.

არჩილ მეფემ მცირე დრო ითხოვა სალოცავად, მუხლი მოიყარა და

ხელაპყრობილმა მადლობა შესწირა შემოქმედს, მაცხოვარს შეევე-დრა, კეთილად დაეცვა ეკლესია, გაეძლიერებინა ქრისტიანობა საქართველოში და მშვიდად მოუდრიკა ქედი მახვილს. ჯალათებმა თავი მოჰკვეთეს წმიდა მეფე არჩილს, რომელიც სიცოცხლის ბოლო წუთამდე განადიდებდა ქრისტეს.

ლამით ქართველებმა ფარულად წამოასვენეს არჩილ მეფის გვამი და დიდი პატივით დაასაფლავეს და ნოტკორაში, მის მიერვე აგებულ ტაძარში. ეს მოხდა 744 წელს.

წმიდა ლუარსაბ მეფე დაიბადა 1592 წელს. ლუარსაბი იყო ქართლის მეფის გიორგი მეათის შვილი. 1606 წელს მეფე გიორგის გარდაცვალების შემდეგ „დაშთა უკუე მამისაგან ობლად ლუარსაბ ყრმათა ორთა თანა დათა თვესთა, რომელთა სახელები ხუარაშან და ელენე. მაშინ ლუარსაბ დალათუ ყრმად, დროეთა წელიწადისათა, მაგრამ გონიერებითა და სიბრძნითა სხუა სოლომონ, სხუა დავით სიმხნითა და უცხო თესლთა მიმართ სხვა გედეონ“. — წერს ანტონ კათალიკოსი.

თოთხმეტი წლის ლუარსაბი ქართლის მეფედ აკურთხეს. იმავე წელს იმერეთში გიორგი მესამე, კახეთში კი — თეიმურაზ პირველი დასვეს მეფებად. 1609 წელს თურქები ყირიმელ თათრებთან ერთად მოულოდნელად თავს დაესხნენ ქართლს. მეფე ლუარსაბი იმ დროს ცხირეთის ციხეში იმყოფებოდა მცირეოდენ ამალასთან ერთად და ალბათ, ვერაფრით გადაურჩებოდა მტრის უეცარ დარტყმას, მაგრამ კველთელმა მღდელმა თევდორემ, რომელსაც მტერმა მეფის სამყოფლისაკენ უმოკლესი გზის ჩვენება მოსთხოვა, სრულიად საწინააღმდეგო მიმართულებით ატარა ისინი. ამასობაში მეფემ შეკრიბა ჯარი და ტაშისკართან სასტიკად დაამარცხა მტერი. ბრძოლაში განსაკუთრებული სიმამაცით გიორგი სააკაძე და ზაზა ციციშვილი გამოირჩეოდნენ. გიორგი სააკაძემ სახლში მიინვია გამარჯვებით გახარებული მეფე. ნადიმზე ლუარსაბ მეფეს გიორგი სააკაძის და მოენონა და მიუხედავად სამეფო კარის წინააღმდეგობისა,



მალე დაქორწინდა კიდეც მასზე. შემდგომმა მოვლენებმა მტრობა ჩამოაგდო ლუარსაბ მეფესა და გიორგი სააკაძეს შორის. გიორგი საქართველოდან გაიქცა და შაჰ-აბასს სთხოვა თავშესაფარი. ცბიერებით ცნობილი შაჰი ყოველგვარ ინტრიგას აწყობდა საქართველოს წინააღმდეგ: მან ჯერ ლუარსაბის და, ლელა (თინათინი) შეირთო, შემდეგ კი თეიმურაზსაც „დაუმოყვრდა“ — მისი ულამაზესი და, ელენც წაიყვანა ცოლად. შაჰმა ლუარსაბ მეფეს თეიმურაზის მოკვლა და კახეთის სამეფო შესთავაზა, თეიმურაზს კი ლუარსაბის მოკვლის საფასურად ქართლის სამეფოს დაპირდა. მიხვდნენ ქართველი მეფენი შაჰის მზაკვრობას და გადარჩა საქართველო ძმათა კვლის საშინელებას.

შეაშინა შაჰი ქართველთა ერთობამ, ვითომ სანადიროდ და დროის გასატარებლად თავისთან მიინვია ლუარსაბი და თეიმურაზი. მეფე-ებმა ბრძოლა გადაწყვიტეს და ფიცით აღუთქვეს ერთმანეთს წინაშე „ქრისტეს ღმრთისა დადებად სულნი და სიკვდილი ქრისტესთვის“. ისინი დარწმუნებულნი იყვნენ ქართველების გამარჯვებაში, მაგრამ ღალატის გამო დამარცხდნენ და თავი იმერეთს შეაფარეს. იმერეთის მეფე გიორგიმ, კეთილად მიიღო ლუარსაბი და თეიმურაზი.

შაჰ-აბასმა აახსრა ქართლ-კახეთი და გორში დაბანაკადა. შახმა გიორგი მეფეს შეუთვალა, გაეცა სტუმრები და სანაცვლოდ დიდძალ საგანძურს დაპირდა. მეფე გიორგიმ დასავლეთ საქართველოს კათოლიკოსი მალაქია აახლა შახს და შეუთვალა: „გევედრებით, რეცა პატივსგვცე და მისცე მეფეთა სამეფონი თვისნი და იმსახურენ მით, ვითარცა პირველ მამათა შენთა და თქუენ წარხვიდეთ“. როცა შაჰ-აბასმა ნახა, რომ ძალით ვერას გახდებოდა, ცბიერებას მიმართა: დაიბარა ლუარსაბის გამზრდელი შადიმან ბარათაშვილი და უთხრა: მომიყვანე ლუარსაბი, შევირიგებ და სამეფოსაც დავუბრუნებ. თეიმურაზი კი მოსისხლე მტერია ჩემი, მას ვერ ვაპატიებო. შახმა ოქროთი მოჭედილი ხმალი გაატანა შადიმანს, ლუარსაბთან „მეგობრობის“ ნიშნად. ლუარსაბმა კარგად იცოდა შაჰის მეგობრობა, მაგრამ მეფურმა სინდისმა სხვანაირად გადაწყვიტა — „უკუეთუ არა წარვიდე, ამიყრის ქუეყანათა და მოაწყრებს, რა მადლი არს ჩემდა“.

შაჰ-აბასმა პატივით მიიღო ლუარსაბი, მაგრამ ცოტა ხნის შემდეგ ქართლში ახალი მმართველი დანიშნა და ჯარებიც ჩააყენა. ლუარსაბი ჯერ ყარაიაში წაიყვანა, სანადიროდ, იქიდან კი სპარსეთში გადაიყვანა მოტყუებით. ყარაიაში ყოფნისას ლუარსაბმა ყველა განაცვიფრა ახოვანებით და ვაჟეაცობით. მისი ნანადირევის ხილვამ შურით აღავსო შაჰი. ლუარსაბის დამ, თინათინმა, რომელიც შახის ცოლი იყო, სთხოვა ძმას, უბადრუკად მოეჩვენებინა თავი შახისათვის, ლუარსაბმა მშვიდად უპასუხა: „უწყი, რამეთუ არღარა განმიტევებს, ამისთვის

უმჯობეს არს სიკეთისა ჩუენება, ვიდრე სიავისა“.

დიდმარხვის დროს ნადიმზე მიწვეულმა ლუარსაბმა შახისაგან შემოთავაზებული თევზი არ შეჭამა — დღეს თევზით გინდა გავტეხო მარხვა, ხვალ ხორცს შემომთავაზებ, შემდეგ კი ქრისტეს უარყოფასაც მომთხოვო — გაამუდავნა მან შაპის დაფარული გულისზრახვა. გაბრაზებულმა შაპმა პირდაპირ ქრისტეს უარყოფა და ალაპის ალიარება უბრძანა ლუარსაბს. ქართველთა მეფემ მშვიდად მიუგო შახს: მთელი ქვეყანა რომ მიბოძო, მაინც ვერ აღვასრულებ შენს ბრძანებას, რადგან ქრისტეს სახელით ნათელი მიმილია და მხოლოდ ის მნამსო.

ლუარსაბი შირაზს წაიყვანეს და დილეგში ჩააგდეს. შვიდი წლის განმავლობაში ყოველდღე შედიოდნენ ციხეში ლუარსაბთან და რჯულის შეცვლას აიძულებდნენ მეფეს. ლუარსაბი კი ერთსა და იმავეს ეუბნებოდა: „რაცა გნებავთ ყოფად ჩემდა, ჰყავით და აღასრულეთ ბრძანება ყაენისა“.

ლუარსაბის გასათავისუფლებლად რუსეთის ხელმწიფემაც იშუამდგომლა შაპთან, მაგრამ ამაოდ, შახს გადაწყვეტილი ჰქონდა ან გაემუსლიმანებინა ან სიკვდილით დაესაჯა ქართველთა მეფე. შახმა უკანასკნელად შეუთვალა ლუარსაბს: „ანუ უარჲყავ ქრისტე, ანუ თანა-გაძს სიკუდილი მძვნვარე“. ლუარსაბმა მოუსმინა შახის მოციქულებს და მდუმარედ გადაიწერა პირჯვარი.

შაპი დარწმუნდა, რომ ვერაფერი ვერ შეარყევდა ლუარსაბის სარწმუნოებას, განრისხებულმა საპყრობილეში გაგზავნა ჯალათები და მეფის წამებით მოკვდინება ბრძანა. მტარვალები მივიდნენ ბრძანების აღსასრულებლად. ლუარსაბმა ღმრთისმშობლის ხატის წინაშე დაიჩოქა და მხურვალედ შეჰვლაღადა: „ჰოი, დედოფალი ჩვენო ღმრთისმშობელო, შენდამი დამიძს ყოველი სასოებად ცხოვრებისა ჩემისა, შენ ხარ მფარველი ჩემი, შენ ხარ ნუგეშინისმცემელი ჩემი, შენ მომეც მე შეწევნად ლუანლისა ამის ჩემისა, შენ მიოხე წინაშე ძისა შენისა და შემრთე წმიდათა მოწამეთა თანა, რათა მეცა ვადიდებდე მამასა და ძესა და წმიდასა სულსა“.

ჯალათებმა მშვილდის საბლიო შეუბრალებლად მოაშთვეს ღმრთისმოსავი მეფე ლუარსაბი. ღამით ლუარსაბის გვამს საკვირველი ნათელი დაადგა. მეორე დღეს წმიდა მოწამე მეფე ლუარსაბის სხეული ციხის ეზოში დაფლეს.



ღირსი გიორგი მთაწმინდელი წარმოშობით სამცხიდან იყო. იგი 1009 წელს დაიბადა თრიალეთში, საქართველოს სამეფო კარზე დაახლოებული და გავლენიანი სახელმწიფო მოღვაწის იაკობისა და მარიამის ოჯახში. შეიდ წლამდე გიორგი დედ-მამასთან იზრდებოდა „და იყო იგი სიყრმითგან სავსე შიშითა და სიყუარულითა ღმრთისათა“.

შეიდი წლის გიორგი ტაძრისის დედათა მონასტერში მიიყვანეს და წინამდღვარს, დედა საბაიას, ჩააბარეს ალსაზრდელად. ტაძრისის დედათა მონასტერში გიორგიმ სამი წელი დაჰყო. შემდეგ, ათი წლის გიორგი, მამამ ხახულის მონასტერში წაიყვანა და ალსაზრდელად ჩააბარა იქ მოღვაწე თავის ორ ძმას, ღირს გიორგისა და საბას.

ბიძებმა, ძმისწული ხახულის მონასტრის წინამდღვარს, ღირს მაკარი მმარხველს მიჰყვარეს. გაიხარა ღმრთისგან მომავლის განჭვრეტით დაჯილდოებულმა წინამდღვარმა, ყრმა გიორგის ხილვით და „სულისა თვისისა შეილად უწოდა“. იმ დროს ხახულში მოღვაწეობდნენ „ქართველთა ეკლესიათა სამკაული“ ბასილი ბაგრატ მესამის ძე, ღირსი ილარიონ თვალოელი, „რომლისა სათნოებათა და მოღვაწებათა წარმოთქმად შეუძლებელ არს“, ღმერთშემოსილი ანტონი მნათე, და სხვა მრავალნი, რომელთა ცხოვრებამ წარუშლელი კვალი დატოვა გიორგის ჩამოყალიბებაში. თვითონ გიორგიმაც ყველა გააკვირვა თავისი გონიერებითა და სიბეჯითოთ, „საგალობელნი იგი საწელიწადონი და შეწყობილებანი იგი გალობათანი ყოველნივე მეყსა შინა ზეპირით დაისწავლნა“.




თრიალეთის ერისთავმა, ფერის ჯოჯიკის ძემ, გიორგის ბიძა, გიორგი მწერალი, თავის სასახლეში მიიწვია მოძღვრად. გიორგიმ ძმისშვილიც თან გაიყოლა. ყრმა გიორგის სიკეთით განცვიურებულმა ფერისის მეუღლემ, „საღმრთომან მან დედაკაცმან შვილად თვისად“ მიიღო გიორგი და „დაყვეს მრავალი ჟამი კეთილსა და ღმრთისა სათხოსა ცხოვრებასა შინა“. იმ დროს თრიალეთი ბიზანტიის ხელში იყო. კეისარმა ბასილიმ მის წინააღმდეგ მოწყობილ შეთქმულებაში ფერისაც დასწამა ცილი, კონსტანტინოპოლში დაიბარა და თავი მოჰკვეთა.

ფერისი მეუღლე თორმეტი წელი დარჩა ბიზანტიის დედაქალაქში. ღმრთისმოყვარე დედაკაცმა გიორგი „სასწავლოდ მისცა კაცთა ფილოსოფოსთა და რიტორთა, ორთავე ცხოვრებითა შემკობილთა“. 1022-1034 წლებში გიორგიმ საფუძვლიანად შეისწავლა ბერძნული ენა.

1034 წელს კეისარის ბრძანებით ფერისის მეუღლე კვლავ სამშობლოში დაბრუნდა და გიორგიც თან წამოიყვანა. გიორგი ხახულის მონასტერში მივიდა და ოცდახუთი წლისამ „ტკბილსა მას უღელსა მონაზონებისასა ქედი თვისი მოუდრიკა. მოძღუარი მისი სულიერი და ღუანლთა მიმართ მონაზონებისათა მწურთელი, დიდი ილარიონ წუთ ხორცთაღა შინა იყო და წელთაგან მისთა მიიღო კურთხევად მონაზონებისაა, რამეთუ იგი იყო პირველი მოძღუარი მისი და მიზეზი ყოვლისა კეთილისაა“.

1036 წელს „უცხოებისა და თვისთაგან განშორებით“ მოღვაწების სურვილით გიორგიმ დატოვა მონასტერი და გლახაკის ძონძებში გადაცმული, იერუსალიმისაკენ გაემართა. „შრომითა და მოღვაწებითა შემკულმან მამამან“ გაჭირვებით მიაღწია შავ მთამდე. იქაური სინმიდეების მოლოცვისა და იქ მოღვაწე მამების მოკითხვის შემდეგ გიორგიმ „ყოვლისა პირველად იწყო ძიებად წინამძღვრისა სულიერისა, რამეთუ უწყოდა, ვითარმედ თვნიერ მოძღვრისა არა არს ცხოვრება სულისა და წარმატება მონაზონებისა“. იპოვა კიდეც მთის ნაპრალებში დაყუდებული საოცარი მოძღვარი „კაცი ზეცისაა და




ანგელოზი ქუეყანისად, ყოვლითურთ უცხო და განშორებული წორცთა და წორციელთა ზრახვათაგან და გონებითა ღვთისა მიცვალებული“ ქართველი მონაზონი გიორგი დაყუდებული.

სამი წლის მოღვაწეობის შემდეგ 1039 წელს გიორგი დაყუდებულმა „ჰასაკით, სიბრძნითა და გონიერებით“ სრულქმნილი გიორგი იერუსალიმში გაგზავნა წმიდა ადგილთა მოსალოცად, უკან დაბრუნებულს კი მთაწმიდაზე წასვლა და „თარგმანება წიგნთა საღმრთოთა ბერძულისაგან ქართულად“ დაავალა. გიორგიმ მოკრძალებული უარი შეჰქადრა მოძღვარს: „შეუძლებელ არს ჩემგან და ესევითართა განღმრთობილთა კაცთა შვენის, ვითარცა იყო წმიდა მამა ჩუენი ეფთვმე“, გიორგი დაყუდებულმა გაამხნევა სულიერი შვილი და კვლავ აკურთხა მისი მომავალი მოღვაწეობა: „შვილო, რომელმან წმიდა იგი სიკვდილისაგან იხსნა და ქართული ენა განმარტა, იგივე შემძლებელ არს შენდაცა შეწევნად, რამეთუ მას დიდად ეწყალის და უყვარს ნათესავი ჩუენი და თუთ მას წმიდასა მამასა ეფთვმის ვევედრნეთ, რათა შეგენიოს“.

იერუსალიმის მოლოცვის შემდეგ, 1040 წელს გიორგი ათონზე გაემგზავრა. გიორგიმ მონასტრის ყველაზე მძიმე საქმეები იტვირთა „ყოვლისა თავისა თვისისა შეურაცხექმნითა... ვითარცა კაცმან ლიტონმან და უსწავლელმან“. როგორც მისი ცხოვრების აღმწერელი მოვითხოობს, ღირსი გიორგი ყოველთვის თავდახრილი დადიოდა და „თვინიერ საჭიროთა საქმეთა“ არავის შეხედავდა. მისი სულიერი თვალები კი „მარადის უხილავსა მას დიდებასა ღმრთისასა“ განიცდიდა.

გიორგი დაყუდებულმა თავისი მოწაფის, თეოდორეს პირით კიდევ ერთხელ შეახსენა გიორგის ათონზე გაგზავნის მიზეზი და საყვედურიც შეუთვალა. გიორგიმ პატიება სთხოვა მოძღვარს, მიიღო მღდლობის პატივი, საღმრთო წიგნების თარგმნასაც მიჰყო ხელი და მაღლე მთელი საძმოს წინამძღვარიც შეიქნა. ამ დროიდან იწყება ფართო მოღვაწეობა გიორგი მთაწმინდელისა. მან შეკრიბა ცნობები ეფთვიმესა და იოვანეს შესახებ, აღნერა მათი ცხოვრება, გადმოასვენა



და დიდებულ ლარნაკში მოათავსა წმიდა მამათა ნაწილები, გაამშვენიერა და „ყოვლითურთ სრულჰყო წმიდა ეკლესიად“.

წინამდლრობამ ძალზე გადატვირთა გიორგი მთაწმინდელი და, რადგან „ღმრთივ მინიჭებული იგი ტალანტი არა აღორძინდებოდა, რომელ არს ღმრთივსულიერთა წიგნთა თარგმნაა, იჯმნა წინამდლვრობისაგან, შავ მთაზე წავიდა გიორგი დაყუდებულთან და იქ განაგრძო „თარგმანებაა წიგნთა საღმრთოთა ბერძულისაგან ქართულად“. გიორგი დაყუდებულმა ისევ უკან დაბრუნება უბრძანა თავის სულიერ შევილს. გიორგი მთაწმინდელი დამორჩილდა მოძლვრის კურთხევას, ათონის მთაზე დაბრუნდა და ჩვეულ მოღვაწეობას შეუდგა.

გიორგი ათონელის ბიოგრაფის სამართლიანი თქმით „ესევითარი თარგმანი, თვინიერ მამისა ჩუენისა ეფთვმესა სხუად არა გამოჩენილა ენასა ჩუენსა“. ამ საოცარი მამის მიერ თარგმნილ წიგნთა მხოლოდ ჩამოთვლაც კი ნათელს ხდის მისი მოღვაწეობის განუზომელ მნიშვნელობას: დიდი სვინაქსარი, სანელინადო გამოკრებული, პავლენი სრული, პავლენი გამოკრებული, სანელინადო, თვენი, სადღესასწაულო, დავითნი, დიდი პარაკლიტონი, დიდი მარხვანი, ზატიკი, დაბადების თარგმანება იოვანე ოქროპირისა, ბასილი დიდის ექვსთა დღეთა, მეექვსე კრების ძეგლისწერა, წიგნი გრიგოლ ნოსელისა და სხვანი.

საბერძნეთში ქართველთა მონასტრის დიდი ავტორიტეტის გამო შურით აღვსილი სვიმონწმიდელი ბერ-მონაზვნები ანტიოქიის პატრიარქ თეოდოსისთან მივიღნენ საჩივრით: „გვხსენ დიდისა ჭირისაგან და განგვათავისუფლენ კაცთაგან ამაოთა და უცხო-თესლთა, რამეთუ არს მონასტერსა შინა ჩუენსა ვითარ სამეოცი კაცი, რომელი ქართველად სახელ-იდებენ თავთა თვესთა და არა უწყით, რად არს სარწმუნოებად მათი“. პატრიარქმა თავისთან დაიბარა ბერძნულად კარგად მოლაპარაკე გიორგი მთაწმინდელი. ლირსმა გიორგიმ ისეთი სიბრძნით იქადაგა მართლმადიდებლობა, რომ მსმენელები განაკვირვა.

ცოტა ხნის შემდეგ პატრიარქს კვლავ მოახსენეს, საქართველოში მოციქულებს არ უქადაგიათ, თვითონაც მცირერიცხვანნი არიან, ამიტომ ჯერ-არს ანტიოქიის პატრიარქის ხელმწიფების ქვეშ იყვნენო. პატრიარქმა კვლავ გიორგი მთაწმინდელი დაიბარა და უთხრა: „მეფე თქვენი წინაშე ჩუენსა მოვიდეს და წელმწიფებასა ჩუენსა დაემორჩილოს“. წმიდა გიორგი მთაწმიდელის საპასუხო არგუმენტმა საბოლოოდ დაუსვა წერტილი საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის შესახებ არსებულ გაუგებრობას. გიორგიმ მშვიდად აუხსნა პატრიარქ თეოდოსის საქართველოს ეკლესიის სამოციქულო პატივის ისტო-

რიულ-მისტიური მხარეები: „შენ იტყვკ, ვითარმედ თავისა მის მოციქულთავსა პეტრეს საყდარსა ვზიო, ხოლო ჩუენ პირველწოდებულისა და ძმისა თვისისა მწოდებელისა ნასწავლი ვართ და სამწყსონი და მის მიერ მოქცეული და განათლებული და ერთი წმიდათა ათორმეტთა მოციქულთაგანი — სვიმონს ვიტყვკ კანანელსა — ქუეყანასა ჩუენსა დამარხულ არს აფხაზეთს, რომელსა ნიკოფისი ეწოდების. ერთი ღმერთი გვცნობიეს, არღარა უარ-გვყოფიეს და არღა ოდეს წვალებისა მიმართ მიდრეკილ არს ნათესავი ჩუენი... ჯერ არს წოდებული იგი მწოდებელსა მას დაემორჩილოს, რამეთუ პეტრესი ჯერ არს, რათა დაემორჩილოს მწოდებელსა თვისა და ძმასა ანდრეას და რათა თქუენ ჩუენ დაგვემორჩილნეთ!.. იყო უამი, რომელ ყოველსა საპერძეოსა შინა მართლმადიდებლობა არა იპოვებოდა და იოანე გუთელ ეპისკოპოსი მცხეთას იურთხა ეპისკოპოსად“.

ბაგრატ მეფე ხშირად სთხოვდა გიორგი მთაწმიდელს საქართველოში ჩამოსულიყო და მიელო ჭყონდიდელ მწიგნობართუხუცესის თანამდებობა. გიორგი თავს იკავებდა, რადგან „ყოველთა მოსწრავებითა ევლტოდა დიდებასა კაცთასა და შფოთსა სოფლისასა და სიმდაბლესა შეიტკბობდა“, მაგრამ ბოლოს, როცა „სრულემნა თარგმანება საღმრთო წიგნთა“ აღასრულა მეფის სურვილი და საქართველოში ჩამოვიდა.

გიორგი მთაწმიდელი არ მოერიდა საეკლესიო და საერო ხელისუფალთა კრიტიკას, ეკლესიის წიაღში დამკვიდრებულ ნაკლოვანებათა მხილებას, გამოიკვლია მაშინდელი მდგომარეობა სასულიერო წოდებისა და მოაწესრიგა საეკლესიო ცხოვრება. იმ დროს გავრცელდა ჩვენს ეკლესია-მონასტრებში გიორგი მთაწმიდელის მიერ ნათარგმნი წიგნებიც.

ეკლესიაში უარყოფილ იქნა წოდებრივი უპირატესობის პრინციპი და ღირსეული ადამიანები დაწინაურდნენ. გიორგი მთაწმინდელმა



ჭყონდიდელ-მწიგნობართუსუცესად იოვანესი, სახელმწიფო და საეკლესიო საქმეებში კარგად ჩახედული, ცნობილი დიპლომატი იოვანე (წმიდა იოვანე ჭყონდიდელი, ხს. 3 (16)იანვარი).

გიორგი მთანმიდელი ენერგიულად იღვწოდა საქართველოში მწიგნობრულ-საგანმანათლებლო საქმიანობის განვითარებისათვის. ხუთი წლის მოღვაწეობის შემდეგ მამა გიორგი ისევ მთანმინდაზე დაბრუნდა. ბაგრატ მეფემ პატივით და დიდძალი შესაწირავით გაისტუმრა ქართველთა მნათობი.

ათონს მიმავალმა ნეტარმა გიორგიმ თან ოთხმოცი ობოლი ბავშვი წაიყვანა, „რადთა იზარდებოდინ მონასტერსა შინა, ვითარცა შვილნი და მკვდრნი წმიდისა ეკლესიისანი“. გიორგი იმედოვნებდა, რომ საქართველოს ეკლესიისთვის ლირს პიროვნებებს აღზრდიდა.

კონსტანტინოპოლში ჩასულმა გიორგი ათონელმა წინასწარ იგრძნო აღსასრულის მოახლოება და ბრძანა, მის მიერ საბერძნეთში აღსაზრდელად წამოყვანილი ბავშვები იმპერატორის წინაშე წარსადგენად მოემზადებინათ. „უკუეთუ დღეს არა ვიხილო მეფე, ხვალე ხელთა არა გვაქვს!“ — ჩქარობდა წმიდა მამა.

მამა გიორგიმ „პატივი მისცა მეფესა და პრქუა, ვითარმედ „შემდგომად ღმრთისა ხელთა შენთა შევვედრებ ობოლთა ამათ“. შემდეგ ყრმებს წმიდა სვიმეონ მიმრქმელის ლოცვა „ან განუტევე...“ აგალობა და მეორე დღეს, მოციქულთა პეტრესა და პავლეს დღესასწაულზე მიიცვალა.

ათონელმა მამებმა წმიდა გიორგი მთანმიდელი, ათონზე, ივერთა მონასტერში გადაასვენეს და „ლუსკუმასა შინა მარმარილოსა გიორგის თანა მაშენებელისასა დაკრძალეს, ვითარცა მეორედ მაშენებელი და შემამკობელი ეკლესიათა“.





მღვდელმონაშე კირიონი (ერისკაცობაში გიორგი იერონიმეს ძე საძაგლიშვილი), დაიბადა 1855 წელს, გორის მაზრის სოფელ ნიქოზში, მღდლის ოჯახში.

გიორგი ჯერ ანანურის საერო სკოლაში სწავლობდა, შემდეგ გორის სასულიერო სასწავლებელსა და ტფილისის სასულიერო სემინარიაში. შემდეგ მან სწავლა განაგრძო კიევის სასულიერო აკადემიაში, რომელიც 1880 წელს ლმრთისმეტყველების კანდიდატის ხარისხით დაასრულა და დაინიშნა ოდესის სასულიერო სემინარიის ინსპექტორის თანაშემწედ.

1883 წელს გიორგი საქართველოში დაბრუნდა და პედაგოგიური მოღვაწეობა დაიწყო, ასწავლიდა გორში, თელავში, ქუთაისში, ტფილისში.

1897 წელს გიორგი მონაზონად აღიკვეცა და მას სახელად კირიონი უწოდეს. მონაზონი კირიონი მალევე აკურთხეს მღდლად და ქვაბთახევის მონასტრის წინამდლვრად დანიშნეს. იმ პერიოდში კირიონი მეცნიერულ მოღვაწეობასაც აგრძელებდა, კრებდა და სწავლობდა ხალხური სიტყვიერების ნიმუშებსა და ზნე-ჩვეულებებს, მუშაობდა ეკლესია-მონასტრებში დაცულ ისტორიულ დოკუმენტებზე.

კირიონმა ტფილისის საეკლესიო მუზეუმსა და წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების სიძველეთა საცავს შესწირა ეკლესია-მონასტრების ნესტიან სენაკებში მიკვლეული და საოჯახო კოლექციებიდან მოპოვებული იშვიათი ხელნაწერები.

კირიონი დაინიშნეს საქართველოს მონასტრების ბლალოჩინად და კავკასიაში ქრისტიანობის აღმდგენელი საზოგადოების სკოლების ინსპექტორად; ამავე დროს ქართულ და რუსულ უზრნალ-გაზეთებში ივერიელის, საძაგელოვის, ლიახველის ფსევდონიმებით აქვეყნებდა წერილებსა და გამოკვლევებს საქართველოს ეკლესიის ისტორიაზე, ხალხურ ზეპირსიტყვიერებაზე, ქართულ ლიტერატურაზე.

კირიონმა, რომელიც მოსკოვის არქეოლოგიური საზოგადოების წევრი იყო, 1898 წელს გამოსცა ლიახვის ხეობის ისტორიულ ძეგლთა

ალწერილობა, ამას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა, რადგან ბევრი იქ ალწერილი ძეგლი მომდევნო ხანებში განადგურდა.

1898 წლის აგვისტოში არქიმანდრიტი კირიონი აკურთხეს ალავერდის ეპისკო-პოსად, რასაც ქართული საზოგადოება დიდი სიხარულით შეხვდა.

მეუფე კირიონმა საკუთარი ძალებით დაიწყო განადგურების პირას მისული ალავერდის ტაძრის შეკეთება, ხელი მიჰყო კახეთის ეკლესია-მონასტრებში დაცული სიძველების შესწავლას. მან საქართველოს საეკლესიო მუზეუმს გადასცა 1089 წელს გადაწერილი სახარება, რომლის შესახებაც ქართულმა მეცნიერებამ მანამდე არაფერი იცოდა. ამავე დროს კირიონმა ხმა აღიმაღლა სომხების მიერ ქართული ტაძრების მიტაცების გამო.

1900 წლიდან კირიონი გორის ეპისკოპოსია. საქართველოს საეგზარქოსომ შენიშნა, რომ მეუფე კირიონის ირგვლივ თავს იყრიდა განათლებული სამდდელოება, რომელიც აშკარად გამოხატვდნენ უკმაყოფილებას საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის გაუქმების გამო. მთავრობამ გამოსავალი იმაში გამონახა, რომ ეპისკოპოს კირიონს ხშირად უცვლიდნენ ეპარქიებს — 1903 წელს იგი ხერსონში გაამწესეს, 1904 წელს ორიოლში, 1906 წელს კი სოხუმში.

წმიდა კირიონი უდიდესი ქველმოქმედი იყო. მისი მატერიალური დახმარებით რუსეთისა და საზღვარგარეთის უმაღლეს სასწავლებლებში სამასამდე ქართველმა ახალგაზრდამ მიიღო განათლება.

1905 წელს ქართული საზოგადოების მოწინავე ნაწილმა ილია მართლის (ჭავჭავაძის) მეთაურობით მეფისისაცვალ ვორონცოვდაშვილს ოფოციალურ დონეზე მოსთხოვა საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის საკითხის განხილვა. რუსეთის მთავრობა იძულებული შეიქნა, ფორმალურად მაინც დაენიშნა პეტერბურგში სპეციალური სხდომა, სადაც უნდა განხილულიყო აღნიშნული საკითხი. ეპისკოპოსმა კირიონმა სხდომაზე წაიკითხა ორი მოხსენება.

ფორმალურად დანიშნულმა კომისიამ უარყო ქართველი სამღდელოების სამართლიანი მოთხოვნები, რის შემდეგაც დაიწყო მეუფე კირიონის დევნა-შევიწროება.

1908 წლის 28 მაისს მოკლეს ეგზარქოსი ნიკონი და მეუფე კირიონს დაბრალეს მკვლელობაში მონაწილეობა. ამგვარმა ცილისწამებამ



კათოლიკოს-პატრიარქი კირიონი
ახალგაზრდობაში

ალაშვილთა როგორც საქართველო, ისე რუსეთის საზოგადოების მოწინავე ნაწილი. ევროპაში კირიონის დაცვის საზოგადოებაც შექმნეს და დაიწყეს ხელმოწერების შეგროვება მისი გათავისუფლების მოთხოვნით.

ცილისნამებებმა და ტანჯვამ ვერ გატეხა წმიდა კირიონი: „ვარდი უეკლოდ ვის მოუკრეფია, სიყვარულით უნდა ავიტანოთ ტანჯვა, ვინაიდან ტანჯვა სიყვარულის ნაყოფია, ძალა ტანჯვაშია“ — წერდა მეუფე.

მთავრობამ 1915 წელს შეწყვიტა კირიონის დევნა. იგი დანიშნეს პოლოცკისა და ვიტებსკის ეპისკოპოსად, მაგრამ სამშობლოში ჩამოსვლის ნება არ დართეს.

1917 წელს აღდგა საქართველოს სამოციქულო ეკლესიის ავტოკეფალია და ამავე წლის ზაფხულში ეპისკოპოსი კირიონი სამშობლოს კენ გამოემგზავრა. არაგვის ხეობაში მას შეეგება ასოციამდე ცხენოსანი და დიდი პატივით მიაცილეს დედაქალაქამდე.

1917 წლის 8 სექტემბერს, ტფილისში შედგა საეკლესიო კრება, რომელსაც ოთხასოცდაათზე მეტი დელეგატი ესწრებოდა. სხვადასხვა საკითხებთან ერთად კრებაზე მიღებული იქნა გადაწყვეტილება ცამეტი ეპარქიის გახსნის შესახებ. აირჩიეს და დაამტკიცეს ახალი მღვდელმთავრები. 17 სექტემბერს კრებამ თავისი მუშაობა დააგვირგვინა სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის არჩევით. საქართველოს სამოციქულო ეკლესიის დაქვრივებულ ტახტზე მწყემსმთავრად გამორჩეულ იქნა ეპისკოპოსი კირიონი.

საეკლესიო კრების შემდეგ 1(14) ოქტომბერს, სვეტიცხოვლის საპატრიარქო ტაძარში საზეიმო ვითარებაში მოხდა კათოლიკოს-პატრიარქ კირიონის ინტრონიზაცია.

სვეტიცხოველში აღსაყდრების დღეს წარმოთქმულ სიტყვაში უწმიდესმა და უნეტარესმა კირიონმა ბრძანა: „სამშობლო საყვარელო, ღმრთისმშობლის ნილხვედრო, ბრძმედსა შინა ტანჯვა-ვაებისასა განწმედილო! შენთვის დაწული, შენგან განშორებული, შენთვის მტირალი, მუდამ შენკენ ღტოლვილი, დღეს განვისვენებ ტკბილსა შინა წიაღსა შენსა არა ვითარცა შვილი უძღები, არამედ ვითარცა მესაიდუმლე და სინდისი ეკლესიისა შენისა... ვიცი, შენი გულისყური ამჟამად ჩემკენაა მოქცეული და მეკითხები: რა მომიტანე, რა მაღლამოსა სცხებ იარებსა ჩემსა, რით მანუგეშებ სევდა მოსილსა? ყური მომიტყარ: „არა მოველ, რათა გიმსახურო, არამედ მსახურებად შენდა და მიცემად სული სახსრად შენდა“ მოვედი არა ვითარცა მნე სასყიდით დადგინებული, რამედ ვითარცა მნე ერთგული და მარად მორჩილი“.

კათოლიკოს-პატრიარქმა კირიონმა წერილები დაუგზავნა მსოფლიოს ეკლესიათა მეთაურებს, რომელშიც მოკლედ და დასაბუ-

თებულად გადმოსცა საქართველოს ეკლესიის ისტორია და მოი-
თხოვა ეცნოთ საქართველოს ეკლესიის ისტორიული ავტოკეფალია.

საქართველოში სარწმუნოებრივი და ეროვნული პრინციპების დამკვიდრე-
ბისა და აღორძინებისათვის დაუც-
ხომლად მებრძოლი კათოლიკოს-
პატრიარქი კირიონი აქტიურად შე-
უდგა გარუსებული სასულიერო სას-
ნავლებლების და არაქართველი სამ-
რევლოების საქართველოს ეკლესიის
იურისდიქციაში მოქცევას.

უნიდესი კირიონის მეთაურობით
საქართველოს ეკლესიამ დიდი როლი
შეასრულა სახელმწიფოებრივი დამო-
უკიდებლობის აღდგენაში. 1918 წლის
26 მაისს, საქართველოს ეროვნული
საბჭოს ყრილობაზე, რომელმაც საქა-
რთველოს სახელმწიფოებრიობის და-
მოუკიდებლობის აღდგენის დეკლარა-
ცია მიიღო, წმინდა კირიონმა დელე-
გატები გააგზავნა, თვითონ კი ლოცვად დადგა და სამადლობელი
პარაკლისი გადაიხადა.

კირიონმა აკურთხა ტფილისის პირველი ქართული უნივერსიტეტი
და ეროვნული მეცნიერების აღორძინების დიდი საქმის დაწყება მიუ-
ლოცა ქართველ ერს.


1918 წლის 27 ივნისს მარტყოფის მონასტრის საპატრიარქო
რეზიდენციაში ტყვიით მოკლული იპოვეს კათოლიკოს-პატრიარქი
კირიონი. უდიდესი იყო ის ტკივილი, რაც იმ დროს საქართველომ
გადაიტანა. კირიონის ცხედარს ცრემლებით ემშვიდობებოდა მთელი
ქვეყანა, შენდობასა და მეოხებას ითხოვდა მათთვის თავდადებული
მწყემსმთავრისაგან მთელი ერი.

სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი უნინდესი და
უნეტარესი კირიონი, პატივით დაკრძალეს სიონის საპატრიარქო
ტაძარში.



კათოლიკოს-პატრიარქი კირიონი


წმიდა ღინარ დედოფალი (X)
30 (13.07) ივნისი



წმიდა ღინარ დედოფალი იყო წმიდა აშოტ დიდის შთამომავალი — „შვილი ძის ძის ძისა აშოტ კურაპალატისა“. წმიდა ღინარის ძმები იყვნენ გუარამ მამფალი და გურგენ ერისთავი.

ჰერეთის მეფეს, ადარნას პატრიკის, მისი შვილისთვის ცოლად შეურჩევია სიწმიდითა და სიბრძნით ცნობილი ღინარა ბაგრატიონი. იმ დროს ჰერეთისა და ალბანეთის მოსახლეობა მონოფიზიტური მწვალებლობისაკენ იყო მიდრეკილი. დედოფალი დინარა მტკიცედ იდგა მართლმადიდებლურ აღმსარებლობაზე. ღინარა დედოფლის წმიდა ცხოვრებამ და ბრძნულმა პოლიტიკამ შესაბამისი ნაყოფიც გამოიღო, მისი შვილის იშხანიკის თანადგომით „ამან დინარ დედოფალმან მოაქცია ჰერეთი სომებთა წვალებისაგან მართლმადიდებლობასა აღმსაარებელად“. საქართველოს ეკლესია ყოველთვის დიდ პატივს მიაგებდა დედოფალ ღინარას. რომ არა მისი თავგამოდებული ღვაწლი, ამიერკავკასიის მრავალრიცხოვანი მოსახლეობა შეემატებოდა მონოფიზიტთა რიგებს, რომელნიც იქ გაბატონებულნი იყვნენ სპარსელთა ხელშეწყობით.

რუსული საეკლესიო მატიანებიც მოიხსენიებენ ივერიის დედოფალ დინარას, რომელსაც დიდი ღვაწლი მიუძღვის ქრისტიანობის წინაშე. სლავურ-რუსული ტომები, რომლებიც, ამიერკავკასიაში შემოდიოდნენ კასპის ანუ დარუბანდის კარით, ხვდებოდნენ ივერიელ (ჰერ) მოსახლეობას და მათ გაიტანეს ცნობები ქართველთა დედოფალ დინარას შესახებ. მოსკოვის კრემლის სასახლეში, ოქროს სადედოფლო დარბაზის ჩრდილოეთის კედელზე გამხატულია თეთრ ცხენზე ამხედრებული მტკიცერთა მძლეველი წმიდა დედოფალი დინარა.



ივლისი

- 3 (16) — ღირსი გიორგი ღმერთშემოსილი,
დაყუდებული (+1068);
- 8 (21) — წმიდა მირდატ მეფე (+379);
- 12 (25) — ღირსი ათონელნი მამანი: იოვანე —
ეფთვიმეს მამა და გაბრიელი (X);
- 18 (31) — ღირსმონამე კოზმან ხუცესმონაზონი,
მნიგნობართუხუცესი (+1630);
- 20 (2.08) — მონამე სალომე ქართველი (+1272);
— წმიდა ილია მართალი (ჭავჭავაძე) (+1907);
- 24 (6.08) — ღირსი ილარიონ თვალოელი (XI);
- 27 (7.08) — ღირსმონამე ლუკა იერუსალიმელი (XIII);
(ცხ. იხ. 12(25) თებერვალი);
- 28 (10.08) — ღირსი გიორგი მაშენებელი —
ათონელი (+1029);
- 29 (11.08) — მონამე ევსტათი მცხეთელი (+589);
- 30 (12.08) — წმიდა ცოტნე დადიანი — საქართველოსთვის
თავდადებული და აღმსარებელი (XIII)
- 31 (13.08) — ღირსი არსენ ნინოწმიდელი (+1082);



ღირსი გიორგი ღმერთშემოსილი არის საქართველოს ეკლესიის ერთ-ერთი უდიდესი საეკლესიო მოღვაწე. სამწუხაროდ, ბიოგრაფიული ცნობები მის შესახებ მეტად მნირია. როგორც ჩანს, გიორგი საქართველოში აღიკვეცა მონაზვნად, შემდეგ კი „კაცი ზეცისა და ანგელოზი ქუეყანისა“, საქართველოდან წავიდა და ანტიოქიის მახლობლად, შავ მთაზე დაემკვიდრა. შავ მთაზე ქართველთა სავანეების რაოდენობა, ზოგი მკვლევარის აზრით, თორმეტამდე აღწევდა, მათ შორის ყველაზე მრავალრიცხოვანი იყო სვიმეონნმიდის მონასტერი.

იმ დროს შავ მთაზე სხვადასხვა ქვეყნის უამრავი ეკლესია-მონასტერი იყო, ყველა ცდილობდა ადგილის დამკვიდრებას და არცთუ იშვიათი იყო განსხვავებული ეროვნების ბერ-მონაზონთა შორის გაუგებრობანი.

გიორგიმ სვიმეონნმიდის ქართველთა მონასტრის მახლობლად „ნაპრალსა შინა კლდისასა“ ჰქოვა თავშესაფარი და იქ დაეყუდა. მისი ცხოვრების შესახებ კარგად იცოდნენ საქართველოში და უცხოეთშიც. გიორგი ერთდროულად იყო უდიდესი ასკეტიც და სამშობლოსთვის თავდადებული მოღვაწეც, ყოველგვარ ეროვნულზე ამაღლებულიც და უდიდესი პატრიოტიც.

გიორგი ღმერთშემოსილი ცხოვრობდა „ვითარცა გურიტი უბინოდ და ტრედი უმანკოდ, კაცი ზეცისად და ანგელოზი ქუეყანისად. განშორებული ჭორცთაგან და ჭორციელ ზრუნვათაგან, გონებით ღმრთისა მიცვალებული“. წმიდა გიორგი შეყენებულმა დაიმოწაფა შავ მთაზე მისული გიორგი მთაწმიდებული და სამი წელი აცხოვრა თავისთან.

სამი წლის შემდეგ წეტარმა გიორგი ღმერთშემოსილმა იხილა, რომ მისი მოწაფე „ყოვლითა სრულებრივ არს ჰასაკისა თანა სიბრძნითა და გონიერებითა“, მონაზვნობის დიდი სქიმით შემოსა და „ამით სრულყო მონაზონობა მისი“.

გიორგი დაყუდებულის კურთხევით გიორგი მთაწმიდებულმა მოილოცა იერუსალიმის სიწმიდეები და კვლავ შავ მთაზე დაბრუნდა.


გიორგი დაყუდებულმა აკურთხა გიორგი მთანმინდელი, ათონზე წასულიყო და გაეგრძელებინა ეფთვიმე ათონელის საქმე, ბერძნული-დან ქართულად ეთარგმნა საღმრთო წიგნები, თან ღმრთივ-გაბრძნობილი სიტყვებით გაამ-ხნევა: „შვილო, რომელმან წმი-და იგი სიკუდილისაგან იხსნა და ქართული ენად განმარტა, იგივე შემძლებელ არს შენდაცა შენევნად, რამეთუ მას დიდად ენყალის და უყუარს ნათესავი ჩუენი“. ღირსი გიორგი ათონის მთაზე გაემგზავრა, მაგრამ წიგნების თარგმნის ნაცვლად შვიდი წლის მანძილზე ასრულებდა მორჩილების სხვადასხ-ვა საქმეს. გიორგი შეყენებულმა ათონზე თავისი მოწაფე გაგზავნა და „დიდი მდურვა მიუმცნო“ გიორგის „არღა აღსრულებისათვის წებისა მისისა“. მისი კურთხევით მიიღო გიორგი მთანმინდელმა მღდლობის ხა-რისხი და მთარგმნელობითი მოღვაწეობაც დაიწყო.

გიორგი შეყენებული ხელმძღვანელობდა გიორგი მთანმინდელის ლიტერატურულ საქმიანობასაც, უშუალოდ მისი კურთხევით თარგმნა გიორგი მთანმინდელმა „დავითნი“ და „სამოციქულო“. გიორგი მთანმინდელი ხშირად აღნიშნავდა მის მიერ ნათარგმნი წიგნების ანდერძ-მინანერებში, რომ „შემდგომად ღმრთისა იგი (გიორგი დაყუდებული) არს მიზეზი ყოვლისა კეთილისად, მათითა ბრძანებითა და მადლითა და ლოცვითა მითარგმნიან ესე საღმრთონი წიგნი“.

მიუხედავად იმისა, რომ გიორგი განდეგილ ცხოვრებას ეწეოდა, მან უდიდესი ღვაწლი დასდო ქართული სასულიერო მწერლობის განვითა-რებას. გიორგის მტკიცე კავშირი ჰქონდა ათონზე მოღვაწე ქართველ მამებთან, საიდანაც, მისი სიტყვით, „სახიერმან და კაცომოყვარემან ღმერთმან ყოველი აღმოსავლეთი საღმრთოთა ნათლითა განაბრნ-ყინვა და წმიდანი ეკლესიანი ქართლისანი ახლად შეამკვნა“.

გიორგი დაყუდებულის კურთხევით აღნერა გიორგი მცირემ, გიორ-გი მთანმინდელის ცხოვრება და ნამრომი ღირს გიორგი დაყუდებულს გაუგზავნა სრულყოფისათვის: „შენდა დამიტევებიეს, რათა შენ კეთილად შეამკო და განაცხადო ჩემ მიერ გამოსახული ესე და ნაკლო-ვანებად ყოველივე, ვითარცა აღმასრულებელმან სულიერთა ფიცართამან სრულჲყო და შენმანცა სიბრძნემან... შესძინენ ნაკლო-ვანებასა ამას ზედა განასრულენ“.

წმიდა გიორგი დაყუდებული მშვიდობით მიიცვალა 1068 წელს.





მეფობდა დიდსა სარწმუნოებასა შინა. და მან აღაშენა ეკლესია თუხარისის ციხესა შინა, რამეთუ ხევსა კლარჯეთისასა არა იყო ეკლესია, და მუნ შინა დაადგინა მღდელნი მოძღვრად კლარჯთა, და მათა შემკობა და შენება ურუშეთისა და წუნდის ეკლესიათა".

მირდატის მეფობის დროს საქართველოს ეკლესიას განაგებდა მთავარეპისკოპოსი იაკობი და შემდეგ იობი. მირდატ მეფემ იმერეთში აშენა ხონის ტაძარი და დაუდგინა ეპისკოპოსი.

მირდატის მეფობის დროს „იწყეს ქართველთა სუეტისა ცხოველისა-აგან ნაწილის გამოღებად და ქმნად ჯვარისა, რამეთუ დიდნი სასწაული და კურნებანი იქმნებოდეს, სადაცა იყვის ნაწილი სუეტისა ცხოველისა... და განეფინა ყოველთა ადგილთა ქართლისათა ნაწილი სუეტისა ცხოველისა".

მირდატ მეფემ სვეტიცხოვლის ტაძარში, იესუ ქრისტეს კვართის სამარხზე ააგო სვეტიცხოვლის სალხინებელი — „მაშინ ამან მეფემან მირდატ შექმნა ჯვარი ზომიერი და რომელი დარჩა სუეტისა მისგან ცხოველისა, მას გარე მოქმნა ქვითკირითა, და აღამალლა ქვიტკირი პირველ სვეტისა ოდნად და თავსა მის სუეტისასა აღმართა ჯუარი იგი, ძელი განმაცხოველებელი. და ყოველი დღენი ცხოვრებისა მისისანი

წმიდა მირდატ მეფე არის გაერისტიანებული ქართლის რიგით მესამე მეფე — მოციქულთასწორი მეფე-დედოფალ მირიანისა და ნანას შვილისშვილი.

„ქართლის ცხოვრება“ გვაუწყებს, რომ მეფე მირიანის გარდაცვალების შემდეგ, 342 წელს, ქართლის სამეფო ტახტზე „დაჯდა ძე მისი ბაქარ, და იყო მორწმუნე ვითარცა მამად მისი“. ბაქარმა წარმატებით გააგრძელა მამის მოციქულებრივი მოღვაწეობა — „მოაქცია უმრავლესნი კავკასიანი, რომელნი ვერ მოექცივნეს მამასა მისსა... აღაშენა ეკლესია წილკნისა და მოკვდა“.

ბაქარის შემდეგ 364 წელს „დაჯდა მეფედ ძე მისი მირდატ და

კავკასია და მან აღაშენა ეკლესია

ალესრულა სარწმუნოებასა შინა დიდსა“.

ნმიდა მეფე მირდატი მშვიდობით მიიცვალა 379 წელს.

ლეონტი მროველის ცნობით, ქართლის პირველი მეფის — ფარნავაზის (302-237 წ. ქრისტეს შობამდე) შემდეგ, ნმიდა მირდატი არის ქართლის ოცდამეექვსე მეფე.

ქართლის მეფეებიდან სულ ხუთ მეფეს ერქვა მირდატი. მათ შორის ორი, ქართლში ქრისტიანობის სახელმწიფო სარწმუნოებად გამოცხადებანდე მეფობდა. (მირდატ პირველი 113-129 წწ. და მირდატ მეორე ბაკურის ძე 246-262 წწ.).

ნმინდა მირდატ მესამის შემდეგ ქართლის ტახტზე სხვადასხვა დროს კიდევ ორი მირდატი მეფობდა: მირდატ მეოთხე (408-410 წწ.) „კაცი ქუელი, მხედარი, შემმართებელი, ურწმუნო და უშიში ღმრთისა, ლალი და ამპარტავანი და მინდობილი მხედრობასა თვისსა, არა მსახურა ღმერთსა, არცა ალაშენა ეკლესია... შეიპყრეს სპარსთა... წარიყვანეს ბალდადს და მუნ მოკვდა“ (ზოგნი მეფე მირდატ მეოთხის სიკვდილს მოწამეობრივად აფასებს) და მირდატ მეხუთე (434-446 წწ.), ნმიდა ვახტანგ გორგასლის მამა.



სვეტიცხოველი.
იესუ ქრისტეს კვართის სალხინებელი

ღირსი ათონელი ეამანი:
იოვანი — ეფთვიმეს ეამა და გაპიელი (X)
12 (25) ივლისი



ღირსი იოვანე ათონელი (ერობაში ვარაზ-ვაჩე ჩორდვანელი) დაიბადა 920 წლის ახლო ხანებში.

ჩორდანელთა გვარი სამცხის გავლენიან ფეოდალთა წრეს ეკუთნებოდა. ვარაზ-ვაჩეს ოჯახს დაწინაურებული მდგომარეობა ეკავათ საქართველოს მეფის დავით კურაპალტის კარზე. ვარაზ-ვაჩე „სიყრმითგან თვისით განსწავლულ იყო თავისუფლისა ხელოვნებათა და გონიერ გონებითა და გულისხმისყოფითა, მეცნიერი ენისა ელინთასა და სხვათაცა ენათა ზედმიწევნულობით სწავლული და აღსავსე სიბრძნითა და შიშითა ღმრთისაათა“.

ვარაზ-ვაჩე დიდი გავლენით სარგებლობდა საქართველოს სამეფო კარზე. იგი დაოჯახდა, შვილებიც შეეძინა, მაგრამ სინმიდისაკენ მიდრეკილმა სულმა ვერ ჰპოვა განსვენება. ვარაზ-ვაჩემ დატოვა ყოველივე ამქვეყნიური და ფარულად მიაშურა ოთხთა ეკლესის ლავრას. ვარაზ-

ვაჩე ბერ-მონაზვნებმა მოსემ და გელასიმ მონაზვნად აღკვეცეს და სახელად უწოდეს იოვანე.

ვარაზ-ვაჩეს ცოლ-შვილი მოსავლელად სიმამრმა აბუთარბმა და ცოლისძმებმა წაიყვანეს. მონაზონ იოვანეს სანახავად სხვადასხვა საქმეებზე ხშირად მიდიოდნენ მონასტერში ქართველი დიდებულები და მყუდროებას ურღვევდნენ წუთისოფლის ამაო შფოთისაგან ნებაყოფლობით განშორებულ მონაზონს. ამის გამო იოვანე საბერძნეთში გაემგზავრა და ულუმბოს მთის ერთ-ერთ მონასტერში შეუდგა მოღვაწეობას.

იმ წლებში საბერძნეთის იმპერატორმა საქართველოს მეფეს დავით კურაპალატს ერთგულების ნიშნად აზნაურთა შვილები მოთხოვა მძევლებად. წმიდა იოვანეს ნათესავებმა, სხვებთან ერთად, იოვანეს შვილი ეფთვიმეც მიჰვარეს ბერძნთა იმპერატორს. იოვანემ ეს რომ გაიგო, კონსტანტინოპოლს წავიდა და იმპერატორს გამოსთხოვა შვილი. სიმამრს კი საყვედური შეუტვალა: „რად არს ესე? ნუუკუე შვილნი არა

გესხნესა თქუენ? გარნა ესე ცხად არს, რომელ მათ სწყალობდით, ვითარცა თვისთა შვილთა და ძე ჩემი, ვითარცა ობოლი, მძევლად გასწირეთ! გარნა უფალმან შეგინდვენ თქუენ“. მამა იოვანემ თავისი შვილი ეფთვიმე, ულუმბოს მონასტერში წაიყვანა. ულუმბოდან იოვანე შვილთან და რამდენიმე სხვა მონაფესთან ერთად ათონის მთაზე წავიდა და ათანასე ათონელის ლავრაში დაემკვიდრა, რომელიც დედით ქართველი იყო, ლაზეთიდან.

იოვანე ღმრთისმოშიშებით ზრდიდა ეფთვიმეს და თან მშობლიური ქვეყნის სიყვარულს უნერგავდა შვილს, რომელსაც თითქმის ალარ ახსოვდა საქართველო და ქართული ენაც დავიწყებული ჰქონდა. შვილზე უსაზღვროდ მზრუნველ იოვანეს მძიმე განსაცდელი დაატყდა თავს — ეფთვიმე სასიკვდილოდ დაავადდა და ყველას გადაეწურა მისი გადარჩენის იმედი. იოვანემ მორჩილი გაგზავნა მონასტრის მღდელთან მომაკვდავი ეფთვიმეს საზიარებლად, თვითონ კი ღმრთისმშობლის ხატის წინ დაემხო და ცრემლებით ითხოვდა შვილის განკურნებას.

ეკლესიიდან სენაკში დაბრუნებულ იოვანეს სასიკვდილო სარეცელზე მწოლარე ყრმა ეფთვიმე სრულიად ჯანმრთელი დახვდა. ეფთვიმემ მამას მოუთხრო, რომ მასთან გამოცხადდა დიდებული დედოფალი და ქართულად ჰკითხა: „რაა არს, რაა გელმის, ეფთვმე?“ — „მოკვუდები, დედოფალო“, უთქვამს ეფთვიმეს. მაშინ დედოფალს ხელი მოუხევევია მისთვის და უნუგეშებია: „არარა არს ვნება შენ თანა, აღდეგ, ნუ გემინინ და ქართულად წინილად უბნობდი“. ღირსმა იოვანემ შვილს აუხსნა, რასაც ნიშნავდა ეს ჩევენება: „შვილო ჩემო, ქართლისა ქუეყანაა დიდად ნაკლულევან არს წიგნთაგან და მრავალნი წიგნნი აკლან და ვხედავ, რომელ ღმერთსა მოუმადლებია შენდა. ან იღუანე, რათა განამრავლო სასყიდელი შენი ღმრთისაგან“.

რამოდენიმე ხანში საქართველოდან ათონზე წავიდა და მონაზვნად აღიკვეცა ცნობილი ქართველი მხედართმთავარი თორნიკე ერისთავი. ათანასეს ლავრას იმდენმა ქართველმა მიაშურა, რომ იოვანემ ლავრისგან მოშორებით საკუთრად ქართველებისათვის ააშენა მონას-



ტერი იოვანე მახარებლის სახელზე.

იოვანე ათონელი ბრძნულად განაგებდა ქართველთა სავანეს და ყოველნაირად ზრუნავდა იქ მოღვანე მამების ცხოვრების ღმრთის სადიდებლად და ქვეყნის სასარგებლოდ წარსამართებლად. იოვანე ათონელმა და ათანასემ აკურთხეს იოვანე-თორნიკე, დახმარებოდა საბერძნეთის იმპერატორს, აჯანყებული ბარდა სკლიაროსის დასა-მარცხებლად.

სიცოცხლის ბოლო წლებში წმიდა იოვანე ათონელი ნეკრესის ქარე-ბით დაავადდა და „მრავალთა წელთა ცხედართა ზედა დავრდომილი მდებარე იყო და ფრიადთა ტკივილთა მოითმენდა“. სიკვდილის წინ იოვანე ათონელმა იხმო თავისი შვილი ეფთვიმე და მონასტრის წინამ-ძღვრობა გადააბარა. თან უთხრა, რომ ეფთვიმეს შემდგომ გიორგის-თვის გადაეცა წინამძღვრობა. დალოცა მამები, ეფთვიმეც „აკურთხა... ზეგარდამოხთა კურთხევითა და წელთა შინა მისთა წმიდა სული თვის ღმერთსა შეჰვედრა და მშვიდობით მას ზედა დაწინა“.

ღირსმა ეფთვიმემ პატივით დაკრძალა მამის ცხედარი, შემდეგ კი მის საფლავზე მთავარანგელოზთა ეკლესიაც ააშენა.

წმიდა გაბრიელ ათონელი წარმოშობით ქართველ თავადიშვილთა გვარიდან იყო. მონაზვნური მოღვანეობის საღმრთო სურვილმა იგი ათონის მთაზე მიიყვანა იქ მოღვანე ქართველ ბერ-მონაზვნებთან.

გაბრიელ ქართველი ზაფხულობით ივერონის მონასტრის მახ-ლობლად მიუვალ კლდეებში ცხოვრობდა, ხოლო ზამთრობით სავანე-ში ჩადიოდა და იქაც მდუმარების ღვანლში იმყოფებოდა, მარადჟამს ძაძა ემოსა და ბალახით იკვებებოდა, იყო ჭეშმარიტად კაცი ზეცისა და ანგელოზი ქვეყნისა.

ათონელმა ბერ-მონაზვნებმა ერთ საღამოს ზღვაზე ნათლის სვეტი იხილეს. ეს ხილვა რამდენიმე დღეს გაგრძელდა. წმიდა მთის მამები შე-იკრიბნენ, ზღვის ნაპირზე ჩავიდნენ და ნახეს, რომ ზეციური ნათელი ღმრთისმშობლის ხატს ადგა. მამები ნავებით შევიდნენ ზღვაში, მაგრამ „შორს ივლტოდის ბრწყინვალება იგი მათგან და იყვნენ მჭმუნვა-რე ამისთვის“. მთელი ათონის მთის მონასტრები ლოცვად დადგნენ, რათა გამოეცხადებინა ღმერთს ამ საიდუმლოს მნიშვნელობა. წმინდა მთის რამოდენიმე ბერ-მონაზონს ყოვლადწმიდა ღმრთისმშობელი გა-მოეცხადა და აუწყა, რომ მხოლოდ გაბრიელ ქართველი იყო ღირსი მი-სი წმიდა ხატის გამოყვანებისა. იმავდროულად ღმრთისმშობელი გა-მოეცხადა გაბრიელს და უთხრა: „შემოდი ზღვაში, ტალღებზე რწმე-ნით გაიარე და ყველა იხილავს ჩემს სიყვარულს და წყალობას თქვენი სავანისადმი“.

ბერ-მონაზვნები მივიდნენ ივერთა მონასტერში და მოიკითხეს მთა-ში დაყუდებული გაბრიელ ქართველი. ბრწყინვალე შვიდეულის

სამშაბათს, ქრისტეს აღდგომის საგალობელთა გალობით გაბრიელი სასწაულებრივად ზღვის ტალღებზე ფეხით გაემართა ცეცხლმნიერა-რე ხატისაკენ, გულზე მიირქვა წმიდა ხატი და ნაპირზე გამოაბრძანა. იმ ადგილას, სადაც ხატი დაასვენეს, მაკურნებელმა წყარომ ამოხეთქა, რომელიც დღემდე აგრილებს სიცხისაგან დაღლილ ბერებს, მონაზვნებსა და მლოცველებს.

ზღვიდან გამოსვენებული ხატი ივერთა მონასტრის საკურთხეველში შეასვენეს. მეორე დილით კანდელის ასანთებად მისულ მონაზონს ღმრთისმშობლის ხატი იქ არ დახვდა. შეშინებულმა მამებმა ხატი მონასტრის კარიბჭის კე-დელზე აღმოაჩინეს, ჩამოაბრძანეს და ისევ საკურთხეველში შეას-ვენეს. ასე განმეორდა რამდენჯერმე. ყოვლადწმიდა ქალნული გამოცხადა გაბრი-ელს და უთხრა: „გამო-ცხადე ძმათა, რათა ამიერიდან უმეტეს არღა განმხდიდნენ მე, რამეთუ მე მნებავს არა იგი, რათა მიცავ-დეთ თქვენ, არამედ

რათა თვით მე გფარვიდეთ თქვენ, არა მხოლოდ ამა ცხოვრებასა შინა, არამედ მომავალსაცა და ვიდრემდე იხილვებოდეს სავანესა ამას შინა ხატი ჩემი, არა მოგაკლდეს თქუენ მადლი და წყალობა ძისა ჩემისა“. ბერ-მონაზვნები სიხარულით აღივსნენ, ააგეს ღმრთისმშობლის სახ-ელობის პატარა ტაძარი და საკვირველთმოქმედი ხატი შიგ დაასვენეს.

წმიდა გაბრიელ ქართველი — ათონელი, მშვიდობით აღესრულა 995 წლის ახლო ხანებში.





ღირსი კოზმან ხუცესმონაზონი წარმოშობით ქართველი თავადიშვილთა გვარიდან იყო. კოზმანი სიჭაპუეშვივე აღკვეცილა მონაზვნად დავით გარეჯის ლავრაში. სინმიდითა და სიბრძნით გამორჩეულ მონაზონ კოზმასთვის მალე დაუსხამთ ხელი მღდლად და მონასტრის მწიგნობართ-უხუცესად დაუდგენიათ.

გარეჯის უდაბნო უმნიშვნელოვანესი მწიგნობრულ-ლიტერატურული კერა იყო. იქ იქმნებოდა ორიგინალური სასულიერო ხასიათის თხზულებები, ინახებოდა უნიკალური ძველი ქართული ხელნაწერები და მზადდებოდა ახალი. გარეჯელი მოღვაწეები ადგენდნენ ორიგინალური აგიოგრაფიული ძეგლებისა და ასკეტიკურ-ჰიმილეტიკური თხზულებების კრებულებს, ეხმარებოდნენ სხვა მონასტრებთან არსებულ ლიტერატურულ სკოლებს.

ყოველივე ამის ხელმძღვანელობა ევალებოდა მონასტრის მწიგნობართუხუცესს და აქედან გამომდინარე, ამ თანამდებობის მონაზვნები უდიდესი სულიერებითა და განათლებით გამოირჩეოდნენ.

კოზმან ხუცესმონაზონი საუკეთესო პიმნოგრაფი და ცნობილი მწერალი ყოფილა. მისი შემოქმედება კარგად იყო ცნობილი მაშინდელი საქართველოს ლიტერატურულ წრეებში.

კოზმანის სინმინდეს და ნიჭს პატივს სცემდნენ და აფასებდნენ საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ზაქარია (ჯორჯაძე) და ქართლ-კახეთის მეფე თეიმურაზი.

პატრიარქისა და მეფის დავალებით 1625-1628 წლებში დაუწერია კოზმან ხუცესმონაზონს „შესხმა ქეთევან დედოფლისა“. სამწუხაროდ მის არც ამ შემოქმედებას მოუღწევია ჩვენამდე.

წმიდა კოზმან ხუცესმონაზონი იყო ანტონ კათალიკოსის დედის სულიერი მოძღვარი. უნმიდესი ანტონი წერდა, რომ კარგად ახსოვდა მათ ოჯახში სტუმრად მყოფი წმიდა კოზმან ხუცესმონაზონი, რომელიც იყო „კაცი უმანქო, წრფელი, კეთილმწიგნობარი, შუენიერი მეფისალმუნე, სიბრძნით გამომთქმელ, წერილთ ჯეროვან ავქსონ“.

კოზმან ხუცესმონაზონი მონამეობრივად აღესრულა 1630 წელს.



წმიდა სალომე ქართველი მოღვაწე-ობდა იერუსალიმში, სავარაუდოდ, კაპათას სახელით ცნობილ ქართველ დედათა მონასტერში, რომელიც მეთერთმეტე საუკუნის მეორე ნახევარში დაუარსებია მეფე ბაგრატ V-ის მეუღლე ბორენა დედოფალს.

ეგვიპტის სულთან ელ მელიქ ბეიბარსის მმართველობისას (1260-1277) იერუსალიმში არსებული ქრისტიანული მონასტრები სასტიკად დაურბევიათ.

სპარსელებს შეუპყრიათ ქართველი მონაზონი სალომე, რომელსაც ვერ გაუძლია ტანჯვა-წამებისთვის და თავისუფლების სანაცვლოდ გარეგნულად უარი უთქვამს ქრისტიანობაზე.

სალომე ქართველის შესახებ ცნობას გვაწვდის იერუსალიმის ჯვარის ქართული მონასტრის სვინძსარი — „ამასვე დღესა (20 ივლისი) წამებად სალომე ქართველისად,

რომელი პირველ შესცთა სპარსთა მიერ და ქრისტე უარყო. ამისა შემდგომად კუალად აღიარა სარწმუნოებად ქრისტიესი და თავი წარეკუეთა და ცეცხლისა მიერ სრულ იქმნა წამებად მისი“.

მიტროპოლიტი ტიმოთე (გაბაშვილი), რომელმაც 1757 წელს მოილოცა იერუსალიმის სინმიდეები, აღნიშნავს, რომ „მუნ (იერუსალიმში) წამებულა წმიდა მონამე სალომე, რამეთუ შეუპყრიეს უსჯულოთა და დატევებისათვის სჯულისა აიძულებდენ რა, განბასრა სარწმუნოება მათი მწნემან მან. ამის შემდგომად ცეცხლითა და მახვილითა უწამებიათ სანატრელი იგი“.

ვარაუდობენ, რომ წმიდა სალომე ქართველი მონამეობრივად აღესრულა ლუკა იერუსალიმელის (+1272) შემდეგ.





ილიას დედა სრულიად ახალგაზრდა, ოცდაათი წლისა, გარდაიცვალა. 1852 წელს გარდაეცვალა მამაც და დაობლებული ოჯახის მეურვეობა მამიდა მაკრინემ იტვირთა. 1857 წელს ილია პეტერბურგის უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის სტუდენტი გახდა. უნივერსიტეტში სწავლის პერიოდში ილია ძალიან ბევრს კითხულობდა. აკადემიური მოსწრებაც მაღალი ჰქონდა, მაგრამ მას იურიდიული განათლების ოფიციალური მოწმობა არ აინტერესებდა. ილიამ მეოთხე კურსიდან მიატოვა სწავლა და 1861 წელს საქართველოში დაბრუნდა.

„რას ვეტყვი მე ჩემს ქვეყანას ახალს და რას მეტყვის იგი მე?.. შევძლებ კი, რომ მას ღვიძლი სიტყვა ვუთხრა და ამ სიტყვით გულისტკივილი მოვურჩინო, დავრდომილი აღვადგინო, უნუგეშოს ნუგეში მოვფინო, მტირალს ცრემლი მოვწმინდო, მუშაკს შრომა გავუადვილო?“ — ეკითხებოდა ოცდაოთხი წლის ყმანვილი ილია საკუთარ თავს. ამის შემდეგ არ ყოფილა არც ერთი დღე, არც ერთი წუთი, რომ მას საქართველოსთვის არ ეფიქრა. საჭირო იყო ერის გამოლვიძება, მართალი სიტყვის თქმა და ილიაც არ ერიდებოდა მწარე მხილებას.

ილია ჭავჭავაძეს მიაჩნდა, რომ „როგორც კაცად არ იხსენება ის მანანნალა“, რომელსაც „აღარ ახსოვს ვინ არის, საიდან მოდის და სად მიდის, ისე არად სახსენებელი არ არის იგი, რომელსაც... თავისი ისტორია არ ახსოვს“, ამიტომაც ახსენებდა თანამემამულებს ქართველთა თავდადებას რწმენისა და მამულის დასაცავად: „რა არ გადაგვხედია თავს, რა მტრები არ მოგვსევიან, რა ვაივაგლახი, რა სისხლის ღვრა, რა

ნეიდა ილია მართალი (ჭავჭავაძე)

დაიბადა 1837 წლის 27 (9. XI) ოქტომბერს, ყვარელში, თავად გრიგოლ ჭავჭავაძისა და მარიამ-მაგდა ბებურიშვილის ოჯახში. გრიგოლსა და მარიამს სულ ექვსი შვილი შეეძინათ: კონსტანტინე, ნინო, სვიმონი, თემური და ელისაბედი. მშობლები ღმრთისმოშიშებითა და სამშობლოს სიყვარულით ზრდიდენ შვილებს.

რვა წლის ილია ყვარლის მთავარდიაკონ ნიკოლოზ სეფაშვილს მიაპარეს აღსაზრდელად, შემდეგ ილიამ სწავლა ჯერ ტფილისის კერძო პანსიონში და კეთილშობილთა გიმნაზიაში გააგრძელა.

ლრჭენა კბილთა არ გამოგვივლია, რა წისქვილის ქვა არ დატრიალებულა ჩვენს თავზედ და ყველას გავუძელით, ყველას გავუმაგრდით. შევინახეთ ჩვენი თავი, შევირჩინეთ ჩვენი ქვეყანა, ჩვენი მიწა-წყალი. ლანგ-თემურებმა ჩვენს საკუთარ სისხლში გვაპანავეს და მაინც დავრჩით და გამოცოცხლდით. შაჰ-აბაზებმა ჩვენის კბილით გვაგლეჯინეს ჩვენი წვრილ-შვილი და მაინც გამოვბრუნდით, მოვსულიერდით, აღა-მაჰ-მად-ხანებმა პირქვე დაგვამხეს, ქვა-ქვაზედ არ დაგვიყენეს, მოგვსრეს, მოგვულიტეს და მაინც ფეხზედ წამოვდექით, მოვშენდით, წელში გავსწორდით. გავუძელით საბერძნეთს, რომსა, მონღოლებს, არაბებს, ოსმალთურქებს, სპარსელებს, რჯულიანს და ურჯულოს და დროშა ქართველობისა, შუბის წვერით, ისრით და ტყვიით დაფლეთილი, ჩვენს სისხლში ამოვლებული, ხელში შევირჩინეთ, არავის წავალებინეთ, არავის დავანებეთ, არავის შევაგინებინეთ. ცოდვა არ არის, ეს დროშა ახლა ჩრჩილმა შესჭამოს, თაგვმა დაგვიჭრას?... დრო-უამი ამას გვიქადის“ — წერდა ილია.



წმიდა ილია მართალი

აღსანიშნავია ილიას წერილების ციკლი „აი, ისტორია“ და „ქვათა ლალადი“. განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა მიმდინარე ცხოვრების ამსახველ წერილებს, რომელთაც ილია მიზნად უსახავდა „ჩვენის დაცემულის ვინაობის აღდგენას, ფეხზედ დაყენებას და დაცვას ყოველის მოსალოდნელის ფათერაკისაგან“. ილია ხშირად იმეორებდა: „რა ენა წახდეს, ერიც დაეცესო“.

1881 წელს, როცა კავკასიის სასწავლო ოლქის უმაღლესმა ხელისუფლებამ გადაწყვიტა ქართული ენის გაძევება სკოლებიდან, ილიამ დაასაბუთა, რომ „უდედაენოდ გონების გახსნა ბავშვისა ყოვლად შეუძლებელია, მაშინ სკოლა გონების გახსნის სახსარი კი არ არის... გონების დახშვისაა, დათრგუნვისაა“... ამ გამოსვლამ შედეგიც გამოიღო. ის მინიმალური უფლებები, რომლებიც ქართულ ენას შეუნარჩუნდა სკოლებში, სხვა ქართველ მოღვაწეებთან ერთად ილიას ბრძოლის შედეგიც იყო.

ილიამ დააარსა ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება, ძველ ქართულ ხელნაწერთა და სიძველეთა საცავი, საფუძველი დაუდო ხალხური ზეპირსიტყვიერების ნიმუშთა შეგროვე-

ბას. ის იყო ქართული საადგილმამულო ბანკის დაარსების ერთ-ერთი ინიციატორი. ჯერ კიდევ თავისი მოღვაწეობის დასაწყისში განაცხადა ილია მართალმა: „სამი ღმრთაებრივი საუნჯე დაგვრჩა ჩვენ მამა-პაპა-თაგან: მამული, ენა, სარწმუნოება. თუ ამათაც არ ვუპატრონეთ, რა კაცები ვიქებით, რა პასუხს გავსცემთ შთამომავლობას?“.

ილია მართალი მეთაურობდა საზოგადო მოღვაწეთა ჯგუფს, რომელმაც კავკასიის მეფისნაცვალს მიმართა თხოვნით, მხარი დაეჭირა ქართველთა ბრძოლი-

სათვის საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის დასაბრუნებლად. ილიას მოღვაწეობა იმდენად აშინებდა ეკლესიისა და ყოველგვარი ეროვნულობის წინააღმდეგ საბრძოლველად შექმნილი სატანური მოძღვრების გზააბნეულ მიმდევრებს, რომ მისი ფიზიკურად მოსპობა განიზრახეს... 1907 წლის 30

აგვისტოს ტფილისიდან საგურამოს მიმავალი ეტლი, რომელშიც ილია და მისი მეუღლე ოლღა გურამიშვილი იმყოფებოდნენ, წინამურის ტყესთან შედგა. თოფის გრიალმა შეძრა დადუმებული გარემო... მოკლეს ქრისტესა და სამშობლოს სიყვარულით ანთებული ილია ტავჭავაძე — საქართველოს უგვირგვინო მეფე, წმიდა ილია მართალი.


მთელი საქართველო დასტიროდა წმიდა ილიას ცხედარს.

სასამართლომ ილიას მკვლელებს სიკვდილი მიუსაჯა. ტფილისის გენერალ-გუბერნატორს მკვლელების შეწყნარების თხოვნით მიმართა ილიას ქვრივმა ოლღა გურამიშვილმა: „მე ღრმად მწამს, დღეს რომ ჩემი ქმარი ცოცხალი იყოს, შეუნდობდა მათ, რომელთაც სასიკვდილოდ გაიმეტეს იგი და თავის უბედურ, გზააბნეულ ძმებად მიიჩნევდა... მე თითქოს მხოლოდ იმისთვის დავრჩი ამსოფლად, რათა დავაბოლოო ის ღვაწლი კაცთა მიმართ მხურვალე სიყვარულისა, რომელსაც ჩემმა ქმარმა მთელი თავისი სიცოცხლე შესწირა — შეუნდო იმ უბედურ, გზააბნეულ მოყვასთ, რომელთაც თვით ის შეუნდობდა.“

ქრისტიანული სარწმუნოებისა და ეროვნული ტრადიციების დაცვას შენირული წმიდა ილია მართალი დაასაფლავეს ტფილისის მთაწმიდის საზოგადო მოღვაწეთა პანთეონში.



წმიდა ილია ტავჭავაძე და მისი მეუღლე ოლღა გურამიშვილი



შათა და მოღუანებათა წარმოთქმა შეუძლებელ არს“.


ილარიონ თვალოელმა ყრმა გიორგი მთანმინდელი, „ვითარცა ღმრთისა მიერ მოცემული კეთილი შვილი, ეგრეთ შეინყნარა და წესიერებისა მიმართ და სათნოებისა წურთად უწყის და ესრეთ წარემატებოდა წებითა ღმრთისათა, ვითარცა ნერგი კეთილი, დანერგული თანაწარსადინელსა ღმრთივსულიერთა სწავლათასა, დღითი-დღე აღორძინდებოდა“. ილარიონისაგან ისწავლა გიორგი მთანმინდელმა „ყოველივე საღმრთონი წერილი ძეულისა და ახლისა სჯულისანი... და საგალობელნი იგი სანელინადონი და შენყობილებანი იგი გალობათანი. ილარიონმა აღკვეცა მონაზვნად გიორგი მთანმინდელი.

„ქართლის ცხოვრება“ ღირსი ილარიონ თვალოელს მოიხსენიებს როგორც სახელგანთქმულ მთარგმნელსა და მნიგნობარს. მიხეილ საბინინის ცნობით, ღირსი ილარიონ თვალოელი აღესრულა 1041 წელს.

ღირსი ილარიონ თვალოელი დაიბადა სამხრეთ საქართველოში 970 წლის ახლო ხანებში. ილარიონის შესახებ პიოგრაფიული ცნობები ძალიან მნირადაა შემონახული. გიორგი მცირე, წმიდა გიორგი მთანმინდელის ცხოვრებაში აღნიშნავს რომ, 1020 წელს, როდესაც ათი წლის გიორგი ხახულის მონასტერში მიიყვანეს, იგი აღსაზრდელად ჩააბარეს იმ დროისათვის ხახულში მოღვაწე წმიდა ილარიონ თვალოელს.

ღირსი ილარიონ თვალოელი იყო „უმაღლესი სათნოებითა და სულიერთა მოძღურებათა შინა განთქმული“. იგი „ვითარცა მთიები ბრწყინვიდა კრებულსა შორის მამათასა, რომლისა სათნოებათა და მოღუანებათა წარმოთქმა შეუძლებელ არს“.





ღირსი გიორგი მაშენებელი
იყო იოვანე მთაწმიდელის ძმის-
შვილი, სამცხის ცნობილი ფეო-
დალური გვარის ჩორდვანელების
შტოდან.

ივერთა მონასტრის პირველმა
იღუმენმა იოვანე მთაწმიდელმა,
თავის შვილს, ეფთვიმეს გადააბა-
რა წინამძღვრობა და თან დაუბა-
რა: „შემდგომად თავისა... რათა
გიორგის დაუტეოს მამობად, რო-
მელ იგი თვისივე იყო მათი, კაცი
სახელოანი და ფრთხილი ჭორცი-
ელთა საქმეთა ზედა“.

ეფთვიმეს შემდეგ გიორგიმ აქ-
ტიურად დაიწყო მონასტრის მარ-

თვა. მისი ხელმძღვანელობით აშენდა ივერონის ღმრთისმშობლის მი-
ძინების სახელობის მთავარი ტაძარი. ტაძრის იატაკს ამშვენებდა
ქართული წარწერა: „მე დავამტკიცენ სუეჭნი მისნი და უკუნისამდე
არა შეიძრნენ. გიორგი მონაზონი, ქართველი და მაშენებელი“.

გიორგი „დიდად წარჩინებულ იქმნა“ ბიზანტიის იმპერატორ რომა-
ნოზის წინაშე „და დიდად საკუთარ და პატივცემულ“, შემდეგ კი „თუ
ვითარ ექმნა, ღმერთმან უწყის, განდგომილება და ორგულება დას-
წამეს“ და კუნძულ მონოვატზე გადასახლეს.

გიორგის გადასახლება საპედისნერო შეიქნა ივერთა ლავრისათვის,
ცილისმწამებლებმა ახალი საბაბი იპოვეს, „საპერძეთის დიდებულნი
და პალატისა წარჩინებულნი ყოველნი მოდრიკნეს“, და ათონელ ქარ-
თველებს მძიმე ვითარება შეუქმნეს. იმ დროს განადგურდა „მამათა
ჩვენთა მოგებული“, მონასტრის სიმდიდრე. ცილისწამებისაგან და
ივერთა მონასტრის განადგურებით შენუხებული გიორგი მაშენებელი
მალევე აღესრულა კუნძულ მონოვატზე.

იმპერატორ მიხეილის დროს ივერთა მონასტერს ისევ დაუბრუნდა
კუთვნილი ქონება და ძველებური სიტკებოება მოეფინა სავანის ძმო-
ბას. ქართველმა ბერ-მონაზვნებმა გიორგის უხრწელი ცხედარი მო-
ნოვატიდან ათონის ქართველთა მონასტერში გადასვენეს და დიდი
პატივით დაკრძალეს.



მონამე ევსტათი მცხეთელი (ნათლობაში გვირობანდაკი) წარმოშობით სპარსი იყო. იგი სპარსეთის ქალაქ განძაკში დაიბადა 550 წლის ახლო ხანებში. გვირობანდაკის მამა ცეცხლთაყვანისმცემელთა ქურუმი იყო და გვირობანდაკსაც ბავშვობიდანვე მოგვობას ასწავლიდა. იმ დროს სპარსეთში მრავლად ცხოვრობდნენ ქრისტიანები და გვირობანდაკი ძალიან დაახლოებული იყო მათთან. როგორც ცნობილია, იმ პერიოდში სპარსელებს საქართველო დაპყრობილი ჰქონდათ და ბევრი სპარსელი ცხოვრობდა მცხეთასა და ტფილისში.

გვირობანდაკი ქართლში ჩამოვიდა და მცხეთაში დასახლდა. იგი კარგი მეხამლე იყო და მალე მცხეთელ ხელოსანთა ამქარის წევრიც გახდა. გვირობანდაკი კიდევ უფრო ახლოს გაეცნო ქრისტიანულ მოძღვრებას და გადაწყვიტა მიელო ქრისტიანობა. ეს კი იმ დროისათვის ძალიან საშიში იყო. გვირობანდაკმა წმიდა სამოელ კათოლიკოსის ხელით მიიღო ნათლობა და ქრისტიანული სახელი — ევსტათი ეწოდა. მალე მან ქართველი ქალი შეირთო და მთლიანად დაუმოყვრდა ქრისტესთან დამოყვრებულ ერს.

მცხეთელმა სპარსელებმა თავიანთ დღესასწაულზე მიიწვიეს ევსტათი, მაგრამ იგი არ წავიდა: „მე ქრისტეს ბეჭდითა ალბეჭდილ ვარ და ბნელსა მაგას განშორებულ ვარო“, — შეუთვალა ევსტათიმ ძველ თანამემამულეებს.

დღესასწაულის შემდეგ მცხეთის სპარსელმა ციხისთავმა, უსტამმა დაიბარა წმიდანი. ევსტათი ჯერ შეყოყმანდა, შემდეგ კი გაიფიქრა: თუ ამათი შემეშინდება, სხვასთან როგორლა მოვიქცევიო, ეახლა უსტამს და უშიშრად აღიარა ქრისტეანობა.

ციხისთავი დაემუქრა ევსტათის: „არავინ გიტეოს ქრისტეს მსახურ ყოფად და თუ მშვიდობით არა განუტეო სიცოფე ეგე შენი, ტანჯვად დიდი მოინიოს შენ ზედა“. ევსტათიმ მშვიდად მიუგო: „არა ხოლო ტანჯვად განმზადებულ ვარ ქრისტეს სიყვარულისათვს, არამედ სიკუდიდცა თავი ჩემი არა მეწყალის“. უსტამს არ ჰქონდა დასჯის უფლება, ამიტომ ქართლის მარზაპანთან, არვანდ გუშნასპთან გაგზავნა აღმსა-

რეპელი. სპარსელები კვლავ ეახლნენ მცხეთის ციხისთავს და აუწყეს, რომ კიდევ შეიძი სპარსელი შესდგომოდა ქრისტის სჯულს. ყველა მათგანს ბორკილები დაადეს და ტფილისში გაგზავნეს.


მათგანს ბორკილები დაადეს და ტფილისში გაგზავნეს სარწმუნოე-სამსჯავროზე სპარსმა ქრისტიანებმა მხნედ აღიარეს სარწმუნოე-ბა: „მამულსა-ლა ზედა რჩულსა ვიყვენით, სპარსთა რჩული ვიცოდით, რაუამს ქართლად შემოვედით და ქრისტეანეთა რჩული ვიხი-ხოლო რაუამს ქართლად შემოვედით და ქრისტეანე ვიქმნენით და ან ქრისტეანე ვართ, რამეთუ ქრისტე-ლეთ, ქრისტეანე ვიქმნენით და ან ქრისტეანე ვართ, რამეთუ ქრისტე-ანეთა რჩული წმიდა და სურნელ არს და ფრიად კეთილ და შუენიერ არს, ხოლო სხუად რჩული ვერ ესწორების რჩულსა ქრის-ტეანეთასა“. განრისხებუ-ლმა მარზაპანმა ბრძანა, სასტიკად დაესაჯათ ისი-ნი და საპყრობილეში ჩაე-ყარათ, ხოლო თუკი რომე-ლიმე უარყოფდა ქრის-ტეს, შეეწყალებინათ.

ორმა მათგანმა, ბახდი-ადმა და პანაგუშნასპმა, ვერ გაუძლო წამებას და უარყვეს ქრისტე. მარზა-პანმა ისინი გაათავისუფლა, ხოლო წმიდა ევსტათი, გუშნაკი, ბორზო, პერზაკი, ზარმილი და სტეფანე საპყრობილეში ჩააყრევინა.

ექვსი თვის შემდეგ მარზაპანი სპარსეთის მეფემ თავისთან იხმო. ამით ისარგებლეს ქართლის კათოლიკოსმა სამოელმა, მცხეთის მამა-სახლისმა გრიგოლმა, პიტიახშმა არშუშამ და სპარსეთს მიმავალ არ-ვანდ გუშნასპს სთხოვეს, გაეთავისუფლებინა დატყვევებული სპარ-სელი ქრისტიანები. არვანდ გუშნასპმა თხოვნა შეუსრულა ქართველ დიდებულებს.


სამი წლის შემდეგ ქართლს მარზაპანად ვეჟან ბუზმირი მოევლინა. მოგვებმა კვლავ დაასმინეს ევსტათი და სტეფანე. მარზაპანმა ბრძანა მასთან მიეყვანათ გაქრისტიანებული სპარსელები. ევსტათი გამოეთ-ხოვა ოჯახს და უთხრა: „ჯმულმცა ვარ მე თქვენგან, რამეთუ მე აქა არღარა მოქცევად ვარ და ქრისტე მე არა უვარ ვყო და მათ მე არღარა განმიტეონ ცოცხლებით, ხოლო სიკუდილი ჩემი ტფილის ყოფად არს საპყრობილესა და თავი მოკუუეთად არს ჩემდა, ხოლო გუამი ჩემი მოი-ნიოს აქვე ნებითა ღმრთისათა“.

მცხეთის ჯვარის მონასტერთან ევსტათი გაჩერდა და ღმერთს შეჰ-



ლალადა: „უფალო ღმერთო იესუ ქრისტე, უკუეთუ ღირს მყო მე სიკუ-
დილსა სახელისა შენისათვს ქრისტიანობით, წორცთა ჩემთად ნუ ჯერ
გიჩნს განგდებად გარე და შეჭმად ძალლთა და ფრინველთა ცისათად,
არამედ წორცთა ჩემთა ბრძანე აქვე მოქცევად და დამარხვად მცხეთას,
სადაც ნათელ მიღებიეს“.

შეპყრობილი ქრისტიანები ახალ მარზაპანს წარუდგინეს. ევსტათის
სიმშვენიერით მოხიბლულმა და მისი ქრისტიანული აღმსარებლობით
გაკვირვებულმა ვეუან ბუზმირმა მოჩ-
ვენებითი ლმობიერებით მიმართა წმი-
დანს: „შვილო ჩემო ევსტათი, ისმინე ჩე-
მი და ნუ დაიმცირებ დღეთა ცხოვრები-
სა შენისათა ქრისტეანებისათვს და ნუ
ქურივ სუამ ცოლსა შენსა და ობოლ
შვლთა შენთა და ნუ მოსწყდები მოყუას-
თა შენთა ამას ცხოვრებასა“. ევსტათიმ
განუცხადა, რომ იგი არასდროს არ უარ-
ყოფდა ქრისტეს და მზად იყო სიც-
ოცხლეც გაენირა სარწმუნოებისათვის.
გაბრაზებულმა მარზაპანმა ბრძანა, საპ-
ყრობილები წაეყვანათ ევსტატი, ღამით
კი თავი მოეკვეთათ მისთვის და ქალაქ-
გარეთ დაეგდოთ ფრინველთა საჯიჯგნად, რომ ქრისტიანებს არ შეძ-
ლებოდათ მისი პატივით დამარხვა.



სიკუდილით დასჯის წინ ევსტატიმ მუხლი მოიდრიკა, თვალები ზე-
ცად ალაპყრო და უფალს შეევედრა: „უფალო ღმერთო ყოვლისა
მპყრობელო, რომელსა ყოველთა კაცთად გნებავს ცხოვრებად, რომელი
ესვენ სარწმუნოებით სახლსა წმიდასა შენსა; რომელმან ისმინე ლოც-
ვად პირველთა მათ მოწამეთა... ამას ვილოცავ და გევედრები და ვით-
ხოვ შენ სახიერისაგან, რათა არა დაეტეოს გვამი ჩემი აქა ტფილისს ში-
ნა, არამედ რათა დაემარხოს იგი მცხეთას წმიდასა, სადა იგი შენ გა-
მომიჩნდი და რათა აქუნდეს მადლი და კურნებად ძუალთა ჩემთა, ვი-
თარცა იგი პირველთა მათ“. ევსტატის ლოცვის საპასუხოდ მალევე
მოესმა ზეციური ხმა: „არა უნაკლულეს იყო შენ პირველთა მათ მად-
ლითა კურნებისათა, რომელთა ვპრწმენე მე, ხოლო გუამისა შენი-
სათვს ნუ ჰზრუნავ, ეგრე იყოს, ვითარცა შენ სთქუ ყოფად“.

მარზაპანის მსახურებმა თავი წარკვეთეს წმიდა ევსტათის, გვამი კი
ღამით ქალაქებარეთ გაიტანეს.

ქრისტიანებმა ევსტათის ცხედარი მალულად წაასვენეს მცხეთაში.
წმიდა სამოელ კათოლიკოსმა ქრისტიანობისთვის წამებული ევსტატე
პატივით დაკრძალა სვეტიცხოველში, წმიდა ტრაპეზის ქვეშ.



წმიდა ცოტნე დადიანი — „კაცი ჰატიოსანი და სათნოებიანი და ბრძოლასა შინა სახელოვანი“ დაიბადა 1200 წლის ახლო ხანებში.

ხობის მონასტრის ფრესკაზე გამოსახულია ათიოდე წლის ცოტნე დადიანი და მისი მშობლები: „ერისთავთ-ერისთავი შერგილ დადიანი და დეოფალთ-დეოფალი ნათელი“. როგორც ცნობილია, შერგილ დადიანს მეცამეტე საუკუნის დასაწყისში განუახლებია ხობის მონასტერი, რომელიც მათი საგვარეულო კუთვნილება იყო.

ცოტნეს მშობლები ზრუნავდნენ საქართველოს გარეთ არსებულ ქართულ სავანეებზე და უხვ შენირულობებს უგზავნიდნენ. იერუსალიმის ჯვარის ქართველთა მონასტრის აღაპებში მოხსენიებული არიან ცოტნეს მშობლები: შერგილ დადიანი და ნათელ აფაქიძე. დადიანებს იერუსალიმის ჯვარის მონასტერში საგანგებოდ ჰყავდათ მივლინებული სასულიერო პირები, იქ მოღვაწეობდა ცოტნეს დედის ძმა — ბოდბელი მთავარეპისკოპოსი იოვანე.

იერუსალიმის ჯვარის ქართველთა სავანის მატიანებში ცოტნე დადიანი სამჯერ მოიხსენიება — დედასთან, ცოლთან და ცალკე (მისი გარდაცვალების გამო დაწესებულ აღაპში).

ცნობილია, რომ შერგილ დადიანის ოჯახში ინახებოდა წმიდა თამარ მეფის გულსაკიდი ჯვარი. შერგილ დადიანს ჯვარისათვის საგანგებოდ შეუქმნია ხატი და ამ ხატის ამოკვეთილ გულში ჩაუსცენებია თამარის გულზე საკიდი ჯვარი. ხატს აქვს შემდეგი წარწერა: „ქ. ჰომ ხატო არსებისაო უცვალებელო, მეოს და მფარველ ექმენ აქა და საუკუნესა ერისთავთ-ერისთავ[სა] დადიან[სა] შერგირ[ს], და მეუღლე ჩემით დეოფალთ-დეოფალით ნათელით, ძითურთ ჩემით ცოტნეთურთ“.

პავლე ინგოროვას გამოკვლევით, ცოტნე დადიანს ცოლად ჰყავდა ვეფხისტყაოსნის გენიოსი ავტორის შოთა რუსთაველის ძმის — ტბელი გრიგოლის ძის შვილი, ბორენა. მკვლევარი ვარაუ-



ყრმა ცოტნე დადიანი
ხობის ფრესკიდან

დობს, რომ სწორედ ბორენას გაატანეს მზითევში ჰერეთის ბაგრატიონთა კარის ეკლესის გიორგი მთავარმონამის ხატი, ტბელი გრიგოლის ძის ნარწერით. ხატი დადიანთა საგვარეულო ხობის მონასტერში დაცულ სიწმინდეებთან ერთად დააპრძანეს. ცნობილია, რომ მონასტერში ინახებოდა ღმრთისმშობლის კვართი, დიდმონამე მარინეს, კვირიკესა და ივლიტას წმიდა ნანილები, თამარ მეფის გულ-საკიდი ჯვარი და მრავალი სხვა. ცოტნეს მეულლეს, ბორენა დედოფალს მიაკუთვნებენ ლენჯერში დაცული ღმრთისმშობლის ხატის ზურგზე ნარწერილ იამბიკოს: „რომელმან ეგე ევას მიუზღე ვალი/ ჰრევი რაი გაბრიელს: „ვარ უფლისა მხევალი“ — /მაშინ ისტუმრე ქვეყანად მოუვალი; /დაემხო ძალი, პირველვე სისხლ-დამთვრალი!/ ქალწულო, მიხსენ ბორენა ჭირ-მრავალი“.

მკვლევარის აზრით, შოთა რუსთაველისა და ცოტნე დადიანის ოჯახებს შორის ურთიერთობა უფრო დიდი იყო „ვიდრე ოჯახური და ხორციელი ნათესაობა, მათ აკავშირებდათ სიყვარული სამშობლოსი. ისინი ერთად ყოფილან ქტიოტორები იერუსალიმის ჯვარის ქართული სავანისა. ჯვარის მონასტრის მხატვრობა 1245-1250 წლებში ერთად განუახლებიათ ცოტნე დადიანის მიერ ნარგზავნილ გრიგოლ დრან-დელს და შოთა რუსთაველის მიერ ნარგზავნილ ანტონ ალავერდელს“.

ცოტნე დადიანი მამის გარდაცვალების შემდეგ 1225 წლების ახლო ხანებში ოდიშის ერისთავთ-ერისმთავარია, 1242-1248 წლებში კი ლიხი-იმერთა დასავლეთ სადროშოს მხედართმთავრი.

1245 წლს, რუსუდან მეფის გარდაცვალების შემდეგ, მონლოლებმა საქართველოს მთავრებს უმძიმესი ხარკი დაუწესეს და თან მონლოლთა მიერ სხვა ქვეყნების დამპყრობელ ლაშქრობებში მონაწილეობაც დაავალეს. ქვეყნის მდგომარეობა იმდენად გაუსაძლისი გახდა, რომ საქართველოს მთავრებმა გადაწყვიტეს, გაერთიანებული ძალებით შებრძოლებოდნენ მტერს. კოხტასთავს დადგენილ შეკრებაზე მთავრებმა „დაამტკიცეს ომი, და დადვეს პაემანი ქართლს შეკრებისა“.

ცოტნე დადიანი, „კაცი კეთილი და სრული საღმრთოთა და საკაცობოთა“, და რაჭის ერისთავი, ლაშქრის შესაკრებად წავიდნენ. მონლოლებმა გაიგეს ქართველთა განზრახვა, დაატყვევეს შეთქმულების მონაწილენი და შირავაკანში წაიყვანეს. ქართველები შეკრების მიზეზად, მონლოლთათვის ხარკის აკრეფას ასახელებდნენ.

მონლოლებმა ქართველი მთავრები გააშიმვლეს, ხელ-ფეხი შეუკრეს, ტანზე თაფლი წაუსვეს და მშიერ-მწყურვალნი, პაპანაქება სიცხეში დატოვეს.

დათქმულ დროს ცოტნე გამოცხადდა თავისი ლაშქრით და შეიტყო რა მომხდარი, „მწუხარე იქმნა უზომოდ, და თვალი სიკუდილად და

სირცხვლად შეჰრაცხა საქმე იგი, და წარავლინა ლაშქარი თვისი, და ორითა კაცითა წარვიდა ანისად, დამდები სულისა თვისისა და აღმსარებელი მცნებისა უფლისასა". ცოტნემ მონღოლებს მისი მის-ვლის მიზეზი აუხსნა: „ჩვენ ყოველნი ამად შევიკრიბენით, რათა განვაგოთ ხარაჯა თქუენი და ბრძანებად თქუენი აღვასრულოთ — ეს იყო შეკრება ჩუენი. ან თქუენ ძრის-მოქმედთა თანა შეგვრაცხენით, და მე ამის ძლით მოვედ წინაშე თქუენსა, რათა გამოიკითხოთ, და უკეთუ ღირსი რამე სიკუდილისა უქმნიეს, მეცა მათ თანა მოვკუდე, რამეთუ თვინიერ ჩემსა არარა უქმნიეს; უკეთუ ცხოვნდენ, მათ თანა ვიყო". შემდეგ სამოსელი გაიხადა, თვითონვე შეიკრა ხელ-ფეხი და გვერდით მიუჯდა დატყვევებულ ქართველ დიდებულებს.

ცოტნე დადიანის
ასეთმა თავდადებამ იმ-
დენად იმოქმედა მონ-
ღოლებზე, რომ მათ ქა-
რთველების განთავი-
სუფლება გადაწყვი-
ტეს. „ყოველთა ქარ-
თველთა შენ მოგანი-
ჭებთ და შენდა მინდო-
ბილ ვართ", — უთხრეს
მათ ცოტნეს და ყვე-
ლანი გაათავისუფლეს.

1258 წელს ცოტნე
დადიანს მანდატუხუ-
ცესობა უბოძეს. 1259 წლის მონღოლების წინააღმდეგ მოწყობილ
აჯანყებაში ცოტნე დადიანის სახელი აღარ ჩანს. ვარაუდობენ, რომ ამ
დროისათვის ცოტნე დადიანი უკვე გარდაცვლილი იყო.

1260 წლის ახლო ხანების იერუსალიმის ჯვარის ქართული მონას-
ტრის 12 ივნისის „სულთა მატიანე" განაჩინებს დაუკლებელად
აღასრულონ „აღაპი მანდატუხუცესისა და ერისთავთ-ერისთავის
ცოტნე დადიანისა".





ღირსი არსენ ნინომიდელი სამცხის
მთავართა გვარიდან იყო. არსენი სიჭაბუკეშვე
ნასულა იერუსალიმში და იქ დაუწყია მოღვა-
წეობა ქართულ მონასტერში.

არსენი მონაზვნად იერუსალიმში აღიკ-
ვეცა და იქ დაასხეს ხელი მღდლად. შემდეგ
კი „კაცი მაღალი სათნოებითა და მუშაკი
ქრისტეს მცნებათა“ საქართველოში მოიწ-
ვიეს და ნინომინდის ეპისკოპოსად დაადგინეს.

მონაზვნური მყუდროების მოყვარე მეუფე
არსენმა „ღმრთისათვის დაუტევა ეპისკო-
პოსობად და დავით კურაპალატის წინაშე მო-
ვიდა“. დავით კურაპალატმა არსენი „ღირ-
სად სინმიდისა მისისა მოიკითხა და ოთხთა
ეკლესიასა წარმოგზავნა“, სადაც ცნობილი

მწიგნობარი იოვანე გრძელის ძე მოღვაწეობდა. არსენი და იოვანე დი-
დად დამეგობრებულან: „მათ უკუე ნეტართა მამათა ჩუენთა, იოვანეს
და არსენის ფრიადი სიყვარული აქცნდა ერთმანეთისად და მრავალუამ
იღუნიდეს მუნ კეთილსა მას ღუანლასა მონაზონებისასა“, მაგრამ „მყუდ-
როებით ცხოვრებად ვერ იყოფებოდეს“, და „უცხოსა ქვეყანასა“ წასვ-
ლა განიზრახეს.

არსენ ნინომიდელი და იოვანე გრძელის ძე „წარვიდეს კერძოთა
პონტოდასათა“ და იქ ერთ-ერთ მონასტერში დაემკვიდრნენ.

ცნობილი სასულიერო მოღვაწე, მთარგმნელი, მწიგნობარი და საუ-
კეთესო კალიგრაფი წმიდა არსენი ნინომიდელი და იოვანე გრძელის
ძე, ათონის ქართველთა მონასტერში მიიწვიეს. ისინი ჩავიდნენ ათონ-
ზე და „დიდად თანაშემწე ექმნენს წმიდასა მამასა... ეფთვმეს თარგმა-
ნებასა შინა წმიდათა წერილთასა და მოშურნე და მობაძავ წმიდათა
სათნოებათა მისთა იქმნეს და მრავალნი წიგნი ეკლესიისანი უამსა
სიბერისასა თვისითა ხელითა აღწერნეს“. არსენ ნინომიდელის კურთხევით
ეფთვიმე ათონელმა წინამდღვრობა ღირსი გიორგის გადააბარა და
მთლიანად მთარგმნელობით მოღვაწეობას მიეცა.

წმიდა არსენ ნინომიდელი მშვიდობით აღესრულა ათონის მთაზე
1282 წელს. არსენი პატივით დაკრძალეს „გარეგან მონასტრისა ერთ-
სა შინა ეკლესიასა წმიდისა სკმეონ მესვეტისასა“. შემდგომში გიორგი
ათონელმა, წმიდა არსენის ნეშტი გადაასვენა და დაკრძალა წმიდა ეფ-
ვთიმე მთაწმინდელის გვერდით.

აგვისტო

- 3 (16) — წმიდა რაჟდენ პირველმოწამე (+457);
— წმიდანი ცხრანი ძმანი ხერხეულიძენი — დედით,
დამთ და მათ თანა ათიათასნი ქართველი +1625);
- 8 (21) — ლირსი ეფთვიმე გარეჯელი
(მჭედელაშვილი) (+1804);
- 12 (25) — გარეჯელი ლირსმოწამენი: გერონტი და
სერაპიონ მღდელმოწაზონნი, ოთარი და სვიმეონ
იეროდიაკონნი, გერმანე და ბესარიონ მონაზონნი,
მიქაელ მორჩილი (+1851);
- 16 (29) — მოწამე ქრისტეფორე გურული (XVI);
— წმიდა მებკამბრე (იხსენიება პარიზის ნაც. ბიბლიოთე-
კის ქართულ ხელნაწერთა ფონდში №3 (XI-XII ს.)
ფიქრობენ ქართველი წმიდანი უნდა იყოს. უცნობია).
- 17 (30) — ლირსი ტბელი აბუსერიძე —
ერისათვის თავდადებული(XIII).
- 18 (31) — ლირსი ქრისტოდულე ფილოსოფოსი (XII);
— ლირსი თადეოზ სტეფანწმიდელი (VI) (იხ. 7(20) მაისი)
- 19 (1.09) — ლირსმოწამენი: მიტროპოლიტი ნაზარი (ლეჟავა),
მღდლები: გერმანე (ჯავანიძე), იეროთეოსი
(ნიკოლაძე) და სიმონი (მჭედლიძე);
პროტოდიაკონი ბესარიონი (კუხიანიძე)
და ყოველნი ახალმოწამენი (XX);
- 21 (3.09) — ლირსი სარმეან კათოლიკოსი (+779);
- 24 (6.09) — ლირსი სერაპიონ საკვირველთმოქმედი (+1747);
- 28 (10.09) — მოწამე შუშანიკ დედოფალი (+475);



მოწამე რაჟდენი წარმოშობით სპარსი დიდებული იყო. იგი ძალიან დაახლოებული იყო სპარსეთის მეფის ჰორმიზდის კარზე. სპარსეთის მეფემ რაჟდენს აღსაზრდელად მისცა მისი საყვარელი ასული ბალენდუხტი. შემდგომში, როცა ქართლის მეფემ ვახტანგ გორგასალმა ბალენდუხტი ცოლად შეირთო, დედოფალს ქართლში მისი მამამძუძე (აღმზრდელი) რაჟდენიც ჩამოჰყვა.

რაჟდენმა და ბალანდუხტმა უარყვეს მაზდეანობა და ქრისტიანობა მიიღეს. ვახტანგ მეფემ შეიყვარა რაჟდენი და „საკუთარ და თანამზრახველ თვისსა ყო იგი“. რაჟდენიც ერთგულად ედგა მხარში ვახტანგ მეფეს და აქტიურად იღვნოდა ქვეყნის გაძლიერებისათვის.

ქართლის სამეფოს დაახლოებამ ბიზანტიის იმპერიასთან და სპარსეთის სანინააღმდეგო პოლიტიკამ, ძალიან გააპრაზა სპარსეთის მეფე პეროზი და 457 წელს დიდაღლი ჯარი დაძრა საქართველოსკენ. ვახტანგ გორგასალმა წინასწარ გაამაგრა ციხე-ქალაქები, თვითონ კი მცხეთაში დადგა თავისი ჯარით. მტერი მცხეთის მახლობლად დაბანაკდა. დაიწყო ხანგრძლივი ომი. ქართველ მებრძოლთა მცირე რაზმები მოულოდნელად თავს ესხმოდნენ სპარსელებს და მუსრს ავლებდნენ. ასე გრძელდებოდა ხუთი თვის განმავლობაში.

ომის დროს თავი ისახელა „ახოვანმან წყობათა შინა და გამოცდილმან, რჩეულმან მებრძოლმან“ რაჟდენმა. განრისხებულმა პეროზ მეფემ ბრძანა, ცოცხლად შეეპყროთ გაქრისტიანებული რაჟდენი. ერთერთი შეტევის დროს სპარსელებმა შეიპყრეს რაჟდენი და შეკრული მიჰევარეს სპარსთა მეფეს. პეროზმა პატივით მოიკითხა რაჟდენი: „გი-საროდენ, მხნეო რაჟდენ, მშვიდობა შენდა! სად უკუუ იყავ ესოდენთა ამათ უამთა, რაღასათვს უარ გიქმნიეს მამული შჯული და შედგომილ ხარ სჯულსა უცხოსა, რომელი არა გასწავეს მამათა შენთა და ბრნყინვალისა მზისა წილ და ცეცხლისა და სხუათა მათ მნათობთა მსახურებ ჯუარცმულსა კაცსა, რომელი ჰურიათა მოაკუდინეს და შენ იგი ღმერთად შეგირაცხიეს, ანუ არა ესე ყოველი ესრეთ არსა?“

რაჟდენმა გაბედულად მიუგო: „ჭეშმარიტად ეგრეთ არს, ვითარცა სთქუ, მეფეო, რამეთუ მე ქრისტიანე ქმნილ ვარ და დამიტევებიეს მა-

მული უღმრთოებად და არღარა თაყუანის-ვსცემ ცეცხლსა შემწველსა, არცა მზესა, კაცთათვს სამსახურად დაბადებულსა, არამედ ღმერთა ცხოველსა, რომელმან ქმნა ცანი და ქუეყანად და ყოველი, რა არს მათ შინა ხილული ანუ უხილავნი, რომელსა აქუს უკუდავებად და მკვდრ არს იგი ნათელსა შინა თუალთ-შეუდგამსა, რომელი-იგი არავინ იხილა, ვერცა შემძლებელ არს”.

პეროზ მეფემ კვლავ დაყვავებით უთხრა: „ისმინე, რაჟდენ, და დაუტევენ უხმარნი ეგე სიტყუანი და ერჩდი ბრძანებათა ჩუენთა და მიგანიჭნეთ პატივნი და დიდებანი უფროვს პირველისა და გყოთ თანაზიარ დიდებისა ჩუენისა და იყო საკუთარ მეგობარ და საყუარელ ჩუენდა. და უკუეთუ არა ყო, სიკუდილითა მნარითა და სატანჯველითა მრავალ-ფერითა მოგაკუდინოთ შენ“. რაჟდენმა მოუსმინა მეფეს და მშვიდად მიუგო: „რა არიან ნიჭნი და პატივნი შენი, მეფეო, არა საწუთრონი არიან და მსგავსად სიზმრისა განქარვებადნი და აჩრდილებრ წარმავალნი? ხოლო სული უკუდავ არს და უკუდავადაც ჰგიეს, და უკუეთუ ვისმინო ბრძანებისა შენისა და ვერჩდე თქმულთა შენთა, არა მოვკუდეა მეცა, ვითარცა ზოგად ყოველი კაცნი და მერმე საუკუნოდ ვიტანჯებოდე ცეცხლსა შინა უშრეტსა და სიმდიდრე შენი აქავე დაუტევო, ხოლო უკუეთუ მოვკუდე ქრისტესთვს, უკვდავ ვიქმნე საუკუნოდ და მის თანა ვსუფევდე“.

პეროზ მეფის ბრძანებით ჯალათებმა სასტიკად ანამეს წმიდა რაჟდენი, მძიმე ბორკილები დაადეს და საპყრობილები ჩააგდეს. დილეგში მყოფი რაჟდენი გულმოდგინედ ევედრებოდა უფალს, მიენიჭებინა მისთვის ძალა მოთმინებისა, რომ არ ელალატა ქრისტესთვის.

რაჟდენის ტყვედ ჩავარდნის და წამების ამბავი მალევე გაიგეს მცხეთაში. პეროზ მეფეს რამდენიმე წარჩინებული ქართველი ეახლა და მცირე ხნით რაჟდენის განთავისუფლება სთხოვა. პეროზმა რაჟდენს უკან დაბრუნების ფიცი ჩამოართვა და მცხეთაში გაუშვა.

რაჟდენმა პირველად მეფე ვახტანგი მოინახულა და შემდეგ მოიკითხა სახლეული. როცა ცოლმა გაიგო, რომ რაჟდენი ისევ უკან უნდა დაბრუნებულიყო, შეევედრა მეუღლეს: „რად ესრეთ განგინირავს ცხორებად თვისი და მიგიცემიეს თავი შენი სიკუდილად და ჩუენცა სრულიად ოხერ და ობოლ გუყოფ? ჰყოფდი ბრძანებასა მათსა და იხსენ თავი შენი და ჩუენცა, რათა არა ბოროტად მოკუდე შენ და ჩუენ სიკუდილითა შენითა მივეცნეთ განსაცდელსა მნარესა და მნუხარებასა ძნელსა“. წმიდა რაჟდენმა ცოლს უფრო მეტი გონიერებისაკენ მოუწოდა: „რად ესრეთ ბოროტისა განმზრახ მექმნები, დედაკაცო, ვითარცა ევა, ანუ ვითარცა ცოლი იგი იობისი, რამთამცა ვისმინე შენი და ვიქმნეცა ვითარცა ადამ, უკუდავებისა წილ მოკუდავ და უხრწნელებისა წილ განხრნილ და მინად ქცეული“. წამებისათვის გამზადებული

რაჟდენი კვლავ უკან დაბრუნდა. პეროზი ისევ შეეცადა წმიდანის გადაბირებას, მაგრამ რაჟდენმა მიუგო: „ვერარამან განმაშოროს სიყუარულსა ქრისტესა, ჭირმან ანუ იწროებამან, დევნამან ანუ პყრობილებამან, სიკუდილმან ანუ ცხორებამან, სიმდიდრეთა ანუ სიგლახაკეთა, ვერარამან შეუძლოს განყენებად ჩემი სიყუარულსა ღმრთისასა, რამეთუ მზა ვარ ყოვლისავე დათმენად“.

პეროზ მეფემ, რაჟდენი დასასჯელად წრომს დაბანაკებულ სპარს სარდალთან გაგზავნა, რომელიც კვლავ ეცადა მის გადაბირებას მაზედანობაზე, წმიდანმა კი მტკიცედ მიუგო: „რადა მაიძულებთ, უსჯულონო, ცხოველისა ღმრთისა დატევებად, რომელმან დაბადა ცად და ქუეყანად ყოველი, რად არს მათ შინა... მე პატიუნი თქუენი და ნიჭი გინებად შემირაცხიან, რომელი დღეს არს და ხვალე არღარა. ანი რომელიცა გენებოსთ, ყავთ იგი, რამეთუ მე მზა ვარ დათმენად ყოველთა ძროთა ქრისტესთვს“.

რაჟდენს ჯვარზე გაკვრით სიკუდილის განაჩენი გამოუტანეს „ვინათვან ძელსა ზედა მოკლულისა მიმართ აქუს სასოებად, რათა ესე-ცა ძელითა აღესრულოს“, ბრძანა სპარსმა სარდალმა და რაჟდენი ქრისტეს მსგავსად გააკრეს ჯვარზე და ისრები დაუშინეს.

წმიდა რაჟდენის ბოლო სიტყვები იყო: „ხელთა შენთა, უფალო, შევვედრებ სულსა ჩემსა“. ღამით ქრისტიანებმა გარდამოხსნეს ჯვარიდან რაჟდენის გვამი და ფარულად მინას მიაბარეს.

რამდენიმე წლის შემდეგ საქართველოში მშვიდობა დამყარდა. მეფე ვახტანგ გორგასალმა წრომიდან გადაასვენა მონამე რაჟდენის გვამი და დაკრძალა ნიქოზის საკათედრო ტაძარში. ვახტანგ მეფემ მონამე რაჟდენის სახელობის ტაძრები ააშენა უჯარმასა და სამგორში.

რაჟდენი არის ქართლში ქრისტიანობისთვის პირველად წამებული და ამიტომაც მას რაჟდენ პირველმონამედ იხსენიებს საქართველოს ეკლესია.



ცხრანი ძმანი ხერხეულიდან დადითა და ჭით
 და მათ თანა ათიათასი ქართველი,
 მარაპდას მომცდარი (+1625)
 3 (16) აგვისტო



ცხრანი ძმანი ხერხეულიდენი დედით, დით და მათთან ერთად ცხრაათასი ქართველი მონამეობრივად აღესრულნენ 1625 წლის 1(14) ივლისს.

1625 წელს სპარსელების წინააღმდეგ აჯანყებულმა ქართლ-კახეთის მოსახლეობამ მარტყოფის ველზე სასტიკად გაანადგურა შაჰ-აბასის არმია. ოცდაათიათასი სპარსელიდან მხოლოდ სამიათასი გადაურჩა სიკვდილს. მარტყოფის ბრძოლაში დაეცა შაჰ-აბასის ბევრი სახელგანთქმული სარდალი. ამ გამარჯვებამ გააერთიანა ქართლ-კახეთი და „ყველგან

შფოთი გაჩნდა“. გააფთრებულმა შაჰ-აბასმა საქართველოსკენ სპარსული ურდო დაძრა, რომელსაც ისა-ხან ყორჩიბაში სარდლობდა.

ქართველები კოჯორ-ტაბახმელას მიდამოებში დაბანაკდნენ ოციათასიანი ლაშქრით. მარაბდის ველზე დაბანაკებულ ირანელთა რიცხვი კი ორმოცდაათი ათასს აჭარბებდა. ბრძოლის წინ თეიმურაზ მეფემ, გიორგი სააკაძემ, ზურაბ და დავით ერისთავებმა, ბარათა ბარათაშვილმა, იასე ქსნის ერისთავმა, თეიმურაზ მუხრანბატონმა, ალათანგ ხერხეულიდემ, ბაადურ ციციშვილმა, დავით ჯანდიერმა, მანუჩარ ათაბაგმა ითაბირეს. მათთან იყვნენ სამღდელონიც: მროველი, ალავერდელი, რუსთველი, ხარჭაშნელი ეპისკოპოსები.

გათენდა 1625 წლის 1 ივლისი. საზიარებლად განემზადა ქართველთა ლაშქარი. მეომართა გვერდით იდგა იარაღით შეჭურვილი სამღდელოებაც. მროველი ეპისკოპოსი დომენტი ავალიშვილი წარდგა ლაშქრის წინაშე წმიდა ბარძიმით ხელში. ლაშქარმა ერთხმად შესძახა: „უკუეთუ დღეს აღიღებ მახვლა ბრძოლად, უბრძანე, რათა გვაზიაროს სხუამან, და უკეთუ არა, უმჯობეს არს შენს მიერ“. მროველი ჩა-

ფიქრდა და თქვა: „დღეს ბრძოლა არს სარწმუნოებისა და ქრისტეს მცნებისა და არა ჩემ ზედა, ამისათვის არა ვყო, უკუეთუ უნინარეს თქუენსა არა დავსთხიო სისხლი ჩემი მახვლის ამღებმან“. რუსელმა ეპისკოპოსმა დალოცა მსედრობა და თვითონაც, აბჯრით შეჭურვილი, მენინავე რაზმში ჩადგა.


შეტევა გარიურაუზე დაიწყო. ნინ ცხენოსანი ჯარი წავიდა, უკან ქვეითი მიჰყვა. ქართველები მტრის ბანაქში შეიჭრნენ და შეიქნა შებთა ძეერება, „წმალთა და ლახტა მუზარადებზედ წეთქინება“.

მცირერიცხოვან ქართველთა სიმამაცემ ყიზილბაშები უკუაქცია, მაგრამ ისა-ხან ყორჩიბაშმა არ დამზო ბრძოლა. ამასობაში აზერბაიჯანის ბეგლარ-ბეგი შაპბენდე-ხანიც შეუერთდა სპარსელებს მაშველი რაზმით. ბრძოლაში მოკლეს თეიმურაზ მუხრანბატონი, მებრძოლებში კი ხმა გავარდა თითქოს თეიმურაზ მეფი მოკლეს სპარსელებმა „და ივლტოდენ კახნი და ქართველნი“. შეთხელდა ივერიელთა რიგები. გულგანგმირულნი დაეცნენ: დავით ჯანდიერი, აღათანგ ხერხეულიძე, ბაადურ ციციშვილი, რუსთველი და ხარჭაშნელი ეპისკოპოსები.

ცხრა ძმა ხერხეულიძის ხელში გადაინაცვლა ქართულმა დროშამ, შემდეგ მათმა ერთადერთმა დამიჰყურა ხელთ დროშა და როდესაც ისიც დაეცა, მათმა დედამ აღმართა ქართველთა სახელმწიფოებრიობისა და უძლეველობის სიმბოლო.

მზის ჩასვლამდე იბრძოდა თეიმურაზ მეფე, რომელმაც იმ დღეს „დაამტკვრია ყოველი საბრძოლო იარალი და არლარა შემორჩომოდა რა. ბეჭდებიცა დაემტკვრია მუშტის ძგერებით“. სისხლის უკანასკნელ წვეთამდე იბრძოდნენ ქართველები, მაგრამ უშედეგოდ, გარიურაუზე დაწყებული ბრძოლა გვიან ლამით ქართველთა მარცხით დამთავრდა.

ბრძოლის ველზე მკერდგანგმირული იწვა ქრისტეს და მამულისათვის თავდადებული ათიათასამდე ქრისტიანი, რომელთა აღსასრული ქრისტესთვის სიკვდილად შეაფასა საქართველოს ეკლესიამ და ერთ დღეს დააწესა მათი ხსენება.





ღირსი ეფთვიმი (მჭედელაშვილი)
ნარმოშობით კახეთიდან იყო, იგი 1725
წლის ახლო ხანებში დაიბადა წინან-
დალში.

ეფთვიმი ადრეულ ასაკშივე აღკვე-
ცილა მონაზვნად გარეჯის მრავალმთის
უდაბნოს იოვანე ნათლისმცემლის მო-
ნასტერში. იმ დროს მონასტრის წინამ-
ძღვარი იყო წმიდა სერაპიონ საკვირვე-
ლომოქმედი, რომლის ირგვლივ შემოკ-
რებილი ბერ-მონაზვნები დაუცხრომე-
ლად მოღვაწეობდნენ ღმრთის სადიდე-
ბლად და ქვეყნის სასარგებლოდ. ლავ-
რაში ფართოდ იყო გაშლილი სამწერ-
ლობი და მწიგნობრული მოღვაწეობა, იქ
განისწავლა ეფთვიმი ლოცვისა და
მარხვის სათნოებებში და საფუძვლი-
ანად დაეუფლა ღმრთისმეტყველებასა
და ფილოსოფიას.

დიდი მეუდაბნოე და სიწმიდით სავსე
ეფთვიმი, გარეგნულად ტანდაბალი და სუსტი იყო. საოცრად თავმდა-
ბალი მოღვაწე გამორჩეულად უყვარდა მეფე ერეკლეს და მას მიანდო
მისი შვილის, საქართველოს ბოლო მეფის გიორგის სულიერი აღზრდა.

1774 წელს მონასტრის წინამძღვრის წმინდა სერაპიონის გარდაც-
ვალების შემდეგ ძმებმა იღუმენად წმიდა ეფთვიმე აირჩიეს.

ერთხელ ეფთვიმი ხაშმი ნასულა მონასტრის ერთ-ერთი მონაზვ-
ნის ამფილოქეს თანმხლებით. მამები გზაში ლეკებს დაუტყყვევებიათ
და თან წაუყვანიათ გამოსასყიდის გადახდის მიზნით. მაღალი,
გრძელი წვერებითა და წარმოსადევი გარეგნობის მქონე ამფილოქე
ლეკებს მონასტრის წინამძღვარი ჰელიონებიათ, ცხენზე შეუსვამთ და
პატივით ექცეოდნენ. სუსტი და თავმდაბალი ეფთვიმი კი „მიჰყავდათ
ქვეითად და იტყოდნენ მისთვის უპატიოდ: მაგისთვის რასა მოგუცე-
მენ“. მეფე გიორგის გამოუსყიდია ტყვეები და საკმაოდ დიდი თანხა
გადაუხდია წმიდა ეფთვიმის სანაცვლოდ.

1797 წელს ტფილისში შავი ჭირის ეპიდემიამ იფეთქა და მთელ
ქართლ-კახეთში გავრცელდა. „დიდი იყო დროთა ამათ ტყება და ვაება
დიდთა და მცირედთა, ობოლთა და ქვრივთა. მონასტერნი და უდაბ-

ნინი რომელთაცა ნინა უძლოდა ეფთვიმი მოძღვარი მეფისა, მიეშველენ გაბნეულთა პურითა და ღვინითა, საჭმელითა და საქონლითა. მეუდაბნოეთა ხელნი გარდაიცენ ხელად ღმრთისა და განგებულებისა მისისა... ლოცვა და ვედრება მათი, განწმედდა ქრისტიანეთა გონიერასა და განამხნევებდა მას, რათა უძლოს განსაცდელსა“.

ღირსი ეფთვიმის სულიერი შვილი იყო საქართველოს ეკლესიის კათოლიკოს-პატრიარქი ბესარიონი და საქართველოს მეფე გიორგი. როგორც ცნობილია, ეფთვიმის სულიერი მოძღვრობის ქვეშ მყოფი კათოლიკოს-პატრიარქი ბესარიონი არის საქართველოს ეკლესიის ერთ-ერთი უდიდესი მოღვაწე, ისტორიკოსი და ღმრთისმეტყველი. მეფე გიორგიც ქრისტიანულ „მოძღურებასა ნარმოსთქვამდა ესრეთი ძალითა და ესრეთ მადლიანად, რომელ სმენელთა ალატირებდა... ნინა-მძღუარი ნათლისმცემლის უდაბნოსა ეფთვიმი, უნოდებდა სულიერსა თვისსა მონაფესა მეფის ძეს გიორგის, მოძღურად თვისსა“. მეფე გიორგი წმინდა ეფთიმის მსგავსად, საუბარში და ოფიციალურ მინერ-მონერაში ხშირად ხმარობდა სიტყვებს: „ქრისტეს ღმრთის მადლითა“. ღირსი ეფვთიმი ურჩევდა მეფე გიორგის ერთ-მორნმუნე რუსეთთან მეგობრობას — „რათა მისცეს სამეფო რუსეთსა ხელმწიფეთა მფარველობასა“.



პლატონ იოსელიანის ცნობით, ერეკლე მეფის გარდაცვალების შემდეგ, 1798 წელს, ივლისის თვეში „ნიქოზისა ეპისკოპოსმან ათანასი უბრძანა დაუსვენოს ეკლესიაში ძელი ჭეშმარიტი, — სიდიდით განთქმული ყოველგან, რათა დააფიცონ ამირეჯიბნი თავადნი და მოდავენი მათნი იმერეთისა მესაზღვრენი. ალიღეს ტრაპეზიდან ძელი ჭეშმარტი ესე ოქროსა ბუდეში ჩადებული მკლავისა სიგრძე და ალავერდისა ძელისა ჭეშმარიტისა მიხედვითა ორგზის დიდი და დაასვენეს გარე ეკლესისა საწიგნესა ზედა. შემდგომად ფიცისა და შფოთისა შორის გლეხთა და თავადთა დაივინყეს ეკლესისა მცველთა ალებად ძელისა ჭეშმარიტისა საწიგნოდამ და დაკრძალვა ტრაპეზისა

ზედა". იმ დროს დაიკარგა, იმპერატორ კონსტანტინე დიდის მიერ მეფე მირიანისადმი მიძღვნილი, „საუკუნობითა დაცული" ძელი ჭეშმარიტი. ამ ამბავმა ყველა ძალიან დაამწუხრა. პატრიარქისა და მეფის ბრძანებით დიდხანს ამაოდ ეძებდნენ სიწმინდეს. ეფთვიმის კურთხევით მეფე გიორგი აქტიურად ცდილობდა, ძელი ჭეშმარიტის მოძიების პარალელურად საქართველოში დაებრუნებინა „ჯვარი წმიდისა ნინოსი — საუნჯე ქართველთა, ქართველთავე".

გარეულ და შინაურ მტერთაგან მუდამ შეჭირვებული მეფე გიორგი სასიკვდილოდ დასწეულდა. მეფის მოძღვარი ეფთვიმი ამხნევებდა მეფეს და ამზადებდა საუკუნო მეუფესთან, ქრისტესთან შესახვედრად. 1800 წლის „შობისა დღესა 25 დეკემბერსა. დასდგეს კარავი ნაკურთხი პირისპირ ოთახისა მისისა, (მეფე გიორგისა) და იწყეს წირვა; თვით მეფე მწოლარე ცხედარსა, დიდითა მხურვალებითა ისმენდა ლიტურ-



მეფე გიორგი

ღიასა და თვით წარიკითხა დღისა ამის სამოციქულო. ლიტურლია აღასრულა მოძღვარმან მისმან არქიმანდრიტმან ეფთვიმი; იოვანე ნათლისმცემელისა უდაბნოსა მოძღვარმან".

27 დეკემბერს მეფემ კვლავ „მოუნოდა მოძღვარსა თვისსა წინამძღვარსა ეფთვიმის; სთხოვა უკითხოს ლოცვანი ანგელოზისა მფარველისა. ავედრებდა სულსა მოძღვარსა თვისსა, რომელსაცა ესავდა დიდად, ვითარცა კაცსა წმიდასა და ქვეყნიერად ანგელოზად ხმობილსა მეფისაგან და ესრეთვე ცნობილსა ყოველთაგან... დილით დასდვეს კარავი და სწირა თვით ეფთვიმემან და კვალად ეზიარა მეფე დიდითა ცრემლთა დენითა და ვედრებითა".

28 დეკემბერს დილით 11 საათზე წირვის გამოლოცვის შემდეგ გიორგი მეფემ სული განუტევა. მეფემ ანდერძი დაუტოვა ეფთვიმეს, რომელიც ნათლისცემლის მონასტერში, იოვანე ნათლისმცემლის ხატის წინ დაკიდებულ ვერცხლის კანდელში იყო დაცული.

მეფე გიორგი მონასტერში, ამ ხატის წინ ითხოვდა დასაფლავებას, მაგრამ დედოფლმა, რუსეთის გენერალმა და სამეფო კარისკაცებმა „არღა ინებეს ალსრულება ანდერძისა სურვილისაებრ თვით მეფისა და დასდვეს, რათა მეფეთა საძვალესა შინა იქნას გვამი მისი დასაფლავებული".

მეფე გიორგის გარდაცვალების შემდეგ ქვეყანაში შიდა არეულობები დაიწყო, რომელიც მეტნაკლებად მონასტრებშიც აისახა. დევნა დაუწყეს ეფთვიმესაც და ცილისნამებლურ საჩივრებსაც უგზავნიდნენ მის შესახებ რუს ჩინოვნიკებს. ერთ-ერთი ასეთი საჩივრის გამო რუსმა ჩინოვნიკმა წმინდა ეფთვიმი „მრავლად საგიო და უპატიო ჰყო, სტუქსა უშვერად, მოიხსენა მნარედ და განაჩინა განშორება მისი წინამძღვრობისაგან უდაბნოდა. ეფთვიმი არა იგლოვდა ესრეთსა განჩინებასა... და იტყოდა: „ჭეშმარიტად ღირსი არს მუშაკი სასყიდლისა; მომეგო მე ჯერისაებრ. სოფელსა შინა მყოფსა მომხვდა მე სოფლისა მათრახი, ღმერთო ჩემო! ნუ მიმცემ მე უმეტესაა სასჯელსა; მოქმედება ჩემი და მეცადინობა რუსთა მოყვანისა არა იყო ორგულებად ქვეყნისა“.


1804 წლის 8 (21) აგვისტოს წმინდა ევთომიმ მშვიდობით შეჰვედრა სული უფალს. დაასაფლავეს მეფე გიორგის დასამარხად განკუთვნილ ადგილას, იოავანე ნათლისმცემლის ხატის წინ.

მონასტრის სიგელ-გუჯრები ეფთვიმი წინამძღვარს „მრავალლვან-ლმშრომელად“ მოიხსენიებს.



გარეჯი

გარეჯელი ღირსმონამენი:
 გერონტი და სერაკიონ ეღდელმონაზონი,
 ოთარი და სვიმეონ იეროდიაკონი, გერმანე და
 ბესარიონ მონაზონი, მიქაელ მორჩილი (+1851);
 12 (25) აგვისტო



გარეჯელი ღირსმონამენი: გერონტი და სერაკიონ
 მღდელმონაზონი, ოთარი და სვიმეონ იეროდიაკონი, გერ-
 მანე და ბესარიონ მონაზონი და მიქაელ მორჩილი ერთად
 მოღვაწეობდნენ გარეჯის ლავრაში.

1851 წლის 19 ივლისს, შუალამისას, გარეჯის უდაბნოს თავს დაესხა
 ლეკების დიდი რაზმი. მათ ისარგებლეს ღამის სიბნელითა და დაცვის
 არყოფნით და მოულოდნელად დაესხნენ თავს ტაძარში ლოცვად
 შეკრებილ ბერ-მონაზვნებს. ლეკებმა საკურთხეველში მოჰკვეთეს
 თავი და სიცოცხლეს გამოასალმეს მონასტრის მხცოვანი და ბრძენი
 მოღვაწერი მღდელმონაზონი გერონტი, ქართული გალობის საუ-
 კეთესო მცოდნე, რომელიც ასაკის გამო სარეცელს იყო მიჯაჭვული

და მხოლოდ ძმების ფაქტარებით ახერხებდა ტაძარში ღმრთისმსახურებას. საკურთხეველში მოკლეს მოხუცებული მღდელმონაზონი სერაპიონიც, მოკლეს იეროდიაკონი ოთარ ელიოზიშვილი და სიმონ ლომიძე, მონაზონი გერმანე და ბესარიონი, მორჩილი მიხეილ ქართველიშვილი.

ლეკებმა გაიტაცეს საღმრთისმსახურო ჭურჭლები და შესამოსლები, ტყვედ წაიყვანეს ცოცხლად დარჩენილი მოღვაწეები: მღდელმონაზონი მაკარი და ისააკი, იეროდიაკონი სერგი, მორჩილები მიხეილ დოლმაზაშვილი და ვასილი.

სიკვდილსა და ტყვეობას გადაურჩა მორჩილი დავით დოლმაზაშვილი, რომელიც კლდის ნაპრალში დაიმალა. მონასტრიდან სასწაულებრივად გაიპარნენ ალექსი ყანდარელი და ჭუკა დალმაშვილი, რომლებმაც ნათლისმცემლის მონასტერს შეაფარეს თავი. შემდეგ მათ ეს ამბავი შეატყობინეს გარეჯის მონასტრის წინამძღვარ არქიმანდრიტი იოვანე ავალიშვილს, რომელიც ლეკათა შემოსევის დროს სოფელში იყო წასული საქმეებზე. გარეჯის არქიმანდრიტი იოვანე ავალიშვილი და ნათლისმცემლის უდაბნოს არქიმანდრიტი იოვანე ჯორჯაძე ბერ-მონაზვნებისა და ერისკაცების თანხლებით მივიღნენ დავით გარეჯის სავანეში და დიდი პატივით დაკრძალეს მონამეთა (ცხედრები).

ტყვეები ლეკებისაგან გამოიხსნა რუსეთის იმპერატორმა ნიკოლოზ პავლეს ძემ. ამ ამბის შემსწრე და ტყვეობაში მყოფი მღდელმონაზონი ისააკი, შემდეგნაირად აღვინერს ამ ისტორიას: „...დღესა ოთხშაბათსა, უამსა დღისასა იბ-ს (12 საათი), მონასტერსა შინა დავით გარეჯისასა, ...დაბნელდა სრულიად მზე და გამოჩნდა ვარსკვლავნი ცისანი, ...უწინარეს ერთისა დღისა იგლოვა ცამან და ქუეყანამან უშვალოთაგან მოოხრება წმიდისა მონასტრისა და ლირსთა მამათა და ძმათა უწყალო ტანჯვა უსჯულოთაგან... მასვე უამსა მეორესა დღისასა ხუთშაბათსა მოვიდენ მუნ მონასტერსა შინა უსჯულონი აგარიანი რიცხვით ივ (16), აღჭურვილი მხეცებრ განძვინებული. პირველად იწყეს ტაძრისა ყოვლადწმიდისა განძარცვად. შემდგომად მეორეცა ტაძარი განძარცვეს წმიდისა დიდისა ნიკოლოზისა და ყოველი ქონება და ჭურჭელი ამა ორთა მონასტერთა მიიტაცეს. და ჩუენ კრებულთა ერთბამად გვცვიდენ. შემდგომად ამისა იწყეს ძიებად დაფარულთა წიგნებთა და ვერარა იპოვეს. ამისა შემდგომად იწყეს ტანჯვად მამათა და ძმათა. პირველად იეროდიაკონი ოთარი უჩინოითა მახვილითა აღესრულა, შემდეგ იერომონაზონსა გერონტის თავი წარკვეთეს, სერაპიონ იერომონაზონსა უხეთქეს მახვილი თავსა და აღესრულა, გერმანე მწირმონაზონსა განუპეს მუცელი და მერმეთ თავი წარკვეთეს. ბესარიონ მწირმონაზონსა მყის თავი წარკვეთეს.

სკიმონ დიაკონი, რომელი იყო ჭაბუკი ასაკითა იწყო სილტოლვა და უჩინოითა მახვილითა ტყორცნილმან ვერლარა უძლო სვლად და მერმეთ თავი ნარკვეთეს. ხოლო რომელი იყო მიხაელ დუმილით შეწყნარებული და ფრიად მორჩილი კრებულისა და მონასტრისა, სხვათა უმეტეს სტანჯეს, შეჰქრეს რა საბლითა და მიჰყავდათ. ხოლო მან შენერნყვა უსჯულოთა მათ და ამისა შემდგომად უხეთქეს თავსა მახვილი, შემდგომად მუცელი განაპეს და დასჭრეს უწყალოდ ...

პირველად აღსრულებისა მათ ლირსთა მამათა გარდამოხდა ნათელი დიდი და დაადგრა გვამებსა ნამებულთა მათ ჭემმარიტად მორჩმუნეთაგან უეჭველი და ურნმუნოთა იჭვნეული და იხილეს რა უსჯულოთა მათ განსაკრთომელი ხილვა ესე, არა თუ შეიკდიმეს, არამედ სთქუეს ცეცხლი გარდამოხდაო მათდა დასაწელადო. ეპა უგბილსა განგესლებულსა გონებასა მათ უსჯულოთასა და დაბნელებულსა სჯულსა მათსა. ხოლო სახელები ნამებულთა მათ ესე არს: ორნი იერომონახნი გერონტი და სერაპიონ, ორნი მწირმონაზონნი გერმანე და ბესარიონ, ორნი იეროდიაკონნი ოთარ და სიმეონ, ხოლო მეშვიდე მათ თანა უკანასკნელი ნამებული მიხაელ ერისა უწყებისანი. ესენი იყვნენ რა სხვათა და სხვათა ადგილთაგან შემოკრებილნი. გერონტი კახეთისა, სერაპიონ იმერეთისა, მიხაელ ქართლისა რცხილოვანისა, ბესარიონ რაჭისა, სიმონ იეროდიაკონი იმერეთისა, ოთარ და მიხაილ ტფილისის ქალაქისა. ლირს არიან იგინი, შემდგომად ხორცთა გარყვნისა აღმოხმად ძვალთა მათთა და დადებად პირველ ნამებულთა ლირსთა მამათა... და დღესასწაული მათი იხსენიებოდეს ნლითი წლად. მე ულირსმან დიდისა მონასტრის გაენათისამან ისააკ, რომელი მეცა ტყუედ მყოფი ვიყავ მათ თანა რომელი ვხედავდი თვალითა დავსწერე ნამება ნმიდათა მამათა უმეტნაკლოდ შემოკლებული ისტორია ესე".

ასეთივე ამბავი განმეორდა 1857 წლის 1 ოქტომბერს. ლეკებმა მოკლეს სავანის მცველი მიხეილ სერგიაშვილი, ტყვედ ნაიყვანეს მღდელმონაზონნი მიტროფანე ნაცვლიშვილი და გაიოზი, სავანის ორი მცველი და ორი რუსი ეროვნების ჭაბუკი.

სახლში დაბრუნებულმა ლეკებმა ერთმანეთში გაიყვეს ნაძარცვი ქონება. მათ ვერ გაიგეს ძვირფას კიდობანში მყოფი „მადლის ქვის“ მნიშვნელობა და სხვენზე შეაგდეს. მღდელმონაზონმა მიტროფანემ დაიმახსოვრა ეს ადგილი და როდესაც ლეკებმა გამოსასყიდის სანაცვლოდ ტყველი გაანთავისუფლეს, მან ჩუმად ნამოილო „მადლის ქვა“ და კვლავ მონასტერში დაბრუნა.

ამ ამბის შემდეგ თანდათან იკლო მონასტერზე ლეკების თავდასხმამ და შედარებით მშვიდი პერიოდი დაუდგათ მამებს მოლვანეობისათვის.



ქართველთა მონასტრის მეთექვსმეტე საუკუნის აღაპებში Jer -80.



ღირსი ტბელი აბუსერიძე მოღვაწეობდა მეთორმეტე საუკუნეში. მისი მამა ივანე, ზემო აჭარის ერისთავთ-ერისთავი, თურქებთან ბრძოლაში დაიღუპა. დაქვრივების შემდეგ ტბელის დედა მონაზვნად აღიკვეცა ეკატერინეს სახელით. ტბელს ჰყავდა ორი ძმა აბუსერი და ვარდანი, რომელნიც ასევე ცნობილი მოღვაწენი იყვნენ.

ტბელმა, როგორც ჰიმნოგრაფმა, პროზაიკოსმა, ასტრონომმა, საეკლესიო მუსიკათ-მცოდნემ და, საერთოდ, ღრმა მეცნიერული აზროვნებით გამორჩეულმა მნიღნობარმა, წარუშლელი კვალი დააჩნია ქართული კულტურის ისტორიას. როგორც მისი ნაწერებიდან ჩანს, ტბელმა, ზემო აჭარაში, სოფელ ხიხანში ააშენა წმიდა გიორგის ეკლესია. ვარაუდობენ, რომ წმიდა ტბელი ხიხანის წმიდა გიორგის ეკლესის ღმრთისმახური იყო და თავისი თხზულებების უმეტესი ნაწილიც იქ შექმნა. ტბელს შვიდი შვილი ჰყოლია და როგორც თავისი საგვარეულო მატიანეში წერს, თუ კიდევ გაუჩინდებოდა შვილი, მათი სახელებიც უნდა შეეტანათ მატიანეში.

წმიდა ტბელს ინტენსიური ურთიერთობა ჰქონდა გელათის აკადემიასთან, ვარაუდობენ, რომ მან იქ მიიღო მრავალმხრივი განათლება, რაც საშუალებას აძლევდა, ერთმანეთისაგან განსხვავებულ ჟანრებში ეთქვა თავისი ბრძნული სიტყვა. წმიდა ტბელის ჰიმნოგრაფიულ კრებულში თავმოყრილი გალობანის ღრმა საღმრთისმეტყველო აზრები, მეტაფორები, მოვლენების სიმბოლური და მისტიური გააზრება „ცნობა ხილულთა“ და „უხილავთა მეცნიერჲჷყოფა“ წმიდა ტბელს წარმოაჩენს, როგორც მსოფლიო დონის მეცნიერსა და ღმრთისმეტყველს.

წმიდა ტბელ აბუსერიძეს შეუდგენია „ქრონიკონი სრული საუნყებელითა და განგებითა“, რომელიც ასტრონომიისა და ისტორიის ცოდნასთან ერთად გადმოცემულია კალენდრის კოსმიური გააზრება და ქრისტიანული ესქატოლოგია.

ლიტერატურული და მეცნიერული მოღვაწეობის გარდა, რომელიც სათანადოდ არის დაფასებული ქართველი მეცნიერების მიერ, წმიდა ტბელი ცნობილია როგორც ღირსი და ღმერთშემოსილი წმიდა მამა.



ღირსი ქრისტოდულე ფილოსოფოსი ცხოვრობდა და მოღვაწეობდა მეთორმეტე საუკუნეში.

იოვანე ბატონიშვილის ცნობით ღირსი ქრისტოდულე ქართველ თავადაზნაურთა წრილან იყო: „ეეთილშობილთა ძირთაგან აღმოსრული ქართველი და არაბულთა და სპარსულთა წერილთა შინა გამოცდილი, რომელმან ზედმინევნით უწყოდა ენად მათი და ესნავა ყურანიცა; ესე იყო ფილოსოფოსი და საღმრთოთა წერილთა შინა გამოცდილი“.

ცნობილი საეკლესიო მწერლისა და ფილოსოფოსის, არსენ იყალთოელის „დოგმატიკონში“ გვხვდება ერთი ანტიმაპტიანური საპოლემიკო თხზულება, რომელსაც

ასეთი სათაური აქვს: „წენებად სიტყვისგებისად და სასჯელისაა სჯულისათვეს ქრისტიანეთადსა და სარკინოზთა“.

ამ თხზულების მიხედვით მეთორმეტე საუკუნეში, როდესაც საქართველოს სპარსელები შემოესივნენ, ისინი ტფილისში უმრად შემოუშვეს. სპარსთა მეფე იამამე ტფილისში დაჯდა და ქალაქი ალარ აუოხრებია, კეთილად მოექცა მოსახლეობას და „მრავალთა მიანიჭა საბოძვარნი“.

ერთხელ, იამამე, სარნმუნოებრივი საკითხების ირგვლივ სასუბროდ შეკრიბა ქრისტიანები და სარკინოზნი. ქართველი ქრისტიანების წარმომადგენელი იყო სინმიდითა და სიბრძნით ცნობილი ქართველი მონაზონი ქრისტოდულე.


კრებაზე ქრისტიანებსა და სარკინოზებს შორის პაექრობა გაიმართა, რომელშიც აშეარად გამოჩნდა ქრისტიანული სარნმუნოების ჭეშმარიტება. მონაზონმა ქრისტოდულებმ ჭევრმეტყველური ქადაგებით ყველა გააკვირვა. ქრისტოდულეს შეეკამათა ჯერ თვით იამამე ხელმწიფე, რომელიც ძლეულ იქნა, შემდეგ მას შეენაცვლა ვინმე მოგვი, ვარსკვლავთმრიცხველი. ისიც რომ ვერას გახდა, მოუნოდეს „კაც-სა ვისმე მოძღუარსა და სიტყვს მეცნიერად საგონებელსა“, რომელიც თითქოს უფრო მომზადებული იყო საპაექროდ. კამათი იყო შემდეგი საკითხების ირგვლივ: აზრი და მნიშვნელობა ქრისტიანული ბერმონაზვნობისა; იესუ ქრისტეს, როგორც ჭეშმარიტი ღმერთის განკაცება

და მუჰამედის წინასწარმეტყველებები.

წმიდა ქრისტოდულოსს დამაჯერებელი არგუმენტები მოჰყავდა როგორც საღმრთო წერილიდან, ისე ყურანიდან. ქრისტოდულები იოლად სძლია მეტოქებს, რომელნიც „შეკდიმებულ და სირცხვილეულ“ დარჩენ.


მყვლევარები ვარაუდობენ, რომ ქრისტოდულე საქართველოდან საბერძნეთში გაემგზავრა სამოღვანეოდ. იგი ჯერ ათონის ივერთა მონასტერში მოღვა- წეობდა, შემდეგ კი კუ- ნძულ პატმოსზე და- მკვიდრებულა და იქ აღსრულებულა მშვი- დობით.

მეთვრამეტე საუკუ- ნის მოღვაწე მიტრო- პოლიტი ტიმოთე (გა- ბაშვილი) აღნერს თა- ვის მოგზაურობას პატ- მოსზე და წერს: „და იყო მთლივ გვამი წმი- დისა ხრისტოდულოსი მუნ“.



ღირსეონამენი: მიტროპოლიტი ნაზარი (ლეზავა),
გღდლები: გერმანე (ჯაჭანიძე), იეროთეოზი (ნიკო-
ლაძე), სიმონი (მაშადლიძე); პროტოდიაკონი გასარიონი
(კუხიანიძე) (+1924) და ყოველი ახალმონამენი (XX);

19 (1.09) აგვისტო



მიტროპოლიტი ნაზარი
ლეზავა, დეკანოზი გერმანე
ჯაჭანიძე, მღდელი იეროთე-
ოზ ნიკოლაძე, მღდელი სიმონ
მჭედლიძე და პროტოდიაკონი
ბესარიონ კუხიანიძე მოწამეო-
ბრივად აღესრულენ 1924 წლის
1 სექტემბერს, ძველი სტილით
19 აგვისტოს.

**მიტროპოლიტი ნაზარი (ერ-
ისკაცობაში იოსებ ლეზავა)** დაი-
ბადა 1872 წელს, იმერეთის სო-
ფიელ დიდ ჯიხაიში. ნაზარის
ნინაპრები სასულიერო პირნი
ყოფილან და მომავალი მიტრო-
პოლიტი სიყრმიდანვე საეკლე-
სიონ გარემოში იზრდებოდა.

იოსებმა დაწყებითი განათ-
ლება ქუთაისის სასულიერო
სასწავლებელში მიიღო. 1892
წელს მან ნარჩინებით დაამთავ-
რა ტფილისის სასულიერო სე-
მინარია, მალევე დაოჯახდა და სასულიერო მოღვაწეობა დაიწყო. 1893
წლის 22 თებერვალს იოსები მღდლად აკურთხეს.

მამა იოსები, რომელიც ქრისტიანული თავდადებით ზრუნავდა
მრევლზე და ოჯახზე, მძიმე განსაცდელის ნინაშე აღმოჩნდა, მას ჯერ
მეუღლე გარდაეცვალა, შემდეგ კი ორივე ასული. ქრისტესმოყვარე
ღმრთისმსახურმა ამ ტრაგედიის შემდეგ მთლიანად უფლის სამ-
სახურისთვის გადადო თავი, 1904 წელს მონაზვნად აღიკვეცა და
ნაზარი დაარქვეს.

1905 წელს მღდელმონაზონი ნაზარი დაინიშნა რუსეთის ველენსკის
სასწავლებლის ჰომილეტიკის პედაგოგად; 1907 წელს კი კლევანსკის
სასულიერო სასწავლებლის ზედამხედველად გადაიყვანეს. 1910 წელს
მღდელმონაზონი ნაზარი აღყვანილ იქნა ილუმენის ხარისხში. 1911

წელს კი გარეჯის უდაბნოს იოვანე ნათლისმცემლის სავანეს წინამძღვარი გახდა. ამავე წლის 1 დეკემბერს არქიმანდრიტი ნაზარი ეპისკოპოსის ხარისხში იქნა აღყვანილი. მას სამწყსოდ ქუთაისისა და გაენათის უძველესი კათედრა ჩააბარეს.



შიტროპოლიტი ნაზარი ლევავა

და ეროვნული ორიენტაციის მქონე ადამიანი.

ქვეყნის ოკუპაციის შემდეგ ბოლშევიკებმა დააპატიმრეს შიტროპოლიტი ნაზარი. მას ბრალად დასდეს ხელისუფლების წინააღმდეგ აგიტაცია და სიონისა და სვეტიცხოვლის ქონების გადამალვა. კითხვაზე, თუ ვისთვის ინახებოდა განძეულობა, სასამართლო პროცესზე მიტროპოლიტმა ნაზარმა უპასუხა: „ეკლესიისათვის და ქართველი ერისათვის“. სასამართლომ მეუფე ნაზარს სასჯელის უმაღლესი ზომა, დახვრეტა მიუსაჯა. შემდგომში სასჯელი შეიცვალა პატიმრობითა და ქონების კონფისკაციით.

1924 წლის აპრილში ამნისტიის საფუძველზე ორი წლის პატიმრობის შემდეგ მიტროპოლიტი ნაზარი გაათავისუფლეს. იგი დაუბრუნდა თავის ეპარქიას, მაგრამ კომუნისტებმა რეზიდენციაში აღარ შეუმვეს და მეუფე იძულებული შეიქნა, ძმის ოჯახისათვის შეეფარებინა თავი.

საბჭოთა ხელისუფლებამ ქუთაისის ეპარქიაში მოქმედი მრავალი ეკლესია-მონასტერი გააუქმა და დაანგრია. 1923 წლის 8 მარტს ქუთა-

ქუთათელ-გაენათელ მიტროპოლიტ ნაზარის სამღდელმთავრო მოღვაწეობა მეტად რთულ ვითარებაში მოუხდა.

1921 წლის 23 თებერვალს, წითელი არმიის შემოტევის გამო, საკათოლიკოსო საბჭოს დადგენილების თანახმად, სიონისა და სვეტიცხოვლის საეკლესიო განძეულობა გადაიტანეს ქუთაისში, ბაგრატის ტაძართან მდებარე ნაზარის სამიტროპოლიტო სახლში.

1922-23 წლები უმძიმესი პერიოდია საქართველოს ეკლესიის ისტორიაში. ბოლშევიკური მთავრობის ინიციატივით დაინგრა ათასორასზე მეტი ეკლესია, განადგურდა საეკლესიო განძეულობა, დაინვა უამრავი უნიკალური ხელნაწერი, რეპრესირებულ იქნა მრავალი სასულიერო პირი

ისის საკათედრო ტაძარი კომ-
კავშირს გადაეცა.

1924 წლის 30 იანვარს საქარ-
თველოს კომპარტიის ქუთაისის
სამაზრო კომიტეტის პრეზიდი-
უმმა წმიდა დავით აღმაშენებ-
ლის ტაძრის დანგრევის გადაწყ-
ვეტილება მიიღო. აღმფოთებუ-
ლი მოქალაქეები ტაძრის დასა-
ცავად შეიკრიბნენ. 1924 წლის 22
მაისს მიტროპოლიტმა ნაზარმა
განცხადებით მიმართა მთავრო-
ბას არ დაენგრიათ ტაძარი, მაგ-
რამ მისი ხმა არავის შეუსმენია.
ტაძრის ნგრევა 3 ივლისს დაიწყო
და დასრულდა აგვისტოს თვეში.
განადგურდა კიდევ ერთი დიდე-
ბული ტაძარი. ათეისტურმა
ხელისუფლებამ სამკუდრო-სასი-
ცოცხლო ბრძოლა გამოუცხადა
წმიდა ეკლესიას.

მეუფე ნაზარს გვერდით ედგა
ეპარქიის სამღვდელოება, რომლებიც ყოველგვარ დევნა-შევიწრო-
ებას იტანდნენ და სიცოცხლის რისკის ფასად აღასრულებდნენ
ღმრთისმსახურებას.

მღდელი სიმონ მჭედლიძე სასულიერო გვარის შთამომავალი იყო
ბაბუამისი სიმონი, ასევე მღდელი იყო და ზესტაფონის რაიონის
სოფელ სვირში მსახურობდა. მისი შვილი დეკანოზი მიხეილი, იმე-
რეთის ეკლესიის ბლაგოჩინი (მაშინდელი საეკლესიო-ადმინის-
ტრაციული წესით რამოდენიმე ეკლესიის ზედამხედველი, ეპისკო-
პოსის თანაშემწენე) იყო.

დეკანზ მიხეილის უმცროსი ძმა, ცნობილი პუბლიცისტი ევსტათი
მჭედლიძე, წმიდა გაბრიელ ეპისკოპოსის მდივანი იყო. იგი სრულიად
ახალგაზრდა მოკლეს 1885 წლის 20 მაისს, ქუთაისის ბაგრატის ტაძ-
რისკენ მიმავალ აღმართზე.

მჭედლიძეების ოჯახიდან იყო წმიდა სიმონის მამიდაშვილი
დეკანოზი იასონ კაპანაძე, რომელმაც პატრიარქ ამბროსი ხელაია
წერილი წარიმარებული გუნუის კომფერენციაზე და რომელსაც კომუნისტებმ-
დაუსწრელად მიუსაჯეს სიკვდილი. იგი შემდგომ ავტოკატასტროფაში
დაიღუპა ამერიკაში.



ათეისტების მიერ ქუთაისის ტაძრის დანგრევა

წმიდა სიმონ მიხეილის ძე მჭედლიძე დაიბადა 1865 წელს. ბავშვობიდანვე საეკლესიო და ეროვნულ გარემოში აღზრდილმა სიმონმა მისი წინაპრების კვალი გააგრძელა. მან 1888 წელს წარჩინებით დაამთავრა სტავროპოლის სასულიერო სემინარია და სამშობლოში დაბრუნდა.

1889-91 წლებში სიმონი ძველი სენაკის სააზნაურო სკოლაში ასწავლიდა. 1991 წელს მან ცოლად შეირთო გენერალ ბესარიონ დგებუაძის ასული ეკატერინე და საცხოვრებლად გადავიდა ქუთასში, სადაც გახსნა კერძო პანსიონი. მრავალმხრივ განათლებული საზოგადო მოღვაწე, სიმონ მჭედლიძე, 1894 წელს ეპისკოპოსმა გაპრიელ ქიქოძემ დიაკვნად აკურთხა. ამავე წლის 23 მაისს ხელნი დაასხნა მღდლად და სვირის წმიდა თომა მოციქულის სახელობის ეკლესიაში დაადგინა. 1922 წელს მღდელი სიმეონი იმავე სოფლის წმიდა გიორგის ეკლესიის წინამდლვრად გადაიყვანა მეუფე გაპრიელმა.

მამა სიმონი დიდი ავტორიტეტით სარგებლობდა მთელ საქართველოში. იგი წაყოფილი უთავსებდა ერთმანეთს საეკლესიო და საზოგადოებრივ საქმიანობას.

მღდელი სიმონ მჭედლიძე სხვადასხვა დროს იყო ეპარქიის საეკლესიო სკოლების ზედამხედველი, საეპარქიო საბჭოს საქმის მნარმოებელი, ეპარქიის სამღდელოების ყრილობების თავმჯდომარე, სასულიერო და სამოქალაქო გაზეთის „შინაური საქმეები“-სა და საღმრთისმეტყველო-ლიტერატურული ჟურნალის „განთიადი“-ს რედაქტორ-გამომცემელი. იგი უშიშრად ამხელდა ეკლესიისა და ქვეყნის მტრებს, მამა სიმონი განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობდა სასულიერო სასწავლებლებში ქართული ენის სწავლების საკითხს და ყოველნაირად ცდილობდა ახალგაზრდებში სარწმუნოებრივი გრძნობების გამტკიცებას. ყოველივე ამასთან ერთად იგი საოცარი მეოჯახეც იყო. სიმონსა და ეკატერინეს ცამეტი შვილი შეეძინათ, რომელთა უმრავლესობა შემდგომ ცნობილი საზოგადო მოღვაწეები იყვნენ.



მღდელი სიმონ მჭედლიძე

დეკანოზი გერმანე ჯაჯანიძე
დაიბადა 1869 წლის 5 იანვარს, ქალაქ
ქუთაისში. გერმანეს მამა ბესარიონ
ჯაჯანიძე, მედავითნედ მსახურობდა
ეკლესიაში და გერმანემ ბავშვობი-
დანვე გაითავისა საეკლესიო მსახ-
ურების სიტყბოება და სირთულეები.

გერმანემ დაამთავრა ქუთაისის სა-
სულიერო გიმნაზია და სწავლა გააგ-
რძელა ტფილისის სასულიერო სემი-
ნარიაში. სწავლის დამთავრების შემ-
დეგ გერმანე ქუთაისში დაბრუნდა და
ცოლად შეირთო კეთილმორწმუნე
ოჯახის შვილი ნარო მიქაძე. მალე
გერმანე დიაკვნად აკურთხეს.

საეკლესიო წეს-განგების საუკე-
თესო მცოდნე დიაკონ ბესარიონს ხე-
ლნი დაასხეს მღდლად და იგი მთელი
ეპარქიის ერთ-ერთი თვალსაჩინო ღმრთისმსახური იყო.

მამა გერმანეს და მის მეუღლეს — ნარო მიქაძეს ოთხი შვილი
შეეძინათ, რომელთაგან ერთი, მიხეილ ჯაჯანიძე 1937 წელს დახ-
ვრიტეს კომუნისტებმა.



დეკანოზი იეროთეოზ ნიკოლაძე



დეკანოზი გერმანე ჯაჯანიძე

დეკანოზი იეროთეოზ ნიკოლაძე
დაიბადა 1865 წელს ქალაქ ქუთაისში.
იეროთეოზმა თავიდანვე სამღდელო
მსახურება გადაწყვიტა და შესა-
ბამისი განათლებაც მიიღო. იგი ქუ-
თაისის ეპარქიაში აღასრულებდა
ღმრთისმსახურებას და ყოველნა-
ირად ედგა მხარში ეპარქიის მმართ-
ველ მღდელმთავარ მიტროპოლიტ
ნაზარს.

მამა იეროთეოზი აქტიურად იბ-
რძოდა ქვეყანაში იმ დროს შემოჭ-
რილი ათეისტური მსოფლმხედველო-
ბის წინააღმდეგ და სხვა მამული-
შვილებთან ერთად ყოველნაირად
ცდილობდა შეენარჩუნებინა სარწმუ-
ნოებრივი სიწმიდე და ეროვნული
ტრადიციები.

მღდელი იეროთეოზი ასევე აქტიურად იბრძოდა ხელისუფლების მიერ შემოთავაზებული ახალი საეკლესიო რეფორმის წინააღმდეგ, რის გამოც იგი დააპატიმრეს და სასჯელიც მოიხადა.

1924 წლის 1 აგვისტოს მამა იეროთეოზთან მივიდა მიტროპოლიტ ნაზარის მიერ გაგზავნილი დეკანოზი ვასილ დოლაბერიძე და მეუფის კურთხევა გადასცა — იეროთეოზი თან უნდა გაჰყოლოდა მიტროპოლიტ ნაზარს სოფელ როდინოულში აღდგენილი ეკლესიის კურთხევაზე.

პროტოდიაკონი ბესარიონ კუხიანიძე დაიბადა 1871 წელს ქალაქ ქუთაისში. იგი მეუფე ნაზარის მთავარდიაკონი იყო და ყველგან თან ახლდა მიტროპოლიტს.

1924 წლის 1 აგვისტოს, დილის 10 საათზე, მიტროპოლიტი ნაზარი, სამღდელოებასთან ერთად, ქუთაისის რეკინიგზის სადგურიდან მატარებლით გაემგზავრა როდინოულში.

საღამოს ლოცვის შემდეგ სამღდელოება დასასვენებლად გადანაწილდნენ მეზობლებში.

შუალამით მიტროპოლიტ ნაზარს და მის თანმხელებ სამღდელოებას თავს დაესხნენ ჩეკისტები, ხელ-ფეხი შეუკრეს, თოფის კონდახებით სცემეს, ურემზე დააკრეს და სოფლის საბჭოში მიიყვანეს. მათ ცილი დასწამეს, თითქოს ეკლესიის კურთხევა მოგონილი საბაბი იყო მთავრობის საწინააღმდეგო კრების მოსაწვევად.

4 აგვისტოს მიტროპოლიტი ნაზარი და მასთან ერთად დატყვევებული სამღდელოება „ნებადაურთველი კრების მოწყობის“ ბრალდებით ქუთაისში გაგზავნეს.

1924 წლის 19 აგვისტოს, ფერისცვალების დღეს, ქუთაისის სასამართლომ განსასჯელებს: მიტროპოლიტ ნაზარ ლეუავას, დეკანზ გერმანე ჯაჯანიძეს, დეკანზ იეროთეოზ ნიკოლაძეს, მღდელ სიმონ მჭედლიძეს და პროტოდიაკონ ბესარიონ კუხიანიძეს სასჯელის უმაღლესი ზომა — დახვრეტა გამოუტანა.

ქრისტესთვის თავდადებული მღდელმსახურები, 1924 წლის 1 სექტემბერს, გამთენისას ნაიყვანეს და ქუთაისის საფიჩხიის ებრაელთა სასაფლაოს ბოლოში დახვრიტეს.




დეკანზი გერმანე ჯაჯანიძე



წმიდა სარმეანი ქართლის კათოლიკოსად
იქნა დადგენილი 770 წლის ახლო ხანებში.

სარმეან კათოლიკოსი მტყიცე დამცველი
იყო მართლმადიდებლობისა, მაგრამ ერთხელ,
ყველიერის ხუთშაბათს, შიომღვიმის მონას-
ტერში სარმეანმა „გამოუძიებლივ“ აზიარა
მასთან ძლვენით მოსული უცნობები, რომლე-
ბიც თურმე იაკობიტთა მწვალებლობის მიმ-
დევრები ყოფილან და „იმ ღამესვე ძილში ზე-
გარდამოქმილა სარმეანს ესრეთ წინდაუხედა-
ობა და ულირსებით შეურაცხებულ ხარისხისა
მისისა“, გამოლვიძებულმა კათოლიკოსმა შეკ-
რიბა ეპისკოპოსები, აუნყა მომხდარი, მათ წი-
ნაშე დაწვა იაკობიტთა მორთმეული ძლვენი,
შიომღვიმის მონასტერში წავიდა და „ცრემ-
ლით სტიროდა ცოთმასა თვისსა“. ყოვლად-
მონყალე ღმერთმა მალე აუნყა წმიდა სარმეანს
და ქართველ მღდელმთავრებს კათოლიკოსი-
სათვის შეცოდების შენდობა. მღდელმთა-
ვრებმა მცხეთიდან მოკრძალებული წერილი
გაუვზავნეს სარმეანს: „დიდსა მამამთავარსა
მეუფესა ჩვენსა სარმეანეს, გიხაროდენ! შვილი შენი და სიწმიდისა
შენისა მრნმენი ყოველნი ეპისკოპოსნი გაუნყებთ, რათა არღარა და-
აშრობდე მოხუცებულსა გვამსა შენსა, რამეთუ მონყალე ჰყვეს დიდე-
ბულისა მაგას წმიდისა შიოს მეოხებითა და გამოვიჩნდა ულირსთა
მონათა მისთა, რიცხვით ხუთთა და
თვითონეულსა გვიბრძანა, ვითარმედ
„მიუტევა ღმერთმან სარმეანეს კათა-
ლიკოზსა ბრალნი მისნი და ან შეუორ-
გულებულად მიიყვანეთ მწყემსი
თქუენი“. ან გვიბრძანენ სიწმიდემან
შენმან, რათა ყოველნი მანდა მოვი-
დეთ და მადლი აღუაროთ საკვირ-
ველთ მოქმედსა მამასა შიოს“.

ღირსი სარმეანე მშვიდობით აღე-
სრულა 774 წლის ახლო ხანებში.



24 (6.09) აგვისტო



დიორსი სერაპიონ სასწაულთმოქმედი წარმოშობით იმერეთიდან იყო, „ოცდარვა წლისამ დაუტევა სოფელი და ისწავა მორჩილმან უდაბნოისა ნათლისმცემელისა წერა და კითხვა... მოღვაწებასა მისსა ამსგავსებენ ძველთა თებაიდისა და პალესტინისა მეუდაბნოეთა“.

მეცე თეომურაზის დროს წმიდა სერაპიონი „ღირსი და ყოვლადსანატრელი მამა ჩევნი, კაცი ძლიერი საქმითა და სიტყვითა და უძლიერესი მოღვაწებითა, დიდად მმარხველი და მრავლად მლოცველი“. გარეჯის უდაბნოს იოვანე ნათლისმცემლის მონასტრის წინამძღვრად დაადგინეს.

დიდ მმარხველსა და მლოცველ მამა სერაპიონს ღმრთისგან სასწაულთქმედების ნიჭი მიმდევ მამა სერაპიონმა და მამა სერაპიონი შემდეგ მსახურები შენუხებულები მოვიდნენ და თქვეს, რომ გზაზე ავაზაკები დაესხნენ, მიატოვეს დატვირთული სახედრები და გაქცევით უშველეს თავს. ცოტა ხნის შემდეგ დატვირთული სახედრები თვითონ დაბრუნდნენ მონასტერში.

ერთხელ ღამის სამ საათზე წმიდა სერაპიონი ეკლესიაში „ილოცვიდა ამაღლებულისა გონებითა... მივიდა ერთი ბერი მის ნეტარისა და აუწყა, ვითარმედ: „მამაო ყოვლადპატიოსანო, ძმა იგი უძლური წარვალს უფლისად. და მამანი ყოველი მუნ არიან და ხილვად შენი ჰენებავს“. ხოლო იგი ნეტარი ამაღლებულისა გონებითა იყო და სიტყვა არა მიუგო. და შემდგომად მცირედისა სხუა ბერი მივიდა და ჰრესუა: „მამაო წმიდაო, სარწმუნოდ უწყოდენ ღირსებამან შენმან, რომელ ძმა იგი მოკვდების“. მაშინ ჰრესუა მან: „ნარვედ, შვილო, და მეცა მოვიდე“. და კუალად დაეყოვნა მას ლოცვასა შინა ერთი უამი ოდენ. და მოკვდა ძმა იგი უძლური თვინიერ ხილვისა მისისა. და ოდეს სრულ-ჰყო მან ლოცვად, ნარვიდა კვერთხითა თვისითა ნელიად მოხუცებული იგი მამა. და შეემთხვია ძმათაგანი და ჰრესუა: „ნუღარა მოშურები, მამაო,

რამეთუ მოკულდა ძმა იგი. ესმა რა ესე სერაპიონსა, დიდად შეელმა გულსა მისისა. და უკუნ იქცა მოსწრაფედ ეკლესიადვე და შევიდა წმიდად საკურთხეველად. და დააგდო თავი თვისი წინაშე წმიდისა ტრაპეზისა და შუბლსა ქვეყანად სცემდა და მრავლითა გოდებითა იტყოდა, ვითარმცა თვით ყოფილიყო მიზეზი სიკუდილისა მისისა. და ილოცა რა მყოვარ უამ და მოილო ღმრთისა მიერ მადლი გულსავსებისა, ნარვიდა სენაკად მიცვალებულისა მის. და იგინი განამზადებდეს წესისაებრ დამარხვად. შევიდა იგი წეტარი აღდუღებულის გულითა და ხმა-უყო სახელდებით მკუდარსა მას და ჰრეჯა: „ვითარ ხარ ძმა“ ხოლო მან ჰრეჯა: „დიდად სალმობიერ ვარ მამაო წმიდაო“ ჰრეჯა მას სერაპიონ: „უკუნეთუ განთავისუფლდე მადლითა ქრისტესითა, უაღრესსა მოქალაქებასა შეიძენაა?“ გარდაცვლილმა სერაპიონს სთხოვა დახმარება და მოხდა სასწაული — გარდაცვლილი მონაზონი გაცოცხლდა და კიდევ ერთი წელი იცოცხლა.

ერთხელ ღირსი სერაპიონი მონასტრის ძმებთან ერთად ქალაქში წავიდა საქმეზე. წინ მიმავალ მონაზვნებს ავაზაკები შეხვდნენ და ტვირთი მოსტაცეს. მონაზვნები უკან გაბრუნდნენ და, შეწუხებულებმა, წინამძღვარ სერაპიონს აუწყეს ყოველი. „დიდია ღმერთი, არ დავანებებ არანმიდა წარმართებს სინმიდების მიტაცებას“, თქვა სერაპიონმა, მოიმარჯვა კვერთში და მარტო გამოედევნა მძარცველებს. ავაზაკებმა როგორც კი დაინახეს სერაპიონი, ნაძარცვი იქვე დატოვეს და მიიმაღნენ. შემდგომ ავაზაკებს უთქვამთ: „ვინ იყო ის მონაზონი, რომელიც ჩვენ გამოვიდგა, რადგან ვნახეთ ცეცხლი, რომელიც მისი კვერთხიდან გამოდიოდა“.



„ესევითარი სიმდაბლე აქუნდა გულისა მაღალსა მას სათნოებითა მამასა სერაპიონს, რომელ იყვის რა სოფელსა შინა თვესითა წელითა მუშაკობნ ვენახსა მონასტრისასა და თვე ტვირთითა ჰკრებნ სკორესა ვენახისათვის. და დღესა ერთსა ეტვირთა რა გოდრითა სკორე სერაპიონს და მოაქუნდა ვენახად შეემთხვა კაცი ღმრთისა, წმიდა მღვდელმთავარი ნინოწმიდელი იოსებ, ჰუნესა ზედა მჯდომარე. ამან ღირსმან დადგა გოდორი იგი და იგი წმიდა გარდამოხდა ცხენისაგან, მეტყველი: „ნუ შრომასა შეიმთხვევ, მამაო წმიდაო“. ხოლო იგი იტყოდა: „რად არა მოჰკუდები ფერხთა ქვეშე შენთა ყოვლად ნეტართა მახა-

რეპელთა მშვიდობისათა წმიდაო მეუფეო". ურთიერთარს შეემთხვინეს და მოწყვედ ამბორს-უყვეს საღმრთოეთა სურვილითა და სიყვარულითა. და შემდგომად ამან წარილო სკორე იგი ვენახად და წარემართა გზასა თვისსა...

ოდეს მოხუცდა ნეტარი იგი მამა სერაპიონ, დაუტევა სიმდაბლით წინამძღვრობად და აღირჩია დაყუდებად... უმეტესად განამრავლა მარხვა და ლოცვა, რომელ ყოვლადვე საქმე მისი ლოცვა იყო მაღალხედვათა შინა შექცეულ... და ოდეს მიინია ნეტარი ესე მამა სიღრმედ სიბერისა მრავალთაგან მოღვაწებათა ფერხნი მისი მოუძღურდეს და არღარა ძალ-ედევა ზე დგომად, არამედ ჯდომით და წოლითცა ილოცვიდა მარადის ღმრთისა მიმართ".

სერაპიონს წინასწარ განეცხადა წინამძღვრის სვიმეონის გარდაცვალების დღე, გაჭირვებით მივიდა სვიმეონთან და გამოემშვიდობა: „ჰო სასურველო მამაო, მომცენ ხელნი ეგე წმიდანი, რათა ამბორსუყო, რამეთუ მსუროდა რათამცა ამათ ხელთა მიერ წმიდათა მიცემულ ვიყავ დაძველებული ესე მინავ მინასა და ან უწინარე ჩემსა შენ წახვალაა ნეტარსაუკუნოდ ცხოვრებად? წარხვალ შენ, მამაო, გარნა არცა მე დავადგრე აქა თვინიერ შენსა, არამედ მოსწრაფედ შეგიდგეს და მიგდევდეს შემდგომად შენისა ღირსებისა სული ჩემი. ესრეთ ლომბიერითა ცრემლითა ამბორსუყვეს ურთიერთას სანატრელთა მათ ამბორისყოფითა უკანასკნელითა".

სვიმეონის გარდაცვალების ერთი კვირის შემდეგ მიიცვალა სერაპიონიც „და დამარხეს მრავალმოღვაწე გუამი მისი საფლავსა მას შინა, რომელიცა თვით განემზადა სიმდაბლით ეკლესიისა კარიბჭეთა შორის, რომელ ყოველსავე ეკლესიად შესლვად მნებებელსა ვერვის ძალედვას თანაწარსვლა, არამედ ყოველთა მიერ ფერხითა იზერგნეოდეს საფლავი მისი სრულისა სიმდაბლისათვის მისისა".

ნეტარ სერაპიონს კელიაში ორი მტრედი ჰყავდა, რომლებიც მისი ხელიდან იკვებებოდნენ. სერაპიონის გარდაცვალების შემდეგ მტრედებიც გაფრინდნენ და უკან აღარ დაბრუნებულან.

სერაპიონი „რომელმანცა მაღალითა სიწმიდითა განატარა ქვეყნიერი ესე ცხოვრებისა სარბიელი" მშვიდობით მიიცვალა 1747 წელს.





წმიდა შუშანიკი პერეთის პიტიახშის, ვარსქენის მეუღლე იყო. ქრისტიანულ ოჯახში აღზრდილი დედოფალი ბავშვობიდანვე ღმრთის შიშითა და სიყვარულით გამოირჩეოდა. იმ დროს ქართლში სპარსელები ბატონობდნენ. სპარსეთის სამეფო კართან კეთილი ურთიერთობის დამყარების მიზნით ვარსქენი სპარსეთის მეფეს, პეროზს ეწვია, საკუთარი ნებით უარყო ქრისტიანობა, მაზდეანობა მიიღო და სპარსთა მეფეს დაპირდა, როგორც კი ქართლში დაპირდა, ჩემს ცოლსა და შვილებსაც რჯულს შევაცვლევინებო.

ქართლს მოახლოებულმა ვარსქენმა მოციქულები გაგზავნა საპიტიახშო ქალაქ ცურტავში, რათა ქვეშევრდომები შესაფერი პატივით მიგებებოდნენ სამშობლოში დაბრუნებულ პიტიახშს.

შუშანიკ დედოფალმა კარგად იცოდა მეუღლის გულგრილობა საწმუნოების მიმართ და ნინასწარმეტყველურად უთხრა ვარქსენის გამოგზავნილ მოციქულს: „უკუეთუ სულითა ცხოველ არს იგი, ცოცხალმცა ხართ იგიცა და შენცა. უკუეთუ სულითა მომკუდარ ხართ, მოკითხვა ეგე შენი შენდავე მოიქეცინ“. როცა შუშანიკმა ვარსქენის განდგომა შეიტყო, მინაზე დაემხო და მნარე ცრემლებით გამოიტირა ვარსქენი: „საწყალობელ იქმნა უბადრუკი ვარსქენ, რამეთუ უვარყო ჭეშმარიტი ღმერთი და აღიარა ატროშანი და შეერთო იგი უღმრთოთა“. შემდეგ შუშანიკმა დატოვა სასახლე, თან წაიყვანა თავისი ოთხი შვილი და ეკლესიას შეაფარა თავი. მან შვილები საკურთხევლის წინ დააყენა და უფალს შეჰდალადა: „უფალო ღმერთო, შენი მოცემულნი არიან და შენ დაიცვენ ესენი, განათლებულნი წმიდისაგან ემბაზისა მადლითა სულისა წმიდისადთა, ყოფად ერთ სამწყსო ერთისა მწყემსისა უფლისა ჩუენისა იესუ ქრისტესა“.

მწუხრის ლოცვის შემდეგ წმიდა შუშანიკმა ეკლესიის მახლობლად მდგომ სახლს მიაშურა, „შევიდა მუნ შინა სიმწარითა სავსე და მიეყრდნა ყურესა ერთსა და მნარითა ცრემლითა ტიროდა“. საღამოს შუშანიკი თავისმა მოძღვარმა, იაკობ ხუცესმა მოინახულა და გააფრთხილა: ვარსქენი დაუნდობელია და საშინლად გაგტანჯავს, ამიტომ თუ საკუთარი სარწმუნოებრივი სიმტკიცის იმედი არა გაქვს, სჯობს, მოე-

რიდო მასთან აშკარა დაპირისპირებასო. ამაზე წმიდა შუშანიკემა უპასუხა: „უმჯობეს არს ჩემდა წელთა მისთაგან სიკუდილი, ვიდრე ჩემი და მისი შეკრებად და წარწყმედა სულისა ჩემისად, რამეთუ მასმიერს მე პავლეს მოციქულისაგან: „არა დამონებულ არს ძმად გინა და, არამედ განეყენენ“.

სამი დღის შემდეგ პიტიახშიც ჩავიდა ცურტავში. სასახლეში დაიპარა სამღლდელოება და უტიფრად უთხრა: „ან ნუ რას მერიდებით მე და ნუცალა გძაგ“. სამღლდელოებამ მკაცრად ამხილა სჯულის უარმყოფელი: „წარწყმიდე თავი შენი და ჩუენცა წარგუნყმიდენ“.

ვარსკენმა მეუღლის გადაბირება გადაწყვიტა, მაგრამ შუშანიკემა მტკიცედ შეუთვალა: „შენ ლმერთი ჭეშმარიტი უვარ-ჰყავ და ცეცხლსა თაყუანის ეც, და ვითარცა შენ შემოქმედი შენი უვარ-ჰყავ, ეგრეცა მე შენ შეურაცხ-გყავ და თუ მრავალი ტანჯვად მოანიო ჩემ ზედა, მე არა ვეზიარო საქმეთა შენთა“. ამგვარი პასუხით განრისხებულმა ვარსკენმა თავისი ძმა, ჯოჯიკი და აფოც ეპისკოპოსი გაგზავნა შუშანიკემის სასახლეში ნასაყვანად. დედოფალმა შინ დაბრუნებაზე კვლავ უარი განაცხადა. ჯოჯიკმა იცოდა, რომ ვარსკენი მას ძალით მიიყვანდა სასახლეში და სთხოვა, ნებით დაბრუნებულიყო. შუშანიკემა აიღო წმიდა სახარება, მონამეთა ნიგნები, მივიდა სასახლეში და იქ ერთ მცირე სენაკში ჩაიკეტა.

ორი დღის შემდეგ ვარსკენი სასახლეში დაბრუნდა და პურის საჭმელად ძმასთან და რძალთან ერთად შუშანიკემი მიიწვია. დედოფალს არ სურდა ქრისტეს მოღალატე ქმართან ტრაპეზის გაყოფა, არ უნდოდა ქრისტეს მონამის გვირგვინის გარიდება, მან ჯოჯიკის ცოლს ხელი აუკრა მიწოდებულ ჭიქაზე და ამით კიდევ ერთხელ გამოხატა ქრისტესთვის ნამების სურვილი. გამხეცებულმა ვარსკენმა სასტიკად სცემა მეუღლე. ცოცხალ-მკვდარი შუშანიკემი ჯოჯიკმა ძლივს გამოჰველებულ მას ხელიდან. ვარსკენის ბრძანებით შებორკილი დედოფალი სენაკში შეიყვანეს და დარაჯი დაუყენეს. დილით პიტიახშმა მოინახულა შუშანიკემი. შემდეგ მსახურს უპრძანა, არავინ შეემვა მასთან, თვითონ კი სანაღიროდ წავიდა. შუშანიკემის მოძღვარმა მოახერხა დედოფალთან



შესვლა და, როცა მისი ნაწამები სახე იხილა, ცრემლები ვერ შეიკავა და ატირდა. წმიდა შუშანიკმა მშვიდად უთხრა: „ნუ სტირ ჩემთვს, რამეთუ დასაბამ სიხარულისა იქმნა ჩემდა ლამე ესე“. იაკობ ხუცესი ეველრა წმიდანს, მიეცა ნება, მისთვის ჭრილობებზე სალბუნი დაედო. შუშა-ნიკმა მიუგო: „წუცეს, მაგას ნუ იტყვ, რამეთუ სისხლი ესე განმინმედელ არს ცოდვათა ჩემთა“. ვარსექენმა თავისი ნაჩუქარი სამკაულები ნაარ-თვა შუშანიკს... ამასობაში დიდი მარხვაც დადგა. წმიდა დედოფალი კვლავ ეკლესიის მახლობლად მდებარე პატარა ბნელ სენაკში გადავი-და და მარხვა-ლოცვაში გაატარა წმიდა ორმეოცი. მარხვის შემდეგ ვარსექენმა ცემით ნაიყვანა დედოფალი სასახლეში, სამასი ჯოხი დაჰკ-რა, ბორკილები დაადო და საპყრობილები ჩასვა.

შუშანიკს კარგად იცნობდა ქარ-თლის კათალიკოსი სამოელი და ყოველმხრივ ცდილობდა როგორმე ენუგეშებინა წმიდა მონამე, თუმცა რჯულგამოცვლილი ვარქესენისათ-ვის არაფერს ნიშნავდა კათალიკო-სის სიწმიდე და ავტორიტეტი.

ექვსი წელი გაატარა წმიდა შუ-შანიკმა ციხეში. იგი თავად ამხნე-ვებდა მის გასამხნევებლად მოსულ ქრისტიანებს, მისი ლოცვით ავადმ-ყოფები იკურნებოდნენ, უშვილო-ებს შვილი ეძლეოდათ... შუშანიკის ლოცვით განიკურნა და ქრისტია-ნობაზე მოექცა ერთი კეთროვანი სპარსი დედაკაცი. დედოფალი ყვე-ლაზე უფრო შვილების ცეცხლთაყ-ვანისცემაზე გადაბირებამ შეაძრნუნა და „ტირილითა დიდითა... თავსა თვესა ქუე დამართ სცემდა“, მაგრამ მაინც სამადლობელი აღმოთქვა: „გმადლობ შენ, უფალო ღმერთო ჩემო, რამეთუ იყვნესვე არა ჩემი, არამედ შენი მოცემულნი იყვნეს. ვითარცა გნებავს, იყავნ ნება შენი, უფალო, და დამიცევ მე საქმეთაგან მტერისათა“.

სიკვდილის წინ შუშანიკმა ყველანი დალოცა და ითხოვა, დაესაფ-ლავებინათ იქ, საიდანაც პირველად გამოათრია უშვულო ქარმა. შემ-დეგ, ფსალმუნის სიტყვები გაიმეორა: „კურთხეულ არს უფალი ღმერ-თი ჩემი, რამეთუ მშვიდობით მას ზედა დავწევ და დავიძინე“, და სული უფალს შეავედრა.

მეექვსე საუკუნეში წმიდა შუშანიკის ნეშტი ტფილისში გადმოასვე-ნეს და პატივით დაკრძალეს მეტეხის ღმრთისმშობლის ტაძარში.



სეპტემბერი

- 4 (17) — ლირსი სვიმეონ გარეჯელი, წინასწარმეტყველი
და საკვირველთმოქმედი (+1773);
- 8(21) — ლირსი მამანი: იოვანე (მაისურაძე) (+1957) და
გიორგი-იოვანე (მხეიძე) (+1960) აღმსარებელნი;
- 12 (25) — ლირსი გიორგი ჭყონდიდელ-მნიგნო-
ბართუხუცესი (+1118)
— მღდელმონამე დოსითეოზ ტფილელი (+1795);
- 13 (26) — დიდმონამე ქეთევან დედოფალი (+1624);
- 15 (28) — ლირსი აბბა იოსებ ალავერდელი (+570)
(ცხ. იხ. 7.(20) მაისი);
- 16 (29) — მონამენი: ისააკი და იოსები,
კარნუ-ქალაქში წამებულნი (+808);
- 18 (1.10) — დიდმონამე ბიძინა ჩოლოყაშვილი და მონამენი:
ელიზბარ და შალვა ქსნის ერისთავნი (+1661);
- 25 (8.10) — ლირსი არსენ დიდი, კათოლიკოსი (+887);
- 29 (12.10) — ლირსი ონოფრე — ონისიფორე გარეჯელი,
საკვირველთმოქმედი (1786);



ღირსი სვიმეონი დაიბადა კახეთში 1660 წლის ახლო ხანებში. სვიმეონი სიყრ-მიდანვე გარეჯის მონასტერში მოღვაწე-ობდა. იგი მოხუცებულობამდე უპრალო მონაზონი იყო, შემდეგ კი მონასტრის წი-ნა მძღვრად აირჩიეს.

სათნოებით და სიმდაბლით გამორჩე-ულ მამა სვიმეონს სასწაულთქმედების ნიჭი ჰქონდა მიმადლებული. ერთხელ, სვიმეონმა, მოულოდნელად, გონება და-კარგა. „და უსულო იყო ვითარ ერთ ჟამ ოდენ; და კუალად მოეგო თავით თვისით განგებითა ღმრთისათა, და ვითარ მოეგო თავსა თვისსა მეყსეულად მიიღო რაღცა აქუნდა თვისი, და ყოველივე წელითა თვისითა განუყო ორისავე მონასტრისა

მამათა და ძმათა სწორებით, საწირავად და სალოცავად სულისა თვისისა“ და, ისედაც უპოვარმა, მთლიანად უარყო ამქვეყნიური საჭი-როებანი.

წმიდა სვიმეონის გარდაცვალების წინა დღეებში მასთან მივიდა სერაპიონ საკვირველთმოქმედი და ცრემლებით გამოეშვიდობა: „ჰო, სასურველო მამაო, მომეცი შენი წმიდა ხელები, რათა ვეამბორო მათ, რადგან მსურდა შენი წმიდა ხელებით მივბარებოდი მიწას მე უვარგისი მტვერი, ახლა კი ჩემზე უნინ შენ მიდიხარ საუკუნო ცხოვ-რებაში. შენ წახვალ, მამაო, მაგრამ მეც შენს გარეშე ალარ დავრჩები აქ, არამედ ჩემი სული ჩქარა გამოყ-ვება შენსას“.

სვიმეონმა მოაწესრიგა მონას-ტრის საქმეები და 1747 წლის 4 (17) სექტემბერს „იმავე დღესა ოდეს მიიტაცა ერთ ჟამ მოიწია რა კვალ-ად იგივე დღე, მიიცვალა უფლისა მიმართ მშვიდობით ყოვლადღირსი და წეტარი მამა წინამძღვარი სვიმეონი“.



ღირსნი მამანი: იოვანე (მაისურაძე) (+1957)
და გიორგი-იოვანე (მხეიძე) (+1960) აღმსარებელი;
8 (21) სექტემბერი



არქიმანდრიტი იოვანე (ერისკაცობაში ბასილ მაისურაძე) დაიბადა ცხინვალში 1882 წლის ახლო ხანებში. ბასილს ბავშვობიდანვე კარგად ეხერხებოდა ყოველგვარი საქმის კეთება. იგი, თორმეტიოდე წლის ყმანვილი, თავდაუზოგავად ეხმარებოდა ბეთანიის მონასტრის წინამძღვარს მღდელმონაზონ სპიროდონს (კეთილაძე), რომელმაც 1894-96 წლებში დიდი გაჭირვებით აღადგინა სავანე.

სიყრმიდანვე მონაზვნური ცხოვრებისკენ მიდრეკილი ბასილი, 1903 წლიდან ათონის მთაზე იწყებს ცხოვრებას იოვანე ღმრთისმეტყველის ქართულ სავანეში. ყოველგვარი სათნოებებით გამორჩეული

ახალგაზრდა მოღვანე მონაზვნად აღკვეცეს და იოვანე ღმრთისმეტყველისადმი მისი განსაკუთრებული სიყვარულის ნიშნად, იოვანე უნოდეს. მალე მონაზონ იოვანეს მღდლად დაასხეს ხელი.

ღმრთის სიყვარულითა და მოყვასისადმი მსახურებით აღჭურვილი წმიდა იოვანე, ყოველნაირად ცდილობდა სათნოყოფნა და მოყვასისთვისაც სასარგებლო ყოფილიყო მისი ცხოვრება.

წმიდა იოვანემ ჩვიდმეტი წელი დაჰყო ათონზე, მემდეგ კი, დროთა მძიმე ვითარებიდან გამომდინარე, 1920-21 წლებში, სხვა ქართველ ბერ-მონაზვნებთან ერთად, იძულებული შეიქნა დაეტოვებინა ათონის მთა. საქართველოში დაბრუნებული წმიდა იოვანე არმაზის მონასტერში დამკვიდრდა, სადაც, ბოლშევიკების დევნის გამო, მხოლოდ ერთი ბერ-მონაზონი ცხოვრობდა. ერთხელ, მონასტერში მისულმა შეიარაღებულმა ჩეკისტებმა ბერ-მონაზვნები ძალით წაიყვანეს, გზაში — ხევის პირას, ორივე ღმრთისმსახურს ტყვია დაახალეს ზურგში. ხევში გადაცვენილი ბერ-მონაზვნები ჩეკისტებმა მკვდრად ჩათვალეს. ღმრთის განგებით, შედარებით მსუბუქად დაჭრილი გიორგი დიდი გაჭირვებით მიღასლასდა მცხეთამდევ. იპოვეს ცოცხალ-მკვდარი იოვანეც და სამთავროს დედათა მონასტერში მიიყვანეს.

გამოჯანმრთელებული მამა იოვანე, ბეთანიის მონასტერში წავიდა მისი ბავშვობის მოძღვარ — მღდელმონაზონ სპირიდონთან, რომელმაც მონასტრის წინამძღვრობა მალევე მამა იოვანეს გადააბარა.

ბავშვობიდან შრომას შეჩვეულმა იოვანემ მალე მოაწყო მონასტრის მეურნეობა და მონასტერში სულიერი რჩევა-დარიგებისთვის მისულ ხალხს მშვენიერი ტრაპეზითაც უმასპინძლდებოდა. ხალხის დასანახად თვითონაც მხიარულობდა, ძალიან უყვარდა ბავშვები და ყოველთვის ჰქონდა ტკბილეული მათვების, ბავშვები იმდენად შეთამამებული იყვნენ მასთან, რომ, ერთხელ, წყლის კურთხევის შემდეგ, მთლიანად განუნეს ღირსი მამა.

მამა იოვანე ძალიან მკაცრად ცხოვრობდა, დღე და ღამე შრომასა და ლოცვაში ათენებდა, დასაძინებლად პატარა ფიცარი ჰქონდა და მასზე ისვენებდა ღამით. მასთან მყოფნი ვერ ხვდებოდნენ როდის ისვენებდა მამა იოვანე და საიდან ჰქონდა მას ასეთი მხეობა.

მონასტერში ხშირად მიდიოდნენ ხელისუფლების ნაქეზებითა თუ ნაყრუებით გათამამებული ავაზაკები და ართმევდნენ ბერებს გაჭირვებით მოპოვებულ სურსათ-სანოვაგესა და პირუტყვს. თუმცა, მონასტერს მფარველებიც ჰყავდა მთავრობაში მოღვანე ფარული ქრისტიანების სახით, რომელთა დახმარებით იოვანე მაისურაძისა და გიორგი მხეიძის მონასტერში ცხოვრება გაფორმებული იყო, როგორც ისტორიული ძეგლის დარაჯებისა და ისინი მცირეოდნენ ხელფასსაც ღებულობდნენ.

ცნობილია მამა იოვანეს ლოცვით აღსრულებული მრავალი სასნაული, რომელთა გამუღავნებას ყოველთვის ერიდებოდა ღირსი მამა. იოვანემ და გიორგიმ ლოცვით განკურნეს ყრუ-მუნჯი ყრმა. მათთან მიჰყავდათ სხვადასხვა უკურნებელი სენით დაავადებულნი და ბეთანიაში რამდენიმე დღის დარჩენის შემდეგ ავადმყოფები იკურნებოდნენ. მამა იოვანე მონასტრის ყველაზე მძიმე სამუშაოებს თვითონ ასრულებდა და ძალიან სწუხდა მამა გიორგიზე, რომელიც სუსტი ჯანმრთელობისა იყო. მაგრამ ამ ქვეყნიდან ის უფრო ადრე გავიდა. ცხოვრებისეულმა ტანჯვამ და გამუდმებულმა შრომამ მისი ჯანმრთელობა შეარყია და ხანმოკლე ავადმყოფობის შემდეგ, 1957 წელს, სამოცდათხუთმეტი წლის ასაკში აღესრულა.



ღირსი მამები: გიორგი-იოვანე მხეიძე
და იოვანე მაისურაძე



არქიმანდრიტი გიორგი-იოვანე (მხე-იძე) დაიბადა ამბროლურის რაიონის სოფელ სხვავაში 1887 წლის ახლო ხანებში. თავადაზნაურთა წევში არსებული მაშინდელი ტრადიციის მიხედვით, გიორგიმ სამხედრო სასწავლებელში დაიწყო სწავლა, მაგრამ სამხედრო კარიერის ნაცვლად, იგი, რუსეთის იმპერიისგან საქართველოს განთავისუფლებისათვის ბრძოლაში ჩაება და გარკვეული დროის მანძილზე წმიდა ილია მართალთან (ჭავჭავაძე) მსახურობდა პირად მდივნად. ახლობლობდა ილიას მოძღვართან — წმიდა ალექსანდრე ოქროპირიძესთან, მღდელმოწამე ნაზარ ლეუავასთნ და ახლოს იცნობდა მისი დროის

ყველა გამოჩენილ პიროვნებას. ღმრთის სიყვარულით, გიორგიმ, მონაზვნური ცხოვრების გზა აირჩია, იგი მღდელმოწამე ნაზარიმ აღკვეცა მონაზვნად და მალე დიაკვნადაც აკურთხა.

განათლებული და თავმდაბალი, დახვენილი არისტოკრატიული მანერებითა და მონაზვნური ასკეტიზმით საოცრად მშვენიერი იეროდიაკონი, გიორგი, მალე მღდელმოწაზონად აკურთხეს და არქიმანდრიტის ხარისხშიც აღამაღლეს. ღმრთის სიყვარულითა და მამულისადმი თავდადების სურვილით აღვისილმა მამა გიორგიმ თავის თავზე გადაიტანა ყოველი განსაცდელი, რაც იმ დროს თავს დაატყდა ჩვენ ქვეყანასა და ეკლესიას.

1924 წელს, ხირსის მონასტერში მოღვანე მამა გიორგის, თავს დაესხნენ შეიარაღებული ჩეკისტები, სასტიკად სცემეს, შეკრიჭეს თმა-წვერი და მოკვლითაც დაემუქრნენ. ოჯახში დროებით თავშეფარებულს კი უფრო მტკიცნეული წყენა მიაყენეს ათეიისტური მსოფლიხედველობით მონამღლულმა საკუთარმა ძმებმა, რომლებმაც მძინარე მღდელმოწაზონს ისევ შეაჭრეს წვერები (შემდგომში ერთმა ძმამ თავი მოიკლა, მეორე კი ცოლთან ერთად დახვრიტეს). ამავე წელს მივიდა გიორგი ბეთანიის მონასტერში, სადაც მას მამა იოვანე მაისურაძე დახვდა და, ამ დროიდან, ეს ორი წმიდა მამა, მთელი ცხოვრება ერთად მოღვანეობდა.

მამა გიორგი სუსტი ჯანმრთელობის იყო და მონასტერში იგი შედარებით მსუბუქი სამუშაოებით, ფუტკრების მოვლითა და ბოსტნის დამუშავებით იყო დაკავებული. გიორგი საოცრად გულმოწყალე იყო და უსაზღვრო ხელგაშლილობით ზოგჯერ თითქმის საჭმელ-სასმელის გარეშეც რჩებოდა.

მაღალი, გამხდარი და მუდამ წელში გამართული მამა გიორგი გარეგნულად ძალიან მკაცრი ჩანდა, ნაკლებად საუბრობდა ხალხთან და იშვიათად გადიოდა მონასტრიდან.

მამა გიორგი წინასწარმეტყველებისა და კურნების ნიჭით იყო დაჯილდოებული, რომელსაც გულმოდგინედ მაღავდა, გამუღავნების შემთხვევამი კი ყოველმხრივ ცდილობდა ყოფითი მოვლენებით აეხსნა მომხდარი. ერთხელ მან სახელით უხმო მონასტერში მისულ უცხო კაცს და ამით გაოცებული სტუმარი დაამშვიდა, როცა გნათლავდნენ მეც იქ ვიყავი და იქიდან გიცნობო, ნათლობა კი ოცდაათი წლის წინ მომხდარა, როცა ის კაცი ორი თვის იყო. მამა გიორგიმ წინასწარ იგრძნო ორმოცი წლის უნახავი მისი დების სტუმრობა და წინასწარ გაამზადა მათთვის ტრაპეზი.

მამა გიორგის და ოოვანეს ლოცვით განიკურნა მონასტერში მიყვანილი მამა გიორგის ძმიშვილი, რომელიც ტვინის ანთებით იყო სასიკვდილოდ განნირული.

1957 წელს, მამა გიორგი მონაზვნობის დიდ სქემაში აღიკვეცა და ოოვანე დაარქვეს. მონასტერში მარტო დარჩენილ გიორგი-იოვანეს მთელი სიმძიმე დაანვა და კიდევ უფრო შეურყია ისედაც სუსტი ჯანმრთელობა. გიორგის მოსავლელად ქალაქიდან ადიოდნენ სულიერი შვილები.

მამა გიორგი-იოვანეს მრავალჯერ ჰქონდა ღმრთისმშობლის გამოცხადება. პირველმონამე თეკლამ ჩვენებით ყურძნის მტევანი მიართვა ძლვნად.

აღსასრულამდე რამდენიმე დღით ადრე ქალაქში მყოფ გიორგი-იოვანეს ანგელოზი გამოეცხადა და აუწყა, სასწრაფოდ მონასტერში დაბრუნებულიყო და იქ დალოდებოდა ამა ქვეყნიდან გასვლას.

მამა გიორგი-იოვანე მშვიდობით აღესრულა 1960 წელს. დაკრძალულია ბეთანიის მონასტერში.



ღირსი გიორგი ჭყონდიდელ-მწიგნობართუხუცესი — „კაცი სრული ყოვლითა სიკეთითა სულისა და ხორცასა, სავსე სიბრძნითა და გონიერებითა, განმჭრიახი, სკანი და ფრთხილი“ დაიბადა მეთერთმეტე საუკუნის პირველ ნახევარში. როგორც ვარაუდობენ, გიორგი, სამეგრელოს მთავართა გვარიდან იყო.

მეუფე გიორგი ჭყონდიდელი იყო დავით აღმაშენებლის „აღმზრდელი და თანაგამკაფელი ყოველთა გზათა, საქმეთა და ღვაწლთა მისთა“. გიორგი „ვითარცა მამა მეფისა, ეგრეთვე ყველა საურავი უმისოდ არ იქმნების“. მეუფე გიორგი იყო „მართლმსაჯული ულონოთა და ქვრივთ ხელისმპურობელი“.

1104 წელს მოწვეული რუს-ურბნისის საეკლესიო კრების „ძეგლისწერა“ წმიდა გიორგი ჭყონდიდელს „კრების თვალს“ უწოდებს და კურთხევით იხსენიებს მის მეუფებას: „ღირსისა მეუფისა ჩვენისა და თუალად წმიდისა ამის კრების ცნობილისა გიორგი მონოზონისა და მწიგნობართა უხუცესისა მრავალმცა არიან წელნი“. წმიდა გიორგი ჭყონდიდელის ხელმძღვანელობისა და გამჭრიახი მოქმედებებით ქართველებმა დაიბრუნეს თურქების მიერ დაპყრიბილი ქალაქი სამშვილდე, ხოლო 1115 წელს გაანთავისუფლეს ქალაქი რუსთავი, რასაც უდიდესი სახელმწიფოებრივი მნიშვნელობა ჰქონდა.

გიორგი ჭყონდიდელი 1118 წელს მეფე დავით აღმაშენებელთან ერთად გაემგზავრა ყივჩაღი მეომრების საქართველოში ჩამოსაყვანად. სამწუხაროდ, მისი ბოლო ამქვეყნიური ღვაწლი აღმოჩნდა, ოსეთში მყოფი მეუფე გიორგი მოულოდნელად გარდაიცვალა.

მეუფე გიორგი ჭყონდიდელ-მწიგნობართუხუცესის გარდა ცვალება დიდი დანაკლისი იყო ქვეყნისა და ეკლესიისათვის და „იგლოვა ყოველმან სამეფომან და თკთ მეფემან, ვითარცა მამა და უმეტესცა მამის, შემოსითა შავისათა ორმეოც დღე“. დამწუხრებულმა მეფე დავით აღმაშენებელმა წმიდა გიორგი ჭყონდიდელი დასავლეთ საქართველოში გადაასვენა და დიდი პატივით დაკრძალა გელათის მონასტერში.




ტი ბრძოლა ტფილისში, კრწანისის ველზე გაიმართა.

უთანასწორო ბრძოლაში ქართველები დამარცხდნენ. მეფე ერეკ-ლემ ასორმოცდათ კაციანი ამაღით, რომელშიც თითქმის ყველა დაჭრილი იყო, ძლივს დააღწია თავი ტყვეობას.

11 სექტემბერს, ღამით, მთელი ტფილისი ცეცხლის ალში გაეხვია, სპარსელები ძარცვავდნენ და კლავდნენ მოსახლეობას, ცეცხლს მისცეს წიგნსაცავები, დაარბიეს სტამბა, გაძარცვეს ეკლესიები. ურჯულოები განსაკუთრებული სისასტიკით ხოცავდნენ სასულიერო პირებს და მტკვარში ყრიდნენ. სპარსელებმა შეიპყრეს ტფილელი მიტროპოლიტი დოსითეოზი, უამრავი ჭრილობა მიაყენეს ხმლებით და მტკვრის პირას მიიყვანეს სხვა დატყვევებებულ სამღდელოებასთან ერთად.

ვერანაირი სატანჯველებით ვერ გატეხეს ღმრთისმსახურთა სარწმუნოება, მეუფე დოსითეოზმა და მთელმა სამღდელო დასმა სიკვდილი ირჩია ქრისტესთვის. უსჯულოები ხელფეხშეკრულ სამღდელოებს სათითაოდ აგდებდნენ მდინარეში, მეუფეს კი „სამღდელმთავრო შეღავათი მისცეს“ — ნამებისაგან ისედაც სიკვდილის პირას მისული მღდელმთავარი დოსითეოზი ხელ-ფეხშეუკვრელი გადააგდეს მტკვარში.





წმიდა ქეთევანი, აშოთან მუხრანბატონის ასული, დაიბადა 1570 წლის ახლო ხანებში. ქეთევანი კახეთის მეფის, ალექსანდრეს უფროს ვაჟზე, დავითზე დაქორნინეს. მეფე ალექსანდრეს ერთ-ერთი შვილი, კონსტანტინე, შაპ-აბასის კარზე იზრდებოდა და რჯულიც გამოცვლილი ჰქონდა.

ალექსანდრე მეფე მონაზვნად აღიკვეცა ალავერდის ტაძარში. ტახტი ქეთევანის მეუღლე დავითმა დაიკავა, მაგრამ ოთხიოდ თვეში, 1602 წელს, კახეთის ახალგაზრდა მეფე, მოულოდნელად გარდაიცვალა. დაქვრივებულ ქეთევანს დარჩა ქალ-ვაჟი — თეიმურაზი და ელენე. ალექსანდრე კვლავ სამეფოს დაუბრუნდა. ქვეყნის არეულობისა და სხვადასხვა საშიშროების გამო, ქეთევანმა, თეიმურაზი სპარსეთში, შაპ-აბასთან გაეზავნა.

შაპ-აბასმა, თავის კარზე აღზრდილ გამაპმადიანებულ კონსტანტინე-მირზას უბრძანა, წასულიყო კახეთში, მოეკლა მოხუცებული მამა, მოეკლა ღვიძლი ძმა გიორგი და თვითონ ასულიყო კახეთის სამეფო ტახტზე.

გამაპმადიანებულმა კონსტანტინე-მირზამ მოაკვლევინა საკუთარი მამა, კახეთის მეფე ალექსანდრე, ძმა გიორგი და მათთან მყოფნი რუსთველი ეპისკოპოსი, შემდეგ მამისა და ძმის მოკვეთილი თავები შაპ-აბასს მიართვა ერთგულების ნიშნად, თავმოკვეთილი სხეულები კი აქლემს აპკიდა და ქეთევანს გაუგზავნა.

კონსტანტინემ უსირცხვილოდ შეუთვალა ქეთევანს: „შეგირთავ ცოლად და შენც მორჩილ მექმენ, რამეთუ ესრეთ არს წესი და ჩვეულება სჯულად მაპმადისა“. კონსტანტინე კარგად ხედავდა დედოფლის ავტორიტეტს მთელს სამეფოში და მამისა და ძმის სისხლის საფასურად მითვისებული სამეფო ტახტის შენარჩუნება უფრო უნდოდა ვიდრე ქეთევანის მეუღლეობა.

ქეთევანმა კახეთის დიდებულები იხმო და სარწმუნოების სიწმიდისა და ქვეყნის ერთიანობის დასაცავად მოუწოდა. დიდებულებმა ერთგულება შეჰვიცეს დედოფლალს, შეიკრიბნენ, მიუვარდნენ კონ-

სტანტინე მირზას და სიცოცხლეს გამოასალმეს. ქეთევანმა ურნმუნო კონსტანტინეს გვამი ბაგრატიონთა გვარისთვის შესაფერი პატივით დაკრძალა, შაჰს დიდძალი ძლვენი გაუგზავნა და სთხოვა, კახეთის მეფედ თეიმურაზი დაემტკიცებინა. მანამდე კი, დროებით, თვითონ იტვირთა სამეფოზე ზრუნვა.

შაჰ-აბასი შეშინდა, კახეთი განმიღება, ქართლს შეუერთდება და საბოლოოდ დავკარგავო, ამიტომ სასწრაფოდ დიდი პატივით დააბრუნა საქართველოში უფლისნული თეიმურაზი.

გაიხარა ქეთევან დედოფალმა შვილის ხილვით, გაიხარა მთელმა სამეფომ ქრისტიანი უფლისნულის დაბრუნებით. თეიმურაზი ქრისტიანული წესით აკურთხეს მეფედ და ქვეყანაში დროებით სიმშვიდემ დაისადგურა. ახალგაზრდა მეფემ გურიელის ასული ანა შეირთო. მეფე-დედოფალს სამი შვილი — ლევანი, ალექსანდრე და თინათინი შეეძინათ. მალე ანა დედოფალი გარდაიცვალა. შაჰის იძულებით, თეიმურაზ მეფემ, ქართლის მეფის — ლუარსაბის და ხორებანი შეირთო, თვითონ კი ხორებანის და — ელენე წაიყვანა ცოლად. ასე ცბიერებით „დაუმოვრდა“ შაჰ-აბასი ქართლ-კახეთის სამეფოს, ნამდვილად დამოყვრებულ ქართლსა და კახეთს შორის კი მუდმივად თესავდა განხეთქილებას.

შაჰ-აბასმა 1614 წელს ელჩი გამოუგზავნა თეიმურაზს და ერთგულების ნიშნად შვილი სთხოვა მძევლად. იცოდა თეიმურაზმა შაჰის ვერაგობა, მაგრამ უმცროსი ვაჟი, ალექსანდრე მაინც გაგზავნა სპარსეთში, თან ქეთევანიც გააყოლა: „ჰელონებდა პატივისცემასა დედისასა შაჰ-აბასისაგან“. შაჰმა უფროსი შვილი, ლევანიც მოსთხოვა და როცა ისიც თავისთან დაიგულა, კვლავ შეუთვალა თეიმურაზს: „რადგან ამისთანა ერთგული კაცი ხარ, შენც მოდი და მნახეო“. შაჰს სურდა კახეთის სამეფო კარისთვის ერთად მოეყარა თავი და ერთიანად ამოენყვიტა. დრო აღარ ითმენდა. თეიმურაზმა და ლუარსაბმა გაერთიანებული ძალებით სძლიერ უალეთში დაბანაკებულ მტერს.

დაინყო ქართლის ცხოვრების უსაშინლესი პერიოდი. კახეთის დასალაშერად გამზადებულმა შაჰ-აბასმა ქეთევანი და მისი შვილიშვილები



შირაზს გაგზავნა, თვითონ კი კახეთს შემოესია, ააოხრა ქვეყანა და ეკლესია-მონასტრები, გადაასახლა და დაცარიელა სოფლები. სამასათასზე მეტი ქართველი სპარსეთში გადაასახლეს, გაუდაბურებულ ქვეყანაში კი ულუსები ჩამოასახლეს. დამარცხებული თეიმურაზი და ლუარსაბი იმერეთის მეფემ, გიორგიმ, შეიფარა.

შირაზს გადაასახლებიდან ხუთი წლის შემდეგ შაჰმა ქეთევანს ჩამოაშორა თეიმურაზის შვილები, ისპაჰანში ნაიყვანა და დაასაჭურისა. ალექსანდრემ ტანჯვას ვერ გაუძლო და გარდაიცვალა, ხოლო ლევანი ჭულიდან შეიშალა.

სამშობლოს ხვედრით შეძრნუნებული წმიდა ქეთევანი, რომელმაც შვილიშვილების უბედურება არ იცოდა, შირაზის მმართველის, გათათრებული ქართველის, იმამ-ყული-ხან უნდილაძის სასახლეში ცხოვრობდა. ნაქართველარი თათარი დიდი პატივით ეპურობოდა ქეთევანს და ამბობდა, დიდად საპატიო სტუმარი არისო ჩვენი, ის კი არ არის ტყვე, ჩვენ თვითონ ვართო მისი ტყვეები. მისი ბრძანებით წმიდა ქეთევანს არ უმხელდნენ თუ რა საშინელი ბედი ეწიათ ბატონიშვილებს — ლევანსა და ალექსანდრეს.

ათი წელი იტანჯებოდა ქეთევანი „საპატიო“ ტყვეობაში. მარხვით, ლოცვით, ქვაზე წოლით გაილია დედოფლის სხეული. მაინც მხნედი იყო, უვლიდა, ზრუნავდა და ზედ დაპოვნინებდა მის გამგებლობაში მყოფ ოციოდე ქართველს. ქეთევან დედოფლის მსახურთა შორის იყო მღვდელი ვასილი და მღვდელი მოსე, რომლებიც თითქმის ყოველდღიურად აღასრულებდნენ წირვებს, ამზადებდნენ დედოფალს მონამეობისათვის და თვითონაც ყოველდღიურად ელოდნენ ქრისტესთვის სიკვდილს.

ხედავდა შაჰი, რომ „უდრევ იყო დედოფალი“ და ჯვარცმულ მაცხოვარს ავედრებდა თავის ჯვარცმულ ქვეყანას. შაჰმა გადაწყვიტა, რჯული გამოეცვლევინებინა ქეთევანისათვის. მისი უზნეობა და თავხედობა იქამდეც მივიდა, რომ ცოლობა სთხოვა ზნესრულ დედოფალს და ეს მოხდა სწორედ იმ დღეს, როცა ქეთევანმა თავისი შვილიშვილების ბედი შეიტყო.

შაჰმა იმამ-ყული-ხანს შეუთვალა: „ქეთევან დედოფალი თუ გათათდეს, ნურას აწყენ და თუ არ გათათდეს, ანამე და სასჯელით მოჰკალიო“. შეძრნუნდა უნდილაძე, „ბერი დედაკაცი არის და ახლა ეს არ გათათრდება, რას აქნევ ამის გათათრებას, თქვენთვის სირცხვილი არისო მისი სიკვდილი“. შაჰ-აბასმა ბრძანების სასწრაფოდ აღსრულება უბრძანა შირაზის ხანს. უნდილაძე შეევედრა დედოფალს, სხვის დასანახად მაინც აღიარე აღა-ში, გულში კი ქრისტიანად დარჩიო. ქეთევანმა მტკიცედ უარყო უნდილაძის ნათქვამი და ნამებისთვის განემზადა. „მეუფეო ქრისტე, სიტყუაო ღმრთისაო, არა შუენოდა მხევლისა შენი-

სად უარის ყოფა მენი, ნუ მიმცემ ეშმაკსა მხევალსა შენსა", შეევედრა მაცხოვარს, მიიღო წმიდა ზიარება და უშიშრად დადგა ჯალათების წინაშე.

ხალხით გაჭედილ მოედანზე გაიყვანეს დედოფალი, ჯალათებმა მოიტანეს სპილენძის ქვაბები, დაანთეს ცეცხლი, შეაწყვეს შიგ შანთები გასახურებლად და სადღესასწაულოდ შემოსილი დედოფალი კოცონის წინ დააყენეს. მხოლოდ ერთი რამ ითხოვა წმიდა ქეთევანმა: „დედის ნაშობნი ხართ თქვენც, ნუ შეურაცხმყოფთო სიშიშვლით“.

უსჯულოებმა ენით აღუნერელი სისასტიკით ანამეს დედოფალი. გასურებული რვალის ქვაბი დაამხვეს თავზე, მარწუხებით დაუწყლულეს მკერდი, გავარვარებული შამფურები გაუყარეს მკერდიდან ზურგში, ფრჩხილები დააძრეს, ხორცი დააგლიჯეს, ბოლოს გახურებული ბარით შუბლი გაუპეს „და შეირაცხა წმიდათა ქალწულთა მოწამეთა კრებულთა თანა და მოვიდა სამხილებელად ყოველთა და დაადგა ნათელი. ხოლო მუნ დაესწრნენ ფრანგნი და აღიღეს წმიდანი ნაწილი წმიდისა ქეთევანისანი ფრანგთა და წარიღეს თვისთა თანა ნაწილად, ხოლო წელი



და მკლავი ბატონს თეიმურაზს გამოუგზავნეს“. თეიმურაზ მეფე „კეთილმსახურებისაებრ, ვითარცა მოწამესა დღესასწაულითა დიდითა პატივ-სცა... და ყოვლითურთ სამღდელოთ კრებულით... ვითა შუენოდა დედასა, დედოფალსა და მეფესა და დააბრძანა წმიდანი იგი ნაწილი ეკლესიას — მთავარმოწამისა გიორგისა ალავერდს, იტყვან ქვეშე საღმრთოსა ტრაპეზისა“.

დედოფალ ქეთევანთან ერთად მოწამეობრივად აღესრულნენ ქეთევანის თანმხელები მღდლები: ვასილი, რომელიც „ღირს იქმნა მოწამისა ღვანლთასა, რამეთუ მანცა ქრისტესთვს მიიღო აღსასრული ცეცხლისა მიერ“ და მოსე, რომელიც ქვებისა და დაშნების ცემით განგმირული ნაკუნ-ნაკუნად აჩეხეს.



მონამენი: ისააკი და იოსები ღვიძლი
ძმები იყვნენ. მათი მამა მუსულმანი იყო,
დედა კი ქრისტიანი ჰყავდათ. ღმრთის-
მოშიში დედაკაცი შვილებს ფარულად
ქრისტეს მცნებებით ზრდიდა. იმდენად
დიდი იყო ძმებში ქრისტიანულად ცხოვ-
რების სურვილი, რომ მათ ბიზანტიაში
წასვლა და იქ ცხოვრება გადაწყვიტეს. იმ
დროს ბიზანტიას კეთილმსახური იმპერ-
ატორი ნიკიფორე ფოკა განაგებდა.
ისააკმა, იოსებმა და მათმა ერთმა ძმამ
წერილი მისწერეს კეისარს და თავშესა-
ფარი სთხოვეს.

ნიკიფორემ პატივით მიიწვია შთელ
თეოდოსიპოლელ (კარნუელ) დიდგვარო-
ვანთა წრეში გამორჩეული და პატივცე-
მული ძმები. ერთი ძმა მაშინვე გაემგზავ-
რა, წვრილშვილიანი იოსები კი მოუცლელობის გამო თეოდოსიპოლეში
დარჩა და ისააკიც თავისთან დაიტოვა.

თეოდოსიპოლის ამირამ შეიტყო ძმების განზრახვა, ძალიან
გაუკვირდა, ვერ გაიგო ყველასგან პატივცემული და დიდებული ოჯახ-
ის შვილები, რა მიზეზით ტოვებდნენ თავიანთ ქვეყანასა და ესოდენ
სანატრელ მდგომარეობას.

ამირამ თავისთან დაიბარა ძმები. ისააკი და იოსები მიხვდნენ, რომ
ჭეშმარიტების აღიარების უამი დადგა და ამირას გამოგზავნილებს მი-
უგეს, რომ მათი ძმის ბიზანტიაში წასვლის მიზეზი ქრისტიანობა იყო.
ასეთმა კადნიერებამ გააკვირვა კარისკაცები. როცა ამირას მოახსენეს
ყოველივე, უსჯულო მბრძანებელი შეწუხდა, ვერ გაიმეტა მოსაკლა-
ვად საყვარელთაო სიყვარულით გარემოცული ძმები და გადაწყვიტა,
როგორმე ქრისტეს უარყოფაზე დაეთანხმებინა ისინი.

თეოდოსიპოლის ამირამ და მთავრებმა შესთავაზეს ისააკსა და
იოსებს კვლავ დაბრუნებოდნენ მაპმადიანობას. მოხუცი მამაც ცრემ-
ლებს ღვრიდა და შვილებისაგან ქრისტეს უარყოფას მოითხოვდა. ამი-
რა დიდ პატივსა და ჯილდოს დაპირდა წმიდანებს, ხოლო თუ მის სიტ-
ყვას არ შეისმენდნენ, მნარე სატანჯველით და სიკვდილით დაემუქრა.
ისააკმა და იოსებმა მშვიდად მიუგეს ამირას: „უწყებულ იყავნ, მძლავ-

რო, რამეთუ ვიცით, ვითარმედ „ყოველი ხორცი თივა არს და ყოველი დიდება კაცისა, ვითარცა ყუავილი თივისა. განხმა თივა და ყუავილი მისი დამოსცვივა“. თქვენი ქადებანი ტანჯვათანი და სიკუდილისა მძვინუარისა ჩვენდა შიშად საგონის-ყოფად საცინელ არს. არცა სიკუ-დილმან, არცა ცხოვრებამან, არცა ანგელოსთა, არცა მთავრობათა, არცა ძალთა, არცა ამან სოფელმან, არცა მან სოფელმან, არცა სიმაღ-ლეთა, არცა სიღრმეთა, არცა სხუამან დაბადებულმან შემიძლოს ჩუენ განყენებად სიყუარულსა ღმრთისასა, რომელ არს ქრისტე იესუს მიერ უფლისა ჩუენისა“.

ძმების კადნიერებამ ამირა განარისხა და ბრძანა, სიკვდილით დაესაჯათ იოსები და ისააკი. ჯალათებმა წმიდანები მოსაკლავად წა-იყვანეს. ძმებმა მცირე ჟამი სთხოვეს მტარვალებს ლოცვისათვის, მუხლი მოიდრიკეს და მხურვალედ შეჰვალადეს უფალს: „მეუფეო უფალო, მამაო უფლისა ჩუ-ენისა იესუ ქრისტესო, მოი-ხილე მონათა ამათ შენთა ზედა, მიითუალე შენდამი შენირვად, რომელნი-ესე შევსწირავთ შენდამი თავ-თა ჩუენთა, და წმიდათა მოწამეთა შენთა თანა ალ-გურაცხენ და გკრგვნი სი-მართლისა მოგუეც ჩუენ, რამეთუ „ყოველი მიცემუ-ლი კეთილი და ყოველი ნი-ჭი სრული ზეგარდამო არს გარდამოსულ მამისაგან ნათლისასა“, გადაისახეს პირვევარი და თავი მოიდრიკეს. ჯალათმა თავები წარკვეთა წმიდა მოწამეებს.

ღამით წმიდა ისააკისა და იოსების ნეშტს ღმრთაებრივი ნათელი დაადგა. ამ საკვირველებამ შეაძრნუნა უსჯულოები და ქრისტიანებს ნება მისცეს, დაეფლათ მოწამეთა ცხედრები. ქალაქის ეპისკოპოსმა და სამლდელოებამ პატივით მიაპარეს წმიდათა გვამები მიწას. შემდ-გომ, იმ ადგილას, ეკლესია ააგეს.

ანტონ კათოლიკოსის თქმით წმიდა ისააკისა და იოსების „პხსენებად დასდუეს პირველთა მამათა ქართველთა, სათთუეოსა მოსახსენებელ-თა შინა“.



მთავარმონაშვილი და
მონახენი ელიზბარ და შალვა ქსნის ერისთავე (+1661)
18 (1.10) სექტემბერი



მთავარმონაშვილი და მონახენი: შალვა და ელიზბარ ქსნის ერისთავნი აღეს-რულნენ 1661 წელს. იმ დროს მთელი საქართველო სპარსელთა სათარეშო ასპარეზად იყო ქცეული, განსაკუთრებული სისასტიკით სპარსელებმა კახეთი ააოხრეს, ათასობით ქართველი წაიყვანეს ტყვედ სპარსეთში, მათ ადგილას კი სპარსელები ჩამოასახლეს და „აღარა სადა იხსენებოდა სახელი ქრისტესი, თვინიერ მცირეთა ოდენ მთით კერძო თუშთა, ფშავთა და ხევსურთა შორის“.

კახეთის მთავარი, ბიძინა ჩოლოყაშვილი, ძალიან წუხდა ქვეყნის გავრანებით, მაგრამ ხედავდა რა

სპარსელთა სიმრავლეს, ცდილობდა როგორმე საერთო ენა გამოენახა მტერთან და ფიზიკურად მაინც გადაერჩინა ხალხი. სპარსელები განსაკუთრებული სისასტიკით ანადგურებდნენ ეკლესია-მონასტრებს, კლავდნენ და უკიდურესად შეურაცხყოფდნენ ღმრთისმსახურებს. მეტის მოთმენა აღარ შეიძლებოდა, ერი ფიზიკური და სულიერი განადგურების წინაშე იყო. ბიძინამ ხანგრძლივი ფიქრისა და განსჯის შემდეგ გადაწყვიტა შებრძოლებოდა სპარსელებს და კონკრეტული გეგმაც შეადგინა — ეახლა თავის მოყვარეს, ზაალ არაგვის ერისთავს და გულისნადები აუწყა. ზაალ ერისთავს თვითონაც გული უდუღდა ამდენი უბედურებისა და უსამართლობისაგან, მოინონა განზრახვა და ქსნის ერისთავი, ელიზბარი, მოინვია სათათბიროდ. ელიზბარმა თან მისი ძმის შვილი შალვაც წაიყვანა შეკრებაზე.

ბიძინამ კახეთისათვის თავსდატეხილ ჭირზე მოუთხრო ერისთავებს, აუხსნა მათ, რომ უმოკლეს ხანში ამგვარივე განსაცდელში ქართლიც შეიძლებოდა ჩავარდნილიყო და მოუწოდა, ერთად ებრძოლათ მომხდურთა წინააღმდეგ: „ან უკუ აღუდგეთ მათ ზედა, დაღაცათუ შეუძლებელ არს ჩუენ მიერ, არამედ ძალითა და შენევნითა დამბადებლისა და ღუთისა ჩუენისათა და წინაძლომითა და განძლიერებითა

ცხოველსმყოფელისა ჯუარისათა და თანადგომითა ახოვანისა მხედ-რისა წმიდისა გიორგისათა, რამეთუ დიდებული ტაძარი მისი (ალავერ-დი) დაიპყრეს და შეაგინეს და პატიოსანი ხატი მისი შემუსრეს".

ზაალ არაგვის ერისთავმა „მცირედნი იღენ კაცნი რჩეული მხედრე-ბი მისცნა თანაშემწედ საიდუმლოდ“, ელიზბარ და შალვა ქსნის ერის-თავებმა კი ქუდზე კაცს უხმეს.

სამშობლოსათვის თავდადებულმა მეომრებმა 1659 წლის ალავერ-დობის დღესასწაულზე ახმეტაში მოულოდნელად დაესხნენ თავს სპარსელებს და გაანადგურეს ბახტრიონის ციხე-სიმაგრეში უზრუნვე-ლად დაბანაკებული მტერი. იმავე დღეს სასტიკად დაამარცხეს ალა-ვერდში მყოფი ყიზილბაშები. არდალანის სულთანმა, სელიმ-ხანმა, მიატოვა ცოლ-შვილი და სპარსეთში გაიქცა.

ქართველთა მხედრობა მადლობდა ღმერთს და ერის მფარველ წმი-და გიორგის, „რამეთუ ცხადად იხილვებოდა მთავარმონამე გიორგი ცხენსა ზედა სპეტაკსა ელვის სახედ მიმომსრბოლი წინამავლად მათ-და“. განრისხებულმა შაპ-აბასმა ქართლის მეფეს, ვახტანგს, სპარსთა-გან შაპ-ნავაზად წოდებულს, უბრძანა აჯანყების მეთაურები მასთან გაეგზავნა სპარსეთში.

კახეთის მხესნელი გმირები: შალვა, ბიძინა და ელიზბარი უდრტვინ-ველად გაემართნენ უკანასკნელ გზაზე. მათ კარგად იცოდნენ, რომ შაპ-აბასისგან დანდობა არ ექნებოდათ, მაგრამ იცოდნენ ისიც, რომ დაყოვნება ქვეყნის საქმეს წაახდენდა.

ცბიერმა შაჰმა მოჩვენებითი პატივით მიიღო ქართველი დიდებუ-ლები, მაგრამ რამოდენიმე ხანში სარწმუნოების გამოცვლა მოსთხოვა. ქართველებმა სპარსეთის მპრძანებელს არდალანის სულთნის პირით შეუთვალეს: „ჩუენ ნიჭთა და პატივთა თქუენთათვს არა გული გკოქუ-ამს. არცა ვეძიებთ საბოძვართა თქუენთა, რამეთუ ჩუენ ზეცათა მე-ფის მონანი ვართ და მხედრად ქრისტესა განწესებულნი... მზად ვართ ყოვლისავე დათმენად, რათა მის თანა ვსუფევდეთ და მის თანა ვიხა-რებდეთ“. ბევრს ეცადა არდალანის სულთანი, მაგრამ ვერავითარმა დაპირებამ ვერ მოხიბლა ქრისტეს ერთგული მსახურები. შაპის ბრძა-ნებით წმიდანები სასტიკად ანამეს. შალვა, ბიძინა და ელიზბარი ერთ-მანეთს ამხნევებდნენ და გასაოცარი სიმტკიცით ითმენდნენ ყოველ-გვარ ტანჯვა-წამებას.

შემდეგ წმიდანები გააშიშვლეს და გზაზე დაყარეს მწერთაგან დასა-გესლად. მშიერ-მწყურვალ, კოლო-ბუზებისაგან დაკბენილ და პაპანა-ქებისაგან ილაჯგანყვეტილ მოწამეებს კვლავ შესთავაზეს ქრისტეს უარყოფა, მაგრამ სარწმუნოება ვერ შეურყიეს. განრისხებულმა სე-ლიმ-ხანმა გადაწყვიტა, ბიძინას შესაშინებლად, მის თვალნინ, თავი წარეკვეთათ ელიზბარისა და შალვასათვის.

ქსნის ერისთავებმა მშვიდად დადრიკეს თავები, მაგრამ ჯალათებმა მახვილები ვერ შეაწვდინეს დასარტყმელად, რადგან სანატრელნი ახოვანებით დიდად აღემატებოდნენ უსჯულოებს. მაშინ მტარვალებმა წვივებში ჩასცეს მახვილი და, როცა დავარდნენ, თავები წარკვეთეს ნეტარ ბიძაძმისნულს. თანამებრძოლთა სიკვდილს ოდნავადაც არ შეუშინებია წმიდა ბიძინა. „არა რა არს უტკბილეს ქრისტესთვის სიკვდილისა“, — ბრძანა მან. მტარვალმა გადაწყვიტა, შეურაცხყოფით მოეტეხა ბიძინას სიმხნევე. ახოვან გმირს დედაკაცის ჩადრი დაახურეს, ვირზე შესვეს და ქუჩა-ქუჩა ატარეს, დასცინოდნენ და ლანძღავდნენ, ბიძინა კი კვლავ ჰმადლობდა და ადიდებდა ღმერთს.

ჯალათებმა გადაწყვიტეს, ცოცხლად აეჩეხათ წმიდა ბიძინა, ალესილი მახვილებით ჯერ ხელ-ფეხზე მოჰკვეთეს თითები, შემდეგ ხელები მოსჭრეს მაჯებამდე და ფეხები კოჭებამდე; მოჰკვეთეს ორივე მკლავი იდაყვამდე და ორივე წვივი მუხლამდე. მოკვეთილ ასოებს მინაზე ათრევდნენ და შეურაცხყოფდნენ. ბოლოს, დაჩეხილ ტანზე თავილა დარჩა უვნებელი. ბაგეების მოძრაობით ჩანდა, რომ გული ჯერ კიდევ ფეთქავდა და წმიდანი ლოცულობდა. მაშინ ერთმა ჯალათმა შუბი უგმირა და გულიც გაუჩერა, გული, რომელმაც გაუძლო ამდენ ტკივილს. ეს ამბავი 1661 წელს მოხდა. წმიდა მონამეთა გვამები მთელი დღე ღია ცის ქვეშ ეყარა და მიახლოებას ვერავინ ბედავდა. ღამით მათ ნათელი დაადგა. ქრისტიანებმა ფარულად დაკრძალეს წმიდანთა ნეშტი.

შალვას მეუღლემ, ქეთევანმა და მისმა ძემ დავითმა, ფარულად გაგზავნეს ხალხი სპარსეთში შალვას, ელიზბარისა და ბიძინას ჩამოსასვენებლად. ქართლში ჩამოსვენებულ წმიდა მონამეთა ნანილებს მრავალი მორწმუნე შეეგება თაყვანისცემითა და ამბორისყოფით. კახეთის მხესნელი გმირები პატივით დაკრძალეს იკორთის მთავარანგელოზების სახელობის ტაძარში.





ღირსი არსენ ღიდი, კათოლიკოსი დაიბადა საფარაში 820 წელს სამცხის ცნობილი და გავლენიანი ფეოდალის, მირვანის, ოჯახში. არსენი ექვსი წლის იყო, როდესაც იგი მშობლებმა აღსაზრდელად მიაბარეს გრიგოლ ხანძთელის მოწაფეებს თეოდორესა და ქრისტეფორეს.

თეოდორემ და ქრისტეფორემ ყრმა არსენი, მომავალი „კათოლიკოზი ქართლისა და მცხეთის საყდრის გვირგვინი დაუჭნობელი“ და ჭაბუკი ეფრემი, შემდგომ ანუურის სასწაულთმოქმედი ეპისკოპოსი, ხანძთის მოწასტერში მიიყვანეს აღსაზრდელად.

მოწასტრის ბერ-მოწაზვნები ყრმების მოწასტერში მოყვანას დრტვინვით შეხვდენ, რადგან სამოწასტრო განჩინება ამას კრძალავდა. ღირსმა გრიგოლმა აუწყა საძმოს, რომ ეს იყო ერთადერთი გამოწაკლისი, თვით ღმრთის ნებით და გამოცხადებით ნაკარნახევი, რათა „ვითარცა ეფრემ ასური და არსენი ჰრომაელი, კაცთაგან განშორებული და ღმრთისა მიახლებული, ესრეთ იყვნენ ღირსნი ეს ყრმანი აღზრდილ უბინოდ ხანძთას შინა ვიდრე უამადმდე პატივისა მათისა“. ღირსმა გრიგოლმა ყმანვილები გასაზრდელად ჩააბარა ქრისტეფორეს და თეოდორეს, რომლებიც ძმათაგან განმარტოებით ცხოვრობდნენ.

ქრისტეფორესა და თეოდორეს ხელმძღვანელობით არსენმა და ეფრემმა საუკეთესო განათლება მიიღეს, ასევე კეთილად ნარემართნენ ისინი სულიერ ცხოვრებაში და ღირსი გრიგოლ ხანძთელის კურთხევით მოწაზვნებად აღიკვეცნენ. მალე ორივე მათგანს მღდელმოწაზვნად დაასხეს ხელი.

860 წელს გარდაიცვალა ქართლის კათალიკოსი წმიდა ილარიონი. არსენ საფარელის მამამ, მირვან აზნაურმა, არსენი, საეკლესიო კრების დაუკითხავად მხოლოდ სამცხის ერისკაცთა დახმარებითა და რამდენიმე ეპისკოპოსის თანადგომით, ქართლის კათოლიკოსად დაადგინა. ეს იყო საეკლესიო კანონების უხეში დარღვევება, რასაც ქართველი მღდელმთავრების და მათ შორის ეფრემ მაწყვერელის სამართლიანი გულისწყრომა მოჰყვა. მათ მხარი დაუჭირა მამფალმა გუარამ დიდმა, რომლის ბრძანებით მოწვეულ იქნა საეკლესიო კრება.

კრებაზე გამოცხადდა მამა ყოველთა მეუდაბნოეთა, გრიგოლ ხანძ-

თელი და ყველა დაარწმუნა იმაში, რომ არსენის ქართლის კათოლიკოსის ტახტზე დადგინება ღმრთის ნებით აღსრულდა: „ღმერთსა ებრძანა კათალიკოზობაზ არსენის სისრულისა მისისათვის, არამედ მირეან მამამან მისმან აუგიან-ყო უჟამოდ შესწრაფებითა, ვითარცა ადამ ჭამა ხილი იგი, რომელი არღა მწიფე იყო“. გრიგოლ ხანძთელმა თავის თავზე აიღო არსენის დანაშაული — „ბრალი ესე არსენისი ჩემ ზედა იყავნ“ ბრძანა მან და მდაბლად მიმართა კრებას: „ისმინეთ გლახავისა ამის მოხუცებულისა, რამეთუ არსენი კათოლიკოზი ნებითა ღმრთისათა კათალიკოზი არს, და ძვირის მეტყველთა მისთა, რომელთა არა შეინანონ

კლდემულ იყვნენ და სრულიად ჰრცვენეს ამა საწუთოსა და მას საუკუნესა“. მლდელმთავრებმა და კრებაზე მოწვეულმა ერისკაცებმა ერთხმად მიიღეს გრიგოლის სიტყვა და შეუორგულებელად განაცხადეს: „ან ამიერითგან არსენი იყავნ კათოლიკოზ ქართლისა ყოვლისა და სულიერად მამა ყოველთა“.

არსენ კათოლიკოსმა ალადგინა და აკურთხა ხანძთის ძველი ეკლესია, სვეტიცხოვლის „საყდარი მამათმთავრობისა შეამკო სრულიად და შეიმკო მადლითა“.

წმიდა არსენ კათალიკოსი შესანიშნავი ჰაგიოგრაფი და ისტორიკოსი იყო. მას ეკუთვნის უმნიშვნელოვანესი ისტორიულ-პოლემიკური თხზულება. „განყოფისათვის ქართლისა და სომხითისა“, რომელშიც გადმოცემულია სომებ-ქართველთა საეკლესიო განხეთქილების ისტორია. არსენ დიდის კალამს მიაკუთვნებენ „აბიბოს ნეკრესელის ცხოვრებასა და წამებას“.

კათოლიკოსი არსენი ოცდაშვიდი წლის მანძილზე ბრძნულად განაგებდა საქართველოს ეკლესიას. გარდაიცვალა 887 წელს და „მხიარულებით მიიწია წინაშე ქრისტესა და აქუს მადლი შენევნად ჩუენდა“.



ღირსი ონოფრე — ონისიფორე გარეჯელი,
საკვირველთმოქმედი (1786);

29 (12.10) სექტემბერი



ღირსი ონოფრე — ონისიფორე
გარეჯელი (ერისკაცობაში ოთარი),
ქართლის ცნობილი აზნაური იყო.

მდიდარმა და გავლენიანმა მშობ-
ლებმა ბავშვობიდანვე ჩაუნერგეს
ოთარს ღმრთის მოშიშება და გლახ-
აკთა სიყვარული. სიყრმიდანვე გონი-
ერებით გამორჩეულმა ოთარმა შესა-
ნიშნავი განათლება მიიღო. იმ დროი-
სთვის, არსებული ტრადიციის შესა-
ბამისად, ოთარმა საფუძვლიანად შეი-
სწავლა არაბული ენაც. ოთარს გადა-
წყვეტილი ჰქონდა მონაზვნად აღ-
კვეცა, მაგრამ მოხდა ისე, რომ სიჭა-
ბუკეშივე დაოჯახდა, ცოლად შეირთო
კეთილმორნმუნე აზნაურის ასული და
შვილებიც შეეძინათ. ოთარის მდიდა-

რი და სახელგანთქმული ოჯახი საოცარი სტუმართმოყვარეობით და
გაჭირვებულთა ნუგეშინისცემით გამოირჩეოდა. ოთარს აზნაურის შე-
სამოსლის კვეშ ძაძა ემოსა და გამუდმებით ევედრებოდა უფალს, მიე-
მადლებინა მისთვის მონაზვნური ცხოვრების ძალა.

როდესაც შვილები წამოეზარდათ, ოთარმა მეუღლეს სთხოვა: „ან
მნებავს მე უარისყოფა სოფლისა და შედგომა ქრისტესი. ამის პირი-
სათვს ვითხოვ კეთილ მორნმუნეობისაგან შენისა, რათა შენდობა მო-
ვიღო თქუენ ყოველთა მიერ და მიტევება ბრალთა ჩემთა ნებსითთა და
უნებლიერთა“. კეთილმორნმუნე ქალმა არ დააბრკოლა მეუღლე, შენ-
დობა მისცა და მშვიდობით განუტევა. ოთარი, მისმა ორმა ვაჟიშვილმა
გააცილა ტფილისამდე.

გარეჯის მონასტრის წინამძღვარმა, არქიმანდრიტმა გერმანემ, სი-
ხარულით მიიღო ოთარი და მონასტრის ბერ-მონაზვნებს უთხრა: „კა-
ცი ესე დიდსა საზომსა მიწევნად არს, რამეთუ აწვე გამოსვლით სოფ-
ლით აღუსრულებიეს სიტყვა წმიდისა სახარებისა, რომელსა ბრძანებს
უფალი, „რომელმან დაუტეოს სახლი, ანუ ცოლი, ანუ შვილნი, ანუ აგა-
რაკი სახელისა ჩემისათვს, ას წილად მიიღოს და ცხოვრება საუკუნო
დაიმკვიდროს“.

მონასტერში ოთარის სულიერი მოძღვარი იყო მღდელმონაზონი

მაქსიმე. მონასტრის წინამძღვარმა — არქიმანდრიტმა გერმანემ, მონაზვნად აღკვეცა ოთარი და სახელად ონოფრე დაარქევა.


ნეტარი ონოფრე მშვიდი, მდაბალი, მორჩილი და დაუცხრომელი მოღვაწე იყო. იგი ლამის მყუდროებაში მოუკლებლად ლოცულობდა, ცისკრის შემდგომ ხევში ჩადიოდა, სადაც არანაირი ხმაური არ აღწევდა და იქ აგრძელებდა ფსალმუნების კითხვას. იკვებებოდა მხოლოდ წყლითა და პურით და იმასაც მწუხრის ლოცვის შემდეგ ლებულობდა ძალიან მცირედს.

ლეკთა შემოსევებისგან მონასტერი ძალზე გაღარიბდა. ერთხელ, არქიმანდრიტმა მოუწოდა ლირს ონოფრეს და უთხრა: „სიყვარულისათვს ძმათასა, წარვედ ქუეყანად ქართლისა და იღვაწე საზრდო, რათა მიიღო გვირგვინი უოხჭნო მორჩილებისა და მეცა წავიდე სხვით კერძო და რაოდენ ძალ მედვას, მოვირეწო“.

ონოფრე და მორჩილა წინამძღვრის კურთხევას და ერთ დროს ქართლის უპირველესმა აზნაურმა კარდაკარ სიარული დაიწყო მოწყალების სათხოვნელად. ხალხი უხვად აძლევდა შემოწირულობებს ონოფრეს, რომელთა შორის ბევრი იყო ისეთიც, რომელსაც მრავალჯერ გაუწოდა ერისკაცობაში ონოფრემ დახმარების ხელი. ცხინვალს მიახლოებული ლირსი ონოფრე შეხვდა ხალხს, რომელთაც ერთი ეშმაკეული ჭაბუკი შესალოცად მიჰყავდათ ვიღაც ჰურიასთან. ლირსმა ონოფრემ ლმობიერად მიმართა შეკრებილ ხალხს: „შვილნო, არა არს საქმე ეგე ყოვლადვე წესი ქრისტეანთა, არამედ მომგვარეთ მე იგი აქა“. ავადმყოფის დედა ფეხებში ჩაუვარდა წმიდანს და შემწეობა სთხოვა. ონოფრემ წამოაყენა დედაკაცი და ანუგეშა: „მაქვს მე აქა წმიდის დავითის გარეჯელის საფლავისაგან მტვერი ევლოგიად“, წყალში გაურია წმიდანის საფლავიდან აღებული მინა, ბოროტისგან გვემულ ჭაბუკს დაალევინა და ავადმყოფიც მაშინვე განიკურნა.

ონოფრემ მოინახულა ოჯახი, წაიყვანა უმცროსი ვაჟი იოვანე და კვლავ მონასტერში დაბრუნდა, თან სამიოთხი წლის სამყოფი საზრდოც ჩაიტანა.

ერთხელ, გარეჯის მონასტერს ლეკები დაესხნენ თავს. გაძარცვეს მონასტერი და



ტყვედ წაიყვანეს ბერ-მონაზვნები. დატყვევებულთა შორის უხუცესი იყო ღირსი ონოფრე. ლეკებმა მისი მოკვლა გადაწყვიტეს, მაგრამ უფალმა დაიცვა ღირსი მამა. ლეკებმა ონოფრე გაათავისუფლეს და ისიც სიხარულით დაპრუნდა მონასტერში.

ერთხელ, მონასტერში მივიდა ვიღაც არაბი, რომელსაც ცალი თვალი დაზიანებული ჰქონდა და რადგან არაბული ენა ონოფრეს გარდა არავინ იცოდა, მას გამოელაპარაკა. ღირსმა ონოფრემ წმიდა დავით გარეჯელის წყაროს წყლით მობანა მას სწეული თვალი და განკურნა.

ღირსი ონოფრე მონოზვნობის დიდი სქიმით შეიმოსა და მდუმარების ღვაწლი იტვირთა, დღენიადაგ ფსალმუნებს კითხულობდა და დაგლეჯილ ჭილოფზე ეძინა, შიშველ ტანზე რკინის ჯაჭვი ემოსა; სენაკიდან მხოლოდ წირვა-ლოცვის დროს გამოიდიოდა. ბოლოს, ნეტარი ონოფრე ისე დასწეულდა, რომ ფეხზე დგომა არ შეეძლო. მონასტრის ძმები ევედრებოდნენ საწოლში ჩაწოლილყო და თავი სასთუმალზე დაედო. ონოფრე დუმილით ისმენდა მამების შეგონებებს, არ უნდოდა დაერღვია მდუმარების აღთქმა და არც ღმრთისთვის მიცემული სხვა აღთქმის გამუღავნება სურდა, მაგრამ ძლია ძმების სიყვარულმა და დიდი სქემის აღკვეცის შემდეგ, პირველად წარმოთქვა: „აღთქმა მიქმნიეს, რათა იყოს აღსასრული ჩემი ჭილსა ამას ზედა“.

ღირსი ონოფრე მადლიერებით ითმენდა სწეულებას, ხელიდან ფსკვნილს არ იშორებდა და განუწყვეტლივ იმეორებდა იესუს ლოცვას. მისგან კურთხევის მისაღებად მისული სტუმრებისა და ბერ-მონაზვნებისაგან თვითონ ითხოვდა დალოცვას — „მიბოძეთ ფესვი სამოსლისა თქუენისა, რათა ამბორს-უყო და ფერწნი თქუენი მომეცით, რათა დაგბანოთ ცრემლითა“.

ღირსმა ონოფრემ წინასწარ იგრძნო სიკვდილის მოახლოება, თავის მოძღვარს, მაქსიმეს მოუწოდა და მიიღო წმიდა ზიარება. სამადლობელი ლოცვის წარმოთქმის შემდეგ, ონოფრემ, გონება დაკარგა და თვრამეტი დღის განმავლობაში, მხოლოდ პირველის იწერდა — „აღტაცებული იყო და შექცეულ მაღალთა ხედვათა მიმართ“.

1786 წლის 6(19) იანვარს, ნათლისღების დღესასწაულის, ლიტურგიის შემდეგ, ონოფრემ მშვიდად შეჰვედრა სული უფალს.

წმიდა ონოფრეს ნეშტი დაკრძალეს წმიდა დავით გარეჯელის საფლავის სამხრეთით, საკურთხევლის სარკმელთან.

ოქტომბერი

- 1 (14) — კრება კვართისა საუფლოება და სუეტისა
ლმრთივბრნყინვალისა, მოციქულთასწორნი:
მეფე მირიანი და დედოფალი ნანა (IV);
აბიათარ მღდელი და ნმიდა სიდონია (IV);
— ლირსი მელქისედეკი, ყოვლისა საქართველოება
კათოლიკოს-პატრიარქი (+1033);
- 2 (15) — დიდმონამენი: დავითი და კონსტანტინე (+740);
- 4 (17) — მღდელმონამე ევდემოზი, ყოვლისა
საქართველოება კათოლიკოს-პატრიარქი (+1642);
- 5 (18) — ლირსი გრიგოლ ხანძთელი (+861) და კლარჯეთის
უდაბნოს ლირსი მამანი და დედანი (VIII–IX);
- 7 (20) — ლირსი იოსებ ხუცესი, მოხევე (+1763);
- 13 (26) — ლირსი ანტონ ჭყონლიდელი (+1815)
და იაკობ ხუცესმონაზონი (XIX ს);
- 16(29) — ლირსი ზენონ იყალთოელი (VI) (იხ. 7(20) მასი);
- 17 (30) — ლირსი იოსები, ყოვლისა საქართველოება
კათოლიკოს-პატრიარქი (+1770);
- 19 (1.11) — ლირსმონამე ნიკოლოზ დვალი (+1314);
(იხ. 12 (25) თებერვალი);
- 26 (8.11) — ლირსი ალექსანდრე ოქროპირიძე (+1907);
- 28 (10.11) — მღდელმონამე ნეოფიტე ურბნელი (VIII);
- 29 (11.11) — ლირსი სერაპიონ ზარზმელი (+900);
- 30 (12.11) — მონამე იოთამ ზევდგინიძე (+1465);
- 31 (13.11) — ათნი ბევრნი (ასიათასი) მონამენი (+1227);

კრება კვართისა საუფლოისა და სუეტისა
ღმრთივპრეზიდენტისა და მირონედინისა;
მოცეკვლთასწორი: გაფე მირიანი და ღეღოფეალი ნანა,
აპიათარ მღდელი და ცაიდა სიძონია (IV);

1 (14) ოქტომბერი



„ქართლის ცხოვრება“ მოგვი-
თხორბს, რომ მეფე ნაბუქოდონო-
სორის მიერ იერუსალიმის დაპყრობის
შემდეგ ებრაელები საქართველოში
ჩამოვიდნენ და თან ჩამოიტანეს ელია
წინასწარმეუტველის ხალენი. მათ
იქადაგეს ქართლში ერთი ჭეშმარიტი
ღმერთის თაყვანისცემა.

მცხეთელი ჰურიები ყოველწლიუ-
რად აგზავნიდნენ იერუსალიმში წარ-
მომადგენლებს და აქტიური კავშირი
პქნდათ იქაურ ებრაელებთან. მათ
მიერ გაიგეს ქართველებმა იესუ ქრის-
ტეს შობა, მოგვთა მიერ ახალშობილი-
სადმი სამეუფო ძლვენის შენირვა და
ქრისტესთან დაკავშირებით იერუსა-
ლიმში მომხდარი ბევრი სხვა ამბები.

იესუ ქრისტეს ჯვარცმის წელს იერუსალიმიდან მოციქული მოვიდა
მცხეთელ ურიებთან: „რომლისათეს იგი მოვიდეს მოგუნი და შესწირეს
ძლვენი, აღზრდილ არს იგი და იტყვს თავსა თვესა ძედ ღმერთისა და
სხუასა რასმე ახალსა სჯულსა გვქადაგებს და ან წარმოგვცლენია მო-
ციქულნი ყოველთა თანა ჰურიათა, რათა მოვიდენ მეცნიერნი სჯული-
სანი. მოვედით უკვე ყოველნივე მოსეს სჯულისა თანამდებნი და გან-
ვაძჭოთ მას ზედა“. ქართლიდან სინედრიონის ბჭობაზე ელიოზი და
ლონგინოზი წარავლინეს. ელიოზის დედამ, მცხეთელ ებრაელებს
სთხოვა, მონაწილეობა არ მიეღოთ იესუ ქრისტეს წინააღმდეგ
მოწყობილ შეთქმულებაში — „რამეთუ ის არის სიტყვა წინასწარმეტყ-
ველთა და იგავი ბრძენთაგან თქმული“.


მაცხოვრის ჯვარცმის დროს მცხეთელი ებრაელები სინანულით
უყურებდნენ იესუ ქრისტეს ტანჯვას. ელიოზის დედამ მცხეთაში გაი-
გონა ქრისტეს ჯვარზე გაკვრისას ჩაქუჩის ხმა, „საშინელითა კრჩია-
ლებითა“ დაიძახა: „მშვიდობით, მეუფებაო ჰურიათაო, რამეთუ მოჰ-
კალთ თავისა მაცხოვარი და მწსნელი და იქმნენით ამიერითგან მტერ
შემოქმედისა!“ და აღესრულა.

იესუ ქრისტეს შესამოსლები ჯარისკაცებმა გაიყვეს, კვართზე კი ნიღლი ჰყარეს, თუ ვის უნდა შეხვედროდა იგი. მცხეოლმა ჰურიებმა სწორედ ეს კვართი იყიდეს რომაელი ჯარისკაცებისაგან. ელიოზმა და ლონგინოზმა კვართი ქართლში წამოასვენეს. მცხეთას მოსულ ელიოზს წინ შემოეგება „დაა თვისი“, სიდონია, გულში ჩაიკრა მაცხოვრის კვართი და სული განუტევა.

სიდონიას ვერანაირად ვერ გამოაცალეს კვართი ხელიდან და გადაწყვიტეს კვართიანად დაესაფლავებინათ, მაგრამ კვლავ სასწაულის წინაშე აღმოჩნენ ურიები — ადგილიდან ვერ დაძრეს მიცვალებული. ეს ამბავი ისე გახმაურდა, რომ თვით ადერკი მეფე მივიდა სასწაულის სანახავად და დარწმუნდა რა ზეციური ნიშნების უტყუარობაში, იესუ ქრისტეც აღიარა ღმერთად: „იესუ არს ერთი რომელიმე ღმერთთაგანი და განგებითა ღმერთთათა მოსრულ არს სოფლად და საკვირველებაი ესე მის მიერ არს და ვგონებ, ფრიად კეთილ არს ესე ქუეყანისა ამის ჩუენისათვის და მეფობისათვის ჩემისა, რამეთუ ნიჭი ესე მოევლინა ადგილსა ამას“. მეფემ მცველები დააყენა სიდონიას ცხედართან და თვითონ სასახლეში წავიდა. ცოტა ხნის შემდეგ მინა გაიპო და სიდონია კუართიანად შთანთქა. ამ სასწაულმა კიდევ უფრო განამტკიცა ხალხში ქრისტეს რწმენა. მალე იმ ადგილას კვიპაროსის ხე ამოვიდა, რომელიც სნეულებისაგან ჰკურნავდა ავადმყოფებს. სასწაულთმოქმედ ხესთან გარეული მხეცებიც მიდიოდნენ ჭრილობების მოსარჩენად.

სულთმოფენობის შემდეგ, საქართველოში, ქრისტიანობა სხვადასხვა დროს იქადაგეს მოციქულებმა: ანდრია პირველწოდებულმა, სვიმონ კანანელმა, მატათამ და ბართლომემ. მათ მიერ ჩაეყარა საფუძველი საქართველოს ეკლესიას, მაგრამ წარმართთა მძლავრობით ხალხმა თანდათან დაივიწყა ქრისტე ღმერთი და ქვეყანაში ძირითადად კერპთაყვანისმცემლობა იყო გავრცელებული.

მეოთხე საუკუნეში, ქართლში, მეფობდა ასფაგური, რომელსაც „ე არ ესვა“, მხოლოდ ერთი ასული, აბეშერა, ჰყავდა მემკვიდრედ. იმ დროს



ქართლის პოლიტიკური ორიენტაცია სპარსეთისა და საბერძნეთის იმპერიებს შორის მერყეობდა. სპარსული ორიენტაციის მომხრეების მცდელობით, სპარსეთის მეფე — ქასრე სასანიდის შვილი — მირიანი, ქართლში ჩამოიყვანეს და ასფაქურ მეფის ქალიშვილ, აბუშერაზე, დანიშნეს. იმ დროს, მირიანი, შვილი წლის იყო. ქასრო მეფემ ქართველებს განუცხადა: „იყოს შვილი ჩემი ორსავე სჯულსა ზედა: მამათა ჩუენთა ცეცხლმსახურებასა და თქუენთა კერპთასა“ — ბრძანა მან.

მირიანმა „შეიყვარა ქართველი, და დაივინყა ენა სპარსული და ისნავა ენა ქართული... და შეამკო საფლავი ფარნავაზისი... და მეფობდა ესრეთ მირიან მცხეთით“.

მეფე მირიანი თხუთმეტი წლის იყო, როცა მოულოდნელად გარდაეცვალა მეუღლე აბეშერა და ამით დასრულდა ფარნავაზიანთ დინასტიის მეფობა და დედოფლობა. მირიან მეფემ ცოლად შეირთო „საბერძნეთით, პონტოით, ასული ოლილოტოსისი, სახელით ნანა“.

მეფე მირიანი წარმატებით იბრძოდა საქართველოს საზღვრების დასაცავად და შემოიერთა ქართლის ისტორიული მიწები. სპარსეთის მბრძნალებლის, ქასრეს, გარდაცვალების შემდეგ ტახტზე ავიდა მირიანის ძმა, ბარტამი. მირიანსა და ბარტამს შორის ურთიერთობები დაიძაბა, მაგრამ მალე მოგვარდა ყველაფერი და ბარტამმა მირიანის სამეფოს შეუერთა ჯახირეთი, შამის ნახევარი და ადარბადაგანი.

მირიანის მეფობის დროს ქართლში შემოვიდა და მცხეთაში დასახლდა წმიდა ნინო, ქართველთა განმანათლებელი. ნინო ყველას ეკითხებოდა იესუ ქრისტეს კვართის ადგილსამყოფელს,. რომელიც, იმ დროისათვის, აღარავის ახსოვდა. ამ ძეგაში ნინომ გაიცნო ელიოზის შთამომავალი, მცხეთელ ჰურიათა მღდელმოძღვარი აბიათარი, მისი ასული სიდონია და კიდევ ექვსი ეპრაელი ქალი. ნინომ ისინი ქრისტეს სჯულზე მოაქცია, მაგრამ, რადგან ქრისტიანი მღდელი არ იყო, ნათლისლების საიდუმლო არ ჩაუტარებიათ. წმიდა ნინო იესუ ქრისტეს სახელით კურნავდა დავრდომილებს. ნანა დედოფლა სასტიკად ეწინააღმდეგებოდა ნინოს ქადაგებას, გმობდა ახალ მოძღვრებას და მის მქადაგებელს. მირიან მეფეს კი „აქუნდა სურვილი ქრისტეს სჯულისა და არა დააბრკოლებდა ქადაგებად ნინოს და მოწაფეთა მისთა“. ერთხელ მან ებრა-



ელთა დევნისაგან დაიხსნა აპიათარი, ასული მისი სიღონია და სხვა ქრისტიანები.

გავიდა ხანი. ერთხელ, ნანა დედოფალი დასწულდა და ნინოს ლოცვამ იგი უეჭველი სიკვდილისაგან იხსნა, რის შემდეგაც ნანამ აღიარა მაცხოვარი. დედოფლის განკურნების შემდეგ მირიან მეფე კიდევ უფრო დაინტერესდა ქრისტეს სჯულით და ურიაყოფილ აპიათარს ხშირად ეკითხებოდა ძველი და ახალი აღთქმის წიგნებზე. აპიათარმა მას ნებროთის წიგნი წააკითხა. მეფეს ქრისტეს სჯულზე მოქცევის სურვილი გაუჩინდა.

ერთ დღეს მირიანი სანაციროდ წავიდა თხოთის მთაზე. წადირობისას მეფეს მზე დაუბნელდა და მის ირგვლივ უკუნი ღამე ჩამონვა. შეშინებულმა მირიანმა კერპებს შესთხოვა დახმარება, მაგრამ ისინი უგრძნობნი იყვნენ მლოცველის მიმართ. მაშინ მეფემ ჯვარცმულ ღმერთს შეავედრა თავი და მოხდა სასწაული: განათდა და მზე გამობრნებინდა. მირიანმა განიპყრნა ხელი აღმოსავლისაკენ და თქვა: „შენ ხარ ღმერთი ყოველთა ზედა ღმერთთა, უფალი ყოველთა ზედა უფლებათა, ღმერთი, რომელსა ნინო იტყვის“. მცხეთაში დაბრუნებული მეფე ნინოსთან მივიდა, მისი რჩევით მეორე ღლესვე მოციქული წარავლინა საპერძეოთში იმპერატორ კონსტანტინესთან და სთხოვა სამღდელოება გამოეგზავნა ქართლში.

მირიან მეფემ სამღდელოების ჩამოსვლამდე ეკლესიის აშენება გადაწყვიტა სამეფო ბაღში. ხუროებმა ნაძვის ხისგან შვიდი სვეტი დაამზადეს. ექვსი აღმართეს, ხოლო მეშვიდე, ყველაზე დიდი, ადგილიდან ვერ დაძრეს. წმიდა ნინო მონაფეებთან ერთად ლოცვად დადგა. გამთენისას ზეცით გარდამოხდა ნათლით შემოსილი, „ყოვლად ცეცხლითა მობლარდნილი“ ჭაბუკი, ხელი მოჰკიდა სვეტს და აღამაღლა. სვეტი გაბრნყინდა და თორმეტი წყრთის სიმაღლეზე გაჩერდა ჰაერში. მთელი მცხეთა დაიძრა ნათლის სვეტის თაყვანსაცემად, მის მიახლოებაზე ავადმყოფები იკურნებოდნენ, ბრმებს თვალები ეხილებოდათ, დავრდომილნი აღსდგებოდნენ.

ამასობაში კონსტანტინოპოლიდან დაბრუნდნენ ქართველი დიდებულები ეპისკოპოს იოვანეს, მღდლებისა და ღიაკვნების თანხლებით. კონსტანტინე დიდმა ქართლის მეფე მირიანს გამო-



უგზავნა ცხოველმყო-
ფელი ჯვარის კვარცხ-
ლბეკი და ორი სამსჭ-
ვალი, რითაც ჯვარზე
გააკრეს იესუ ქრისტე.

მტკვრისა და არაგ-
ვის შესართავთან ნა-
თელიღო მეფე-დედო-
ფალმა, სამეფო კარმა
და მთელმა ქართლმა.
საზეიმო ნათლისლე-
ბის შემდეგ იოვანე
ეპისკოპოსი და მისი
თანმხლები ერუშეთს
ნავიდნენ, ალაშენეს

ეკლესია, რომელმიც დიდი პატივით დააპრძანეს ქრისტეს სამსჭ-
ვალნი. შემდგომ მანგლისში ააშენეს ეკლესია და ცხოველსმყოფელი
ჯვარის ნაწილი დასვენეს.

მირიან მეფე შეწუხდა. მას სურდა, სატახტო ქალაქშიც ყოფილიყო
დასვენებული სინმიდეები. წმიდა ნინომ მეფეს უთხრა, რომ მცხეთაში
დიდი სინმიდე, იესუ ქრისტეს კვართი ინახებოდა. მეფე მირიანმა
ჰურიათა მღდელი აბიათარი დაიბარა, კვართის ამბავი გამოჰკითხა და
სიხარულით აღივსო.

მცხეთაში, ერთი კლდის თავზე, მშვენიერი, სურნელოვანი, სასწა-
ულთმოქმედი ხე იდგა. მისი ფოთლებით ისარნაკრავი მომაკვდავი ნა-
დირი იკურნებოდა. როდესაც იოვანე ეპისკოპოსს ეუწყა ეს ამბავი,
ბრძანა: „ქეშმარიტად ღმრთისა მიერ აღმოცენებულ არს ხე იგი და და-
მარხულ ჟამისა მისთვის და ანლა მოეფინა მადლი ღმრთისა ქართლსა
და მის ხისგან ჯერ არს შექმნა ჯვარი პატიოსანი, რომელსა თაყვანის
სცეს ყოველმან სიმრავლემან ქართლისამან“.

მირიან მეფის ძემ, რევიმ, მთავარეპისკოპოს იოვანეს კურთხევით
მოაჭრევინა ხე, რტოებითურთ წამოასვენა და ეკლესის სამხრეთით
აღმართა. ხეს ოცდაჩვიდმეტი დღის განმავლობაში არც ფერი შეუცვ-
ლია და არც ფოთლები დასცვენია. შემდგომ ამ ხისგან სამი ჯვარი გა-
აკეთეს. ამის შემდეგ, მრავალი დღის განმავლობაში, ხალხი ერთსა და
იმავე ჩვენებას ხედავდა — ღამით ეკლესის ვარსკვლავებით გარშე-
მორტყმული ცეცხლოვანი ჯვარი ადგებოდა თავს, განთიადისას ორი
ვარსკვლავი გამოეყოფოდა სხვებს, ერთი აღმოსავლეთისაკენ მიდიო-
და, მეორე კი — დასავლეთისაკენ, თავად ცეცხლოვანი ჯვარი კი
არაგვს გაღმა, კლდოვანი ბორცვის თავზე ჩერდებოდა და იქიდან უჩი-




მცხეთა. მტკვრისა და არაგვის შესართავი

ნარდებოდა ზეცაში. წმიდა ნინოს რჩევით, მეფემ ერთი ჯვარი დასავლეთით, თხოთის მთაზე აღამართვინა, მეორე — ქალაქ უჯარმაში, მესამე ჯვრისთვის კი ადგილი ვერ შეარჩიეს.

მირიან მეფემ ლოცვით შესთხოვა უფალს, მიენიშნებინა ადგილი, სადაც ჯვარი უნდა აღმართულიყო. ღმერთმა ისმინა კეთილმორნმუნე მეფის ვედრება და ანგელოზის პირით აუწყა, რომ ჯვარი აღმართა არაგვს გაღმა, კლდოვან ბორცვზე. როცა მცხეთაში ეს პატიოსანი ჯვარი აღმართა, მაშინვე ყველა კერპი დამსხვრა ქართლში.

სიკვდილის წინ, მეფე მირიანმა სამეფო ტახტი თავის შეილს, ბაქარს, გადასცა, რომელმაც კეთილად განაგრძო მამის მოციქულთასწორებრივი მოღვაწეობა.

წმიდა კეთილმსახური მეფე მირიანი მშვიდობით აღესრულა. იგი საკუთარი სურვილისამებრ დაკრძალულ მცხეთის სამთავრო ეკლესიაში. ორი წლის შემდეგ გარდაიცვალა ნანა დედოფალიც და დაკრძალულ მირიან მეფის გვერდით.



მცხეთა. ჯვარის მონასტერი



თველოს მეფეების: ბაგრატ მესამის, გიორგი პირველისა და ბაგრატ მეოთხის დროს.

წმიდა მელქისედეკმა ააშენა და გაამშვენიერა სვეტიცხოვლის ტაძარი, იგი დახმარების სათხოვნელად „ნარვიდა ბერძენთა მეფისა ბასილის წინაშე კონსტანტინეპოლედ, რათა შეენიოს, რამეთუ იყო დიდ ეს კათოლიკე სამოციქულო ეკლესია სვეტიცხოველი, რომელი ვახტანგ გორგასალს აღეშენა, დაძველებულ იყო და უამთა შლოლიბით გარეშემო სტოანი და ბჭენი დაქცეულ იყო და აღარავინ იყო მნე აღშენებად და არცა-ვის ძალ-ედვა აღშენება მისი“.

იმპერატორმა ბასილმა მისცა წმიდა მელქისედეკს „განძი და შესამკობელი ეკლესიათანი, ხატი და ჯუარი, და ყოველივე სამლელმთავრო და სამლელო სამკაულნი“.

დიდალი განძით სამშობლოში დაბრუნებულმა მელქისედეკმა, „ინყო შენებად გარეთითა ბჭითა და გარეშემოთა სტოითა მოქმნითა და ზედაბერვითა, და ყოველი განასრულა“. გარდა ამისა, კათოლიკოსმა შეამკო სვეტიცხოველი „ყოვლითა სამკაულობითა, ოქროთი და ვერცხლითა, თუალითა და მარგალიტითა“.

წმიდა მელქისედეკი რამოდენიმეჯერ ენვია ბიზანტიას და ისტორიკოსები ვარაუდობდნენ, რომ ამ ვიზიტების დროს მოხდა აღმოსავლეთის პატრიარქების მიერ საქართველოს ეკლესიის მამამთავრისთვის კათოლიკოს-პატრიარქის ტიტულის მონიჭება, თუმცა ტაო-


ღირსი მელქისედეკი იყო „დიდებულთა კაცთა შვილი“. იგი აღიზარდა საქართველოს მეფე ბაგრატ მესამის კარზე და ერთდღოულად მიიღო ყოველმხრივი სასულიერო და საერო განათლება. როგორც მელქისედეკის მოღვაწეობიდან ჩანს, ის იყო უდიდესი საეკლესიო მოღვაწე და შორსმჭვრეტელი დიპლომატი.

მელქისედეკმა საქართველოს ეკლესიის საჭეომცყრობელის სამოციქულო ტახტი დაიკავა კათოლიკოს სვიმეონის შემდეგ. მელქისედეკი საქართველოს სამოციქულო ეკლესიას მართავდა დაახლოებით 1010-1033 წლებში, საქარ-

კლარჯეთში, პარხლის ეკლესიის წარნერა ყოველი საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქად მოიხსენიებს წმიდა იოვანე მეოთხეს (980-1001), რომელიც საპატრიარქო ტახტზე შეცვალა მელქისედეკის წინა მორბედმა, კათოლიკოს-პატრიარქმა, სვიმეონმა.

ისტორიამ შემოგვინახა უნიდესი მელქისედეკის მიერ შედგენილი ანდერძი — „აღწერილი მცხეთის საყდრისადმი“, სადაც ჩამოთვლილია იმ წინა მოგვინახა უნიდესი მელქისედეკისა და სოფლების სრული სია, რომელიც კათოლიკოს-პატრიარქმა მელქისედეკიმა შესწირა მცხეთის სვეტიცხოველს. ამავე საბუთიდან ირკვევა, რომ მელქისედეკ პირველმა სვეტიცხოველში, გაიჩინა დასაკრძალი ადგილი — „სამხრით სადიაკვნოსა, წმიდათა მონამეთა სამარტინოსა შიგან შევქმენ საფლავი ჩემი და დავდგი საკურთხეველი და ამა საკურთხეველსა ზედა დავაყენე ჟამის მწირველად ცოდვილისა სულისა ჩემისათვის გაზრდილი ჩემი იოვანე“.

კათოლიკოს-პატრიარქი მელქისედეკი მშვიდობით აღესრულა 1033 წელს, ანდერძისამებრ დაასაფლავეს სვეტიცხოველში.



**დიდობრივი არგვეთის მთავარნი
დავითი და კონსტანტინე (+740)
2 (15) ოქტომბერი**



დიდობრივი არგვეთის მთავარნი დავითი და კონსტანტინე ღვიძლი ძმები იყვნენ, ისინი იმერეთის დიდგვაროვანთა შტოს ეკუთვნოდნენ, არგვეთის მხარეს განაგებდნენ და საყოველთაო სიყვარულით სარგებლობდნენ მთელს სამთავროში.

ძმებში ჰარმონიულად იყო შერნყმული სულიერი და ფიზიკური სიძლიერე, იყვნენ „მეცნიერ ძუელისა და ახალისა სჯულისა, ჭეშმარიტნი მორწმუნენი და გამოცდილნი და ახოვანნი წყობათა შინა და ბრძოლათა“. უფროსი ძმა დავითი იყო „ჰეროვან და სპეტაკ ხორცითა, მონაბლე თმითა, შუენიერ გუამითა და ხშირ წვერითა“, კონსტანტინეც, „შუენიერ (იყო) გუამითა, მონაბლე თმითა... წვერ გამო“.

740 წელს არაბეთისა და სპარსეთის მმართველმა, მურვან-ყრუმ, ააოხრა ქართლი და იმერეთის დასაპყრობად გაემართა. ფერსათის მთასთან დაბანაკებულმა ქართველებმა დავითისა და კონსტანტინეს მეთაურობით დაამარცხეს მომხდური მტერი. გაბრაზებულმა მურვან-ყრუმ ურიცხვი ლაშქარი შეკრიბა და შურისძიებით ანთებული კვლავ გაემართა იმერეთისაკენ. არაბებმა მოაოხრეს ყველაფერი. გადარჩენილმა მოსახლეობამ ტყეებს შეაფარა თავი. უთანასწორო ბრძოლაში ტყვედ ჩაიგდეს არგვეთის მთავრები დავითი და კონსტანტინე.

მურვან-ყრუს ნინაშე მიყვანილმა დავითმა და კონსტანტინემ უშიშრად ამხილეს გალალებული სარდალი „სიცილი და ქადილი შენი ცუდ და ამაო არს ჩუენ ზედა, რამეთუ წუთ ჟამ არს დიდებად შენი და ადრე განქარდების, რამეთუ არა ლირსებისა შენისათვს იქმნა ძლევად შენი ჩუენ ზედა, არამედ ცოდვათა ჩუენთათვს, რომელ გარდავჭედით მცნებათა ღმრთისათა, იქმნა ფლობად თქუენი ჩუენ ზედა, რათა გუნუართნეს ღმერთმან წელითა თქუენ უსჯულოთა და უღმრთოვთა“. გან-

რისხებულმა მურვან-ყრუმ დავითისა და კონსტანტინეს წამება ბრძანა. ჯალათებმა მაშინვე გაიყვანეს ძმები და სასტიკი წამება დაუწყეს, თან აიძულებდნენ უარი ეთქვათ ქრისტიანობაზე და მიეღოთ მაჰმადის სჯული. მარტვილები მოთმინებით ჰმადლობდნენ უფალს და ურყევად იდგნენ სარწმუნოებაზე.

დავითისა და კონსტანტინეს მხნეობით გაკვირვებულმა მურვანმა მოჩვენებითი ლმობიერებით მიმართა დავითს: „გამიგია შენი ვაჟკაცობის ამბავი, ამიტომ გირჩევ, დაუტეო ცუდი და ამაო სიტყუა სიცოფი-სა თქუენისაა და დაემორჩილო სჯულსა მუპამედისა“. სანაცვლოდ კი პატივსა და სპასალარის წოდებას დაპირდა. დავითმა პირჯვარი გამოისახა და უპასუხა: „ნუ იყოფინ ესე ჩუენდა, რათა დაუტეოთ ნათელი და შეუდგეთ ბნელსა, ლმერთმან ჩუენმან განგვანათლა, რაუამს ძე თვესი მოავლინა ქვეყნად და კაც იქმნა ჩვენთვის, ყოველი განგებულება თავს იდვა: ჯვარცმა, დაფლვა, ალდგომა, ამაღლება; კვალად მოვალს განსჯად ცხოველთა და მკუდართა. მაცხოვარმა წარავლინა მონაფენი თვესი ყოველსა ქვეყანასა საქადაგებლად. ჩვენთან მისმა ორმა მოწაფემ იქადაგა და მოგვაქცია კერპთა მსახურებისაგან. ჩვენ, მის მიერ განსწავლულნი და განათლებულნი, არა ვმონებთ სხვასა სჯულსა, არამედ მზად ვართ ქრისტესთვის გვემასა, ტანჯვასა, ცეცხლსა, წყალსა, მახვილსა და სიკვდილსა“. შემდგომ ამხილა ყურანი და სჯული აგარიანთა: „მუპამედმა ცეცხლის მსახურებისაგან მოგაქციათ, მაგრამ ლმერთი ვერ შეგამეცნებინათ, ამიტომ ემსგავსებით იმ ნავდანთქმულთა, რომელიც შუა ზღვაში გადარჩენ, მაგრამ ნაპირს მიწევნულნი დაინთქნენ“. დავითის მხნე პასუხით განრისხებული მურვანი კონსტანტინეს მიუბრუნდა და მისი გადაბირება მოინდომა, მაგრამ კონსტანტინემაც უშიშრად აღიარა წმიდა სამება: „ვითარცა წამა და აღიარა უფალმან ჩემმან დავით... მეცა ვწამებ და აღვიარებ, რამეთუ ერთსა სჯულსა და ერთსა სარწმუნოებასა ზედა განსწავლულ ვართ და მრწამს მამად და ძე და სული წმიდად და მისთვის მოვკუდები“. გამძვინვარებულმა მურვანმა ბრძანა, შიმშილითა და წყურვილით მოეუძლურებინათ ძმები.

ათი დღის „მრავალფერი ტანჯვის“ შემდეგ მურვან-ყრუ მიხვდა რა, რომ ძმები სჯულს არ შეიცვლიდნენ, მათი წამებით სიკვდილი ბრძანა.

სიკვდილის წინ დავითმა და კონსტანტინემ უკანასკნელად აღვლინეს ლოცვა: „ჰო, უფალო ლმერთო იესუ ქრისტე, ძეო და სიტყვაო ლვთისა მამისაო, ვითარცა ისმინენ თხოვანი ჩუენნი და ლირს გუყვნენ წამებასა სახელისა შენისათვს წმიდისა, ანცა შეისმინენ ვედრებანი და თხოვანი ჩუენ მონათა შენთანი და ვითარცა დავიმარხენით წორცნი ჩუენნი უხრწნელ და შეუგინებელ სახელისათვს შენისა წმიდისა, ეგრეთვე შემდგომად წამებისა ჩუენისა დაჲმარხენ გუამნი ჩვენნი განუხ-

რწნელად და დაურღვეველად და რომელთა ხადონ სახელითა ჩუენით სახელსა შენსა წმიდასა, მსწრაფლ ენიენ წყალობად შენი და მიეც შენ დობად ბრალთად და ყვენ ასონი ჭირცთა ჩუენთანი მეურნალ ყოველ სენთა და უძლურებათა, დიდებად ყოვლად საგალობელისა სახელის შენისა“.

დავითი და კონსტანტინე ქუთაისის ზემოთ, წმიდა კოზმანისა და დამიანეს ტაძრის მახლობლად, მდინარის ნაპირას გაიყვანეს, სასტი კად გვემეს, მერე ხელ-ფეხი შეუკრეს, ქედზე ლოდები გამოაპეს და მდინარეში გადაყარეს. ამ დროს ზეციდან გაისმა ხმა, რომელიც მარტვილების თხოვნის შესმენა დაამტკიცა. ზეციური ხმით შეშინებული მტარვალები გაიქცნენ.

ღამით ზეციდან სამი ნათელი სვეტი გარდამოვიდა, მონამეები „ლოდნი შემოეძარცვნეს ქედთა მათთა“ და წყლის ზედაპირზე ამო ტივტივდნენ. ქრისტიანებმა დავითისა და კონსტანტინეს ცხედრები ნაპირზე გამოასვენეს. მათ მოესმათ ნათლის სვეტიდან გამომავალი ხმა: „ალიჯუენით გუამნი წმიდათა მაგათ მონამეთანი და წარიყვანენიი ტყით კერძო აღმოსავალით და სადა იგი გთნდესთ, მუნ დაკრძალენიი წმიდანი ეგე გუამნი მონამეთანი, რამეთუ მუნ არს ბრძანებად უფლის, ღმრთისად, რათა გებისა თანა არსთასა იყვნენ მუნ გებულცა გუამნი წმიდათა მონამეთანი“.

დავითი და კონსტანტინე დაკრძალეს წყალწითელას ნაპირზე მდებარე მურვან-ყრუს მიერ დარღვეულ ეკლესიაში.

ბაგრატ მეფის (1072-1117) ბრძანებით აქ აშენდა მონასტერი, სადაც დაასვენეს წმიდა დავითისა და კონსტანტინეს უხრნელი ნაწილები, რომელთა მიერ დღემდე აღესრულება სასწაულები და კურნებები. მონასტერს და მის ახლო მდებარე სოფელს, დავითისა და კონსტანტინეს ღვანლის პატივსაცემად, მონამეთა ეწოდა.



მონამეთა

ღირსმონამე ევდეონზი, ყოვლისა
საქართველოსა კათოლიკოს-პატრიარქი (+1642)
4 (17) ოქტომბერი



ღირსმონი (დიასამიძე) საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქიად 1632 წელს იქნა დადგენილი. იმ დროისათვის ქართლ-კახეთის ერთიანი სამეფოს მეფე იყო თეიმურაზ პირველი (1625-1632).

კათოლიკოს-პატრიარქ ევდემოზს თეიმურაზ მეფესთან ეროვნული და პოლიტიკური ინტერესების გარდა ნათესაური ურთიერთბაც აკავშირებდა (თეიმურაზის ძეს, დავითს, ცოლად ჰყავდა პატრიარქ ევდემოზის ძმის შვილი).

შაჰ-აბასმა ქართლ-კახეთის სამეფო ტახტიდან განდევნა მეფე თეიმურაზი და მის ნაცვლად ქვეყნის მმართველად დაადგინა გამაპმადიანებული როსტომ-ხანი (1632-1658).

„იყო მეფე როსტომ მორჩილი ყაინისა და მოყვარული სჯულისა მაჟმადისა. ამან ალაშენა სახლი ყიზილბაშური... განძლიერდნენ თათარნი და კადნიერებდნენ ქართველთა ზედა და რომელიცა იყვნენ ქართველი მოყვარენი ნესისა მათისა, მეძავნი და ბილნებისა მოქმედნი, დიდად პატივს სცემდა მეფე როსტომი... და რომელიცა იყვნენ სიმართლისმოქმედნი და ნრფელნი გულითა და ცოდვის მორიდალნი, მათ არას პატივსცემდა და ცუდს კაცსა ეძახდნენ... და ქართველთაცა ისნავეს სმა და ჭამა ყიზილბაშური... ამიერითგან შემოვიდა ზოგზოგთაგან ტყვის სყიდვა თავადებისაგან, და რომელნიცა იყვნენ ობოლნი და ქვრივნი, გამოიყვანებდნენ და განჰყიდნენ და განმრავლდა ცოდვა“.

„თვით სამღვდელონიცა და მღდელმთავარნიცა მიღრკეს კეთილისაგან და აღერივნეს ერთა თანა... მოუძღურდა სჯული და განირყუნა წესი ეკლესიისა, რამეთუ არლარა ეძიებდნენ სულიერსა საქმესა, არამედ ხორციათვის ზრუნვიდნენ ყოველნივე“.

კათოლიკოს-პატრიარქმა ევდემოზმა, რომლის ხასიათში აშკარად სჭარბობდა უშიშარობა და შემართება, ღია ბრძოლა გამოუცხადა როსტომ-ხანს და მოქმედებდა კიდეც მწყემსმთავრისათვის შესაფერისი უშიშრობითა და თავდადებით.

უნმიდესმა ევდემოზმა რამდენიმეჯერ შეჰკრიბა ქართლის ნარჩინებული ვაჟკაცები სპარსელებთან საბრძოლველად. მისი გავლენით

ცალკეული მთავრები არ ემორჩილებოდნენ როსტომ-ხანის პოლიტიკას და თავიანთ სამთავროებს იცავდნენ მუსლიმანური ტრადიციების ზეგავლენისაგან.

კათოლიკოს-პატრიარქი ევდემოზი წინ აღუდგა ბაგრატიონთა და სხვა დიდებული გვარის შვილთა სიყრმიდანვე ყარზე აღზრდის იმდროინდელ ჩვეულებას. ევდემოზი არც როსტომ მეფის პირდაპირ მხილებას ერიდებოდა — სადაც კი შეხვდებოდა, ყველგან ეუპნებოდა: „მაჰმადიანების მამა ხარ და ქრისტიანთა მამინაცვალიო“. პატრიარქ ევდემოზის სულიერი შვილი იყო როსტომ-ხანის მეუღლე, კეთილმორნმუნე დედოფალი, მანუჩარ დადიანის ასული, მარიამი. წმიდა ევდემოზ კათოლიკოს-პატრიარქის მოღვაწეობითა და დედოფალ მარიამის თანადგომით, ქვეყანაში ისევ ცოცხლობდა სარწმუნოებრივ-ეროვნული სული, შენდებოდა ეკლესიები, იწერებოდა სასულიერო ხასიათის ლიტერატურა და მაღლდებოდა პატრიოტული სულისკვეთება.

მეფე როსტომ-ხანი კარგად ხედავდა კათოლიკოს-პატრიარქის ორიენტაციასა და ავტორიტეტს. უნმიდესი ევდემოზი ყველგან ქადაგებდა და კონკრეტულ გეგმებსაც ადგენდა ქართლის ტახტზე ქრისტიანი მეფის, თეიმურაზის, დასაბრუნებლად.

1642 წელს როსტომ-ხანმა შეიპყრო უნმიდესი ევდემოზი, მაგრამ ვერაფრით გატეხა ქრისტესა და სამშობლოს სიყვარულით ანთებული კათოლიკოს-პატრიარქი.

ევდემოზი კიდევ უფრო მნვავედ ამხელდა მეფის უსჯულოებას და ხალხს მის წინააღმდეგ საბრძოლველად მოუწოდებდა. როსტომ-ხანმა საპყრობილები მოაშთობინა წმიდანი, მისი გვამი კი, შეურაცხყოფის მიზნით, ნარიყალას ციხიდან გადააგდებინა აბანოების მხარეს.

ქრისტიანობისთვის ნამებული კათოლიკოს-პატრიარქი, ევდემოზი, ქრისტიანებმა ფარულად ნამოასვენეს და ანჩისხატის ტაძარში დაკრძალეს, ჩრდილო-დასავლეთ კუთხეში.



დედოფალი მარიამი.
ნალეჯიხის ტაძრის ფრესკა

ლირსი გრიგოლ ხანძთელი (+861) და კლარჯეთის
უდაპნოს ლირსი მამანი და დედანი (VIII-IX)
5 (18) ოქტომბერი



ლირსი გრიგოლ ხანძთელი დაიბადა 759 წელს. იგი დიდგვაროვანთა შვილი იყო — „საშოთვანვე დედისადთ შენირულ იყო ღმრთისა დედისაგან თვისისა“ და ნერსე ერის-თავის კარზე იზრდებოდა.

ყრმა გრიგოლის „გულისხმიერობად სწავ-ლისად განსაკვირვებელი იყო ფრიად, რამე-თუ მსწრაფლ ხოლო დაისწავლა დავითი და წმითა სასწავლელი სწავლად საეკლესიოდ, სა-მოძღვროდ ქართულსა ენასა შინა ყოველი დაისწავლა და მნიგნობრობადცა ისწავლა მრავალთა ენათა და საღმრთონი წიგნი ზე-პირით მოიწვართნა“.

აღმზრდელებმა და მშობლებმა წეტარი გრიგოლის მღდლად კურთხევა ინებეს. გრი-გოლს მღდლობის სურვილი ჰქონდა, მაგრამ უდიდეს მოვალეობასაც გრძნობდა და უარი შეჰკადრა ერისმთავარს და მშობლებს: „ან პატივსა ვხედავ და პატიუსისაგან მეშინისო“. ახლობლებმა მაინც დაითანხმეს: „მორჩილ იქმენ ბრძანებასა ქრისტესა და ჰმონე მას მღდელობითა, რომელმან ივნო ჩუენთვს, მღდელმან მან საუკუნემან და ჩუენ ყოველი გუაცხოვნა“.

სამღდელო ხელთდასხმის დროს უძლურთა მკურნალმა და ნაკლო-ვანებათა აღმავსებელმა საღმრთო მადლმა უფრო საცნაურ-ჰყო წმი-და გრიგოლის პიროვნება, მისი სინმიდის პატივისმცემელნი მად-ლობდნენ ღმერთს „რაჟამს წმიდითა ხელითა მისითა ღირს იქმნეს მი-ღებად წორცსა და სისხლსა ქრისტესაა“.

მალე ეპისკოპოსად კურთხევაც დაუპირეს გრიგოლს, ამან კი ძალ-ზე შეაკრთო მოძღვარი, იგრძნო „თავი თვისი წორციელად დიდებასა შინა“ და სასწრაფოდ დატოვა „შეცვალებადი პატივი ქუეყანისა, მოკუ-დავთა კაცთა სუფევისად, მოპრიდა უამიერთა და ნივთიერთა ბუნება-თა, რათა უჟამო იგი ნათელი უძლოდის უცვალებელსა დიდებასა სა-სუფეველსა ცათასა“. გრიგოლმა თან წაიყვანა სამი უახლოესი თანამოსაგრე: საბა, თეო-დორე და ქრისტეფორე — „ერთზრახვად შეკრულნი, ვითარცა სული ერთი, ოთხთა გუამთა შინა დამტკიცებული“. ისინი წავიდნენ კლარ-

გრიგოლმა თან წაიყვანა სამი უახლოესი თანამოსაგრე: საბა, თეო-დორე და ქრისტეფორე — „ერთზრახვად შეკრულნი, ვითარცა სული ერთი, ოთხთა გუამთა შინა დამტკიცებული“. ისინი წავიდნენ კლარ-

ჯეთში, ოპიზის მონასტერში და ორი წელი იღვანეს იქაურ მოძღვარ ამბა გორგისთან.

გრიგოლი კლარჯეთის უდაბნოში მცხოვრები განდეგილი ბერ-მონ-აზვნებისაგან სწავლობდა ლოცვასა და მარხვას, სიმდაბლესა და სიყვარულს, სიმშვიდეს, უპოვარებას, მღვიძარებასა და მდუმარებას. ოპიზაში ორნლიანი მოღვანეობის შემდეგ, გრიგოლი, ხანძთელ მეუდაბნო ხუედიოსს ეწვია. ხუედიოსს ადრევე გამოუცხადა ლმერთმა, რომ ამ ადგილას მონასტერი აშენდებოდა „წელითა გრიგოლ მღდელისა, კაცისა ლმრთისათა და სულნელებად ლოცვათა მისთავ და მონაფეთა მისთავ, ვითარცა კეთილი საკუმეველი, ალინეოდის წინაშე ღმრთისა“. გრიგოლს ძალზე მოეწონა იქაურობა და ძმებთან ერთად მონასტრის მშენებლობა დაიწყო. მონაზვნებს უმძიმეს პირობებში უნევდათ მუშაობა, მათ კი სამუშაო იარაღებიც არ ჰქონდათ. ხანძთის მახლობლად მცხოვრებმა აზნაურმა, გაბრიელ დაფანჩულმა, სიხარულით მისცა მამებს ყველაფერი ქვიტკირის ეკლესიის ასაშენებლად.



ხანძთა

გაბრიელ დაფანჩულმა მეფე აშოტ დიდ კურაპალატს წარუდგინა ლირსი გრიგოლ ხანძთელი. აშოტ მეფემ „შენირნა ადგილნი კეთილნი და შატბერდისა ადგილი აგარაკად ხანძთისა. მაშინ სამთა მათ დიდებულთა ძეთა კურაპალატისათა — ადარნერსე, ბაგრატ და გუარამ — შენირეს თითოეულად, რაღცა საწმარი მონასტერსა მისა უწმდა, ყოველი უხუებით“.

გრიგოლი დიდად ზრუნავდა მონასტრის ტიპიკონის მოსაწესრიგებლად. მისი კურთხევით მოხდა იერუსალიმიდან საბანმიდის ტიპიკონის გადაწერა. წეტარმა გრიგოლმა „განაწესა წესი თვესისა ეკლესიისად და მონასტრისად, სიბრძნით განსაზღვრებული და მეცნიერებით განბრნყინვებული და ყოველთაგან წმიდათა ადგილთა გამორჩევით შეკრებული, ვითარცა საფასე დაულევნელთა კეთილთად“.

მონასტრის ტიპიკონი მკაცრი იყო. მამა გრიგოლი „უდებთაგანს არ შეიწყნარებდა“. ძმების ქონებას შეადგენდა პატარა საწოლი, შეურაცხი საგებელი და თითო სარწყული წყლისათვის. ბევრი მათგანი საერ-

თოდ არ სვამდა ღვინოს, სხვანი კი მცირედს იხმევდნენ. სენაკებში ცეცხლს და სანთელს არ ანთებდნენ. თავად გრიგოლის სათნოებანი მხოლოდ უფალმა უწყოდა.

გრიგოლი უდიდესი ავტორიტეტი იყო სრულიად საქართველოსთვის. მირიან აზნაურის მძღვანებით, ეპისკოპოსთა მცირეკრებამ, ქართლის კათოლიკოსად დაადგინა მისი ვაჟი, წმიდა გრიგოლ ხანძთელის აღზრდილი, არსენი. სჯულის-კანონის ასეთმა უხეშმა დარღვევამ, სამღდელოებისა და ერისკაცთა გულისწყომა

გამოიწვია. გუარამ მამფალისა და ეფრემ მაწყვერელის მოწვევით, ჯავახეთში, საეკლესიო კრება ჩატარდა, რომელსაც კათოლიკოსი არსენი უნდა გადაეყენებინა. კრებაზე, ნეტარი გრიგოლის მოსვლამდე, სიტყვის თქმა ვერავინ გაბედა. ერუშელმა ეპისკოპოსმა თქვა: „ოდეს მოვიდეს ვარსკულავი უდაბნოთავ, მაშინ წარემართოს საქმე და განზრახვად ყოველთავ“.

კრებაზე გამოცხადებული გრიგოლი საკვირველი სანახავი იყო: „სამოსელი იგი შეურაცხი, რომელ ემოსა მოხუცებულსა მას, ესრეთ ჩნდა, ვითარცა სამოსელი ნათლისა ბრწყინვალისა განუცდელისაა, ხოლო თავსა მისსა კუკული იხილვებოდა, ვითარცა გვირგვინი სამეუფოა“. მამები მიხვდნენ, რომ მისი სიტყვა ღმრთივგამოცხადებული იქნებოდა და მართლაც, როცა წმიდა გრიგოლმა თქვა, რომ „ღმერთსა ეპრძანა კათალიკოზბავ, არსენისი სისრულისა მისისათვა“, უდრტვინველად მიიღეს მისი სიტყვა.

ღირსმა გრიგოლმა მოიარა მთელი აფხაზეთი, თავისი მადლიანი სწავლებითა და ქადაგებით გაათბო იქაური ქრისტიანები, შემდგომ კი იმერ-ამერის საზღვარზე ააშენა უბისის მონასტერი.

უფალი მრავალ სასწაულს ახდენდა ღირსი გრიგოლის ხელით. ერთხელ დეკანოზმა მნათეს უთხრა: „წადი მამა გრიგოლთან, გაიგე, სძინავს თუ ღვიძავს, ცისკრის უამიან“. მნათე მივიდა გრიგოლის სენაკთან და ნახა, რომ იქიდან ნათელი გამოდიოდა. მან იცოდა, რომ ღირსი გრიგოლი არც ცეცხლს, არც კანდელს არ ანთებდა სენაკში და შეეშინ-



ანჩის ეკლესიის ნანგრევები. 1904 წლის ფოტო

და, ეგონა, ხანძარი იყო გაჩენილი, დეკანოზმა მნათე დაამშვიდა: „ნუ გეშინინ! არა არს იგი ცეცხლი შემწველი, გარნა სული ღმრთისა განმანათლებელი.

ხელაპურობით ლოცვად დამდგარი წმიდა გრიგოლი მზესავით ბრწყინავდა და მისი სხეულიდან ნათლის ისარნი გამოდიოდნენ ჯვარის სახედ. ერთ ზამთარს ძმები ტყეში იყვნენ გასულნი შეშისთვის. მოულოდნელად დიდი ხე მოცურდა და ის-ის იყო მოხუცებული მონაზონი უნდა გადაეჩეხა, რომ ღირსმა გრიგოლმა ჯვარი გადასახა მას და თქვა: „სახელითა ქრისტესითა დადეგ, ძელო!“! სიტყვამან მისმან, ვითარცა კლდემან უძრავმან, დააყენა ადგილსა მას მყაფარსა მყინვარსა ზედა მოქანებული საშინელად“.

გრიგოლმა მეაცრად ამხილა მეფე აშოტ კურაპალატი, არ მოერიდა მის მაღალ მდგომარეობას, იცოდა, რომ მეფის არასწორი ქმედება დამაბრკოლებელი და დამღუპველი იყო ერისათვის. გრიგოლმა მეაცრად ამხილა ანჩის ეპისკოპოსი — ტფილისის ამირას ახლობელი მეუფე — ცქირი, რომლის მღდელმთავრისათვის შეუფერებელი მოქმედებები, ასევე დამღუპველი იყო ერისათვის. გაბოროტებულმა ცქირმა ერთი ანჩელი კაცი მოისყიდა ღირსი გრიგოლის მოსაკლავად. მკვლელმა იხილა „სასწაული დიდი წმიდასა მას ზედა ზეგარდამო, რამეთუ სვეტი ნათლისა ფრიად ბრწყინვალე ცად აღწევნული ჰავარვიდა მას. და იყო თავსა მისსა ჯუარი თუალთშეუდგამი გარემო მისა ცის-სარტყელის სახედ, შუენიერად რა გამოჩნდის უამსა წვერისასა“. მკვლელს, მოულოდნელად, მკლავი გაუხმა და მხოლოდ გრიგოლის ლოცვით განიკურნა. ანჩში მოწვეულმა საეკლესიო კრებამ განკვეთა ცქირი. მაგრამ იგი ტფილისში წავიდა საპაკ ამირასთან, მისი დახმარებით ხელახლა ჩაიგდო ხელში ანჩის კათედრა და თავისი ხალხი გავზავნა ხანძთის მონასტერს, დასარბევად. ღირს გრიგოლს ანგელოზისაგან ეუწყა, რომ ცქირი დაისჯებოდა. მართლაც, ორი დღის შემდეგ, ქორთას მყოფი

ცქირი მოულოდნელად გარდაიცვალა.

გრიგოლ ხანძთელმა საბა იშხნელთან ერთად კონსტანტინოპოლის წმიდა ადგილები მოილოცა. იქედან დაბრუნებულებმა კი მეფე აშოტ კურაპალატის მონამეობრივი აღსასრულის შესახებ შე-



ბერთას სამონასტრო კომპლექსის ნაგრევები

იტყვეს და „ ტკივილისა ცრემლითა აღივსნეს ღმრთისმსახურისა მის წელმწიფისა დაცემისა-თვის და ტირილითა სავსენი ულოცვიდეს მიცვა-ლებულსა მას მეფესა“.

ლირს გრიგოლს უფლისგან წინასწარ ეუნყა მისი გარდაცვალების დღე. მან კლარჯეთის უდაბნოს მონასტრებში სანთლები დაგზავნა და შეუთვალა, რომ იმ დღეს აენთოთ და ელოცათ მისთვის. გარდაცვალების დღეს, გრიგოლთან გამოსამშვიდობებლად და მისგან კურთხევის მისაღებად მეუდაბნოე მამები მივიდნენ. ზეციდან გაისმა ხმა:



ხანა

„ნუ გეშინინ მოსლვად
ჩუენ თანა, მსახურო
ქრისტესო სანატრე-
ლო, რამეთუ ქუეყანი-
სა ანგელოზსა და ზე-
ცისა კაცსა გინესს მე-
უფე ცათად ქრისტე. ან
მოვედ სიხარულით და
უფლისა შენისა თანა
იხარებდ დაუსრულე-
ბელად, რამეთუ ნეტარ
ზარ შენ შორის კაცთა
ნეტარსა მას დიდებასა
დამკვიდრებად განმ-
ზადებული და მხიარუ-

ლი საუკუნოდ“. გრიგოლმა აკურთხა მამები. უკანასკნელად დაარიგა ისინი და მშვიდობით შეჰვედრა სული უფალს.

ლირსი გრიგოლ ხანძთელი გარდაიცვალა 861 წლის 5 ოქტომბერს, 102 წლის ასაკში. წმიდანის ნეშტი, საკუთარი ანდერძისამებრ, დაკრძალეს ხანძთის მონასტერში, ძმათა საფლავებს შორის.

კლარჯეთის უდაბნოს ლირსინი მამანი და დედანი (VIII-X). ტაო-კლარჯეთი ქართველი კაცის ცნობიერებაში სიწმიდის, ერთიანობისა და სიძლიერის ნანატრ და ტკივილიან გრძნობას უკავშირდება. მერვე-მეათე საუკუნეებში, როცა არაბთა ბატონობის გამო ქართლში კულ-ტურული ცხოვრება ჩამკვდარი იყო, ტაო-კლარჯეთში მონასტრების მშენებლობა მიმდინარეობდა. წმიდა ექვთიმე თაყაიშვილი წერს: „ყოველ მონასტერში იყო სკოლა, სემინარია, სადაც ასწავლიდნენ წერა-კითხვას, საღმრთო სჯულს, ფილოსოფიას, ბერძნულს და სხვა ენებს, გალობას, კალიგრაფიას, მხატვრობას, ოქრომჭედლობას და სხვა. აქედან გამოდიოდნენ მღდელმოძღვარნი, მთარგმნელები და ოქრომჭედელნი“. ტაო-კლარჯეთმა ახალი სული შთაპბერა საქართველოს, „მამულის


ჩვეულებისაებრ სავალი გზა“ კვლავ გაუკაფა ქართველებს. მთელი ამ საქმიანობის სულისჩამდგმელი იყო წმიდა გრიგოლ ხანძთელი — „მადლითა სავსე, განსრულებული სიბრძნითა, დიდი მღდელი და კეთილად განმგებელი მოღვაწე და უდაბნოთა ქალაქმყოფელი...“

ყველაზე მეტი ცნობა გრიგოლ ხანძთელისა და ტაო-კლარჯეთში მოღვაწე წმიდა მამათა და დედათა შესახებ შემოგვინახა გიორგი მერჩულის გრიგოლ ხანძთელის ცხორებამ. გიორგი მერჩულე დაბადებულა 875-885 წლებში. იგი ხანძთის უდაბნოში მოღვაწეობდა მეათე საუკუნეში. გიორგის ზედნოდება, მერჩულე, რჯულის მცოდნეს, ღმრთისმეტყველს უნდა ნიშნავდეს.

გიორგი მერჩულე გვაწვდის ცნობას ნერსე კათოლიკოსის შესახებ. ნერსე ეროვნებით სომეხი იყო. იგი ალიარებდა მართლმადიდებლურ მრნამსს და მოღვაწეობდა ქართველი მამების გვერდით. მეექვსე-მეშვიდე საუკუნეებში ტაო-კლარჯეთისთვის თავი შეუფარებიათ სამშობლოდან დევნილ დიოციზიტ სომხებს. წმიდა ნერსემ 730-იან წლებში განაახლა იშხნის ძველი ტაძარი და იქ მოღვაწეობდა სინმიდითა და სასწაულთქმედებით.

ილარიონ კათოლიკოსი იყო „მამად და მაშენებელი წყაროსთავისად“. იგი არჩეულ იქნა ქართლის კათოლიკოსად. ამ ხარისხში წმიდანის მოღვაწეობა მოიცავს პერიოდს დაახლოებით 850-იანი წლიდან 860 წლამდე.

სტეფანე მტბევარი არის მეათე საუკუნის პირველი მეოთხედის ცნობილი საეკლესიო მოღვაწე. იგი შავშეთის ერისთავთ-ერისთავის, აშოთ კუხის (გურგენ კურაპალატის ძის), თანამედროვეა. ძველი ქართველი მემატიანე სუმბატ დავითის ძე ალნიშნავს: „აშოთ ერისთავთ-ერისთავმა, ძემან გურგენ კურაპალატისამან, რომელსა ეწოდა კუხი, აღაშენა ტბეთი შავშეთს, და განასრულა იგი ყოვლითა განგებითა და დასუა პირველად ეპისკოპოსად სანატრელი სტეფანე



უწყებითა სულისა წმი-
დისახთა“.

სტეფანე მტბევარი
ცნობილია, როგორც
საეკლესიო მწერალი
და ტაო-კლარჯეთის
ლიტერატურული სკო-
ლის ერთ-ერთი ბრწყი-
ნვალე წარმომადგე-
ნელი. მის კალამს ეკუ-
თვნის ორიგინალური
თხზულება „წამება წმ-
იდისა მონამისა გობ-
რონისი“, რომელიც
დაწერილია 914-918
წლებს შორის.



დოლისყანა

ზაქარია ანჩელი ბავშვობიდან გამოირჩეოდა ღმრთისმოშიშებითა
და სიყვარულით. იგი, მეფსალმუნე დავითის მსგავსად, სიჭაბუკიდანვე
მწყემსის ლალი და მკაცრი ცხოვრების წესით იზრდებოდა. ზაქარია
ბავშვური გულწრფელობით შემოიკრებდა თავის თანატოლებს და
საოცარი სიზუსტით იმეორებდა ეკლესია-მონასტრებში ნანას და გაგ-
ონილ ღმრთისმსახურთა მოქმედებებსა და სიტყვებს. ერთხელ, მის
ასეთ ბავშვურ თამაშობას შეესწრო ანჩელი ეპისკოპოსი, რომელმაც
ყრმა ზაქარიას თავზე „ზეცით მოწევნული“ წათლის სვეტი იხილა და
რამოდენიმე ხანში მონასტერში წაიყვანა აღსაზრდელად.

ღმრთის მინიშნებით სრულწლოვანებას მიღწეული ზაქარია მალე
მთელი საძმოს მოძღვარი შეიქნა. მისი ლოცვით უამრავი სასწაული
აღესრულებოდა, მან ლოცვით შეაჩერა კლდეს მოწყვეტილი უზარ-
მაზარი ლოდი, განდევნა მონასტრის ბაღ-ვენასს შესეული ფრინ-
ველები და კალიები, შემუსრა ორი საშინელი გველი, რომლის შიშით
ძმები ვენახში ვეღარ მიდიოდნენ სამუშაოდ. ასეთი სიწმიდით
გამორჩეული ზაქარია, მღვდელმთავრად იქნა დადგენილი ანჩის
კათედრაზე.

მაკარი ანჩელი, გრიგოლ ხანძთელის მიცვალების უამს, 861 წელს
ანჩის საეპისკოპოსოს მღვდელმთავარი იყო.

ეზრა ანჩელი — „დიდებულთა აზნაურთა დაფანჩულთა შვილი“,
მეათე საუკუნის მოღვაწე იყო.

უძველეს ანჩის საყდარს მრავალი წმიდა, საკვირველთმოქმედი
მღვდელმთავარი ჰყოლია. გიორგი მერჩულე წერს: „პატივ სცა ქრის-

ტემან წმიდათა მათ უდაბნოთა, რათა იყოს წინამძღვრად მათდა ეპისკოპოსი უმიზესო, წმიდა და ლირსი, ვითარცა შეჰვავს წმიდასა მას საყდარსა... სახელსა ზედა წმიდისა ქრისტეს ღმრთისა ხატისასა აღშენებულსა.“

საბა იშხნელი გრიგოლ ხანძთელის დეიდაშვილი და მისი ერთ-ერთი პირველი თანამზრასველი იყო. მან ხელმეორედ ააშენა ნერსე კათოლიკოსის მიერ იშხანში აგებული ეკლესია, რომელიც უკვე დანგრეული იყო და მისი ეპისკოპოსი გახდა. საბამ მტკიცე და შეუვალი ტონით დაუმტკიცა ბაგრატ კურაპალატს ეკლესის უფლებები და შეუვალობა: „დიდებულო მეფე, შენ ქუეყანისა ხელმწიფე ხარ, ხოლო ქრისტე ზეცისა და ქუეყანისა და ქუესკვნელთა. შენ ნათესავთა ამათ მეფე ხარ, ხოლო ქრისტე ყოველთა დაბადებულთა; შენ ნარმავალთა ამათ უამთა მეფე ხარ, ხოლო ქრისტე საუკუნო მეუფე... არამედ ან სიტყვითა ძმისა და მოძღურისა ჩემისა გრიგოლისითა მოვედ წინაშე შენსა“.

მეუფე საბამ გულწრფელი თავმდაბლობითა და კრძალვით უმასპინძლა იშხნის ეკლესის დასათვალიერებლად ჩასულ გრიგოლ ხანძთელსა და მეფე ბაგრატ კურაპალატს. მეუფემ, გრიგოლი საეპისკოპოსო ჭახტიზე დასვა და თვითონ გვერდით მიუჯდა.

წმიდა საბა იშხნელი მშვიდობით მიიცვალა 855 წლის ახლო ხანებში.

იოვანე — „ახალი იგი ქრისტეს მონამე... სანატრელი“ — მოღვაწეობდა ხანძთის მონასტერში. იგი იერუსალიმში გაემგზავრა წმიდა ადგილების მოსალოცად. იოვანე, ქალაქ ბალდადში, სარკინოზებმა შეიძყრეს და ქრისტიანობის უარყოფა მოსთხოვეს. ნეტარმა იოვანემ მშნედ აღიარა ქრისტიანობა და სისხლის დათხევით დაამტკიცა სარწმუნოების ერთგულება.

თეოდორე, ნეძვის მაშენებელი და ქრისტეფორე, კვირიკეთის მაშენებელი — გრიგოლ ხანძთელის პირველი თანამზრასველი და თანამდგომნი, მოღვართან ერთად მოღვაწეობდნენ ჯერ ოპიზაში, შემდეგ კი ხანძთაში. წმიდა მამებმა გადაწყვიტეს საქართველოს



იშხნი



ოშეი

დასავლეთ კუთხეში, აფხაზეთში წასვლა და იქ სამონასტრო ცხოვრების აღორძინება. გზად, სამცხეში, მათ ადგილობრივმა აზნაურმა მირიანმა, აღსაზრდელად მიაპარა ექვსი წლის შვილი, არსენი (წმიდა არსენ დიდი კათოლიკოსი; ხს. 25 სექტემბერს).

გრიგოლმა გადაწყვიტა, უკან დაებრუნებინა თეოდორე და ქრისტეფორე და თვი-

თონაც აფხაზეთს გაემგზავრა. გზაში მან დაიმონაფა ყრმა ეფრემი (შემდგომში აწყურის სასწაულთმოქმედი მღდელმთავარი). გრიგოლმა ეფრემი და არსენი ხანძთაში დაბრუნებულ თეოდორესა და ქრისტეფორეს ჩააპარა აღსაზრდელად, თან პირობაც ჩამოართვა, რომ ყრმების აღზრდამდე, ისინი, ხანძთიდან არ წავიდოდნენ. როდესაც ეფრემი და არსენი გაიზარდნენ „სრულნი სიბრძნითა“, წმიდა მამებმა დატოვეს ხანძთის უდაბნო და დააარსეს ნეძვისა და კვირიკეთის ცნობილი მონასტრები, სადაც სიცოცხლის ბოლომდე მოღვაწეობდნენ. აღესრულნენ 855 წლის ახლო ხანებში

ამბა გიორგი, ამონა, პეტრე და მაკარი მოღვაწეობდნენ ოპიზის უდაბნოში. ბერმონაზონთა სულიერი გამოცდილების გასაზიარებლად, გრიგოლ ხანძთელი, რამდენიმე ძმასთან ერთად, ოპიზის უდაბნოში წავიდა, სადაც მან ორი წელი გაატარა. იმ დროს, ოპიზის უდაბნოს იოვანე ნათლისმცემლის მონასტერს წინამძღვრობდა ამბა გიორგი, რომელიც სავანის მესამე იღუმენი იყო ანდრიასა და სამუელის შემდეგ. ამბა გიორგიმ „საღმრთოითა ცნობითა“ გულისხმაჲყო „ღირსებისა მათისა მადლი და შეიწყნარნა იგინი სიხარულით არა ვითარცა მონაფენი, არამედ ვითარცა უზეშთაესნი მისა, რამეთუ პატივი ზეგარდამო ღმრთისა მიერ მონიჭებად იყო მათდა“. სწორედ ამ ნეტარი ოპიზელი მამების წმიდა ცხოვრებაზე დაკვირვებით განიმტკიცა გრიგოლმა ლოცვის, მარხვის, სიმდაბლისა და სიმშვიდის სათნოებანი. ისტორიას შემორჩა 913 წელს ოპიზის უდაბნოში გადაწერილი წმიდა სახარება.

850-იანი წლების შემდეგ, წმიდა სერაპიონ ზარზმელმა დააარსა

ზარზმის ცნობილი მონასტერი, სადაც, შემდგომ, სიწმიდითა და სასწაულთქმედებით მოღვაწეობდა სერაპიონის ძმისშვილი ბასილ ზარზმელი, ავტორი სერაპიონ ზარზმელის ცხორებისა. ბასილიმ შემოგვინახა ცნობები ამ მონასტერში მოღვაწე სხვა მამების შესახებაც.

გიორგი ზარზმელი — „კაცი კეთილითა სათნოებითა ბრწყინვალე და ტკბილი სიტყვითა და საქმითა“, სერაპიონის შემდეგ წინამდლვრობდა ზარზმის სავანეს. გიორგის შეენაცვლა მიქაელი, რომელმაც სერაპიონის წინასწარმეტყველებისაებრ, დაიწყო მეორე ტაძრის მშენებლობა ზარზმაში. ეს საქმე განასრულა ზარზმის მომდევნო წინამდლვარმა — პავლემ, „კაცმა, წამებულმა ყოვლისა მიერ ერისა“.

ხუედიოსი — „კაცი მართალი და წმიდა“, დაყუდებული მონაზონი იყო და ხანძთის სანახებში მოღვაწეობდა. მას საღმრთო გამოცხადებით წინასწარ ეუწყა ხანძთაში გრიგოლის ჩასვლის შესახებ და სიხარულით შეიწყნარა მასთან მისული ძმათა კრებული. ხუედიოსმა დალოცა და თვითონაც კურთხევა ითხოვა გრიგოლ ხანძთელისაგან, თან ისურვა, ცალკე გამოქვაბულში განეგრძო ცხოვრება, რომ მარტომყოფობის აღთქმა არ დაერღვია. ხუედიოსის გარდაცვალების შემდეგ, მისი მღვიმე, საოცარი კეთილსურნელებით აივსო.

ეპიფანე იყო გრიგოლ ხანძთელის მონაფე. სასწაულთქმედებითა შემკული მამა ეპიფანე უდიდესი მორჩილებითა და თავმდაბლობით გამოირჩეოდა. ეპიფანეს ლოცვას სნეულებისაგან სასიკვდილოდ განწირული მრავალი ადამიანი განუკურნავს. ეპიფანეს სიწმიდესა და მორჩილებაში მრავალჯერ დარწმუნებული გრიგოლ ხანძთელი ძმებს მოუწოდებდა, ენახათ „სიმდაბლე საქმით სრული ეპიფანესი“.

პავლე ინგოროვას გამოკვლევით ეპიფანე მოძღვარი ცნობილი ჰიმნოგრაფიც ყოფილა: „ეპიფანეს, როგორც ირკვევა ოპიზური 1093



ოთხთა მონასტერი

ნლის ხელნაწერი-დან, დაუწერია: „გალობები სადი-დებელი სამებისა, რვა-წმათა ზედა“. იგი თექვსმეტ გა-ლობას შეიცავდა. აქედან მოღწეულია ოთხი გალო-ბანი მთლიანად და გალობის ფრაგმენტი. მეთერთმ-ეტე საუკუნის ქა-

როველი მწიგნობარი ათანასე ოპიზარი, რომელმაც 1093 წელს გადაწერა ეპიფანე მოძღვრის საგალობელნი, წერს, რომ ბერძნული-დან ნათარგმნ საგალობლებს „ან ესე ქართულნი სჯობან“.

მატო მოღვაწეობდა ხანძთის უდაბნოში. მერეს დედათა მონასტრის წინამდღვრის გარდაცვალების შემდეგ, იგი ორმოცი წლის განმავლობაში წინამდღვრობდა ამ მონასტერს და „ექმნა ყოველთა სახე კეთილისა“. მის სიწმინდეზე და ასკეტიზმზე მეტყველებს ის ფაქტიც, რომ ამ ხნის განმავლობაში, მას, დედებთან ერთად, არასდროს უჭამია პური და არც არაფერი გამოურთმევია მათ-

თვის უშუალოდ ხელიდან ხელში; ხშირად ამბობდა: „მონაზონება პრქვიან კრძალვასა“. ღრმად მოხუცებულმა და დასწეულებულმა წმიდა მატომ თავი აარიდა დედების ხელით მსახურებას, მამათა მონასტერში მოღვაწე თავის ნათესავს სთხოვა, თან წაეყვანა და ერთი წლის შემდეგ გარდაიცვალა, 870 წლის ახლო ხანებში.

ზენონ სამცხელი დიდგვაროვნის შვილი იყო. მას სიყრმიდანვე მონაზვნობა ჰქონდა გადაწყვეტილი. განზრახვის შესრულებამდე ცოტა ხნით ადრე, ერთმა „უკეთურმან კაცმან“ მისი დაა მოიტაცა. ცხენზე ამხედრებული და შეიარაღებული ზენონი გამოუდგა გამტაცებელს, მაგრამ გზაზე მტანჯველმა ფიქრებმა შეიძყრო: „მე ვარ ჭაბუკ სახელოვან და რომელსა ვსდევ, ფრიად შეურაცხ არს“. რომ დავენიო და მოვკლა, სულს წარვინებულება, უკან რომ დავბრუნდე, ესეც სირცხვილიაო, და გადაწყვიტა: „ალთქუმა მონაზონებისა ან ალუსრულო უფალსა“. შემდგომში იგი გრიგოლ ხანძთელის უახლოესი მოწაფე გახდა. „სათნოებათა საუნჯე, მონაზონებისა წესი წმიდა, კლარჯეთისა უდაბნოთა ზღუდე“ ზენონი ღრმა მოხუცებულობაში აღესრულა, დაახლოებით 870 წელს.

ხანძთის წინამდღვარი იოვანე ხანძთელი ცნობილია იმით, რომ მან დაასრულა თავისი წინამორბედის, „ნათესავით აზნაურის“, არსენის მიერ დაწყებული ხანძთის ახალი ეკლესის მშენებლობა. „ორნივე ესე ხანძთას მამობასა შინა აღესრულნეს“.



ოპიზა. 1903 წლის ფოტო

ბასილი ხანძთელი — გრიგოლ ხანძთელის დედის მსახური ქალის შვილი იყო. გრიგოლს მისთვის წინასწარ განუცხადებია, რომ იგი ხანძთის წინამდღვარი გახდებოდა. აღესრულა 915 წლის ახლო ხანებში.

თეოდორე და მისი ძმა იოვანე ერთად მოღვაწეობდნენ ხანძთის მონასტერში. თეოდორე იყო ამ მონასტრის წინამდღვარი, სწორედ ამ წმიდა მამებს ახსენებს გიორგი მერჩულე თავისი ცნობილი თხზულების, წმიდა გრიგოლ ხანძთელის ცხოვრების, თანაავტორებად. თუმცა, როგორც ისტორიკოსები ვარაუდობენ, ისინი იყვნენ არა უშუალოდ თხზულების თანაავტორნი, არამედ ამ წმიდა საქმის მაჟუროთხეველნი და ხელშემწყობნი.

ამავე მონასტერში მოღვაწეობდა სიწმიდითა და სასწაულთქმედებით ცნობილი ბერი გაბრიელი, რომელიც ერთგულად ემსახურებოდა მონასტერში მცხოვრებ სწეულ და მოხუცებულ მონაზვნებს. გაბრიელი ყველას მოუთხრობდა მისთვის ცნობილი მამების მოღვაწეობის შესახებ და მოუწოდებდა, მტკიცედ დაეცვათ მამათა მიერ დადგენილი წესები.

დიმიტრიოსი აღზარდა სამცხის დედათა მონასტრის წინამდღვარმა დედა ფებრონიამ. დიმიტრიოსი იხსენიება იმ წმიდა მამების გვერდით, „რომელთაგან მრავალნი უდიდესსა საზომსა მონაზონებისასა მიწევნულ იყვნენ და სასწაულნი დიდნი მათ მიერ იქმნებოდეს ხორცთა შინა ყოფასა მათსა და შემდგომად სიკვდილისა მათისა“. დიმიტრიოსი იერუსალიმის სიწმიდეების მოსალოცად გაემგზავრა და იქ გარდაიცვალა. სიკვდილის წინ მან წერილი მისწერა დედა ფებრონიას და გრიგოლ ხანძთელს.

არსენი და მაკარი — „კეთილნი მონაზონი, სრულნი სიბრძნითა და სასწაულთა მოქმედნი“ ეფრემ მაწყვერელის ნათესავები იყვნენ. ისინი იერუსალიმის საპანმიდის მონასტერში მოღვაწეობდნენ და



პარზალი



ტბეთი. 1888 წლის ფოტო

მუდმივი კავშირი ჰქონდათ ხანძთელ ბერმონაზვნებთან.

ბასილი და მარკელაოზი — „სრულნი და ბრნყინვალენი სათნოებითა“ მიქელ პარეხელის მონაფეები იყვნენ. „დიდებული“ მამა ბასილი, რომელიც მიქელის შემდეგაც „პარეხთა მკვიდრ იყო“, მოძღვრის სიახლოვეს დაუკრძალავთ.

დავით მიძნაძორელი — „ნმიდათა უხორცოთა“ მსგავსი სანატრელი მამა, „მაშენებელი მონასტერთა“ და ცნობილი მოძღვარი მიძნაძორის მონასტრის წინამდღვარი იყო. დავით მიძნაძორელი იყო ილარიონ კათოლიკოსის სულიერი მოძღვარი.

იაკობი — „მრავალფერი მადლით“ შემკული მეათე საუკუნის დიდი მამა, თავდაპირველად შატბერდში მოღვაწეობდა, შემდეგ კი მიძნაძოროს ხევში დამკვიდრდა და „ბრნყინვიდა... ვითარცა მთიები შორის ვარსკვლავთა“.

„დიდი სოფრონის სანატრელი მამაზ, შატბერდის ეკლესისა ვანახლებით აღმაშენებელი და უკუნისამდე გვირგვინი მისი“, ცნობილი საეკლესიო მწერალი იყო. იგი მოხსენიებულია 897 წლის შატბერდის ოთხთავის ანდერძში. სამწუხაროდ, ჩვენამდე ვერ მოაღწია მისმა ლიტერატურულმა მემკვიდრეობამ. გარდაიცვალა 900 წლის ახლო ხანებში.

შატბერდის მონასტერში მოღვაწეობდა გრიგოლ შატბერდელი, „ძელიპარიტისი“, რომელიც გრიგოლ ხანძთელის მიცვალების დროს მღდელმთავარი იყო.

საპედნიეროდ, დროთა ავბედითობას გადაურჩა და ჩვენამდე მოაღწია შატბერდის მონასტერში შესრულებულმა და გადაწერილმა მეათე საუკუნის ისეთმა წერილობითმა ძეგლებმა, როგორებიცაა: შატბერდის კრებული, უდაბნოს მრავალთავი, ჰადიშის, ჯრუჭისა და პარხალის სახარებების სახელით ცნობილი ხელნაწერები.

ზაქარია ბერეთელი იყო ბერეთელის ცნობილი მონასტერის აღმშენებელი. ზაქარიამ დაუდო სათავე შემდგომში იქ მცხოვრები მამების სინმიდითა და სიბრძნით მოღვაწეობას.

ილარიონ პარეხელი იყო მისი დროის ერთ-ერთი თვალსაჩინო

მწერალი და საეკლესიო მოღვაწე. სამწუხაროდ, მის შემოქმედებას ჩვენამდე არ მოულწევია.

ილარიონი, უბისის მამასახლისი, მოღვაწეობდა იერუსალიმში, საბაზმიდის ქართველთა მონასტერში. მოხუცებულობაში წმიდა ილარიონი საქართველოში ჩამოვიდა და ხანძთის მონასტერში დაემკვიდრა. უაღრესად განათლებულმა წმიდა ილარიონმა ააშენა უბისის ცნობილი ტაძარი და იქ მოღვაწეობდა სიკვდილამდე.

ფებრონია, სამცხეში, მერეს დედათა მონასტერის წინამძღვარი იყო. ფებრონიასა და გრიგოლ ხანძთელს გულითადი მეგობრობა აკავშირებდათ ერთმანეთთან. მამათა კრებული „თვეერ დედისა ფებრონიას განზრახვისა“ საქმესა არა ხელ-ჰყოფდა.

წინამძღვარ ფებრონიას ჩააბარა გრიგოლ ხანძთელმა მეფე აშოტ კურაპალატის სასახლიდან წაყვანილი ქალი, რომლის მიმართაც მეფეს „გარდარეული სიყვარული“ ჰქონდა. ფებრონიამ შეძლო, მეფისთვის მტკიცე უარი ეთქვა დედაკაცის სასახლეში დაბრუნებაზე. ცნობილია, რომ დედა ფებრონიას ანგელოზები აუწყებდნენ ღმრთის ნებას.

ფებრონიასთან ერთად მოღვაწეობდა დედა თემესტია, რომელიც ორმოცი წლის განმავლობაში ემსახურებოდა მერეს დედათა მონასტერში მნირველ მღდელ მატობს. როგორც თვითონ თემესტია აღნიშნავდა, ისეთი მოკრძალებული იყო მათი ურთიერთობა, რომ მამა მატობს უშუალოდ მისი ხელიდან საცეცხლურიც კი არ მიუღია არასდროს.

მერეს დედათა მონასტერში დაყუდებით მოღვაწეობდა დედა ანატოლე („რომელსა უნიდეს ანტონიოს“). ზეციურ ძალთა მსგავსი ცხოვრებით გაბრწყინებულ ანატოლეს ხშირად ეცხადებოდნენ ანგელოზები. სანატრელ დედებს — თემესტიასა და ანატოლეს — ანგელოზთაგან ეუწყათ მათი მოძღვრის, მატობს ამქვეყნიდან განსვლა.

ანასტასია (ერობაში, დედოფალი ბევრელი) აფხაზეთის მთავრის, ჭავრატ შაროელის, ასული იყო. იგი ცოლად გაჰყვა აშოტ კურა-



შატბერდი. 1904 წლის ფოტო

პალატის შვილს — მეფე ადარნასეს. დედოფალი ბევრელი, უაღრესად შეენეოდა მერეს დედათა მონასტერს. მეფე ადარნასეს მიერ დედოფლის უკანონოდ მოძულების შემდეგ, ბევრელი მერეს დედათა მონასტერში მივიდა და იქ აღიკვეცა მონაზვნად ანასტასიას სახელით.

ყოფილი დედოფალი ანასტასია, მონასტერში ყველაზე მძიმე მორჩილების საქმეებს აღასრულებდა, მარადჟამ ძაბა ემოსა, თავისი ხელით ეზიდებოდა შეშას ტყიდან და გამუდმებით ლოცულობდა.

ანასტასიას ყოფილი მეუღლე, მეფე ადარნასე, მოულოდნელად დასწეულდა. მან მოციქულები გაგზავნა ფერსათის მონასტერში, სადაც იმ დროს ანასტასია მოღვაწეობდა და შენდობა ითხოვა. ანასტასიამ ილოცა დასწეულებული მეფისათვის: „ქრისტემან შეუნდვენ ყოველნი ცოდვანი და განკურნენ სულით და ხორცით“, რის შემდეგაც ადარნასე „მსწრაფლ ხოლო განიკურნა“.

ანასტასია სიცოცხლის ბოლომდე ფერსათის დედათა მონასტერში მოღვაწეობდა. სიცოცხლეში სასწაულთქმედებით ცნობილი წმიდანი მიცვალების შემდგომაც სასწაულებით განაბრნყინა ღმერთმა. მის საფლავთან განიკურნენ მისი შვილები: გურგენ კურაპალატი და სუმბატი.

მეთვრამეტე საუკუნეში ფერსათის დედათა მონასტერს აღწერს ვახუშტი ბატონიშვილი: „ვარდციხეს ზეით ერთვის რიონს ხანის-წყალი, გამოდის ფერსათს... ამ წყალზედ (ბალდადის) ციხის სამხრით ფერსათის კალთას არს მონასტერი გუმბათიანი კეთილმშენი და უქმი“ (ამჟამად, მონასტრის ადგილსამყოფელიც არ არის ცნობილი).

როგორც გიორგი მერჩულის მიხედვით ჩანს, კლარჯეთის ეს სავანები, დაარსებული და აღდგენილი მერვე-მეცხრე საუკუნეებში, რიცხვით თორმეტი ყოფილა. ძველ ქართულ წყაროებში ისინი კლარჯეთის „ათორმეტ სავანეთა“ სახელით არის ცნობილი. კლარჯეთის სავანეებს — ძველი ქართული წყაროების მიხედვით — „საქართველოს სინამ“ ეწოდება.



ღირსი იოსებ ხუცესი დაიბადა
1700 წლის ახლო ხანებში.

მამა იოსების შესახებ ძალიან მნი-
რი ცნობები მოგვეპოვება. ვიცით,
რომ იოსები იყო მოხევე და იქვე მსა-
ხურობდა მღდლად.

იოსებ ხუცესში პარმონიულად იყო
შერწყმული სულიერი და ფიზიკური
ახოვანება. სინმიდის მოყვარე, უაღ-
რესად მმარხველი და სასწაულთ-
მოქმედი მამა იოსები უდიდესი
პატივით სარგებლობდა მთელ ხევსა
და სრულიად საქართველოში.


ხევის ცნობილი მოძღვარი —
იოსებ ხუცესი — დაახლოებული იყო
ქართლ-კახეთის სამეფო კარზე. იგი
ქართლ-კახეთის მეფე ერეკლესა და
სხვა ქართველ პატრიოტებთან ერ-
თად, აქტიურად იღვნოდა ქვეყნის
გაერთიანებისა და ეკლესიის სიმტკი-
ცისათვის.

მოხევეები — „კაცნი მბრძოლნი,
ძლიერნი, ახოვანნი, პაეროვანნი“, ყოველთვის გამოირჩეოდნენ სარწ-
მუნოებრივი შემართებით, იქაური ეკლესია-მონასტრები გვანცვიფ-
რებენ თავიანთი სილამაზითა და მიუწვდომლობით. იქ თითქოს საგან-
გებოდ აშენებდნენ ეკლესიებს ისეთ ადგილებში, სადაც მისვლაც კი
უკვე აღმსარებლობას უტოლდება.

ხევის მშვენებასა და სიმბოლოს წარმოადგენს „მარადის ყინულით
შევერცხილი“ მყინვარი, რომლის კალთებზე არის აშენებული სამების
მონასტერი, „შუენიერ ნაშენი შუენიერს ადგილას“. მყინვარწვერზე,
ყინულებში, კაცთაგან მიუვალ ადგილას გამოკვეთილია გამოქვაბუ-
ლი, რომელსაც ბეთლემს უწოდებენ. გამოქვაბულში შესვლა მხოლოდ
იქიდან ჩამოშვებული ჯაჭვის საშუალებით იყო შესაძლებელი. იქ
ინახებოდა ის უდიდესი სინმიდეები, რომლებიც მტრების შემოსევების
ფროს გაჰქინდათ დასამალად. „ქართლის ცხოვრება“ მოგვითხრობს
რომ, იქ მრავალი საკვირველება ინახებოდა: „იტყუინ უფლისა აკვანსა

მუნ და აბრაამის კარავსა მდგომსა უსუეტოდ, უსაბლოდ და სხვათა საკვირველთა“.

დავით ბატონიშვილის (+1819) ცნობით, იოსებ მოხევე „იყო ფრიად სიწმიდის მოყვარე და მემარხულე, რომელ ყოველგან განითქვა სათონება ამისი. ესე ნებითა ღმრთისათა აღვიდა მყინვარსა მთასა შინა, კაცთაგან შეუვალსა, და იხილა მუნ კარავი და აკვანი აბრაამ მამამთავრისა, რომელ ჯერეთცა არავინ ალსრულ არს მთასა მას და მოართო მეფეს ირაკლის ნაჭერი კარვისა მის. და ესეცა მიიჩნია საზომსა სასწაულ-თმოქმედებისასა და ესრეთ უფლისად დაიძინა“ — მშვიდობით ალესრულა 1773 წელს.



ყაზბეგი. გერგეტის სამება

ღირსი ანტონ ჭყონდიდელი (+1815)
და მონაფე მისი იაკობ ხუცესმონაზონი (XIX ს.)
13 (26) ოქტომბერი



ღირსი ანტონ ჭყონდიდელი დაიპადა სამეგრელოს მთავრის, ოტია დადიანის მრავალშვილიან იჯახში. ანტონის დედა გულქანი, რაჭის ერისთავის შოშიტას ქალიშვილი იყო.

იჯახში ხუთი ვაჟი და ერთი ასული — მარიამი იზრდებოდა (შემდგომში იმერეთის მეფის, სოლომონ დიდის, მეუღლე).


შვილებს პირველდაწყებითი განათლება დედამ მისცა. ის იყო ძველი დედების

ტრადიციის გამგრძელებელი ქალი, რომლის ცოცხალი სარწმუნოება და კეთილი საქმეები მისაბაძი იყო ყველასათვის. მამის გარდაცვალების შემდეგ, ახალგაზრდა ანტონი (მისი საერო სახელი უცნობია) ძმის, კაცია დადიანის კარზე იზრდებოდა. ანტონს საერო მოღვაწედ ამზადებდნენ და ამიტომაც საღმრთო წერილსა და ეკლესიის მამათა შრომებზე უფრო ღრმად საერო მწერლობა, პოეზია, ფილოსოფია და ხელოვნება შეასწავლეს. ანტონი ფლობდა თათრულ ენასაც, რომელიც, იმ დროისათვის, ძალზე პრესტიული და აუცილებელი იყო.

ოტია დადიანი თავის ძეს, ნიკოლოზს, ამზადებდა ჭყონდიდის ეპისკოპოსად და აღკვეცეს კიდეც მონაზვნად, მაგრამ ნიკოლოზი საერო ცხოვრებით იყო გატაცებული და არაფრით განსხვავდებოდა მდიდარ თავადთა უზრუნველი ცხოვრების წესისგან. ანტონი მტკიცნეულად განიცდიდა ძმის მდგომარეობას და ერთხელ, ნიკოლოზს უთხრა: „ძმაო, გეტყობა, რომ ბერობას ღირსეულად ვერ ატარებ და ცოდვაში ჩააგდებ შენს ნათესავთა. შენ საერო საქმეთადმი დაგიძს გული და არ შეგიძლია ტვირთება მონაზონობის მძიმე უღლისა: „არა ძალ-გიძს მონებად ორთა უფალთა“. გევედრები, დააგდე ბერობა და შენ მაგიერ მე ვიტვირთებ ამ საქმეს“.

მონაზვნად აღკვეცილმა ანტონმა მომეტებულად იგრძნო წყურვილი საეკლესიო განათლებისა. იგი მარტვილის ბერ-მონაზვნების ხელმძღვანელობით ეცნობოდა წმიდა მამათა თხზულებებს. განათლე-

ბის შესავსებად ანტონს მიუჩინეს განათლებული კათოლიკე ფრანგი მისიონერები, რომელთაც მისთვის უნდა ესწავლებინათ სქოლასტიკური ფილოსოფია. ანტონს არც ფრანგების ქცევა მოეწონა და არც მათი სწავლება. ერთხელ, სადილობის დროს, ანტონმა უთხრა ლათინ მისიონერს: „თუ შეგიძლია ამ წყლიან ჭიქაში ღვინო ჩაასხა ისე, რომ წყალს არ გაერიოს?“ ლათინმა მოძლვარმა უპასუხა, რომ ეს შეუძლებელია. მაშინ ანტონმა უთხრა, „როგორც ერთ ჭიქაში წყალი და ღვინო არ ჩაისხმის ისე, რომ ერთმანეთში არ გაერიოს, აგრეთვე ერთი კაცის გონება ვერ დაიტევს მართლმადიდებლურ და მნვალებლურ მოძლვრებებს ისე, რომ ერთი მეორეს არ გაჰრიოსო“ და იმ დღიდან დაითხოვა ლათინი მისიონერები.



იმ დროს აღმოსავლეთ საქართველოში გაიხსნა საფილოსოფოსო სკოლა და 1757 წლის ახლო ხანებში ანტონი ტფილისში გაემგზავრა ქართლ-კახეთის მეფე ერეკლე მეორის კარზე, რომელსაც ცოლად ჰყავდა მისი მამიდა დარეჯანი.

სამეგრელოში დაბრუნების შემდეგ, 1761 წელს, ლირს ანტონს ხელნი დაასხეს ცაგერის ეპისკოპოსად. 1777 წელს გარდაიცვალა ჭყონდიდელი გრიგოლი, ბეჟან დადიანის ძე. იმავე წელს ჭყონდიდის კათედრაზე ავიდა ანტონ ცაგერელი, ხოლო ცაგერის კათედრა მიიღო მისმა ნათესავმა სოფრონმა.

მეუფე ანტონ ჭყონდიდელის ქადაგებას განუზომელი გავლენა ჰქონდა მსმენელებზე. მის მარხვისაგან გალეულ პირისახეზე აღბეჭდილი იყო ანგელოზებრივი სათხოება. ჭყონდიდელის რეზიდენციაში ყოველდღე მზადდებოდა სადილი ღარიბ-ღატაკთათვის. ამ წესს შემდგომ ყველა ჭყონდიდელი ეპისკოპოსი იცავდა.

მეთვრამეტე საუკუნეში, სამეგრელოში, ზოგიერთმა დიდებულმა შემოიღო ტყვეთა გაყიდვის უსაშინლესი წესი. ანტონი მტკიცედ აღუდგა წინ ამ ბოროტ ჩვეულებას. მან შეაჩვენა ტყვეების გამყიდველნი, მათ სახლში მღდელს არ უშვებდა, სოფელში ეკლესიას კეტავდა. ანტონ ჭყონდიდელის თავმჯდომარეობით ჩატარდა ადგილობრი-

ჟი საეკლესიო კრება, რომელმაც მკაცრი განაჩენი გამოუტანა ტყვეთა მსყიდველებს. ანტონ ჭყონდიდელმა, 1788 წელს, სამეგრელოს მთავარს, კაცია დადიანს, ყველა საეკლესიო მამული გაათავისუფლებინა საერო გადასახადებისაგან.

1789 წელს მიტროპოლიტმა ანტონმა დატოვა ჭყონდიდის კათედრა და უბრალო მონაზვნური ცხოვრება დაიწყო მის მიერვე აშენებულ ნახარებაუს მონასტერში. ჭყონდიდლად დადგინდა ანტონის ძმისწული ბესარიონი. ანტონს დიდად უყვარდა ბესარიონი, როგორც ღირსეული კაცი, მაგრამ მათი ერთობა მალე დაირღვა, მათ შორის განხეთქილება ჩამოვარდა სხვადასხვა მიზეზის გამო. ბოლოს საქმე იქამდე მივიდა, რომ, ანტონმა, 1792 წლის დასასრულს, მოიწვია საეკლესიო კრება, რომელმაც გადააყენა ბესარიონი და ჭყონდიდლად დაადგინეს ცაგერის ეპისკოპოსი იოვანე.


1794 წელს მეუფე იოვანემ დატოვა ჭყონდიდი და კვლავ ცაგერში დაბრუნდა. ბესარიონ ჭყონდიდელი შეურიგდა ანტონს და ისევ დაიკავა კათედრა.

ანტონი მკაცრი მონაზვნური მოღვაწეობით ცხოვრობდა ნახარებაუს მონასტერში. მან ეს მონასტერი გაამდიდრა სინმინდეებით, ძველი ხატებით და დიდალი მამულებით.

ნმიდა ანტონს მუდამ გვერდით ედგა მისი სულიერი შვილი, უახლოესი მეგობარი და თანაშემწე, მღდელმონაზონი იაკობი, რომლის შესახებ ბიოგრაფიული ცნობები არ შემონახულა.

ღირსი ანტონი ღრმად მოხუცებული გარდაიცვალა 1815 წელს მის მიერ აშენებულ ნახარებაოს მონასტერში, დაკრძალულია იქვე.

**ღՈՐՍՈ ՈՐՍԵՑՈ, ԿՐՅԱԼՈՍԱ ՏԱՎԱՐՈՒՅԵՂՆՈՍԱ
ՔԱԹՈՆԸՆՈՎՈՆ-ՀԱԳԻՌՈՒՐՈՅ (+1770);
17 (30) ԹՅԱԺՄՑԵՐՈ**



**Եմուդա ոռևեծ յատոլոյուս-Քափրու-
արքո յարտվել գունդարուցան, չան-
դուրտա ցարութան ուղ. ոռևեծի գարե-
ջու մոնաստրութիւնու դանիու մոլազանցուն
դա ոյ առյապեց մոնաչունագ.**

**Եմուդա ցարութել մուրու մոցայ-
տերուն արյուղուսատցու ոռևեծիս
րոմելո մոնաշոնո ուղ. Եմուդիսա
գունդա մոնաստրութիւնու". Մեմքաց կո
"մրազալու մուտա սատուցատատցու" մ-
լուգալութազրագ ոյնա դագցենուն
րուստացու յատեգրաչի.**

**Եմուդա ոռևեծ սասնայլությունութիւնու
նոյն Ֆյունդա մոմագունդունու լմրուս-
ցան, րոմելսաց ხալետացան ցանցութե-
ծուն տազութան ասացունդունագ սացանցը-
ծուն մալացուա.**

**Երտեղել մեյսու ոռևեծու դույունո,
ոռացան, մուցունու սոմսունու դաազա-
գա. ազագմպուցուն ուց ցարտյունու,
րոմ սոյւզունու ցարդայուցան ուղ. րո-
գայսաց մլուգալութազրուն սեյսայլուն Մյ-
ցութա, ազագմպուցու ցեղարց սյունտյացան ցյուցուն.
Եմուդա ոռևեծի օնելու սենո դա մունա-
ստրութիւնու ալարց լապարաց յայունուն.
Եմուդա ոռևեծի օնելու սենո դա մունա-
ստրութիւնու ալարց լապարաց յայունուն.**

**Եմուդա ոռևեծ մեյսու ուց ազագմպուցուն դա-
բրունդա դա, րուգան յաբուացան ցանցութեծաս յրուգութեծուն-
ցագ տյացա, րոմ ասետո սեյսա դրուն նամլագ տելունու չոռեսուն նաեմու-
րուս մուլեծա ուղ. սաֆուրո. ցուցելուն մեյսու ուց տացուսու տելունու չոռեսուն
ցամուտլունու կուրտեսո, նյալուն ցալեսա, չուարու ցադասահա դա սեյսայլու
դաալեցունա. դույուն ոռացանու, սոմսունու ոմ նուտսու դայուցերա, մեսամյ
դլուս կո սածոլուու ցամոյչանմրութելուն.**

**Դույուն ոռացան, րոմելու մեմքաց մլուգալութազրագ ոյնա
ցամորիյունու, ամծունդա, րոմ „արա տելունուսա նաեմուրման Ֆյունա կուրնեա,
արամեց Եմուդիսա մուն լուցաման ֆյունարութագ, ցարնա ման սոմթածլուտա
դաալութարուսատցու մունց Ֆյուն տելունուսա նաեմուրու".**

ერთ დღეს, ნმიდა იოსების უამისწირვაზე, მერცხალი შეფრენილა ტაძარში და „არა დაცხრა ლალადებისაგან და ნივილისა, ვითარცა არს ჩუულება მერცხალთა... ალხედა ზე მღდელმთავარმან და პრქუა: ჰოი მერცხალო, უწყოდე, რამეთუ ჩუუნი ესე საღმრთონი სიტყუანი უმჯობეს არან, ვიდრე ლალადებაი შენი; და ესე რა პრქუა, მუნქვესდვე დაეცა მერცხალი იგი ქუეყანათა და სული ნარხდა“. იოსებმა ჯუარი გადასახა მკუდარ მერცხალს და მსახურს ეკლესიის გარეთ დაადებინა. ნირვის შემდეგ „სულიერ იქმნა მერცხალი იგი და გაფრინდა და მხილველნი ამის საკვირველებისანი ადიდებდნენ ღმერთსა“.

მეუფე იოსების მღდელმთავრობის დროს საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი იყო ანტონ პირველი, რომელიც 1755 წელს, მცხეთის საგანგებო საეკლესიო კრებაზე, გადააყენეს. კათოლიკოს-პატრიარქად აირჩიეს სიწმიდითა და სიმდაბლით გამორჩეული მეუფე იოსები.

უწმიდესი იოსები პატრიარქობის ტვირთისა და პატივის მიუხედავად მაინც ასკეტურად ცხოვრობდა — „მოღუანებასა მისესა ვინ სცნობდა. რამეთუ ყოვლადვე დაფარულ აქუნდა, გარნა ამას იტყოდნენ მსახურნი მისნი: მამამთავრობასა შინა რაოდენ დაუგებდნენ ცხედარსა, ნიშანსა დასდებინ იდუმალ და იხილონ ხვალისად, რომელ ყოვლადვე არა დაწოლილ იყვის ცხედარსა, არამედ ლამე ყოველ ილოცვის მარტოებით ლმობიერად“.

1762 წელს, საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, იოსების, ხელმძღვანელობით ჩატარდა საეკლესიო კრება, რომელმაც შეიმუშავა დადგენილება ეპარქიებში მღდელმსახურების წესების დარღვევათა აღმოსაფხვრელად.

1764 წელს, მეფე ერეკლემ, საქართველოს ეკლესიის საპატრიარქო ტახტიდან გადააყენებული ანტონი კვლავ საქართველოში დააბრუნა. საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა წმიდა იოსებმა „სიმდაბლისა სახითა დაუტევა საყდარი მამათმთავრობისა ვითარცა გრიგოლი ღმრთისმეტყველმან“. საეკლესიო კრებამ ანტონი კვლავ პატრიარქად აირჩია. იოსები კი რუსთავის კათედრას დაუბრუნდა.

როგორც მოსალოდნელი იყო, კათოლიკოს-პატრიარქ ანტონის მომხრეებსა და მონინააღმდეგეთა შორის ურთიერთობები დაიძაბა,




კათოლიკოს-პატრიარქი
ანტონ პირველი ბაგრატიონი

წმიდა იოსები, მისი მაღალი საღმდელმთავრო მდგომარეობიდან გამომდინარე, იძულებული იყო მონაწილეობა მიეღო ამ პროცესებში, მაგრამ მალევე, ეკლესის მშვიდობისათვის მან სიმდაბლით დაუტევა სამღდელმთავრო კათედრა, ახმეტაში წავიდა და სოფელ მეტეხში „ცხოვრობდა ჭეშმარიტისა მონაზონებითა“.


იოსები საკუთარი ხელით ამუშავებდა ვენახს და მოსავლის უმრეტეს ნაწილს ღარიბებს ურიგებდა. იმ მხარეში ძალიან ხშირია გვალვები და სეტყვა, რომელიც ზოგჯერ თითქმის მთელ მოსავალს ანადგურებს. წმიდა იოსების იქ მოლვანეობის დროს „არცა მოკლების წვიმა ვენახთა და არცა მისრულ არს სეტყვა მავნებელი“. უნმიდესი იოსები ლოცვით კურნავდა ავადმყოფებს და ბრმებს თვალთა სინათლეს ანიჭებდა, რის გამოც, იქაურებს, ძალიან უყვარდათ.

გაბრიელ მცირე სიხარულით წერს, რომ მან უნმიდესი იოსები „ერთგზის იხილა და ორგზის ამბორს უყო ხელსა მას წმიდასა“.

უნმიდესი იოსები მშვიდობით აღესრულა 1770 წელს — „ესრეთ სინმიდით მოხუცებულმან სული თვისი შეჰვედრა ღმერთსა“.



ღილსი ალექსანდრე (ოძროვირიძე),
გურიისა და სამეგრელოს ეპისკოპოსი (+1907)
26 (8.11) ოქტომბერი



ეპისკოპოსი ალექსანდრე (ალექსი დავითის ძე ოქროპირიძე) დაიბადა 1824 წელს, გორის მაზრის სოფელ დისევში, მღდლის ოჯახში. ბავშვობიდანვე ეკლესიურ ცხოვრებას ნაზიარებმა, სწავლა ჯერ გორის სასანავლებელში, შემდეგ კი ტფილისის სასულიერო სემინარიაში გააგრძელა.

1845 წელს, სამინარიის დამთავრებისთანვე, ალექსი ტფილისის ფერისცვალების მონასტერში მონაზვნად აღიკვეცა და სახელად ალექსანდრე უწოდეს, იმავე წლის 18 აგვისტოს კი მთავარდიაკვნად აკურთხეს.

იეროდიაკონი ალექსანდრე სწავლის გასაგრძელებლად ყაზანის სასულიერო აკადემიაში გაემგზავრა, რომელიც წარჩინებით დამთავრა და სამშობლოში ღმრთის-

მეტყველების კანდიდატის ხარისხით დაბრუნდა. ჰირველ ხანებში, 1851 წლის 27 ივნისამდე, იგი ტფილისის სასულიერო სემინარიაში ასწავლიდა საღმრთო წერილსა და ლათინურს, ზნეობრივ ღმრთისმეტყველებასა და არქეოლოგიას.

1851 წლის 21 სექტემბერს მღდელმონაზონი ალექსანდრე დაინიშნა აფხაზეთის სასულიერო სასწავლებლის ზედამხედველად და მასვე მიენდო აფხაზეთის ეპარქიის მღდელმონაზონთა ხელმძღვანელობა, შეთავსებით ქუთაისის სასულიერო სასწავლებლის ინსპექტორის მოვალეობასაც ასრულებდა.

1856 წლის 26 თებერვალს მამა ალექსანდრეს არქიმანდრიტობა უბოძეს. 1862 წლის 4 მარტს კი ხელთდასხმულ იქნა აფხაზეთის ეპისკოპოსად. მეუფე ალექსანდრეს მოღვაწეობა, ქართველმა ერმა დამსახურებისამებრ დააფასა და, ყოველგვარი გადამეტების გარეშე, მას აფხაზეთის მეორე მოციქული უწოდა. ეპისკოპოსსა და სამწყსოს მორის არსებობდა ნამდვილი მამაშვილური კავშირი, დაფუძნებული ჭეშმარიტ ქრისტიანულ სიყვარულზე.

1869 წელს, ეპისკოპოსი ალექსანდრე აფხაზეთიდან ქართლ-კახეთის ეპარქიის ეპისკოპოსად გადაიყვანეს ორგზის (1869-1882 და 1886-1898 წლებში). 1882-1885 წლებში იგი მართავდა გურიის ეპარქიას, ხოლო 1903 წლამდე — გურია-სამეგრელოს ეპარქიას.



მეუფე ალექსანდრე ოქროპირიძე ღმრთისმისახურთა დასთან ერთად

ეპისკოპოს ალექსანდრეს ირგვლივ ყოველთვის შემოკრებილი იყო ქვეყნის საუკეთესო შვილები. მეუფე ალექსანდრე იყო ილია მართლის (ჭავჭავაძე) სულიერი მოძღვარი.

ღრმად განათლებული ალექსანდრე ეპისკოპოსი ქართველი ერის გაძლიერებისა და კულტურული ამაღლების მთავარ საშუალებად თვლიდა სარწმუნოებრივ-ეროვნულ თვითშეგნებაზე დაფუძნებული სწავლა-განათლებისა და მეცნიერების აღდგენას.

წმიდა ალექსანდრემ განსაკუთრებული ღვანილი დასდო ეკლესია-მონასტრების აღდგენა-განახლების საქმეს. მან აღმშენებლობითი საქმე აფხაზეთიდან დაიწყო — სოხუმში თავისი ღვანილითა და საფასით აღადგინა ორი ეკლესია, ქართლ-კახეთსა და შემდეგ გურია-სამეგრელოში მოღვაწეობისას განახლა და აღაშენა დიდებული შიომღვიმის, ზედაზნის, დავით გარეჯის მონასტრები, დიდძალი თანხა გაიღო შემოქმედის მონასტრის აღდგენის დასაწყებად, აღადგინა და განახლა მცხეთის ჯვარის მონასტერი, სვეტიცხოვლის დიდი ტაძარი, მშობლიური სოფელ დისევისა და საქართველოს სხვადასხვა კუთხეში არსებული ეკლესია-მონასტრები.

მეუფე ალექსანდრეს განსაკუთრებული ღვანილი და მზრუნველობა თითქმის უდაბნოდ ქცეული შიომღვიმის მონასტრისა და მისი შემოგარენისკენ იყო მიმართული. მეუფე ალექსანდრემ მთლიანად აღადგინა მონასტერი, ბერ-მონაზვნებისათვის ააგო სავანები, გაიყვანა გზა, მდინარე მტკვარზე გამართა ბორანი, ძეგვში დააარსებინა რკინიგზის ბაქანი მატარებლის გასაჩერებლად, მონასტრის შემოგარენსა და მცხეთაში, მტკვრის გასწვრივ მონასტრისთვის შეიძინა ბალები და ვე-

ნახები, ალაზგინა ძველი სამონასტრო ტრადიციული მეურნეობები: მეურნეობა, მებალეობა, მეფუტკრეობა... მისი პირადი მაგალითი სხვა ეპისკოპოსებმა და მონასტრებმაც გადაიღეს და დაიწყეს მონასტრებთან ბალ-ვენახთა მოშენება.

მეუფე ალექსანდრეს ფინანსური დახმარებით, 1878 წელს, ტფილისში დაარსდა ქალთა სასწავლებელი, რომელმაც მრავალი განათლებული ქალი და შესანიშნავი დედა აღუზარდა ქვეყანას. ალექსანდრეს მიერ გაღებული საფასით, მისივე ინიციატივითა და რეკომენდაციით დაიბეჭდა მრავალი სასულიერო და ისტორიული წიგნი, სახელმძღვანელო და საგალობლების კრებული. ალექსანდრეს ხანგრძლივი სიცოცხლის მანძილზე, საქართველოში, არ დაწყებულა არც ერთი ეროვნული საქმე მისი თანადგომისა და მონაწილეობის გარეშე.

დიდებული მღდელმთავარი მთელი ცხოვრების მანძილზე თავგამოჰებული დამცველი იყო ქართული ენისა. მან, ერთ-ერთმა პირველმა, გაიღაშქრა სამეგრელოს სამრევლო სკოლებში ქართული ენის სწავლების დასაცავად. მტრის სივერაგე უშიშრად ამხილა ასაკოვანმა მღდელმთავარმა და დაიცვა ამ მხარეში ქართული ენის ბუნებრივი უფლებანი. ამის შემდეგ დიდი ხანი აღარ დარჩენილა მხცოვანი ეპისკოპოსი გურია-სამეგრელოს ეპარქიაში. ეგზარქოსისა და რუსეთის უნივიდესი სინოდის განკარგულებით, „საკუთარი თხოვნის“ საფუძველზე, განთავისუფლებულ იქნა ეპარქიის ხელმძღვანელობიდან და „მოსასვენებლად“ თავისსავე აღდგენილ შიომღვიმის მონასტერში გაიგზავნა, სადაც სიცოცხლის ბოლომდე მოღვაწეობდა. მონასტრიდან მეუფე ალექსანდრე შხოლოდ ერთხელ, 1907 წელს, ილია მართლის დასაფლავებისას გავიდა.

1907 წლის 9 ნოემბერს, შიომღვიმის მონასტერში აღესრულა ოთხმოცდასამი წლის ალექსანდრე ეპისკოპოსი, რომელმაც მთელი მისი ცხოვრება ღმრთის დიდებასა და ქართველი ერის სიყვარულს შესწირა. მთელმა საქართველომ დაიტირა მისთვის დამაშვრალი მღდელმთავარი. 16 ნოემბერს მეუფე ალექსანდრე პატივით დაკრძალეს შიომღვიმის მონასტრის ცენტრალურ ტაძარში.



მეუფე ალექსანდრე ოქროპირიძე

მღვეღმონამა ხეოფიტე ურბენელი (VIII)
28 (10.11) ოქტომბერი



მღვეღმონამე ნეოფიტე (წარმო-შობით სპარსი ღიდებული ომარი) გაქრისტიანებამდე არაბთა დამპყრობელი ჯარის ერთ-ერთი მხედართმთავარი იყო. როგორც ცნობილია, მერვე საუკუნის ოცდაათიან წლებში „არაბთა და სირთა და შიდთა“ მფლობელი ამირა მუმნის ბრძანებით სარდალი აპმადი დიდხალი ლაშქრით საქართველოს შემოესია.

ლიახვის ხეობის მომხრების შემდეგ აპმადმა ორი მხედართმთავარი, ომარი და ბურული, გაგზავნა მცხეთისაკენ. მტკვრისა და არაგვის შესართავთან, სოფელ ციხედიდთან, მეომრებმა მდინარის გაღმა, სარკინეთის კლდეთა შორის, იხილეს „ქუაბნი გამოქნილინი“ და გადაწყვიტეს დარბიათ და გაეძარცვათ იქაურობა.

მტკვარში შევიდნენ, მაგრამ მდინარის გადალახვა ვერაფრით შეძლეს. შეცდუნებულმა სარკინოზებმა ტყვევებს ჰქითხეს: „რამე არს ქუაბთა შინა?“ ტყვევებმა უპასუხეს, რომ ეს ნეტარი შიო მღვიმელის მონასტერი იყო, სადაც ცხოვრობდნენ „კაცი მონანი ღმრთისანი“, ყოველგვარ ამქვეყნიურ შვებას მოკლებულინი.

გაოცებულმა მხედართმთავრებმა მათ სარდალს, აპმადს, აცნობეს საკვირველი ამბავი. საღმრთო ძალისგან შემკრთალმა აპმადმა მონასტერში მისი უსაყვარლესი მხედართმთავარი ომარი გაგზავნა, ოქრო და მრავალი სახმარი ნივთი გაატანა ბერ-მონაზვნებთან და თან დააბარა: „ლოცუა ჰემოვთ ჩემთვს, მონანი ღმრთისანი, და ძლუენი ესე ჩემი მიიღეთ და ალუად და გუნდრუე მიართუთ საკუმევად სამარხოსა მოძღუარისა თქუენისასა“. სარკინეთის ქვაბებს მიახლებულმა ომარმა მონაზვნებს კაცი გაუგზავნა და აცნობა, ნუგეშინისცემად და სამსახურად მოვდივარ და არა სავნებლადო.

მონასტრის კარიბჭესთან მისულმა ომარმა იხილა „სიმრავლეა უკორცოთა მწედართა ნათლისათა, საკურველ მავალნი ჰაერთა ზედა და შორის მათსა კაცი მოხუცებული მონაზონი ფრიადითა ელუარები-

თა შესახედავისათა". ბერ-მონაზონთა თავმდაბლობამ და ისეთმა მოკრძალებულმა ყოფაქცევამ, თითქოს „ანგელოსნი პბრნყინვიდეს წორცუთა შინა“, უდიდესი შთაბეჭდილება მოახდინა ომარზე. ის მიხვდა, რომ უცხო მხედარნი უფლის ანგელოზები იყვნენ, მოხუცებული მონაზონი კი — ამ მონასტრის ნინამძღვარი და ბერ-მონაზვნებს უთხრა: „ნმიდანო ღმრთისანო, რადიოცეს-მე მოშიშ ხართ თქუენ კაცთაგან? რა-მეთუ ვხედავ ჭეშმარიტად მცუელთა მონასტრისა თქუენისათა, მქედართა ნათლისათა მცუე-ლად თქუენდა, მფრინუალეთა ჰაერთა ზედა და შორის მათსა მონაზონსა ვისმე საკურველსა მქუცოვანსა ნუერითა და თმითა, რომლისა ხილვისა სიკეთევ ვერ შესაძლებელ არს ჩემდა თქმად, ხოლო მრნამს, ვითარმედ მქედარნი იგი არიან ანგელოსნი ღმრთისანი და მონაზონი იგი არს მოძღუარი თქუენი".

ბერ-მონაზვნებმა ადიდეს უფალი, რომელმაც ნეტარი შიონს ლოცვით იხსნა მონასტერი დარბევისაგან. ომარმა მონაზონთა ნინაშე აღთქმა დადო: „დამეკუეთოს რა უამი მარჯუე, მოვიდე თქუენდა და ვიქმნე ქრისტიანე და ნათელსვილო და მონაზონ ვიქმნე და თქუენ თანა დავადგრე სიკუდილადმდე ჩემდა". მართლაც, მან დაუტევა ყველაფერი, სავანეში მივიდა და მოინათლა. ომართან ერთად ნათელილო მისმა ორმა მონამ. ნათლისლების შემდეგ ომარს ნეოფიტე (ახალი ნერგი) უნდოდეს, მის მეომრებს კი, ქრისტოდულოსი (ქრისტეს მონა) და ქრისტოფოროსი (ქრისტეშემოსილი).

ღმრთის განგებით, წმიდა ნეოფიტე, მალევე აკურთხეს მღდელმონაზვნად. ყოველგვარი სათნოებითა და სიბრძნით გამორჩეული მღდელმონაზონი ნეოფიტე მღდელმთავრად იქნა დადგინებული ურბნისის კათედრაზე.

მეუფე ნეოფიტე თავისი სამწყსოს ნამდვილი მამა იყო: „მოუძლუ-



რებული მათი განაძლიერა, სნეული განამრთელა, შემუსრვილი შეჰქ-
რა და ბოროტად მყოფსა უსხეულსაქმა, ცოომილი მოაქცია და წარწყ-
მედული მოიძია, დაადგრა მათ თანა, დაიცუნა და არა განაბნივნა".

იმ დროს, ტფილისში, არაბთა წარმომადგენელი ამირა იჯდა,
რომელსაც ევალებოდა ხარკი აეკრიბა ქართველებისაგან. ხალხს
დაეკისრა აგრეთვე არაბთა სამხედრო რაზმებისა და მრავალრიცხო-
ვან მოხელეთა შენახვა. მეუფე ნეოფიტე უშიშრად ამხელდა
დამპყრობელთა სისასტიკეს და ქართველებს სარწმუნოების ჟა-
ცვისაკენ მოუწოდებდა. მეუფე ნეოფიტეს მოღვაწეობამ ისე
გააღიზიანა არაბები, რომ მათ გადაწყვიტეს, მოეკლათ ქრისტეს
მღდელმთავარი.

არაბებმა გამონახეს მარჯვე დრო და სალოცავად განმარტოებული
მეუფე ნეოფიტე შეიძყრეს. უსჯულოებმა იცოდნენ, რომ ნეოფიტე,
სტეფანე პირველმონამის სიკვდილს შეპნატროდა, ამიტომ ქვებით ჩა-
ქოლვა მიუსაჯეს. წმიდანმა ტკბილი ხმით მიუგო: „ტკბილ ჩემდა სიკუ-
დილი, უღმრთონო, ტკბილ ჩემდა. სანადელ ჩემდა განყოფად კავშირთა
უკუდავისა და მოკუდავისა არსებისათა... ამიერითგან სისხლითა ჩემი-
თა დავამტკიცო შრომილი ჩემგან წმიდა ეკლესია, რომელიც შეპკრი-
ბა ქადაგებისა მიერ ჩემისა ძემან და სიტყუამან ღმრთისამან პატიოს-
ნითა სისხლითა თვისითა, ხოლო რომელიცა განაგო ჩემთვს ღმერთმან,
იყავნ იგი, რამეთუ მომიწოდა მე უღმრთოებისაგან ნათლისა მიმართ
თვისისა". უსჯულოებმა წმიდა ნეოფიტე ქვებით ჩაქოლეს. ნეოფიტეს
უკანასკნელი სიტყვები იყო: „უფალო იესუ ქრისტე, შეივედრე სული
ჩემი".

წმიდა მღდელმონამე ნეოფიტე ურბნელი დასაფლავებულია
შიომღვიმის მონასტერში.



ღირსი სერაპიონ ზარზმელი კლარჯელი აზნაურის შვილი იყო. სერაპიონის მამას კვიპრიანე ერქვა, დედის სახელი კი „მოუქსენებლად დაიფარა სოფლით“. მთელ მხარეში პატიოსნებითა და სიმდიდრით განთქმული სერაპიონის მშობლები უაღრესად ღმრთისმოშიშებით ცხოვრობდნენ — „ნაშრომისაგან მათისა მდიდრად ზრდიდეს გლახაკთა და ძალისაებრსა მისცემდეს უღონოთა ჭელის აპყრობასა“. სერაპიონს ჰყავდა ორი ძმა. დედა ადრე გარდაეცვალა. შვილები კეთილად აღზარდა მამამ და მცირე ხნის შემდეგ იგიც აღესრულა.

სერაპიონის უფროსი ძმა სახლში დარჩა და ოჯახის ტრადიცია გაავრცელა — „უცხოთა და გლახაკთა“ მსახურებით ცხოვრობდა.

სერაპიონს სიყრმიდანვე მეუდაბნეობის სურვილი ჰქონდა. იგი თავის უმცროს ძმასთან, იოვანესთან ერთად კლარჯეთის უდაბნოში წავიდა და „მამასა სულთასა და მზრდელსა ობოლთასა“, „სასწაულთა და ნიშთა მოქმედსა“ მიქელ პარეხელს დაემოწაფა.

მიქელ პარეხელმა, სერაპიონი და იოვანე „თანააღრაცხილ ყვნა დასსა მონაფეთასა“. ღირსმა მიქელმა, იხილა რა სერაპიონის საღმრთო მოშურნეობა, მონაზვნად აღკვეცა საყვარელი მოწაფე. მიქელის კურთხევით მონაზონ სერაპიონს მალევე დაასხეს ხელი მღდლად.

ერთხელ, ლოცვისას, მიქელმა იხილა ჩვენება, რომ მის მიერ განსწავლული მოწაფები, სერაპიონი და იოვანე, სამცხეში უნდა გაეგზავნა მონასტრის ასაშენებლად.

მიქელმა სერაპიონს მოუთხრო ჩვენების შესახებ და აკურთხა ღმრთისაგან გამორჩეული მოღვაწე. სერაპიონი შეაკრთო დიდმა პატივმა და მოვალეობამ, მაგრამ მოძღვრის მიერ გამხნევებული, თანამოსაგრებთან ერთად, სამცხეში წავიდა. ძმებს თანაშემწედ „თანაეტვრთათ ცხოველი ხატი ფერისცვალებისაა“.

სერაპიონმა და იოვანემ მშვიდობით მიაღწიეს ერთ მთას, დაათვა-

ლიერეს იქაურობა, მოენონათ და მიუხედავად იმისა, რომ „სასწაული“ იგი ადგილსა ამას“ ვერ იხილეს, გადაწყვიტეს, იქ აეშენებინათ მონასტერი. მალე იქაურმა მცხოვრებლებმა მონაზვნები განდევნეს. განდევნილებმა მდინარის გაღმა, დასავლეთით, სწორედ ის ადგილი იპოვეს, რომელიც მიქელმა იხილა გამოცხადებით.

იმ მხარის მთავარმა, გიორგი ჩორჩანელმა, ნადირობისას, შენიშნა უსიერი ტყის თავზე აღმართული კვამლი, გაუკვირდა და ხალხი გაგზავნა ამბის გასაგებად. გიორგის მალევე აუწყეს იქ მყოფი მონაზვნების შესახებ და ღმრთისმოყვარე მთავარიც გაეშურა მათ სანახავად. გიორგიმ მდაბლად მოიკითხა მონაზვნები და თაყვანისცა ფერისცვალების წმიდა ხატს. გიორგი ჩორჩანელი დაპირდა მონაზვნებს იმ ადგილების დამტკიცებას, რომელსაც ისინი დილიდან საღამომდე შემოივლიდნენ.

მეგზურობა, გიორგი ჩორჩანელმა, მის თანმხლებ ჭაბუქს, ძალითას დაავალა. დაბა წისქვილის მცხოვრებლები გულისნყრომით შეხვდნენ მონაზვნებს. სერაპიონმა ფსალმუნის სიტყვებით გააფრთხილა ღმრთის ნების მონინააღმდეგენი: „ვიხილე უღმრთო აღმაღლებული ნაძვთამდე ლიბანისათა და თანაწარვხედ და არა იპოვა ადგილი მისი“. იმ ღამით დიდი სასწაული აღესრულა: მინა იძრა, კლდე გაიპო, სათავის მღვრიე ტბა გადმოდინდა და დაბა წისქვილი სრულიად წალეკა, მხოლოდ ორი ძმა გადარჩა სასწაულებრივად. შიშით თავზარდაცემულმა ხალხმა ამ ადგილს ზარზმა უწოდა.

სერაპიონს მაღალ ბორცვზე სურდა მშენებლობის დაწყება, იოვანე და სხვა ძერ-მონაზვნები კი ეუბნებოდნენ: „ნუ, წმიდაო მამაო, ადგილსა ამას, რამეთუ მაღალ და ცივ არს და ძმანი ესე შიშველ და გლახაკ“. მაშინ ნეტარი მამები ასე მოიქცნენ — ორ კანდელში თანასწორი რაოდენობის ზეთი ჩაასხეს. ერთი კანდელი თავად სერაპიონმა დადგა მაღალ ბორცვზე, მეორე კი ბორცვის სამხრეთით დადგა იოვანემ, მცირე ღელეში.

როცა გათენდა, ნახეს, რომ სერაპიონის კანდელში ზეთი დაშრეტილიყო, იოვანეს კანდელში კი ისევ იყო ზეთი და კანდელიც ენთო.

ეკლესიის საძირკველი იოვანეს არჩეულ ადგილზე ჩაყარეს, მაგრამ მშენებლობა გაძნელდა: ირგვლივ დაბურული ტყეები იყო, მშენებლობისთვის საჭირო ქვები მხოლოდ მდინარეში იპოვებოდა. გიორგი ჩორჩანელის რჩევით, მინისძვრისგან დანგრეული უმნის ეკლესიის ქვებიც გამოიყენეს. სამ წელიწადში ტაძრის მშენებლობა დასრულდა და შიგ დაასვენეს ფერისცვალების სასწაულომედი ხატი.

მამა სერაპიონმა „განაჩინნა წესნი და კანონნი საეკლესიონი“. ზარზმის მონასტრის ძმათა რიცხვი თანდათან გაიზარდა. მათ სულებს მდინარესავით რწყავდა წმიდა სერაპიონის მაღლიანი სიტყვა. წმიდა

სერაპიონმა თავისი ხელით გათხარა საფლავი, რომ მისი ხილვისას მოჰვებობოდა სიკედილი, „რომელი იგი სამარადისოდ წინაშე თვალთა აქვნდა“.

ნეტარმა სერაპიონმა წინასწარ იგრძნო მისი ამსოფლიდან გასვლის უმი. მოუნოდა ძმათა კრებულს, დამოძღვრა ისინი და წინამძღვრად განუწესა მღდელმონაზონი გიორგი — „კაცი კეთილი, სათნოებითა ბრნყინვალე და ტკბილი სიტყვითა და საქმითა“.

რამდენიმე დღის შემდეგ, დასწულებული მამა სერაპიონი წამოდგა, საკურთხეველში შევიდა, ემთხვია წმიდა ტრაპეზისა და მაცხოვრის ხატს, ეზიარა, ძმებს სთხოვა, ელოცათ მისთვის, „მიინია ცხედრად უამსა მეექვესა და მეცხრესა უამსა შეჰვედრა სული თვისი ხელთა ღმრთისათა“. წმიდა სერაპიონი პატივით დაკრძალეს საკურთხევლის აღმოსავლეთით.

რამოდენიმე წლის შემდეგ, წმიდა სერაპიონის ძმისშვილმა, მღდელმონაზონმა ბასილ ზარზმელმა, სერაპიონის წმიდა ნაწილები ახალშემზადებულ ქვის ლარნაკში ჩაასვენა და „გადაასვენა საჩინოსა შტოსა აზლისა ეკლესიისასა“.

შემდგომ, ბასილი ზარზმელმა, მეუფე გიორგი მაწყვერელის კურთხევითა და მისი მონათხრობის მიხედვით, დაწერა წმიდა სერაპიონ ზარზმელის ცხოვრება.



ზარზმის მონასტერი

ნმიდა იოთამ ზევდგინიძე,
მაჭისათვის თავდადებული (+1465)
30 (12.11) ოქტომბერი



ლას შეალია. მეფის ირგვლივ გაერთიანებულ ქართველ პატრიოტთა საუკეთესო ნაწილი ერთგულად ემსახურებოდნენ ღმრთივკურთხეულ მეფეს.

გიორგის მეფობის უამს „განრისხნა ღმერთი ქრისტიანეთა ზედა ცოდვათა ჩუენ ქრისტიანეთათვს და აღიღო სულტანმა მაჰმად კონსტანტინეპოლი“. რომის პაპმა, პიუსმა, თურქთა ნინააღმდევ განზრახულ ჯვაროსნულ ომში მიიწვია საქართველოს მეფე გიორგი. ამასობაში საქართველოშიც დაიწყო შინააშლილობები. სამცხეის ათაბაგი, ყვარყვარე, მეფეს განუდგა.

1463 წელს კი, ჩიხორთან გამარჯვების შემდეგ, ქუთაისის გამგებელმა ბაგრატმა იმერეთის მეფედ გამოაცხადა თავი. 1465 წელს, გიორგი მეფე სამცხეში წავიდა ყვარყვარე ათაბაგთან საომრად, „რათა შურ-აგოს ათაბაგსა“. ფარავნის ტბასთან დაბანაკუბულ გიორგის „შემოუჩინეს განდგომილთა მოღალატენი, რათა მოკლან იგი და ტაძრეულნივე თვისნი“.

შეთქმულებს შორის იყვნენ მეფე გიორგისთან დაახლოებული პირებიც. მეფის ამალაში მყოფმა იოთამმა შეიტყო საზარელი შეთქმულების შესახებ და ყოველივე ამცნო მეფე გიორგის. „მეფემან (კი) არა ირნმუნა, ვინათვან უგონებელ იყო მათგან ღალატი მეფისა“.

იოთამმა მეფე გიორგის შესთავაზა: „უკეთუ უცბი და არა ჭეშმარიტ

ნმიდა იოთამი აღმოსავლეთ საქართველოში საქმაოდ დაწინაურებული აზნაურ ზევდგინიძეთა (ზედგენიძე) გვარიდან იყო. ეს გვარი მეთოთხმეტე საუკუნის პირველ ნახევარში დაშევიდრდა აღმოსავლეთ საქართველოში, მდინარე რეხისა და მუჯუდის სანაპირო ტერიტორიაზე.

ღმრთისმოშიშებითა და სამშობლოს სიყვარულით აღზრდილი იოთამი ძალიან დაახლოებული იყო ქართლის მეფე გიორგი მერვესთან.

მეფე გიორგიმ „ყოვლითა სიკეთითა და საღმრთო-სამწედროთი სრულმან და აღმეულმან“ მეფობის ოცი წელი ქვეყნის ერთიანობის შენარჩუნებისათვის ბრძოლას შეალია. მეფის ირგვლივ გაერთიანებულ ქართველ პატრიოტთა საუკეთესო ნაწილი ერთგულად ემსახურებოდნენ ღმრთივკურთხეულ მეფეს.

გიორგის მეფობის უამს „განრისხნა ღმერთი ქრისტიანეთა ზედა ცოდვათა ჩუენ ქრისტიანეთათვს და აღიღო სულტანმა მაჰმად კონსტანტინეპოლი“. რომის პაპმა, პიუსმა, თურქთა ნინააღმდევ განზრახულ ჯვაროსნულ ომში მიიწვია საქართველოს მეფე გიორგი. ამასობაში საქართველოშიც დაიწყო შინააშლილობები. სამცხეის ათაბაგი, ყვარყვარე, მეფეს განუდგა.

1463 წელს კი, ჩიხორთან გამარჯვების შემდეგ, ქუთაისის გამგებელმა ბაგრატმა იმერეთის მეფედ გამოაცხადა თავი. 1465 წელს, გიორგი მეფე სამცხეში წავიდა ყვარყვარე ათაბაგთან საომრად, „რათა შურ-აგოს ათაბაგსა“. ფარავნის ტბასთან დაბანაკუბულ გიორგის „შემოუჩინეს განდგომილთა მოღალატენი, რათა მოკლან იგი და ტაძრეულნივე თვისნი“.

შეთქმულებს შორის იყვნენ მეფე გიორგისთან დაახლოებული პირებიც. მეფის ამალაში მყოფმა იოთამმა შეიტყო საზარელი შეთქმულების შესახებ და ყოველივე ამცნო მეფე გიორგის. „მეფემან (კი) არა ირნმუნა, ვინათვან უგონებელ იყო მათგან ღალატი მეფისა“.

იოთამმა მეფე გიორგის შესთავაზა: „უკეთუ უცბი და არა ჭეშმარიტ


არს სიტყუუა ჩემი, ან გევედრები, რათა არა მოიკლა თავი ცუდად, არა-
მედ ღამესა ამას მე დავწვე საგებელსა შინა შენსა და უკეთუ მომკლან
მე მგონებელთა შენთა მეფედ, გარნა ნუ დაივინყებ ძეთა ჩემთა". მეფე
დათანხმდა, თუმცა სრულიად დარწმუნებული იყო, რომ იოთამ ზევდ-
გენიძის ეჭვიანობის მიზეზი მეფისადმი მისი სიყვარული და ერთგუ-
ლება იყო და მის სიცოცხლეს არა-
ვითარი საფრთხე არ ემუქრებოდა.


სამეფო კარავში, მეფის საწოლში
მყოფი იოთამი ფხიზლად ელოდე-
ბოდა მოღალატეთა თავდასხმას და
მათი ღალატის გამოაშკარავებას.

შეთქმულებმა მაინც მოახერხეს
სამეფო კარავში უჩუმრად შეპარვა
და მეფის საწოლში მთვლემარე
იოთამი სიცოცხლეს გამოასალმეს.
„ღამესა მას შემოვიდნენ მობირე-
ბულნი იგი და მოკლეს იოთამ და გა-
ნერა მეფე მათგან“.

მეფე გიორგიმ სინანულით დაი-
ტირა იოთამი, მტრები კი შეიპყრა
და „მოსწყვდნა ყოველნი“. მადლი-
ერმა მეფემ შიომღვიმის მონას-
ტერში დაასაფლავებინა წმიდა იო-
თამი და ეს ადგილი საგვარეულო საძვალედ დაუმტკიცა მის შთა-
მომავლობას.

მეფე გიორგის შვილმა — კახეთის მეფე ალექსანდრემ, იოთამ
ზევდგინიძის შვილს უბოძა ქართლის სპასპეტობა, გორის მოურავობა
და ამილახვრობა, რომლის შტოსგანაც წამოვიდა ამილახვართა გვარი.
პირველი ამილახვარი იყო თაყა ჯანიბეგის ძე ზევდგენიძე, რომელმაც
სათავე დაუდო ამილახვართა გვარსა და სათავადოს.





ნეიდანი ათი პევრი (ასიაშასი)
მოწახენი, ტფილისში აღესრულენ
1227 ნელს.

„ქართლის ცხოვრება“ მოგვითხ-
რობს რომ: „ქვეყანა საქართვე-
ლოსა მიეცა განსარყვნელად ამის
ძალითა, რამეთუ დაუტევეს მეფეთა
და მთავართა სამართალი, მოწყა-
ლება, სიყვარული, სინრთოება, სი-
მართლე, და ამის ნილ მოიპოვეს ამ-
პარტავნება, ზაკვა, შური, სიძვანი,
უწესობანი“.

ჩინგის ყაენისაგან ძლული ხვა-
რაზმის სულთანი ჯალალედინი დე-
დანულითურთ აიყარა და საქართვე-
ლოს საზღვრებს მოადგა. იმ დროს,
საქართველოს თამარ მეფის ასული,
რუსუდანი განაეცდა. რუსუდანის

ბრძანებით შეკრებილი ქართველთა ლაშქარი გარნისთან გამართულ
ომში დამარცხდა.

ადარბადაგანსა და ნახჭევანს დამკვიდრებულმა ჯალალედინმა სა-
ქართველოს მაშინდელი ათაბაგ ავაგ მხარგრძელს შესთავაზა: „ან მნე-
ბავს, რათა შევერთნეთ მტკიცითა ფიცითა და ვპრძოლოთ მტერთა
(მონღოლებს). რომელ მეფე თქუენი დედაკაცი არს და მყოთ ქმარ მისა
და მეფე თქუენ ზედა და ვძლოთ ყოველთა მტერთა ჩუენთა. უკეთუ ესე
არა ჰყოთ, მოოწრდეს სამეფო თქუენი“.

ჯალალედინის უტიფარმა განზრახვამ გააოცა მეფე და ქართველი
დიდებულები. „არცა თუ სმენად საქმისა მაგისა, არამედ სრულიად
განყენებად“ ერთხმად შეუთვალეს ქართველებმა ჯალალედინს.

გაბოროტებულმა ჯალალედინმა ლაშქარი აპყარა და ტფილისისენ
დაიძრა. ბრძოლის პირველ დღეს „ბრწყინვალე ძლევა აჩუენეს ქართ-
ველთა“, დიდად დაჯაპნეს ხვარაზმის სულთანი, მაგრამ, ღამით, ტფი-
ლისელმა სპარსელებმა უღალატეს ქართველებს, ქალაქის კარი გაა-
ღეს და მტერი ტფილისში შეუშვეს.


„ვინმე უძლოსა მაშინდელთა თქმულთა და ქმნულთა და განსაც-
დელთა, რომელი მოინია ქრისტიანეთა ზედა?.. ჩჩკლიცა ძუძუთაგან

დედისათა აღიტაცნიან და წინაშე დედისა ქვაზედა დაანარცხიან და რომელსამე თუალნი წარსცვდიან და რომელსამე ტკნი დაეთხის... სისხლის მდინარემ წალეუა ქალაქი. ბორცვებად ეყარნენ დახოცილები. „ყვირილთა და ზახილთა და ვაებათა საზარელთა წმათაგან იძვროდა ქალაქი ყოველი“.

ტფილისის ქუჩები და მტკვარი დახოცილთა გვამებით აივსო. ჯალალედინმა სიონის ტაძრის გუმბათი მოარღვევინა და ბრძანა ზედ თავისი „ბილნი საჯდომელის“ დადგმა. ჯალალედინის ბრძანებით სიონის ტაძრიდან წამოლებული მაცხოვრისა და ღმრთისმშობლის ხატები მტკვარზე გადებულ ხიდზე დაასვენეს, ყოველი მხრიდან შეკრიბეს დატყვევებული ქრისტიანები და უბრძანეს „დათრგუნვა პატიოსანთა ხატთა და დატევება სჯულისა“. ვინც ხატებს ფეხის დადგმით შეურაცხყოფდა, უსჯულოები მას სიცოცხლის შენარჩუნებასა და ჯილდოს დაპირდნენ, სჯულის დამცველებს კი, „წარკუეთა თავთა“ ელოდა.


მემატიანეს თქმით ასიათასზე მეტ ქრისტიანს მოკვეთეს იმ დღეს თავი, მონმეთა სისხლით წითლად შეიღება მდინარე მტკვარი და მონამეთა სხეულებმა აავსეს მდინარის კალაპოტი.

ასიათასი ქრისტიანის ერთ დღეს წამება არ ახსოვს თვით რომის იმპერიას, რომლის წარმართმა იმპერატორებმა ქრისტიანების სისხლით მორწყეს მთელი ქვეყანა. ასიათასი ერთად აღსრულებული მონამე არ ჰყავს არც ერთ ერს და თითქმის წარმოუდგენელია ერთი ქალაქისაგან მსგავსი მსხვერპლის გაღება. ეს არის ქრისტესადმი თავდადების უდიდესი მაგალითი. ტფილისში მცხოვრებმა ყველა ეროვნების, ყველა ასაკის და ყველა სოციალური ფენის წარმომადგენელმა, ერთი პირითა და ერთი გულით აღიარეს ყოვლადნმიდა სამება, მონამეობრივი აღსასრულით დაიმკვიდრეს სასუფეველი და გახდნენ ჩვენი ქვეყნისა ყველა ქრისტიანის მფარველი და მეოხნი.



ნოემბერი

- 3 (16) — ლირსი ნიკოლოზ ქართველთა მწათლაში,
აკოლოთიათა აღმნერელი (+1308);
- 4 (17) — ნმიდანი: იოვანე, სტეფანე და
ესაია ქართველნი (XI-XII);
- 10 (23) — დიდმონამე გიორგი კაპადოკიელი (+303);
— დიდმონამე კონსტანტი-კახი ქართველთა
მთავარი (+852);
- 17 (30) — დიდმონამე მიქაელი, რომელსაც ეწოდა
გობრონ და ასოცდაცამეტნი მხედარნი
მისნი (+914);
- 19 (2.12) — ლირსი ილარიონ ქართველი,
საკვირველთმოქმედი (+875);
- 23 (6-12) — მღდელმონამე გრიგოლ ფერაძე (+1942);
- 29 (12-12) — მღდელმონამე აბიბოს ნეკრესელი (VI);
- 30 (13-12) — ნმიდა მეფე ვახტანგ გორგასალი (+502);
— ლირსნი: პეტრე და სამოელ ქართლის
კათოლიკოსნი (V-VI);



ღირსი ნიკოლოზ ქართველთა მართობი, აკოლოთიათა აღმწერელი ცხოვრობდა და მოღვაწეობდა მეცამეთე საუკუნის შუა წლებიდან მეთოთხმეტე საუკუნის დასაწყისამდე.

ნიკოლოზ ქართველთა მნათობის მოღვაწეობის ბოლო წლები ემთხვევა, წმინდა ვახტანგ მესამის მეფობის დროს (1301-1308 წლები).

წმიდა ნიკოლოზი თავისი დროის ერთ-ერთი უდიდესი ჰიმნოგრაფი და გამოჩენილი სასულიერო მოღვაწე იყო. სამწუხაროდ, მისი ბიოგრაფიიდან და შემოქმედებიდან ჩვენამდე ძალიან ცოტარამაა მოღწეული.

საქართველოს კათოლიკოსი


პატრიარქი ანტონი პირველი წერს, რომ ნიკოლოზი იყო „ავქსონი კანონთ, მრავალ აკოლოთიათ“ და ასახელებს მის ერთ თხზულებას: „ამან უზომოდ წვმისა გარდამოსვლის დასაყენები შექმნა აკოლოთია, მხურვალსავედრი ღმრთისადმი ერისაგან, მაღალგამოთქმით“. ეს აკოლითია გვხვდება ქართულ კურთხევანში.

წმიდა ნიკოლოზი ქართულ სასულიერო ლიტერატურას მთარგმნელობითი მოღვაწეობითაც ამდიდრებდა. ვარაუდობენ, რომ, როგორც ლიტურგისტს, მას უნდა ეკუთვნოდეს ის წესები, კერძოდ, „განგება წყლის კურთხევისა“, რომელიც 1306-1316 წლებშია ნათარგმნი ბერძნულიდან ქართულად.

პლატონ იოსელიანი წერს, რომ მან წმინდა ნიკოლოზის სხვა აკოლოთიანიც ნახა ათონის ივერთა მონასტრის ხელნაწერებში.


წმინდა ნიკოლოზ ქართველთა მნათობი მშვიდობით აღესრულა 1308 წელს.

წმიდანები: იოვანე, სტეფანე და
ესაია ქართველები (XI-XII)
4 (17) ნოემბერი



იოვანე, სტეფანე და ესაია ქართველების ხსენების შესახებ ცნობები დაცულია პარიზის ნაციონალური ბიბლიოთეკის ქართულ ხელნაწერთა ფონძში. მოსახსენებლის მიხედვით — „წმიდათა და მართალთა ქრისტეს საფლავისათა იოვანე, სტეფანე და ესაიასი“ — ვარაუდობენ, რომ წმინდანები მეთერთმეტე-მეთორმეტე საუკუნეებში, იერუსალიმში, ქრისტეს საფლავზე მოღვაწე ბერ-მონაზვნები იყვნენ.

საქართველოს საეკლესიო კალენდარში გვხვდება მათი მოხსენიების განსხვავებული ფორმაცა: „წმიდათა და მართალთა იოვანე, სტეფანე და ესაია ქართველთა საკრძალთა თაყვანისცემა“.



გობა, რომელიც წმიდანის სახელობის რომელიმე ტაძართან, ხატთან ან მის მიერ აღსრულებულ სასწაულებთან იყო დაკავშირებული. ხალხურ მეტყველებაში შემორჩენილია 365 წმიდა გიორგის სახელით დალოცვა, რომელიც წმიდა გიორგის წელიწადის ყოველდღიურ დღესასაულთან არის დაკავშირებული.

10 (23) ნოემბერს აღინიშნება წმიდა გიორგის ბორბალზე წამების დღე, რომელიც, გადმოცემით, მოციქულთასწორ ნინოს დაუდგენია დღესასწაულად. ცნობილია, რომ წმიდა ნინო ნათესავი იყო წმიდა გიორგისა, განსაკუთრებულ პატივს მიაგებდა მას და თავის მოქცეულ ქვეყანასაც უანდერძა დიდმოწამის სიყვარული.

დიდმოწამე, ძლევაშემოსილი და საკვირველთმოქმედი გიორგი დაიბადა კაბადოკიაში მდიდარ ქრისტიანულ ოჯახში. ცნობილია, რომ გიორგის მამა მოწამეობრივად აღსრულა. დაქვრივებული დედა კი კაბადოკიდან რომში, თავის სამშობლოში წავიდა და იქ განაგრძო შვილის ქრისტიანულად აღზრდა.

ჭაბუკი გიორგი რომის ლაშქარში განმნესდა მხედრად. ახოვანმა, მამაცმა და უშიშარმა მეომარმა მალე იმპერატორ დიოკლეტიანეს (284-305) ყურადღება მიიპყრო. მან თავის პირად მცველთა რაზმის უფროსად დანიშნა წმიდა გიორგი და მხედართმთავრის მალალი წოდებაც უბოძა.

დიდმოწამე გიორგი კაბადოვილი არის საქართველოს განსაკუთრებული მფარველი. ისტორიიდან ცნობილია, რომ წმიდა გიორგი ხილულადაც იბრძოდა ქართველთა ლაშქარში (იხ. 26 იანვრისა და 18 სექტემბრის საკითხავებში).

საქართველოში ეკლესიების უმეტესი ნაწილი წმინდა გიორგის სახელზეა აგებული. „არა არიან ბორცვნი და მაღალნი გორაკნი, რომელსა ზედა არა იყოს შენნი ეკლესიანი წმიდისა გიორგისანი“, — წერს ვახუშტი ბატონიშვილი.

საქართველოში წელიწადის ყოველ დღეს იზეიმებოდა გიორ-

გიორგი დღეს იზეიმებოდა გიორ-

კერპთაყვანისმცემელმა იმპერატორმა თავისი განმგებლობის ბოლო წლებში სასტიკი ბრძოლა გამოუცხადა ქრისტიანობას. სენატის საბჭოზე, ნიკომიდიაში, მან სრული თავისუფლება მიანიჭა პროვინციის მმართველებს ქრისტეანთა დასასჯელად და, თავის მხრივ, მხარდაჭერაც აღუთქვა.

წმიდა გიორგიმ ეს რომ შეიტყო, გაათავისუფლა თავისი მონები, ქონება გლახაკებს დაურიგა, სენატში გამოცხადდა და საჯაროდ აღიარა: „მე მონა ვარ ქრისტესი, ღმრთისა ჩემისა და მსასობელი მისი. საკუთარი ნებით ნარვმდგარვარ თქვენს ნინაშე, რათა ვენამო ჭეშმარიტებისათვის“.

საყვარელი მხედართმთავრის მიერ ქრისტიანული სარწმუნოების აღიარებით თავზარდაცემულმა იმპერატორმა დიოკლეტიანემ სცადა, დაერწმუნებინა გიორგი, განდგომოდა ქრისტეს და მსხვერპლი შეენირა კერპებისათვის. წმიდა გიორგიმ მტკიცედ მიუგო იმპერატორს: „ვერავითარი ამსოფლიური დიდება ვერ შეანელებს ჩემს სურვილს, ვემსახურო ჭეშმარიტ ღმერთს“.

დიოკლეტიანემ ბრძანა საპყრობილები ჩაესვათ გიორგი. მეომრებმაც მაშინვე მახვილები იშიშვლეს იმპერატორის ბრძანების შესასრულებლად, მაგრამ მრავალ ბრძოლაში გამარჯვებული რომაული მახვილები ცვილივით რბილი გახდა გიორგის სხეულთან მიახლოებისას. განრისხებულმა მეომრებმა ხელ-ფეხზე მძიმე ხუნდები დაადეს გიორგის, კისერზე კი ლოდი შეაბეს და საპყრობილები ჩააგდეს.

მეორე დღეს, იმპერატორმა ბრძანა, ყველაზე მძიმე სატანჯველით ენამებინათ გიორგი. დიდმოწამე მბრუნავ ბორბალზე დააკრეს, რომლის ქვეშაც წვერბასრი რკინის მახვილებიანი ძელები იყო დადებული, ბორბლის ყოველ გადაბრუნებაზე დანები ოდნავ სერავდა ხორცს და ახალ-ახალ წყლულებს აჩენდა მონამის სხეულზე, რომელზეც ჯალათები მარილს აყრიდნენ.

სხეულდასერილი წმიდა გიორგი ჯერ ხმამაღლა ჰეადოდა უფალ იესუ ქრისტეს, შემდეგ კი



დადუმება არჩია. დიოკლეტიანემ იფიქრა, რომ გიორგი მოკვდა და ბრძანა, ჩამოეხსნათ ბორბლიდან, თვითონ კი აპოლონის საკერპოში წავიდა მსხვერპლის შესაწირად.

მოულოდნელად სრულიად ჩამობნელდა, ჭექა-ქუხილმა შეაზანზარა ქვეყანა, ცოტა ხნის შემდეგ კი მაღლიდან მოისმა ხმა: „ნუ გეშინინ, გიორგი, მე შენთანა ვარ!“ ბორბალთან უჩვეულო ნათლითმოსილი ჭაბუკი გამოჩნდა, ხელი შეახო მონამეს და წმიდა გიორგი სრულიად უვნებელი წამოდგა ბორბლიდან.

შეშინებულმა მეომრებმა წმიდა გიორგი მაშინვე საკერპოში წაიყვანეს იმპერატორთან. დიოკლეტიანემ თვალებს არ დაუჯერა, როცა საღ-სალამათი მონამე იხილა, ვერც ქურუმმა ათანასემ დამალა გაოცება. მომხდარი სასწაულით გამხნევებულმა საიმპერატორო კარის ორმა წარჩინებულმა მოხელემ — ანატოლიმ და პროტოლეონმა, რომლებიც მანამდე მაღავდნენ თავიანთ ქრისტიანობას, საჯაროდ აღიარეს ქრისტე. დიოკლეტიანეს ბრძანებით, ორივე აღმსარებელს, მაშინვე მოჰკვეთეს თავები. თვით იმპერატორ დიოკლეტიანეს მეუღლემ, დედოფალმა ალექსანდრამაც, ხმამაღლა განადიდა ქრისტე და მზად იყო, გაეზიარებინა წამებულთა ხვედრი, მაგრამ მცველებმა სასწრაფოდ, ძალით წაიყვანეს სასახლეში.

იმპერატორის განკარგულებით წმიდა გიორგი ორმოში ჩააგდეს. სამი დღის შემდეგ კირი ამოიღეს და წმიდანი სრულიად უვნებელი იხილეს. სასწაულებრივად გადარჩენილ წმიდა გიორგის წვერწამახულ ლურსმნებაჩრილი რკინის გავარვარებული ჩექმები ჩააცვეს და ცემით წაიყვანეს საპრყობილებდე.

იმპერატორმა დიოკლეტიანემ ცნობილ მოგვს, ათანასეს, სთხოვა დახმარება. ათანასემ ორი თასით ძლიერი საწამლავი დაამზადა, პირველი საწამლავი გონებას მთლიანად ართმევდა ადამიანს და იგი მხოლოდ ბრძანებებს ემორჩილებოდა, მეორე საწამლავი კი უეჭველად კლავდა ნებისმიერ ადამიანს. გიორგიმ მშვიდად შესვა ორივე თასი და კვლავ მხნედ ადიდა იესუ ქრისტე.

ათანასე მოგვის რჩევით, დიოკლეტიანემ წმიდა გიორგის უბრძანა, ქრისტიანული სარწმუნოების ჭეშმარიტების დასამტკიცებლად მიცვალებული აღედგინა მკვდრეთით და საფლავთან მიიყვანეს. გიორგიმ უფალს შეჰდალადა: „უფალო იესუ! წინაშე შენსა წარმომდგართ უჩვენე, რომ ერთი ღმერთი ხარ მთელი ქვეყნისა, რათა გიცნან შენ, ყოვლადძლიერი მეუფე ჩვენი“. მიწა იძრა, საფლავი გაიხსნა და მიცვალებული მკვდრეთით აღდგა. ამ სასწაულის მოწმეებმა ერთხმად ადიდეს ღმერთი, თვით ათანასემ იმწამსვე აღიარა ქრისტიანული სარწმუნოება, წმიდა გიორგის დაუჩინქა და სთხოვა, ცოდვები მიეტევებინა მისთვის. გამძვინვარებულმა დიოკლეტიანემ სიკვდილით დასაჯა ათანასეც

და მკვდრეთით აღმდგარი კაციც, წმიდა გიორგი კი კვლავ საპრყობილები ჩააგდო. იმ ღამეს წმიდა გიორგის თავად მაცხოვარი იესუქრისტე ეჩვენა, გვირგვინით შეუმეო თავი მოწამეს და უთხრა: „ნუ გეშინინ, მხნე იყავ, განძლიერდი. მალე მიხილავ და მიიღებ შენთვის განკუთვნილ ადგილს“.

დილით, დიოკლეტიანემ კიდევ ერთხელ უპრძანა გიორგის თაყვანი ეცა კერპებისთვის. წმიდა გიორგი დათანხმდა იმპერატორს აპოლონის ბომონში გაყოლაზე, ხოლო როცა გახარებულმა იმპერატორმა პატივით შეიყვანა იგი სამსხვერპლოში, წმიდანი მიუახლოვდა კერპს, ჯვარი გადასახა და ყველა კერპი დაიმსხვრა.

ხალხი აბობოქრდა. ქურუმებმა წმიდა გიორგის სიკვდილით დასჯა მოითხოვეს. ხმაურზე დედოფალი ალექსანდრა მოვიდა, თვითონაც აღიარა ქრისტიანობა და, დიოკლეტიანესაგან სიკვდილმისჯილი, სიხარულით გაჰყვა გვერდით საყვარელ წმიდანს (დედოფალი ალექსანდრა მოგვიანებით დასაჯეს სიკვდილით).

წმიდა გიორგიმ მთელი გულით შესთხოვა უფალს, შეენდო მტარვალთათვის, რომელთაც არა უწყოდნენ, რას იქმოდნენ და სთხოვა, ჭეშმარიტი რწმენის შეცნობამდე მიეყვანა ისინი, შემდეგ კი მორჩილებით მოუდრიკა ქედი ჯალათის მახვილს.

წმიდა გიორგი ალესრულა 303 წლის 23 აპრილს, ოცდაათი წლის ასაკში. ანდერძისამებრ, გიორგი დაკრძალეს პალესტინის ქალაქ რამლაში. იმპერატორ კონსტანტინე დიდის დროს წმიდა გიორგის უხრწელი ნაწილები გადაასვენეს ქალაქ ლიდაში, წმიდა გიორგის სახელზე აშენებულ ტაძარში.



დიდონიამე კონსტანტი-კახი დაიბადა 768 წელს. ქართლში მცხოვრებ, კახელ მთავარ კონსტანტის, „ეწოდა კახად სახელად მამულისა მის ქუეყანისა“.

კონსტანტი-კახის დროს საქართველო არაპეტებს ჰქონდათ დაპყრობილი და მთელ ქვეყანაში ძალზე შევიწროებული იყო ქრისტიანობა. არაპეტი ყოველნაირად ცდილობდნენ ქართველი მთავრების გადაბირებას. ერისმთავრებს შორის განსაკუთრებული სიმტკიცით გამოიჩინდა კონსტანტი-კახი.

კონსტანტი პატივს სცემდა სასულიერო პირებს, ეხმარებოდა ეკლესია-მონასტრებს, იყო სტუმართმოყვარე და გლახაკომინებალე. ყოველგვარი ამქენიური სიკეთის მფლობელს, არა მარტო საქართველოში და კავკასიაში, არამედ საბერძნეთის სამეფო კარზეც კარგად იცნობდნენ.

ღმრთისმოშიში კონსტანტი ყველაზე ცოდვილად თვლიდა თავს და ხშირად ამბობდა: „არავინად ვესავ მოტევებასა ცოდვათა, გარნა დათხევითა სისხლთა ჩემთავთა მისთვს, რომელმან იგი დასთხივნა სისხლნი ჩუქუნთვს“.

კონსტანტიმ მოილოცა იერუსალიმის წმიდა ადგილები, დიდალი საფასე შესწირა ეკლესია-მონასტრებს, მოიარა იორდანეს უდაბნოები და სიხარულით აღსავსე დაბრუნდა სამშობლოში.

საქართველოში დაბრუნების შემდეგ კონსტანტი ყოველწლიურად ოცდაათიათას ვერცხლს აგზავნიდა იერუსალიმში იქაური წმიდა ადგილებისათვის და გლახაკომინებას.

ამიერკავკასიაში თანდათან გაძლიერდა განმათავისუფლებელი მოძრაობა და არაბთა ერთპიროვნულ მმართველობას საფრთხე დაემუქრა. თანაც ადგილობრივმა არაბმა ამირებმა სრული დამოუკიდებლობის მოპოვება დაიწყეს.

853-854 წლებში ქართლს შემოესია არაბთა მრავალათასიანი ლაშქარი ბუღა-თურქის წინამდღოლობით. იმ ლაშქრობისას მარტო ტფილისში დაიღუპა ორმოცდაათიათასი კაცი.

ოთხმოცდახუთი წლის კონსტატი-კახეთი ხელთ იპყრა მახვილი და შვილთან, თარხუჯთან ერთად ქართლის ლაშქარს ჩაუდგა სათავეში. გორის მისადგომებთან გაიმართა უთანასწორო ბრძოლა არაბთა და ქართველთა შორის. მიუხედავად მედგარი ნინააღმდეგობისა, ქართველები დამარცხდნენ. მტრებმა ტყვედ ჩაიგდეს წმიდა კონსტანტი-კახი და მისი შვილი თარხუჯი.

ქართლის ცხოვრების ამ შემზარავი ეპიზოდის შესახებ ლაკონურად და შთამბეჭდავად მოგვითხრობს ატენის სიონის ნარწერა: „თუ ესა აგუსტოსა ე-სა, (5) დღესა შაბათსა, ქრონიკონსა ოგ-სა, (72) ისმაი-ტელთა წელსა სლო-სა (239) ქალაქი ტფილისი დაწუა ბულა და შეიპყრა ამირად საჰაკ და მოკლა და მასვე თოუესა აგუსტოსა კვ“სა, (23) დღესა შაბათსავე ზირაქ შეიპყრა კახად და ძე მისი თარწუჯი“.

კონსტანტი მთავარი, ბულა თურქს წარუდგინეს. მან გაკვირვებით ჰკითხა კონსტანტის: „ანუ არა უწყოდეა შენ, რამეთუ ვერ განრინებად იყავ სივლტოლითა შენითა წელთაგან ჩემთა... აპა ესერა მოგუცნა თქუენ ღმერთმან დღესა ამას მოსასრველად წელთა ჩუენთა“. კონსტანტიმ მშვიდად მიუგო: „ღმერთმან მოგუცნა წელთა თქუენთა არა სიყუარულისა თქუენისათვს, არცა საქმეთა თქუენთათვს, არამედ რამე-თუ არა დავიმარხენით ჩუენ მცნებანი მისნი, ამისათვსცა ნათესავითა მით ურჩებისათა განგუკაფნა ჩუენ“.

საპყრობილები მყოფი კონსტანტი-კახი მხნედ იტანდა განსაცდელს. იგი მეუდაბნოე მამებსა და ეკლესიათა წინამძღვრებს წერილებს წერდა და სთხოვდა, ელოცათ მისთვის. ბორკილდადებული კონსტანტი-კახი ბაბილონის ქალაქ სამარაში გაზიავნეს ხალიფა ჯაფართან. ჯაფარმა იცოდა, თუ რაოდენ მნიშვნელოვანი პიროვნება იყო კონსტანტი ქართველთათვის, თავაზიანად მოიკითხა და შესთავაზა სარწმუნოების გამოცვლა; სანაცვლოდ პატივსა და დიდებას დაპირდა, თან დაემუქრა: „უკეთუ არა ისმინო ჩემი, სიკვდილითა მოჰკვდე შენ პირითა მახვილისათა და წორცნი შენნი მივსცნე საჭმელად მფრინველთა ცისათა“. მხცოვანმა მთავარმა თამამად უთხრა: „არა მეშინის მე მახვილისაგან შენისა, არამედ მისა მეშინის, რომელი-იგი შემძლებელ არს მოწყუედად სულისა და წორცთა და კუალად წელმწიფებად აქუს განცხოველებად, ვითარცა იგი მოსიკუდიდ, ამისთვისცა სისარულით მოვითმენ სახელისა მისისათვს, რამეთუ იგი არს ჭეშმარიტი ღმერთი, ძლიერი წელმწიფე და მთავარი მშვიდობისა, მამა მერმეთა მათ საუკუნეთა“.

ჯაფარმა დილეგში ჩააგდებინა წმიდა კონსტანტი და გადასაბირებლად მიუგზავნა სარწმუნოების უარმყოფელი და ხალიფასგან განდიდებული ორი სომები დიდებული. წმიდა კონსტანტიმ სომხებს მშვიდად მიუგო: „ესრე არქუთ მეფესა თქუენსა: ნუ ჰგონებ რასა ესევითარსა


საქმესა ჩემგან, დალაცათუ ჩვეულებად მეფეთად ბაბილოვნისათად გაიძულებს შენ, რამეთუ იგინიცა წინააღმდეგომ იყვნეს ჭეშმარიტებისა, არამედ ბრძანე შენ ყოფად, რად იგი გეგულების ყოფად, იქმოდე. ხოლო თქუენ რახსალა ზედამდგომელობთ და დამესხმით, ვითარმცა მეცა თქუენ გემსგავსე? ამიერითგან განმეშორენით ჩემგან, რათა გამოვიძინე მე მცნებანი ღმრთისა ჩემისანი“. შემდეგ აღაპყრო ხელნი და ლოცვა დაიწყო: „გიგალობ შენ, უფალო ღმერთო ძალთაო, ღმერთო საუკუნეთაო, რომელმან მომეც მე ძალი წინააღმდეგომად უკეთურისა ამის მსაჯულისა, ვითარცა იგი წინაესწარ სთქუ, ვითარმედ: „თქუენ მომცენით გულნი თქუენნი და მე მიგეც ძალი ჩემი“. ღირს მყავ მე ნათელსა პირსა შენისასა, რამეთუ შენდა მოვიცლტი ქრისტე, ძეო ღმრთისაო“. ლოცვად მდგარ წმიდა კონსტანტის „ნაკადულნი ცრემლთანი გარდამოდიოდეს თვალთაგან მისთა... ხოლო გარემოს მდგომარენი იგი მისნი სცემდეს პირსა მისსა და მრავლითა ტანჯვითა სტანჯვიდეს მას, არამედ ენად მისი ვერ დააბრკოლეს გალობად“.

ხალიფას ბრძანებით ჯალა-
თებმა თავი მოჰკვეთეს კონსტან-
ტი-კახს, რომელიც სიცოცხლის
უკანასკნელ წუთსაც კი გალობით
განადიდებდა უფალს.

ჯალათმა კონსტანტი-კახის
მოკვეთილი თავი „მიართუა მეფე-
სა თვესა, ვითარცა იგი თავი იოვა-
ნე ნათლისმცემელისად პეროდეს“.
ეს მოხდა 853 წლის 10 ნოემბერს,
დიდმოწამე გიორგის ხესენების
დღეს.

კონსტანტი-კახის გვამი მაღალ
ძელზე დაჲკიდეს ქრისტიანთა
დასაშინებლად. რამდენიმე წლის
შემდეგ ქართველებმა წმიდა კონ-
სტანტის ნეშტი სამშობლოში გად-
მოასვენეს და დიდი პატივით დაკ-
რძალეს.





დიდმოწამე მიქაელი, რომელსა ეწოდა გობრონ და ასოციაციამეტნი მხედარნი მონამეობრივად აღესრულნენ 914 წელს.

არაბების ამიერკავკასიაში ერთ-ერთი უკანასკნელი შემოსევის დროს ამირა-მუშავის ლაშქარს სარდლობდა აბულ-კასიმი. არაბებმა მოსრეს „ყოველი სომხითი, სიგნეთი, ვაეძორი, ასფურაგანი“ და „სპითა დიდითა და ურიცხვთა, რომელთა არა იტევდა ქუეყანა“, საქართველოს შემოესივნენ.

აბულ-კასიმმა ჯერ ტფილისი აიღო, იქედან კი კახეთში გადავიდა და მრავალდღიანი ალყის

შემდეგ მოაოხრა უჯარმა. ბოჭორმელებმა თვითონ დატოვეს ციხე და გაიქცნენ. კახეთის ერისთავმა, კვირიკე ქორეპისკოპოსმა, დაზავება შესთავაზა აბულ-კასიმს. სარდალმა მიიღო გარიგება და კვლავ ქართლს შეესია. უფლისციხე, თავად ქართველებმა დაარღვიეს, მტერს რომ არ ჩავარდნოდა ხელში. სარკინოზებმა სამცხე-ჯავახეთში თმოვგის ციხეზე მიიტანეს იერიში, მაგრამ ვერ აიღეს და, უკან გაბრუნებულებმა, ყველის ციხეს შემოარტყეს ალყა.

იმუამად ყველისციხის მეპატრონე იყო გურგენ ერისთავთ-ერისთავი. ციხე კარგად იყო გამაგრებული, მაგრამ მეციხოვნენი შიგ ცოტანი იყვნენ. „ბრძოლასა მას ფიცხელსა მქნე იქმნეს ციხოანნი იგი და დაწოცდეს მბრძოლთა მათ და დაჰყრიდეს ჭორცთა მათთა, ვითარცა სკორეთა ქუეყანისათა“. მებრძოლთა შორის გამოირჩეოდა ნეტარი გობრონი: „ძალი ბრძოლისა მისისა ყოველსა მას სიმრავლესა ზედა საცნაურ იყო“. იგი თავგამეტებით იცავდა ყველისციხეს და დიდი მამაცობაც გამოიჩინა. ოცდარვა დღე გაგრძელდა ბრძოლა. ხან სარკინოზებს მიჰქონდათ იერიში ციხეზე, ხან მეციხოვნენი გამოუხდებოდნენ მტერს გობრონის მეთაურობით, რისხვას დაატეხდნენ მას თავს და კვლავ ციხეს უბრუნდებოდნენ.

მტრებმა უკანასკნელი იერიში მიიტანეს ყველისციხეზე, აიღეს იგი და შეიძყრეს ცოცხლად დარჩენილი მეციხოვნენი, მათ შორის გობრონიც. ქართველი მეომრის ვაუკაცობით გაოცებულმა აბულ-კასიმმა ბრძანა „ნეტარისა გობრონისი უმეტეს ყოველთასა კრძალვით პყრობაა“. ადარნასე მეფემ დიდალი საფასი გადაიხადა და პყრობილთა ნაწილი გამოიხსნა. მათ შორის არ იყო გობრონი, რადგან არაბებმა მის განთავისუფლებაზე უარი განაცხადეს.

წმიდა მიქაელ გობრონმა ლოცვითა და მარხვით „განუმზადა თავი თვისი ქრისტესთვს სატანჯუელთა“. გობრონის შესაშინებლად სარკინოზებმა მოსაკლავად გაიყვანეს შეპყრობილ ქართველ მხედართა ნაწილი და „ვითარცა მწეცნი ბოროტნი განძვნებულნი შეერინეს აღრეულად და ურთიერთსა უსწრობდეს, რომელნიმე მახვლითა სცემდეს, რომელნიმე ჰოროლითა და ისრითა შესჩეუებდეს და დასჭრიდეს, წორცათა მათთა დანებითა განაპებდეს და ლკძლები იგი მათი, ვითარცა ძალლთა, პირითა გაეტაცა“.

აბულ-კასიმმა ნეტარ გობრონს უთხრა: „მეწყალის მე სიკეთე სიჭაბუისა შენისაა და მშურს სიკუდილისათვს მწედრობაა შენი, რომელი სახელოვან ხარ წინაშე ჩუენსა და ან ვითარცა შვილსა საყვარელსა გასწავებ შენ, დაუტევე უგუნურებისა შენისა შჯული, რომლითა ვერა ირგეს მოყუასთა შენთა და აღიარე ჭეშმარიტი შჯული წელმწიფებისა ჩუენისაა“. სამაგიეროდ სარდლობას, სასახლეებს, დარბაზებს, მონებს და საჭურველს შეჰპირდა.


წმიდა გობრონმა მშვიდად მიუგო ამირას: „გევედრები, წელმწიფეო, ნუ მაიძულებ მე დატევებად ქრისტეანობისა, რომლითა აღმზარდეს მე მშობელთა ჩემთა და აღბეჭდილ ვარ სულითა წმიდითა... ჭეშმარიტად უწყოდე შენ, რამეთუ არცა კეთილთა შენთა აღთქუმითა, არცა ძვრძვრთა ბოროტთა შენთა ჩემ ზედა მოწევნითა შემიძლო განყენებად უფლისა ჩემისა იესუ ქრისტესა“.

აბულ-კასიმმა ბრძანა, გარეთ გაეყვანათ მიქაელ-გობრონი და ჯერ დახოცილი თანამებრძოლები ეჩვენებინათ, შემდეგ კი აღთქმული სიმდიდრენი: „ვინ უწყის, უკუე შიშმან სიკუდილისამან, ანუ შესაძინელმან კეთილისამან მოდრიკოს გული მისი“. უკან მობრუნებულმა მიქაელ-გობრონმა — ამირას შეკითხვაზე — „რა გამოირჩიე თავისა შენისა?“ — უპასუხა: „მე პირველადვე გითხარ შენ არა მიდრეკად ქრისტეს უფლისა ჩემისაგან“.


ამირამ კიდევ ერთხელ გადაწყვიტა მიქაელ-გობრონის შეშინება და თანამებრძოლებს უბრძანა: „არა იცის მაგან ჭირი სიკუდილისაა, წარიყვანეთ ეგე და წარწყმიდენით მაგის წინაშე დარჩომილნი ქრისტე-ანენი და მცირედ წყალით ეგე და კუალად მოიყვანეთ“. მიქაელ-გობრონი ცოცხლად გადარჩენილ მოყვასთა შორის დაყენეს და უმოწყა-

ლო ხოცვა-ულეტა დაიწყეს. დახოცილთა სისხლი ეპკურებოდა გობრონს, გვამები ფეხებთან უგორდებოდა, მაგრამ საშინელებამ ვერ შეაძრნუნა მისი გული. გობრონს ორგზის სცეს მახვილი და მსუბუქად დაჭრეს. გობრონმა სისხლით ჯვარი გამოისახა შუბლზე და თქვა: „გმადლობ შენ, უფალო იესუ ქრისტე, რომელმან ლირს მყავ მე, ულირ-სი ესე და ცოდვილი და უკანადესენელი ყოველთად, ნაწილსა ამას მკლდრობისასა და მოწამებისასა“.

არაბმა მეომრებმა კვლავ აბულ-კასიმს მიჰვარეს წმიდა გობრონი. ამირამ უკანასკნელად სცადა წმიდანის მოდრეკა, მაგრამ სისხლმდინარე მოწამემ მტკიცედ მიუგო: „იქმოდე, რადცა გნებავს, მე ქრისტეანე ვარ და არასადა უარ-ვყო სახელი მისი“.



აბულ-კასიმმა ბრძანა, თავი წარეკვეთათ მიქაელ-გობრონისათვის და მოკლულებთან დაეგდოთ. შემდეგ, ამირას ბრძანებით, სამი დიდი საფლავი გათხარეს, მოწამეთა გვამები შიგ ჩაყარეს, მიწა მიაყარეს და ქრისტიანებს მათთან მიახლოება აუკრძალეს. საფლავებს ლამ-ლამბით ზეციური ნათელი ადგებოდა.



ღირსი ილარიონი კახელი მთა-
ვრის შვილი იყო დონაურთა გვარი-
დან.

ღმრთისმოშიშმა მშობლებმა, ილარ-
იონი შობიდანვე ღმერთს შესწირეს და
აღსაზრდელად მიაბარეს „მღუდელსა
ვისმე მოხუცებულსა ფრიად და სა-
თნოებითა შემკულსა“.

ილარიონი განსაკუთრებული ნიჭი-
ერებით გამოიჩინდა. როცა მამამ
იხილა შვილის გულმოდგინება და
ღმერთის სიყვარული, იქვე, სოფელში
ააშენა მონასტერი, სადაც მალე თექვ-
სმეტმა მონაზონმა მოიყარა თავი.

თოთხმეტი წლის ილარიონმა გა-
დაწყვიტა, განრიდებოდა მამის ზედ-
მეტ ყურადღებას, გარეჯის უდაბნოს
მიაშურა, იპოვა პატარა გამოქვაბული
და საოცარ მოღვაწეობას შეუდგა —

„მარხვითა და მღვდარებითა ჰასაკასა
მას სიჭაბუკისასა დააჭკნობდა, ლოცვითა და მარადის ღმრთისა ხედ-
ვითა უწორცოთა მიემსგავსებოდა, ვიდრედა ნარემატებოდა მოღუანე-
ბითა ყოველთავე მყოფთა მის ადგილისათა უდაბნოსა მას შინა, რამე-
თუ ყოველთავე უკურდა ეგეოდენი შრომად მისი და მოთმინებად“.

ახალგაზრდა მონაზონმა მეუდაბნოეთა სიყვარული და პატივისცე-
მა დაიმსახურა. „აღეშენებოდეს ყოველნი იგი ძმანი სწავლითა მისითა
და შეუვრდებოდეს მას, რათა იყოფებოდიან მის თანა“. ასე დაემკვიდ-
რნენ ღირს ილარიონთან „ათერთმეტნი ძმანი მოღუანენი მშვდნი და
მდაბალნი“.

ბერ-მონაზონთა თხოვნით, რუსთველმა ეპისკოპოსმა ღირს ილარი-
ონს შესთავაზა მიელო მღდელობის პატივი და ეტვირთა მონასტრის
წინამძღვრობა. მიწიერი დიდების უარმყოფელი ილარიონი თავიდან
უარზე იყო, მაგრამ, ბოლოს, მაინც დაემორჩილა მღდელმთავრის
კურთხევას.

რამდენიმე ხნის შემდეგ, ილარიონი იერუსალიმში გაემგზავრა.
გზაში ილარიონს ავაზაკები დაესხნენ თავს და მახვილები იშიშვლეს

წმიდანის გასაძარცვად, მაგრამ, მოულოდნელად, ხელები გაუშეშდათ. შემინებული ავაზაკები მიხვდნენ, რომ ღმრთის სასჯელი დაატყდათ თავს მონაზონზე ხელის აღმართვის გამო, ფეხებში ჩაუვარდნენ ილარიონს და შენდობა სთხოვეს. ილარიონმა ჯვარი გადასახა ავაზაკებს, განკურნა და მშვიდობით განუტევა. ყაჩალებმა კვლავ შენდობა ითხოვეს ილარიონისაგან, ერთმა მათგანმა კი თაბორის მთამდე გააცილა წმიდანი.

ილარიონმა მოილოცა იერუსალიმი და თაყვანი-სცა წმიდა ადგილებს. შემდეგ იორდანეს უდაბნოს მიაშურა და ერთ გამოქვაბულში დაეყუდა (გადმოცემით, ეს იყო ის გამოქვაბული, სადაც თავს აფარებდა ელია თეზბიტელი).

ლირსი ილარიონი მოუკლებლად ევედრებოდა უფალს: „მაუწყე მე, უფალო, გზა, რომელსაცა ვიდოდი და კუალად მასწავე მე, რათა ვყო ნება შენი“. ერთ ღამეს მან იხილა ზეთისხილის მთაზე მოციქულების თანხლებით მდგარი ყოვლადნიდა ღმრთისმშობლი, რომელმაც მოუწოდა წმიდანს: „ჰო, ილარიონ, წარვედ და მიისწრაფე სახედ შენდა და უმზადე სერი უფალსა და ძესა ჩემსა“. გამოლვიძებისთანავე, ილარიონმა გულისხმაჲყო ჩვენება და სამშობლოში დაბრუნდა.

საქართველოში, ილარიონს, მამა და ძმები აღსრულებული დახვდა. დედამ მთელი საგანძურო შვილს გადასცა და უთხრა: „წარაგე ესე, შვილო, ვითარცა სათნო გიჩნს“. ილარიონმა მამათა და დედათა მონასტრები ააშენა, შესწირა მათ სოფლები და განუჩინა წესი.

ილარიონის ასეთმა გულმოწყალებამ ძალიან გააბრაზა მისი ბიძა, რომელიც მონაზვნად შემდგარი ილარიონის მთელი ქონების ხელში ჩაგდებაზე ოცნებობდა. გაბოროტებულმა, გადაწყვიტა დაეწვა მონასტრერი. ერთ ღამეს მან მონასტერის კარებზე ნახშირით მიაწერა: „ეს-რეთ იხილონ ყოველთა ესე მონასტერი სამ დღემდე“.

განთიადისას მამა ილარიონმა იხილა წარწერა და დიდად შეწუხდა ბიძის სულის წარწერების გამო. იგი მთელი ღამე ევედრებოდა უფალს განსაცდელის თავიდან აცილებას. როცა თვალი მიღულა, წმინდანს გამოეცხადა ბრწყინვალე კაცი, რომელმაც უთხრა: „ნუ გეშინინ, ჰო ილარიონ, რამეთუ დღესვე განისწავლოს მტერი იგი შენი და შეგივრდეს ფერწა შენთა“. მართლაც, როცა გათენდა, ილარიონის ბიძა მინაზე დაეცა, გორავდა და საოცარი ხმებით გოდებდა. მსახურებმა წმიდა ილარიონს მიჰვარეს ბოროტისაგან გვემული. ილარიონმა მას ჯვარი გადასახა და განკურნა. ბიძა გონს მოეგო, ცრემლებით მოინანია შეცოდება, შემდეგ კი მთელი თავისი ქონებაც მონასტერს შესწირა და თვითონაც მონაზვნად აღიკვეცა.

წმიდა ილარიონის სახელი მთელს საქართველოს მოედო, ბევრს სურდა მისგან რჩევა-დარიგების მიღება. მალე ილარიონის ეპისკოპო-

სად კურთხევა განიზრახეს. მყუდროებისმოყვარე ილარიონმა გაიფიქრა: „დიდებაზ ესე ამის სოფლისა მომატყუებელ არს საუკუნოებისა მის შეურაცხებისა“, და, ორ მონაზონ ძმასთან, ერთად კონსტანტინე-პოლში წავიდა.

ხანგრძლივი მოგზაურობის შემდეგ, ილარიონმა და მისმა თანამგზავრებმა ულუმბოს მთას მიაღწიეს, ერთი მცირე მიტოვებული ეკლესია იპოვეს და შიგ დაბინავდნენ.

ყველიერის შაბათის მწუხრზე, დიდი ლავრიდან ერთი მონოზონი მივიდა კანდელის ასანთებად, ნახა ეკლესიას შეხიზნული ძმები და მცირეოდენი საჭმელი მიუტანა.

შემდგომ შაბათს, თეოდორე ტირონის ხსენების დღეს, მოწესე ისევ მივიდა პატარა ეკლესიაში და ნახა, რომ ქართველ მოღვაწეებს მთელი კვირა თითქმის უჭმელად გაეტარებინათ. წმიდა ილარიონმა ულუმბოს მთის მონაზონს სეფისკვერი და ზედაშე სთხოვა და წირვა აღასრულა.

ულუმბოს მთის დიდი ლავრის მამასახლისმა გაიგო, რომ ეკლესიაში ვიღაც უცხო მღდელმონაზონმა უამისნირვა აღასრულა არა ბერძნულ, არამედ სხვა მათთვის გაუგებარ ენაზე. მამასახლისმა ეკონომოსი და რამდენიმე ბერ-მონაზონი გააგზავნა და უბრძანა მონასტრიდან გაეძვებინათ უცნობი მღდელმსახურები.

წმიდა ილარიონმა მამასახლისს შეუთვალა, რომ მეორე დილით წავიდოდა მონასტრიდან. იმავე ღამეს ყოვლადწმიდა ღმრთისმშობელი გამოეცხადა ლავრის მამასახლის და მკაცრად უსაყვედურა: „ჰო, უბადრუკო, რაღა ინებე განძებად უცხოთად მათ, რომელნი მოსრულ არიან სიყუარულისათვს ძისა და ღმრთისა ჩემისა და დაუტეობია ქუეყანად მათი და არა დაიმარხე მცნებად იგი უცხოთა და გლახაკთა შენყნარებისათვის, ვითარ-იგი ეტყვს მდიდარსა მას უფალი ჩემი და ძე ჩემი. ანუ არა უწყია, ვითარმედ მრავალნი დამკვდრებად არიან მთასა ამას მათისა ენისა მეტყუელნი და ცხოვრებად არიან ღმრთისა მიერ? და რომელნი მათ არა შეიწყნარებენ, მტერ ჩემდა არიან, რამეთუ ჩემდა მონიჭებულ არს ძისა მიერ ჩემისა ნათესავი იგი შეურყეველად მართლმადიდებლობისათვს მათისა, ვინათეგან პრწმენა სახელი ძისა ჩემისა და ნათელ იღეს“. შეშინებული მამასახლისი ფეხებში ჩაუვარდა წმიდა ილარიონს, შენდობა სთხოვა და შეევედრა, დარჩენილიყო და ყოვლადწმიდა დედოფლის რისხვა აერიდებინა მისთვის.

წმიდა ილარიონი და ქართველი ბერ-მონაზვნები ხუთი წელი ცხოვრობდნენ ულუმბოს მთაზე. შემდეგ ილარიონი კონსტანტინოპოლში წავიდა, თაყვანი-სცა იესუ ქრისტეს ცხოველმყოფელ ჯვარს, მოილოცა წმიდა ადგილები და რომში წავიდა პეტრე და პავლე მოციქულთა საფლავების თაყვანსაცემად.

ქალაქ რომს მიახლოებულმა ილარიონმა განკურნა ვენახის ზვრე-

ბის წინ მჯდომარე ერთი დავრდომილი კაცი და სთხოვა: „აღდეგ, ძმაო, უფალსა უბრძანებიეს და წელითა შენითა მომართუ ნაყოფისაგან სა-მოთხისა მაგის“. განკურნებული კაცი სიხარულით გაიქცა ვენახში ყურძნის გამოსატანად, მაგრამ ილარიონი იქ აღარ დახვდა.

წმიდა ილარიონი ორი წელი ცხოვრობდა რომში. შემდეგ კვლავ კონ-სტანტინოპოლში დაბრუნდა. გზად ილარიონმა თესალონიკში გაიარა, თაყვანი-სცა დიდმოწამე დიმიტრის სამარტვილეს და ქალაქის მთავ-რის კართან შეისვენა. სახლიდან მხევალმა ოთხი წლის დამბლადაცე-მული ყრმა გამოიყვანა გასასეირნებლად. ღირსმა მამამ ქალს


წყლის მოტანა სთხოვა. როცა ქალი წავიდა, ილარიონმა ჯვარი გადასახა ყრმას და თქვა: „სახელითა მამისათა და ძისათა და სულისა წმიდი-სათა შენ გეტყვ, ყრმაო, აღ-დეგ ცოცხლებით“. ყრმა სასწ-რაფოდ წამოხტა ფეხზე და დედასთან გაიქცა. წმიდა ილ-არიონმა კი სასწრაფოდ და-ტოვა იქაურობა.

განკურნებული ყრმის მა-მამ, თესალონიკის მთავარმა, ბრძანა, ჩაეკეტათ ქალაქის კარები და მოეძებნათ სასწა-ულთმოქმედი, რომ თაყვანი-ეცათ მისთვის. მართლაც, მო-ძებნეს წმიდა ილარიონი, ფე-ხებში ჩაუვარდნენ და კურთ-

ხევა სთხოვეს. თესალონიკის მთავარი შეევედრა ილარიონს, თესალო-ნიკში დარჩენილიყო და სამოღვაწეო ადგილი თვითონ აერჩია. ილარი-ონმა გამოირჩია ერთი მყუდრო ადგილი, სადაც თესალონიკის მთა-ვარმა ეკლესია ააშენა.

მთელმა თესალონიკმა გაიგო წმიდა ილარიონის მოღვაწეობის ამპა-ვი, მრავალი მიდიოდა მასთან კურთხევის მისაღებად. ილარიონის სათნო ცხოვრებამ ბევრს გაუღვიძა საღმრთო შური და ღირსი ილარი-ონის ხელით აღიკვეცა მონაზვნად.

ერთხელ წარმართებმა თესალონიკელი დიაკონი შეიპყრეს. იმავე ლამეს დიაკონს ძილში წმიდა ილარიონი ეჩვენა და უთხრა: „აღდეგ, ჰოი, დიაკონ და ნუ გეშინინ, რამეთუ მე ვარ, რომელსა იგი მევედრებო-დე“. გამოღვიძებულმა დიაკონმა იხილა, რომ ბორკილებისგან განთა-



ვისუფლებულიყო, შეუმჩნევლად გაიარა წარმართთა შორის და თესალონიკში ჩავიდა. ქალაქში ჩამოსვლისთანავე მან წმიდა ილარიონი მოინახულა და ფეხებში ჩაუვარდა მადლიერების ნიშნად. ილარიონმა უთხრა: „შვილო! ენება ღმერთსა ჭინად შენი. ამისთვისცა ანგელოზი თვის მოავლინა ხატითა ჩემითა, ვინათგან შენ სარწმუნოებით ჩემ ცოდვილისა სახელსა ხადოდე და გამოგისნა მწარისა ტყუებისაგან. ამისთვისცა ჰმადლობდი ღმერთსა მოქმედსა საკურველებათასა“.

წმიდა ილარიონმა მთელი ცხოვრება თესალონიკში გაატარა. თავისი აღსასრული მას წინასწარ ეუწყა უფლისგან, ქალაქის მთავარი დაიბარა, მადლობა უთხრა ყველაფრისათვის და ანდერძად გლახაკთა და მონაზონთა სიყვარული, სამართლიანობა და მოწყალება დაუტოვა.

მთავარმა მარმარილოს ლუსკუმა გაამზადებინა წმიდანის ნეშტისათვის. წმიდა ილარიონის სამარხთან სარწმუნოებით მისულნი ყოველგვარი სენისგან იკურნებოდნენ. ამ სასწაულების შესახებ ბიზანტიის კეისარს, ბასილი მაკედონელს (867-886) აცნობეს. კეისარმა, ულუმბოდან მასთან ჩასულ მამებს, თესალონიკის ამბები მოუთხრო. მამათა შორის ის მამასახლისიც აღმოჩნდა, რომელმაც წმიდა ილარიონის განდევნა დააპირა ულუმბოს მთიდან. ბასილი დაინტერესდა ილარიონის თანამემამულე მოწაფეებით. მას მიჰვარეს ულუმბოს მთაზე მოღვაწე სამი მოხუცებული ქართველი მონაზონი. მამების სიწმიდით გაკვირვებულმა კეისარმა კონსტანტინოპოლის პატრიარქთან გაგზავნა ისინი კურთხევისათვის.

ბასილი კეისარმა წმიდა ილარიონის მოწაფეებს შესთავაზა: „გამოირჩიენ ღირსებამან თქუენმან მონასტერი, სადაც გენებოს, თქუენთვს და ნათესავისა თქუენისათვს“. მამებმა უარი შეჰქადრეს და უთხრეს, რომ სხვის აშენებულ მონასტერში დამკიცდრება არ იყო სწორი საქმე.


მაშინ ბასილი კეისარმა თვითონ შეარჩევინა მამებს სამონასტრო ადგილი და მალე დიდი ტაძარი ააშენა. იქვე, თავისთვის, ერთი სენაკიც მოიწყო: „ესე იყოს საყოფელი ჩემი მახლობელად ღირსთა ამათ მამათა, რათა ლოცვითა მათითა ინებოს ღმერთმან ჭინად ჩემი მოსაგებელისაგან ცოდვათა ჩემთახსა“. მონასტერს რომანა-წმიდა უწოდეს.

ქართველმა ბერებმა კეისარს ურჩიეს, სამართლიანად ემართა ქვეყანა, „რათა არა განარისხო შენ ზედა უფალი და ცუდ იქმნას კეთილისყოფად შენი ჩუქუნდა მომართ“. კეისარმა თავისი ორი ძე, ლეონი და ალექსანდრე, მიჰვარა ღირს მამებს აღსაზრდელად.

ბასილი კეისარმა ილარიონის ნაწილების სატახტო ქალაქ კონსტანტინეპოლში გადასვენება ინება. იმპერატორმა თესალონიკში თავისი ხალხი გაგზავნა და თან წერილიც გაატანა ილარიონის წმიდა ნეშტან წასაკითხად: „ბასილი მეფე, ცოდვილი მონად ცათა მეუფისად, გევედრები, წმიდაო მამაო ილარიონ, აღმოვედ ქალაქად სამეუფოდ, დალა-

ცათუ არა ღირს ვიქმენ პირისპირ ხილვად შენდა, გარნა ან ღირს მყავ ამბორისყოფად წმიდათა ნაწილთა შენთა და იხაროს ქალაქმან ამან სამეუფომან შემთხუევითა მათითა და მადლი შენი იყავნ ჩუენ თანა, ამინ“. თესალონიკელები არ დათანხმდნენ წმიდა ილარიონის ნაწილების მიცემაზე. კეისრის კარისკაცები იძულებულნი გახდნენ, ღამით მალულად გაეხსნათ ლუსკუმა და წმიდანის ნაწილები ჩუმად წაესვენებინათ.

კეისარმა წმიდა ილარიონის ნაწილები დროებით თავის პალატში დაასვენა, სანამ განსაკუთრებულ საძვალეს ააშენებდა მისთვის. მესამე ღამეს იმპერატორი კეთილსურნელებამ გამოაღვიძა. როცა მან კვლავ მილულა თვალები, სამღვდელო სამოსელში ჩაცმული წმიდა ილარიონი გამოეცხადა და უთხრა: „კეთილად ჰყავ შეწყნარებად ჩემი, ჰორი, მეფე, უცხოდსა ამის და გლახაკისად, გარნა სულნელებად ესე, რომელ იყნოსე, არა მომიგიეს მე იგი ქალაქთა შინა, არამედ უდაბნოთა. ან უკუეთუ გნებავს, რათა სრულებით მადლი გაქუნდეს, წარმიყვანე მე უდაბნოსავე ადგილსა“. კეისარმა კონსტანტინეპოლის პატრიარქს და მთავრებს აუწყა ყოველივე და წმიდა ილარიონის ნაწილები დიდი პატივით წაასვენა რომანა-წმიდის მონასტერში.



მღდელმოწამე გრიგოლ ფერაძე დაიბადა 1899 წლის 31 (13.09) აგვისტოს სილნალის მაზრის სოფელ ბაკურციხეში (ახლანდელი გურჯაანის რაიონი). მღდელ რომანოზ ფერაძისა და მარიამ სამარდალაშვილის ოჯახში.

1905 წელს მამა რომანოზი უეცრად გარდაიცვალა და მარიამს გასაზრდელად დარჩა სამი ობოლი: არჩილი, გრიგოლი და ვასილი. მარიამს ძალიან გაუჭირდა და გრიგოლი, ბიძამ, კვარელის ეკლესიის მოძღვარმა, გიორგი ფერაძემ, წაიყვანა თავისთან.

სასკოლო ასაკს მიღწეული გრიგოლი დედამ ტფილისის სასულიერო სასწავლებელში მიაპარა.

სასწავლებლის დამთავრების შემდეგ, გრიგოლმა სასულიერო სემინარიაში დაიწყო სწავლა, რომლის რექტორიც იმხანად იყო ცნობილი მეცნიერი კორნელი კეკელიძე.

1918 წელს, გრიგოლი ტფილისის ახალგახსნილი უნივერსიტეტის სიბრძნისმეტყველების ფაკულტეტზე ჩაირიცხა. იმავდროულად მასწავლებლად მუშაობდა გორის მაზრის სოფელ ზემო ხანდაკში.

1919 წელს, გრიგოლი დამოუკიდებელი საქართველოს რესპუბლიკის ჯარში სავალდებულო სამხედრო სამსახურში გაიწვიეს.

1921 წელს, გრიგოლი კვლავ უნივერსიტეტს დაუბრუნდა, ამავე წელს, როცა ბოლშევიკები თავს დაესხნენ საქართველოს, გრიგოლი, მის ორ ძმასთან ერთად, სამშობლოს დამცველთა რიგებში ჩადგა.

1921 წლის შემოდგომაზე, გარეკანეთის სამღდელოებამ, გრიგოლ ფერაძე გელათში გამართულ საეკლესიო კრებაზე თავის წარმომადგენლად მიავლინა. მღდელმოწამე ნაზარისა (ლეჟავა) და კორნელი კეკელიძის შუამდგომლობით ამ კრებაზე გადაწყდა გრიგოლის ევროპაში სასწავლებლად გაგზავნა.

1922 წლის მაისში, გრიგოლ ფერაძე ბერლინის უნივერსიტეტის თეოლოგიის ფაკულტეტის სტუდენტი გახდა.

1925 წელს, გრიგოლი სასწავლებლად გადავიდა ბონის უნივერსი-

ტეტის ფილოსოფიის ფაკულტეტზე, სადაც იღრმავებდა რელიგიის საკითხებისა და აღმოსავლური ენების ცოდნას, მიიღო ფილოსოფიის დოქტორის ხარისხი ნაშრომისათვის — „სამონასტრო საწყისების საკითხები საქართველოში“. იმ დროიდან მოყოლებული, ვიდრე 1927 წლამდე, განაგრძობდა ღმრთისმეტყველების შესწავლას — ლექციებს ისმენდა ლიოვაიანეს უნივერსიტეტში.

1927 წლიდან გრიგოლ ფერაძე სამეცნიერო მუშაობას ეწეოდა ინგლისში, სადაც გაეცნო ბრიტანეთის მუზეუმისა და ოქსფორდის უნივერსიტეტის ბიბლიოთეკებში დაცულ ეკლესიის მამათა თხზულებების უძველეს ხელნაწერებს. 1927 წლის ივლისში გრიგოლი დანიშნეს ბონის უნივერსიტეტის პრივატ-დოცენტის თანამდებობაზე.

1932 წელს, გრიგოლი მიიწვიეს ოქსფორდში საქართველოს ეკლესიის ისტორიის საკითხებზე ლექციების ნასაკითხად. 1931 წელს, გრიგოლი მონაზვნად აღიკვეცა, მალევე მღდლად დასახეს ხელი, არქიმანდრიტობაც უბოძეს და პარიზის ქართული სამრევლო ჩააბარეს. გრიგოლ ფერაძემ პარიზში დაარსა წმიდა ნინოს სახელობის ქართული ეკლესია და სამრევლო უურნალი „ჯვარი ვაზისა“.

1932 წელს, მამა გრიგოლი ვარშავის მართლმადიდებლური სასულიერო სკოლის პროფესორად აირჩიეს. გრიგოლ ფერაძის უდიდესი ცოდნა შერწყმული იყო ღრმა რწმენასთან. მისი ლექციები გამსჭვალული იყო ეკლესიის მამების შემოქმედებითი სულით. მამა გრიგოლი ხშირად კითხულობდა მოხსენებებს სამეცნიერო კონფერენციებსა და ევროპის სხვადასხვა სამეცნიერო ცენტრებში. ის მთელ თავის სახსრებს ახმარდა სირია-პალესტინაში, საბერძნეთში, ბულგარეთში, ავსტრიაში, რუმინეთში, იტალიასა და ინგლისში ქართული საეკლესიო ხელნაწერებისა და ქართული ეკლესიის ისტორიისათვის ცნობების მოძიებას. მისი შრომითა და ღვაწლით ბევრი ქართული ხელნაწერი იქნა აღმოჩენილი. ორი თვისება — შრომისმოყვარეობა და თავმდაბლობა ახასიათებდა მამა გრიგოლ ფერაძეს მთელი ცხოვრების მანძილზე. ქართულმა საზოგადოებამ, იშვიათი გამონაკლისის გარდა, თითქმის არაფერი იცოდა მისი მოღვაწეობის შესახებ.

იმ დროს, საფრანგეთში ინახებოდა საქართველოს ეკლესიის განძე-



გრიგოლ ფერაძე
ევროპაში მოღვაწეობის დროს

ულობა, რომელიც გრიგოლ ფერაძის თავგანწირული მოქმედების შედეგად გადაურჩა გერმანელი ფაშისტებისაგან კონფისკაციას. მან, როგორც ექსპერტმა, სიკვდილის საფრთხის მიუხედავად, დასკვნაში აღნიშნა, რომ ქართული კულტურის საუკეთესო ნაწილი, არავითარ მატერიალურ ფასეულობას არ წარმოადგენდა და მხოლოდ ეროვნული ღირებულება ჰქონდა.

1942 წლის მაისში მამა გრიგოლი ვარშავაში გესტაპომ დააპატიმრა. დაპატიმრების უშუალო მიზეზი გახდა ის, რომ მამა გრიგოლი ეხმარებოდა და იფარებდა ფაშისტებისგან დევნილ სხვადასხვა ეროვნების ადამიანებს. გრიგოლის ბინაზე ჩატარდა ჩხრეკა, რის შედეგადაც გაქრა ის ძეირფასი ძველი ხელნაწერები, რომლებზეც იგი მუშაობდა, ასევე ძვირფასი საეკლესიო ნივთები, რომელთაც იგი თავისი მოგზაურობის დროს საქართველოში დასაბრუნებლად იძენდა.



ოფიციალური გერმანული ცნობების თანახმად გრიგოლ ფერაძე აღესრულა 1942 წლის 6 დეკემბერს, 16 საათსა და 45 ნუთზე. ესაა ოსვენციმის ბანაკის ადმინისტრაციის მიერ 1942 წლის 30 დეკემბერს გაცემული ცნობა, ხოლო ოსვენციმში პოლონეთის იმდროინდელი მთავრობის წარმომადგენლის ჩანაწერში, რომელიც 1942 წლის დეკემბრის ამბებს შეეხება, აღნიშნულია: „ბანაკი ოსვენციმი. აქ გარდაიცვალა რამდენიმე კვირის წინ მოყვანილი გრიგოლ ფერაძე, პროფესორი, თეოლოგი, მართლმადიდებელი, ქართველი, გამოჩენილი მეცნიერი“. როგორც ირკვევა, არქიმანდრიტმა გრიგოლმა, მოყვასის სიყვარულით თავს იდვა სხვებისთვის განკუთვნილი სასჯელი და მათ წაცვლად აღესრულა, იგი გაზის კამერაში მოაკვდინეს ფაშისტებმა.

არქიმანდრიტი გრიგოლ ფერაძე

ნეიდა მეფე ვახტანგ გორგასალი (+502) 30 (13-12) ნოემბერი



კეთილმსახური შეფე ვახტანგ
გორგასალი ქართლის, ანუ იბერიის
მეფე-ერისთავებს შორის არის ოც-
დამეტხუთმეტე, ქართლის გაერის-
ტიანების შემდეგ კი — მეათე მეფე.

ვახტანგის მამა იყო ქართლის მეფე
მირდატ მეხუთე არჩილის ძე, რომელ-
იც მუდმივად ებრძოდა და თავს ესხ-
მოდა რანსა და მოვაკანში დაბანაკე-
ბულ სპარსელებს. იმ დროს რანის
ერისთავი იყო ბარზაბოდი, რომელ-
საც ჰყავდა უმშვენიერესი ასული
საგდუხტი. მირდატს შეუყვარდა საგ-
დუხტი და ქალის სიყვარულისთვის
მშვიდობიანი ურთიერთობები შესთა-
ვაზა რანის ერისთავს. მირდატმა
ცოლად შეირთო საგდუხტი, რომელ-
მაც მალევე მიიღო ქრისტიანობა.

მირდატსა და საგდუხტს ასული
შეეძინათ და უწოდეს სახელი ხუარანძე. ოთხი წლის შემდეგ, 443 წელს,
დაიბადა ვაჟი და უწოდეს სახელი სპარსულად ვარან-ხუასრო-თანგი,
ხოლო ქართულად ვახტანგი. მაშინდელი ჩვეულების თანახმად, ვახ-
ტანგი ალსაზრდელად მიაბარეს ქართლის სპასპეტს საურმაგსა და
ქართლის მთავარეპისკოპოს იოველს. მეფე მირდატს კიდევ შეეძინა
ქალიშვილი მირანდუხტი, რომელიც კასპში აღზარდეს.

450 წელს გარდაიცვალა მეფე მირდატი და დარჩა ვახტანგი შვიდი
წლის ყრმა.

საგდუხტ დედოფალი ბარდავში წავიდა მამამისთან და სთხოვა არ
აეოხრებინა ქართლი და შეენარჩუნებინა ხალხისთვის ქრისტიანობა. ბარზაბოდმა შეუსრულა ასულს თხოვნა, მაგრამ ცეცხლთაყვანის-
მცემელი ქურუმები გამოაგზავნა ქართლში და მკაცრად გააფრთხილა
საგდუხტი, ხელი არ შეეშალა ქურუმთა საქმიანობისთვის. შენუ-
ხებულმა საგდუხტ დედოფალმა საბერძნეთიდან ჩუმად ჩამოიყვანა
მღდელი მიქაელი, რომელიც მცხეთის სამთავრო ეკლესიის ეპისკო-
პოსად იქნა დადგენილი. მიქაელი ქრისტიანული სარწმუნოების
ჭეშმარიტებას უქადაგებდა ხალხს და პატარა ვახტანგსაც ქრისტეს
სიყვარულს ასწავლიდა.

ათი წლის იყო ვახტანგი, როდესაც ოსები შემოესიერ ქართლს და ტყვედ წაიყვანეს ვახტანგის უმცროსი და მირანდუხტი. იმავე დროს, ბერძნებმა, ეგრისიდან ციხეგოვანამდე დაიპყრეს აფხაზეთი.

როცა ვახტანგი თხუთმეტი წლის გახდა, მან მოუხმო ქართლის დიდებულებს და საგანგებოდ გამზადებულ მაღალ სამეფო ტახტზე დაჯდა. მეფის გვერდით დასხდნენ მთავარებისკოპოსი იოველი, სპასპეტი ჯუანშერი და ეპისკოპოსი მიქაელი. თხუთმეტი წლის ვახტანგმა — „ვითარცა მოხუცებულმან და ბრძენმან და ვითარცა აღზრდილმან ფილოსოფოსთა თანა“, ბრძანა, რომ ქვეყანაზე მონეული განსაცდელი ღმრთის წყრომა იყო და ყველას მოუწოდა სამშობლოს განსათავისუფლებლად.

ჯუანშერმა სიტყვით მიმართა ვახტანგ მეფეს და ურჩია, თუმცა სიბრძნით, ძალით, სიმხნით და აგებულებით სრულყოფილი ხარ, მაგრამ მხედრობისათვის არასრულწლოვანი ხარ. გამოარჩიე ერთი ვინმე ჩვენგანი ლაშქრის წინამდლვრად, ხოლო შენ იყავი შინ და განაგე მეფობა, შენ რომ ომში დაიღუპო, ქვეყანა წარწყმდება, რადგან შენი ნაცვალი სხვა არავინ არისო. ვახტანგ მეფე არ დათანხმდა ჯუანშერის წინადადებას და თვითონ ინება ჯარის წინამდლოლობა.

ვახტანგ მეფემ შეკრიბა ასიათასი მხედარი და სამოციათასი ქვეითი, ამას დაემატა ვარაზ-ბაჟურის თორმეტათასიანი მხედარი და კავკასიელი ტომების ორმოცდაათიათასიანი ჯარი. ლაშქარი ვახტანგ მეფის მეთაურობით შევიდა ოსეთში. ოსეთისა და ხაზარების გაერთიანებული ძალები მდინარე თერგის ნაპირებზე განლაგდნენ. პირველ შვიდ დღეს მდინარეზე ერთმანეთს გამორჩეული მხედრები ებრძოდნენ სათითაოდ.

ხაზართა გოლიათმა თარხანმა, მრავალი საუკეთესო ქართველი მებრძოლი დაამარცხა. ვახტანგ მეფემ თვითონ ინება თარხანთან პირისპირ შებრძოლება. თარხანმა გაიცინა — მე მხოლოდ გამოცდილ გმირებს ვებრძვი, მაგრამ ამჯერად დავიდაბლებ თავს ბრძოლით შენისთანა ყმანვილთანო. ორთაბრძოლაში ვახტანგმა მოკლა თარხანი. მეორე დღეს, ოსებმა რჩეული მებრძოლი ბაყათარი გამოიყვანეს მეფის წინააღმდეგ. ბაყათარი ისრების სროლით გამოემართა ვახტანგთან საბრძოლველად. ვახტანგი თავისი გონების სიმახვილითა და თვალის სისწრაფით იოლად იცილებდა მისკენ ნასროლ ისრებს. ბოლოს კი ხმლით განგმირა ბაყათარი და „სასოებითა და მინდობითა ღმრთისათა, სამებისა ერთარსებისა დაუსაბამოთა და წარმდლვანებითა ჯუარისა მის პატიოსნითა“ დაამარცხა ოსთა ჯარი.

ვახტანგმა, ტყვეობიდან გამოხსნილი მირანდუხტი, საქართველოში გამოაგზავნა, ხოლო თვითონ, დიდი ლაშქრით, წავიდა აფხაზეთში. იმ დროს, ბერძენთა მეფე, სპარსელების წინააღმდეგ იბრძოდა და ვერ

შეძლო ვახტანგის წინააღმდეგ აფხაზეთში თავისი ჯარის გამოგზავნა. სამი წლის ბრძოლის შემდეგ, ვახტანგმა აფხაზეთის ყველა ციხე-სი-მაგრიდან განდევნა ბერძნები.

მცხეთაში დაბრუნებულმა მეფემ ცოლად შეირთო სპარსთა მეფის ასული ბალანდუხტი. სპარსთა მეფემ ბალანდუხტს მზითვად მისცა და ვახტანგ მეფეს დაუმორჩილა სპარსთა მიერ დაპყრობილი სომხეთი და კავკასიის სამეფოები. ბალანდუხტს თან გამოჰყვა მისი გამზრდელი რაჟდენი, რომელმაც, დედოფალთან ერთად, მიიღო ქრისტიანობა და შემდეგ მონამეობრივად აღესრულა.

სპარსთა მეფემ ვახტანგს ბერძენთა წინააღმდეგ საბრძოლველად მოუწოდა. იმ დროს ვახტანგი ოცდაათი წლისა იყო, ყველა კაცზე მაღალი — „ათორმეტი ბრჭყალი კაცისა იყო სიმაღლე მისი“ (ორი მეტრი და ორმოცი სანტიმეტრი), ისეთი სწრაფი, რომ ირმის დაჭერა შეეძლო და ფიზიკურად ისეთი ძლიერი, რომ შეჭურვილ ცხენს მხრებით იღებდა და მცხეთიდან არმაზის მთაზე, ციხეში ადიოდა.

ვახტანგმა კავკასიელი მეფეებისგან შეკრიბა ლაშქარი, ბერძენთა წინააღმდეგ წარემართა საბრძოლველად და კონსტანტინეპოლამდე ჩააღწია. სპარსელები ანგრევდნენ ქრისტიანულ ტაძრებს და ეკლესიებს მსახურებს კლავდნენ. მეფემ მის მებრძოლებს სასტიკად აუკრძალა ღმრთისმსახურთა მოკვლა.

ვახტანგმა სპარსელებს გაანთავისულებინა დატყვევებული ბერძენი სამღდელოება. მათგან ორი ღმრთისმსახური, პეტრე მღდელი და სამოელ მონაზონი, თავისთან დაიტოვა. პეტრე მღდელმა მკაცრად ამხილა ვახტანგი და მოუწოდა მიებაძა იმ კეთილმსახური მეფეებისათვის, რომლებმაც დაიპყრეს სოფელი და არც სასუფეველს განშორებიან. აუხსნა, რომ, სპარსელების ერთგულება და ქრისტიან ბერძენთა წინააღმდეგ ბრძოლა არ იყო ქრისტესთვის სათნო საქმე.

ვახტანგმა პეტრე მღდელს უთხრა, რომ მის დარიგებას მხოლოდ იმ შემთხვევაში შეისმენდა, თუ ღამით მას ძილში ბიზანტიის კეისარი გამოეცხადებოდა და იგივეს ეტყოდა.

ღამით, ვახტანგ მეფეს წმიდა ნინო გამოეცხადა და უთხრა: მოკრძალებით მიგებებოდა მისკენ მიმავალ ორ მეფეს — ზეცისას და ქვეყანისას. ვახტანგმა იხილა ორი ტახტი: ერთზე იჯდა ჭაბუკი ბიზანტიის იმპერატორი — გვირგვინოსანი საჭურვლით, მეორეზე კი — მოხუცებული გრიგოლ ღმრთისმეტყველი, ნათლის გვირგვინით. გრიგოლის ფერხთით იჯდა წმიდა ნინო. ვახტანგის მარჯვენა ხელი ეპყრა პეტრე მღდელს, ხოლო მარცხენა — სამოელს. სამოელმა უთხრა ვახტანგს, პირველად თაყვანი ეცა გრიგოლ ღმრთისმეტყველისათვის. მივიდა ვახტანგი და თაყვანი-სცა. გრიგოლმა მრისხანედ მიმართა ვახტანგს: ეს რა ბოროტება ჩაიდინე, მოახსრე ქვეყანა და

მხეცებს შეაჭამე ქრისტიანები. რომ არა პეტრე და სამოელი, რომელიც, გვერდით გიდგანან და წმიდა ნინო, რომელიც ღმრთისმშობელთან ერთად, მარადის ლოცულობს თქვენთვის, შურს ვიძიებდი შენი ბოროტებისთვის. ვახტანგი ხელზე ეამბორა გრიგოლს. გრიგოლმა ნათლის გვირგვინი მისცა ვახტანგს და უბრძანა, პეტრესთვის დაედგა თავზე. პეტრემ თავის გვირგვინზე უდარესი გვირგვინი დაადგა სამოელ მონაზონს. შემდეგ, ვახტანგი, წმიდა ნინოს ბრძანებით, კეისარს მიუახლოვდა და დასვა კეისარმა ვახტანგი მის ტახტზე, თავის გვერდით. შემდეგ კეისარმა ბეჭედი მოიხსნა ხელიდან და უთხრა ვახტანგს: თუ გნებავს გვირგვინი, აღუთქუ მას, ვინც ჩვენს წინ დგას, რომ შეებრძოლები მის მტრებს და მიიღე მისგან გვირგვინი, მოიხედა ვახტანგმა და იხილა ჯვარი, რომელსაც ფრთხებზე ჰქონდა გვირგვინი. კეისარმა აიღო გვირგვინი ჯვარისაგან და დაადგა ვახტანგს. გრიგოლ ღმრთისმეტყველმა აკურთხა ვახტანგი სამგზის: „ვახტანგ, ვახტანგ, ვახტანგ! უმეტესად მორნმუნე იქნები შენ სპარსთა შორის, აშენდებიან შენგან ეკლესიები და განენესებიან ეპისკოპოსები და ეპისკოპოსთა მთავარი და წამების გვირგვინსაც მიიღებ.“

პეტრემ და სამოელმა ძილშივე აუხსნეს ვახტანგს, რომ გრიგოლ ღმრთისმეტყველისაგან პეტრესადმი მიცემული გვირგვინი, პეტრეს მთავარებისკოპოსობას მოასწავებდა, ხოლო სამოელისადმი გვირგვინის დადგმა, ნიშნავდა პეტრეს მიერ სამოელის ეპისკოპოსად კურთხევას. კეისრისაგან მოცემული ბეჭედი ნიშნავდა, რომ კეისარი მის ასულს მიცემდა ცოლად ვახტანგს და ქართლის მიტაცებულ ტერიტორიებს დაუბრუნებდა. ჯვარისაგან აღებული გვირგვინი ნიშნავდა ჯვარის შემწეობით აღსრულებულ ღვანწლს, ხოლო გრიგოლ ღმრთისმეტყველის სამგზის კურთხევა ნიშნავდა, რომ ვახტანგს უნდა განემტკიცებინა ქართლში ჭეშმარიტი სარწმუნოება. დაემტკიცებინა კათოლიკოსი, ეკლესიისთვის მოეპოვებინა დამოუკიდებლობა და მიელო წამების გვირგვინი.

დილით, ვახტანგ მეფემ მოუხმო პეტრესა და სამოელს და მოუთხრო ჩვენების შესახებ. აღმოჩნდა, რომ პეტრესა და სამოელსაც იგივე ჩვენება უნახავთ. ვახტანგ მეფემ, პეტრე მღდელი გააგზავნა კეისართან. პეტრე მივიდა კეისართან და ყოველივე მოუთხრო. კეისარმა პეტრეს პირით შეუთვალა ვახტანგს, რომ იგი ვახტანგს მის თანასწორ მეფედ თვლიდა და სთხოვა, შეერთებოდა ბერძნებს და ერთად დაემარცხებინათ სპარსელები.

იმპერატორის მოციქულებმა ვახტანგს საიდუმლოდ მოართვეს ჯვარი, გვირგვინი და სამეფო შესამოსელი. ვახტანგმა მადლობა მოახსენა მოციქულებს და იმპერატორს შეუთვალა: რაც არ შვენის შენს ღმრთისმოყვარეობას, სხვას ნუ აიძულებ, რამეთუ ღალატი

პატიოსანი კაცის საქმე არ არის. ახლა რომ სპარსელები დაგამარცხებინო, ჩემი სახელი გაცრუვდება, ჩვენ დამოყვრებას კი წინ აღარაფერი უდგასო.

ბერძენ-სპარსელთა ბრძოლაში ქართველებს მონაწილეობა არ მიუღიათ. ომში გამარჯვება ბერძნებმა მოიპოვეს, დაიღუპა ვახტანგის დედის ძმა, სპარსთა ერისთავი. ამის შემდეგ, ბერძენთა ლაშქარი კეის-რის ნებართვის გარეშე, შეებრძოლა ქართველებს. ვახტანგმა პირისპირ შეებრძოლებისას მოჰკლა ბერძენთა სპასალარი და ქართველებმა გაიმარჯვეს. ამ ბრძოლაში დაიღუპა ორმოცდა-სამიათასი ქართველი. ვახტანგმა გაანთავისუფლა დატყვევებული შვიდასოთხმოციათასი კაცი და კეისარს გაუგზავნა. გახარებულმა კეისარმა პატივით მიიღო ვახტანგი და მისი ასული შესთავაზა ცოლად. ვახტანგმა მადლობა მოახსენა კეისარს და აღუთქვა, რომ ქართლში დაბრუნების შემდეგ ის შესაბამისად მოემზადებოდა — წაიყვანდა იმპერატორის ასულს ცოლად, პეტრე მღდელს ქართლის მთავარეპისკოპოსად დაადგენდა, ხოლო სამოელს, ეპისკოპოსად.

წამოვიდა ვახტანგი კლარჯეთის გზით. გზად გამოიარა თუხარისი, შუა კლარჯეთში, არტანუჯში დაადგინა ერისთავი და უბრძანა ციხე-სიმაგრისა და მონასტრის აშენება. ააშენა ოპიზის მონასტერი და ეკლესიები მერისში, შინდობისა და ახიზაში.

მცხეთაში მისულ ვახტანგს ხალხი დიდი სიხარულით შეხვდა. ვახტანგის ცოლმა, ბალენდუხტ დედოფალმა, შვა ტყუპები — ძე და ასული და მშობიარობისას გარდაიცვალა. ვახტანგმა, თავის ძეს, დაჩი დაარქვა. მან ხელი მიჰყო ქართლში ციხე-სიმაგრეების აშენებას, ქართლიდან განდევნა ცეცხლმსახურთა ქურუმები.

სამი წლის შემდეგ, სპარსთა მეფე ქართლის დასალაშქრად გამოემართა. ვახტანგმა დახმარებისთვის მიმართა ბიზანტიის კეისარს, მაგრამ კეისარი ხაზარეთში იყო და ვერ შეძლო ქართლში ჯარის გამოგზავნა. ვახტანგმა ორასი-ათასიანი მხედრობა შეკრიბა სპარსელთა სამასი-ათასიანი ლაშქრის წინააღმდეგ. ბრძოლა არმაზისა და მცხეთის მიდამოებში გაიმართა. ვახტანგის საომარ მუზარადზე წინ მგელი იყო გამოსახული, უკან კი ლომი. სპარსელებთან ომის დროს მუზარადზე მგელ-ლომ გამოსახული მეფის გამოჩენა შიშის ზარს სცემდა ყველას, სპარსელები ხმამაღლა გასძახოდნენ ერთმანეთს: „დურ აზ გორგასარ“ (მოერიდეთ მგლისთავს). ამის შემდეგ ეწოდა ვახტანგს, გორგასალი.

ოთხ თვეს გაგრძელდა ბრძოლა, ბერძენთა კეისრისაგანაც მოვიდა დასახმარებლად ოთხმოციათასი მხედარი, შეშინდა სპარსთა მეფე და ვახტანგს დაზავება შესთავაზა. შემდეგ, ვახტანგის მცდელობით, მოხდა ბერძენთა და სპარსელთა შერიგებაც და ერთმანეთისთვის

ნართმეული ტერიტორიების დაბრუნება.
სპარსელებმა მისცეს ბერძნებს ჯაზიერი,
ფილისტიმი და იერუსალიმი.

სპარსთა მეფემ იერუსალიმის სანაცვალ-
ოდ, ვახტანგს სთხოვა, მისი ულამაზესი და
მირანდუსტი მიეცა ცოლად და საომრად
გაჰყოლოდა აბაშთა, ელაბელთა და ჰინ-
დოთა წინააღმდეგ.

ვახტანგ მეფემ მისი ხუთი წლის შვილ
დაჩის, დაადგა გვირგვინი და ქართლის
მეფედ განამწესა. მცირენლოვან დაჩის, ვახ-
ტანგმა დაუტოვა ქვეყნის უერთგულესი
შვილი წარჩინებული კაცი და ათი-ათასი
რჩეული მხედარი. ვახტანგს, დედამ და, დამ
ხუარანძემ, სთხოვეს თან წაეყვანა ისინი
იერუსალიმში სალოცავად. ვახტანგმა წაიყ-
ვანა ისინი და დიდალი ძლვენი შესწირეს
წმიდა ადგილებს.

სამი წელი იბრძოდა ვახტანგი ინდოეთში
და ყველა განაკვირვა მისი სიმხნითა და
სიბრძნით. სინდთა მეფემ, ბრძოლის წინ იგა-
ვურად უთხრა ვახტანგ მეფეს, რომ ქრი-
სტიანთა მხრიდან სპარსელების დახმარება,
არ იყო კეთილი საქმე და ვახტანგს უგუნური უწოდა. ვახტანგმა აუხს-
ნა სინდთა მეფეს, რომ ის ჰინდოეთში საბრძოლველად მივიდა არა
ამსოფლის დიდებისათვის და სპარსთა მეფის მსახურებისათვის,
არამედ ღმრთისმსახურებისათვის, რადგანაც, მისი იქ მისვლით, მან
გამოიხსნა იერუსალიმი და ყოველი საქრისტიანო დაიხსნა მოოხრე-
ბისაგან. ხოლო თუ უფალი დაუშვებდა ვახტანგის სიკვდილს, ამით ის
საუკუნო ცხოვრებაში გადაინაცვლებდა.

სინდთა მეფემ, ჰირისპირ ბრძოლაში გამოიწვია ვახტანგი და
დაცინვით უთხრა, რომ ამ ბრძოლაში გარდაიცვლებოდა ვახტანგი
საუკუნო ცხოვრებისათვის. ვახტანგმა მშვიდად მიუგო, რომ ახლან-
დელი სიკვდილი მას არ მიაჩნდა სიხარულად, რადგანაც ცოდვები არ
ჰქონდა სრულად მონანიებული, ამიტომაც თვითონ ღმერთი მოკლავ-
და ვახტანგის ხელით სინდთა მეფეს და მისი სული ბნელსა და უშრეტ
ცეცხლში წავიდოდა.

ვახტანგმა დაამარცხა მეფე, მაგრამ სასიკვდილოდ ვერ გაიმეტა და
ხარკი დაადო მთელს სამეფოს.

მცხეთაში დაბრუნებულ ვახტანგს მიეგებნენ მისი შვილი დაჩი,



ვახტანგ გორგასალი.
ხატი დაწერილია კათოლიკოს-
პატრიარქი ილია II-ის მიერ

წარჩინებული მთავრები, მთავარეპისკოპოსი მიქაელი და ეპისკოპოსები. როდესაც მთავარეპისკოპოსმა მიქაელმა გაიგო, რომ ვახტანგ მეფეს პეტრე მღდელის ქართლის კათალიკოსად დადგინდა უნდოდა, ძალიან გაბრაზდა, დასწყევლა მეფე და ყოველი მისი ერთგული დიდებული. ვახტანგმა გადაწყვიტა სიმდაბლით მოედრიკა განრისხებული მთავარეპისკოპოსი, მიეახლა, ჩამოქვეითდა და დაჩირქილმა ფეხშე მთხვევა დაუპირა. მთავარეპისკოპოსმა ქუსლი ჩაარტყა მეფეს და კბილი ჩაუმტვრია.

ვახტანგ მეფემ, კონსტანტინოპოლის პატრიარქს გაუგზავნა განსასჯელად მიქაელ მთავარეპისკოპოსი. კონსტანტინოპოლის პატრიარქმა პატივი აჰყარა მრისხანე მღდელმთავარს და მონასტერში გაამნესა მოსანანიებლად. შემდგომ, კონსტანტინოპოლის პატრიარქმა და იმპერატორმა, ანტიოქიის პატრიარქთან გაგზავნეს ვახტანგ მეფის რჩეული წმიდა პეტრე, სამოელი და სხვა სამღდელონი კურთხევის მისაღებად. ანტიოქიის პატრიარქმა აკურთხა თორმეტი ეპისკოპოსი, ხოლო წმიდა პეტრე კათოლიკოსად დაადგინა. კონსტანტინეპოლში დაბრუნებულ სამღდელოებასა და დიდებულებს იმპერატორმა მისი ასული, ელენე, გააყოლა ვახტანგისათვის ცოლად.

ვახტანგსა და ელენეს სამი ძე და ორი ასული შეეძინათ. ვახტანგ მეფემ, მის პირმშო შვილს, დაჩის, საბრძანებელად მისცა მთელი ქვეყანა მტკვრის აღმოსავლეთით, თვითონ კი უჯარმაში დაჯდა და იქ ააგო სამეფო სასახლე.

ვახტანგ გორგასალმა ჩაუყარა საფუძველი ქალაქ ტფილისის დაარსებას. გადმოცემის მიხედვით, მცხეთიდან სანადიროდ გასული ვახტანგი ტყეში შემთხვევით წააწყდა ცხელი გოგირდიანი წყლის წყაროს, რომელშიც მისი შევარდენი, წანადირევი ხობითურთ ჩაიფუფქა. მეფეს მოეწონა ადგილმდებარეობა და ბრძანა იქ ქალაქის აშენება, რომელსაც ტფილი (თბილი) წყაროების გამო, ტფილისი უწოდეს (ასე ერქვა საქართველოს დედაქალაქს 1936 წლამდე).

ვახტანგმა აღასრულა მირიან მეფის სურვილი და იერუსალიმში აა-



შენა ქართველთა ჯვარის მონასტერი. ვახტანგ მეფემ, მცხეთაში, წმიდა ნინოს დროინდელი ხის ეკლესიის ნაცვლად, ქვის ტაძარი ააგო. მის დროს დაარსდა საეპისკოპოსო კათედრები: ახიზა, არტაანი, წუნდა, მანგლისი, ბოლნისი, რუსთავი, ნინოწმიდა, ჭერემი, ჩელეთი, ხორნა-ბუჯი, აგარაკი და ნიქოზი.

სამოცი წლის იყო მეფე ვახტანგი, როდესაც სპარსთა ახალგაზრდა მეფე ხოსრომ, ბერძენთა წინააღმდეგ ლაშქრობაში დახმარება სთხოვა ქართველებს და თან ვახტანგის ასულის ცოლობაც მოისურვა. ვახტანგმა შეუთვალა ხოსროს, რომ ბერძნებამდე მათ ქართველებთან მოუწევდათ ომი და საბრძოლველად განემზადა.

ხოსრო შეიდასორმოციათასიანი ლაშქრით შემოესია საქართველოს. ვახტანგ მეფემ პეტრე კათალიკოსს უთხრა, რომ სპარსელების ეს თავდასხმა იყო საქრისტიანოზე გამოლაშქრება და კურთხევა აიღო სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლისთვის. კათალიკოსმაც აკურთხა მეფე და უთხრა, ამ ბრძოლაში დამარცხება იქნებოდა არა მხოლოდ საქართველოს მოოხრება, არამედ იერუსალიმისა და მთელი ქრისტიანული სამყაროს შერყვნა.

ბრძოლის წინ, ვახტანგმა, მისი ორასორმოციათასიანი მხედრობა მკაცრად გააფრთხილა, ვინც უკან დაიხევდა, მას აუცილებლად მოკლავდნენ, როგორც მოღალატეს. ვახტანგ მეფე შეიჭრა სპარსთა მეფის კარავში და სპარსთა მეფის შვილი, ბარტა, გამოასალმა სიცოცხლეს. მეფე ხოსრომ კი მოასწრო გაქცევა.

ბრძოლაში ერთმა სპარსელმა ისარი მოარტყა ვახტანგს მკერდში, ჭრილობამ ფილტვებამდე მიაღწია და მეფე იძულებული შეიქნა, ბრძოლის ველი დაეტოვებინა.

სიკვდილის წინ ვახტანგ გორგასალმა, უჯარმის ციხეში თავისთან იხმო კათოლიკოსი პეტრე, ოჯახი, ერისმთავარი და ანდერძი დაუბარა: „მე ესერა წარვალ წინაშე ღმრთისა ჩემისა და ვმადლობ სახელსა მისსა, რამეთუ არა დამაკლო გამორჩეულთა წმიდათა მისთა, ან გამცნებ თქუენ, რათა მტკიცედ სარწმუნოებასა ზედა დგეთ და ეძიებდეთ ქრისტესთვის სიკვდილსა სახელსა მისსა ზედა, რათა წარუვალი დიდება მოიგოთ“.

ვახტანგ გორგასალი დაკრძალეს მის მიერ აგებულ სვეტიცხოვლის ტაძარში.



წმიდა პეტრე კათოლიკოსი დაახლოებით 460-500 წლებში განაგებდა საქართველოს ეკლესიას. პეტრეს შემდეგ საქართველოს კათოლიკოსის ტახტი დაიკავა წმიდა სამოელ კათოლიკოსმა. ორივე კათოლიკოსი, წარმოშობით, კაბადოვიიდან იყო. ისინი, როგორც გრიგოლ ღმრთისმეტყველის მონაფეხები, თვითონ გრიგოლმა აღკვეცა მონაზვნებად და მანვე დაასხა ხელი მღდლად პეტრეს.

გრიგოლის გარდაცვალების შემდეგ, მღდელი პეტრე და მონაზონი სამოელი, მათი მოძღვრის — გრიგოლ ღმრთისმეტყველის საფლავზე აღასრულებდნენ ღმრთისმსახურებას.

იმ დროს, ქართლის ეკლესიის საჭეთ-მპყრობელები, მთავარეპისკოპოსის ტიტულს ატარებდნენ. ქართლის ეკლესია მჭიდრო კავშირში იყო საბერძნეთის ეკლესიასთან, მაგრამ პოლიტიკური ვითარებიდან გამომდინარე, საქართველოს მეფე ვახტანგ გორგასალი, სიმამრის, სპარსეთის მეფის თხოვნით, ბერძენთა წინააღმდეგ ბრძოლაში ჩაება.

სპარსელებთან შეერთებულმა კავკასიონ ტომებთა მხედრობამ, რომელთაც სათავეში ედგა ვახტანგ გორგასალი, კონსტანტინეპოლიამდე მიაღწია. სპარსელები ულმობლად ხოცავდნენ და ძარცვავდნენ დაპყრობილი ქალაქის მოსახლეობასა და სამღდელოებას. ვახტანგ გორგასალმა გაანთავისუფლებინა დატყვევებული სამღდელოება და მკაცრად გააფრთხილა მეომრები, არაფერი ევნოთ ეკლესიებისათვის.

ვახტანგ გორგასალთან მივიდნენ მღდელი პეტრე და მონაზონი სამოელი. პეტრე მღდელმა მკაცრად ამხილა ვახტანგის სისასტიკე: „ეკლესიანი ხორცთანი უფრო მეტია ღმრთის წინაშე, ვიდრე ქვის ეკლესიები. ქვის ეკლესიები როდესმე დაირღვევიან და იმავე ქვებით კვლავ აღაშენებენ, ხოლო ეკლესიანი ხორცთანი როცა დაირღვევიან, ვერავინ შეძლებს მათ განკურნებას, ვერც მკურნალი და ვერც მეფე,

და შენ რამდენი მართალი კაცი დაგიცია! მე მსურს შენი აღდგინება რათა არა იყო იმ კაცთა მსგავსი, რომელიც მარჯვენით აგებენ, ხოლო მარცხენით არღვევენ და არც ისეთი, რომელიც პირით აკურთხებენ და გულით სწყევლიან და აგინებენ. არამედ იყო როგორც კეთილხსენებული მეფეები, რომელებმაც დაიპყრეს სოფელი და არც სასუფეველს განშორებიან. მე მნებავს, რათა შენ მიერ აღგზნებული ეს ცეცხლი შენვე დაშრიტო და იყო მეგობარი კეისრისა, როგორც დღემდე იყავი სპარსელებისა. ბერძნები არიან ნათესავნი ღმერთისანი.“

ვახტანგ გორგასალმა მშვიდად მოისმინა პეტრე მლდლის დარიგება და უთხრა, მხოლოდ იმ შემთხვევაში დაიჯერებდა მის სიტყვებს, თუ იმავე ლამით სიზმრისეული ჩვენებით მას ეჩვენებოდა კეისარი და იგივეს ეტყოდა. პეტრე და სამოელი წავიდნენ და მხურვალედ ევედრებოდნენ ღმერთს გაენათლებინა ვახტანგისათვის გონება და სიყვარული ჩამოვარდნილყო ქრისტიან მეფეებს შორის.

ლამით, ვახტანგ მეფეს, წმიდა ნინო გამოეცხადა და უთხრა, მოკრძალებით მიგებებოდა მისევნ მიმავალ ორ მეფეს — ზეცისას და ქვეყანისას. ვახტანგმა იხილა ორი ტახტი: ერთზე იჯდა ჭაბუკი ბიზანტიის იმპერატორი, გვირგვინოსანი საჭურვლით, მეორეზე კი მოხუცებული გრიგოლ ღმრთისმეტყველი, ნათლის გვირგვინით.

გრიგოლის ფერხთით იჯდა წმიდა ნინო. ვახტანგის მარჯვენა ხელი ეპყრა პეტრე მლდელს, ხოლო მარცხენა სამოელს. სამოელმა უთხრა ვახტანგს, პირველად თაყვანი-ეცა გრიგოლი ღმრთისმეტყველი-სათვის. მივიდა ვახტანგი და თაყვანი-სცა.

გრიგოლმა მრისხანედ მიმართა ვახტანგს: ეს რა ბოროტება ჩაიდინე, მოახხრე ქვეყანა და მხეცებს შეაჭამე ქრისტიანები. რომ არა პეტრე და სამოელი, რომელიც გვერდით გიდგანან და წმიდა ნინო, რომელიც ღმრთისმშობელთან ერთად მარადის ლოცულობს თქვენთვის, შურს ვიძიებდი შენი ბოროტებისთვის.

ვახტანგი ხელზე ეამბორა გრიგოლს. გრიგოლმა ნათლის გვირგვინი მისცა ვახტანგს და უბრძანა პეტრესთვის დაედგა თავზე. პეტრემ კი თავის გვირგვინზე უდარესი გვირგვინი დაადგა სამოელ მონაზონს. შემდეგ, ვახტანგი, წმიდა ნინოს ბრძანებით, ჭაბუკ კეისარს მიუახლოვდა და დასვა კეისარმა ვახტანგი მის ტახტზე, თავის გვერდით. შემდეგ კეისარმა ბეჭედი მოიხსნა ხელიდან და უთხრა ვახტანგს: თუ გვირგვინი გნებავს, აღუთქუ მას, ვინც ჩვენს წინ დგას, რომ შეებრძოლები მის მტრებს და მიიღე მისგან გვირგვინი, მოიხედა ვახტანგმა და იხილა ჯვარი, რომელსაც ფრთებზე ჰქონდა გვირგვინი.

კეისარმა აიღო გვირგვინი ჯვარისაგან და დაადგა ვახტანგს. გრიგოლ ღმრთისმეტყველმა აკურთხა ვახტანგი სამგზის: „ვახტანგ, ვახტანგ, ვახტანგ! უმეტესად მორნმუნე იქნები შენ სპარსთა შორის,



აშენდებიან შენგან ეკლესიები და განენესებიან ეპისკოპოსები და ეპისკოპოსთა მთავარი და წამების გვირგვინსაც მიიღებ.

პეტრემ და სამოელმა ძილშივე აუხსნეს ვახტანგს, რომ გრიგოლ ღმრთისმეტყველისაგან პეტრესადმი მიცემული გვირგვინი, პეტრეს მთავარეპისკოპოსობას მოასწავებდა, ხოლო სამოელისადმი გვირგვინის დადგმა ნიშნავდა პეტრეს მიერ სამოელის ეპისკოპოსად კურთხევას. კეის-რისაგან მიცემული ბეჭედი ნიშნავდა, რომ კეისარი მის ასულს მიცემდა ცოლად ვახტანგს და ქართლის მიტაცებულ ტერიტორიებს დაუბრუნებდა. ჯვრისაგან აღებული გვირგვინი ნიშნავდა ჯვარის შემწეობით ალსრულებულ ღვაწლს, ხოლო გრიგოლ ღმრთისმეტყველისაგან სამგზის კურთხევა ნიშნავდა, რომ ვახტანგს უნდა განემტკიცებინა ქართლში ჭეშმარიტი სარწმუნოება. დაემტკიცებინა კათალიკოსი, ეკლესიისთვის მოეპოვებინა დამოუკიდებლობა და მიეღო წამების გვირგვინი.

დილით, ვახტანგ მეფემ მოუხმო პეტრესა და სამოელს და მოუთხრო ჩვენების შესახებ. აღმოჩნდა, რომ პეტრესა და სამოელსაც იგივე ჩვენება ენახათ. ვახტანგ მეფემ, პეტრე მღდელი გააგზავნა კეისართან. პეტრე მივიდა კეისართან და ყოველივე მოუთხრო.

იმპერატორმა პეტრე მღდლის, სამოელ მონაზონისა და სხვა დიდებულების ხელით ვახტანგს საიდუმლოდ მიართვეს ჯვარი, გვირგვინი და სამეფო შესამოსელი.

ბერძენ-სპარსელთა ბრძოლაში ქართველებს მონაწილეობა არ მიუღიათ და საქართველოში დაბრუნდნენ. მცხეთაში მისულ ვახტანგს, მთელი ერი დიდი სიხარულით შეხვდა. ვახტანგის ცოლმა, ბალენდუხეტ დედოფალმა, შვა ტყუპები — ძე და ასული და მშობიარობისას გარდაიცვალა. ვახტანგმა თავის ძეს დაჩი დაარქვა. მეფემ ხელი მიჰყო ქართლში ციხესიმაგრების აშენებას და ქალაქების გამაგრებას. მან ქართლიდან განდევნა ცეცხლმსახურთა ქურუმები.

ვახტანგ მეფემ ბიზანტიაში „წარავლინა მოციქული წარმოყვანებად ცოლისა მისისა და პეტრესთვის კათალიკოსისა და სამოელ ეპისკოპოსისა“ და თან შეუთვალა, რომ „კათალიკოსი და თორმეტნი ეპისკოპოსნი სწრაფვით წარმოავლინენ“.

482 წლის შემდეგ, ბიზანტიის იმპერატორმა და კონსტანტინეპოლის პატრიარქმა პეტრე და სამოელი, ანტიოქიაში გაგზავნეს და თან ნერილი გაატანეს ანტიოქიის პატრიარქთან: „თავდაპირველად, რომაელი ქალის ნინოს მიერ ქართლის მოქცევის დასაბამისას, აქედან იქ მივლინებულ იქნა ეპისკოპოსი. მაგრამ შემდეგ, რადგან სპარსელებსა და ბერძნებს შორის შფოთი იყო, ვერ მოაწყვეს ეს საქმე ნესისაებრ... ახლა ეს ორი, მათ მიერ მოთხოვილი, აკურთხე და აგრეთვე სხვა თორმეტი ვისაც ისურვებ ისინი აკურთხე. შემდეგ კი ჩვენთან გამოგზავნე, რათა ჩვენ განძითა და სახმარი ნივთებით გავამგზავროთ.“ ანტიოქიის პატრიარქმა აკურთხა თორმეტი ეპისკოპოსი და პეტრე ქართლის კათალიკოსად დაადგინა.

კათოლიკოსი პეტრე და მისი თანმხელები ეპისკოპოსები მივიდნენ კონსტანტინეპოლიში. იმპერატორმა და კონსტანტინეპოლის პატრიარქმა მისცეს მათ დიდალი განძი და თან იმპერატორის ასული ელენე გამოაყოლეს ვახტანგ გორგასალისათვის საცოლედ.

ვახტანგ მეფემ მცხეთაში „აღაშენა ეკლესია მოციქულთა სვეტი ცხოველი... და მუნ შინა დასუეს პეტრე კათალიკოსად. და სამოელ ეპისკოპოსად მცხეთასავე საეპისკოპოსოსა“. დანარჩენმა ეპისკოპოსებმა დაიკავეს ახიზის, არტაანის, წუნდის, მანგლისის, ბოლნისის, რუსთავის, ნინონმიდის, ჭერემის, ჩელეთის, ხორნაბუჯის და აგარაკის კათედრები. ამ პერიოდიდან დაიწყო საქართველოს სამოციქულო ეკლესიის თვითმმართველობა.

წმიდა პეტრე კათოლიკოსმა, ავტოკეფალური ეკლესიის პრინციპით მოაწყო ეკლესიის მართვა-გამგეობა და ჩამოაყალიბა თვითმმართველობის ის ფორმა, რომელმაც შემდგომში კიდევ უფრო განამტკიცა საქართველოს სამოციქულო ეკლესიის ავტორიტეტი მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის ეკლესიებს შორის.

პეტრე კათოლიკოსისა და ვახტანგ გორგასლის ურთიერთპატივისცემამ და შეთანხმებულმა მოქმედებებმა საფუძველი დაუდო საქართველოში საერო და სასულიერო ხელისუფლების ჰარმონიულ ურთიერთობის ისეთ ფორმას, რომელიც დღემდე მოჰყვება ჩვენს ქვეყნას.

წმიდა პეტრე, ვახტანგ გორგასალთან ერთად იყო სპარსელებთან ომის დროს. როცა ბრძოლაში სასიკვდილოდ დაჭრილმა ვახტანგ მეფემ „შეიტყო სიკვდილი თვისისა თვისისა, მოუწოდა კათოლიკოსსა, ცოლსა თვისისა და ძეთა და ყოველთა წარჩინებულთა“. ვახტანგ გორგასალმა კათალიკოს პეტრეს წინაშე მოინანია ნებსითნი და უნებლიერთნი შეცოდებანი და მიიღო წმიდა ზიარება.

წმიდა პეტრემ, მეფის ანდერძისაებრ, მეფედ აკურთხა ვახტანგ გორგასლის შვილი, დაჩი.

კათოლიკოსი პეტრე სიცოცხლის ბოლომდე პრძნულად განაგებდა საქართველოს სამოციქულო ეკლესიას. პეტრე არის საქართველოს ეკლესიის მეთხუთმეტე მეთაური, რომელსაც, ღმრთის განგებით, პირველს ებობა კათოლიკოსის ტიტული.

წმიდა პეტრე კათალიკოსი გარდაიცვალა დაჩის მეფობის დროს. მისი კათოლიკოსობის ხანა მოიცავს დაახლოებით 560-600 წლებს.

პეტრე კათოლიკოსის გარდაცვალების შემდეგ, ქართლის კათოლიკოსის ტახტზე „დაჯდა სამუელ და მეფემან (დაჩიმ) მას მიათუალა მცხეთა, რამეთუ ეგრეთ ებრძანა მეფესა ვახტანგს“. წმიდა სამოელი საქართველოს ეკლესიას განაგებდა მეფე დაჩისა და მისი მემკვიდრის, ბაკურის დროს. წმიდა სამოელ კათოლიკოსის დროს აშენდა წყაროსთავის ეკლესია ჯავახეთში.

წმიდა სამოელი კათალიკოსი კარგად იცნობდა მოწამე შუშანიკ დედოფალს.

სამოელ კათოლიკოსი სიცოცხლის ბოლომდე ერთგულად ემსახურა საქართველოს სამოციქულო ეკლესიის აღორძინებისა და ქვეყანაში ქრისტიანული სარწმუნოების განმტკიცების საქმეს.



დეკამერი

2 (15) — ლირსი ისე წილკნელი (VI)
(ცხ. იხ. (7.20 მაისი);

10(23) — მონამე მეფე ვახტანგ მესამე (+1308);

11 (24) — ყოველნი წმიდანი — საქართველოში
ნამებულნი და ლირსნი მამანი და დედანი (I-XX);

12 (25) — მღდელმონამე იოვანე,
ზედაზნის ნინამძღვარი (IX);

19 (1.01) — ლირსნი მამანი: გიორგი მწერალი
და საბა ხახულელი (XI);

21 (3-01) — ლირსი მაკარი მმარხველი (+1035);

31 (13.01) — ლირსი საბაია, სამცხის ტაძრისის დედათა
მონასტრის ნინამძღვარი (XI);



ნეიდა მეფე ვახტანგ მასახა
დაიბადა 1257 წელს. ვახტანგის მამა
იყო საქართველოს მეფე დემეტრე
თავდადებული, დედა კი ტრაპიზო-
ნის კეისრის ასული. დემეტრე მეფეს
ამ ქორწინებიდან ხუთი შვილი ჰყავდა:
დავითი, ვახტანგი, მანოელი,
ლაშა და რუსულანი. სხვა ქორ-
წინებიდან კიდევ ჰყავდა დემეტრეს
შვილები: ბაადური, იადგარი, ჯი-
გდა-ხათუნი და გიორგი.

დემეტრე თავდადებულის მონა-
მეობრივი აღსასრულის შემდეგ ვახ-
ტანგი მთიულეთში გახიზნეს და იქ
იზრდებოდა. დემეტრეს ნაცვლად
გაერთიანებული საქართველოს სა-
მეფო ტახტზე დასვეს დავით ნარი-
ნის ძე ვახტანგი, რომლის მოუ-

ლოდნელი გარდაცვალების შემდეგ,
სამეფო ტახტი დაიკავა დემეტრე თავდადებულის შვილმა, დავით მეე-
ქვსემ. ვახტანგი ერთგულად ამოუდგა ძმას გვერდით და ყოველმხრივ
ცდილობდა შეემსუბუქებინა დავითისათვის მეფობის მძიმე ჯვარი.

დავითმა „ნარავლინა ძმა თვისი უმრნემესი ვახტანგ ელჩად დიდისა
ბათოს შვილისა“. ელჩობის მიზანი იყო ესარგებლა საქართველოს,
ირანსა და მონღოლებს შორის არსებული მტრობით და მათი
დაპირისპირების ფონზე, როგორმე მოენესრიგებინათ ქვეყნის შიდა
და გარე პრობლემები.

დავით მეფემ ეერ შეძლო ქვეყანაში მშვიდობის შენარჩუნება, მან
ნდობა დაკარგა, როგორც დამპყრობლების, ასევე საკუთარი ხალხის
წინაშე და საშინელმა ეჭვებმა შეიპყრო. დავითი, საკუთარი ძმის,
წმიდა ვახტანგის ერთგულებაშიც არ იყო დარწმუნებული, მისი
ბრძანებით შეიპყრეს წმიდა ვახტანგი და დილეგში ჩააგდეს.

ვახტანგმა მოახერხა ციხიდან გაქცევა, „გამოიპარა და მივიდა
ივანე ბარსელისასა“, რომელიც, დავით მეფის განსაკუთრებული
ნდობით სარგებლობდა და შესჩივლა: თუმცა ჩემი ძმისათვის „არარა
ბოროტი მიქმნიეს“, მაგრამ მაინც დამაპატიმრა, ახლაც გამოქცეული,
„არა წავალ ურდოსა მტერთა მისთანა“. ამიტომ, ჩემ ძმას, მეფეს, „ჩემი

შენსა მოსლვა“ აცნობე და მიშუამდგომლე, რომ „თუ ფიცით შემაჯერებს“, რომ „არა მავნოს და არა შემიპყრას“, ისევ მასთან მივალ და საცხოვრებლად „მცირე სარჩინიცა მომცეს“-ო.

დავით მეფემ „ფიცით მოიმტკიცა“ ვახტაგი, მაგრამ მათ შორის თანხმობა დიდხანს არ გაგრძელებულა. ვახტანგის ქორწინების შემდეგ, როდესაც „შაბერის ძის ასული შეირთო ვახტანგ ცოლად“, დავითის დამოკიდებულება ვახტანგთან ისევ გამწვავდა. კვლავ დაიწყო ვახტანგის „უპატიოდ ყოფა“ და იმატა ხალხის მღელვარებამ დავით მეფის პოლიტიკის გამო. ვახტანგი იძულებული გახდა და „წარვიდა ურდოს ყაინის თანა“.

ყაინმა „კეთილად შეიწყნარა“ ვახტანგი და „მოსცა მეფობა“, მაგრამ, მაშინდელი მდგომარეობიდან გამომდინარე, მარტო მეფობის მიცემა არაფერს ნიშნავდა: ტფილისში მცირენლოვანი გიორგი უფლისნული იჯდა, ხოლო მთელ ჩრდილო მთიანეთში დავით მეექვსე ბატონობდა. ვახტანგის მეფედ დასასმელად სამხედრო ძალა იყო საჭირო და ყაზან ყაინმა ვახტანგ მესამეს „წარმოატანა ხუტლუშა ნოინი სპითა უძლიერესითა“.

1302 წელს „დაჯდა რა მეფედ ვახტანგ, ძე დიმიტრისა, მას მოსცეს ყოველი საქართველო“ . გაიხარა ყოველმა ქართველმა, „რამეთუ იყო ვახტანგ ყოვლითა სრულ, სარნმუნობით მტკიცე, ღმრთისმომიშ, სამლდელოთა პატივისმცემელ, ეკლესიათა პატივისმდებელ, მშვიდ და მდაბალ, მყუდრო, მოწყალე, უშფოთველ, ყოვლითა კეთილითა სრულ და არავის მოშურნე“.

ვახტანგ მესამეს საშინლად მძიმე მდგომარეობაში მოუხდა ქვეყნის მართვა — „არა იყო მათ უამთა შინა თესვა, არცა შენება ყოვლადვე... ვიქმენით მიცემულ პირველად მწარესა ტყუუობასა და მეორედ ბარბაროზთა მიერ სრვასა და ხოცასა, და მესამედ იქმნა პურის მოკლება... ესოდენ განძვინდა შიმშილი, რომელ მძორსა არა-წმიდასა ურიდად ჭადეს... ყრმანი მკვდართა დედათა ძუძუთ ლეშვთა სწოვდიან... მოაოხრეს ქართლი უბოროტესად... და მიეცა ქუეყანა განსა-რყვნელად, ცოდვათა ჩუენთათვის“.

მეფე ვახტანგი ყოველნაირად ცდილობდა ქვეყანაში არსებულ უმძიმესი მდგომარეობის გამოსწორებას. თუმცა, მეტწილად, საქართველოს გარეთ, მონღოლთა შორეულ ლაშქრობებში უხდებოდა იძულებით მონანილეობა და ასეთ ლაშქრობებს ენირებოდა ქართველთა ფიზიკური და სულიერი ძალმოსილება.

მეფე ვახტანგის ქართული ჯარით პალესტინაში ლაშქრობების დროს, მონღოლებმა ქართველებს იერუსალიმში განსაკუთრებული უფლებები მიანიჭეს, იმ დროს შესწირა ვახტანგმა იერუსალიმის ჯვარის ქართველთა მონასტერს დიდი შესანირავი. ვახტანგის ლვა-

წლით, კიდევ უფრო გაძლიერდა იერუსალიმში ქართული მონასტრების ავტორიტეტი. იერუსალიმის ქართველ დედათა მონასტერში რიცხიმეს სახელით მონაზვნად აღიკვეცა ვახტანგის მეუღლე. იერუსალიმის ჯვარის მონასტერის განჩინებით, ხარება დღეს „რაზომიცა მღდელნი და დიაკონი იყოს მეფეთა-მეფისა ვახტანგისათვის და მეუღლისა მისისა რიცხიმესათვის (შემონაზვნებულისა) შეიმოსნენ“.

მონღოლთა ერთ-ერთი ასეთი მორიგი ლაშქრობის დროს, გილანში, სადაც ჩვეულებრივ ქართველებიც მონაწილოებდნენ, მონღოლები დამარცხდნენ. ბრძოლაში დაიჭრა თვით მეფე ვახტანგიც და უამრავი ქართველი შეეწირა ამ ბრძოლას.

ლაშქრობიდან სამშობლოში მოპრუნებულ ვახტანგ მესამეს, ნახტევანთან წამოენია ყაენის მიერ საქართველოში წარმოგზავნილი მონღოლთა ნოინი. მას ჰქონდა ყაენის ბრძანება, რათა დაენგრიათ, აეოხრებინათ და ალეგავათ საქართველოს წმიდა სავანეები. ასევე, მათი მოთხოვნით, ქართველებს უნდა დაეტევებინათ ქრისტიანობა და მუსულმანობა მიეღოთ. „ხოლო მეფე ვახტანგ არა შეშინდა, არამედ განახმდა, და უმეტეს მოახსენებდა სიმხნეთა და ღუაწლთა ქრისტეს ღმრთისათვის, და რქუა სპათა თვისთა: „კაცნო, ძმანო და ერთოჯულულნო, და ქრისტეს ღმრთისა ჭეშმარიტად აღმსარებელნო! უწყით სჯული მამათა მიერ, და გასმიეს ქადაგება წმიდათა მოციქულთა, და უწყით ღუაწლნი და ახოვნებანი მონამეთანი, და გიხილვან თუალითა თქუებითა ტაძარსა შინა მათსა ურიცხვნი სასწაულნი, და გასმიეს სახარებასა შინა უტყუელისა პირისა, ვითარმედ: „რომელმან აღმიაროს მე წინაშე კაცთა, მეცა აღვიარო იგი წინაშე მამისა ჩემისა ზეცათასა“. და კუალად: „მოვედით ჩემდა ყოველნი მაშვრალნი და ტვირთმძიმენი, და მე განგისვენო თქუენ“ ან ნუ შესძრნუნდებით, და წარვიდეთ ყაენს წინაშე და დავდვათ სული მისთვის, რომელმან დასდვა სული თვისი ჩუენთვის. პირველად ჩვენ მივსცნეთ თავნი ჩვენნი სიკუდილად, მერმე იყავნ ნებალმრთისა. და მან დაიცვას სა-



მწყსო თვისი“... მყის წარემართეს ურდოსა და კარსა ყაენისასა, და მუხლი დაიღვინეს, და რქუა მეფემან ხმითა მაღლითა: „ისმინე მაღალო და ძლიერო ყაენო, მოვიდა ბრძანება, რათა ყოველთა ქრისტიანეთა დაუტევნოთ სჯული ჩვენი. ან ისმინე: ბედნიერთა პაპათა და მამათა თქუენთა ჰმონა და მსახურნა პაპამან და მამამან ჩუენმან ამით სჯულითა, და აროდეს გუასმეს, თუ სჯული ქართველთა ავი არს, არამედ უწარჩინებულეს ვყოფილვართ ყოველთაგან. და სპარსთა სჯული უფროს საძაგელად შეერაცხა პირველთა ყაენთა. ამისთვისცა იგინი მოწყვიდნეს, რამეთუ იყვნეს მწამვლელ და მამათმავალ და კაცისმკვლელ. და ან თუ სიტყუასა სპარსთასა ისმენ, ყაენო, მე ვარ მეფე ქართველთა, და ყოველნი მთავარნი საქართველოსნი შენს ნინაშე არიან, და მე მზად ვარ სიკუდილად სჯულისათვის ქრისტეანობისა, და მერმე ესე ყოველნი მყოფნი ქრისტეანენ, აჰა თავნი ჩვენნი წარგვეთნენ“ და წარუპყრაცა ქედი“.


ვახუშტი ბატონიშვილის მიხედვით, მეფე ვახტანგის აღსასრული შემდეგი სახით არის გადმოცემული: „მოვიდნენ რა ნინაშე ყაენისა, განკვირდა ყაენი მოსვლისათვის მეფისა. მაშინ მეფე ვახტანგ ნინა-აღუდგა დატევნებისათვის ქრისტესა და მოოხრებისათვის ეკლესიებთა. არამედ საქართველოსაცა უარჲყვეს მოგზავნილი იგი ნოინი. ამისთვის მოკლა ყაენმა ქრისტესათვის ტანჯვითა მეფე ვახტანგ. ტანჯვითა ანუ ექსორია-ყო სპითურთ და მუნ მოკლა“.

ვახუშტისეული „ქართლის ცხოვრება“-ს არშიაზე არსებული მინანერის მიხედვით, „გარნა იცნობების მუნვე ქვემოთ და ზემოთ და ყეენებისაგან ესრეთ, ვითარცა აღვინერია და აღსრულებასაცა მისსა ვგონებთ მონამეობით, ვითარცა აჩენს ცხოვრება ცხადად. ხოლო სიტყვაცა არს, რამეთუ ვახტანგ მეფე მონამე, არამედ თუცა ვახტანგ გორგასალისა იგონიებს გარნა გორგასალ ღირსქმნილია მონამეობისა, ხოლო ესე ვახტანგ სრული მონამეა ტანჯვითა ქრისტესათვის“.

მეფე ვახტანგ მესამის ცხოვრების შესახებ სხვა მასალები არ არის ცნობილი. რაც შეეხება მის განსასვენებელის ადგილსამყოფელს, ქართლის ცხოვრება მიუთითებს დმანისის სიონს, სადაც აღსრულებული მეფე გადმოასვენეს.

დმანისში დამკვიდრებულა ვახტანგ მეფის შთამომავლებიც, უფროსი ძის დემეტრეს და მისი ოჯახის სახით, რომლებიც დაკრძალულნი არიან იქვე.

ყოველი მიდანი — საქართველოში
ცამებული და ღირსნი მაგანი და დედანი
11 (24) დეკემბერი



ყოველი წმიდანი — საქართველოში წამებული და ღირსნი მაგანი და დედანი. ქართული აგიოგრაფიული ძეგლებისა და საქართველოს ისტორიის გაცნობისას, სამართლიანად იბადება აზრი, რომ ზეციური საქართველო განუზომლად დიდია. არავინ იცის, რამდენმა მოიბანა მინიერი მწიკვლი ქრისტესთვის თავდადებით უსჯულოებთან ბრძოლისას, რამდენმა განიწმიდა სული მონასტრის სენაკებში ლოცვით, მარხვითა და მოღვაწეობით. მხოლოდ ღმერთმა იცის, ერში ჩუმად მოღვაწეთა შესახებ, რომელთა სახელები უცლებლივ წერია ცათა შინა.

„რაუამს ერთი ღმერთი გვიცნობიეს, არღარა უარგვიყოიეს და არცა ოდეს წვალებისა მიმართ მიდრეკილ არს ნათესავი ჩვენი“, — სარწმუნოებრივ-ეროვნული თვითშეგნებით

ბრძანა წმიდა მამა გიორგი მთაწმინდელმა თავის დროზე.

„არა გეცრუვნეთ შენ, სიწმიდით მშობელო ჩვენო კათოლიკე ეკლესიაო, არცა განგცეთ შენ, სიქადულო ჩუენო მართლმადიდებლობაო, რომლისა არცა განმცემელ ქმნილ ვართ, ვინათვან შემეცნებასა შენსა ღირსებმნილ ვართ — მოწამე არს ჭეშმარიტება“, — ვკითხულობთ რუის-ურბნისის საეკლესიო კრების ძეგლისწერაში და ეს არის ყოველი ქართველის ცხოვრების ქვაკუთხედი.

შეუძლებელია საქართველოს ეკლესიდან ზეციურ ეკლესიაში ამაღლებულ ქრისტიანთა სახელების ჩამოთვლა, და, მით უმეტეს, შეუძლებელია მათი ღვაწლის აღწერა: „ვინ დათვალოს ზღვაში ქვიშა და ანცაზე ვარსკვლავები, ვინ შეამკოს ღირსეულად ქართველ გმირთა მხარ-მკლავები“ (აკაკი წერეთელი). საქართველოს ეკლესია ამ ღღეს ერთად იხსენებს მისი წიაღიდან გაბრწყინვებულ ყველა წმიდანს. ეს ღღე არის საქართველოს ეკლესიის განსაკუთრებული დღესასწაული და ქართველთა დიდი წანილის ანგელოზის დღე.




მღველმონამე იოვანე ზედაზნის წინამძღვარი, მიეკუთვნება ქართველ წმიდა მამათა იმ რიცხვს, რომელთა შესახებ ბიოგრაფიული ცნობები არ შემონახულა. იოვანეს მოღვაწეობის დროს, ქართლში, არაპეტი ბატონობდნენ და მძიმე დღეში იყო ქვეყანა.

როგორც ცნობილია ზედაზნის მონასტერი დაარსებისთანავე იქცა ქართლის სულიერებისა და სინმინდის ცენტრად. ზედაზნის მონასტერი ყოველთვის იყო საქართველოს ეკლესიის საჭეთმპყრობელებისა და მეფეების ყურადღების ცენტრში და, აქედან გამომდინარე, დიდი იყო დამპყრობელთა აგრესიები.

ზედაზნის წინამძღვრად ირჩევდნენ განსაკუთრებული სინმიდითა და სიბრძნით გამორჩეულ ბერ-მონაზვნებს, რომელთაც, მონას-

ტრის მართვასთან ერთად, ქვეყნის სასულიერო და საერო ცხოვრებაშიც უნდა მიეღოთ აქტიური მონაწილეობა. ზედაზნელი წინამძღვრების რჩევებსა და კურთხევებს ანგარიშს უწევდნენ ქართლის დიდებულები და თვით სამეფო კარიც. მონასტერი ყოველთვის განსაკუთრებულ მისიას ასრულებდა საქართველოს ისტორიაში. საქართველოში, არაბთა ბატონობის პერიოდში, რომელიც მეტნაკლები სიძლიერით გრძელდებოდა მეშვიდე საუკუნის შუა წლებიდან — მეთერთმეტე საუკუნის შუა წლებამდე, უამრავი განსაცდელი და დარბევა გადაიტანა ზედაზნის მონასტერმაც.

კათოლიკოს არსენ მეორის (+980) მიერ შედგენილი: „სახელები წმიდათა მამათა, ქრისტეს მიერ აღსრულებულთა ზედაძენს შინა შემდგომად იოვანესა“, მოხსენიებულია ზედაზნის მონასტრის წინამძღვარი იოვანე, „რომელი მოიკლა სარკინოზთაგან ზედაზენს შინა მახვლითა“. სავარაუდოდ, წმიდა იოვანე ენამა 853 წლის ახლო ხანებში, ბუღა თურქის შემოსევის დროს.



ღՈՐԾԸ ԽԱՅԱՅՈ: ՑՈՂԹՈՅ ԵԿԵԼԱԾՈ

ԾԱ ՏԱՅԱ ԵԱԵՍԴԵԾՈ (XII)

19 (1.01) ԾԵԿԵՄԾԵՐՈ



ԾՈՐԾՆԻ ՑՈՂԹՈՅ ԹԵՐԱԾՈ ԾԱՅԱ ԵԱԵԾՈ ԵԱԾՈ ԾԵԿԵՄԾԵՐՈ
ԾՈՂԹՈՅ ԾՈՂԹՈՅ միշտո ուզնեն. մատո մ՛տ-
ծլեծո, սամփես ծողցարոցանո յեռգա-
լեծո, գուգա ծագուցածուլոնո ուզնեն սայ-
րուցուլոս սամեցո յարնց.

մ՛տծլեծո քրագուցուկո յագրելա
ցողրցուս դա սածա սմբորուսմա մմամ, ոյշո-
մա. ոչո սախելմնոցո սամսակյուրմո հագա դա
„ոյս յրտցուլտագանո դա սակյուտարտա
լմրտուսմասակյուրուս մեցուս ցողրցուստար“.
ոյշո այդուրագ մոնանուլյոնծա յեցոնուս
սամոնա դա սացարյո սայմեցմո, դառջածա
դա յեցու մատու մեցոնա.

ցողրցում դա սածա մոնաթվնուրո ցեռ-
վրեծա աորհոյս դա եաելուս մոնասկյուրմո
դա յեցու մոնուրնեն սամուլանուր. յը „յաբնո
լմերտմեմուսուլոնո դա սացսենո սալմրտու-
տա մագլուտա... ցողրցո մերալո, րոմելո յուգուլուպո մերալու ներա-
մտաւրագ յուրապալագուսատա... դա սածա, յապո նրուլո դա յմանյուր...
մակար ուցնես եաելու որուտաց ցեռուցուտա մեծացեծուլագ, րամետո
սոմգուրնեսա տանա սալմրտուսա մոյալայուսուսասա յորուցուլուց սոմ-
գուրնեսա... դա յերմե ուցտա մմատա մուտալա դա ուշտ սոխարուլուտ նարու-
դա սախեց ուցսա“.

ցողրցում դա սածա յացցես, մատո մմուս, ոյշոնուս, ցողրցուս,
յանսակյուտրեծուլո, „սույետո դա լմրտուսմունուշեծա“ դա „մսնրագուլ մույմ-
ցնես մմասա ուցսա ոյշոնս, րատո յուցուտա և մոնասկյուրմո մույցանա
մատունա մոնուրնուս“. ոյշոնմա եաելուս մոնասկյուրմո մույցանա
մատու դա „პորուցուլագ մեծացեծրա ոչո յուցուագնուգուսա լմրտուսմու-
ծուլուսա... դա յերմե ուցտա մմատա մուտալա դա ուշտ սոխարուլուտ նարու-
դա սախեց ուցսա“.

ԾՈՐԾՆԻ ՑՈՂԹՈՅ ԿԱՐՏԵՎՈՒՍԱՏՎՈՍ ՄՈՒԿ-
ՅԱՆԵՍ ՄՈՆԱՍԳՐՈՒՍ նոնամծլաւար մայարո մմարեցուլս, ծասուլո ծացրագուս
յես, ոլարուն ուցալուցուլս, լմերտմեմուսուլ անգոնո մնաւես դա ոյ
մուլցանե ծեր-մոնաթվնեծ. ցողրցում դա սածա, „սալմրտուտա մատ մո-
ւուցեծուլտա, տանաթրասցուտա նեմուտեսենցեծուլտա ամատ մամատաթու“
յրմա ցողրցուս յանսնացու մունցես նմուգա ոլարուն ուցալուցուլս
դածա քայարնագումու ցեռուրոնծա ցնոնծուլո յեռգալու յերուս չո-

რჯიკისძე, რომელსაც ცოლად ჰყავდა მეფე ბაგრატ მესამის ასულის შვილი. „ამან ფერის და მეუღლემან მისმან განიზრახეს კეთილად, რათა კაცი საღმრთო იძიონ სულისა მათისა კეთილისა მასწავლელად, და რათა ყოვლადვე მახლობელად მათსა იყოს. ამისა პირისათვის ორთავე გამოიძიეს და დაამტკიცეს, ვითარმედ გიორგი მწერლისა უგონიერესსა ვერვის პპოებენ“. გიორგის არ უნდოდა მონასტრიდან წასვლა, მაგრამ დიდი თხოვნის შემდეგ მაინც „ნარიყვანეს და ყოველი საქმე მათი, სულიერი და ხორციელი, მას დაუმორჩილეს. ხოლო ამან გიორგი ნეტარი ძმისწული თვისი, ყრმად გიორგი, თანა ნარიყვანა, რამეთუ ფრიად ეხმარებოდა ზეპირით კარნახობასა და წიგნის კითხვასა და მისსა მსახურებასა, რამეთუ მოხუცებულ იყო“.

ფერის ჯორჯიკის ძე, ცილისმწამებლებმა, ბიზანტიის იმპერატორ ბასილთან დაასმინეს და „განდგომილებად დასწამეს“. იმპერატორის ბრძანებით ფერის თავი მოჰკვეთეს, ოჯახი კი კონსტანტინეპოლიში წაიყვანეს მძევლებად. ფერისის მეუღლემ, კონსტანტინეპოლიში, სხვებთან ერთად, გიორგი მწერალი და ყრმა გიორგი მთაწმიდელიც წაიყვანა, „ვინაო-იგი დაჲყვეს ათორმეტი წელი“. ღირსი გიორგი მწერალი, მთელი ამ წლების განმავლობაში, დაუცხრომელად ზრუნავდა ყრმა გიორგის აღზრდაზე და თან ფერისის მეუღლესა და მის თანმხელებ დიდებულებს ამხნევებდა.

თორმეტი წლის შემდეგ, ბიზანტიის იმპერატორის ბრძანებით, ქართველი მძევლები გაანთავისუფლეს და ღირსი გიორგი მწერალიც მათთან ერთად დაბრუნდა სამშობლოში. გიორგი მწერალმა, მისი ძმა იაკობი, რომელიც იმ დროს უკვე დაქვრივებული იყო, წვარტაფში წაიყვანა, ყრმა გიორგი კი „ნარვიდა ხახულს მამის ძმისა თანა საბახსა“.

ღირსნი მამანი: გიორგი მწერალი და საბა ხახულელი მშვიდობით აღესრულნენ 1040 წლის ახლო ხანებში.





ღირსი მაკარი მმარხველი მოღვაწეობდა ხახულის მონასტერში. მრავალფერი სათნოებებით შემქული მაკარი, „ღირსებისათვის მისისა ნინამძღვარი იყო დიდისა მის ლავრისა“.

ხახულის მონასტერი მეათე საუკუნის მეორე ნახევარში აუგია დავით კურაპალატი. შემდეგ საუკუნეებში ის სიწმიდის, მეცნიერებისა და განათლების კერად იქცა. იქ მოღვაწეობდნენ ისეთი ცნობილი პიროვნებები, როგორებიც იყვნენ: ღირსი ბასილი — ბაგრატ მესამის ძე, გიორგი მწერალი და მისი ძმა, საბა ხახულელი, ღირსი ილარიონ თვალოელი და უამრავი სხვა ღირსი და ღმერთშემოსილი მამა, რომელთა სიწმიდესა და მოღვაწეობას კეთილად წარმართავდა ხახულის მონასტრის

ბრძენი ნინამძღვარი, ღირსი მაკარი.

მაკარი, უდიდესი ასკეტი და ცნობილი მოძღვარი იყო. მასთან მიდიოდნენ რჩევა-დარიგებისა და კურთხევისათვის მონაზვნობის მსურველი და გამოცდილი ბერ-მონაზვნები, ჭაბუკები და საქვეყნოდ ცნობილი ერისკაცები. ღირს მაკარის მიჰვარეს კურთხევისთვის ყრმა გიორგი მთანმინდელი, რომელსაც წინასწარცნობის ნიჭით დაჯილდოებულმა მამა მაკარიმ თავისი სულიერი შვილი უწოდა.

ღირსი მაკარი, ღმრთის შეწევნით, ერთმანეთს კარგად უთავსებდა მონასტრის წინამძღვრის მოვალეობასა და განდეგილობას. განსაკუთრებული მარხვისა და ლოცვისათვის, მას, მმარხველი უნდღეს. მაკარის წინამძღვრის დროს, ხახულის მონასტერი „ვითარცა მთიები“ ბრძყინავდა და ორიენტირს აძლევდა სასულიერო და საერო მოღვაწეობის მსურველთათვის.

ხახულის დიდი ლავრის წინამძღვარი ღირსი მაკარი მმარხველი, მშვიდობით აღესრულა 1035 წლის ახლო ხანებში.



ღირსი საბაია, სამცხეის ტაძრისის
დედათა მონასტრის წინამძღვანი (XI);
31 (13.01) დეკემბერი



ღირსი საბაია მოღვაწეობდა სამცხეში, ტაძრისის დედათა მონასტერში. იგი, სავარაუდოდ, 980 წლის ახლო ხანებში დაიბადა სამცხის დიდგვაროვანთა ოჯახში.

საბაია სამცხის ტაძრისის დედათა მონასტერში აღიკვეცა მონაზვნად და შემდეგ წინამძღვრადაც აირჩიეს. იმ დროს, საქართველოში და ქვეყნის გარეთ არსებულ დედათა მონასტრებს უდიდესი ფუნქცია ჰქონდათ — გამუდმებული ლოცვა, მარხვა, ხელსაქმე და ობოლთა აღზრდა იყო მათი ძირითადი მოვალეობა. მონაზონ დედათა სინმიდესა და სიბრძნეს ანგარიშს უწევდნენ მეფე-დედოფალნიც. განდეგილ დედებს აძლევდნენ აღსაზრდელად თავიანთ შვილებს საქართველოს თავად-აზნაურთა ცნობილი ნარმომადგენლები.

გიორგი მცირის ცნობით, გიორგი მთაწმინდელის მშობლებმა — იაკობმა და მარიამმა, თავიანთი პირმშო შვილი, თეკლა, „წარიყვანეს სამცხეს, მონასტერსა სადედოსა, რომელსა ტაძრისი ენოდების, და მისცეს იგი ხელთა წინამძღვრისა მის მონასტრისა, რომელსა საბაია ენოდებოდა, დედაკაცსა ღირსა და წმიდასა, რომელმანცა შეინყნარა იგი, ვითარცა შვილი თვისი და კეთილად აღზარდა“.

წმიდა საბაიას, დიდი წვლილი მიუძღვის თეკლას უმცროსი ძმის, გიორგი მთაწმინდელის აღზრდაშიც, რომელიც, შვიდიდან ათ წლამდე, ტაძრისის დედათა მონასტერში იზრდებოდა — ღირსი საბაიას ხელმძღვანელობით.

ტაძრისის „სადედო მონასტრის“ წინამძღვარი, დედა საბაია, მშვიდობით აღესრულა 1030 წლის ახლო ხანებში.



ნეიდათა გარდამავალი სსენობანი

ბრწყინვალე შვიდეულის სამშაბათი

— ექვსიათასნი მოწამენი მამანი, გარეჯის უდაბნოში მოწყვეტილი (1616 წ.).

მენელსაცხებლე დედათა კვირა

— წმიდა კეთილმორწმუნე მეფე თამარი (+1213). (ცნობები იხილეთ 1 მაისს. ამ დღეს, თამარის ხსენებით, საქართველოს ეკლესია წმიდა თამარის დამსახურებას — ქრისტეს ეკლესიის წინაშე, უტოლებს მენელსაცხებლე დედათა ღვაწლს).

ამაღლება

— სპარსეთში მოწყვეტილი ქართველი მოწამენი (XVII-XVIII ს.).

ამაღლების შემდგომი ოთხშაბათი

— ღირსი დოდო გარეჯელი (+596).

ამაღლების შემდგომი ხუთშაბათი

— ღირსი მამანი: დავით გარეჯელი და ლუკიანე (VI).

სულთმოფენობა

— აჭარაში თურქთაგან წამებული მოწამენი (XVII-XVIII).

ყველიერის ხუთშაბათი

— ღირსი შიო მღვიმელი (VI) (ამ დღეს იხსენიება შიო მღვიმელის ნაწილებთან აღსრულებული სასწაული — ყოველი წლის ყველიერის ხუთშაბათს, „თვინიერ კაცთა“, წმიდანის „ძვალნი შიშველნი მღვიმით ქვეშე ქვეყანით ფრთე მაღლით აღმოჩეოდა სიმაღლედ“ მორწმუნეთა თაყვანის-საცემად. მეთვრამეტე საუკუნეში „შაპ-ნადირ მოავლინა მაჰმადიანი, რათა იზილონ უკეთუ ჭეშმარიტ არს, მათ შემუსრეს სამყოფი ნაწილთა და დაამტვრიეს, შემდეგ შეჟერეს და დაასვენეს, მიერითგან არღარა აღმოვალს ამ ჟამამდე“ — ნერს მეცხრამეტე საუკუნის ცნობილი მეცნიერი მარი ბროსე).

ექვსიათასნი მონაშენი გამანი,
გარეჯის უდაბნოში მოცყვეფილი (1616)
ბრწყინვალე შვიდეულის სამშაბათი



დნეან ეკლესიას. განრისხებულმა აზვნების დასახოცად.

დავით გარეჯის ლავრის ნინამძღვარ არსენს ანგელოზი გამოეცხადა და აუწყა: „უფალი ჩვენი იესუ ქრისტე დღეს თავის ზეციურ სავანებში მოგიწოდებთ ყველას. ამ ლამით თქვენ დიდი გამოცდა გელით — მახვილით მოისრებით. ვისაც სურს დაზოგოს თავისი დროებითი სიცოცხლე, დაე, გაიცეს ან დაიმალოს, ხოლო ვისაც სწყურია იხსნას სული თვისი მარადისობისათვის, მახვილით მოწყდება და უფლის მიერ უხრწნელი გვირგვინით შეიმკობა. გამოუცხადე ღმრთის ეს მოწყდება სავანეში შეკრებილ ყველა ბერ-მონაზონს“.

ნინამძღვარმა ყველას აუწყა ჩვენების შესახებ და მამებმაც იწყეს მონამეობრივი ღვანლისთვის მზადება. მხოლოდ ორ მორჩილს შეეშინდა სიკვდილის და მონასტრის მოშორებით ერთ-ერთ მთაზე დაიმალა.

ნირვის ბოლოს, „მამაო ჩვენო“-ს გალობისას, სპარსი მეომრები გარს შემოერტყნენ სავანეს. მონასტრის ნინამძღვარი მაშინვე გავიდა რაზმის მეთაურთან და თხოვა ნირვის დასრულებისა და ზიარების ნება დაერთოთ საძმოსთვის.

სპარსელებმა გადაწყვიტეს, მცირე დროის შემდეგ აღესრულები-

1615 წელს, სპარსეთის მბრძანებელი შაპ-აბასი დიდალი ლაშქრით თავს დაესხა საქართველოს. ქვეყნის დაპყრობისა და აოხრების შემდეგ, იგი სანადიროდ გაემართა გარე კახეთის ველებში. გარეჯის მთებში სპარსელებს შემოაღამდათ და იქვე დაბანაკდნენ.

შუალამისას სპარსელებმა შენიშნეს მთებს იქეთ წრიულად მოძრავი ცეცხლოვანი ნათება. შაპ-აბასს თავიდან მოჩვენება ეგონა, მაგრამ შემდეგ აუხსნეს, რომ ამ ადგილებში მცხოვრები ბერ-მონაზვნები ქრისტეს აღდგომას აღნიშნავდნენ და ანთებული სანთლებით გარს უვლი-შაპმა მეომრები გაგზავნა მონ-


ნათ შაჰის ბრძანება. მამებმა მიიღეს წმინდა ზიარება, ურთმანეთი გა-
ამხნევეს და საზეიმოდ შემოსილები ნარსდგენენ უსჯულოთა წინაშე.

სპარსელებმა პირველად წინამდლვარს მოჰკვეთეს თავი, შემდეგ კი
მხეცებივით დაერივნენ მამებს და უნყალოდ აჩეხეს ყველანი.

სიკვდილის შიშით მონასტრიდან წასულმა ორმა მორჩილმა იხილა
ზეციდან გარდამოსული ბრწყინვალე გვირგვინები, რომელთაგან ორი
საწყალობლად ტივტი-
ვებდა ჰაერში. მორჩი-
ლები სასწრაფოდ დაბ-
რუნდნენ უკან. სპარსე-
ლებმა ისინიც წაკუნე-
ბად აჩეხეს და მინაზე
მიმოფანტეს ფრინვე-
ლებისა და გარეული
მხეცების შესაჭმელად.
შემდგომ, ამ ადგილას,
ამოვიდა ვარდის ბუჩ-
ქი, რომელიც მეცხრამ-
ეტე საუკუნეშიც ხა-
რობდა, უნყლო, მშრალ
და ქვიან ნიადაგზე.


მოგვიანებით, სა-
ქართველოს მეფემ, არჩილ მეორემ (+1713), დიდი გულმოდგინებით
შეაგროვა მონამეთა ძვლები და ქვის დიდ საწნახელში მოათავსა ტრა-
პეზის მარცხენა მხარეს. წმინდა ძვლებიდან კეთისურნელოვანმა მო-
რონმა იწყო დენა.

კათოლიკოს-პატრიარქმა ანტონ პირველმა მონამეთა საღმრთის-
მსახურო წესი შეადგინა და მათი ხსენების დღედ დაადგინა ბრწყინვა-
ლე შვიდეულის სამშაბათო.



ნეიდანი ქართველი მონასტერი სპარსეთში მოცველი ფილი (XVII-XVIII)

ამაღლება



ამ დროს დაიწყო ლეკების მასიური დასახლებაც ქართველთა მიტოვებულ კარ-მიდამოებში.

მეჩვიდმეტე საუკუნის ევროპელი მოგზაური პიედრო დელა-ვალე ქართველების ირანში გადასახლების აღნერისას ამბობს: „რა მდგომარეობა მოჰყვა ამ საზარელ გადასახლებას, რამდენი სიკვდილი ამ საშინელი გაჭირვებისაგან, რამდენი წყვეტა-ულეტა, რა გლეჯა, რა გახრწნა, რა ძალდატანება... რამდენი ბავშვი ამათ დედის ძუძუს მოსწყვიტეს და დაპყარეს გზებზე მხეცების შესაჭმელად, ცხენების, აქლემებისა და ჯორების ფეხქვეშ სასრესად... რამდენი ქალი და კაცი იყიდებოდა პირუტყვზე უფრო იაფად... მაგრამ ყველას ვინ მოთვლის“.

შაპ-აბასი უსასტიკეს ზომებს ატარებდა ქრისტიანობაზე მტკიცედ მდგომი ქართველების ნინააღმდეგ, სჯულშეცვლილებს კი სწრაფად აწინაურებდა სხვადასხვა თანამდებობებზე. მიუხედავად ამისა, ხალხ-ის უდიდესი ნაწილი მაინც მხნედ იდგა ქრისტიანობაზე და მტკიცედ იცავდა ქართულ ტრადიციებს.

ბევრი ავტედობა გადაუტანია საქართველოს მისი „სამი ლვთაებრივი საუნივერსი: ენის, მამულის და სარწმუნოების“ დასაცავად, მაგრამ განსაკუთრებულია მეჩვიდმეტე საუკუნის ტრაგედია, რომელიც დღემდე მოუშუშებელ იარად რჩება ჩვენს ჯვარცმულ ისტორიაში.

1616 წლის გაზაფხულზე, ირანის სისხლიანი მბრძანებელი შაპ-აბასი დიდალი ლაშქრით შემოესია საქართველოს. მისი მიზანი იყო, საბოლოოდ გაენადგურებინა და მოეოხრებინა ქვეყანა. შაპმა კახეთიდან ასიათასობით ტყვე გაიყვანა და ირანის სხვადასხვა კუთხეში ჩასახლა, დაცარიელებული ადგილები კი თურქენებს მისცა საცხოვრებლად.

ტყვედ წაყვანილი სასულიერო პირები ჩუმად აღასრულებდნენ ლმრთისმსახურებას და ხალხს ქრისტიანობის ერთგულებისკენ მოუნოდებდნენ. სწორედ ამიტომ, ირანელები, განსაკუთრებული სისასტიკით სჯიდნენ მათ.

ერთ ოჯახად შეკრული ქართველები, ურთიერთ თანადგომით ცდილობდნენ, დაეცვათ სარწმუნოება და ეროვნება. ქართველთა დიდი ნაწილი საუკუნეზე მეტი ხნის განმავლობაში მხნედ იცავდა მამა-პაპათა სჯულს და მუსულმანთა უკიდურესად აგრესიულ გარემოცვაშიც ახერხებდა, არ მოსწყვეტოდა ქრისტიანულ ლმრთისმსახურებას. მართლმადიდებლობის ერთგულებისათვის მრავალი სასულიერო პირი იქნა უსჯულოთაგან მოკლული და ათასობით ქართველი მონამეობრივად აღსრულებული, რასაც ადასტურებენ როგორც ჩვენი მეცნიერები, ასევე უცხოელი ისტორიკოსები და მოგზაურები.


ამჟამად, ირანში მცხოვრები ძალად გამაჰმადიანებული ქართველები, დღემდე მხოლოდ თანამემამულებზე ქორნინდებიან, ცოცხლად ინახავენ ისტორიას და ტრადიციის ძალით პატივს მიაგებენ ქრისტიანობისთვის წამებულთა ხსოვნას. მიდიან მათი მარტვილობის ადგილებზე (ერთ-ერთ მათგანს ამაღლება ჰქვია), მონიწებით ეამბორებიან მამა-პაპათა სისხლშემშრალ ქვებს და ტრაპეზიაც ამზადებენ მათი სულების საოხად.

ირანში, ქრისტესთვის მოწყვეტილ ქართველთა წამების ერთ-ერთი ადგილის სახელნოდების მიხედვით, მათი ხსენების დღედ საქართველოს ეკლესიამ დაადგინა იესუ ქრისტეს ამაღლების დღესასწაული.



ფერეიდანი. ადგილი, სადაც მრავალი ქართველი აღესრულა მონამეობრივად

ღირსი დოდო გარეჯელი (VI)
ამაღლების შემდგომი ოთხშაბათი



თა სენაკები და იქ წაეყვანა თანამოსაგრები. ამ ადგილს, დღეს, დოდოს რქა ენოდება.

თვითონ ღირსი დოდო, ერთ ვიწრო ნაპრალში დაეყუდა და ზამთარზაფხულ, სიცხესა და ყინვაში, სინანულის ცრემლებით ევედრებოდა უფალს ცოდვათა მიტევებას, ძმათა გაძლიერებას და ქვეყნის მოქცევას ჭეშმარიტ სჯულზე.


ღირსი დოდო ღრმა სიბერემდე მოღვანეობდა მის მიერ დაარსებულ მონასტერში და იქვე აღესრულა მშვიდობით.

თანამოსაგრებმა სენაკშივე დაფლეს ღირსი დოდოს წმინდა გვამი. შემდგომ, დოდო გარეჯელის საფლავზე იკლესია ააგეს.

ღირსი დოდო წარმოშობით კახელი იყო, ანდრონიკაშვილთა გვარიდან. სიყრმიდგან მონაზვნობის ღვანლის მიმღები და ქრისტეს მსახურებას შემდგარი, ყოველგვარი სათნოებით იყო შემკული. უპოვარებისა და დაცუდების მოყვარული მონაზონი განმარტოებით მოღვაწეობდა წინოწმინდაში.

ღირსი დოდო მამა დავით გარეჯელთან წავიდა გარეჯში და მასთან დაინყო მოღვაწეობა.

მამა დავითმა იხილა ღირსი დოდოს სარწმუნოებრივი სიმტკიცე, მოენონა „სიმახვილე დოდოს გონებისა საღმრთოსა შინა“ და აკურთხა: — მონასტრის ახლო მდებარე კლდეში გამოეკვევას ჭეშმარიტ სჯულზე.



ღՈՐԾՈՅ: ԶԱՅՈՒԹ ՑԱՀԱՅԵԼՈ ԾԱ ԸՆԿՈԱԲՈ (VI) Ամալլեծիս Շեմգցոմի ԵՍՈՒԹԱԾԱՏՈ



ღՈՐԾՈՅ ԾԱՅՈՒԹ ՑԱՀԱՅԵԼՈ ՆԱՐՄՈ-
ՄՈՅԻ ԱՍՅՈՐԵՏՈԴԱՆ ՈԿՈ. ՈՉՈ ՀԱՅՐ ՅՈ-
ՇԵՎ ԿՐՄՈՅԻ ԱՍԱԿՅՌԻ ԾԱՅՄՈԲԱՑԱ
ԸՆԿՈԱԲՈ ՈՈՎԱՆԵ ՑԵՖԱՅՆԵԼՈ ԾԱ ՏԵՎԱ
ՄՈԲԱՑԵԵՑԵՑՏԱՆ ԵՐՏԱՋ ԾԱՆ ՆԱՄՈՑԿՎԱ
ՄԱՏ ՍԱՅԱՐՄՎԵԼՈՌՄՈ.

ՌՈՂՈՐԾ ՑՈՆՈՅՈԼՈՅԱ, ՍԱՅԱՐՄՎԵ-
ԼՈՌՄՈ ԲԱՄՈԽՍՈԼՈ ԱՍՅՈՐԵԼՈ ՄԱՄԵՅՈ
ՏԵՎԱԺԱՏԵՎԱ ԱԳԳՈԼԱՏ ԾԱՅՄԿՎՈԴՐՆԵՆ
ՍԱՄՈՂՎԱՆԵՐՈՋ ԾԱ ՄՈԲԱՑԵԵՑԵՑ ՑԱՀԱ-
ԲԻՆԵՆ. ՑՈՆՈԴԱ ԾԱՅՈՒԹՈ ՑՈՂՈԼՈՍՈՅ ՄԱԵ-
ԼՈՊԼԱՋ ՄԾԵԲԱՐԿ ՄՏԱՑԵ ԳԱՏԱԵԼՈՋ. ԾԱՅ-
ՈՒԹՈՅ ԵՐՏ-ԵՐՏՈ ՏԵՎԱՐՄՎԵԼՈ ՄՈ-
ԲԱՑԵ ՈԿՈ ԸՆԿՈԱՆԵ, ՌՈՂԵԼՈՑ, ՏԱՎԱ-
ՐԱԿՈՋՈՋ, ՔԱՐՏԼՈՋԱՆ ՈԿՈ ԾԱ ԾՎՈՒ
ԾԱՅՈՒԹՈՅ ԵԵԼՈՒ ԱԼՈԿՎԵՑԱ ՄՈԲԱՑՎ-
ՆԱՋ. ՕՄ ԳՐՈՍ, ՑՈՂՈԼՈՍՈ, ՑԵՎԵԼՈՏԱԿ-
ՎԱՆՈԽՄՎԵՄԼԵՑ ԵԱԿՐԱՅ. ԸՆԿՈԱՅ ՄԱՄԱ

ՄԵՎ ԳԼԵԵՑ ԸՆԿՈԱՅ ԱԳԻԱՐԵՔԴԱ, ՔԱԼԱՅՈ ՄԿԵՅՎՐԵՔԴԱ ԿՐՈԴՎԵՑՈՅ
ՄՈՒԵՎԵՅԱՏ ԵՎԵԳՐԵԲՈՋԱ ԸՆԿՈԱՅ ԸՆԿՈԱՅ ԱՄԵՐՈՏ, ԸՆԿՈԱՅ ՄԵՎ ԸՆԿՈԱՅ
ԸՆԿՈԱՅ ԸՆԿՈԱՅ ԱԿՄԱՐՏԵՔԴԱ (ՄԵՎԳՐՈՄ ԱՄ ԱԳԳՈԼԱՏ ԱՇԵՆԴԱ ՄԱՄԱ ԾԱ-
ՎՈՒԹՈՅ ՏԱԵԼՈՅՈՅԱ ՔԱԾԱՐՈ).

ՄԱՄԱ ԾԱՅՈՒԹՈ, ԿՎՈՐԱՅՈ ԵՐՏԵԼ, ԸՆԿՈԱՆԵՏԱՆ ԵՐՏԱՋ, ՔԱԼԱՅՈ ԲԱ-
ՇՈՒՐՈՋ ԾԱՅՈՒԹԵՍ ՏԵՎԱՅ ՔԱԴԱԳԵՔԴԱ. ՄԱՄԱ ԾԱՅՈՒԹՈ ՔԱԴԱԳԵՔԴԱ ԳՈՂՈ
ԳԱՎԼԵՆԱ ՔԵՐՆԵ ԵԱԼԵՅՈ. ՄԵՎՑՈՒՐԵՔՅՈՒԼՄԱ ՑԵՎԵԼՈՏԱԿՎԱՆՈԽՄՎԵՄԼՄԱ
ՔՄՎԵՄԼՄԱ ԳԱԴԱԲԿՎՈՒՔԵՍ ՏԱԵԼՈ ԳԱԵԳՐԵԽԱ ԾԱՅՈՒԹՈՍԱՏՎՈՅ ԾԱ ՄԵՎ-
ԲԻՐԵՔՅՈՆԱ ՄՈԽՈ ՄԱԳԼՄՈԽՈԼՈ ՔԱԴԱԳԵՅԱ.

ՔՄՎԵՄԼՄԱ ԵՐՏՈ ՑԵՎԵՄԽՈՄԵ ՄԵԽԱՅՈ ՔԱԼՈ ՄՈԽՈՍԿՈԴԵՍ, ՌՈՂԵԼՄԱՑ
ԸՆԿՈԱՅ ԾԱՅՈՒԹՈ ՄՐՄՇՈՒԲԱՅՈ ԾԱՏՆԱՄԱ ՑՈՂՈ. ԾԱՅՈՒԹՈ ՔԱԼՈ ՄԵՎԿԵԼԸ
ԿՎԵՐՏԵԽ ՄԵՎԱԿ ԾԱ ՏԱՄՈՅԻ ՄԿՈՇ ԲՎՈԼԸ ՍԵՐԿԱՆԱ, ԵԵՎԵՎ ՎՈՆ ՈԿՈ ՄՈԽՈ
ՆԱՄՖՎՈՂՈ ՄԱՄԱ. ՏԱՄՈՇԱՆ ԲՎՈԼՄԱ ԱՄԵԽՈԼԱ ԾԵՎԱՄՈԽԱ ԾԱ ՔՄՎԵՄԼՄԱ ՏՈՎՐՄՅԵ.

ՏԱՄՈՆԵԼՈ ՑՈՂՈՍՆԱՄԵՅՈ ԱԼՄՑՈՒՐԵՔՅՈՒԼՄԱ ԵԱԼԵՄԱ ՄԵԽԱՅՈ ՔԱԼՈ
ԿՎԵՅՈ ԲԱԿՅՈԼԱ. ԸՆԿՈԱՅ ԾԱՅՈՒԹՈ ՄԵԽԱՅՈ ԿՎԵՅՈ ԱՄԵՎՈՆՎԱՐԵՔՅՈՒԼՈ ԾՐԾՈ ՎԵՐ ՄԵՎԱԿԻ-
ՐԱ. ԱՄՈԽ ՄԵՎԴԵԳ, ԸՆԿՈԱՆԵՏԱՆ ԵՐՏԱՋ ՄԱՆ ԾԱԳՐՎԱ ՑՈՂՈԼՈՍՈ ԾԱ ԿԱՐ-
ՈՆԱ ՎԵԼԾԵ ՄԾԵԲԱՐԿ ԳԱՐԵՋՈ ՍՇՈԽՆՈՍ ՄՈԽՄՅՈՐԱ.

ՑՄՈՆԴԱ ՄԱՄԵՅՈ ԾԱՅՈՒԹՈ ՍՇՈԽՆՈ, ԿԼԴԵՌՈ ՊԱԳԻԱՐԱ ԳԱՄՈՎՎԱԲՅՈԼՈ

იპოვნეს და იქ დაეყუდნენ. ისინი მთელ დროს ლოცვასა და მარხვაში ატარებდნენ. ბალახები და ხეების ქერქი იყო მათი საზრდელი. მალე ზაფხულის მცხუნვარებამ ბალახი გაახმო და უფალმა ირმები გამოუგზავნა წმინდა მოღვაწეებს, ლუკიანემ ირმები მოწველა და ჯამი მამა დავითს მიართვა. დავითმა ჯვარი გადასახა რძეს და ყველად აქცია.

სასწაულის ხილვით შეძრულმა ლუკიანემ მოძღვარს უთხრა: „უკუთუ განიხრნენ ხორცი ჩემნი და განილივნენ შიმშილითა და წყურილითა, ყოლად არა რასმე ვზრუნვიდე მოკუდავთა ამათ ხორცითათვის და ამაოისა საწუთროისათვის“.

დავითი და ლუკიანე ოთხშაბათს და პარასკევს საზრდელს საერთოდ არ იღებდნენ. ამ დღეებში არც ირმები მოდიოდნენ მათთან.

შორიახლო გამოქაბულში საზარელი მხეცი მკვიდრობდა და მუსრს ავლებდა ცხოველებს. დავითის ლოცვით მხეცი იქაურობას გაშორდა. ურთხელ, გარეჯელ მამათა ირმებს კახელი მონადირეები გამოედევნენ და იხილეს, რომ ცხვრებივით მშვიდად მდგარ პირუტყვებს ლუკიანე წველიდა. მონადირეები ფეხებში ჩაუვარდნენ მამა დავითს, შემდეგ კი, შინ დაბრუნებულებმა, დავითის ამბავი ხალხში გაავრცელეს. მალე გარეჯის უდაბნო დაყუდებისა და ანგელოზებრივი ცხოვრების მოშურნებმა აავსეს. ასე დაედო საფუძველი გარეჯის მონასტერს, რომელიც, საუკუნეების მანძილზე, საქართველოს სარწმუნოებრივი და სამეცნიერო ცენტრი და ქვაკუთხედი იყო.

მამა დავითი გულმოდგინედ ზრუნავდა ბერ-მონაზვნებისათვის, დავითის კურთხევით აშენდა იოვანე ნათლისმცემლის მონასტერი მრავალმთაში.

ლირს დავით გარეჯელს უფლის მიერ ეუწყა, რომ მალე ზეციურ სავანეში განისვენებდა. მან მოიხმო მეუდაბნოე მამები და უკანასკნელად დამოძღვრა: „ნუ შეძრნუნდებით, არამედ განმტკიცენით და განძლიერდით და დაუცხრომელად ევედრებოდით ღმერთსა სულთათქვენთა ცხონებისათვის“. ნეტარი დავითი ეზიარა და ხელაპყრობილმა სული ღმერთს შეავედრა.

დავით გარეჯელის აღსასრულის შემდეგ, მისმა საყვარელმა მოწაფე — ლუკიანემ, ერთგულად გააგრძელა ღმრთისადმი აღთქმული მონაზვნური ღვაწლი და მშვიდობით აღესრულა.

**ნიკოლა მოცავენი, აზარაში თურქთაგან
ნამდაშლი (XVII-XVIII)
სულთმოფენობა**



სამცხე, აჭარა, ჭანეთი თურქებმა საქართველოს მოსწყვიტეს, ოსმალეთის პროვინციად გამოაცხადეს და ოსმალური მმართველობა დაამყარეს.

მტერმა კარგად იცოდა, რომ ქართველი ერის გასანადგურებლად აუცილებელი იყო ქრისტიანობის აღმოფხვრა, ამიტომ ყოველ ღონეს მიმართავდა აჭარლების გასამაჰმადიანებლად.

ცნობილ მეცნიერს, ზაქარია ჭიჭინაძეს, თავის ნაშრომში „ქართველების გამაჰმადიანება ანუ ისლამის გავრცელება დასავლეთ საქართველოს ქართველებში XVII-XVIII საუკუნეებში“, მოჰყავს ღრმად მოხუცი აჭარელის ნაამბობი: „აჭარაში გამაჰმადიანების საქმე ერთობ გაძნელებულა. ზოგიერთი მოხუცებული კაცები და ნამეტურ დედაკაცები ქრისტიანობაზე მტკიცედ იდგნენ და თან ოსმალოს მოლა-ხოჯებსაც ეკამათებოდნენ და ედავებოდნენ... ასეთ მოხუცებულთა რიცხვი აჭარაში დიდი ყოფილა... ბოლოს, მთავრობისაგან ასეთი ბრძანება გამოსულა, რომ ყველა ეგენი დაიჭირეთ და გაამაჰმადიანეთ, თუ არ გაამაჰმადიანდნენ,

აჭარა ოდითგანვე იყო ქრისტიანობის შეურყეველი ბურჯი და ერთგული მეციხოვნე. დიდაჭარით შემოვიდა საქართველოში ანდრია პირველნოდებული და აქ იქადაგა პირველად სახარება. მონამეობრივად აღსრულებული მატათა მოციქულიც აჭარის მიწამ მიიბარა. იგი გონიოშია დაკრძალული.

საქართველოს ეს ულამაზესი კუთხე სისხლით და ოფლით ნერდა გმირულ ფურცლებს ქვეყნის ისტორიში.

მეთექვსმეტე საუკუნიდან, აჭარა, თურქთა მუდმივი აგრესიის ობიექტი გახდა. ირან-ოსმალეთს შორის გამართული ომი ოსმალეთის გამარჯვებით დამთავრდა. ზავით, დასავლეთ საქართველო ოსმალეთს ერგო.

მერე დახოცეთო. მალე აჭარის მოხუცებულები შეუკრებით და აქა-იქ ციხეებში დაუმწყვდევიათ, ესენი აჭარისნყლის შესართავთან მიურეკიათ, სადაც ძველად თამარ მეფის ხიდი ყოფილა და რომელ ხიდის ნიშნებიც დღესაც დგას. ამ ხიდზე დაუდევიათ თავ-საკვეთი. მოხუც ქრისტიანებს თავს სჭრიდნენ, მერე ენის წვერსა და ფაშას უგზავნიდნენ: თავსა და ტანს კი ჭოროხში ჰყრიდნენ. ეს საქმეები მომხდარა ამ ასი ნლის ნინათ, ე.ი. 1790 წლებში“.

სახრჩობელები და თავსაკვეთები იყო აღმართული სოფელ აჭარის-ნყალში, ქედაში, დანდალოში, ჩაქვში, ხულოში, მაჭახელაში და გონიოში. ახალციხის მუზეუმის ხელნაწერთა ფონდში დაცული დოკუმენტი უფრო შემზარავად აღწერს ქრისტესთვის თავდადებულთა ნამებას: „რომელ ხორცეულ ენას შეუძლია რომ ნარმოთქვას იმდროინდელ ქრისტიან მამათა და დედათა დასჯა-ტანჯვანი. ვის ცოცხალს ტყავს აძრობდნენ, ვის ოთხ პალოზე გაკრულს ბანრებით გულს უდებდნენ, ვის ნაკუნ-ნაკუნ სჭრიდნენ ხმლითა და ვის ხანჯლით გულ-მუცელს უპობდნენ, ვის შამფურზედ გაცმულს ცოცხლებრივ ცეცხლზე სწვავ-დნენ, ვის შიშველს გახურებულ საჯდომზედ აგებდნენ... რკინის საწვავით ხვრეტდნენ, ვის ადულებულ წყალში ხარშავდნენ, ვის გამდნარ ტყვიას ასხამდნენ პირში, ვის ანთებულ კირში აგდებდნენ...“

საქართველოს სამოციქულო ეკლესიამ ნმინდანებად შერაცხა ქრისტიანობის დაცვისათვის აჭარაში მოწყვეტილი დედები და მამები.

საქართველოს ეკლესიამ, 1985 წლიდან აღადგინა და საეკლესიო კალენდარში შეიტანა ქართული ენის დღესასწაული. როგორც კათოლიკოს-პატრიარქმა ილია II-მ ბრძანა: „ჩვენი წინაპრები ზეიმობ-დნენ ქართული ენის დღესასწაულს — ლაზარეს შაბათს, მაგრამ ჩვენი ქვეყნის ავბედობამ, ჩვენი ქვეყნის მძიმე წარსულმა ნაშალა ეს კურთხე-ული ტრადიცია“. 1986 წლის საახალნლო ეპისტოლეში პატრიარქი, ენას ერის „სულის ყველაზე ნათელ გამოხატულებას“ უწოდებს და აღნიშ-ნავს, რომ ქართული ენა „ღრმა, უნაპირო, ბრძენი, თავმდაბალი და მი-უნვდომელია, ვითარცა გონება და სიყვარული. მისი სათავე ისევე უც-ნობია, როგორც მეტებისედეკ მამამთავრისა. მასშია მთელი საქართვე-ლო. გაზაფხულზე გაშლილი ვარდივით მშვენიერია იგი და ახლადამო-სული მზის ცხოველსმყოფელი სხივივით საამო, ცისფერია მისი სამო-სი, ზეცაა მისი საწყისი, უფალია მისი მშობელი და მფარველი. სიტყვა მისი მჭრელია, ვითარცა დავით აღმაშენებლის ხმალი, ძლიერია, რო-გორც სვეტი ცხოველი და ნაზი, ვით ყვავილზე მარგალიტად დაკიდუ-ლი დილის ნამი“.

ქართული ენის უჩვეულო სილამაზეს, იმთავითვე გრძნობდნენ ჩვე-ნი მწერლები. ამიტომაც მრავალი ლექსი და საგალობელი შექმნეს მის სადიდებლად. მათ შორის გამორჩეულად ბრწყინავს საიდუმლოებით მოცული „ქებაა და დიდებაა ქართულისა ენისაა“, რომელიც საუკუნეე-ბის განმავლობაში წერილობით გადმოიცემოდა საეკლესიო მამების მიერ და საფუძვლად დაედო აღნიშნულ დღესასწაულს.

ჩვენამდე მოღწეული ტექსტი ეკუთვნის მეათე საუკუნეს, ტექსტის გადამწერად გვევლინება ცნობილი საეკლესიო მოღვანე და მწერალი იოვანე-ზოსიმე საბანმიდელ-სინელი. იოვანე ზოსიმეს „ქებაა და დიდე-ბაა ქართულისა ენისაა“ შეაქვს ქართულ ხელნაწერთა კრებულში, როგორც კრებულთა დამამთავრებელი ნანარმოები.

თხზულების პირველ ნაწილს — „ქებაა ქართველთაა“ -ს ჩვენამდე არ მოუღწევია. სავარაუდოდ, აქ ასახული უნდა ყოფილიყო „ქებაა (შესხმაა)“ ქართველთა მოღვანეთა. მეცნიერი პავლე ინგოროვა ვარაუდობს, რომ ეს თხზულება შეიძლება იყოს კლარჯეთის სასულიერო — სალიტერატურო სკოლის ნანარმოები. ტექსტის სრული სახელია „ქებაა ქართველთაა და ქართულისა ენისაა“.

აქვე მოგვყავს თხზულების ტექსტი, რომელიც საფუძვლად დაედო ზემოთ აღნიშნულ დღესასწაულს.

ევგაი და დიდებაი ქართულისა ენისაი

დამარხულ არს ენაზ ქართული
დღემდე მეორედ მოსვლისა მესიისა სანამებელად,
რათა ყოველსა ენასა
ლმერთმან ამხილოს ამით ენითა.

და ესე ენად
მძინარე არს დღესამომდე,
და სახარებასა შინა ამას ენასა
ლაზარე ჰქვან.

და ახალმან ნინო მოაქცია
და ჰელენე დედოფალმან,
ესე არიან ორნი დანი,
ვითარცა მარიამ და მართა.

და მეგობრობად
ამისათვის თქუა მახარებელმან.

რამეთუ ყოველი საიდუმლო
ამასა ენასა შინა დამარხულ არს.

და ოთხისა დღისა მკუდარი
ამისათვს თქუა დავით ნინასნარმეტყველმან,

რამეთუ „ათასი წელი —
ვითარცა ერთი დღეზ“;

და სახარებასა შინა ქართულსა ხოლო, თავსა მათებსა
წილი ზის, რომელ ასოდ არს,

და იტყვს ყოვლად
ოთხ ათასა მარაგსა, —

და ესე არს ოთხი დღეზ,
და ოთხისა დღისა მკუდარი,
ამისთვს მისთანავე დაფლული
სიკუდილითა ნათლისლებისა მისისამთა.

და ესე ენად
შემკული და კურთხეული სახელითა უფლისამთა.

მდაბალი და დაწუნებული —

მოელის დღესა მას მეორედ მოსლვასა უფლისასა.
და სასწაულად ესა აქუს:

ას-ოთხი წელი
უმეტეს სხუათა ენათა

ქრისტეს მოსლვითგან ვიდრე დღესამომდე
და ესე ყოველი, რომელი წერილ არს,

მონამედ ნარმოგითხარ,
ას-ოთხი ესე წელი,

და წილი ანბანისად.

01 ნეარი

მონამე გიორგი იბერიელი (+1770)	10
ლირსი იოვანე ჭყონდიდელი (1110)	11
ნმიდა ექვთიმე ღმრთისკაცი (თაყაიშვილი) (+1953)	14
ლირსი მამანი: ევაგრე და ელია დიაკონი	17
მონამე აბო ტფილელი (+786)	20
მოციქულთასწორი ნინო, ქართველთა განმანათლებელი (IV)	23
ნმიდანი დედოფალი: სალომე უჯარმელი	
და პეროვავრა სივნიელი (IV).	30
ლირსი ეფრემ მცირე, ფილოსოფოსი (+1101)	32
ლირსი მღდელმონაზონი ალექსი (შუშანია) (+1923)	35
ლირსი ექვთიმე ალმსარებელი (კერესელიძე) (+1944)	38
ლირსი გაბრიელ ეპისკოპოსი (ქიქოძე) —	42
ნმიდა მეფე დავით ალმაშენებელი (+1125)	46
ნმიდა თამარ მეფე (+1213)	51
მონამე მეფე აშოტ დიდი კურაპალატი (+829)	56

თეგერვალი

ლირსი არსენ იყალთოელი (+1127)	60
ნმიდა მეფე სოლომონ II — სამშობლოსათვის თავდადებული (+1815)	62
ლირსი იოვანე ჭიმჭიმელი, ფილოსოფოსი (XIII)	65
ივერიის ყოვლადწმიდალვთისმშობლის ხატის დღესასწაული	66
ლირსი პროხორე ქართველი, (XI); ლირსმონამე ლუკა იერუსალიმელი (მუხაძე), (+1277); ლირსმონამე ნიკოლოზ დვალი, (+1314)	68
ლირსი ილარიონ ქართველი (ყანჩაველი) — ახალი (XVIII-XIX)	74
მღდელმონამე თეოდორე აჭარელი (მუსლუმანყოფილი) (XVII)	79
ლირსი ნიკოლოზ კათოლიკოს-პატრიარქი (+1591)	81
მონამენი ცხრანი კოლაელნი ყრმანი (VI)	83

მარტი

ლირსი იოვანე IV (ოქროპირი) კათოლიკოს-პატრიარქი (+1001)	86
ლირსმონამე დოსითეოზ ქუთათელი (წერეთელი) (+1820)	88
ლირსი იოვანე ხახულელი (X-XI)	90
წმიდა მეფე დემეტრე თავდადებული (+1289)	91
საქართველოს სამოციქულო ეკლესიის ავტოკაფალიის აღდგენის დღე (1917);	95
ლირსი ამბროსი ალმარებელი (ხელაია) (+1927);	100
ლირსი: პიმენ სალოსი და ანგონი მესხი (XIII)	103
ლირსი გაბრიელ მცირე, (+1802)	104
ლირსი იოვანე მანგლელი (+1751)	106

აპრილი

ლირსი: იოვანე შავთელი და ევლოგი წინასწარმეტყველი, სალოსი ..	110
ლირსი გიორგი მანყვერელი (IX-X).....	112
ქვაბთახევის მონასტერში წამებული მამანი და დედანი (+1386)....	113
წმიდა დიმიტრი ყიფიანი (+1887)	116
მონამე სუქია და მისთანანი (II).....	119
ლირსი ეფრემ დიდი, მანყვერელი (IX)	121
ლირსი ბასილი (რატიშვილი) (XIII)	123
ლირსი ეფთვიმე გაენათელი (შერვაშიძე) (+1822)	125
სარმატუნებისა და საქართველოსათვის დუდიკვათსა და პაპათში მოწყვეტილნი ლაზნი მონამენი (XVII-XVIII)	127

მაისი

ლირსი ზოსიმე კუმურდოელი (XVI)	130
წმიდა მამაა კათოლიკოსი (+744);.....	131
ლირსი მამანი მიქაელ და არსენ ქართველნი, ულუმბოლი (IX)	132
ლირსი იოვანე ზედაზნელი და მისიათორმეტი მონაფე (VI)	133
ნეტარი ქრისტესია, ქრისტეოლრედ წოდებული (+1771)	150
ლირსი ეფთვიმე ათონელი, მთარგმნელი (+1028);	152
წმიდა მონამენი მამანი ათონის ივერთა მონასტერში ლათინთაგან მოწყვეტილნი (XIII)	156
მონამენი: დავითი და ტირიჭანი და დედა მათი თაგინე (+693)	157
ლირსი: ზაბულონი და სოსანა, წმიდა ნინოს მშობლები	160
ლირსი დამიანე (დანიილი), მეფეყოფილი დემეტრე (+1157).	162
ლირსი მიქელ პარეხელი (VIII-IX).....	164
ლირსი ბასილი, ძე მეფე ბაგრატ III-ისა (XI);	165

036080

გარეჯელნი ლირსმონამე შიო ახალი, დავით მწირი,	
გაბრიელი, პავლე და გაბრიელი (+1696).....	167
მონამე თევდორე მღდელი (კველთელი), (+1609).....	169
ლირსი ოვანე-თორნიკე მთაწმინდელი (X).....	171
ლირსმონამე ანთიმ ივერიელი (+1716)	174
ლირსმონამე ქაიხოსრო ქართველი (+1612).....	177
მონამე შალვა ახალციხელი (+1127)	178
წმიდა მონამენი: მეფე არჩილი (+644)	
და მეფე ლუარსაბი (+1622).....	181
ლირსი გიორგი მთაწმინდელი (+1065);	187
მღდელმონამე კირიონი (საძაგლიშვილი) (XX)	193
წმიდა დინარ დედოფალი (X)	197

037080

ლირსი გიორგი ლმერთშემოსილი, დაყუდებული (X)	199
მონამე მირდატ მეფე (+379).....	201
ლირსნი ათონელნი მამანი: ოვანე — ეფთვიძეს მამა	
და გაბრიელი (X).....	203
ლირსი კოზმან ხუცეს-მონაზონი (+1630).....	207
წმიდა სალომე ქართველი, სპარსთაგან წამებული (XII)	208
წმიდა ილია მართალი (ჭავჭავაძე) (+1907).	209
ლირსი ილარიონ თვალოელი (XI)	212
ლირსი გიორგი მაშენებელი — ათონელი (+1029)	213
მონამე ევსტათი მცხეთელი (+546).	214
წმინდა ცოტნე ალმსარებელი (დადიანი) (XIII)	217
ლირსი არსენ ნინომინდელი (+1082)	220

აგვისტო

პირველმონამე რაჟდენი სოფელ წრომს წამებული (+457)	222
წმიდანი ცხრანი ძმანი ხერხეულიძენი დედით, დამთ	
და მათ თანა ცხრაათასი ქართველნი (+1625).	225
ლირსი ეფთვიძე (მჭედელაშვილი) — ნათლისმცემლის	
მონასტრისწინამძღვარი (+1804)	227
ლირსმონამენი გარეჯელნი მამანი: გერონტი და	
სერაპიონ იერომონაზონნი, სვიმეონ და ოთარი იეროდიაკონნი,	
გერმანე და ბესარიონ მონაზონნი, მიქაელ მორჩილი (+1851)	231
მონამე ქრისტეფორე გურული (XVI)	234
ლირსი ტბელი აბუსერიძე, ერისათვის თავდადებული (XIII).....	235

ღირსი ქრისტოდულე ფილოსოფოსი (XII)	236
ღირსმონამენი: მიტროპოლიტი ნაზარი (ლევავა); მღვდლები: გერმანე ჯაჯანიძე, იეროთეოზ ნიკოლაძე, სიმონ მჭელლიძე; პროტოდიაკონი ბესარიონ კუხიანიძე (+1924)	
და ყოველი ახალ მონამენი (XX)	238
ღირსი სარმეან კათოლიკოსი (+779)	244
ღირსი სერაპიონ საკვირველთმოქმედი (+1747)	245
მონამე შუშანიკი (+475)	248

სეპტემბერი

ღირსი სვიმეონ გარეჯელი, საკვირველთმოქმედი (XVIII)	252
ღირსი მამანი: იოვანე (მაისურაძე) (+1957)	
და გიორგი-იოვანე (მხეიძე) (+1960)	253
ღირსი გიორგი ჭყონდიდელ-მნიგნობართუხუცესი (XII)	257
მღვდელმონამე დოსითეოზ ტფილელი (+1759).	258
დიდმონამე კახეთის დედოფალი ქათევანი (1624)	259
მონამენი: ისააკი და იოსები, კარნუ-ქალაქში ნამებულნი (+808)	263
მთავარმონამე: ბიძინა ჩოლოყაშვილი და ელიზბარ და შალვა ქსნისერისთავნი (+1661)	265
ღირსი არსენ დიდი, კათოლიკოსი (+887)	268
ღირსი ონისიფორე — ონიფრე გარეჯელი (XVIII)	270

ოქტომბერი

დღესასწაული კვართისა საუფლოისა და სვეტისა ღმრთივბრნყინვალისა; მოციქულთასწორნი: მეფე მირიანი და დედოფალი ნანა;	
აბიათარ მღვდელი და წმიდა სიღონია (IV)	274
ღირსი მელქისედექ კათოლიკოს-პატრიარქი (XI-ს.)	280
დიდმონამენი: დავითი და კონსტანტინე (+740)	282
მღვდელმონამე ევდემოზ კათოლიკოსი (+1642)	285
ღირსი გრიგოლ ხანძთელი (+861) და კლარჯეთის უდაბნოს ღირსი მამანი და დედანი (VIII-IX)	287
ღირსი იოსებ ხუცესი, მოხევე, საკვირველთმოქმედი (+1763)	302
ღირსი: ანტონ ჭყონდიდელი (+1815)	
და იაკობ ხუცესმონაზონი (XIX)	304
ღირსი იოსებ კათოლიკოს-პატრიარქი (+1770)	307
ღირსი ალექსანდრე ეპისკოპოსი (ოქროპირიძე) (+1907)	310
მღვდელმონამე ნეოფიტე ურბნელი (VII)	313
ღირსი სერაპიონ ზარზმელი (+900)	316
წმიდა იოთამ ზევდგინძე (+1465)	319
წმიდანი ათნი ბევრნი (ასიათასი) მონამენი (+1227)	321

ნოემბერი

ლირსი ნიკოლოზ ქართველთა მნათობი (+1308)	324
წმიდანი და მართალნი იოანე, სტეფანე და ესაია ქართველნი	325
ღიღმონამე გიორგი კაბადოკიელი (+303)	326
ღიღმონამე კონსტანტი-კახი ქართველთა მთავარი (+852)	330
ღიღმონამე მიქაელ-გობრონი	
და ასოცდაცამენტი მხედარნი მისნი (+914)	333
ლირსი ილარიონ ქართველი, საკვირველთმოქმედი (+875)	336
ლირსმონამე არქიმანდრიტი გრიგოლი (ფერაძე) (+1942)	342
წმიდა მეფე ვახტანგ გორგასალი (+502)	345
ლირსი: პეტრე (V) და სამოელ (V-VI) კათალიკოსნი	353

დეკემბერი

წმიდა მონამე მეფე ვახტან მესამე	359
ყოველნი წმიდანი საქართველოში ნამებულნი	
და ლირსნი მამანი და დედანი	363
ლირსმონამე იოვანე ზედაზნის წინამძღვარი (IX)	364
ლირსნი: გიორგი მწერალი და საბა ხახულელი (XI)	365
ლირსი მაკარი მმარხველი (X)	367
ლირსი საბაია	368

გარდამავალი დღესასწაულები

წმიდანი ექვსიათასნი მონამენი მამანი დავით გარეჯის	
უდაბნოში მოწყვეტილნი (+1616)	370
წმიდანი ქართველნი მონამენი	
სპარსეთში მოწყვეტილნი (XVII-XVIII)	372
ლირსი დოდო გარეჯელი (VI)	374
ლირსი დავით გარეჯელი და ლუკიანე (VI)	375
წმინდანი მამანი და დედანი,	
აჭარაში თურქთაგან ნამებულნი (XVII-XVIII)	377
ქებაჲ და ღიღებაჲ ქართულისა ენისაჲ	379

ქართველ მეიდათა

ცხოვრებანი

წიგნის შედგენაზე მუშაობდნენ

დეკანოზი ზაქარია მაჩიტაძე

მანანა ბუკია, მაკა ბულია

ხატმნერები:

მიხეილ ამბოკაძე, დავით აბრამია, ირინე ისაკაძე, თევდორე ჯაფარიძე, ლაშა კინწურაშვილი, დავით ხიდაშელი, მადონა ლანჩავა, დავით მორგოშია, ირაკლი ცინცაძე, ლელა ბულია, მაკა ჩხეიძე, ქეთევან ღაურია

მინიატურები: მიხეილ და თორნიკე ამბოკაძეების

ფოტომასალა ლუარსაბ ტოგონიძის

კომპიუტერული უზრუნველყოფა: შორენა ფარქოსაძისა და ია მახათაძის

გამომცემლობა-ბაკმი
საქართველო, თბილისი 2007 წ.
E-mail bakmipublishing@posta.ge
www.bakmi.ge